690/2
1923 №5

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ს. Ს. Ს. რ.

პროლეტარიეტო ყველა ქვეყანისა, შეერთდეთ!

საქართველოს კომპარტიისა და რევოლიუციის
ისტორიის კომისია.

რევოლიუციის მატიანე

პარტიის ისტორიული ჟურნალი

№ 5.

1923 წ.

გამოცემა საქ. პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალური კანტორისა.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციის მატიანე

ᲑᲐᲠᲗᲘᲡ

პარტიის ისტორიული ჟურნალი

№ 5.

10 192

1923 Წ.

Библиотека
при ЦК ВКП (б)
საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცემა საქ. პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალური სამმართველოსა.
ტფილისი.

სტამბა გაზ. „ზარია ვოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქუჩა, № 4
ტირაჟი 1500 ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი:

		გვ.
1.	დებულება ს. კ. პ. ცეკას პარტისის განყოფილების შესახებ	1
2.	დებულება სამაზრო და საოლქო კომიტეტის პარტისის ბიუროს შესახებ	2

განყოფილება 1-ლი. ისტორიული წერილები.

1.	**ს. თალაკვაძე**, საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული	7
2.	**რ. კალაძე**, მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია	32

განყოფილება მე-2. მოგონებანი.

1.	**აბელ ენუქიძე**, რუს. ს. დ. მ. პ. არალეგალურ სტამბ. კავკასიაში მოწყობისა და მუშაობის ისტორია	53
2.	**გ. ჩხეიძე**, მოგონებანი	86
3.	**კ. ცინცაძე**, „	104
4.	**თ. კალანდაძე**, ერთი წელი მალულად	129
5.	**ს. თოდრია**, ალიონიდან გათენებამდე	138
6.	**ლ. მიროტაძე**, მოგონებანი	154
7.	**დ. რუხაძე** „	160
8.	**ვ. ცაბაძე**, „	176
9.	**პარმენ ცინცაძე**, პირადი მოგონებანი	183
10.	**გ. ნუცუბიძე**, ფარმაცევტთა არა-ლეგალური კავშირის ცხოვრებიდან	191
11.	**შ. დავითაშვილი**, რევოლიუციონური მოძრაობის დასაწყისი საქართველოში	196

განყოფილება მე-3. ავტობიოგრაფია.

1.	ფილიპე მახარაძე	205

განყოფილება მე-4. რევოლიუციის მსხვერპლნი.

1.	ნიკოლოზ გარიშვილი	231
2.	ილარიონ სარჯველაძე	232
3.	ნიკო ჩოდრიშვილი	236

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მე-5. პარტიული არქივი.

1. **კობა ჯუღაშვილი—სტალინი,** გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე 241
2. **ფ. მახარაძე,** მოხსენება მე-3 კომ. ინტერ. მეორე მსოფლიო კონგრესის შესახებ 269
3. **რ. ს.-დ. მ. პ.** მოხსენება ამსტერდამის საერთაშ. სოც. კონგრესისადმი 1904 წ. 285
4. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“ № 12-13—1904 წ. 335
5. **რიადავოი,** დემონსტრაცია 356

განყოფილება მე-6. რუსეთის პარტიის ცხოვრება.

1. პარტისის უახლოესი ამოცანები. 359
2. 1905 წლის რევოლიუციის 20 წლისთავისათვის . . . 362
3. არქივების შესყიდვის შესახებ. 365
4. არქივებიდან მიღებული მასალების შევსება-შესწორება . 365

განყოფილება მე-7. სხვადასხვა.

1. „საქართველოს რევოლ. მუზეუმი“ ამ. კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის გამოფენაზე 369

განყოფილება მე-8. პარტიის მუშაობა.

1. წლიური მუშაობის ანგარიში საქართველოს პარტისისა . 375

განცხადებანი. . . 379

სურათები:

ბ3
1. მიხა ცხაკაია 8
2. აბელ ენუქიძე 56
3. ლ. ბ. კრასინი 64
4. სიმონ ენუქიძე 72
5. ლ. ბ. კრასინი 80
6. ფილიპე მახარაძე 208
7. ნიკოლოზ გარიშვილი 230
8. ილარიონ სარჯველაძე 232
9. კობა ჯუღაშვილი—სტალინი 248

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბარამ ბოლშევიკ. ... ... 26 ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიის შესასწავლად, აძლევს დირექტივებს მაზრკომების და ოლქკომების პარტიისის ბიუროებს, ადგენს მათთვის ინსტრუქციებს, პროგრამებს და სხვ.

4. პარტიისის განყოფილების მუშაობას ხელმძღვანელობს პარტიისის განყოფილების გამგე—კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისიის (პარტისი) პასუხისმგებელი მდივანი.

5. ცენტრალურ პარტიისის განყოფილება ანგარიშს უდგენს ორ თვეში ერთხელ თავისი მუშაობის შესახებ ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტს და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს; უგზავნის აგრეთვე სრულ ანგარიშს მუშაობის შესახებ წელიწადში ერთხელ რ. კ. პ. ცეკასთან არსებულ პარტიისის განყოფილებას.

ს. კ. პ. ცეკას მდივანი **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისიის მდივანი **ს. თალაკვაძე.**

ცირკულიარულად

დებულება სამაზრო და საოლქო კომიტეტის პარტიისის (საქარ. კომპარტიისა და რევოლიუციის კომისია) ბიუროს შესახებ.

1. მაზრებში და ოლქებში პარტკომებთან არსებულ პარტიისის ამოცანებს შეადგენს მაზრისა და ოლქის ტერიტორიების მიხედვით რევოლიუციის ისტორიისთვის მასალების მოგროვება, აგრეთვე შესწავლა მაზრისა და ოლქის პარტიულ ორგანიზაციების წარმოშობა-განვითარებისა.

2. ამ ამოცანების სისრულეში მოსაყვანად მაზრკომისა და ოლქკომის პარტიისის ბიუროები სდგამენ შემდეგ ნაბიჯს:

შენიშვნა: მაზრკომებში და ოლქკომებში ს. კ. პ. ცეკას პარტიისის განყოფილების მიერ დიდი ხანია დაგზავნილია ცირკულიარი პარტიისის ბიუროების მოწყობის შესახებ. თუ რომელიმე მაზრაში ან ოლქში პარტიისის ბიურო ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი პარტკომებთან, უნდა სასწრაფოდ იქნას მოწყობილი. (ცირკულიარი ამის შესახებ იხ. ჟურნ. „რევოლიუციის მატიანე"-ს № 2-ში).

ა) მაზრისა თუ ოლქის საზღვრებში პარტიისის ბიურო აგროვებს კომპარტიისა და რევოლიუციის შესახებ დაბეჭდილ თუ ხელნაწერ არალეგალურ მასალებს, მემუარებს, რევოლიუციონერთა დღიურებს და სხვა ყოველგვარ ამ ხასიათის დოკუმენტებს; შეძლებისადაგვარად აგრეთვე ამუშავებს შეკრებილ მასალებს, სისტემაში მოჰყავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოგი, აძლევს მას საისტორიო მასალის სახეს, ავალებს მათ,—ვისაც ეს შეუძლიათ,—რევოლიუციის ისტორიიდან ცალკე ეპიზოდების დაწერას.

ბ) ჩამოთვლილ მასალების შესანახად და გამოსაყენებლად პარტისის ბიურო აწყობს მუზეუმს, ბიბლიოთეკას და საჩვენებელ შესაფერ ადგილებს დაინტერესებულ პირთათვის: პარტისის ბიურო მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე ადგილობრივად საისტორიო-სარევოლიუციო არქივის მოწყობაში.

გ) ამ შრომიდან პარტისის ბიურო უფრო ღირს-შესანიშნავს აქვეყნებს ადგილობრივ ბეჭდვითი—ყოველ-დღიურ თუ კვირეულ ორგანოში—(თუ მოეპოვებათ ასეთი), ხოლო შემდეგ, ყველას ერთად აღებულს, აგზავნის ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის პარტისის განყოფილებაში, პარტისის ისტორიულ ორგანო „რევოლიუციის მატიანე"-ში მოსათავსებლად.

დ) პარტისის ბიურო კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის შესწავლის მიზნით მართავს საზოგადო კრებებს, სახალხო რეფერატებს, მოგონებათა საღამოებს, აწყობს კლუბებს, წრეებს და სხვ.

3. პარტისის ყოველგვარ მუშაობას ხელმძღვანელობს პარტისის ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი.

4. სამაზრო და საოლქო პარტისის ბიუროები მაზრისა და ოლქის პარტიულ კომიტეტებს ყოველ-თვიურად ურდგენენ ანგარიშს თავიანთი მუშაობის შესახებ, აგრეთვე აგზავნიან სრულ ანგარიშს მუშაობის წარმოებისა და მისი შედეგების შესახებ ს. კ. პ. ცეკას პარტისის განყოფილებაში.

ს. კ. პ. ცეკას მდივანი **ლ. ქართველიშვილი.**

პარტისის გამგე **ს. თალაკვაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება

=I=

ისტორიული წერილები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. თალაკვაძე

საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული

(1870 წლიდან 1905 წლამდე)

მეორე ნაწილი

(დასასრული, იხ. „რევ. მატ." №№ 1, 2, 3 და 4)

VII

1902 წლიდან რევოლიუციონური მოძრაობა ფართოდ მოედო ამიერ-კავკასიას, განსაკუთრებით განვითარდა იგი საქართველოში.

ქალაქების დაჩაგრულ, კაპიტალიზმის მიერ გაყვლეფილ მუშათა კლასს გვერდში ამოუდგა სოფლის ღარიბი, უმიწაწყლო, ნახევრად გაპროლეტარებული გლეხ-კაცობა და შეიქმნა ერთი ძლიერი რევოლიუციონური ფრონტი თვითმპყრობელი მთავრობისა და მქონებელ კლასთა წინააღმდეგ.

აგრარულმა მოძრაობამ სოფლად შეტად სერიოზული სახე მიიღო. არსად, მთელი რუსეთის ტერიტორიაზე ისე საგრძნობი არ ყოფილა ეს აგრარულ-ეკონომიური და ამ ნიადაგზე წარმოშობილი აქტიური პოლიტიკური გამოსვლები მემამულე—თავად-აზნაურებისა და მათი ინტერესების დამცველ თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ, როგორც ეს იყო საქართველოს სოფლებში.

ამ შემთხვევაში ბრძოლის ცენტრი ქალაქებიდან სოფლად გადავიდა. ასე, არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ შეტევის ინიციატივა წილად ხვდა ქართველ რევოლიუციონურ გლეხ-კაცობას; დარაზმული, კომპაქტიური, რეალური ძალები მონარქიულ თავად-აზნაურული მთავრობის წინააღმდეგ აქ სოფელმა წამოაყენა.

რევოლიუციონური მოძრაობის უმთავრესი ბურჯი საქართველოში გახდა უმიწაწყლობისა და სიღატაკის ნიადაგზე ამხედრებული ქართველი გლეხ-კაცობა.

საერთოდ, საქართველოში ამ პერიოდში—1902, 1903, 1904 და 1905 წლებში რევოლიუციონური მოძრაობის გამომხატველი, მისი მატარებელია სოფლის გაღარიბებული გლეხკაცობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ გავიგოთ ეს?

განა ქალაქის მუშები უკანა რიგებში იბრძოდნენ? განა გლეხობის რევოლიუციონური გამოსვლები მარტო ეკონომიური მიზეზებით აიხსნებოდა და განა ეკონომიური მიზეზების გარდა აქ არ თამაშობდა კიდევ როლს სხვა პირობებიც,—ე. ი. ობიექტიურთან ერთად არ იყო სუბიექტიური ელემენტებიც?

1900—1901 წლებიდან დაწყებული ეკონომიური ხასიათის დიდი ვაფიცვების შედეგით მსხვილ სამრეწველო ქალაქებში—ტფილისში, ბაქოში და ბათომში—ხშირი მოვლენა გახდა რევოლიუციონურად განწყობილ, გათვითცნობიერებული მოწინავე მუშების ფაბრიკა-ქარხნებიდან დათხოვნა. ადმინისტრაცია კიდევ შორს წავიდა: ამ მუშებს ქალაქებიდან სოფლად ასახლებდა.

სოფლად წასული, შეგნებული რევოლიუციონური მუშები თავიანთ რევოლიუციონურ მუშაობას არ სწყვეტდენ. ეკონომიურად წელში გატეხილ, მეფის მთავრობის მძიმე რეჟიმით ცხოვრება-გამწარებულ მშრომელ გლეხ-კაცობაში მათ დადაჰქონდათ ქალაქის მოუსვენარი, შეურიგებელი რევოლიუციონური სული, რევოლიუციონური საქმიანობა. მათ იპოვეს აქ სრულებით მომწიფებული ობიექტიური პირობები რევოლიუციონური მუშაობისათვის.

ამიტომ, როცა ვამბობთ ქალაქებიდან სოფლად რევოლიუციონური მოძრაობის ცენტრის გადატანაზე, როცა გლეხ-კაცობა გახდა ობიექტი რევოლიუციონური ცეცხლის გაჩაღებისა არსებული რეჟიმის გადასაბუგავად, ამავე დროს, არ უნდა გვავიწყდებოდეს ამ მოძრაობის სული და გული, მისი სუბიექტი,—ქალაქებიდან გადმოხვეწილი, რევოლიუციონურად გაწვრთნილი მუშები.

ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე, 1904 წელს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დელეგატი*) თავის მოხსენებაში, რუსეთში წარმოებულ აგრარულ მოძრაობაზე ლაპარაკის დროს უმთავრესად ჩერდება საქართველოზე და ამბობს:... „განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობდა სოციალ-დემოკრატების აგიტაცია კავკასიის გლეხებს შორის, რომელსაც აქ სისტემატიურად აწარმოებდა „კავკასიის კავშირი" (უმთავრესად, სპეციალურად სოფლად მომუშავე გურიისა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი). გლეხთა მოძრაობა აქ დაკავშირებულია ქალაქის მუშების მასიურ გადასახლებასთან სოფელში (ბათომიდან 1902 წელს), რომელთა უშუალო გავლენის ქვეშ დაიწყო იმავე წელსვე მნიშვნელოვანი აგრა-

*) დელეგატის ვინაობა არ არის აღნიშნული იმ დოკუმენტში, საიდანაც ამ მასალას ვიღებთ, მაგრამ, როგორც სხვა წყაროებიდან ვიცით, ამ კონგრესზე რუსეთიდან გ. პლეხანოვი იყო წარმომადგენელად.

ამხ. მიხა ცხაკაია

..მოწაფეთა გამოსვლების ცენტრი იყო ქუთაისი. იქ ამ დროს ცხოვრობდა მიხა ცხაკაია, რომელიც მიუხედავათ იმისა, რომ პოლიციის მხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, მაინც ახერხებდა მოწაფეთა მოძრაობისათვის ხელმძღვანელობა გაეწია... გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული უწესოებანი კავკასიაში, რაც გლეხებს ძვირად დაუჯდა; — ან ბევრი მსხვერპლი შეიწირა. ამ ხანიდან კავკასიის გლეხ—სოციალ-დემოკრატებს ასობით უხდებოდათ მეფის ციხეებში ჯდომა და გადასახლება".

1902 წლიდან გურია—იმერეთ—სამეგრელო გადაიქცა რევოლიუციონური მოძრაობის ბუდეთ. განსაკუთრებით გურიაში, სადაც ბათომის მუშები და შორაპნის მაზრაში,—სადაც ჭიათურის მუშები უწყობდნენ ხელს, მოძრაობა მძლავრი გამოდგა მემამულეებისა და მეფის მთავრობის წინააღმდეგ. გლეხთა პოლიტიკურ გამოსვლებმა მიიპყრეს საქართველოსა და მთელი ამიერ-კავკასიის მოწინავე საზოგადოების გულისყური, ქალაქებიდან დაიძრა მოძრაობის საშველად და ხელის შესაწყობათ გამოცდილი რევოლიუციონერები, მომზადებული აგიტატორ-პროპაგანდისტები.

ამ აგიტატორ-პროპაგანდისტების რიცხვში იყვნენ: ალიოშა ჯაფარიძე, საშა წულუკიძე, კობა (სტალინი), ბუდუ მდივანი, კოტე ციხეაძე, სტეპკო ინწკირველი, თედორე კალანდაძე, ჭოლა ლომთათიძე, იასონ მეგრელიძე, მიშა დავიდოვი, გუკა პარკაძე, ვანო კალანდაძე და მრავალი სხვები.

სოფლის გლეხობის აჯანყებები მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეკონომიურად და პოლიტიკურად ქალაქის პროლეტარიატთან.

ამ გამოსვლებში მუშობდა ერთი ორგანიზაციული ხელი—

ეს იყო—რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

VIII

1902 წლიდან ამ პარტიისაგე ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დაიწყო აგრეთვე მოწაფეთა სისტემატიური პოლიტიკური გამოსვლები სკოლებში, რომელიც შემდეგ თანდათან განვითარდა, გაფართოვდა, გაღრმავდა და მიიღო აშკარა რევოლიუციონური სახე.

მოწაფეთა გამოსვლების ცენტრი იყო ქუთაისი. იქ ამ დროს ცხოვრობდა მიხა ცხაკაია, რომელიც მიუხედავათ იმისა, რომ პოლიციის მხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, მაინც ახერხებდა მოწაფეთა მოძრაობისათვის ხელმძღვანელობა გაეწია.

ტფილისი, ბათომი, გორი და სხ. ქალაქები აქ მეორე—მესამე ხარისხოვან როლს თამაშობდნენ.

სკოლებში არსებობდა მოწაფეთა წრეები. წრეებში კითხულობდენ რევოლიუციონურ ლიტერატურას, ეცნობოდენ ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, გერცენს და სხ. ეწეოდენ გაცხარებულ მეცადინეობას პოლიტიკური და რევოლიუციონური აღზრდის მხრით. ამ დროს საგრძნობლად ვრცელდებოდა აგრეთვე მათში „ლეგალური"—მარქსისტული, ყოველ-კვირეული ჟურნალი „ვკალი". ზოგჯერ, თუმცა იშვიათად, წრეებამდე აღწევდა არალეგალური მუშათა გაზეთი „ბრძოლაც".

ეროვნული ბიბლიოთეკა

1902 წლიდან ბაქოში ლადო კეცხოველისა და აბელ ენუქიძის მიერ მოწყობილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის არალეგალურ სტამბაში, ლადო კეცხოველის ხელმძღვანელობით იწყო გამოსვლა მუშათა რევოლიუციონურმა გაზეთმა „ბრძოლამ“.

გაზეთი „ბრძოლა“,—ბებრძოლი მუშათა კლასის პარტიის პირველი არალეგალური ორგანო იყო, რომელსაც დიდ, რუსულ არალეგალურ პარტიულ ორგანოს—„ისკრა-“ს მსგავსად შეჰქონდა რევოლიუციონური სული ქართველ მუშებში, აცნობდა მათ პარტიულ დირექტივებს, არკვევდა და აშუქებდა პარტიის პრინციპიალურ და ორგანიზაციულ —ტაქტიკურ კითხვებს.

„...არ მოიპოვება არ ერთი მუშა, საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის მონაწილე, რომელსაც არ წაეკითხოს არალეგალური ქართული გაზეთი „ბრძოლა“. ამ გაზეთმა დიდი როლი ითამაშა ქართველი მუშების გარევოლიუციონერებაში, მისი საშუალებით ქართველმა მუშებმა პირველად დაინახეს, თუ რა განსხვავება არსებობდა ლეგალურ და არალეგალურ წრეებს შორის“. ასე სწერს ამბ. აბელ ენუქიძე თავის მოგონებაში: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური სტამბის კავკასიაში მოწყობისა და მუშაობის ისტორია 1900—1906 წლებისა“ (იხ. „რევოლიუციის მატიანე“ № 4).

ბათომის ცხოვრებაში 1902 წელი აღინიშნება დიდი გაფიცვით და შემდეგი რევოლიუციონური გამოსვლით:

28 თებერვალს როტშილდის ნავთის ქარხანაში გამოცხადდა გაფიცვა, რაც გამოიწვია ქარხნიდან 420 ძველი მუშის, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირების დათხოვნამ. მუშები მოითხოვდენ ქარხნის ადმინისტრაციისაგან იმათ უკან მიღებას. გაფიცვის დროს დაჭერილ იქნა მრავალი მუშა. მუშებმა მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება. ამის გამო შეიკრიბა 600 მუშა და რევოლიუციონური სიმღერით გაემართა ციხისაკენ, სადაც დაპატიმრებული ამხანაგები იმყოფებოდნენ. პოლიცია-ჟანდარმერიამ აქ შემდეგ ხერხს მიმართა. არ სთქვა უარი დაპატიმრებული მუშების განთავისუფლებაზე და მოითხოვა, რომ მოსულ 600 მუშას გაეცლა არა ქუჩით, არამედ—ციხის ეზოთი. მუშებმა შეასრულეს ეს... და აი, როცა მათ გაიარეს ეზო და გამოსავალ კარებს მიადგნენ, იქ დაუხვდათ ჯარისკაცთა ორი ასეული (როტა) და მუშები გამოცხადებულ იქნენ დაპატიმრებულად. აღშფოთებულმა მუშებმა აიღეს ხელში რაც კი მოხვდათ—ჯოხები, ქვები და დაუწყეს ჯარის-კაცებს ცემა. ჯარისკაცებს კი სროლის ბრძანება ჰქონდა მიცემული, რაც მათ სისრულეში მოიყვანეს. სროლის შემდეგ მკვდარი აღმოჩნდა ერთი მუშა, 19 დაჭრილი, რომელთაგან საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ 9 მუშა გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამან ერთობ გაამწვავა მდგომარეობა. გაფიცვა გაფართოდა. გაღრმავდა. გაფიცულ როტშილდის ქარხნის მუშებს მიემხრენ მანთაშევისა და სხვა ქარხნების მუშებიც. ასე გაფიცვა გახდა საყოველთაო.

გაფიცვის ხელმძღვანელები იყვნენ საშა წულუკიძე, კობა სტალინი, ლადო დუმბაძე, სილვა თოდრია, გიორგი თელია დათიკო ხარტიშვილი და სხვები *).

IX

. . . პირველი მაისობა ტფილისში 1902 წელს ვერ იქნა ჩატარებული, რადგან დემოკრატიული პრინციპით „საჯაროდ“ არჩეულ ტფილისის კომიტეტი, შეპარულ პროვოკატორ სტაროსენკოს მეოხებით თებერვალში დაჭერილი და განადგურებული იქნა. პირველი მაისობის დემონსტრაცია მოეწყო ამ წელს ბათომში და ბაქოში. ბაქოში იგი ერთობ აღსანიშნავი, გრანდიოზული გამოდგა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 5,000-მდე კაცმა. ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლადო კეცხოველი, ანელ ენუქიძე, ვანო სტურუა, კრასინი და კრუნიანცი წინასწარ შეედგინა გეგმა და გაენაწილებია როლები მაისობის მოწყობის საქმეში. დაებეჭდათ დიდძალი პროკლამაციები, სადაც წამოყენებული იყო მოთხოვნილება: „თავისუფლება“, „8 საათის სამუშაო დღე“, და სხვ. ამ შინაარსის წარწერები ამშვენებდა წითელ დროშებს დემონსტრანტ მუშების ხელში.

ისე მოხერხებულად იქნა ჩატარებული დემონსტრაცია, რომ პოლიციამ ხელის შეშლა, წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლო. პოლიციასთან შეტაკება არ მომხდარა.

1902 წლის მეორე ნახევარში ტფილისის რკინის გზის მუშებმა მოაწყვეს ნაწილობრივი გაფიცვა. ამ ხანებშივე ხელ-ახლა იფეთქა გაფიცვამ ბათომშიც. გაფიცვა იყო ეკონომიური ხასიათის, რის გამო ქარხნიდან დაითხოვეს 1500-მდე მუშა.

1902 წლის გასულს ტფილისში მოეწყო ახალი მარქსისტულ-რევოლიუციონური ორგანიზაცია „სომხის სოციალ-დემოკრატიის კავშირი“-ს სახელწოდებით. ამ „კავშირმა“ მთლიანად გაიზიარა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ტფილისის ორგანიზაციის ყველა პრინციპიალური და ორგანიზაციული დებულებები.

*) ესარგებლობ 1904 წელს ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე რუსეთის სოც.-დემ. პარტიისაგან წარგზავნილ დელეგატის მიერ გაკეთებულ მოხსენებიდან, რომელიც ბროშურის სახით ერის გამოცემული ყენდაში იმავ წელს და ერცელდებოდა ჩვენში არა-ლეგალურად. აგრეთვე ჩვენაარეული ლადო დუმბაძის ავტობიოგრაფიას და რაჟდენ კალაძის ისტორიულ წერილებს—„მუშათა ერთულ ეურნალ-გაზეთის ისტორია“-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ „კავშირი"-ს ინიციატივით და ახლო თანამშრომლობით 1902 წლის დასასრულს, ქართულ მუშათა გაზეთ „ბრძოლა"-სთან *) ერთად ტფილისში იწყო გამოსვლა მუშათა არალეგალურმა გაზეთმა „პროლეტარიატ"-მა სომხურ ენაზე.

1902 წლის დასასრულს და 1903 წლის დასაწყისში სამხრეთ რუსეთში წარმოებულ გრანდიოზულ გაფიცვა—გამოსვლებით ჩვენშიაც გამოცოცხლდა მოძრაობა. ხსენებულმა გაფიცვებმა რევოლიუციონური სიცოცხლე შეჰმატა საქართველოს პროლეტარიატს და ღარიბ გლეხ-კაცობას; ამ წლიდან ჩვენში გაღრმავდა რევოლიუცია და გაფართოვდა მისი ტერიტორია.

. . . ამ რევოლიუციონურ მოძრაობაში აშკარად განირჩეოდა გურიის მებრძოლი გლეხ-კაცობა საქართველოს დანარჩენ კუთხეების გლეხკაცობისაგან. გურიაში ამ დროს უკვე არსებობდა რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტი. ამ წლიდან გურიის ღარიბი გლეხ-კაცობა მამაცურად ებრძოდა მქონებელ კლასს—მემამულეებს და მათ დამცველ თვითმპყრობელურ მთავრობის ჩაფარ-ბოქაულებს. ამ დროს გურიაში ხშირი მოვლენა იყო ჯაშუშების სიკვდილი.

ღამ-ღამობით, ტყე-ღრეებში ფარულად კრება-მიტინგების მართვას გურიაში სისტემატიური ხასიათი მისცემოდა, სადაც წყდებოდა ესა თუ ის პოლიტიკური საკითხები ყოველ-დღიური რევოლიუციონური ნაბიჯების გადასადგმელად.

X

1903 წლის დასაწყისი ხასიათდება რევოლიუციონური მუშაობის განმტკიცებით, რომელსაც, როგორც საქართველოში, ისე ამირ-კავკასიაში**) მტკიცე საფუძველი ჩაეყარა,—მისი ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები ტფილისსა და ბაქოს შემდეგ მოეწყო: ბათომში, ქუთაისში, გურიაში, ჭიათურაში, გორში და ხაშურში.

ამ წელს, თებერვალში თუ მარტში, ტფილისში მოწვეულ იქნა კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების პირველი ყრილობა.

*) არა-ლეგალურ გაზეთ „ბრძოლა"-ს, რომელიც ამ დრამდე ბაქოში გამოდიოდა, მიაგნო ჟანდარმერიამ; მთავრობას ჩაუვარდა ხელში რედაქციის ზოგიერთი წევრი: გაზეთის სულის ჩამდგმელი რედაქტორი და თვით სტამბის მოშწყობი ლადო ცაცხოველი დაპატიმრებულ იქნა. დიდი ორგანიზაციული მუშაობის შემდეგ ტფილისის ორგანიზაციამ შესძლო სტამბის ტფილისში გადმოტანა და განაახლა გაზეთ „ბრძოლის" გამოცემა ტფილისში.

**) ამირ-კავკასიის მასშტაბით მარტო ბაქო იყო წარმოდგენილი. სხვა კუთხეებიდან არა ისმოდა-რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ დელეგატები: ტფილისიდან, ბაქოდან, ბათომიდან, ქუთაისიდან, გურიიდან, ჭიათურიდან, გორიდან. ყრილობის მიერ არჩეულ კომიტეტს ეწოდა „ამიერ-კავკასიის კავშირის კომიტეტი“.

ყრილობაზე არ ყოფილა დავა პარტიის პოლიტიკური და ტაქტიკური ხაზის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა იმ ხანებში რუსეთის ორგანიზაციებში—ეგრედ წოდებულ „ისკროველებსა“ და „რაბოჩედელცების“ შორის.

წარმოდგენილმა დელეგატებმა თითქმის ერთხმად გაიზიარეს გაზეთ „ისკრა“-ს პოლიტიკური პლატფორმა.

ყრილობის მიერ არჩეულ ამიერ-კავკასიის **კავშირის კომიტეტის** შემადგენლობაში დაახლოვებით მოხდენ: მიხა ცხაკაია, საშა წულუკიძე, კობა-სტალინი, ენუნიანცი, სილიბისტრო ჯიბლაძე, სეევრიანე ჯუღელი და სხვები.

კავშირის კომიტეტმა თავისი დაარსების პირველი დღიდანვე ქართული არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“ და სომხური „პროლეტარიატი“ გაიერთიანა ერთი სახელწოდებით: დაარქვა მათ „პროლეტარიატის ბრძოლა“ და ამგვარად, კავშირის კომიტეტის სახელით იწყო გამოსვლა,— ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე,— „პროლეტარიატის ბრძოლა“-მ.

გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ ხელმძღვანელი და ქართულის რედაქტორი და ახლო თანამშრომლები იყვნენ ფილიპე მახარაძე და კობა—სტალინი.

ამ დროს დასავლეთ საქართველოში გლეხთა და მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის გასაერთიანებლათ და ერთ ალაპოტში მოსაქცევად, კავშირის კომიტეტის ინიციატივით და ხელმძღვანელობით, ქუთაისში მოეწყო იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი.

კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ: საშა წულუკიძე, პუდუ მდივანი, ს. ქავთარაძე, არჩილ დოლიძე (როსტომი), ბ. ბიბინეიშვილი, ალ. ჯაფარიძე და სხვები.

კომიტეტის პასუხისმგებელ ხელმძღვანელებათ ითვლებოდნენ **კავშირის კომიტეტის** წევრნი: მიხა ცხაკაია და საშა წულუკიძე, რომელთაც კავშირის კომიტეტის დავალებით ქუთაისის გარდა საორგანიზაციო მუშაობის წარმოება უხდებოდათ ბათომში და სხვა ადგილებში.

იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი აერთებდა: ქუთაისს, ჭიათურას, ტყიბულს, ფოთს და სხვა, მრავალ, რევოლიუციონურად დაწინაურებულ სოფლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიისა და ბათომის კომიტეტები ამ დროს ცალ-ცალკე არსებობდნენ, თუმცა ახლო დამოკიდებულება და სრული კონტაქტი ტრადიციულად დაცული იყო მათ შორის *).

XI

1903 წელს, როცა ლადო კეცხოველი მეტეხის საპყრობილეში იჯდა, წინად განზრახული დიდი არალეგალური სტამბის შეძენის საქმე, ტრიფონ ენუქიძისა, კრასნ.ისა და ციხიდან ახლად განთავისუფლებულ ბელ ენუქიძის მეოხებით უკვე შესრულებულ იქნა.

ლადო კეცხოველის დროს შეძენილი პატარა არალეგალური სტამბა ბაქოელმა ამხანაგებმა გადასცეს ტფილისის ორგანიზაციას. ახლად შეძენილი და „დაბინავებული" დიდი არალეგალური სტამბა კი, თითონ აამუშავეს.

მუშაობის პროცესში ეს სტამბა დაუკავშირდა კავკასიის ორგანიზაციებთან ერთად (ბათომი, ტფილისი, ქუთაისი, გურია, ჭიათურა და გორი), პეტერბურგის ყველაზე ძლიერ ორგანიზაციას,—პეტერ.ბურგის კომიტეტს და გაზეთ „იუენი რაბოჩი"-ს ჯგუფს ეკატერინოსლავში, რომელიც თანდათან იხ-ებოდა „ეკონომიზმისაკენ" მარტინოვის გავლენით (მარტინოვი ამ დროს ამ გაზეთის რედაქციაში მუშაობდა).

სტამბის მუშაობა მარტო ამით არ განსაზღვრულა; სტამბა იდეურად და პოლიტიკურად შეუკავშირდა „ისკრას", რომელიც ყველაზე დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო სტამბის მუშაველმძღვანელ ბაქოელ ამხანაგებისათვის.

ბაქოს ამხანაგები სისტემატიურად ღებულობდენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ამ ერთად ერთ სახელმძღვანელო პოლიტიკურ გაზეთს „ისკრას" შვეიცარიიდან არალეგალურად და მრავლად გადაბეჭდილს ბაქოს არალეგალურ სტამბაში, მთელი რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ პარტიულ ორგანიზაციების საშუალებით ავრცელებდნენ.

პოლიტიკურ გაზეთ „ისკრა"-სთან ერთად საზღვარ-გარეთიდან ბაქოში და ბათომში აღწევდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მეცნიერულ-ფილოსოფიური ორგანო—ჟურნალი „ზარია", რომელიც ააშკარავებ.და „რაბოჩეე დელო"-ს („ეკონომისტების" გაზეთი) რევიზიონისტულ ბუნებას და ბურჟუაზიულ შინაარსს.

XII

1903 წელს, ზაფხულზე, ივლის-აგვისტოს რიცხვებში, ბრიუსელში და შემდეგ იქიდან ლონდონში გადატანით, შესდგა რუსეთის სო

*) პირველ ხანებში გურიაში არ არსებობდა კომიტეტი. გურიის რევოლიუციონერი გლეხ-კაცობა ბათომის კომიტეტთან იყო დაკავშირებული ორგანიზაციულად, საიდანაც ღებულობდა პარტიულ დირექტივებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მე-II-რე ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 14 კომიტეტი და რამდენიმე მარქსისტული ჯგუფები შემდეგი სახელწოდებით: „სამი კომიტეტის კავშირი", „ერთი მუშათა კავშირი"—კომიტეტის უფლებით აღჭურვილი, ორი საზღვარ-გარეთის ორგანიზაცია—„კავშირი და ლიგა" და „შრომის განთავისუფლების ჯგუფი", „სამხრეთ მუშის ჯგუფი", „ისკრა"-ს ორგანიზაცია, „ბუნდის" (ებრაელ მუშა-მარქსისტების სეპარატიული ჯგუფი), ცენტრალური და საზღვარ-გარეთელი კომიტეტები. ამათ გარდა. ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად სპეციალურად იქნენ მოწვეულნი პარტიის გამოჩენილი მოღვაწე – ლიდერები.

ამიერ-კავკასია ამ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო სამი დელეგატით: თოფურიძე, ზურაბოღი და კნუნიანცი.

ჩამოთვლილი სხვადასხვა ჯგუფის ორგანიზაციები. მიუხედავთ იმისა, რომ ერთ საფუძველზე—მარქსიზმის მოძღვრება-თეორიაზე იყო აშენებული, თავიანთ გულში მაინც ატარებდენ სხვადასხვა პოლიტიკურ ხაზსა და მიმართულებებს, „ეკონომიზმი"-სა და „პოლიტიკიზმი"-ს სახით.

ამიტომ მე-II-რე ყრილობის უმთავრესი ამოცანა იყო ცალკე ჯგუფად წარმოშობილ პარტიის ეს ერთი სხეული შეერთებინა, მოწინავე პროლეტარიატის ეს გაფანტული ძალები ერთმანეთზე ნათესაური გრძნობებით მტკიცედ გადაეჯაჭვა.

პირველი საკითხი იყო **„ბუნდის" შემოყვანა პარტიაში.**

ხანგრძლივი კამათის შემდეგ „ბუნდის" სეპარატიული პრინციპი დაგმობილი და უარყოფილი იქნა ყრილობის მიერ. ყრილობამ დიდი ხმის უმეტესობით უარჰყო „ბუნდის" მიერ წამოყენებული ორგანიზაციული წესდების პროექტი და მიიღო სულ სხვა პროექტი, რომლითაც „ბუნდი" ითვლებოდა ებრაელ პროლეტარიატის წარმომადგენლად და არავითარი სხვა სეპარატიულ-ორგანიზაციული უფლება მას არ რჩებოდა, არავითარ რაიონულ ფარგლებით იგი არ განისაზღვრებოდა. წესდების ამ მუხლის მიღების შემდეგ „ბუნდის" დელეგატებმა გამოაცხადეს, რომ ისინი გამოდიან **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან** და დასტოვეს კიდეც ყრილობა.

ყრილობა შემდეგ იხილავს პარტიის პროგრამის პროექტს. პროგრამის საფუძველად აღებულ იქნა გაზეთ „ისკრა"-სა და ჟურნალ „ზარია"-ს მიერ წარმოდგენილი პროექტი.

პარტიის პროგრამის საკითხმა, პროგრამის პროექტის განხილვამ ყრილობაზე ხანგრძლივი სჯა და კამათი გამოიწვია. მან შეიწირა ყრილობის რამდენიმე გრძელი სხდომა, რომლის შემდეგ. ზოგიერთი მუხლის დამატებით თუ შეცვლით, საბოლოოთ დამტკიცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ და მიღებულ იქნა **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა** *).

პროგრამის დამტკიცება-მიღების შემდეგ ყრილობა გადავიდა დღის წესრიგში დასმულ მესამე საკითხზე—პარტიის სახელმძღვანელო ჩეკდვითი ცენტრალურ ორგანოს საკითხზე... „რომ სრულებით სისწორით განსაზღვრულიყო საერთო ხასიათი პარტიის ტაქტიკისა. რომ მისცემოდა ბოლო პარტიის შიგნით წარმოებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა ბრძოლას, ყრილობამ დიდი ხმის უმეტესობით დამტკიცა პარტიის ცენტრალურ ორგანოდ „ისკრა“, იცნო რა ამით ამ ორგანოს მიმართულება მთელი პარტიის მიმართულებათ“.

აქ შემდეგ მოსმენილ იქნა დელეგატების მოხსენებები ადგილებიდან და ყრილობა გადავიდა მეხუთე, პარტიის საორგანიზაციო წესდების საკითხზე.

საორგანიზაციო წესდების გარჩევა-მიღებამ მეტად მწვავე კამათი გამოიწვია. ამან აშკარად დააჯახა ერთმანეთს ყრილობის დელეგატები.

აქ, წესდების განხილვის დროს, პარტიის ორგანიზაციულ საკითხებში, ყრილობაზე წარმოდგენილ ჯგუფებს შორის არსებულმა სხვადასხვა პოლიტიკურმა და ტაქტიკურმა შეხედულებებმა ყველაზე მეტად იჩინა თავი, რამაც ყრილობა ორ ნაწილად გაყო: ერთის მეთაური იყო **ლენინი და ბოგდანოვი**, მეორისი—**მარტოვი, აქსელროდი და მარტინოვი**; პლეხანოვი იზიარებდა პირველი ჯგუფის ხაზს.

მიუხედავათ ამ დავისა, შეხლა-შემოხლისა და უთანხმოებისა, ყრილობამ თავისი დიდი უმეტესობით მიიღო **ლენინის** მიერ წამოყენებული მუხლი **საორგანიზაციო წესდებისა**, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ **ცენტრს**, ყრილობის მიერ არჩეულ ამ უმაღლეს ორგანოს, **ეცალა**, უნდა დაქვემდებარებოდა ყველა მის ქვევით მდგომი ორგანიზაციები მტკიცე დისციპლინით, რომ **ცენტრის** დაუკითხავად, ცენტრის სურვილისა და ნებართვის გარეშე არც ერთ ცალკე ორგანიზაციას სეპარატიულად, პარტიის პოლიტიკა—ეკონომიკის სფეროში არაფერი არ ეკეთებია, ე. ი. პარტიის მთელი ძალა-უფლება ყოფილიყო ცენტრის ხელში და ამით საზღვარი დასდებოდა ცალკე პარტიის წევრებისა თუ თვით ორგანიზაციების დამოუკიდებელ, რევოლიუციონურ მოძრაობისათვის უსარგებლო, ხშირად ვნების მომყენებელ ევოლიუციონურ თუ „რევოლიუციონურ“ ქანაობა-ხეტიალს. ე. ი. ბოლო მოღებოდა ჯგუფებისა თუ ორგანიზაციებისაგან პარტიის მრეველელ **დეცენტრალისტურ** სეპარატიულ პოლიტიკა-საქმიანობას

*) ესარგებლობ 1903 წელს გამოცემული ორალეგალური ბროშურით—„ცნობა რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის II-რე მორიგ ყრილობის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მის ნაცვლად ფოლადის საფუძველი ჩაჰყრიდა რევოლიუციონერ-ორგანიზაციულ მუშაობის გამაერთიანებელ **ცენტრალიზმს**.

ყრილობის მიერ მიღებული პარტიის საორგანიზაციო წესდების ეს მუხლი საკალდებულო იყო მარტოვ-აქსელროდის და მარტინოვის ჯგუფისთვისაც.

აქ ყრილობის ნებას პარტიული დისციპლინის წესით უნდა დამორჩილებოდენ ისინიც...

აქედან წარმოიშვა **მეუმრავლესე** და **მეუმცირესე**, ანუ როგორც **ბოლოს მიიღო სახელწოდება—„ბოლშევიკები“ და „მენშევიკები“** *).

საჭიროა აქვე აღინიშნოს შემდეგი:

ეს უთანხმოება და ბრძოლა ყრილობაზე გაგრძელება იყო იმისა, რაც ხდებოდა „ისკრა“-ს და „რაბოჩეე დელო“-ს შორის ყრილობამდე.

8899

როგორც ზეგით გვქონდა ნათქვამი, „ისკრა“-ს სულის ჩამდგმელი, „ისკრა“-ს პოლიტიკური და იდეური ხელმძღვანელი იყო **ლენინი**... ამ ყრილობის მოწვევის ინიციატივა ეკუთვნოდა „ისკრა“-ს. ყრილობის დელეგატების დიდი უმეტესობა იზიარებდა „ისკრა“-ს პოლიტიკურ პლატფორმას.

ყრილობაზე, წესდების გარჩევის დროს ორგანიზაციულ საკითხებში დაუპირდაპირდა ერთმანეთს „ისკრა“ და „რაბოჩეე დელო“,—პირველი „პოლიტიკი“, პოლიტიკო-ეკონომიკის საფუძველზე დაყრდნობილი, გადამჭრელი რევოლიუციონერი ნაბიჯების მომხრე, უკანასკნელი—„ეკონომიზმი“-ს ოპორტიუნისტული, არა რევოლიუციონური სულის მატარებელი.

*) ამბ. რ. კალაძეს (იხ. მისი წერილები „რევ. მატ.“ № 1-ში „ქართულ მუშათა ჟურნალ-გაზეთის ისტორია“) და ბევრ ჩვენს ხნვა ამბანაგებს სგონიათ, ასე აქვთ გაგებული,—უთანხმოება ყრილობაზე, განხეთქილება პარტიაში, გამოიწვია პარტიის საორგანიზაციო წესდების მუხლმა: „ვინ უნდა იყოს პარტიის წევრი“. მაგრამ ეს არ არის სწორი (ფორმალურად), მისი ასე გაგება ფაქტის არა სინამდვილით გადაცემის ნაყოფია. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ **ლენინი** იქნებოდა **უმცირესობაში** დარჩენილი „მენშევიკი“, და არა **უმრავლესობის** წარმომადგენელი „ბოლშევიკი“, რადგან ყრილობის მიერ მიღებული, პარტიის საორგანიზაციო წესდების მუხლის ეს ფორმულიროვკა ეკუთვნოდა **მარტოვს**. ამ მუხლის გარშემო იყო ცხარე კამათი, უმთავრესი დავაც, მაგრამ ამის მიღებას ყრილობა არ გაუყვია შუაზე. ყრილობა გაყო ფორმალური მხრივ მეუმრავლესე მეუმცირესეთ საორგანიზაციო წესდების შემდეგ მუხლში აღძრულმა საკითხმა: **პარტიის ცენტრი და მისი ქვემდებარე ორგანიზაციების დამოკიდებულება ამ ცენტრთან, ცენტრალისტური, თუ დეცენტრალისტური პოლიტიკა პარტიისა,—ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი.** პარტიის II-ე ყრილობის ოქმები, როგორც გვეუბნება, ყრილობამ უარყო: დიდი ხნის უმეტესობით მარტოის დეცენტრალისტური უხერხემლო საჭმინობა და მიიღო მტკიცე ცენტრალისტური პოლიტიკა **ლენინის ფორმულიროვკით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის საორგანიზაციო წესდება შემუშავებული და წამოყენებული იყო გაზეთ „ისკრა“-ს სულის ჩამდგმელ ლენინის მიერ—ყრილობამ მიიღო იგი: „ისკრა“-ს და მისმა ხელმძღვანელმა› **ლენინმა** გამოხატა **უმრავლესობის** სურვილი.

ამრიგად, „ისკრა“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრებიდან ლენინი და პლეხანოვი მოექცნენ მეუმრავლესეების რიცხვში; მარტოვი, აქსელროდი და სხვები კი—მეუმცირესთა ჯგუფში დარჩენ. ამით უკანასკნელებმა ჯვარი დაუსვეს „ისკრას“, წაშალეს „ისკრა“-ს პოლიტიკური პლატფორმა, უარჰყვეს ის, რასაც მანამდე თავიანთი თანამშრომლობით გამოხატავდენ „ისკრა“-ში.

ყრილობამ შემდეგ იქონია მსჯელობა მეხუთე საკითხზე—რაიონულ ორგანიზაციების არსებობაზე.

ყრილობამ მათი არსებობა შესაძლებლად დაინახა მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის სანქციითა და დამტკიცების შემდეგ: მან აქ გაუქმებულად გამოაცხადა არსებული ყველა ცალკე ჯგუფები: „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“, „სამხრეთ მუშის ჯგუფი“, საზღვარ-გარეთელ რუსი სოციალ-დემოკრატების „კავშირი“ და „ბრძოლის ჯგუფი“.

დაბოლოს ყრილობამ მიიღო **რეზოლიუციები**:—პროფ**ესიონ**ალური ბრძოლის, დემონსტრაციების, საერთაშორისო კონგრესზე წარმომადგენლობის, მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობის, სოციალ**ისტ**რევოლიუციონერებთან და ლიბერალებთან დამოკიდებულების და **პარ**ტიულ ლიტერატურის გამოცემა-გავრცელების შესახებ. მან აქ დასასრულ მოახდინა აარჩევნები პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბეჭდვითი ცენტრალური ორგანოს სარედაქციო კოლეგიისა.

სარედაქციო კოლეგიაში მოხვდენ: ლენინი, პლეხანოვი და მარტოვი—სამი პირი, წინანდელი ხუთის ნაცვლად.

ამით დასრულდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მე-II-რე ყრილობა.

მეტი არ იქნება აქ მოვიყვანოთ ამ ყრილობაზე აარჩეულ **ცენტ**ალური **კომიტეტის** მოწოდებითი წერილი პარტიულ ამხანაგებისადმი,—ყრილობის ნაყოფიერ მუშაობისა და მისი დიდი ბნიშვნელობის შესახებ **პარ**ტიისათვის:

„ამხანაგებო! ჩვენს წინაშე დგას ახლა დიდი ამოცანა,—გავატაროთ ცხოვრებაში ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულია მეორე ყრილობის მიერ და გადავაქციოთ ჩვენი პარტია სწორედ იმათ, რადაც იგი უნდა გამხდარიყო ყრილობის აზრით.—პრინციპიალურად მტკიცე, ორგანიზაციულად შეკავშირებულ კოლექტიურ ძალად, რომელიც შესძლებს ხელმძღვანელობა გაუწიოს კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარ მოვლენებს მთელ რუსეთში და წარმართოს ის გადამჭრელ ბრძოლისაკენ,—ყველა ხალხებისა და შრომის ყოველგვარ ჩაგვრა-ყველფისაგან გასანთავისუფლებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამხანაგებო! ჩვენ ყველას კარგად გვესმის ამ ამოცანის გრანდიოზური სიძნელე, მაგრამ ჩვენ გვწამს მტკიცედ, რომ ის განხორციელდება და იქნება განხორციელებული.—ამის თავმდებია თვით-ცნობიერებისა და განვითარების ზრდის პროცესში მყოფი რუსეთის ის მუშათა კლასი, რომელიც სულ მეტი და მეტი ენერგიით, სულ უფრო და უფრო ფართო მასებით სდგება საბრძოლველად და ებმება სამკვდრო-სასიცოცხლო უკანასკნელ ბრძოლაში მტერს.

„ამიერიდან უნდა ბოლო მოეღოს სოციალ-დემოკრატთა შორის ჭანაობა-დაჭასულობას! მოსამზადებელი მუშაობა დასრულებულია. ერთგულად საქმეზე!

„დეე, იქნას პარტიის ყველა წევრები შეფარებული კომიტეტებში, ჯგუფებში, წრეებში და მუშათა კავშირებში მჭიდრო რიგებათ, რომ გასწიონ წინ, ბრძოლაში, შეუპოვრად, პროლეტარიატის ყოველი ჯერის მტრებზე სრული გამარჯვების მოსაპოვებლად, როგორც ერთი კაცი.

„ძირს თვითმპყრობელობა!

„გაუმარჯოს რუსეთისა და საერთაშორისო რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას!"

XIII

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების I-ლ ყრილობაზე ქალაქ მინსკში ჩაეყარა საფუძველი **პარტიას**.

მინსკის ყრილობა იქცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ჩონჩხად.

პარტიის ამ ჩონჩხს I-ელი ყრილობით ვერ შეება ხორცი.

მინსკის I-ელ ყრილობაზე, როგორც ვიცით, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები სუსტად იყო წარმოდგენილი, პარტიული და საორგანიზაციო პროგრამა-წესდებაც კი არ იყო აქ გამომუშავებული და მიღებული; ყრილობის მიერ არჩეულ კომიტეტსაც აგრეთვე „ხიფათი" შეემთხვა: ჟანდარმერიას ხელში ჩაუვარდა კომიტეტის წევრები — ყრილობის დაშლისთანავე დაპატიმრებულ იქნენ, რითაც ახლად ჩასახულ პარტიას წაერთვა მეთაური და ხელმძღვანელი; პარტიამ ვერარ შესძლო თავის ამოცანების შესრულება, რევოლიუციონური შემოქმედების სათანადოთ განვითარება.

სამაგიეროდ **ბრიუსელ-ლონდონის** მე-II-რე პარტიული ყრილობა შეიქნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნამდვილ დამფუძნებელ კრებათ.

მე-II-რე ყრილობამ შეასხა ხორცი I-ლი ყრილობის პარტიულ ჩონჩხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სოციალური მდგომარეობით შედუღებულ, ერთი იდეი და პრინციპის მატარებელ პარტიაში გაერთიანებულ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მრავალ სხვადასხვა ჯგუფებისა და მისი ორგანიზაციების რევოლიუციონურ საქმიანობას ეხლა ორგანიზაციული, მწყობრი, ინტენსიური და სისტემატიური ხასიათი მიეცა.

პარტიული ამოცანებითა და დირექტივებით ყრილობიდან დაბრუნებულმა დელეგატებმა გააჩაღეს მუშაობა პარტიულ ორგანიზაციებში.

შეუჩერებელი გაფიცვები, პოლიტიკური გამოსვლები და დემონსტრაციები ქუჩებში ეხლა უკვე ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულიყო.

ბაქოს, ბათომისა და ტფილისის პროლეტარიატი აღარ ისვენებდა, აღარ მშვიდდებოდა; ამ სამრეწველო ქალაქების მებრძოლი პროლეტარიატი დაწყებული რევოლიუციონურ დუღილს ინვითარებდა, აღრმავებდა. ამობოკრებული მრავალრიცხოვანი მუშათა კლასი არ წყნარდებოდა.

აქ, ამ რევოლიუციონურ, დუღილში ათასობით და ათი ათასობით იყო ჩაბმული სამრეწველო პროლეტარიატი.

ბაქოში ამ წელს სხვა გაფიცვა-გამოსვლებთან ერთად ჩატარდა მეტად დიდი, ღირს-შესანიშნავი **საპირველმაისო** მუშათა დემონსტრაცია, რომლის მონაწილეთა რიცხვი აღემატებოდა 10.000 კაცს; დემონსტრანტებმა ააფრიალეს რამდენიმე წითელი დროშა. ამავე წელს ჩატარდა ასევე დიდი დემონსტრაცია ბათომშიც წინა წლის მედგარი გამოსვლის აღსანიშნავად. დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა 3000-მდე მუშა. ამგვარივე დიდ დემონსტრაციას ჰქონდა ადგილი ავრეთვე ტფილისშიაც ამ ხანებში, რომელშიაც მონაწილეობდა 6000-მდე კაცი.

1903 წლის მეორე ნახევრიდან რევოლიუციონური მოძრაობა შეიჭრა ამიერ-კავკასიასა და საქართველოს ყველა ქალაქებსა და სოფლების მივარდნილ კუნჭულებში.

განჯა, ერევანი და სოღნაღ-თელავი, რომლებიც მანამდე სდუმდენ, საიდანაც რევოლიუციონური საქმიანობის შესახებ არა მოსმოდა რა, ეხლა მოძრაობაში მოსულიყვნენ: გადაედგათ რევოლიუციონური ნაბიჯები, ახმაურებულიყვნენ.

XIV.

1904 წლის დასაწყისიდან, იანვარში, რუსეთის თვითმპყრობელმა მთავრობამ ომი გამოუცხადა იაპონიას.

შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის წინააღმდეგ დაწყებულ იმპერიალისტურ ომის საწარმოებლად მთავრობა შეუდგა ჯარისკაცების მოკრებას,—მობილიზაციას. მობილიზაციას ახდენდნენ სათადარიგო ჯარის-კაცებისას, კრებდენ ავრეთვე ახლად გასაწვევ ახალგაზრდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სახელმწიფოს სიმდიდრე მიდიოდა მშრომელი ხალხის საზარალოდ ამ ომის სამსხვერპლოზე.

...რომ ამ ომს „ხალხური“ ხასიათი მისცემოდა, რომ ხალხში იგი „პოპულიარული“ გამხდარიყო, მთავრობის აგენტები ცდილობდნენ მოეწყოთ ომის სასარგებლო მანიფესტაციები. უმეტესად ამ მანიფესტაციებს აწყობდენ სკოლის მოწაფეებში, სკოლის ხელმძღვანელ ერთგულ რეაქციონერ მასწავლებლების დახმარება-ხელის შეწყობით.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ, მშრომელი ხალხისადმი ენერგიის მიმყენებელ ამ ომისადმი თავიდანვე დაიჭირა **დამარცხების მომხრეების** („პორაჟენცული“) პოზიცია. ის შეეცადა ეს ომი გამოეყენებია სააგიტაციოთ მთავრობის წინააღმდეგ, გადაექცია იგი მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ ხალხის რისხვად.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბეჭდვითი ცენტრალურ ორგანოს, „ისკრა“-ს რედაქციამ, დაწყებულ რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ გამოუშვა სპეციალური ბროშურა ამ სათაურით: „ვინ უნდა გაიმარჯვოს?“ ბროშურა არჩევს რუსეთის დამარცხება-გამარჯვების მნიშვნელობას. მშრომელი ხალხისათვის ამ ომში და დასაკვნის: გამარჯვების შედეგით წათამამებული თვითმპყრობელობა უფრო ადვილად შესძლებს რევოლიუციონური მოძრაობის ჩახრჩობას, ბრძოლაში ჩაბმულ გათვითცნობიერებულ მუშათა კლასისათვის ყელში თოკის წაკერას; მშრომელი ხალხის ყოველმხრივ შევიწროებას, დაბადებულ, უკეთესი მომავლის იდეების გაუფურჩქნავად, გულში ჩაკვლას. დამარცხების შედეგით კი, ფართო მშრომელ მასებში გაიზრდება ერთი-ორად უკმაყოფილება და სიძულვილი მთავრობისა და მისი ჯალათების წინააღმდეგ, რევოლიუციონური მოძრაობისათვის უფრო ხელსაყრელი ეკონომიური და პოლიტიკური ნიადაგი შეიქმნება, რევოლიუციონური მოძრაობა უფრო გაიზრდება, გაღრმავდება, თვითმპყრობელობაზე ბრძოლა უფრო უტეხი, ენერგიული, ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისტემატიურად ათავსებდა წერილებს ომის წინააღმდეგ. ბეჭდავდა და ავრცელებდა აგრეთვე მოწოდება-პროკლამაციებს და ამით ქმნიდა ხალხში ომის საწინააღმდეგო სულიერ განწყობილებას.

ბაქოში, განჯაში, ტფილისში, ბაათუმში, გურიაში, ჭიათურაში, ფოთში, გორში და სხვაგან სოფლად,—საქართველოს მრავალ კუთხეებში, ომის საწინააღმდეგო მანიფესტაციები ყოველდღიურ მოვლენად გადაქცეულიყო *).

მანიფესტაციები უფრო ხშირი და საგრძნობი იყო განსაკუთრებით მოწაფეთა შორის, რომლის ცენტრად ჯერ კიდევ ისევ ქუთაისი ითვლებოდა.

XV

ამ წლის გაზაფხულზე, აპრილის პირველ რიცხვებში საზღვარ-გარეთ (პარიზში) შესდგა საქართველოდან გარდახვეწილ საფრანგეთ-შვეიცარიის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტების კრება „—კონფერენცია“ **).

„კონფერენციაზე“ წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებები: ანარქისტები, ნაციონალ-„სოციალისტები“, მაქსიმალისტები ***) და სოციალ-დემოკრატები, —სულ 21 კაცი.

როგორც კამათიდან გამოირკვა, „კონფერენციის“ წევრების უმეტესობა მოწვეული ყოფილიყო ნაციონალ-„სოციალისტურ“ გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ინიციატივით (პარიზში გამოდიოდა 1904 წელს).

ამ სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელ „კონფერენციის“ წევრთა უმეტესობის მიზანი იყო საქართველოს ერთიანი ეროვნულ-სეპარატიულ-„სოციალისტური“ პარტიის დაარსება.

*) იხილეთ ცნობები, კორესპონდენციები 1904 წლის ორალეგალურ გაზეთ „პროლეტარიატს ბრძოლა“-ში (ქართული) №№ 6, 7, 8, 9, 10, 11 და სხ. ჩვენი ფურნალის საარქივო განყოფილებაში გადმობეჭდილი.

**) რამდენიმე სხდომა შეიწირა იმან, რომ გამოერკვიათ—კონგრესი იყო, კონფერენცია თუ კრება ესწ მანდატი ორავის არ ჰქონია, ორავინ ორავის არ წარმოადგენდა, დელეგატად ორავინ არ ითვლებოდა. დიდი დავის შემდეგ ეს თავ-ყრილობა გამოცხადდა „კონფერენციად“, გამოტანილ დადგენილებისაებრ.

***) „კონფერენციის“ ოქმების გამომცემელი შენიშნავს, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ „სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლიუციონერები და ორა ერთი ნაციონალისტი“. კამათიდან, ორატორების ლიპარაკიდან („კონფერენციის“ ოქმებში ეკითხულობთ მას) ჩვენ ვარწმუნდებით, რომ „კონფერენციის“ წევრების დიდი უმეტესობა წმინდა წესის ქართველი ანარქისტ-ნაციონალისტები იყვნენ. მცირე ნაწილს შეადგენდენ სოციალ-დემოკრატები და მაქსიმალისტები; პირველი **დევიანის** (ნოე ჟორდანია) მთავარობით, უკანასკნელი **ხაბუელის** (ირჩილ ჯორჯაძე) მეთაურობით გაზეთ „საქართველოს“ რედაქციიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა დაინახეს სოციალ-დემოკრატიებმა „კონფერენციის“ ასეთი წარმისწრაფება, როცა დარწმუნდნენ ისინი, რომ „კონფერენციის“ მოწვევის ინიციატორი ნაციონალ-„სოციალისტური“ გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია იყო და აქ ისინი ამავე დროს მეორე რიცხვს წარმოადგენდენ, მათ ძაშინვე დასტოვეს „კონფერენცია“ ნოე ჟორდანიას (დეკინი) მეთაურობით, წარადგენეს რა შემდეგ წერილობითი განცხადება, რომელიც ხსნიდა „კონფერენციის“ დატოვების მიზეზს. სოციალ-დემოკრატი იყო სულ ? კაცი.

შემდეგ „კონფერენციის“ დარჩენილი წევრები: ნაციონალ-„სოციალისტები“ და ანარქისტ-მაქსიმალისტები მაქსიმალისტების ლიდერ არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით და გავლენით შეთანხმდენ, გაერთიანდნენ ერის ნაციონალურ საფუძველზე გამოკვეთილ პარტიაში, რომელსაც დაერქვა სახელად **„სოციალისტ-ფედერალისტების“ პარტია** *).

აქედან წარმოიშვა **სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლიუციო პარტია.**

ასეთია ის დასაყრდნობი პოძი, რომელზედაც აეგო სოციალისტ-ფედერალისტების პარტია საქართველოში.

ჩვენ ვიცით რევოლიუციონურ-სოციალისტური **პარტია იქმნება** ერთი ეკონომიური მდგომარეობის, ერთი პოლიტიკური მიმართულების, ერთი იდეისა და პრინციპების მქონე, ერთი მიზნით გამსჭვალულ მებრძოლ ადამიანების ჯგუფისაგან.

აქ კი, **სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის შესაქმნელად** ეს ელემენტები არ მოიპოვებოდა: 'სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის დაარსების დროს ეს არ მომხდარა.

„კონფერენციაზე“ თავმოყრილ ანარქისტებს, ნაციონალისტებს და მაქსისალისტებს იდეურად, პრინციპიალურად და პოლიტიკურად არაფერი არ აერთებდა.

მათ აერთებდა მხოლოდ გარდმოხვეწით გაცხოველებული ერთი **ქართველურ-პატრიოტული გრძნობა**, მაგრამ **ეს** გრძნობა სრულებით არ არის საკმარისი პარტიის **შესაქმნელად**, პირიქით, ასეთი ელემენტის ჩარევა **ცივი გონებით** შექმნილ **პოლიტიკურ პარტიაში**, ენების მიმყენებელიც არის პარტიის პოლიტიკის საქმიანობისათვის.

აქ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის შექმნაში, ჩვენის შეხედულობით, ითამაშა როლი მონათესავე პატრიოტულ-სპერატისტულმა ქართველურმა გრძნობებმა, რამაც **დაფარა** „კონფერენციის“

---

*) როცა ეს სტრიქონები იწერება (1923 წლის ბოლო) სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის საუკეთესო ნაწილი თავიანთი ტუშურ-გლეხური შემადგენლებით, მის მემარცხენე ფრთაში ჯამოსატული, სრულებით გაუქმებულად აცხადებს ამ პარტიის და შედის მთლიანად კომპარტიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრებში არსებული სხვადასხვა იდეური, პოლიტიკური და პრინციპიალური შეხედულება—მრწამსი.

„კონფერენციას“ არ გამოუმუშავებია პარტიის პროგრამა, პარტიის საორგანიზაციო წესდება.

„კონფერენციამ“ მიიღო ზოგადი რეზოლიუციები ნაციონალურ საკითხის, გლეხთა საკითხის, მუშათა საკითხის, რუსეთში არსებულ სხვადასხვა პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ და სხვ.

რეზოლიუციებში გატარებული აზრ-დებულებებიდან ბევრი ადგილები ამოღებულია სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლიუციონერების პროგრამიდან, რასაც კამათის დროს „კონფერენციის“ წევრები თათონ აღიარებდნენ და აღნიშნავდენ.

ამიტომ მიღებული რეზოლიუციების შინაარსი სოციალისტურ პრინციპებს ატარებდენ თავისი ზოგადი ხასიათით.

XVI

1904 წ. არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი ქალაქი და კუთხე, სადაც არ ედგესასწაულათ შრომის დიდებული დღე—პირველი მაისი.

1904 წლის მეორე ნახევრიდან ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ყველა მივარდნილი, განაპირა კუთხეებიც კი (სოფელი თუ ქალაქი) უკვე დაქსელული იყო სოც. დემ. პარტიის კომიტეტ-კოლექტივებით. ზევით მოხსენებულ ქალაქებსა და სოფლებს გარდა, კომიტეტ-კოლექტივები მოწყობილი იყო, -ონში, ფოთში, სამტრედიაში, ხონში, ხიდისთავში (გურია), ხოხატაურში, ლანჩხუთში, ერკეთში, თელავ—სიღნაღში, განჯაში, ერევანში და ალექსანდროპოლში.

ამ ხანებში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დაუნათესავდა ოსმალეთისა და ბულგარეთიდან გადმონერგილი ნციონალ—„სოციალისტური“ პარტია „ჰინჩაკისტები“-სა ქალაქ ერევანში. ამ პარტიამ, გაძლიერებულ მუშათა რავოლიუციონურ მოძრაობის ზეგავლენით თანდათან იწყო სოციალ-დემოკრატიული პრინციპების აღიარება*).

ჰინჩაკისტებმა პარტიულ მოვალეობათა გაიხადეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ გამოცემული არალეგალური ლიტერატურის გავრცელება სომხეთში. ისინი ერევანში ეჯიბრებოდენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მიერ გამოცემულ პრაკლამაცია-მოწოდებების გავრცელებაში**).

1904 წლის ბოლო ხანებში რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის მაღალ ფენებში, პარტიის ლიდერ-ხელმძღვანელებს შორის, დამოკიდებულება გამწვავდა.

*) როგორც ვიცით, ეს პარტია შემდეგ სრულებით გაქრა, შეერიდა ოსოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მოლიანად.

**) იხ. არალეგალური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ № 12—13 1904 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის მე-II-რე ყრილობაზე საორგანიზაციო საკითხებით გამოწვეულმა უთანხმოებამ, რომელიც ყრილობაზე დელეგატთა უმრავლესობის მიერ გამოთქმულ სურვილისამებრ თითქო წაიშალა, კვლავ იჩინა თავი ცენტრალურ კომიტეტისა და ცენტრალურ ბეჭდვითი ორგანოს სარედაქციო კოლეგიის წევრებს შორის.

პირველ ხანებში, ყრილობის დასრულების შემდეგ პერიოდში, ეს უთანხმოება არ გასცილებია სარედაქციო კოლეგიას.

. . . დავას იწვევდა ის, რომ სარედაქციო კოლეგიაში არ შედიოდენ აქსელროდი, ვერა ზასულიჩი და სტაროვერი.

როგორც ზევით გვქონდა მოხსენებული, სარედაქციო კოლეგიის წევრებათ ყრილობის მიერ გამოყოფილი იყო 3 კაცი:—ლენინი, პლეხანოვი და მარტოვი.

ეს პირები საკმაო იყო რედაქციისათვის. როგორც იდეური ხელმძღვანელობის, ის პრაქტიკული მუშაობის მხრივაც—ეს ერთი; მეორედ, რედაქციას და თვით ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის უმაღლეს ორგანოს, ყრილობის დადგენილება-გადაწყვეტილებისამებრ არ ჰქონდა უფლება გაეფართოებინა ეს შემადგენლობა. ყრილობის ამ გადაწყვეტილებათა დარღვევას სარედაქციო კოლეგიისა დი ეც�es წევრი ლენინი სთვლიდა პარტიის დისციპლინის დარღვევათ, პარტიის ნება-სურვილის პიროვნებათა მიერ ამბუჩად აგდებად და და ეარყოფად.

სარედაქციო კოლეგიის წევრი მარტოვი თავიდანვე, სარედაქციო მუშაობის დაწყებისთანავე იზიარებდა აზრს, რომ ყრილობის გადაწყვეტილების დარღვევა რედაქციის გაფართოებით აქსელროდისა, ვერა ზასულიჩისა და სტაროვერის შემოყვანით შეიძლებოდა.

მარტოვი ამიტომ იცავდა რედაქციისადმი წამოყენებულ „მოთხოვნილებას“ და ამოუდგა კიდეც მთლიანად გვერდში რედაქციის გარეშე ‹ალჩენილ „სარედაქტორო“ პირთ—აქსელროდს, ვერა ზასულიჩს და სტაროვერს.

მესამე წევრი სარედაქციო კოლეგიისა—პლეხანოვი, ეთანხმებოდა პრინციპიალურად ლენინს, არ იზიარებდა თუმცა მარტოვის მიერ დაჭერილ „პოზიციას“ ამ საკითხში, მაგრამ მაინც განაგრძობდა მერყეობას. „უსიამოვნება“ რომ თავიდან აეშორებია, პლეხანოვს შესაძლებლათ მიაჩნდა იმათი (აქსელროდისა, ვერა ზასულიჩისა და სტაროვერის) სარედაქციო კოლეგიაში შემოყვანა.

ლენინი გადაჭრით წინააღუდგა პლეხანოვის ამ მერყევ „პოზიციას“ ხსენებულ საკითხში.

აქ. შექმნილ მდგომარეობის უფრო ნათლად წარმოდგენისათვის მეტი არ იქნება მოვიყვანოთ ერთი „ეპიზოდი“ ამ დავიდან, რომელსაც გადმოგვცემს კობა—სტალინი 1905 წელს **კავშირის კომიტე-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის მიერ არალეგალურად გამოცემულ თავის ბროშიურაში ამ **ბა**
თაურით: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“.

„აი, რასა სწერს ლენინი ამის შესახებ:

...ერთხელ მე და პარტიულ საბჭოს ერთი წევრი პლეხანოვთან შეველდთ ჩვენმა ლაპარაკმა ასეთი ხასიათი მიიღო:

— იცით, არიან ისეთი ხუშტურიანი (**скандальныя**) ცოლები (ე. ი. „უმცირესობა“), რომლებსაც აუცილებლად უნდა დაუთმო ისტერიკისა და „სკანდალის“ აცილება გინდა თავიდან—მითხრა პლეხანოვმა.

— შეიძლება, ვუპასუხე მე, მარა ისე უნდა დაუთმო, რომ ძალა შეირჩინო. თორემ შეიძლება უფრო დიდი „სკანდალი“ დაგატყდეს თავზე. (იხ. Коментарии к протоколам Лиги 37 გვ.. საცა მოყვანილია ლენინის წერილი).

ლენინი და პლეხანოვი ვერ შეთანხმდენ, აქედან დაიწყო პლეხანოვის „უმცირესობისაკენ“ გადასვლა—დასაკვნის კობა—სტალინი.

როგორც ვხედავთ, სრული გათიშვა სარედაქციო კოლეგიისა აუცილებელი შეიქნა.

ლენინი გამოვიდა „ისკრას“ რედაქციიდან და დააარსა გაზეთი „ვპერიოდი“, რომელიც შეურყეველად ატარებდა ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს, ულაპარაკოდ ემორჩილებოდა მისგან მოცემულ დირექტივებს და ამით ფაქტიურად ითვლებოდა ყრილობის გამომხატველ ცენტრალურ ორგანოდ.

ეს იყო 1905 წლის დასაწყისში.

„ისკრა“-ში (ცენზურ-ების გამო წოდებულ ახალ „ისკრა“-ში) პლეხანოვი შერჩა სარედაქციო კოლეგიის წევრად მარტოვს და მის ამხანაგებს ცოტა ხნით. პლეხანოვმა აქაც გამოიჩინა თავისი მერყეევი ხასიათი, შესცვალა დამოკიდებულება სარედაქციო კოლეგიის წევრებთან, ჩამოშორდა მათაც და დააარსა საკუთარი ორგანო—„სოციალ-დემოკრატის მოამბე“ *).

ამრიგად, ლენინთან ერთად, „**დათმობის**“ მომხრე პლეხანოვიც „ისკრა“-ს რედაქციის გარედ მოექცა.

ყრილობის მიერ ცენტრალურ ორგანოდ მიღებულ გაზეთ „ისკრას“ დაეპატრონენ ყრილობის **უმცირესობის** სურვილის გამომხატველნი—აქსელროდი, ვერა ზასულიჩი და სტაროვერი მარტოვის მეთაურობით.

ყრილობის **უმრავლესობის** მეშვიდეთი ორგანო „ისკრა“ იქცა ყრილობის **უმცირესობის** ფაქტიურ ორგანოდ.

---

*) ეგზარქეტი კობა—სტალინს. იხ. მისი ხელმოწერილი ბროშურა „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ 1905 წ. გამოცემული არალეგალურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო შედეგი პლეხანოვის ორეფოფული სულისა.

. . . და ისტორიამ არც დააყოვნა ამის გამოაშკარავება. მან სულ ახლო ხანში გამოიტანა განაჩენი ლენინისა და პლეხანოვის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

ლენინმა გაიმარჯვა მორალურად, იგი გამართლდა...

პლეხანოვი ჩამოშორებულ იქნა რედაქციას, იგი დაისაჯა...

ყრილობის ამოცანები მიიჩქმალა. პარტიის შემოქმედებითი რევოლიუციონერი მუშაობის პერსპექტივები ბურუსში გაეხვია; პარტიული დისციპლინა დაირღვა.

მთელი პასუხისმგებლობა აკ ისტორიამ თავს მოახვია პლეხანოვს, ყრილობის **უმრავლესობის** გამომხატველ **პლეხანოვს**.

ყრილობაზე შენიშნული უთანხმოება ახლა უკვე გახდა აშკარა განხეთქილებად.

პარტიის ზედა ფენებიდან იგი გადავიდა პარტიის ქვედა ფენებში და „პოპულიარული" გახდა სადავო საგანი, „მეუმრავლესიებისა" (ბოლშევიკები) და „მეუმცირესების" (მენშევიკები) მიერ დაჭერილი პოზიცია ამ **სადავო საკითხებში**.

. . . ახლა, ამა თუ იმ ორგანიზაციებში, პარტიულ დადებითი მუშაობის ნაცვლად ლაპარაკი სწარმოებს, მსჯელობა და შეხლა-შემოხლა არის იმახე.—აბა ვინ **ბოლშევიკი** არის, ვინ **მენშევიკი** და რატომ.

პარტიის გათიშვიდანვე (ორგანიზაციული მუშაობა შენახული და დაცული იყო მთლიანად) ამ ფრაქციათა შორის ადგილი მიეცა სასტიკს, ერთი მეორის საწინააღმდეგოდ მიმართულ დაუნდობელ დემაგოგიას.

არა ჭქონდათ, თუ არ ემყარებოდენ რა სწორ ინფორმაციას. მენშევიკები განხეთქილებას პარტიაში აბრალებდენ **ლენინს**.

ამ ყალბმა ინფორმაციამ და ამაზე აშენებულმა დემაგოგიამ ყველაზე მეტი მახინჯი სახე მიიღო საქართველოში...

. . . საქართველოში,—ბოლშევიკურ პლატფორმაზე მდგომ, ბოლშევიკური სულის მატარებელ ორგანიზაციებში, ბოლშევიზმით გაჟღენთილ, ბოლშევიკური ბრძოლის მეთოდზე აღზრდილ მუშათა ჰოწინავე მასებში დაისადგურა არარევოლიუციონერმა, ოპორტიუნიზმის მოციქულმა მენშევიზმმა, მოხდა „საარაკო საქმე": ბოლშევიზმი **შესცვალა** მენშევიზმმა.

რატომ მოხდა ეს?

სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი?

რით შეიძლება მისი ახსნა?—

ამის შესახებ რევოლიუციის ძველი პიონერი, ბოლშევიზმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეოლოგი საქართველოში,—**ფ. მახარაძე** გაზეთ „კომუნისტის“ *) ფურცლებზე მოთავსულ წერილებში „**მენშევიკური პარტიის რღვევის**“ სათაურით, სხვათა შორის, აღნიშნავდა, რომ მენშევიკების გაბატონება აქ სოციალ-დემოკრატიულ „მუშათა პარტიაში, სადაც პარტიულ ორგანიზაციების საფუძველის ჩამყრელებათ ძველი რევოლიუციონერი ბოლშევიკი მუშები ითვლებოდენ, იყო სრულებით მოულოდნელი და შემთხვევითი ზეგავლენის შედეგიო.

ამ აზრს არ დაეთანხმა ერთი ახალგაზრდა, ნორჩი კომუნისტი და გაზეთ „კომუნისტის“ ფურცელზე ფ. მახარაძის შეხედულებების დასარღვევად „აალაპარაკა“ მარქსიზმი, „მოიყვანა“ **ისტორიის მატერიალისტურად გაგების** თეორიები, „დაიმოწმა“ მარქსი და მისი მატერიალისტური ფილოსოფია. იგი შენიშნავდა—მენშევიკების გაბატონების ასეთი ახსნა არ არის სწორიო, რომ ამის მიზეზი „შემთხვევა“ კი არა, ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების გარდაუვალი ისტორიული აუცილებლობის კანონებიაო, რომ საქართველოში, როგორც ეკონომიურად ჩამორჩენილ, წარმოება განუვითარებელ წვრილ-ბურჟუაზიულ ქვეყანაში ბოლშევიზმს, პროლეტარული ბრძოლის ამ იდეოლოგიას არც უნდა ჰქონებოდა ადგილიო, რომ აქ მარქსიზმის მოძღვრებისამებრ სწორედ მენშევიკები,—ეს წვრილი ბურჟუაზიული პარტია უნდა გაბატონებულიყოვო და სხვ.

მოვლენების ასე ახსნა, საგნების ასე განჭვრეტა არის **საერთოდ** მართალი, **საერთოდ** მარქსისტული, მაგრამ ახსნის და· გაგების ამ მეთოდის შაბლონად გადაქცევა არაა მართალი და მარქსისტული. როცა რაიმე მოვლენას ვარჩევთ, უნდა ავიღოთ ეს მოვლენა ისე, როგორც ის **სინამდვილეში** არსებობს, უნდა გამოვნახოთ მისი მიზეზები, რომლებიც ჩამარხულია სინამდვილეში და არა **განყენებულ** დებულებებში. მაგალ., მარქსიზმის მთავარი დებულებაა, რომ ხდება კაპიტალის ცენტრალიზაცია და კონცენტრაცია, როგორც ქალაქად, ისე სოფლადაც. ეს დებულება სწორი და მართალია **საერთოდ**, მაგრამ მიუხედავათ ამ სწორი მარქსისტული დებულებისა, შეიძლება რომელიმე ქვეყანაში განსაზღვრულ ხანაში ადგილი ჰქონდეს არაკონცენტრაციას, არამედ დეცენტრალიზაციას. ასეთი შემთხვევები არა ერთი და ორი იცის მარქსიზმმა... და განა ასეთი მოვლენა მარქსიზმის, ან ზემოდ დასახელებულ დებულებების საწინააღმდეგო იქნება? სრულიადაც არა. ეს საწინააღმდეგო იქნება მხოლოდ მაშინ, თუ დებულებას შაბლონად მივიღებთ. მაგრ ამ ჩვენთვის, როგორც მარქსისტებისათვის, შაბლონი მიუღებელი უნდა იყოს. „მენშევნის“ ახალგაზრდა ავტორი კი ასეთ შაბლონს ღებულობს და მარქსიზმად

*) იხ. 1923 წ. გაზ. „კომუნისტის“-ს აგვისტოს 2-ის ნომერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაღებს. თუ მის აზრს გავყვებით, გამოვა, რომ რუსეთში კი უნდა არსებობდეს ძლიერი კომუნისტური პარტია, (ვინაიდან რუსეთი უმთავრესად წვრილ-ბურჟუაზიული და გლეხური ქვეყანაა), არამედ ინგლისში, ამერიკაში და სხვა უაღრესად განვითარებულ სამრეწველო ქვეყანაში (ვინაიდან კომუნიზმი პროლეტარიატის იდეოლოგიაა და ამიტომ ის უნდა იყოს ძლიერი იქ, სადაც არსებობს მრავალრიცხოვანი სამრეწველო პროლეტარიატი). სინამდვილეში კი ჩვენ ვხედავთ სულ წინააღმდეგს:

ჩამორჩენილ რუსეთში ძლიერი კომუნისტური პარტიაა, ხოლო მრეწველობის მხრივ დიდათ განვითარებულ ინგლისში და ამერიკაში—ძალიან სუსტი; სამაგიეროდ, გაბატონებული არიან იქ სწორედ მენშევიკური, ოპორტიუნისტული პარტიები. „შენიშვნის“ ახალკაზრდა ავტორის შაბლონური მარქსიზმი შეიძლება ამას ვერ ურიგდება? მაგრამ აქ ხომ ჩვენ ბრალი არ გვიდევს. ნამდვილ მარქსიზმს კი, როგორც ჭეშმარიტ მეცნიერებას და არა შაბლონს, ეს სრულიად „სამართლიანად“ და „კანონიერად“ მიაჩნია.

ამბ. ფილიპე მახარაძესაც სწორედ ასეთი მდგომარეობა აქვს სახეში მიღებული. მან საქმიანობის პროცესში, პრაქტიკულად თითონვე გაიარა ბრძოლის ეს გრძელი, ეკლიანი გზები და საფეხურები და იცის **რა მდგომარეობამ, რა პირობებმა, რა მოვლენებმა როგორ და რა წარმოშვეს**.

ჩვენ აქ მოკლედ მოვუთხრობთ მკითხველებს მენშევიზმის გადმონერგვა—გაბატონების ისტორიას საქართველოში და ამით, სხვათა შორის, დავინახავთ იმასაც, იყო თუ არა მართალი თავის გამოთქმულ შეხედულებაში მენშევიზმის საქართველოში გაბატონების შესახებ, საქართველოს მეშაია კლასის ერთი მასწავლებელთაგანი ფ. მახარაძე.

XVII

ამიერ-კავკასიიდან მე-II-რე ყრილობაზე გაგზავნილ 3 დელეგატთა შორის (თოფურიძე, ზურაბოვი და კნუნიანცი) ერთი თოფურიძე დაბრუნდა „მეუმცირესეთ“, დანარჩენი ორი—ზურაბოვი*) და კნუნიანცი „მეუმრავლესეების“ გამომხატველნი იყვნენ.

ამიერ-კავკასიის **კავშირის კომიტეტი** და მის ქვეშდებარე ორგანიზაციები ტფილისისა, ბაქოსა, ბათომისა, ქუთაისისა და სხვების მთლიანად დადგენ „მეუმრავლესეების“ პოზიციაზე. თოფურიძე, როგორც „მეუმცირესე“, დარჩა გარიყული. ყრილობის შესახებ ჩატარებულ მოხსენების შემდეგ აქ არავინ იზიარებდა „მეუმცირესეების“ პოზიციას, თუ იზიარებდა გულით ვინმე, მას, ყოველ შემ-

*) შემდეგ ხანაში ზურაბოვიც მიემხრო „მეუმცირესეებს“ სხვებთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევაში, აშკარად არავინ არ აცხადებდა. პარტიის აქტიური მუშაკები, როგორიც იყვნენ ნოე ხომერიკი, ნოე რამიშვილი და მრავალი სხვებიც, ითვლებოდნენ „მეუმრავლესეებათ".

საქართველოს ნორჩი პროლეტარიატი და გაღატაკებული, ნახევრად გაპროლეტარებული რევოლიუციონური „ბლეხ-კაცობა „მეუმრავლესეების" ამ პოზიციას და პოლიტიკურ პლატფორმას ეთანხმებოდენ ობიექტიურადაც.

მაშ, ვინ გადმონერგა მენშევიზმი და როგორ გაძლიერდენ „მეუმცირესეები" მომბრეკი ჩვენში?

პარტიის ამ მე-11 ყრილობას ლონდონში დასწრებოდა იმ დროს საზღვარ-გარეთ მყოფი **ნოე ჟორდანიაც** შემთხვევით.

ყრილობაზე, ნოე ჟორდანიას გაეზიარებია „მეუმცირესეების" მიერ დაჭერილი პოზიცია.

მეუმცირესეების „მსოფლ-მხედველობითი" დატვირთული ნოე ჟორდანია საზღვარ-გარეთიდან ჩქარა (1905 წელს) საქართველოში დაბრუნდა და რა ნახა, რომ აქ ორგანიზაციები ყველა **მეუმრავლესეების** პოზიციაზე იდგა, იწყო აგიტატია-პროპაგანდა პარტიის ზედა ფენებში მენშევიზმის გასავრცელებლად.

როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, ნოე ჟორდანიას, როგორც ეურნალ „კვალის" რედაქტორს და ერა-მახვილ პუბლიცისტს თავიდანვე ჰქონდა მოხვეჭილი საგრძნობი ავტორიტეტი მასაში და ახლენდა გავლენას თავის ახლო მდგომ ამხანაგებზე.

ახლაც, ამ ავტორიტეტით და პირადი ზეგავლენით მან პირველ ხანებში შესძლო ორგანიზაციების ხელმძღვანელ, პარტიის ავტორიტეტულ ზოგიერთი პირების მიმხრობა, როგორიც იყვნენ— სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ხომერიკი, ნოე რამიშვილი, ს. ჯუღელი, არჩილ ჯაფარიძე და სხვები.

ამ პირების შემწეობით ნოე ჟორდანიამ შემდეგ მოახერხა სრულებით ჩაეგდო ხელში პარტორგანიზაციები. მან მენშევიზმი ვერ გაატარა მარტო ერთ ბაქოში.

ამრიგად, **ბოლშევიკები** მოექცენ უმცირესობაში საქართველოს პარტორგანიზაციებში.

აქედან დაიწყო უსასტიკესი, დაუნდობელი ბრძოლა მენშევიკ-ბოლშევიკებს შორის საქართველოში.

ამ ბრძოლის შედეგი ჩვენ უკვე ვიცით საკართველოში—მენშევიზმი გაბატონდა, ბოლშევიზმი შესუსტდა.

ნოე ჟორდანია იყო საქართველოში ის პირი, რომელმაც საქართველოს პარტიულ რევოლიუციონურ ორგანიზაციების მთლიანობაში შეიტანა განხეთქილება-დაქუცმაცება, რომელმაც შესძლო პირადი ნდობა და ზეგავლენა გამოეყენებია და გადაექცია რევოლიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციონურ-ბოლშევიკური საქართველო არარევოლიუციონური მენშევიზმის „ოაზისად“.

თუ როგორი მარქსისტი და „რევოლიუციონერი“ იყო ნოე ჟორდანია, სჩანს მისი მოწინავე წერილიდან ჟურნალ „ქვალში“ (1901 წელს—№ 3), სადაც ათავსებს რა პირველ გვერდზე ინგლისის გარდაცვალებულ დედოფალის **ვიქტორიას** სურათს, პირველ გვერდზედვე, თავის წერილის ბოლოში, ამბობს:

„ვიქტორიას მეფობაში ინგლისი გამძლავრდა ყოველ მხრივ ეკონომიურად, ფინანსიურად, პოლიტიკურად, სოციალურად და სხვ. ასეთ შინაგან გაძლიერებას თან მოჰყვა გარეგანი გაძლიერებაც. სივრცე ინგლისის სამფლობელოსი ერთი ორად და ერთი სამად გაფართოვდა: ამასთანავე ის გაბატონდა ხღვებზე და უძლიერესი საომარი ხომალდები შეიძინა. ერთი სიტყვით, უკანასკნელ 60 წელს ინგლისის შინაგანი და გარეგანი განვითარება უმაღლეს ეტაპამდე მივიდა.

„და აი, ვის მეფარველობის ქვეშაც ყოველივე ეს მოხდა. იგი დღეს აღარ არის! დედოფლის გარდაცვალებას ღრმად იგლოვს მთელი ინგლისი და ეს იქნება ნამდვილი გლოვა ხალხისა“...

ამას სწერდა **ნოე ჟორდანია** მაშინ, როდესაც საქართველოში ღრმავდებოდა, ფართოვდებოდა რევოლიუციონური მოძრაობა, **რო**დესაც პარტიული ორგანიზაციები მარტო ამ სარევოლიუციო საქმეს აკეთებდენ და ლაპარაკობდენ მაზე.—ეს სხვათა შორის ნ. ჟორდანიას პიროვნების დამახასიათებელია, როგორც „რევოლიუციონერისა“.

აი მოკლედ ის „პირობები“, თუ „შემთხვევები“, რომელთაც ხელი შეუწყვეს მენშევიზმის გაბატონებას საქართველოში.

ჩვენი მიზანი იყო საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული მოთხრობა და გარკვევა 1905 წლამდე.

და აი, 1905 წლამდე ჩვენ უკვე მოვაღწიეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჟდენ კალაძე

მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია

VII

ბალშევიკების საკუთარი და ბალშევიკ-მენშევიკების საერთო ორგანოები (905—6 წ. და 906—20 წ.)

I

1905 წელს მეფის ოქტომბრის „მანიფესტის“ შემდეგ ჟურნალ-გაზეთისათვის შედარებით ლეგალური პირობები დადგა, რის გამოც ბალშევიკებმაც ლეგალურ ნიადაგზე გადასვლა სინჯეს: გამოუშვეს 1906 წლის ნოემბრის 14-ს ჯერ პროფკავშირის (ხელზე მოსამსახურეების, რომელსაც „ნიკოლე ლაქია“—ნიკო დოლიძე ხელმძღვანელობდა) ორგანო, „ახალი დროება“, რომელსაც მაშინ მიხა ცხაკაია და სოსო ჯუღაშვილი რედაქტორობდა. შემდეგ „კობამ“ (ჯუღაშვილმა) გამოუშვა 1907 წ. მარტის 11-დან ყოველდღიური გაზეთი „დრო“, რომელშიაც მოთავსებულია **პირველი მუშა-პუბლიცისტის გიორგი თელიას პოლემიკური წერილები ბალშევიზმზე და ბლანკიზმზე, სახელწოდებით—„რათ გვეძახიან ბლანკისტებს“?** აქ, ამ დროს, უეცრად გამოაშუქა ქართველი მუშის შემოქმედებამ პუბლიცისტურ სარბიელზე და დუხჭირი სოციალური პირობების გამო უეცრადვე ჩაქრა.

მაგრამ ეს ფაქტი იმდენათ თვალსაჩინო და ნათელია, სამაგალითოა, რომ ჩვენ აუცილებლათ შემდეგში გვარწმუნებს: **რომ ქართველ მუშას შესაფერი პირობები ჰქონოდა, ის, ცხადია,** ქართულ ენაზე მეტად მაღალი ღირსების მწერლობას დამოუკიდებლად შექმნიდა.

ვინც გიორგი თელიას სტატიებს გაეცნობა, („დრო“ №№-ები 5, 8 და 9), ის ამაზე უსათუოდ დაგვეთანხმება.

აი სანიმუშო ადგილი და თანაც დასკვნა მისი სტატიიდან—**„რათ გვეძახიან ბლანკისტებს“?**

„. . . . როგორც ხედავთ, სწერს ხსენებულ სტატიაში გ. თელია, ბლანკი ერთმანეთში ურევს წვრილ-ბურჟუებს და მუშებს, მას არა აქვს გარკვევით წარმოდგენილი კლასთა წინააღმდეგობა კაპიტალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურ ხანაში. გარდა ამისა, მისთვის სოციალიზმის კითხვა, „სამართლიანობის", „ეშშმარიტების" და „კაცთმოყვარეობის" კითხვაა. ან მოკლედ რომ ვსთქვათ, სოციალიზმის კითხვა მისთვის ხნეობის კითხვაა და არა ისტორიული აუცილებლობისა.

ბალშევიკები კი მატერიალისტურად უყურებენ საქმეს. მათთვის, როგორც მარქსისტებისთვის, სოციალიზმი მეცნიერული მოძღვრებაა... სოციალიზმი იმიტომ კი არ არის სამართლიანი და ჭეშმარიტი, რომ ის დაბადებით ასეთია, არამედ იმიტომ, რომ ის ისტორიულად აუცილებელია..... პროლეტარიატის კლასიური ბრძოლა ეს ის ღერძია, რომლითაც ის გადაატრიალებს კაპიტალიზმის ფუძეს და სოციალიზმს დაამყარებს.

როგორც ხედავთ, მატერიალისტ-ბალშევიკებსა (მუშა გ. თელია ყველგან ასე სწერს: ბალშევიკი და არა ბოლშევიკი, როგორც ამას დღევანდელი ჩვენი ინტელიგენტი მწერლები ჩადიან რ. კ.) და იდეალისტ-ბლანკისტებს შორის აქ საერთო არა ყოფილა რა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. თელიას, როგორც კობა—ჯუღაშვილი (სტალინი) მოწმობს თავის წერილში—„ამხ. გ. თელიას ხსოვნას" (იხ. გაზ. „დროა" 1907 წლის 22 მარტის მე-10 №) სხვა ნაწერებიც ჰქონდა: 1) 1905 წლის გაზ. „ახალ ცხოვრებაში" მოთავსებული სტატია „ძველი და ახალი მკვდრები" (პასუხად არჩ. ჯორჯაძეს); 2) „ანარქიზმი და სოციალ-დემოკრატია" ბროშიურად დაწერილი, რომლის ხელნაწერი ქანდარმერიას ჩაუვარდა ხელში ჩხრეკის დროს.

გ. თელია 1907 წლის დასაწყისში შეუდგა, როგორც კობა იმავე წერილში მოწმობს, „კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაზე" წერას, რაც მას არ დასცალდა: იგი, ჭლექით დასნეულებული, მოკვდა თავის სოფელში—ჭაგანში და იქვე დასაფლავებულია 1907 წლის 8—10 მარტს.

მაგრამ, როგორც ვიცით, 905 წლის რევოლიუცია მალე დამარცხდა და როგორც რუს მუშას, ისე ქართველ მუშასაც თავისი იდეებისა და იმედების მწერლობაში გაუჭეების საშუალება სრულიად მოესპო.

„შავი რეაქციის" ხანაში საერთოდ, ცხადია, ბალშევიზმს უფრო მეტად ჰქონდა შეკრული გზები, როგორც რევოლიუციონურ მოძღვრებას, ვიდრე მენშევიზმს, როგორც ოპორტუნისტულს. მაგრამ ერთი ისტორიული გარემოება არ უნდა დავივიწყოთ, რომელიც ჩვენში მეტ სარბიელს ჰქმნიდა; ადვილად მისამალავ კუნჭულებს უტოვებდა შავი რეაქცია როგორც მენშევიკურ, ისე ბალშევიკურ მწერლობას. ეს ის გარემოება იყო, რომ ჩვენი ქვეყანა თვითმპყრობელურ პეტერბურგისათვის მეტად შორეულ პროვინციას წარმოადგენდა და მასთან ჩვენი ენა, ხნე-ჩვეულება, წრე თვითმპყრობელობის დამცველ ქანდარმერიისთვის უცნობი იყო, რის გამოც მათ გზის გაკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეკა უჭირდათ. ვინ იცის, თუ რამდენი ხარჯი დასჭირდათ მათ, ოლო 1901 და 1902 წლებში ნოე ჟორდანიას „კვალში“ მოთავსებულ წერილებს თარგმნიდენ მისი „რევოლიუციონერობის“ აღმოსაჩენად. რომ სკოდნოდათ, რომ ნოე ჟორდანია ჩვენში ოპორტიუნიზმს ჰქადაგებდა, ერთ გროშსაც არ დახარჯავდენ.

აი, ამ გარემოებით ზემოდ აღნიშნული მიზეზების გამო („ნიჰილიზმი“ და „კოსმოპოლიტიზმი“) ბალშევიკებმა არ ისარგებლეს, ხოლო მენშევიკებმა კი მარჯვედ ჩასჭიდეს მას ხელი და ქართული პრესა დიდი ენერგიით განავითარეს.

აი რა გზიდენ გამოსცეს მათ გაზ. „სხივის“ დახურვის შემდეგ 1905 წლიდან ვიდრე 1907 წლამდე.

ქ. ტფილისში: 1) „ლამპარი“, 2) „სიმართლე“, 3) „ჩვენი ცხოვრება“, 4) „გრიგალი“, 5) „გზა“, 6) „განთიადი“, 7) „ელვა“ და 8) „ტალღა“. ამ უკანასკნელი სამი გაზეთის რედაქციაში 1907 წლამდე სრული უფლებით შედიოდენ იმ დროს ამხ.ამხ. ფილიპე მახარაძე და კოპა ჯუღაშვილი—სტალინი, რომელთა მონაწილეობით ამ ორგანოებში ბალშევიზმი წითელი ზოლივით არის გავლებული.

მაგრამ, ცხადია, ასეთი არაბუნებრივი თანამეკალმეობა დიდხანს ვერ გასტანდა. მალე რეაქცია გაძლიერდა (1907 წლის დასასრულს), ბალშევიზმს უფრო სასტიკად დაუწყეს დევნა. ამასთან თვით მენშევიკებიც თანდათან „ლიკვიდატორდებოდენ“ და ბალშევიკებს ვერც ისინი იტანდენ, ამიტომ ყოველ ზომებს ხმარობდენ, ავიწროებდენ, რომ ისინი მათ ჩამოშორებოდენ. ასედაც მოხდა: ბალშევიკები (1907 წელსვე) ქართულ პრესას განშორდენ და „სარდაფებში“ მიიმალნენ.

ტფილისში მხოლოდ ამხ. ბიქტორ ნანეიშვილი დარჩა, რომელიც შეეცადა ბალშევიკური პრესა აღედგინა არალეგალურად მაინც; ქართული ძველი „ბრძოლა“ მან ოუსული „ბორბის“ სახელით გააცოცხლა!

2

მენშევიკებმა კი ერთხელ არჩეული გზა განაგრძეს: ჯერ 1908 წელს ისევ ტფილისში განაახლეს გაზეთის გამოცემა იმავე წესით, როგორც წინა წლებში და შემდეგ 1911 წელს თავისი მოქმედების ბაზა **ქ. ქუთაისში** გადაიტანეს. უნდა სიმართლე ითქვას, რომ რევრესიებს მარჯვედ უმკლავდებოდენ და არც ერთი თვე არ გაუშვიათ, რომ ორგანო ხელახლა არ აღედგინათ. ისინი უხვად სარგებლობდენ ადგილობრივი შეღავათიანი პირობებით და თავიანთი პრესით საქართველოს მუშებს ოპორტიუნიზმით დაუსჯელად სწამლავდენ. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა (დიდი მსოფლიო ომის ხანაში 1915 წელს), რომ ნოე ჟორდანიამ ორი ფელეტონი მოათავსა ქუთაისის გაზ. „აზრში“ საქარხნო-საფაბრიკო მუშათა თავდაცვის კომიტეტების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციოზე და ომის მენშევიკურ პოლიტიკაზე. იმ ხანებში ქუთაისში ფილიპეკ იმყოფებოდა, მარა, რადგან ბალშევიკური ორგანო არ იყო, ხოლო მენშევიკურში მას ადგილს არ აძლევდენ, იგი იძულებულ იყო სიჩუმე დაეცვა.

მხოლოდ მე, ახლა მეორედ მომიხდა ეგრეედ წოდებული „ლიტერატურული ეთიკის“ დარღვევა, რომ ნაციონალისტ იაკობ ცინცაძის გაზეთ „სამშობლოდან“ პასუხი გამეცა ნოე ჟორდანიასთვის მის პოლიტიკაზე. ამ მიზნით 1915 წლის ოქტომბერში გაზ. „სამშობლოში“ (იხ. №№ 180—193) მოვათავსე ოთხი ფელეტონი—„ანი და მესამე ბლოკი“ „დასელის“ ფსევდონიმით.

იქ. სხვათა შორის, ბრრითად საკითხის შესახებ შემდეგი სწერია: „. . . . პლეხანოვსაც სწორედ ის უნდა, რომ რუსეთში პოლიტიკურ მართვა-გამგეობას ბურჟუაზია ჩაუდგეს სათავეში და რუსეთის მრეწველობა უმწეერვალესად განვითარდეს, ამიტომ იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ „დუმის“ ფრაქციასაც აქეთკენ მოუწოდებს და მუშათა კლასსაც. ეს არის (მისი აზრით) რუსეთის საერთო ისტორიულ-ნაციონალური საჭიროება: განვითარების უმაღლეს საფეხურზე რუსეთის აყვანა და ეს მისია,—პლეხანოვის აზრით,—დღეს (1914—15 წ.) მუშათა კლასმა ბურჟუაზიასთან ერთად უნდა იკისროს. ისტორიულ ველელში ეს ორი კლასი ერთად უნდა შეეპას. მაგრამ ეს კი უნდა მოხდეს, რომ მუშათა კლასმა თავისი ინტერესები არ დაივიწყოს, „თავისი ფიზიონომია არ დაკარგოს“ (ეს ნ. ჟორდანიას სიტყვებია რ. კ.). ასე ფიქრობს ჩვენში ანაც (ნოე ჟორდანია) ეს ორივე (პლეხანოვი და ნოე ჟორდანია) ამ მიზნის განსახორციელებელ საშუალებას ის,, როგორც მებრძოლი ბურჟუაზიაც, მხოლოდ სამხედრო გამარჯვებაში ხედავს.

გამოდის, რომ ისტორიულ ველელში ორი მოპირდაპირე კლასი იმ პირობით ებმის, რომ თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ინტერესები არ შელახოს და საკუთარი ფიზიონომია შეინახოს. **და მერე ეს განა მოსახერხებელია?** რა ხერხით, რა თილისმით გნებავთ, რომ ეს ორი მოპირდაპირე, მოსისხლე მტერი დღეს, როცა მათი კლასობრივი თვითშეკვლება საკმაო დონზე დგას, შეაუღლოთ და ერთად აწევინოთ ისტორიული ჯაპანი?...

„მე მგონია, რომ **ამის მოსურნე და ასე მოაზროვნე ყოველგვარ პროლეტარულ გრძნობას მოკლებული უნდა იყოს! მაგრამ გრძნობებსაც რომ თავი დავანებოთ და მშრალ აზროვნებას, მსჯელობას რომ მივმართოთ, აქაც აშკარად დავინახავთ, რომ სცდებიან, სასტიკად სცდებიან „კლასთა კოალიციის“ მქადაგებელნი!**“

„რა მდგომარეობაში ვარდება პროლეტარიატი, როცა საერთო მოძრაობის მეთაურად ბურჟუაზია გამოდის, როგორც დღეს არის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, (მსოფლიო რომის დროს რ. კ.). რუსეთში? რატომ-
უნდა ვიკითხოთ, თუ რამდენათ ეთანხმება. მის ინტერესებს „ბურ-
ჟუაზიის ბრძოლის მეთოდი? აი საკითხავი დღეს, ჩემის აზრით, ეპრ-
ველესად ეს არის!

. საზოგადოებრივი ბრძოლის მეთოდი, როგორც ბურჟუაზიისა-
თვის, ისე პროლეტარიატისათვის ორგვარია: რევოლიუციონურ-კომ-
პრომისული, ე. ი. რეფორმისტული და იძულებითი, პირდაპირ რევო-
ლიუციონური. ისტორიამ იცის იმის მაგალითები, რომ, როგორც
ზემოდაც ვთქვი, **ორივე კლასი რევოლიუციონურ მეთოდს ერთად
ხმარობდეს.** მაგრამ უკვე ნათლად გამორკვეულია ისიც, რომ 1871 წლი-
დან საფრანგეთის კომუნარების დამარცხების და ვაჟლტის შემდეგ
„ერთობაც“ სამუდამოთ დაირღვა და ბურჟუაზიის რევოლიუციონე-
რობაც არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში გაქრა!...

ერთი სიტყვით, ამ ფელეტონებში პირველად იყო ჩვენში გატა-
რებული ის აზრი, რომ მსოფლიო ომის ხანის სოციალ-დემოკრატი-
ული მენშევიკური ტაქტიკა შემცდარი ტაქტიკაა და რომ ეს შეცდომა
მენშევიკების (რომელიც იმ დროს ჩვენში ბატონობდენ) ძირითადი
შეცდომიდან „კლასთა ისტორიული თანაშრომლობის“ თეორიიდან
გამომდინარეობს.

აი ამ ფელეტონებით მოაგონა „დასელმა“ თავის ამხანაგებს,
ბალშევიკებს, რომ საჭიროა აღსდგეს მუშათა ქართული პრესა, რომ
საქართველოს მუშები, რომლებიც მენშევიკური პრესით იშხამებიან,
განიკურნონ ამ ოპორტიუნისტული სენისაგან და წმინდა რევოლიუ-
ციონიზმს ეზიარნენ.

„დასელის“ ხმა დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“
მენშევიკები „თავისუფლად“ განაგრძნობდენ თარეშს. ჩვენი მუშების
შემეცნების სფეროში; უხვად გამოსცეს, როგორც წიგნაკები, ისე
გაზეთებიც.

გაზეთის ტირაჟი ამ ხანებში 5 ათას აღწევდა. ნოე ჟორდანიას
„რჩეული ნაწერები“ მაგალითად, გამომცემლობა „კულტურამ“
(მენშევიკურმა) 5 ათასი ცალი გამოსცა...

VIII

**„რვა მუშის“ ოპოზიცია და მისი ჟურნ. „პირველი ნაბიჯი“, რო-
გორც წინამორბედი ნამდვილი მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთისა.**

1

1905 წლის რევოლიუციის შემდეგ რუსეთში მუშათა მასიური
ხელახალი ამოძრავება შაგი რეაქციის ბატონობის ხანაში 1912 წლის
4 აპრილიდან დაიწყო, როცა მდ. ლენის რაიონში, ქ. ბოდაიბოს
ახლო, ოქროს მადნების გაფიცული მუშები მეფის მთავრობამ ასობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახოკვენრა. ამის შემდეგ დაიწყო საერთო მუშათა მოძრაობა, რომელიც საჯარო დემონსტრაციებში და მასიურ გაფიცვებში გამოიხატა. ამ მოძრაობის უდიდესი შედეგი დასაწყისშივე მუშათა ლეგალური პრესის, გაზ. „პრავდის“ დაარსება იყო, (იმავე წლის 22 აპრილს).

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ჩვენში ეს ხელახლა ამოძრავება მხოლოდ პროვინციის მუშებს (ბიათურა) დაეტყოთ, სადაც გაფიცვაზე მხოლოდ „ლაპარაკი“ დაიწყეს და ეს „ლაპარაკიც“ „მენშევიკ-ლიკვიდატორების“ წყალობით, რომლებიც იმ დროს ქუთაისში იყვნენ გამგზავრებული და რომელთაც საკუთარი პრესა კარგად ჭქონდათ მოწყობილი, მალე გაკრა და ჩვენში სრული „ლიკვიდატორობა“ გამეფდა: „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“ არ მოისმოდა.

პრესაში იმ დროინდელ ს. დ. გაზეთში, რომლის სახელი თვეში ერთხელ იცვლებოდა, ხოლო შინაარსი კი იგივე რჩებოდა, ინტელიგენტური „ბალიალობა“ სავსებით გაბატონდა. პრესის ბატონ-პატრონი ნოე ხომერიკი გახდა, რომელსაც იმ ხანებშიაც ჩვეულებრივ დემოკრატ-ბიუროკრატისაგან ვერაფერით ვერ გაარჩევდით. შემდეგ ის შეხვედა ნოე რამიშვილმა, როცა ამ უკანასკნელმა ნიკიფ. იმნიაშვილთან „რომანტიულ“ შეტაკებაში გრიშა გიორგაძის და ევგენი გეგეჭკორის „ძმა-ბიჭური“ წამოქომაგებით გაიმარჯვა.

ახლა ნოე რამიშვილმა დაიკავა ნოე ჯორდანიასა და ნოე ხომერიკისაგან დაცლილი ს. დ. პრესის დიქტატორის პოსტი და ის, როგორც მართლა და ს. დ.-ების ბიუროკრატ-დიქტატორს შეშვენოდა, ისე ასრულებდა ამ როლს.

ამ დროის ჩვენი ცოტად თუ ბევრად შეგნებული მუშები უკვე შეჩვეული იყვნენ იმ აზრს, რომ მუშათა ქართული პრესა ნოე ჯორდანიასაგან დაარსებული პრესაა, რომელსაც ახლა მის ნაცვლად სათავეში ხომერიკ-რამიშვილი მოექცა; აქედან ისინი ამ გაზეთს თავის გაზეთად თვლიდნენ და მოითხოვდნენ, რომ მის ფურცლებზე მუშების აზრს, წერილებს და კორესპონდენციებს საკმაო ადგილი დათმობდა.

ჩვენი გაზეთი ჩვენი აზრის და ჩვენი ყოფა-მდგომარეობის გამომხატველი უნდა იყოს და არა ს. დ. ინტელიგენციისო, ამბობდენ შეგნებული უკმაყოფილო მუშები.

ხოლო რედაქციაში ამ დროს ხშირი იყო შემთხვევა, რომ ნოე ხომერიკს თუ რითიმე ან როგორმე რომელიმე მუშის წერილი არ მოეწონებოდა მარტო იმ მოსაზრებითაც, რომ ის „მუშისაა„ „რედაქციის კალათაში“ უკარგავდა თავს.

გაზეთში, მართალი უნდა ითქვას, მუშების წერილებიც ხშირად იბეჭდებოდა, მაგრამ ეს იმ მუშების, რომლებიც ხსენებულ ინტელიგენტებს, ე. ი. „მენშევიკ-ლიკვიდატორებს“ ყველაფერში „კვერს უკრაულენ“ და უმორწმუნდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იყვნენ ისეთი მუშებიც, რომელთაც კლასობრივი ინსტიქტ-ტით ალღო აუღია მიმდინარე მოშენტს, მთელი თავისი კლასობრივი არსებით მუშათა მასიური ამოძრავების ტალღათა მოახლოებება იგრძ-ვნეს და ჩვენშიაც გაფიცების გამართვას მოითხოვდენ. ჩვენი მენშ-ვიკ-ლიკვიდატორები კი ამ მოშენტში მუშათა გაფიცვას „ურა-გა-ფიცვას" ეძახდენ და მუშებს ნებას არ აძლევდენ გაფიცვები მოეწყოთ.

ასეთი მდგომარეობის პრესაში გამოაშკარავება პირველმა გა-ნიზრახა ჭიათურის შავი ქვის სარეკხი ქარხნის მუშამ, იოსებ მეტ-რეველმა, რომელსაც იმ ჟამად პარტიული სახელი „საველი" ერქვა. მან პარტიაში შექმნილ, ზემო-აღნიშნულ მდგომარეობაზე წერილი მოათავსა ქართულ ჟურნალ „წყაროში", რომელიც იმ ხანად აბ. ფილიპე მახარაძის რედაქტორობით გამოდიოდა ქ. ბაქოში. წერილის სათაური — „მკითხველის შენიშვნა" და გაშვებულია რედაქციის შე-ნიშვნით (იხ. 1913 წლის „წყაროს" № 8—18).

ყოველივე ეს მოწმობს იმდროინდელ მუშათა წრეებში დაგუ-ბებულ უკმაყოფილებას ხელმძღვანელ პარტიისადმი, რომელმაც მალე თავი იჩინა და აქედან შედგა იმ დროს მუშათა ერთგვარი ოპოზიცია, რომელსაც სახელად „რვა მუშის" ოპოზიცია დაერქვა, როდგან ს. დ. ორგანოს რედაქციისადმი მიმართულ საპროტესტო წერილს მხოლოდ რვა მუშა აწერდა ხელს.

საპროტესტო წერილი შეადგინეს ჭიათურის მუშებმა იოსებ მეტრეველმა (იგივე „საველი") და მელიტონ არველაძემ. ხელი მოა-წერეს: 1) სანდრო მეტრეველმა, 2) ფარნა ნინუამ, 3) მაჭრო ჯაფა-რიძემ („ნიკო ხიზანაშვილმა"), 4) ილარიონ თარგამაძემ, 5) აკაკი ბი-ქელაძემ („განკიცხული") და 6) პეტრია შვილმა. ყველა ესენი ფსევდონიმებით არიან ხელმოწერილნი, ვინაიდან ამისთვის პარტია-დან გაძევებას მოელოდენ. წერილი დიდი ბჭობისა და კამათის, ყოყ-მანის შემდეგ ს. დ. გაზეთის რედაქციამ მოათავსა 1914 წლის „აპ-რილის" მე-15 №-ში.

წერილში აღნიშნულია ის ფაქტი, რომ რედაქციამ არ გაუშვა მუშის წერილი, რომელიც ჭიათურის მუშების გაფიცვის საკითხს შეგ-ხებოდა. ამიტომ საპროტესტო წერილით 8 მუშა საქართველოს მუ-შების სახელით მოითხოვდა მეტ ყურადღებას მუშების წერილებისა-დმი და „ბალიაღობის" და ინტელიგენტური „დიქტატურის" მოსპო-ბას მუშათა ორგანოს რედაქციაში,

ამას მოყვა 8 მუშის წინააღმდეგ მენშევიკ-ლიკვიდატორების მხრიდან დიდი „კამპანია", ნამეტურ „საველის" წინააღმდეგ, რადგან მეთაურ-ინიციატორად მას თვლიდენ. გაზ. „აზრში" 8 მუშის გარშე-მო მრავალი წერილი დაბეჭდეს, მარა ყველა მათი საწინააღმდეგო: მათ მომხრეებს წერილს არ უბეჭდავდენ. ასეთი ხერხით უნდოდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაეჩუმებიათ 8 მუშა, მაგრამ ს. დ. ლიდერების წინააღმდეგ ერთობ აღძრულმა უკმაყოფილებამ ფესვი გაიდგა ტფილისისა და პროვინციის მუშათა მასებში.

ამის გამო „რვა მუშამ“ განიზრახა მუშათა ოპოზიციური ორგანიზაცია და **ინტელიგენციისაგან დამოუკიდებელი მუშათა ორგანო შეეკმნა.**

ამ მიზნით „რვა მუშამ“ 1915 წელს 4—5 ოქტომბერს ჭიათურაში მართლაც მოიწვია თავისი მომხრეების კონფერენცია, რომელიც დაუპირდაპირდა იმავე დროს ქ. ქუთაისში გაპართულ ს. დ. მენშევიკურ კონფერენციას. მეტად მცირე რიცხოვანი იყო ჭიათურის „რვა მუშის“ მიერ მოწვეული კონფერენცია, მარა მისი მნიშვნელობა, როგორც ბალშევიკური ს. დ. კლავ ჩვენში აღდგენის წინამორბედის, მეტად საყურადღებოა. კონფერენციას შემდეგი დელეგატები დაესწრენ: ტფილისიდან: 1) პეტრე ავლობაშვილი (პეტრე „ოსი“), 2) ლადო სუხიშვილი (დღეგანდელი ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარე), 3) ვასო სუხიშვილი და ილიკო ჩხიკვაძე; ქუთაისიდან—მარტო მე, გურიიდან—აპალონ ორაგველიძე, გორიდან—კოლა კაციაშვილი, ჭიათურიდან—ოსეფ და სანდრო მეტრეველები, ანდრო ხიზანაშვილი (იგივე შაქრო ჯაფარიძე).

ამ კონფერენციაზე მთავარ კითხვად წამოყენებული იყო: „ჩვენი მომავალი მუშათა ორგანო“ და მან ეს ასე გადაჭრა: 1) შედგენილ იქნას სისტემა მომავალ მუშათა პრესის სახელმძღვანელოდ, რომლის მიხედვითაც უნდა მოეწყოს იგი... 2) მუშათა გაზეთი უნდა იყოს წმინდა მარქსისტული მიმართულების, 3) უნდა იდგეს კლასობრივ ბრძოლის თვალსაზრისზე, 4) იცავდეს მუშათა კლასის გონებრივ-ზნეობრივს და პოლიტიკურ-ეკონომიურ ინტერესებს, 5) გაზეთი უნდა იყოს უმთავრესად მუშათა კლასის პოლიტიკო-ეკონომიური ბრძოლის იარაღი, 6) გაზეთს უნდა ჰქონდეს სადისკუსიო განყოფილება, სადაც უნდა იბეჭდებოდეს ყველა წერილები... თუ კი წერილის შინაარსი მუშათა კლასის თვალსაზრისს არ ეწინააღმდეგება, 7) გარდა სადისკუსიო წერილებისა უნდა იბეჭდებოდეს სხვა წერილებიც განურჩევლად ფრაქციისა (ე. ი. ბალშევიკების წერილებიც, რ. კ.), 8) უნდა იბეჭდებოდეს პატარ-პატარა ლირიკულ-ბელეტრისტული ნაწარმოები, რომლებიც შეიცავენ პროლეტარულ იდეოლოგიას, 9) სხვათა შორის უნდა იბეჭდებოდეს წერილები სხვადასხვა მეცნიერულ თემაზე და კიდევ სხვა რამდენიმე მუხლი. (ამოღებულია 1915 წელს „საელის“ მიერ არალეგალურად დასტამბულ წიგნაკიდან). ამ დადგენილების განსახორციელებლად კონფერენციამ შეადგინა განსაკუთრებული სარედაქციო კოლეგია, რომელშიაც ორი მუშა—„საელი“ და ანდრო ხიზანაშვილი და მე ავვიჩინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ მე მომიხდა ანდერმერეის დევნის გამო სპარსეთში გასვლა, ხოლო „საველი“ და ანდრო საქმეს შეუდგენ: მაგრამ ლიკვიდატორ-მენშევიკების დევნის გამო ვერც ამათ გააწყვეს რამე. „საველი“ მალე ს. დ. პარტიიდან გაძევებულ იქნა „ოპოზიციონერობა—ინტრიგანობისათვის“ და იგი იძულებული იყო ჭიათურიდან ტფილისში ვადასულიყო. ის გასაოცარი სიმტკიცით განაგრძობდა დაწყებულ საქმეს და მთელ თავის ენერგიას მუშათა „დამოუკიდებელი“ ჟურნალის შექმნას ანდომებდა. მოძრო-თანამოაზრენი ბლოგად ჰყავდა მუშებში, მარა გარკვეულად და ხელაღებით საქმეს მის მეტი არავინ ჭკიდებდა და ეს უმთავრესად იმიტომ ხდებოდა, რომ თვით „რვა მუშის“ პოზიცია პრინციპიალურად გამორკვეული არ იყო.

მთელი უბედურება და ტრაგიზმი ამ მეთაური მუშების იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი „ლიკვიდატორობის“ მთავარ პრინციპს იზიარებდენ. მენშევიზმის საფუძველები სწამდათ და ბალშევიზმს ალმაცერად უცქეროდენ: ორივე ფრაქციას შემცდარათ და „მოწამლულად“ თვლიდენ: მიზნად ისახავდენ, რომ ჩვენში მუშათა მოძრაობა ერთ დროშის ქვეშ, ერთი ლოზუნგით გაეერთიანებიათ. დროშა კი მათი აზრით იყო: **მენშევიკური ტაქტიკით მუშების დამოუკიდებელი ორგანიზაცია.** მაგრამ იმას კი ვერ გრძნობდენ, რომ მუშების დამოუკიდებელი ორგანიზაცია მხოლოდ ბალშევიკური ტაქტიკით შეიძლებოდა შემდგარიყო.

ზემოდ დასახელებულ არალეგალურ წიგნაკში მუშა „საველი“ სწერდა: „რვა მუშის სახელწოდება არ ნიშნავს რაიმე ახალი პარტიის ან მიმდინარეობის შექმნას, არც პრინციპიალურსა და ტაქტიკურ კითხვებში არ ვცილდებით „მარქსისტულ ს. დ. საზღვრებს“... სადაო არის მხოლოდ პრესის საკითხი: თავისუფალი კრიტიკა... მუშათა ორგანოს მუშებისავე სრული კანტროლის ქვეშ დაყენება და არა ორსებული პრივილეგია, კარჩაკეტილობა და უკანტროლობა“, თუ ეს მოისურვოდა, „საველის“ აზრით, მაშინ ს. დ. პარტიაში აღარც ფრაქციები იქნებოდენ. „რვა მუშის“ ასეთი გულუბრიყველობა მალე ყველასათვის აშკარა გახდა და ეს სუსტი ორგანიზაცია მალე დაიშალა, ულეთ, ვერ შედგა და ვერ გამგრდა.

მხოლოდ მეტი „ჯიუტი“ და გაუტეხელი გამოდგა მისი ერთი მეთაურთაგანი, სახელდობრ „საველი“, რომელმაც იარაღი არ დაყარა და მუშათა დამოუკიდებელი ჟურნალის გამოცემას შეუდგა: მან დიდი ვაგლახისა და ტანჯვა-ვაების შემდეგ ტფილისში რუსეთის რევოლუციის წინ, 1917 წ. თებერვალში, მუშათა ჟურნალის „პირველი ნაპიჯის“ გამოცემა შესძლო. მან იცოდა, რომ მე მის იდეას, დამოუკიდებელ მუშათა ჟურნალ-გაზეთის არსებობის იდეას, ვიზიარებდი და ამიტომ მოაწყო თუ არა რედაქცია ტეხნიკურად, დაუყოვნებლივ გამომიწვია სპარსეთიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დავთანხმდი იმ იმედით, რომ ეს ჟურნალი რევოლიუციონური მუშების რევოლიუციონურ ტაქტიკის გამომხატველი, ე. ი. ბალშევიკური მიმდინარეობის ორგანო გახდებოდა. შეეუდექით საქმეს. რამდენიმე №-რი კიდეც გამოვუშვით (1917 წლის 15 იანვრიდან მარტამდე) და ამ დროს ჩვენდა მოულოდნელად, უეცრად თებერვლის რევოლიუციამ იფეთქა რუსეთში.

როგორც ჩვენ მოწინავეები, ისე მთელი ჩვენი მუშათა კლასი ლეკვიდატორების წყალობით „სახტად დარჩა“ და როგორც ვიცით, **თებერვლის რევოლიუცია მთელმა ამიერ-კავკასიამ „ფოსტით მიიღო“**. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის დიდ რევოლიუციას ჩვენში რევოლიუციონური ძალები—მუშები, ღარიბი გლეხ-კაცობა, პროლეტარული ინტელიგენცია—მომზადებული ვერ შეხვდა,

ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა მოძრაობა ჩვენში იმ ხანად ს. დ. ლეკვიდატორული ტაქტიკის გაბატონების მეოხებით მოდუნებული და შეჩერებული იყო.

მართალია, არსებობდა ჩვენშიაც ბალშევიკური ჯგუფი, მარა მისი არალეგალურ ნიადაგზე მოქმედება იმ ხანებში მხოლოდ ორი სამაისო ფურცლის გამოცემით განისაზღვრა.

მართალია, ამ ფურცლების გამოშვება მსოფლიო ომის პიროგებში 1915—16 წლებში (კოტე ცინცაძის მეთაურობით მუშათა სამაისო ფურცლების გამოცემა) მეტი გაბედული და რევოლიუციონური ნაბიჯი იყო, მარა ამ გამოსვლამ მენშევიკების წყალობით (რომლებიც ფურცლებს სწვავდენ) სუსტი კვალი დასტოვა მუშათა მასებში და, ამიტომ, ცხადია, რომ ჩვენში „ფოსტით მილებული“ რევოლიუცია შესაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებდა.

და მართლაც, იმ დროს, როცა ყველაზე უფრო მასიური მუშათა ორგანოს საჭიროება ყველასთვის აშკარა უნდა ყოფილიყო და ჩვენი ფხიზელი მუშები ასეთ ორგანოს აღტაცებით და მხნეთ უნდა შეგებებოდნენ ჩვენ მეტად სამწუხარო მოვლენას ვხედავთ: ჟურნალ „პირველ ნაბიჯს“ სულ ასიოდე მუშა თუ იწერს და და კითხულობს. მუშები ისევე ლეკვიდატორებისკენ იყურებოდენ და „რევოლიუციურ“ ორგანოს მათგან მოელოდენ; და მათ მართლაც, ასეთი ორგანო (!) მყისვე დაუარსეს: ეს იყო მენშევიკების ახალი, ვითომდა „რევოლიუციონური“ ორგანო, გაზეთი „ერთობა“.

ამნაირად, მხოლოდ ამხ. კოტე ცინცაძის მეთაურობით გამოცემული არალეგალური ბალშევიკური ფურცლები და მუშათა დამოუკიდებელი ეროვნული ჟურნალი „პირველი ნაბიჯის“ ათი თუ თხუთმეტი №№-ი შეიქნა წინამორბედი ჩვენებური „ოქტობრის“ პრესისა ე. ი. ქართული კომუნისტური მუშათა პრესისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX

გაზეთ „ბრძოლის“ აღდგენა და მენშევიზმთან ბრძოლა

I

ამ ხანებში ჩვენში იმდენად ძლიერი იყო მენშევიზმი, იმდენად შებოჭილი ჰყავდა მას ჩვენი აზროვნება, რომ თვით ბალშევიკთა ლიდერებიც ვერ ბედავდენ მიშინდელ ს. დ—თან კავშირი გაეწყვეტათ და ცალკე პარტიული ორგანიზაცია დაეარსებინათ.

1917 წლის 4 აპრილს პეტროგრადში რომ ს. დ. ფრაქციათა გაერთიანებულ კრებაზე ლენინი გამოვიდა და ს. დემოკრატია პირველად დაჰგმო: „ლეში“ უწოდა მას და მოუწოდა ბალშევიკებს გასცლოდენ ამ „ლეშს“ და თავისი ორგანიზაციისთვის კომუნისტური პარტია ეწოდებინათ, ჩვენში ამაზე ზოგი ჩვენი ლიდერთაგანიც ეს შეკოთა და სთქვა: „როგორ შეიძლება ს. დემოკრატიის მაგიერ „კომუნისტური“ ეუწოდოთ ჩვენს პარტიასო“.

ასე ძლიერია საზოგადოთ ტრადიცია, ასე ძნელია მასთან კავშირის გაწყვეტა.

მაგრამ მალე ჩვენებური ბალშევიკების უმრავლესობამ გაბედა და გადალახა ამ ტრადიციის საზღვრები და ჯერ საკუთარი ორგანოები დაიარსა „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ბრძოლა“, ხოლო შემდეგ, 19 მაისს „კავკაზსკი რაბოჩის“ კოლეგიის და ზოგი პასუხისმგებელი ამხანაგების კრება შედგა, რომელსაც ამბ. მიხა ცხაკაია თავმჯდომარეობდა და რომელზედაც, სხვათა შორის, დღის წესრიგში პირველ კითხვად დასმული იყო: „მეუმცროესებთან დამოკიდებულება“. ამ კითხვაზე კრებამ შემდეგი დაადგინა: ჩამოშორდეს საერთო ს. დ. ორგანიზაციას (მხოლოდ დიპლომატიურად და მოხერხებულად) და დაეარსოს საკუთარი ორგანიზაცია, რომელსაც უწოდა „საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა)“. (ნახ. „კავკაზსკი რაბოჩის“ 1917 წლის 20—21 მაისის №№-ები).

ამაზე წინ ს. დ. პარტიამ ბალშევიკების წინააღმდეგ შემდეგი ნაბიჯი გადადგა:

1917 წლის 19 აპრილის სხდომაზე „ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს“ აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომლის დიდი უმრავლესობა მენშევიკებისაგან შესდგებოდა, გაზეთ „პრავდის“ №№-ების კონფისკაცია გადასწყვიტა (გაზეთ „პრავდას“ ერთი ვაგონი პეტროგრადიდან კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებისათვის მიჰქონდა პეტროგრადის მუშათა დელეგაციას, რომელიც ტფილისზე გამოატარეს).

ამ გადაწყვეტილების გამო მენშევიკური საბჭოს წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს როგორც პეტროგრადის მუშათა საბჭოს დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგაციამ და „კავკაზსკი რაბოჩის“ რედაქციამ, **ისე ტფილისის მუშების ზოგიერთმა ჯგუფებმა**.

ამის შემდეგ ტფილისის აღმასკომმა თავისი დადგენილება უკან წაიღო და „პრავდის“ №№-ები გაანთავისუფლა, რის გამოც სერიოჟა ქავთარაძემ შესაფერი წერილი მოათავსა გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩ“-ში. ამაზე მან ს. დ. საოლქო და ტფილისის კომიტეტისაგან გაკიცხვა მიიღო, რის გამოც ის და მასთან ერთად ამბ. ამბ. ნაზარეტიანი, მიშა ოკუჯავა და მალაქია ტოროშელიძე აღმასკომიდან გავიდენ.

ასეთი სულიერი გაიწყობილება ზოგ მუშათა ჯგუფებსაც მოედვა და 30 აპრილს გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ რედაქციის გაფართოვებულ სხდომაზე **რკინის გზის ტფილისის მთავარ სახელოსნოების და დეპოს წარმომადგენელმა ამხანაგმა მუშებმა მოითხოვეს, რომ „მეუმრავლესთა გაზეთი ქართულ ენაზედაც გამოვიდეს“**. წინადადების ავტორები იყვენ: მუშა მარსალოვი და ხოშტარია. ამათ მხარი დაუჭირეს: არაქელა ოქუაშვილმა და გიორგი ჩხეიძემ. **ზოგი ინტელიგენტი წინააღმდეგ წავიდა უფულობის მომიზეზებით,** მარა მუშების მტკიცე განცხადების შემდეგ „ფულს ჩვენ შეკაგროვებთო“, თითქმის ერთხმად გადაწყვიტა, რომ საქმეს დაუყოვნებლივ შესდგომოდენ.

საორგანიზაციო კომისიაში აირჩიეს 11 მუშა: გიორგი ჩხეიძე, არაქელა ოქუაშვილი, ხოშტარია, სიმონ გოგიშვილი, ხუბულაური, შადური, გიორგი არჩუაძე, მარსალოვი, კოსტინი, დიმიტრიევი და ასატური და 4 ინტელიგენტი: არკადი ათაბეგოვი, მალაქია ტოროშელიძე, გიორგი პარკაძე და მე.

ამ კომისიამ სხდომაზე გამოყო ბიურო სამი კაცისაგან შემდგარი: მუშა კოსტინი, გიორგი პარკაძე და მე. ბიურო შეუდგა გაზეთის ფონდის შედგენას. მუშებში ფულს ჰკრეფდენ არაქელა და გიორგი, ხოლო ინტელიგენციაში—თითონ ბიურო. 7 მაისის სხდომაზე მუშა-წევრებმა წინადადება შემოიტანეს, რომ მომავალ მუშათა გაზეთს დაერქვას „პრძოლა“ ლადო ,ეცხოველის, კობას და ფულუკიძის ხსოვნის და პატივისცემის აღსანიშნავად ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით, ძველი „ბრძოლის“ იდეურათ აღდგენა-აღორძინების გამოსახატავად.

ეს აზრი გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ რედაქციის წევრებსაც—თედორე კალანდაძეს და სერიოჟა ქავთარაძეს—(მიხა და ფილიპე იმ ხანად პეტროგრადში იყვენ პარტიულ კონფერენციაზე) გაეუზიარა და ისინი სიამოვნებით დასთანხმდენ, რომ ჩვენს გაზეთს დაერქვას „ბრძოლა“.

ჩემთვის ეს კიდეე უფრო სასიამოვნო იყო, მარა ერთი გარემოება მაფიქრებდა: იმ ხანებში მენშევიკებმა რუსული „ბორბა“ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უშვეს და აცხადებდენ: აი ჩვენ ძველი მუშური „ბრძოლა“ აღვადგინეთო (ნახ. „ერთობის“ მაისის №№-ები). ეფიქრობდი, რომ ისინი ამის გამო გამოგვედავებოდენ.

— მერე და გამოგვედაკონ, მეუბნებოდენ ამხანაგები, ჩვენ დაეუმტკიცებთ, რომ ლადოს „ბრძოლის“ მემკვიდრეები ჩვენა ვართ და არა ისინი!

ჩემი მოლოდინი არ გამართლდა: მენშევიკებს ხმა არ ამოუღიათ ამაზე ჩვენ წინააღმდეგ და ეს აშკარად ამტკიცებდა იმას, რომ „ბრძოლის“ მემკვიდრეებათ ჩვენ თვითონ ისინიც კი გვთვლიდენ.

ჩვენს კომისიას ახლა „ბრძოლის“ კომისია ეუწოდეთ, ხოლო ფონდს—„ბრძოლის“ ფონდი, საკუთარი ბინა ჯერ კიდევ არ იყო და **დროებითი ადრესი ეურნალ, „პირველ ნაბიჯის“ რედაქცია იყო**, ბარონის ქუჩა № 14.

ფულის მოსაგროვებლად საანგარიშო წიგნაკები ჩაიბარეს მუშებიდან: არაქელა ოქუაშვილმა, ლადო დუმბაძემ, სიმონ გოგიშვილმა, ალექსი შარაშიძემ, იასონ ჯოლოკავამ, ფილიპე ცხომელიძემ და სხვებმა სულ 45—№-მდე.

ფული შემოდიოდა თანდათან და 11 მაისს მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე ჩამოვიდენ პეტროგრადიდან.

19 მაისის სხდომას ესენიც დაესწრენ და მათი მონაწილეობით ხვმოდ დასახელებულ კითხვის და სხვა კითხვების გარდა გაზეთების გამოცემის საკითხიც საბოლოოთ გადაწყდა. საორგანიზაციო და საფინანსო კომისიებს გარდა ახლა აირჩიეს კიდევ: სატეხნიკო—სილვა თოდრია, ლადო დუმბაძე და არკადი ათაბეგოვი—სარედაქციო კოლეგია: მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე და მე. დაადგინეს, რომ „ბრძოლის“ პირველი №-რი გამოიცეს 28 მაისს. პირველ ხანებში უნდა გამოსულიყო „კვირეული“, ხოლო მოლონიერების შემდეგ—„ყოველდღიური“. მიღებულ იქნა ჩვენზე დამოკიდებული ყოველი ღონე, მარა №-რის გამოშვება 4 ივნისამდე ვერ მოხერხდა.

„ბრძოლის“ პირველი №-რი ლადო კეცხოველის სურათით. 4 ივნისს გამოვიდა, დავბეჭდეთ 5 ათასი ცალი, მარა შემდეგ გამოირკვა, რომ 3 ათასის ძეტი არ გადიოდა.

ამ ხანებში მენშეიკების გაზეთი „ერთობა“ კი 7—8 ათასი ცალი იბეჭდებოდა და დაახლოვებით იმდენივე გადიოდა. **საქართველოს ბალშევიკების წინაშე ასეთი ამოცანა იდგა: მოპირდაპირე უნდა დაემარცხებია, მისი გავლენა მუშათა მასაში უნდა დაეძლია** და თუ სულ არა, მათი უმრავლესობა მაინც **უნდა „ბრძოლის“ დროშის ქვეშ შემოეკრიბა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

მხოლოდ გაზეთ „ბრძოლის“ გამოსვლის შემდეგ გადაწყვიტეს ბალშევიკებმა 19 მაისის სხდომის დადგენილების ცხოვრებაში გატარება, ე. ი. სოციალ-დემოკრატიისაგან ფორმალურად გამოყოფვა და საკუთარი ორგანიზაციის ლეგალურად გამოცხადება. ეს მოხდა 1917 წლის 10 ივნისს. ამ დღეებში იქნა არჩეული ტფილისის ბალშევიკური კომიტეტი, შემდეგ მოეწყო 1 და 2 რაიკომები, ბოლოს ივნისშივე,— მესამე და მეოთხეც. **პარტიაში სულ ჩაეწერა 500 ტფილისელი მუშა.** ცხადია, ასეთი მცირე ძალით 10—15 ათასიანი მენშევიკური ლაშქარის დამარცხება ძნელი საქმე იყო. საჭირო იყო მოკავშირე და მალე ტფილისში ეს მოკავშირე-ამხანაგიც აღმოჩნდა. ეს იყო სამხედრო ფრონტებიდან დროებით ჩამოსული რუსეთის არმიის ნაწილები, „რუსი“ ჯარისკაცის სახით რუსი გლეხი და მუშა; და აი, სწორედ ეს გარემოება, ახალი მასიური ამხანაგის—რუსეთის ჯარისკაცების გამოჩენა და მისი ჩვენებურ პარტიულ ბრძოლაში ჩარევა **ერთი მხრით მეტად საბედისწერო შეიქნა.**

ტფილისის ქუჩები რუსეთის ჯარისკაცებით და მათთან მოდავე-მოკამათე უცხო ხალხით აივსო. გახშირდა სამხედრო ფრონტის, არმიის წარმომადგენელთა სიტყვები და ამ სიტყვებზე გაჩაღდა ორ მოპირდაპირე პარტიის—ბალშევიკებსა და მენშევიკებს შორის ბრძოლა. პირველები, ბალშევიკები, უმეტესად ემყარებოდენ **ჯარისკაცებს,** ხოლო მეორეები, მენშევიკები, უმეტესად ტფილისელ წერილ მოქალაქეებს, ამათ შორის **ქართველ მუშებს.**

ამნაირად ქართველი მუშა ჩვენში მენშევიზმის მთავარი გამტარებელ-განმახორციელებელი შეიქნა, ხოლო ბალშევიზმს უმეტესად ატარებდენ რუსის „სალდათის შინელში“ გამოწყობილი მუშები და გლეხები ე. ი. ჯარისკაცები; და, რადგან ამ ჯარისკაცებს მხოლოდ რუსული ეყურებოდათ, ბალშევიკური პროპაგანდაც, აგიტაციაც და მწერლობაც უმეტესად და უმთავრესად რუსულ ენაზე სწარმოებდა.

„როგორიც ერია, ისეთი ბერია“, ამბობდა ძველად ქართველი ხალხი და რუსეთის დიდი რევოლიუციის პირობებშიაც ეს შესრულდა: როგორიც მასსა იყო, პროპაგანდისტი და აგიტატორიც ისეთი გახდა; რა კულტურის და რა ენისაც იყო მასსა, პროპაგანდისტ-აგიტატორიც იძულებული შეიქნა ამ კულტურისა და ამ ენისთვის ინგარიში გაეწია და თავისი პროპაგანდა-აგიტაცია ამის თანახმად ეწარმოებია.

აქედან **მენშევიკები** უმთავრეს ყურადღებას ქართულ კულტურას და ქართულ ენას აქცევდენ, ხოლო **ბალშევიკები**—რუსულს; და რადგან რუსული ბევრ ქართველსაც კარგად ესმოდა, ხოლო ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელი ერთ რუსსაც არ ეყურებოდა. ამიტომ ქართველ ბალშევიკებ ბისათვისაც (შემდეგ მთელ საქართველოში და მთელ ამიერ-კავკასიაში) ყველგან და ყველაფერში თითქმის ერთად ერთი ჩვეულებრივი ენა რუსული გახდა.

ამიტომ იყო, რომ მუშათა რუსული გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი" ჩვენში ჯერ ისევ 1917 წლის მარტშივე დაარსდა, მაშინ, როდესაც ქართული „ბრძოლის" გამოშვება ორი თვის შემდეგ ძლივს მოხერხდა. ორივეს კი ერთი კოლეგია, ქართველ ბალშევიკების კოლეგია რედაქტორობდი. მენშევიკებიც არ უარყოფდენ რუსულ ორგანოს, მარა მათი მთავარი ძალი და ლონე ქართულისაკენ იყო მიპყრობილი.

დიდათ საყურადღებოა ამ ხანის (1917—18 წლების) რუსული და ქართული ორგანოების ერთმანეთთან შედარება, როგორც შინაარსისა და გარეგნობით, ისე ტირაჟის, გავრცელების და გაფართოვების მხრივ.

ამ დროის მენშევიკური „ერთობა" თითქმის ყველაფერით სჯობნის რუსულს „ბორბას", მაშინ, როდესაც ბალშევიკური „კავკაზსკი რაბოჩი" ყველაფერით სჯობნიდა ქართულ „ბრძოლას". ეს ყველასათვის აშკარა ფაქტი იყო მაშინ.

ბალშევიკური იდეის თანახმად მუშათა გაზეთი მუშების საქმე უნდა ყოფილიყო ყველაფრად. ამის მაგალითს იძლევიდა რუსეთის მუშათა გაზეთი „პრავდა", რომელიც ჯერ ისევ 1912 წელს მუშების მოთხოვნით და ენერგიით დაარსდა. იგი, როგორც ნივთიერი მხრით, ისე იდეოლოგიურად სულ ერთიანად მუშური იყო. გაზეთის ნახევარი მუშათა ცხოვრებას და წერილებს ჰქონდა მოკავებული.

როცა ამ გაზეთის ისტორიას და მის ვითარებას ჩვენი გაზეთების ისტორია-ვითარებას ვუფარდებთ, აშკარად ვხედავთ შემდეგს: როგორც იქ, რუსეთში, ისე ჩვენშიაც, ბალშევიკური ლეგალური გაზეთი მუშების მოთხოვნით და ინიციატივით არსდება. აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ მუშების მოთხოვნით ჩვენში მხოლოდ ქართული ლეგალური გაზეთი დაარსდა (1917 წლის 4 ივნისს) მაშინ, როდესაც რუსული ორგანო „კავკაზსკი რაბოჩი" მხოლოდ ბალშევიკ-ინტელიგენტური ჯგუფის, (რომელიც სახალხო სახლში 1917 წლის მარტშივე შეიკრიბა და რუსული გაზეთის გამოცემა გადაწყვიტა, იხ. იმ წლის მარტის „კავკაზსკი რაბოჩის" №№-ები) ინიციატივითა და მეთაურობით გამოვიდა.

გავიდა ორიოდე თვე და ზემო აღნიშნული მიზეზების გამო გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი" გაზ. „ბრძოლასთან" შედარებით გაცილებით უფრო რევოლიუციონური, მუშური შეიქმნა და თან ნივთიერადაც ყველაფრად მოწყობილი. მისი ტირაჟი 10 ათასამდე ავიდა, მკითხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც და თანამშრომელიც, მასალაც და წერილებიც უფრო მეტჯერ იყო, ვიდრე „ბრძოლის“ და ყველაფერი ეს მოხდა იმიტომ, რომ „ბრძოლის“ პატრონი იყო „ერთი მუჭა“ ქართველი მუშები, ხოლო „კავკაზსკი რაბოჩის“ კი რუსეთის ყოფილ მუშებისა და გლეხებისგან შემდგარი ასი ათასიანი ლაშქარი.

ამ გარემოების მიუხედავათ ქართველი ბალშევიკები ქართული ორგანოს გამოცემის და მასზე შრომის გაწევას მაინც განაგრძობდნენ. ისინი ვერ გრძნობდენ, რომ მათი შრომის ნაყოფიერების და სისუსტის მიზეზი რუსეთის დიდი რევოლიუციის ის სტიქიონური მასა იყო, რომელსაც „გარეეოლიუციონერებული არმია“ ეწოდებოდა და რომელიც ჩვენში იმ დროის „გაერთიანების“, ასიმილიაციის ტენდეციას და ნიჰილიზმ-ოსმოპოლიტიზმის ატმოსფერას ჰქმნიდა.

აი რას ვწერდი იმ დროს გაზ. „ბრძოლის“ მდგომარეობა-ვითარებაზე ერთი მისი დამაარსებელთაგანი ჩემს დღიურში: „1917 წ. 20 ივნისი. „ბრძოლის“ მესამე №-რი გამოუშვეთ, მარა სუსტია, რადგან გაზეთის სახე კიდევ ვერ მივეცით **მოუცალებლობის გამო**. ენას ყველა გვიწუნებს... ჩვენი ასოთ-ამწყობნი (ვანო, სილეა და ლადო) შინაარსის მხრითაც არ არიან კმაყოფილნი „ნამეტანი ფრაქციონური ხასიათი აქვსო“. სწორედ მეც ასეთი აზრისა ვარ და **ვფიქრობ ყველა ეს ნაკლი შემდეგ ნომერში მოვსპოთ**... უბინობა და ურედაქციობა კი ძალიან გვიშლის ხელს, მარა ვეცდებით, რომ მაინც გაზეთი უნაკლო იქნეს... („კავკაზსკი რაბოჩის“ ამ დროს ჰქონდა მოწყობილი რედაქცია).

როგორც ამ სიტყვებიდან სჩანს, გულით მწყურიოდა, რომ „ბრძოლა“ ყველაფრად მოწყობილი ყოფილიყო, ენერგიას და თავს არ ვზოგავდი, რომ იგი უნაკლო გამოსულიყო და მუშათა სამაგალითო ქართული გაზეთი გამხდარიყო, მარა ის კი ვერ შემენიშნა მაშინ, ვერ მივმხვდარიყავ, რომ იმ მიზეზით, რა მიზეზითაც „ბრძოლის“ გვერდზე მისი მოძმე, „კავკაზსკი რაბოჩი“ ჩაეკოდა და იფურჩქნებოდა, დღითი-დღე სჭკნებოდა და ღრეობდა „ბრძოლა“.

სწორედ ერთი თვის შემდეგ იმავე დღიურში განვაგრძობდი: გაზეთი „ბრძოლა“ გადავიდა **კომიტეტის** (ბალშევიკების) **განკარგულებაში** და **საქალაქო (ტფილისის) კონფერენციამ აირჩია ახალი სარედაქციო კოლეგია**: მალაქია ტოროშოლიძე, მიხა ცხაკაია და ლადო დუმბაძე (მუშა ასოთ-ამწყობი)... მე ამით არა ვარ კმაყოფილი... თითქმის ყველა იმ აზრისაა, რომ „ბრძოლაც“ ყოველდღიურ გაზეთად დადაყოდეს... **მარა ტფილისის საბჭოს ხმოსნების არჩევნებზე ზრუნვამ და საქმიანობამ სხვა ყველაფერი დაჩრდილა, შეაჩერა**... ამის გამო (?) **„ბრძოლის“ მოთხოვნილებამ იკლო და მისდამი თანაგრძნობაც შესუსტდა**... ყველა ამეების გარდა უნდა აღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნოთ **ჩვენი ბალშევიკების უგულობა, უხალისობა, უსიცოცხლობა:** ძალიან ნაკლებათ გვყავს (ქართველი ბალშევიკი) გატაცებული, ნიჭიერი და მომქმედი პირი... და 20 ივლისის კრებაზე აირჩიეს ყველა ბალშევიკური გაზეთების (რუსულის, ქართულის და სომხურის) საერთო საფინანსო, სარევიზიო და სატეხნიკო კომისიები, რომლებშიაც მოჰყვენ: აკოფ აკოფიანი, არშაკ ათაბეგოვი, დანიელ შაგრდოვი და სხვ. ასეთები. ამათ უნდა ჩაიბარონ ჩემგან ანგარიში, შედეგ მოხსენება გააკეთონ კომიტეტში, რომელიც „ბრძოლის“ დღიურად გადაკეთების საკითხს გადაჭრის... კიდევ ერთი თვის შემდეგ ვწერდი: „ბრძოლის“ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა დაიწეროს რუსულად მოწოდება (დახმარებისათვის) და „კავკასიკი რაბოჩში“ დაიბეჭდოს და სხვა...

ამნაირად, საქმე იქამდე მივიდა, რომ „ბრძოლის“ გაუმჯობესების საქმე თვით მისი მესვეურების ფიქრით რუსულ გაზეთში რუსულ მოწოდებაზე, რუსების მხრივ ამხანაგურ დახმარებაზეა თურმე დამოკიდებული და არა ქართველი მუშების საქმეში ჩარევაზე და თავგადებაზე. ქართველ მუშებზე ფიქრიც არა სჩანს ახლა ბალშევიკების მხრივ და ეს იმიტომ, რომ ქართველი მუშები თითქმის ერთიანად მენშევიკების განკარგულებაში იყვენ!

საჭირო იყო ქართველ მუშათა მასის იმათი ხელიდან დახსნა **იდეურათ**, ამისთვის კი საჭირო იყო ყველა ქართული კულტურული საშუალების ამუშავება, ამოძრავება-განვითარება, მაგრამ ამისთვის ბალშევიკებს ძალა არ შესწევდათ!

შედეგათ მივიღეთ, სხვათა შორის, „ბრძოლის“ დაუძლურება და აქედან საერთო მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის განუვითარებლობა.

ამნაირად მენშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ჩვენში უმთავრესად იყო რუსული გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“. ვის არ ახსოვს მისი მხურვალე, ცეცხლის მფრქვეველი მოწინავე წერილები რუსეთის არმიის „ეშელონების“ დასაცავად და ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ მიმართული.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, როგორც ვიცით, ნოე ჟორდანიამ ამ ხანად მაინც გაიმარჯვა და გაიმარჯვა არა იმით, რომ მისი მთავრობის განკარგულებით ბალშევიკური „კავკაზსკი რაბოჩიც“ მოისპო და „ბრძოლაც“, არამედ იმით, რომ მენშევიკურ პრესას „ერთობის“ საშუალებით სიცრუე და სიყალბე შეჰქონდა მუშათა წრეებში და მათ თავის წვრილ-ბურჟუაზიულ დროშის ქვეშ მარჯვე მოტყუებით აყენებდა; ხოლო მეორე მხრით, არ იყო ასეთივე მჭრელი ბალშევიკური ქართული პრესა და ორგანიზაცია, რომელსაც ქართველ მუშათა მასების (რომელთაც მენშევიზმი ემყარებოდა ჩვენში), გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფხიზლდება და მენშევიკური სიცრუის, მოტყუების ხლართიდან დახსნა შესძლებოდა.

1918 წლის 10 თებერვალს „ალექსანდრეს ბაღში“ მენშევიკებისაგან რამდენიმე ქართველი მუშის ტყვიისმფრქვეველით დახვრეტა ეს ეაოი გამარჯვების აღსანიშნავი მხეცური სალიუტი იყო და არა სასოწარკვეთილების და შიშის გამოხატვა. მათ ჯერ ბალშევიკური პრესა მოსპეს—რედაქციები დაკეტეს და მერე ტყვიის მფრქვეველით ქართველი მუშები დააშინეს, ვინაიდან კარგად იცოდნენ, რომ მუშათა პრესას მუშებიეე თუ აღადგენენ, თვარა სხვა ვერავინ. მათი იმედი სრულებით გამართლდა.

მუშათა ქართული პრესა საქართველოს ასპარეზიდან სრულიად გაჭრა იმ დრომდე, ვიდრე ძლიერი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ძალდატანებით მენშევიკებისავე ხელით ციხის კარები არ გაუღეს ბალშევიკებს და ვიდრე მათვე „წყალობა არ გვიბოძეს“ და თვითონვე არ ინებეს, რომ ქართული ბალშევიკური გაზეთი გამოგვეცა.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება

= II =

მოგონებანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბელ ენუქიძე

რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური სტამბები'ს კავ ასიაში მოწყობისა და მუშაობის ისტორია 1900 წლიდან 1906 წლამდე*)

(მოხსენების სახით წაკითხული „ძველი ბოლშევიკების კლუბში"— მოსკოვში 1923 წლის იანვრის 14-ს).

არალეგალური ცენტრალური სტამბების მუშაობის მეორე ხანა ჩემი და კეცხოველის მეტეხის ციხეში ყოფნის დროს დაიწყო. ამ საქ'ის მთავარი ორგანიზატორი იყო ტრიფონ ენუქიძე, ანუ „ანხ. სიმონი", როგორც მას ეძახდნენ ორგანიზაციაში. 1899 წლიდან ამხ. სიმონი ჩვენი ბაქოს წრეების წევრად ითვლებოდა და სამუჯანის რაიონში არსებული ქარხნის „ვოტან"-ის წრის მომწყობი იყო. 1900 წლის შუა თვეებში მას მოუხდა ბაქოდან ეკატერინოსლავში გამგზავრება, სადაც ის ზეინკლად მუშაობდა ბრიანსკის ქარხანაში. ჩვენი დატუსაღების შემდეგ ამხანაგების გამოწვევით იგი დაბრუნდა ბაქოში და შეუდგა იმ საქმის აღდგენას, რომელიც კეცხოველისა და მისი ამხანაგების დატუსაღების გამო შეჩერებული იყო.

სტამბის გარეგანი ხელმძღვანელობა და აგრეთვე ყოველგვარი საჭირო და აუცილებელი საშუალებების მიწოდების საქმე იკისრა ამხ. ლ. ბ. კრასინმა, რომელიც მაშინ რ. ს.-დ. მ. პ. მეორე ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომისიის წევრად ითვლებოდა, ხოლო შემდეგ კი, პარტიის ცეკას რუსული ჯგუფის წევრი იყო.

ამხ. სიმონის უახლოესი თანამშრომლები სტამბის აღდგენისა და შემდეგი ორგანიზაციის საქმეში ის ამხანაგები იყვნენ, რომლებიც წინად ჩვენთან მუშაობდნენ: ლადო დუმბაძე, ივანე ბოლქვაძე, სილიბისტრო თოდრია და სხვები. ამ ამხანაგების დახმარებით სიმონმა შესძლო სტამბის საქმე მტკიცე ნიადაგზე დაეყენებია. ჯიბრაელისაგან ჩვენი მანქანის მიღების საქმე თავს იდვა მ. ს. ბაგდატიანმა. ბევრმა ჩვენმა ამხანაგმა არ იცის, თუ რა დიდ სამსახურს უწევდა ის თავის

*) დასასრული, იხ. „რევოლ. მატიანე" № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროზე ორგანიზაციას. ბაგდატიანმა მოხერხებულად და ლამაზად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და მანქანა დანიშნულ ადგილას მიიტანა. მე და ამხ. კეკბოველი მაშინ ციხეში ვიყავით და იქ გავიგეთ, რომ ჩვენმა სტამბამ ისევ განაახლა მუშაობა და ასრულებდა პარტიული ორგანიზაციის დავალებებს და დირექტივებს. ეს იყო ჯერ კიდევ პარტიის მეორე ყრილობამდე.

სტამბის საქმე ფართოდ იყო დაყენებული, იგი უზრუნველყოფილი იყო როგორც მატერიალური საშუალებებით, ისე მასალებით და ქაღალდით. მუშაობა მეტად ინტენსიურად მიმდინარეობდა.

1903 წლის დასაწყისში მუშათა მოძრაობამ რუსეთში ფართო ხასიათი მიიღო, სამხრეთ რუსეთში და ბაქოში მზადდებოდა მუშათა ცნობილი ზიფხულის გაფიცვები. ლიტერატურის მოთხოვნილება იმდენად გაიზარდა, რომ დაიბადა აზრი სტამბის გაფართოებისა ახალი, უფრო გაუმჯობესებული ტიპის მანქანის შეძენით.

პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ არალეგალური პარტიული ლიტერატურის დიდი რაოდენობით გამოცემის საქმე არსებით საკითხად გადაიქცა, ამხ. კრასინი კოოპტაციის საშუალებით მოწვეული იყო ცეკას რუსული ჯგუფის წევრად და მას დაეკალა საშუალებათა გამოძებნა და მიწოდება პარტიის არალეგალურ საქმიანობისათვის. მაშინდელ პირობებში ეს ფრიად რთული ამოცანა შესანიშნავად შეასრულა ამხანაგმა კრასინმა და პარტიის მეხუთე ყრილობამდე, ლონდონში, პარტიის მატერიალურ ღონისძიებათა შესახებ ზრუნვა უმთავრესად მასვე ქონდა დაკისრებული. (კრასინს ორგანიზაციაში მეტ-სახელად „ნიკიტიჩს“ ეძახდნენ).

ახალი მანქანის შეძენა დაეკალა ამხ. სიმონს, რომელმაც შეასრულა ეს საქმე „აურორ“-ის ფირმით არსებულ პიტარა ლეგალურ სტამბის მეპატრონის ოვანესიანცის მეოხებით. სიმონ ენუქიძეს ჰქონდა გიორგი მიხეილის ძე ლეჟავას სახელზე მიცემული პასპორტი, ეწოდა ლეგალურად ცხოვრებას, სულ მწარმოებელთა შორის ტრიალებდა და თავს ასაღებდა საზოგადოება „электрическая сила“-ს მოსამსახურეთ, სადაც ერთ-ერთ დირექტორად ამხანაგი კრასინიც იყო. სიმონმა აცნობა ოვანესიანცს, რომ მას დავალებული აქვს სტამბის მოწყობა საზოგადოება „электрическая сила“-ს საჭიროებისათვის და ერთგვარი ხელშეკრულებით შეეკრა ოვანესიანცს, რომლის ძალით საზღვარგარეთიდან მანქანა უნდა გამოეწერათ და აგრეთვე პეტერბურგში ლემანისგან შრიფტი და სხვა საჭირო მასალები შეეძინათ. და აი, განსაზღვრული საკომისიო თანხის გულისთვის „აურორას“ მეპატრონემ თავს იდვა ამ საქმის გაკეთება. მისი შემწეობით ამორჩეულ იქნა დუგსბურგის მანქანების მკეთებელ ჭარხნის პრეისკურანტიდან შესაფერისი მანქანა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეძენილ იქნა იგი ლეიპციგში 2.100 მანეთად. ეს მანქანა სრულიად „ახალი იყო, მსწრაფულ-მბეჭდავი, ბრტყელი მანქანების ტიპის და ისკრის“ ფირმატის ე. ი. ორმაგ ქაღალდის დაბეჭდვა შეეძლო. საშუალო სისწრაფით მუშაობის დროს იგი 1200 მეტი ფურცლის დაბეჭდას ასწრებდა საათში. როდესაც მანქანა მიღებულ იქნა ბაქოში, „აროორას“ ფირმის მეპატრონეს მადა მოუვიდა და სურვილი აღეძრა თავისი საკმაოდ მოძველებული სტამბა განეახლებია, სიმონისათვის კი ერთ-ერთი თავისი ძველი მანქანათაგანი სურდა მიეჩჩენია ხელში. და აი, როდესაც სიმონი მივიდა მასთან მანქანისათვის, ოვანესიანცმა კატეგორიულად განუცხადა მას:

— თუ განდა, აი, ეს ძველი მანქანა წაიღე, ახალს კი ვერ მოგცემო.

სიმონმა დაინახა რა წვრილი მეპატრონის სიჯიუტე და ურყევი გადაწყვეტილება, ბევრი ჩხუბი და ლაპარაკი აღარ დაუწყო მას, მხოლოდ უთხრა, რომ ის კიდევ იფიქრებდა ამ საქმის შესახებ და ორი დღის შემდეგ შემოივლიდა საბოლოო პასუხის მისაცემად.

ცხადად ეტყობოდა, რომ „აროორას“ მეპატრონის მოტეხა ყოველად შეუძლებელი იყო. მანქანა მისი ფირმის სახელზე იყო მოსული. ამასთანავე მას სტამბის განახლების დიდი სურვილი ჰქონდა. მანქანა სამ დიდ ყუთში იყო ჩალაგებული და ინახებოდა ერთ-ერთ საწყობში ბაქოს ერთ დიდ, მაგრამ ღამ-ღამობით სრულიად მიყურუებულ ქუჩაზე, ტელეფონის ქუჩის ახლოს. ეს ქუჩა საკმაოდ დაშორებული იყო იმ ქუჩიდან, სადაც სტამბა „აროორა“ იყო მოთავსებული. სიმონმა გადასწყვიტა სახიფათო ნაბიჯის გადადგმა.

რადგან კონსპირატიული ბინა ახალი სტამბისათვის უკვე ნაპოვნი იყო, მან ღამით ამხანაგების დახმარებით გასტეხა ის საწყობი, სადაც ინახებოდა საზღვარ-გარეთიდან მიღებული მანქანა და გადაიტანა იგი პირველ პარალელურ ქუჩაზე № 11 სახლში, სადაც ამ ჩვენმა მთავარმა არალეგალურმა სტამბამ იარსება მის ლიკვიდაციამდე. ე. ი. 1906 წლის იანვრამდე. საწყობის გატეხისა და ყუთების დატვირთის დროს ჩვენი ამხანაგები სიმონის მეთაურობით ისე თამამად მოქმედებდნენ, რომ იქვე ახლოს სადარაჯოზე მდგომ პოლიციელს სრულებით აზრადაც ვერ მოუვიდოდა ეფეი შეეტანა მათ მოქმედებაში. ერთი მძიმე ყუთის დატვირთვის დროს ერთერთმა ამხანაგთაგანმა, მგონი ივანე სტურუა, პოლიციელსაც კი მიმართა დახმარებისათვის:

— пособи земляк.— შესძახა მას. პოლიციელიც სიამოვნებით დაეშმარა.

როდესაც სტამბის პატრონმა გაიგო მანქანის მოტაცების ამბავი, ძალიან გაჯავრდა და სიმონს სიკვდილით დაემუქრა, მაგრამ როდესაც პასუხად ასეთიეე დამუქრება მიიღო, იძულებული გახდა გაჩუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულიყო. ბოლოს და ბოლოს საქმე სიმონისა და სარქის ოვანესიანცის შორის სრული შერიგებით გათავდა. და კიდეც დამეგობრდენ. ასე რომ, შემდეგშიაც მისი ფირმით ესაარგებლობდით ხოლმე ყოველ-ვარი მასალების შესაძენად.

ის სახლი, სადაც მანქანა გადაიტანეს, სავსებით წააგავდა თათრის პატარა სახლს, ცალკე პატარა ეზოთი, რომელსაც მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. ამ სახლში იყო სამი დიდი ოთახი, ორი აზიური სამზარეულო ოთახი და ერთიც პურის საცხობი. ერთი ოთახი, რომელსაც ქუჩისაკენ ჰქონდა გასავალი, მოწყობილ იქნა სავაჭრო დუქნათ, რომელიც ქალაქდის, საღებავების მისაღებ და ლიტერატურის გადასაცემ ადგილათ ითვლებოდა. საჭირო გახდა ამ სახლის სრულიად აღება იჯარით, რადგან ყოველი კერძო ადამიანის ახლო მეზობლობა, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ფრიად საშიშო იქნებოდა.

სტამბის ახალ ბინაზე გადატანის დროს შეუფარდდა ჩემი ციხიდან განთავისუფლების დროც, თუმცა ბაქოში დარჩენის ნება არ მომცეს და სოფელში გადამასახლეს ადმინისტრაციის ზედამხედველობის ქვეშ.

რამდენიმე ხნის შემდეგ მთავრობამ განიზრახა ჩემი ხელახლა დატუსაღება, რადგან უკვე გამოეტანათ განაჩენი ჩემი აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლების შესახებ. მე წინდაწინ გამაფრთხილეს ამის შესახებ და ამიტომ გაქცევა ადგილათ მოვახერხე. როდესაც ისევ დაბრუნდი ბაქოში არალეგალურად საცხოვრებლათ, ორგანიზაციის სახელით წინადადება მომცეს დროებით ისევ სტამბაში მემუშავა. ჩემი მისვლის დროს მანქანა უკვე გამართული იყო ახალ სადგომში, საჭირო იყო მხოლოდ სტამბის შემდეგი მოწყობა.

ეს იყო დაახლოვებით 1903 წლის შემოდგომაზე, ე. ი. უკვე პარტიული ყრილობის შემდეგ. ამ სტამბას განსაკუთრებული დავალებები დაეკისრა და ამიტომ ამხ. სიმონს წინადადება მიეცა რეჟიმის, კონსპირაციის და შინაური წყობიღების მხრით სტამბის საქმე სულ ახალ ნიადაგზე დაეყენებია. თავიდანვე დადგენილ იქნა შეეკრიბათ მომუშავეთა განსაზღვურული კადრი, რომლებიც თავიდანვე დასთანხმდებოდენ დამორჩილებოდენ ყველა იმ წესებს, რაც შემოღებული იქნებოდა სტამბის მართვისა და მუშაობის საქმეში. პირველი შტატი შესდგებოდა 8 კაცისაგან, რომელთა რიცხვში ვიყავი მეც. მაგრამ თავდაპირველად მუშაობა სრული ტემპით ვერ გაჩაღდა, რადგან დიდი დრო დასჭირდა სტამბის მოწყობას. აღსანიშნავია, რომ თავიდანვე უკლებლივ ტარდებოდა ცხოვრებაში საორგანიზაციო რეჟიმი, რომელიც არ დარღვეულა შემდეგი ორი წლის განმავლობაშიაც. თუ რას წარმოადგენდა ეს რეჟიმი, ამის შესახებ შემდეგ ვილაპარაკებ. ჯერ კი გაგაცნობთ ამ სტამბის მოწყობილობას.

ამხ. აბელ ენუქიძე

...სტამბის დაარსებიდან მის ლიკვიდაციამდე მეფმოვეთ შემდეგი ამხანაგები ემუშაობდით: ივანე ბოლქვაძე, ელადიმერ ფეშბაძე, სილიბისტრო თოდრია, ყარამან ჯაში, ივანე სტურუა და მე... გვ. 72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც უკვე ვთქვი, მანქანა იყო სრულიად ახალი, საზღვარგარეთიდან მიღებული და ჰქონდა ყოველგვარი მოწყობილობა და სასტამბო მორგვების (валики) ჩამოსასხმელი მოდელებიც კი. მალე ჩვენ მიერ შეძენილ იქნა სტერეოტიპული საბეჭდავი დაზგაც. საკაზმავი და საპრელი მანქანებიც, ერთი სიტყვით, სტიმბა ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით იყო მოწყობილი. სახლი აღებული იყო ოჯარით მთელი წლის ვადით. საჭირო იყო მხოლოდ ჩვენი ეზოს ფარგლებში შეგვეძნა ისეთივე წყნარი ატმოსფერა, როგორიც გამეფებული იყო გარშემორტყმულ მეზობელთა შორისაც. ქუჩა საკმაოდ წყნარი იყო, ხალხის მოძრაობა სუსტი, მხოლოდ ჩვენი სახლის პირდაპირ მოთავსებული იყო თათრის რამდენიმე პატარა დუქანი, სადაც ხშირად იკრიბებოდენ ხოლმე მუსულმანები, რის გამოც იქ გამვლელი ყოველი გარეშე პირი, არა მაჰმადიანური შეხედულებისა, იქცევდა მათ ყურადღებას. ეს რაიონი ქალაქის განაპირა ტბანში იყო მოქცეული და დასახლებული იყო ძარტოდმარტო მაჰმადიანებით. სახლი ოფიციალურად დაიქირავა ამხანაგმა სიმონმა და დასახლდა იქ თავისი „ძმითა“ და „დედით“. რასაკვირველია, არა ნამდვილი დედითა და ძმით, მაგრამ ყველა საბუთები ჩასაწერად კანონიერად იყო შედგენილი. სიმონი დრო გამოშვებით ქალაქში მიემგზავრებოდა თავისი „დედით“ და იქიდან დაბრუნებისას შეივლიდა ხოლმე ჩვენი სახლის პირდაპირ არსებულ თათრების დუქნებში სხვადასხვა საოჯახო ნივთების და მასალების სასყიდლათ, რის დროსაც განსაკუთრებულ მზრუნველობას და პატივისცემას იჩენდა ხოლმე „დედი“-სადმი, რითაც ძოხუცი-მუსლიმანების მხრით დიდი მოწონება და კეთილი განწყობილება დაიმსახურა, რადგან მათ ასეთი მოპყრობა დედისადმი ძალიან მოსწონდათ. ყველა ამ ზომების შემწეობით სიმონმა მალე შესძლო ჩვენი სახლის გარშემო კეთილ-მეზობლური განწყობილება შეექმნა. ეს ამბები სწორედ იმ დროს ხდებოდა, როდესაც დამოკიდებულება სომხებსა და თათრებს შორის თანდათან მეტად ავდებოდა, რასაც საგრძნობლათ უწყობდა ხელს მთავრობის პოლიტიკა. მუსლიმანების განწყობილება ქართველებისადმი ყოველთვის კარგი იყო, მაგრამ ამ ხანაში ეს კეთილი დამოკიდებულება განსაკუთრებულად ხაზგასმით გამოსჭვივოდა. ჩვენს გარშემო მცხოვრებმა ყველა მეზობელმა კარგად იცოდა, რომ სიმონი და მისი ოჯახი ქართველებისაგან შესდგებოდა. ჩვენ კი სტამბაში მომუშავე დანარჩენ ამხანაგებს უფლება არ გვქონდა ვინმეს დავნახვებოდით: გარშემორტყმულ ხალხისათვის ჩვენ არ ვარსებობდით. არავინ არ იცოდა ამ სახლის მისამართი. პირველ ხანებში არ იცოდა ეს არც ლ. ბ. კრასინმა, რომელსაც ერთად-ერთს ჰქონდა კავშირი ანბ. სიმონთან და რომლის შემწეობითაც სწარმოებდა ყოველგვარი დამოკიდებულება დანარჩენ ამხანაგებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბამ დაიწყო მუშაობა 1903 წლის 1 ნოემბერს. პირველად დაიბეჭდა ცალკე ფურცლად წერილი „Искры"-დან—Извещение о 2 с'езде Российской социал-демократической партии". ეს წერილი საზღვარ გარეთიდან გამოგვიგზავნეს ფოტოგრაფიულად გადაღებული ჰატარ-პატარა ფურცლებზე.

ამბანაგები ალბათ შეამჩნევენ, რომ ეს სტამბა თავიდანვე თითქოს ახალ „Искра"-ს ემსახურებოდა. უნდა ითქვას, რომ იმ ხანებისთვის უკვე მწიფდებოდა ის განხეთქილება პარტიაში, რომელიც მეორე ყრილობაზე ჩაისახა.

როგორც ცნობილია, 1905 წლის გაზაფხულამდე „Искра" ითელებოდა პარტიის ცენტრალურ ორგანოთ და სტამბა ასრულებდა არა მარტო ახალი „Искра"-ს მიმართულების დავალებებს, არამედ იქ ყველაფერი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცალკე ჩვენებით იბეჭდებოდა; ამ მასალებს ცეკა თავისი წევრების საშუალებით გვაწოდებდა, სწორედ ცეკას იმ წევრების საშუალებით, რომლებიც შემდეგ ბოლშევიკურ ფრაქციას ეკუთვნოდნენ. ესენი იყვნენ აწ უკვე განსვენებული ამხანაგი გლებოვი (ნოსკოვი), ც. კ. მიერ არჩეული პარტიის მეორე ყრილობაზე და ლ. ბ. კრასინი,—ც. კ. რუსული ჯგუფის წევრი.

მაგრამ ჩვენ მალე დავრწმუნდით, რომ სტამბას მომავალში აღარ შეეძლო იმ პირობებში მუშაობა, როგორშიც ეს მაშინ გვიხდებოდა. ეს პირობები შემდეგნაირი იყო: ერთი ოთახი დათმობილი გვქონდა მანქანისათვის და ასაწყობი რეალებისათვის. მთელი პროცესი ბეჭვდისა, აკაზმვისა და გასაგზავნი ლიტერატურის ჩაწყობისა ამ ერთ ოთახში იყო მოთავსებული. სახლი რომ გაეჩხრიკათ, მთელი საქმე ერთბაშად დაიღუპებოდა.

სტამბის მომუშავეთა მხრით ყველა ზომები იყო მიღებული, რომ არაფრით არ მიეტანათ ყურადღება არც კერძო პირთა და, მით უმეტეს, პოლიციელებისა და შპიკებისა, რომლებიც შემოხვევით ჩვენი სახლის ფანჯრებთან გაივლიდენ. არც ერთ ჩვენთაგანს არ ჰქონდა უფლება დღით გამოსულიყო იმ ოთახებში, რომელებთა ფანჯრებიც ქუჩისაკენ გადიოდა. დღით ყველა ჩვენი ნივთები და ლოგინი იმ ოთახში გადაგვქონდა, სადაც მანქანა იყო მოთავსებული. ყველა ოთახები, გარდა სამანქანო ოთახისა, ისე იყო მოწყობილი დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე, რომ სრულიად უშიშრად შეიძლებოდა მათში კერძო პირის შეყვანა. ჩვენი სამუშაო ოთახი კი, რასაკვირველია, კერძო პირთათვის მიუწდომელი იყო. თუ კი ვინმე მოისურვებდა იქ შესვლას, ის სამონისა და „დედა მისის" მიერ ქალების ოთახად საღდებოდა. მუსლიმანების მიმართ ეს სრული გარანტია იყო იმისთვის, რომ არ მოესურვებიათ იქ შესვლა. რუსის პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიციელებისა და მოხელეების უმრავლესობაც, რომლებიც დიდი ხანი ცხოვრობდენ ბაქოში და ამ ჩვეულებას იცნობდენ, პატივს ცემდენ მას და თითონაც იცავდენ. მაგრამ თუ გასაჩხრეკად მოვიდოდენ, ცხადია, ასეთი განცხადება საქმეს ვერ უშველიდა. ელექტრონის ზარებით ნიშნების გადაცემის საქმე კარგად გვქონდა დაყენებული. ჩვენები ქუჩიდან ყოველთვის განსაკუთრებული სახით რეკდენ ხოლმე და ჩვენც ვიცოდით ეს. ზარის უცხო რაწკუნზე მსწრაფელ ვანგებებდით თავს მუშაობას და მივაყურებდით, თუ ვინ მოვიდა. კერძო პირებს კარებს აუცილებლად სიმონი უღებდა, ან კიდეე, თუ ის შინ არ იყო, მისი „დედა", „და" ან „ძმა", ე. ი ის პირები, რომლებიც კანონიერად იყვენ გაწერილნი, როგორც ამ სახლში მცხოვრებნი. მომსვლელებს შეადგენდენ ჩვეულებრივად: მეწყლე, მეეზოვე, რომელსაც ყოველ სამ დღეში ნაგავი გაჰქონდა, ხშირად გვაწუხებდენ აგრეთვე მეწვანილეები, ხილის გამყიდველები, დამტარებლები, სხვადასხვა ჯურის ვაჭრები და მეგაზეთე. ერთხელ სიმონს ეწვია უბნის მეთვალყურე, გაიცნო მას და ყოველგვარი დახმარება აღუთქვა, თუ რაიმე საჭიროება იქნებოდა; ის ყველა მუსლიმანს ქურდად და ყაჩაღად თვლიდა. დღესასწაულებში მოდიოდენ აგრეთვე პოლიციელებიც მოსალოცად, ორჯერ ქალაქის გამგეობის აგენტიც მოვიდა ასაწერად და სხვა ასეთები. ყოველგვარი ასეთი სტუმრობის შესაძლოება ჩვენ მიერ ადრევე იყო გათვალისწინებული და საამისოდ ჩვენ განსაკუთრებული რეგლამენტი გვქონდა შემუშავებული, რომელიც მთელი სისტემაკით ტარდებოდა ცხოვრებაში.

ერთმა ასეთმა სტუმრობამ ძალზე დაგვაფრთხო და საბოლოოდაც გადაგვაწყვეტია სტამბის სამანქანო განყოფილებისათვის და მუშაობისათვის უფრო საიმედო ბინა გამოგვეძებნა. ერთ დილას, ეს იყო მუსლიმანების დღესასწაულის ნოვრუზ-ბაირამობის დროს, რომელიც ჩვენი დღესასწაულის ხარების დღეს მოხვდა, სიმონთან მოვიდა სახლის პატრონი, პატივსადები მაჰმადიანი, საჩუქრად თავ და რქებ შეღებილი მშვენიერი ვერძი მოიყვანა, და გამოუცხადა სიმონს, რომ მან მექაში გამგზავრება გადაწყვიტა და ამის გამო უნდა თავისი სახლი ერთ მის შორეულ ნათესავს მიჰყიდოს, რომელიც რამოდენიმე საათის შემდეგ თავისი ძმებით მოვიდოდა სახლისა და ეზოს დასათვალიერებლად. სიმონს ელდა ეცა ასეთი მოულოდნელი ამბის გაგონებაზე, დაიბნა და ერთბაშად მოიწყინა, მაგრამ ყველა ეს მალე სტუმარს იმგვარად აუხსნა, თითქოს ძალიან საწყიბდა განშორებოდა ისეთ პატივსადებ და პატივსაცემ სახლის პატრონს, როგორიც ის იყო. სახლის პატრონზე ძალიან იმოქმედა ასეთმა ყურადღებამ და იქვე დააწყნარა სიმონი იმით, რომ ახალი სახლის პატრონი ძალიან კარგი და პატიოსანი კაცია, ის—ჰაჯია, მექაში ნამყოფი და სხვა ასეთები. ჩვენი სახლის პატრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისათვის მექაში წასვლა და ჰაჯის ტიტულის მიღება დიდი ოცნებ-ბის საგანი იყო. სიმონი შეეკითხა მას, ხომ არ მოისურვებდა ახალი სახლის პატრონი ჩვენგან ბინის განთავისუფლებას, რაზედაც მან უპასუხა, რომ მყიდველს მრავალი სხვა სახლები აქვს და რომ, პირ-იქით, ის თვითონ არის დაინტერესებული, რომ ბინიდან არ გაეჭცეს მისი მცხოვრები გურჯი (ქართველი).

სტუმრების მოლოდინში ჩვენ ყველანი სამანქანო ოთახში გა-დავსახლდით. კარები და დარაბები, რომლებიც ეზოსაკენ იყურებო-დენ, კარგად დაეხურეთ და სტუმრობის შედეგს ველოდით. დაახლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთსართულიანი იყო და არც სარდაფი ჰქონდა. ჩვენი სახლის ერთ-ერთ ყრუ კედლის იქით მიშენებული იყო საკმაოდ დიდი თაღლა და თივის შესანახი შენობა. თაღლას წინ პატარა ეზო ჰქონდა, რომელიც აგრეთვე მაღალი ღობით იყო შემოვლებული. გრძელი თაღლა ერთი თავისი ბოლოთი ქუჩაში გადიოდა და იქ სამი პატარა ოთახით თავდებოდა. იმ ხანებში თაღლაში ორი ცხენი იყო. თაღლის ერთი ნაწილი მათი საკვებით იყო დაკავებული, მეორე-კი, რომელიც სამკუთხი მოედნით თავდებოდა, ცარიელი იყო. ეს უკანასკნელი ჩვენს საპანქანო ოთახს ეკვროდა. ამ თაღლის პატრონის შვილი ახალგაზრდა თოთარი ჰასანი სიმონის ნაცნობი იყო და ზოგჯერ სტუმრადაც მოდიოდა მასთან. ერთხელ სიმონი თვით მივიდა მასთან, თითქოს ცხენების შებმისათვის უნდოდა ეყურებია და მასთან ერთად გაისეირნა ქალაქში. ჰასანმა სიამოვნებით მიიღო სიმონი, რის შემწეობითაც სიმონმა შესძლო დაწვრილებით დაეთვალიერებია თაღლაც, ეზოც და ის სამი ოთახიც, რომელიც მაშინ მხოლოდ მეჯინიბეს ეკავა. თაღლის მეორედ დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ მისი იატაკი ორი არშინით უფრო დაბლა იყო, ვიდრე ჩვენი სახლის იატაკი. საქმის დაწვრილებით გაცნობისა და მსჯელობის შემდეგ ჩვენ საუკეთესოდ ვსცანით თაღლის ცარიელი ნაწილი ან იჯარით აგვეღო, ან კიდევ გვეყიდა და იგი ჩვენი მიზნებისათვის გამოგვეყენებია. ერთ დამეს ჩვენი სახლის სახურავიდან კარგად შევისწავლე თაღლის ადგილ—მდებარეობა და იმ დასკვნამდე მივედი, რომ თუ თაღლის დასახელებულ ნაწილს იჯარით ავიღებდით, შესაძლებელი იყო მიწის ქვეშ გასავლის გაკეთება და იქიდან მანქანისა და მუშაობისათვის სხვა საჭირო მოწყობილობის იქ გადატანა. სიმონი შეუდგა ამ სახლის ყიდვის შესაძლოების გამოკვლევას. პირველად მან სიტყვა გადაუკრა ჰასანს იმის შესახებ, რომ მას სჭირდებოდა პატარა საწყობი ზოგიერთი მასალების დასაწყობათ, რომელთა გადამუშავებას ის აპირებდა. ჰასანსაც და სხვა მუსლიმანებსაც ყოველ მოხერხებულ შემთხვევის დროს სიმონი უყვებოდა, რომ მას განზრახვა აქვს გახსნას თაღლის სახლთან პატარა სახელოსნო ნახშირის სანთლების საკეთებლათ ელექტრონული ფარნებისათვის, რომ მას შეკვეთილი აქვს დიდი პარტია ასეთი სანთლებისა ქალაქის გამგეობისაგან და საზოგადოება „электрическая сила"-საგან. ასეთ ხმებს ჩვენ განგებ ვავრცელებდით, რომ მეზობლებს ეჭვი არ აეღო იმის შესახებ, რომ ჩვენ სახლში ხშირად მოჰქონდათ და გაჰქონდათ მრავალი ყუთი, ქაღალდი, საღებავები (და დაბეჭდილი ლატერატურა, ყუთებში ჩაწყობილი, ურმებით მოჰქონდათ და მიჰქონდათ; რასაკვირველია, მეურმე ჩვენი კაცი იყო, საიმედო. ზოგიერთი მოლაპარაკების შემდეგ ჰასანმა ამცნო სიმონს, რომ მამა მისი თანახმაა გაყიდოს მთელი თაღლა თავისი ეზოთი და ოთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებით 2.000 მანეთად და ამასთანავე, თუ ის დასთანხმდებოდა თავ-ლის ის ნაწილი მისთვის მიეკერავებია, რომელიც მას ფაქტიურად ეჭირა, საიჯარო ქირად წელიწადში 150 მანეთს მისცემდა. მას შემ-დეგ, რაც ამ სახლის ყიდვა გადავწყვიტეთ, ჩვენ მოვთხოვეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს იმ 2 000 მანეთის მოცემა, ორმელიც სახლის სასყიდლათ იყო საჭირო. თუმცა პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ პარტიის სალაროში საკმაოდ შემოდიოდა ფული, მაგრამ მიუხედავათ ამისა, 2.000 მანეთის ერთბაშად გაღება მაინც ძალიან ძნელ საქმეს წარმოადგენდა. როდესაც სიმონმა მოიწადინა ლ. ბ. კრასინის საშუალებით ამხანაგებთან ამაზე ლაპარაკი, მრავალი მათგანი უარყოფითად შეხედა ამ განზრახვას. სიმონი ხელკარიელი დაბრუნდა. ამის გამო ჩვენ თათბირი გავმართეთ, რომელზედაც გა-დაწყდა მე გავეგზავნეთ ღამით ძველ ამხანაგებთან, რომ მაცთვის დაწვრილებით გამეცნო სტამბის სერიოზიული მდგომარეობა, რომ-ლის მოწყობაზე უკვე საკმაოდ დიდი თანხა იყო დახარჯული და რო-მელიც სულ ადვილათ დაიღუპებოდა უბრალო ჩხრეკაც რომ მოეხ-დინათ. მე ღამით გავემგზავრე მოცემული მისამართით და იქ შეე-ხვდი შემდეგ ამხანაგებს: კოზირენკოს, ეკატერინა კიცს, ნ. მ. ფლე-როს, ი. ე. გუკოვსკის და ლ. ბ. კრასინს. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ აწ უკვე განსვენებულმა ამხანაგმა გუკოვსკიმ გადაწერით გა-ნაცხადა, რომ იმ მრავალი ხარჯის შემდეგ, რომელიც ამ სტამბის მოწყობაზე იყო გაწეული და იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომე-ლიც ამ საქმეს ჰქონდა, არ ღირდა ისეთი თანხისათვის უკან დახევა, რასაც 2.000 მანეთი წარმოადგენდა. მან წინადადება მოგვცა, რომ თუ პარტიის სალაროში ამ ჟამად არ მოიპოვებოდა აღნიშნული თან-ხა, გვესესხა იგი ბაკოს ქალაქის გამგეობის სალაროდან, სადაც ის მაშინ ბუჰგალტერად მსახურობდა. ქალაქის თავად მაშინ იყო ცნობი-ლი ნაროდნიკი ა. ი. ნოვიკოვი. გუკოვსკი ბუჰგალტრად მის მიერ იყო მოწვეული და როგორც გუკოვსკის, ისე დანარჩენ ჩამოთვლილ ამხა-ნაგებსაც ის დიდის ნდობითა და პატივისცემით ეპყრობოდა, რო-გორც რევოლიუციონერი რევოლიუციონერებს, თუმცა სხვა და სხვა მიმართულებისანი იყვენ. გუკოვსკიმ მართლაც მოახერხა იმ 2.000 მა-ნეთის სესხად აღება, რომელიც, მგონი, ერთი თვის შემდეგ ისევ და-უბრუნა ქალაქის სალაროს ლ. ბ. კრასინმა, მთავარმა მოლარემ და საზოგადოთ პარტიის ყოველგვარ მატერიალურ საღსართა აღმომჩენმა. მალე ახალი სახლი (ყოფილი თავლა) ჩვენ მიერ შეძენილ იქნა თით-ქოს იმ მიზნისთვის, რომ იქ საწყობი უნდა გაგვეღო. ყიდვის შემდეგ ყოფილი თავლა დაწვრილებით შევისწავლეთ და გამოირკვა, რომ იგი საკვების საწყობიდან კაპიტალური კედლით იყო გაყოფილი. ამ ნაწ-ილიდან ეზოში გასასვლელი კარები კი ქვებით იყო ამოვსებული. ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგად თავლის ის სამკუთხი ნაწილი, რომელიც უშუალოდ ჩვენ სამანქანო განყოფილებას ეკედლებოდა, სრულიად ცარიელი იყო და განგებ თითქოს სპეციალურად ჩვენი არალეგალური საქმისათვის გაეკეთებია. ყიდვის გარიგება შესრულდა აპრილის დასაწყისში და მე მომიხდა აპრილის დამლევამდე შემომუშავებია მიწის ქვეშ გამავალი ხვრელის გეგმა და შემედგინა ყველა იმ ნივთებისა და მასალების სია, რომლებიც საჭირო იქნებოდა ახალი სადგომის მოსაწყობათ, ხვრელის გასაყვანად და კედლების შესაკეთებლად, რადგან გადაწყვეტილი იყო ჩვენი სახლის კედელი გაგვეხვრიტა, მანქანა დაგვეშალა და ნაწილ-ნაწილად გადაგვეტანა ახალ სადგომში პირდაპირ ჩვენი ოთახიდან. საჭირო მასალები, როგორც მაგალითად აგური, თიხა, ფიცრები, ფოლადის ღეროები და სხვ თანდათანობით მოჭქონდათ ჩვენ სახლში პატარ-პატარა პარტიებათ. ყველა ამ მასალებს ჩვენ სახლის ეზოში ვაწყობდით და ვინახავდით. შევიძინეთ აგრეთვე სატეხი, რკინის ბარი და სხვა ინსტრუმენტები. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვეულებრივი მუშაობა სტამბაში თავის რიგით მიმდინარეობდა. მაისობის წინა ხ.ნებში ჩვეულებრივ ც. კ.-დან მრავალი მასალები მოდიოდა ხოლმე დასაბეჭდათ. ამ დროს უკვე დაწყებული იყო რუსეთ-იაპონიის ომი და ამიტომ ომის შესახებ მრავალი საჩქარო ფურცლები იყო დასაბეჭდი. ც. კ. მიერ მარტო სამაისო ფურცლები გვქონდა შეკვეთილი 200.000 ცალამდე, რომლებიც სხვადასხვა პარტიულ ორგანიზაციებს უნდა დაგზავნოდათ. სხვათა შორის საპირველმაისო ფურცელი 1904 წლისათვის შედგენილი იყო რ. ს.-დ. მ. ჰ. ც. კ. რუსული ჯგუფის წევრის მაქსიმ გორკის მიერ. ფურცელი თუმცა პატარა იყო, მაგრამ ძალზე შინაარსიანი. ის 200 000 ცალმეტი დავბეჭდეთ თხელ საპაპიროსე ქაღალდზე მსხვილი და ზე გარკვეული ბრიფ ჭით. ჩვენ გადავწყვიტეთ ყველა საჩქარო სამუშაო 1 მაისისათვის გაგვეთავებინა და შემდეგ ერთი კვირით შეგვეჩერებია მუშაობა, რომელიც ჩვენი ანგარიშით მანქანის ახალ ბინაზე გადასატანათ და მის მოსაწყობათ გვინდოდა გამოგვეყენებია.

1 მაისს, ძველი სტილით, რომელსაც რუსეთის პროლეტარიატის უმეტესი ნაწილი დიდის ამბით დღესასწაულობდა, ჩვენ დილა ადრიანად შევუდექით კედლის გახკრეტას ჩვენი ოთახიდან ახალ ბინისაკენ. გამოუცდელ კალატოზებისათვის ქვის კედლის გატეხა საკმაოდ ძნელი სამუშაო გამოდგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი ახალგაზდური ენერგიის და გატაცების წყალობით მაინც შეეძელით შუადღემდის კედელი იმდენ:დ გაგვეხვრიტა, რომ ახალ ბნელ სადგომში გადაძრომა შეგვეძლო და საშუალება მოგვეცა თავისუფლად დაგვთვალიერებია და შეგვესწავლა იგი ყოველ მხრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავლის იმ ნაწილში, რომელიც გადაწყვეტილების თანახმად ჩვენ ბინას უნდა შემოერთებოდა, იატაკი მიწის გამოდგა. საღამომდე ჩვენ ცოტათი კიდევ გავაფართოვეთ კედლის ნახვრეტი და მთელი მანქანა ნაწილ-ნაწილ გადავიტანეთ ახალ სადგომში, სამუშაო ბორბლის გამოკლებით, რომელიც მთლიანი ნაჭრისაგან იყო გაკეთებული და რომლის დიამეტრიც ;;ორ მეტრს უდრიდა. დროებით პორბლის გვერდზე გადადება დაგვჭირდა. ახალ სადგომში ჩვენ უპირველეს ყოვლისა. მანქანის ქვედგამის კეთებას შეეუდექით. ჩემი ტეხნიკური განათლება და წინანდელი პრაქტიკა პირველად აქ გამომადგა, ამ საქმირო და სასარგებლო საქმის კეთების დროს. თუმცა თეხის, მაგრამ მაინც მოვახერხე მანქანისათვის ორი აგურის სისქის (კუთხეებში 4 აგურის) მტკიცე ქვედგამის გაკეთება. შემდეგმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ საფუძველი მართლაც მტკიცედ იყო გაკეთებული. დანარჩენი იატაკი უბრალოდ დავტკეპნეთ, ზოგან კიდევ აგურებითაც მოვფინეთ. ერთ მხარეზე, გარდიგარდმო, კედლის გასწვრივ, თაროები მოვაწყეთ სუფთა ქაღალდის და დაბეჭდილი ლიტერატურის დასაწყობად. იქვე გადავიტანეთ სამი კასა (ასობის ყუთები), ორი სკამი, რომელთა დამლა და ხელახლა აწყობა დაგვჭირდა, საკაზმავი მანქანა და სხვა მოწყობილობანი.

კედელ'ში გაკეთებული ნახვრეტი საღამომდის ისევ ამოვავსეთ და შევლესეთ. აძრიგად მანქანა და სტამპის მთელი მოწყობილობა ალესილ კედლის იქით მოვაქციეთ, ბორბლის გამოკლებით, რომელიც ეზოში გავაგორეთ და ნაგავის ქვე'მ დავმაღ.ეთ. ამის შემდეგ ჩვენ უმთავრეს საზრუნავ საგანს შეადგენდა სტამბისაკენ გასავალის გაკეთება, რომელიც ისეთნაირად უნდა მოგვეხერხებია, რომ ჩვენი საცხოვრებლის ლეგალური ნაწილი კიდეც რომ გაეჩხრიკათ, იგი შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ამ მიზნისათვის ჩვენ გამოვიყენეთ ერთ-ერთი იმ ორ ბაქანთაგანი, რომელიც ჩვენ წინანდელ სამუშაო ოთახში მოიპოვებოდა. ამ ბაქნებს ბიგნიდან გამოფენილი ჰქონდათ ხის კედლები, ძირი კი ქვისა ქონდათ, კარგად შელესილი და შეღებილი. ჩვენ;; სწორედ ამ ძირს მივადექით და ვერტიკალურ მიმართულებით დავუწყეთ მას ხვრეტა, სანამ საძირკველის ბოლომდე არ ჩავედით, ე. ი. სანამ მიწას არ მივაღწიეთ. ჩვენდა სასიხარულოდ ეს მიწა თითქმის ყოფილი თავლის იატაკის გასწვრივ მოხვდა. ბაქნის ძირი თავისი ზომით სრულიად საკმარისი გამოდგა თავისუფლად გასასვლელად და ყოველგვარი საჭირო მასალის გასატან-გამოსატანად. ახლა საჭირო იყო ეს გასავალი იმგვარად შეგველამაზებია, რომ ეჭვის აღება შეუძლებელი ყოფილიყო. ამ მიზნით გავაკეთეთ ხის დიდი პლიტა და მისი ერთი მხარე იმნაირად შევლესეთ, რომ იგი, ჩადგმული ამ ნახვრეტში ისეთივე შეხედულების ყოფილიყო, როგორიც მეორე ბაქ-

ამხ. ლ. ბ. კრასინი

...სტალინის გარეგანი ხელმძღვანელობა და აგრეთვე ოფიციალური საქმეთა და აღიარებული საშუალებების მიწოდების საქმე ეკისრა ამხ. ლ. ბ. კრასინს... გვ. 53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ძირი იყო. ბევრი შრომა და ჯაფა დაგვჭირდა, რომ ერთი მხრივ ეს ხის ზედაპირი შესაფერად შეგველესა და მეორეს მხრით იმისთვის მიგვეღწია, რომ ხელოვნურ ძირს და ნამდვილ ბაქნის ძირს დარტყმევით ერთნაირი ხმა გამოეცათ. შემდეგ ეს დაფა ლ. ბ. კრასინის რჩევითა და ნახაზების შემწეობით ისეთნაირად მოვაწყვეთ, რომ იგი სრულიად თავისუფლად ადი-ჩადიოდა ჩვენ მიერ გაკეთებულ ნახვრეტში. ამასთანავე ბრავალი ცდების შემდეგ იმასაც მივაღწიეთ, რომ შეღესილი ნაწილი ისე კარგად ეკერებოდა ნახვრეტის კედლებს, რომ თავიდან შეხედვით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა გაგერჩიათ, რომ ეს ხელოვნურად გაკეთებული და მოძრავი ძირი იყო. პირველ ხანებში ბაქანის ძირს ღიად ვსტოვებდით და თავისუფლად გავდიოდით ახალ სადგომში. მალე გასავლის კედლებიც ყოველ მხრით შევლესეთ, მაგრამ თუ ვინმე გვესტუმრებოდა ან ზარის უცხო რაწკუნს გავიგონებდით, მსწრაფლად გავდიოდით არალეგალურ სადგომში, იქიდან მოვხურავდით ჩვენი ბაქანის ძირს და მტკიცე სამფეხს შევუყენებდით ქვევიდან. როდესაც ყველაფერი თავის რიგზე მოვაწყვეთ, მანქანაც ავაწყვეთ და სტამბაში ყველაფერი თავის რიგზე დავალაგეთ, გადავწყვიტეთ უახლოეს კვირა დღეს იქ ბორბალიც გაგვეტანა, ურომლისოდაც მუშაობა შეუძლებელი იყო. ბორბალის გადასატანად უკვე სამზარეულოში მოგვიხდა კედლის გახვრეტა. დილადანვე შევუდექით კედელში ვიწრო და გრძელი ნახვრეტის გაჭრას, ბორბალის ზომის მიხედვით და ჩვენდა სასიხარულოდ, საღამომდის უკვე ყველაფერი მზად იყო. ბორბალიც გავიტანეთ და კედელიც ხელ-ახლა ამოვავსეთ. მეორე დილიდან კი სტამბაში ჩვეულებრივი მუშაობა გაჩაღდა.

სამზარეულოში ახლად ამოვსებული, შელესილი და კირით შეთეთრებული კედელი რომ დაგვეფარა, შევუდექით მისი ხელოვნური ცეცხლით გაშრობას; მაგრამ, როდგანაც, მიუხედავათ ამისა, განახვრეტ ადგილუბში ზოლი მაინც ემჩნეოდა, მთელი კედელი კვამლით ისე შეემურეთ, რომ მას მთლიან დ ერთნაირი შესახედაობა ჰქონოდა და ეჭვის აღება შეუძლებელი ყოფილიყო. ერთი სიტყვით, ყველა საეჭვო ადგილს ისეთნაირი გულმოდგინებით ეფარავდით, რომ გაჩხრეკის დროს თვალში არავის სცემოდა. თვითეული ჩვენთაგანი გამჩხრეკელი ანდარმის სახეს მიიღებდა ხოლმე და ამა თუ იმ შენიშვნებს იძლეოდა. რასაკვირველია, ასეთ ადგილებს სასწრაფოდ შევასწორებდით ხოლმე. ერთი სიტყვით, გარეგანის მხრივ ყველაფერი ისე კარგად იყო გაკეთებული, რომ თვითონ ჩვენვე, რომლებიც ზომაზე მეტად კრიტიკულად და დაეჭვებით ვმინჯავდით ჩვენს ნაშუშევარს, ვერაფერს ნაკლს ვერ ვნახულობდით და აღტაცებაში მოვდიოდით ჩვენს ნახელავისა და მიმხედურობისაგან. მარტო სარდაფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იქ სტამბის გადატანა მაინც არ იყო საკმარისი და უშიშარსაფარ ხდიდა ჩვენს მუშაობას. საჭირო იყო თვით შიგნითვე შეგვექმნა ისეთი პირობები და რეჟიმი, რომელიც ორგანიზაციულის მხრით უშიშრობის საუკეთესო გარანტიას მოგვცემდა. უპირველეს ყოვლისა შემუშავებულ იქნა მუშაობის ნუსხა: ნორმალურ სამუშაო დღეთ, სასადილო დროს გამოკლებით, მიღებული იქნა 10 საათი. ყოველი დღე შემდეგნაირად იწყებოდა და თავდებოდა: ვდგებოდით სწორედ რვის ნახევარზე. ნახევარ საათში პირის დაბანა და ლოგინის სარდაფში გადატანა უნდა მოგვესწრო. 8 საათზე მუშაობას ვიწყებდით. სრულ 10 საათზე ბაქანზე დაკაკუნებით ჩაის დასალევად გვეძახდენ ხოლმე. ამისათვის სწორედ 15 წუთი იყო დაწესებული. ჩაის შემდეგ ისევ სამუშაოდ მივდიოდით დღის 1 საათამდე. 1—2 ს. სასადილო დროთ ითვლებოდა ამ დროს ესადილობდით და ხმა-მაღლა გაზეთს ვკითხულობდით. სრულ 2 საათზე ისევ სტამბაში ჩავდიოდით და იქ საღამოს რვის ნახევრამდე ვმუშაობდით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მუშაობისათვის ხელის აღების წინ ჩვენ მოვალენი ვიყავით ყველაფერი თავის წესზე მიგველაგებინა, შრიფტი გაგვრეცხა, იატაკი დაგვეგვა, ნაგავი გარეთ გაგვეტანა, მანქანა დაგვესუფთავებინა და დაგვეზეთა, —ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე უნდა დაგვემზადებია, რომ დილას შესაძლებლობა გვქონოდა პირდაპირ მუშაობისათვის მიგვეყო ხელი. ჩვეულებრივად საღამოს 8 საათისათვის უკვე ხელ-პირ დაბანილები საღამოს ჩაის ვუსხედით ხოლმე. ჩაის შემდეგ იმ ოთახში გავდიოდით, საიდანაც სარდაფში გასასვლელი იყო გაკეთებული და სადაც წინად სტამბა იყო მოთავსებული. ეს ოთახი ახლა ძალიან მოხერხებული სადგომი იყო. ასფალტის იატაკი ორი დიდი ხალიჩით სულ მთლად დაფარული იყო. გარდა ორი ახიური ტახტისა, რომლებზედაც აგრეთვე ხალიჩები იყო გადაფარებული, ოთახში არაეითარი დგამი არ იყო. ჩვენ ან ტახტებზე ჩამოვჯდებოდით, ან პირდაპირ ხალიჩებზე გავწვებოდით ხოლმე. საღამოს საათები ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წუთები იყო. აქაც განაწილებული იყო მუშაობის საათები. ოთხ საღამოს კვირაში ვისაც რა უნდოდა, იმას აკეთებდა: ან კითხულობდა, ან გიტარაზე წყნარად უკრაკდა, ან ჭადრაკს თამაშობდა, ან კიდევ ვინმეს ემუსაიფებოდა. სამი საღამო კი დათმობილი ჰქონდა საერთო კითხვას, ან რომელიმე საკითხის გარჩევას. ზარის უცხო რაწკუნის შემთხვევაში ჩვენ მსწრაფლად და ამასთანავე წყნარად ჩავდიოდით სარდაფში, ამოვხურავდით იქიდან გასავალს და ნიშანს ვუცდიდით. დღისა და ღამის ყოველ დროს ჩვენი სარდაფში ჩასვლის შემდეგ ყველა ოთახს ისეთი სახე უნდა ჰქონოდა, რომ არავის უცხოთაგანს ეჭვის აღება არ შესძლებოდა, რომ აქ, გარდა ოფიციალურად ჩაწერილ მცხოვრებლებისა ვინმე კიდევ ცხოვრობდა. ყველაფერ ამას მთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი 2 ნახევარ წლის განმავლობაში უდიდესი სისწორითა და სისასტიკით ვასრულებდით. პირველ ხანებში ჩვენი—არალეგალურად მომუშავეთა რიცხვი 5 კაცს უდრიდა, შემდეგ 7 კაცამდე მიაღწია. გვეძინა ორ ოთახში. მე და სამ სხვა ამხანაგს სარდაფის მეზობელ ოთახში გვეძინა. ვინაიდან ძალიან ფრთხილი ძილი ვიცოდი და ზარის პირველ დარაწკუნებაზევე აუცილებლად მეღვიძებოდა ხოლმე, ამიტომ მე სარდაფში ჩასავალთან მეძინა და ჩემს მოვალეობას შეადგენდა საჭირო შემთხვევაში სასწრაფოდ გამეღვიძებია ამხანაგები, გამეღო სარდაფში ჩასავალი, იქ ლამპა ამენთო და ამხანაგებისაგან ლოგინი და სხვა ნივთები მომეღო, რის შემდეგაც ამხანაგებიც იქვე ჩამოდიოდენ და ჩასავალს ქვევიდან ვხურავდით. ჩვენ ხშირად გვიხდებოდა ამ ოპერაციის ჩატარება უჩვეულო ზარის გაგონებაზე. ზოგჯერ კიდევ, თავის გამოსაცდელად, თვითვე ავტეხდით ხოლმე ალიაქოთს.

სანამ თვით სტამბის მუშაობაზე გადავიდოდე, მსურს რამდენიმე სიტყვით, მოკლედ, საქმის გარეგანი ორგანიზაციის შესახებ მოგითხროთ.

როგორც უკვე მოვიხსენიე, გარეშე საზოგადოებასთან დამოკიდებულება ამხ. სიმონს ჰქონდა დაკისრებული. მას დამოკიდებულება ჰქონდა ამხ. კრასინთან, რომლისაგანაც ვიღებდით ხოლმე ყოველგვარ დასაბეჭდ მასალას და აგრეთვე ყველა მისამართებს, თუ ვისთვის, სად, რამდენი და რა ლიტერატურა უნდა გაგვეგზავნა. ჩვენთან არც ერთი ამხანაგი არ მოდიოდა და ვერც მივიდოდა, რადგან ამხ. კრასინის გარდა არც ერთმა მათგანმა არ იცოდა ჩვენი ბინის მისამართი. სტამბაში მომუშავეთაგანს, რომლებიც ყველა არალეგალურად ვცხოვრობდით იქ, არც ერთს უფლება არ გექონდა დღით სახლიდან გავსულიყავით. სახლიდან წასვლისათვის მკაცრი წესრიგი გექონდა შემუშავებული, რომლის მიხედვითაც ყოველ ჩვენთაგანს ნება ეძლეოდა ორ კვირაში ერთხელ გასულიყო სახლიდან, ისიც საღამოს 8 საათიდან 11-მდე. ნება დართული იყო 2 ამხანაგის ერთად წასვლა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ღამის 11 საათამდე აუცილებლად უნდა დავბრუნებულიყავით. ეს წესრიგი უკლებლივ სრულდებოდა მთელი 2 წლის განმავლობაში და აღსანიშნავია, რომ არც ერთ ჩვენთაგანს აზრადაც არ მოსვლია ის დაერღვია. ამხ. სიმონს და სხვა პირებს, რომლებიც ოფიციალურად ცხოვრობდენ სახლში, ყოველ დროს ჰქონდათ უფლება სახლიდან გასულიყვნენ, მაგრამ 12 საათზე გვიან დაბრუნების უფლება კი არავის არ ეძლეოდა. თუ ვინმე ამ დროისათვის უკან დაბრუნებას ვერ მოასწრებდა, აგრეთვე ამ. სიმონიც, ის სრულებით აღარ ბრუნდებოდა შინ იმ დღეს. 12 საათის შემდეგ ზარის ყოველგვარი დარაკუნება, დანიშნულიც კი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოდ ითვლებოდა და ამ შემთხვევაში ყველა იმ გამაფრთხილებელ ზომებს ეხმარობდით, რომლებიც ზევით იყო მოხსენებული.

სტამბაში ქაღალდის მოტანა სპეციალურად ერთ პირს ჰქონდა დავალებული. მასვე ჰქონდა დავალებული გამზადებული ლიტერატურის უთვების საკეთებელ სახელოსნოში მიტანაც. იქ ჩემი ნახაზებით სპეციალური უთვები კეთდებოდა, ლიტერატურას მათში ვაწყობდით, უთი შესაფერი წარწერით იქიდან სხვა პირს გადაქონდა, აგრეთვე სპეციალურად დაყენებულ კაცს, რომელსაც კავშირი ჰქონდა რკინის გზის აგენტებთან, ამწონელებთან და სხვა მოსასახურეებთან და რომელიც ლიტერატურის ქვითარის წარმომადგენს აბარებდა. დუბლიკატები და სხვა საჭირო დოკუმენტებიც ამხ. სიმონს უბრუნდებოდა, რომელსაც ის ჩვენთან მოჰქონდა. მათგან ასლებს ვიღებდით და შემდეგ ამ დუბლიკატებს რ. კ. ჰ. ც. კ. ტეხნიკურ ბიუროს მიერ ნაჩვენებ მისამართებით ვგზავნიდით. ტეხნიკურ ბიუროს წევრებათ მაშინ, სხვათა შორის, იყვენ ამხ. გოლუბკოვი, აწ განსვენებული ლიუბიმოვი (მარკოზი) და სხვ. ბარათებისა და ლიტერატურის დანიშნულ ადგილზე მიღების შემდეგ ჩვენ ცნობა გვეგზავნებოდა, რომ ტვირთი ამა და ამ ბარათით მიღებული იყო. ამრიგად, ყოველთვის საქმის კურსში ვიყავით და ვიცოდით მიაღწია თუ არა ამა თუ იმ ლიტერატურამ დანიშნულ ადგილამდე. საქმე იმ გვარად იყო დაყენებული, რომ ქაღალდის მომტანმა და ლიტერატურის გადამტანმა არც კი იცოდა, თუ რა ნივთები გადაჰქონდა მას. უთვების საკეთებელ სახელოსნოშიაც არავინ იცოდა, თუ საიდან მოდიოდა ეს ლიტერატურა. რასაკვირველია, არც რკინის გზის მოხელეებმა იცოდენ, თუ რა ტვირთს გზავნიდენ და ამიტომ კიდეც რომ აღმოეჩინათ ეს ლიტერატურა, მათ არც კი ეცოდინებოდათ, რომ იგი ადგილობრივ იყო ნაბეჭდი. როდესაც ჩვენთან ქაღალდი ან სხვა რაიმე მასალები მოქონდათ, ჩვენ მას იმ პატარა დუქანში ვაწყობდით, რომელიც ქუჩის პირას იყო და იქიდანვე ვტვირთავდით შეკრულ ლიტერატუტურას, რომელიც ურმის მოსვლამდე რამოდენიმე წუთით ადრე გადმოგვქონდა ამ შენობაში. ახლად მოტანილი ქაღალდი და სხვა მასალები რამოდენიმე წუთის შემდეგ სარდაფში გადმოგვქონდა. ამრიგათ, ვთქვათ, ნახევარი საათის შემდეგაც რომ დაგვსხმოდენ გასაჩხრეკად, მთელს შენობაში ვერავითარ საეჭვო კვალს ვერ იპოვნიდენ.

აქ ძნელია ჩამოთვლა ყველა იმ გამაფრთხილებელი ზომებისა, რომლებსაც ჩვენ განსაკუთრებულს პუნქტუალობით ვატარებდით ცხოვრებაში, მაგრამ ეს დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ამ შინაური და გარეგანი რეჟიმის წყალობით იყო, რომ ჩვენ შევძელით თავისი ნაყოფიერებთ ეს გრანდიოზული საქმე ასე ლამაზად დაგვეფარა მთელი იმ ხნის განმავლობაში. თვით სახლში და განსაკუთრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით მის არალეგალურ ნაწილში ჩვენ თანდათანობით ეაუმჯობესებ-ლით ყველა იმის, რაც კონსპირაციის საქმეს შეეხებოდა და აგრეთვე მუშაობის პირობებსაც აუმჯობესებდა. ცოტა ხნის შემდეგ სარდაფ-ში შესავალი ისეთნაირად იქნა გაუმჯობესებული, რომ იგი ჩვენი ამოსვლის შემდეგ მექანიკურად იხურებოდა ხოლმე ფოლადის ღვე-დებზე გაკეთებული „ბლოკების“ წყალობით. შესავალის ისევ გასა-ღებათ საჭირო იყო ბაქანის ძირს ორივე ფეხებით დაეწოლოდით, რომელიც პირდაპირ ჩაეშვებოდა ხოლმე ქვევითკენ განსაკუთებულად მოწყობილი როლიკების შემწეობით. ჩვენ ხშირად ვამაყობდით ურ-თიერთ შორის ჩვენის ნამუშევარით და დიდი სურვილიც გვქონდა გვეჩვენებინა იგი გარედ მყოფ ამხანაგებისათვის, მაგრამ ამისაგან მაინც თავს ვიკავებდით. მხოლოდ ამხ. სიმონის დაჟინებითი თხოვნით ნება დავრთეთ ამხ. კრასინს ღამით სწვევოდა ჩვენს სტამბას. ის განცვიფ-რებაში მოვიდა ყოველივე ნახულით და გვთხოვა ნება დაგვერთო მოეყვანა პარტიის მეორე ყრილობის ც. კ. წევრი გლებოვი (აწ განს-ვენებული ნოსკოვი). ამხ. კრასინი და გლებოვი მართლაც მოვიდენ და, მახსოვს, განსვენებული გლებოვი საოცრად გაკვირვებული დარ-ჩა საქმის მთელი ორგანიზაციით. მას განსაკუთრებით აკვირვებდა შინაური ორგანიზაცია და დისციპლინა და აგრეთვე საქმის ტეხნი-კური შესრულება. მახსოვს ჩვენ მათ ვაჩვენეთ ერფურტის პროგრამა, ამხ. ლენინის ბროშურა „К деревенской бедноте“, მარტოვის ბრო-შურები „Рабочее дело в России“, დაბეჭდილი „ისკრას“ სტამბა-ში საზღვარგარეთ და ჩვენთან და მან სრულებით ვერ შესძლო მათი ერთმანეთისაგან გარჩევა. ეს იმით აიხსნება, რომ პეტროგრადში ლე-მანს ჩვენ ისეთივე შრიფტი შევუკვეთეთ, როგორიც „ისკრას“ სა-ეურნალო და საბროშურო შრიფტი იყო. ქაღალდიც იგეთივე გვქონ-და, როგორიც „ისკრას“. ამხ კრასინი მას სპეციალურად იწერდა ერთ თავის ნაცნობ ლოდნელ მექარხნისაგან. რაც შეეხება საქმის შესრულებას, უნდა ითქვას, რომ ჩემს გარდა ყველა კვალიფიციური ბეჭდავები იყვენ. წასვლისას ამხ. გლებოვმა მადლობა გადაგვიხადა ც. კ. სახელით და ჩვენს სტამბას „სრულიად რუსეთის პროლეტა-რიატის გამბობი ღუმელი“ უწოდა.

სტამბის არსებობის 2 ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენ მხო-ლოდ რამოდენიმე პირი გვესტუმრა, ისიც რ. ს.-დ. მ. პ. ც. კ. წევ-რი ან აგენტი. სხვათა შორის იყვენ აწ განსვენებული კარტაშოვი, ი. ი. ბიბიკოვი, პოსტალოვსკი (ვადიმი), კოზირეენკო და ეკატერინა კიც. ერთხელ, სტამბის არსებობის მეორე წლის გასულს, სპეციალუ-რად მოვიწვიეთ ამხ. ვ. ვ. სტარკოვი, ცნობილი ინჟენერი, რომელიც შეეყვანეთ რა ჩვენს ბინაში, წინადადება მივეცით ბინის არალეგა-ლურ ნაწილში შესავალი აღმოეჩინა. მან დაწვრილებით დაათვალიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მთელი ბინა, სათითაოდ გაუშინჯა ხმა ყველა კედლებს და საეჭ-ვო ადგილებს, მაგრამ შესავალი მაინც ვერ იპოვა. ბოლოს მან და-მარცხებულად აღიარა თავი. ამის შემდეგ ის არალეგარულ ნაწილში ჩაეიყვანეთ. ის ისეთ აღტაცებაში მოიყვანა ყოველმა ნახულმა, რომ წინადადება მოგვცა, როდესაც ბეჭდვის თავისუფლება გამოცხადდე-ბოდა, ყველაფერი ეს ასევე დაგვეტოვებია, დიდი ფასი დაგვეწესე-ბია მის სანახავად, რაც, მისი აზრით, პარტიას დიდ შემოსავალს მისცემდა.

სარდაფში მუშაობის დროს სული გვეხუთებოდა ვენტილაციის უქონლობის გამო. 1904 წლის ზაფხულში იძულებული შევიქენით სა-ხურავზე პატარა ფანჯარა გაგვეკეთებინა, რომელსაც ზეგით ხის პა-ტარა მილი გავუკეთეთ, ქვევით კიდევ გასაღები ფანჯარა. თათრე-ბის სახლების სახურავებზე ხშირად შეხვდებით ასეთსავე ფანჯრებს. ასე რომ, ჩვენ ფანჯარასაც არავითარი განსაკუთრებული ყურადღე-ბის მიქცევა არ შეეძლო. მიუხედავათ ამისა, ზაფხულში მაინც საო-ცარი სიცხე და დახუთული ჰაერი იყო, რის გამოც ხშირად მანქანის ღერძებიც კი ლღვებოდა და ამიტომ ჩვეულებრივად ივლისში ბეჭდ-ვის თავს ვანებებდით და ამ ხნის განმავლობაში ან სტერეოტიპებს და ბალიშებს ვაკეთებდით, ან რომელიმე დიდ სამუშაოს აწყობას და დასაბეჭდად დამზადებას ვანდომებდით. ამხანაგების ერთი ნაწილი კი შეებულებაში მიდიოდა.

მიუხედავათ წინად დასახელებულ გამაფრთხილებელი ზომებისა, ჩვენ მაინც არ გვქონდა იმის გარანტია, რომ გაჩხრეკის დროს სტამ-ბას არ აღმოაჩენდენ და ამ შემთხვევისათვის გადაწყვეტილი გვქონ-და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაგვეწია პოლიციისათვის. ჩვენ ყველანი შეიარაღებული ვიყავით რევოლვერებით და მართლაც რომ თავს დაგვსხმოდენ, ყოველ ეჯეს გარეშეა, ჩვენს გადაწყვეტილებას სი-სრულეში მოვიყვანდით. სწორი იყო ჩვენი გადაწ ყვეტილება თუ არა ეს კიდევ სხვა საკითხია, მაგრამ მაშინ ჩვენ სხვა გადაწყვეტილების მიღება არ შეგვეძლო.

მიუხედავათ იმისა, რომ შიგნით, ჩვენი შინაური დამოკიდებუ-ლება ამხანაგური და მეგობრული იყო, რომ სამუშაოებით ყველანი ერთგვარათ ვიყავით დატვირთულნი და ერთნაირ ჯამაგირსაც ვი-ღებდით—25 მანეთს თვეში,—რომ ერთად ვცხოვრობდით და ვსადი-ლობდით,—ერთი სიტყვით, არაფრით ერთი მეორისაგან არ ვსხვავ-დებოდით, მაინც ადამიანი ადამიანათ რჩება თურმე. ზოგიერთი ამ-ხანაგი ძალიან შეაწუხა ამ მკაცრმა რეჟიმმა და მუშაობის ასეთმა პირობებმა, რის გამოც ხშირად ნერვიულობდენ და სრულიად უბრა-ლო საკმეებზე ერთი-მეორეს ეკინკლაობდენ. მე, როგორც მათი უფროსი ამხანაგი და თეორიულად უფრო მომზადებული, ამასთანავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათთან ერთად მცხოვრები და მუშაობის ყველა პირობების გამოცდილებელი, უდავო პატივისცემითა და ნდობით ვსარგებლობდი. და ამიტომ მე ჩემს თავს მოვალედ ვთვლიდი ცოტათი მაინც გამელამაზებინა ჩვენი ჯგუფის ცხოვრება იმ თავისუფალ საღამოებში, რომლებიც ჩვენ წილად ხდებოდა. ამ მიზნით ვაწყობდი ხოლმე ხმა მაღლა კითხვას, ვამაკადინებდი ზოგიერთ მათგანს სხვადასხვა საგნებში, უფრო ხშირად კი სხვადასხვა ამბებს მოვუთხრობდი მათ ან ისტორიიდან საერთოდ და განსაკუთრებით კი სოციალიზმის ისტორიიდან. ბევრ დროს ვანდომებდით აგრეთვე განყენებულ საგნებს, მაგალითად ასტრონომიას. ასტრონომიამ ძალიან გაიტაცა ყველანი. იმ ხანებში ზოგი რამ ვიცოდი ამ საგნიდან. ვარსკვლავთა სამეფოს შესახებ მოთხრობათა გარდა, ხშირად, ზაფხულის ბნელ ღამეებში, გამოვიდოდით ბოლმე ჩვენს პატარა ეზოში, ზურგით მიწაზე გავწვებოდით და ბაჭოს მუდამ მოწშენდილ ცას შევჩერებოდით. ამ დროს მე მათ ვუზიარებდი ჩემს ცოდნას ვარსკვლავთა იმ ჯგუფების შესახებ, რომლებიც კი მოსჩანდა ჩვენი ეზოდან. ასეთი საღამოები განსაკუთრებით უყვარდათ ჩვენს ახალგაზებს.

ესარგებლობდი რა ასეთი პატივისცემით ამხანაგებს შორის, მე ადვილად ვახერხებდი მათ შორის მომხდარ კონფლიქტების ლიკვიდაციას და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ თუ ჩვენ შეეძელით ასეთ პირობებში მჭიდრო მეკობრობა და საქმის სიყვარული შეგვენარჩუნებია, ამაში დიდი ღვაწლი ჩემს ხასიათს მიუძღოდა. ამას თვით ამხანაგებიც ერთხმად აღიარებდენ. იმ ხნის განმავლობაში მე ისე ხშირად მიხდებოდა ყოველგვარი კონფლიქტების მოგვარება, რომ ახლა ეს ჩვეულება უკვე ჩემი ხასიათის უარყოფით მხარეს შეადგენს. თუ რომელიმე ამხანაგი ვეღარ გაუძლებდა მუშაობის პირობებს, ან ფიზიკურად ვეღარ შესძლებდა მუშაობას, ჩვენ მას, ყველა საჭირო ნივთებით მომარაგებულს, ვანთავისუფლებდით ხოლმე.

კერძოდ მე, როგორც არა პროფესიონალ-მბეჭდავს, დავალებული მქონდა შემდეგი საქმეები: ვასწორებდი კორექტურას, მანქანას ვატრიალებდი; მანქანის სუფთად შენახვაც ჩემს მოვალეობას შეადგენდა; ვკეცავდი დაბეჭდილ ფურცლებს, ვკაზმავდი მათ, ვკრავდი ლიტერატურას, ვაწესრიგებდი ორგანიზაციაში გასაგზავნად მოცემული დირექტივების მიხედვით, ვწონიდი ყოველ შეკვრას და შემოსული მასალების და გასული ლიტერატურის სრულ ანგარიშებს ვადგენდი ხოლმე წლების მიხედვით. გარდა ამისა, ვშველოდი ხოლმე სტერეოტიპების გაკეთებაში, ვხერხდი გამოსადეგ ადგილებს და ერთი მეორეს ვაწებებდი იმ მიზნით, რომ მბეჭდვისათვის სრულიად გამოსადეგი გვერდები მიმეღო. სადგომისა და ბინის დაღაგების შემდეგ მე ისეთივე მოვალეობები მეკისრებოდა, როგორც დანარჩენებს. ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვით, სტამბაში მუშაობის დროს მე ამხანაგებს შორის შავ-მუშად ვითვლებოდი, დანარჩენი ამხანაგები, როგორც უკვე მოვიხსენიე, კვალიფიციური მბეჭდავები იყვენ.

ფრაქციული მიმართულებით ჩვენს შორის ბოლშევიკები სჭარბობდა, თუ-ცა იყო აგრეთვე რამოდენიმე მენშევიკიც. აზრთა სხვადასხვაობა მუშაობის მსვლელობას სრულებით არ ემჩნეოდა. პარტიის მესამე ყრილობის შემდეგ კი, როდესაც პარტიაში ოფიციალური განხეოქილება მოხდა და პარტია მენშევიკებათ (მეუმცირესეებათ) და ბოლშევიკებათ (მეუმრავლესეებათ) გაიყო, სტამბა რ. ს.-დ. მ. პ. ბოლშევიკების ც. კ. სრულ განკარგულებაში გადავიდა.

სტამბის დაარსებიდან მის ლიკვიდაციამდე მუდმივათ შემდეგი ამხანაგები ვმუშაობდით: ივანე ბოლქვაძე, ვლადიმერ დუმბაძე, სილიბისტრო თოდრია, ყარამან ჯაში*), ივანე სტურუა და მე. სტამბაში დროებით მრავალი სხვა მომუშავეებიც იყვენ. აი, მათი გვარებიც: ამხ. სიმონ ენუქიძე, „დედა" მისი ელისაბედი, მისი „და" ლიზა ძველაძე, ვლასა მგელაძე—იგივე ტრია, ცნობილი მენშევიკი, ვერა ოსიპის ასული კორსაკი, აგრეთვე მენშევიკი, ამხ. გერშანოვიჩი—ქენევიდან გამოგზავნილი, მაკარ გოკუაძე ცოლით მარიამ გოგუაძეთი, ვასილი ხუციშვილი, რომელიც შემდეგ ტფილისში დაიღუპა დემონსტრაციის დროს, ამხ. ხუმარიანცი და კატო მიქაძე.

ყველა ამ ამხანაგების შესახებ მე მსურდა ბევრი რამ კარგი დამეწერა, რადგან ისინი თავიანთი თავგამოდებული მუშაობით დიდ სამსახურს უწევ ენ პარტიას არა მხოლოდ მაშინ, არამედ შემდეგშიაც და უმეტესი მათგანი დღესაც პარტიის რიგებში დგანან, მაგრამ მე იმედი მაქვს ამ საქმეს სხვა დროს დავუბრუნდები, თუ როდისმე მოვახერხე ჩემი მოგონებების დაწერა საზოგადოთ პარტიაში მუშაობის შესახებ.

აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ იმ ხანებში პარტიის ამ დიდი ცენტრალური სტამბის გარდა ბაქოშივე არსებობდა ჩვენი არალეგალური სტამბის ფილიალი განყოფილება, სადაც კეცხოველის მიერ შეძენილი ძველი მანქანა იდგა. იმ განყოფილებაში მუშაობდა ზოგიერთი ზემოდ დასახელებული ამხანაგთაგანი და იქ უმთავრესად ქართული და სომხური ლიტერატურა იბეჭდებოდა რ. ს.-დ. მ. პ. კავკასიის კავშირისათვის. ეს განყოფილება ძალე დაიხურა და მანქანა ტფილისს ორგანიზაციას გადაეცა, სადაც მან 1906 წლამდე იარსება და ამ წლის შემოდგომაზე იქნა აღმოჩენილი. ამრიგად, ამხ. კეცხოველის მიერ შეძენილი მანქანის შენახვა ვერ მოხერხდა.

*) ყარამანი, იგივე უშანგი ჯაში. რედ.

ამხ. სიმონ ფეფუძე

... ამ საქმის მთავარი ორგანიზატორი იყო ტროიფონ ფეფუძე, ანუ „ამხ. სიმონი“, როგორც მას ორგანიზაციაში ეძახდნენ. ... გვ. 53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუბრუნდეთ ახლა ცენტრალურ სტამბის მუშაობას. როგორც შუდმივი სამუშაო, სტამბაში ჟურნალი „Искра“ იბეჭდებოდა, როგორც პარტიის ცენტრალური ორგანო. „Искра“ იბეჭდებოდა იმ მატერიების მიხედვით, რომლებიც საზღვარგარეთიდან გვეგზავნებოდა. სტერეოტიპებს ჩვენ თითონ ვასხამდით, რასთვისაც ჩემი ნახაზების მიხედვით გავაკეთეთ სპეციალური დაზა. რადგან სიტყვამ მოიტანა, აქვე უნდა კავიხსენო ლეონ გოლდმანის ერთი პატარა წერილი, როელიც მენშევიკების გაზეთ „Луч“-ში იყო მოთავსებული 1914 წელს. ლ. გოლდმანმა 1902 და 1903 წლებში პატარა სტამბა მოაწყო ქ. კიშინიოვში „Искра“-ს საბეჭდათ, ეს სტამბა მალე აღმოაჩინეს, რისთვისაც გოლდმანი სამართალში მისცეს, სადაც მან თავისი ცნობილი სიტყვა წარმოსთქვა. ეს სიტყვა თავის ოროზე „Искра“-ში იყო დაბეჭდილი. აი, ეს ლეონ გოლდმანი სწერდა „Луч“-ში, რომ იგი ამხ. ლენინის რჩევის თანახმად, არალეგალურ სტამბასთან სტერეოტიპიული საქმის მოწყობას შეუდგა და ზოგიერთი ცნობებისათვის ამ საქმის მოწყობის შესახებ ლენინის რჩეევი გერმანელ ამხანაგებისათვის მიუმართავს. ეს ამბები საზღვარგარეთ ხდებოდა, და როგორც თვით გოლდმანი მოგვითხრობს, იგი იქ ამის შესახებ აწ უკვე განსვენებულ ზინგერს ესაუბრა, რომელსაც თურმე სასაცილოდაც არ ეყო გოლდმანის განზრახვა. პატარა და ისიც არალეგალურ სტამბასთან ისეთი რთული ბეჭდის მოეწყობა, როგორიც სტერეოტიპულია. გოლდმანი როგორც თვითვე გადმოგვცემს, ძალზე უხერხულ მდგომარეობაში ჩავაღწევინა და უკვირდა, თუ რატომ ურჩია მას ლენინმა ასეთი ფანტასტიური და არალეგალურ პირობებში შეუძლებელი საქმის მოწყობა.

მაგონდება რა ეს ამბავი, უნდა ვთქვა, რომ სტერეოტიპით ჩვენს არალეგალურ სტამბაში ფართოდ ვსარგებლობდით ასეთი საშუალებით ვბეჭდავდით არა მარტო „Искра“-ს, არამედ ყველა ფურცლებსაც, შრიფტის შენახვის მიზნით. ლეონ გოლდმანის სიტყვაც კი, ჩვენ მიერ სტერეოტიპით იყო დაბეჭდილი. ამრიგად ამხ. ლენინის რჩევა ამ საქმეში კ, ისე როგორც ყველა სხვა საქმეში, სწორი, შესაძლებელი, საჭირო და აუცილებელი გამოდგა.

უნდა ვთქვა, რომ ფოლადზე ასოების ამოჭრა და სტერეოტიპის ჩამოსხმა ჩვენთან სრულიად პრიმიტიული საშუალებით სწარმოებდა. აქ ჩვენ მიერვე მიღწეული და მოგონილი საშუალებებით ვმუშაობდით, რომლებიც სრულიად მიუღებელი და გამოუსადეგარია დიდი სტამბისათვის. როდესაც მე სამი წლის შემდეგ პეტროგრადის დიდ სტამბაში ვნახე, თუ როგორ სწარმოებს სტერეოტიპული ბეჭდვა, ძალზე გაკვირვებული დავრჩი იმით, რომ ჩვენი მუშაობა ამ საქმეში სრულებით არაფრით არ წააგავდა იქაურ მუშაობას. გარტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღნობათ ჩვეულებრივ დაუჯრებულ ტაფის მაგვარ ღუმელს ვხმარობ-
ბდით, რასაც ხის ნახშირზე ვათბობდით. ამ საქმეს ჩვეულებრივ ღა-
მით ვაწარმოებდით ხოლმე ჩვენ სამზარეულოში. სტერეოტიპის ჩა-
მოსხმის შემდეგ ჩვენ ერთი-ორი დღე მაინც გვტკიოდა თავი კვამ-
ლისა და იმ გაზებისაგან, რომელსაც გადნობილი მასსა იორთქლებდა.
ერთი და იგივე გვერდის ჩამოსხმა ხშირად რამდენჯერმე გვიხდებო-
და იმის გამო, რომ ან თანაბრათ ვერ დნებოდა სტერეოტიპული
მოდელი, ან კიდევ თანაბრად ვერ შრებოდა ამოკრილი ასოები. ამის
გამო იშვიათად ხერხდებოდა ისეთი გვერდის გაკეთება, რომელზედაც
ჰაერის ბუშტები არ ყოფილიყო. ამიტომ ტყვიის რამდენიმე ფიცრი-
საგან ჩვენ ბოლოს და ბოლოს ერთის გაკეთება გვიხდებოდა, რასაც
გამოსადეგი ნაწილების გამოჭრით და ერთი მეორეზე მიწებებით
ვახერხებდით, შემდეგ ასე შეკოწიწებულ მოდელს ერთ ხის დაფაზე
ვამაგრებდით და ისე ვდებდით დასაბეჭდათ.

ყველაზე უფრო გვიძნელდებოდა ამ საქმის მოგვარება „Искра"-ს
საბეჭდათ, რადგან მას დიდი გვერდები ჰქონდა. მაგრამ, მიუხედავათ
ამისა, ამხანაგების განსაკუთრებული ენერგიის და დაჟინების წყა-
ლობით, ბოლოს და ბოლოს მაინც ვახერხებდით საქმის ისეთნაირად
მოგვარებას, რომ როგორც ზევით მოგახსენეთ, ჩვენს მიერ შესაფე-
რისს ქალალდზე დაბეჭდილი „Искра"-ს ნომრები და სხვა მასალები
სრულებით არაფრით არ განირჩეოდა საზღვარ გარეთ დაბეჭდილე-
ბისაგან. ამ სტამბაში „Искра" დაიბეჭდა 53 ნომრიდან მოყოლებულ
64 ნომრამდე, თითო 10.000 ცალად. რუსეთში არსებულ პარ-
ტიის ყველა კომიტეტებს ჩვენ ყოველთვის ვაწოდებდით ამ გაზეთის
საკმაო რიცხვს. ჩვენ მიერ დაბეჭდილ ბროშიურებისაგან ერთი პირ-
ველთაგანი იყო ამბ. ლენინის ბროშიურა: „К деревенской беднете"
მისივე ცნობილი ბროშურა „Что делать". მარქსისა და ენგელსის
„Коммунистический манифест" და კაუცკის „Эрфуртская программа"-ც პირველ ხანებში დაიბეჭდა. „Эрфуртская программа"-ს
100 ცალი სპეციალურ ქალალდზე] დავბეჭდეთ, ჩვენივ [შევ-
კერთ და ჩვენსავე სტამბაში მოვაჭერით კიდეები. მისი ერთი ეკზემ-
პლიარი ყდის შიგნითა მხარეზე შესაფერისი წარწერით კარლ კაუც-
კის გავუგზავნეთ საჩუქრად, რომელსაც, როგორც გადმოგვცემდენ,
ძალიან მოსწონებოდა ჩვენი არალეგალური სტამბის ნამუშევარი და
დიდი მადლობელი დარჩენილიყო ყურადღებისათვის. დანარჩენი ეკ-
ზემპლიარები ამ 100-დან ამბ. კრასინმა არალეგალურად გასაყიდათ
გაუშვა ლიბერალურ და ჩვენი პარტიის ნახევრად თანამგრძნობ შე-
ძლებულ პირთა შორის, საიდანაც საგრძნობი თანხა აიღო. ყველა
ბროიშურები, მათ შორის „Эрфуртская программа"-ც 5—10 ათას
ცალამდე იბეჭდებოდა. ზოგის ტირაჟი 15 ათასამდეც აღწევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა დაგვებეჭდა ესა თუ ბროშურა ც. კ. ტეხნიკური ბიურო იძლეოდა ხოლმე. განსაკუთრებით ბევრი იბეჭდებოდა ფურცლები და ცალკე წერილები „ისკრა"-დან იაპონიის ომის შესახებ. მე მაგონდება პარვუსის წერილი „Война и Революция" და აგრეთვე მრავალი წერილები და ფურცლები ტროცკის მიერ დაწერილი. მრავალი იყო წერილები აგრეთვე საარჩევნო სისტემის, დამფუძნებელი კრების და სხვ. ამგვარების შესახებ. სამუშაო ბევრი იყო და ჩვენც ხშირად, განსაკუთრებით უკანასკნელ თვეებში, 14 და ზოგჯერ 15 საათიც კი გვიხდებოდა მუშაობა. დღეღამის განმავლობაში. ხშირად გარედ დაწყებული გაზაფხული თავისუფლებისაკენ მიგვიწევდა ხოლმე, ძაგრამ მაინც არ ვ(ილდებოდით სტამბას და მთელ დროს მუშაობაში ვატარებდით. დიდ სიამოვნებას და კმაყოფილებას ვპოულობდით იმაში, რომ პარტიული ლიტერატურა ყველაზე პირველად ჩვენ გვივარდებოდა ხელში. თუმცა მოკლებულნი ვიყავით მასებს შორის ცოცხალ პარტიულ მუშაობას, სამაგიეროდ პარტიულ ლიტერატურის კურსში ყოვლთვის ვიყავით. ასეთ სკოლას უშდეგოთ არ ჩაუვლია ბევრი ჩვენთაგანისათვის და მომავლისათვის ერთხელ და სამუდამოდ გამოარკვია ჩვენი ადგილი მაშინ მთლიან რ. ს. დ. მ. პ. ამა თუ იმ ფრაქციების შორის.

ფურცლებს ჩვეულებრივ პაპიროსის თხელ ქაღალდზე ვბეჭდავდით. ბროშიურებიც, მსუბუქ ქაღალდზე იბეჭდებოდა. იქვე ვკერავდით და ვაჭრიდით კიდეებს და ზედმეტ ნაწილებს, რომ გასაგზავნი ლიტერატურა წონით რაც შეიძლება მჩატე გამოსულიყო. ლიტერატურას სტამბაშივე ვარჩევდით და ვანაწილებდით მოცემული მისამართების მიხედვით, ზამბარაკიან (пружинных) სასწორზე ვწონიდით და იქვე ვიწერდით, თუ სად, რომელი და წონით რამდენი ლიტერატურა იგზავნებოდა. სამწუხაროდ, აქ არ შემიძლია ცენტრალურ სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურის მთელი სია მოვიყვანო, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, თუ წონით რამდენი ლიტერატურა იქნა გაგზავნილი ჩვენ მიერ სხვა და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში. სულ გაგზავნილი იყო სხვა და სხვა მისამართით სხვა და სხვა გვარი ლიტერატურა, მხოლოდ წმინდა წონა რომ ვიანგარიშოთ, 548 ფუთი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მთელი ლიტერატურა ჩატე ქაღალდზე იბეჭდებოდა, ადვილად წარმოვიდგენთ დაბეჭდილ ლიტერატურის ეკზემლიარების რიცხვის სიდიდეს. მე კარგად მახსოვს, რომ ჯერ კიდევ სტამბის ლიკვიდაციამდე დიდი ხნით ადრე ჩვენ მიერ დაბეჭდილ ბროშიურებისა და ფურცლების რიცხვმა მილიონს გადააჭარბა, რაც მაშინ პატარა ნადიმითაც კი აღინიშნეთ. 548 ფუთ ლიტერატურიდან 516 ფუთმა უკლებლივ მიაღწია დანიშნულებისამებრ, 32 ფუთი ლიტერატურა კი დაიკარგა. ერთი ტრანსპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლტავისა და ელისავეტგრადის მისამართით, 10 ფუთი ლიტერატურა, დაიკარგა დნარჩენი კი, დაახლოვებით 20 ფუთამდე სამარაში დაგვეყუბა შემდეგ პირობებში.

პოლტავისა და ელისავეტგრადის მისამართით გაგზავნილ ლიტერატურის დაღუპვის შემდეგ ბაქოს განსაკუთრებულ ყურადღება მიექცა და რკინის გზის აგენტების გადმოცემით სასტიკი თვალყურის დევნება დაუწყეს გასაგზავნ ტვირთებს. ამის გამო ჩვენ ლიტერატურის გაგზავნის სხვა ხერხს მივმართეთ, რაც ნოსნობის პერიოდში ასტრახანით მდინარე ვოლგით ლიტერატურის გაგზავნაში გამოიხატა. ჩვენ კარგად გვქონდა შესწავლილი, თუ როგორი ხასიათის ან სახელწოდების ტვირთი იგზავნებოდა უფრო ხშირად ბაქოდან რკინის გზით, ან ზღვით. ამიტომ ჩვენ მიერ გასაგზავნ ტვირთსაც მას ვუფარდებდით. ვოლგით ჩვენ ვგზავნიდით ლიტერატურას 2 ფუთიან ყუთებში „გუდრონს“ სახელწოდებით (ნავთის ნაშთენია, ასფალტის გასაკეთებლად გამოსადეგი). იმ ხანებში ეს გუდრონი მრავალი ფირმის მიერ იგზავნებოდა ბაქოდან დიდი რაოდენობით, ყოველ ფირმას თავისი განსაკუთრებული ჩაწყობის წესი ჰქონდა, იგზავნებოდა იგი კასრებით (ბოჭკებით) და ყუთებით. ჩვენს სახელსნოში ამის გამო შეეუკვეთეთ ორმაგი ყუთები. შიდა პატარა ყუთში ვაწყობდით ლიტერატურას, რომელსაც შემდეგ დიდ ყუთში ვათავსებდით და ირგვლივ გუდრონით ვავსებდით. ყუთზე შესაფერისს ნაბეჭდ წარწერებსა და ნიშნებს ვუკეთებდით გუდრონის ხარისხისა და ნომრის შესახებ. ასე გამზადებული ყუთები სამარაში, სარატოვში ან სხვა ქალაქებში იგზავნებოდა ქვითარის წარმომდგენის სახელზე, რომელიმე მოგონილი ფირმის მისამართით. საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ 1905 წლის ივლისში, როდესაც გემიდან ყუთებს ტვირთავდენ, რამოდენიმე მათგანი გადმოვარდა, რომელთაგანაც ერთი სრულიად დაიმსხვრა, ცხადია, რომ გადმომტვირთველები გუდრონს სიფრთხილით არ ეკიდებოდენ. გატეხილი ყუთიდან გუდრონმა დაიწყო დენა (დიდი სიცხისაგან გუდრონი სითხისებრ მდგომარეობაში გადადის). გუდრონს თან ლიტერატურაც გამოყვა, რადგან შიდა ყუთიც გატეხილიყო. რასაკვირველია, ამის შემდეგ ყველა ყუთები დახსნეს და მთელი ლიტერატურა (20 ფუთამდე) სრულიად დაიღუპა. ის ამხანაგი, რომელსაც ეს ლიტერატურა უნდა მიეღო, იქვე იდგა გემის ახლოს, სხვა ხალხთან ერთად და მთელ ამ სურათს ხედავდა. ამ ფაქტის შესახებ ჩვენ მსწრაფლად გავაცნობეს და, რასაკვირველია, შემდეგ ჩვენ გუდრონი აღარ გაგზავნია. სამაგიეროთ, უეჭველია, ნავთის მრეწველებს დიდი ზარალი მივეცით იმით, რომ, როგორც გადმოგვცემდენ, თურმე მთელი ერთი თვის განმავლობაში ვოლგის ყველა ნავთსადგურებზე გუდრონიან ყუთებსა და კასრებს ხსნიდენ და შინ ჯავდენ ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ გაგზავნილ ლიტერატურიდან ბევრი არ დაღუპულა. „Правительственный Вестник"-ში წერილი იყო დაბეჭდილი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის შემოტანის შესახებ, სადაც ამტკიცებდენ, რომ ლიტერატურა აუცილებლათ საზღვარ გარეთიდან შემოდისო და ისიც სპარსეთის გზით ბაქოში და ასე შემდეგო. არავის აზრადაც კი არ მოსდიოდა, რომ შესაძლებელი იყო ამოდენა ლიტერატურა და ისიც ასე კარგად შესრულებული, არალეგალურ პირობებში ყოფილიყო დაბეჭდილი.

8 ფუთი ლიტერატურა დაღუპვისაგან შემდეგნაირად გადავარჩინეთ: ლიტერატურა გაგზავნილი იყო ელისავეტგრადში დაახლოვებით 3 თვის გასვლის შემდეგ იმ დროიდან, როდესაც იქ პირველად დაიღუპა ჩვენი ლიტერატურა. საქონლის დასახსნელი ქვითარები და სხვა დოკუმენტები კი მინსკში გავგზავნეთ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამბ. ადამოვიჩის სახელზე. ჩვეულებრივად ჩვენ მართლაც ასე ვმოქმედებდით: ლიტერატურას ერთ ქალაქში ვგზავნიდით, მის დასახსნელ საბუთებს კი—მეორეში. ლიტერატურის გაგზავნის ორი დღის შემდეგ დეპეშა მივიღეთ, რომლითაც გვატყობინებდენ ამბ. ადამოვიჩის დატუსაღებას და გვაფრთხილებდენ მის სახელზე აღარაფერი გაგვეგზავნა. უკვე გვიან იყო. მაგრამ ჩვენ ძალიან გულით გვინდოდა ელისავეტგრადელ ანდარმებისათვის წინად დაღუპული ლიტერატურის სამაგიერო გადაგვეხადა. საბარგო სადგურის კანტორის გამგისაგან ჩვენ მოვახერხეთ გვეშოვნა დიდი სიჩქარის ტვირთისათვის მიღებული რამოდენიმე ძველი ბლანკი. ამ ბლანკებს, ოასაკვირველია, სხვა ნომრები ქონდათ. ასეთი ბლანკები ძველად სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციაში იბეჭდებოდა ხოლმე და ამიტომ ძნელი იყო მისი მსგავსი ყალბი ბლანკების დამზადება. გაგზავნილი ბლანკების ნომრებს ჩვეულებრივათ ყოველთვის ეინიშნავდით ხოლმე. ამ შემთხვევაშიაც გვქონდა მინსკში გაგზავნილი ბლანკების ნომრები. აქ ჩემი მთელი მხაზველობითი ნიჭი და უნარი გამოვიჩინე. მთელი ღამის მუშაობის შემდეგ მოვახერხე გადამეკეთებინა ძველი ბლანკების ნომრები საჭირო ნომრებათ. საქმე კარგათ იყო შესრულებული და ამ დოკუმენტებით ერთი ამხანაგი დაუყოვნებლივ გავგზავნეთ ელისავეტგრადში, სადაც მან თავისუფლად შესძლო გამოეტანა გაგზავნილი ლიტერატურა, ტეხნიკურ ბიუროდან და ელისავეტგრადელ ამხანაგებიდან ჩვენ შემდეგ გავიგეთ, როგორ ჩაუვლიათ ხელში ანდარმებს ჩვენ მიერ გაგზავნილი ბლანკები და ადვილი წარმოსადგენია მათი გაცვიფრება და გულიწყრომა, როდესაც მათ ელისავეტგრადში ვერავითარი ლიტერატურა ვერ იპოვეს. როდესაც ძველი დოკუმენტები ყალბი დოკუმენტებისათვის შეუდარებიათ, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირებულნი დარჩენილან ასეთი საოცარი მსგავსებით. ამის გამო ბაქოს საბარგო სადგურზე მთელი გამოძიება დაინიშნა. ჩვენი რკინიგზელი ამხანაგი ნესტორ მამულაიშვილი, რომელიც დიდ დახმარებას გვიწევდა ხოლმე ასეთ საქმეებში, ცოტათი დაისაჯა ამის გამო, მაგრამ მალე აღადგინეს თავის უფლებებში, როგორ უზადო მომუშავე.

სტამბაში მომუშავე ამხანაგებს შორის შინაური დამოკიდებულება, რომელიც ყოველთვის მეგობრული და მტკიცე იყო, ხან და ხან მაინც განიცდიდა ხოლმე მერყეობას პარტიის ცხოვრების ზოგიერთ მომენტებში. მახსოვს, თუ როგორ გამწვავდა დამოკიდებულება ამ ხანაგებს შორის ამხ ლენინის „ისკრა"-დან წასვლისა და ახალი გაზეთის „Вперед"-ის გამოცემის დროს. იმ ხანებში ერთის მხრით „Искра"-ში და მეორეს მხრით „Вперед"-ში ხშირად თავსდებოდა ხოლმე პოლემიკური ხასიათის წერილები პარტიის ტაქტიკისა და ორგანიზაციულ საკითხების შესახებ, განსაკუთრებით კარგად მახსოვს, თუ რა მწვავე კამათი გამოიწვია ჩვენში შეიარაღებული აჯანყებისა და ძალა-უფლების ხელში ჩაგდების საკითხმა, რომლის შესახებაც დიდი პოლემიკა გაიმართა პლეხანოვსა და ლენინს შორის. უმეტესი ჩვენთაგანნ ლენინის მხარეზე იყო. იმ დროს პარტია ჯერ კიდევ არ იყო გაყოფილი მენშევიკებათ და ბოლშევიკებათ, მაგრამ ჩვენი ამხანაგების უმრავლესობის სიმპატია ძველი „Искра"-ს მხარეზე იყო. გაპონის ისტორიის შემდეგ განსაკუთრებით მწვავე კამათი გვქონდა. მიუხედავათ ჩვენ შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობისა, ვგრძნობდით რა დიდს პასუხისმგებლობას პარტიის წინაშე, ყოველთვის ვახერხებდით ამ სხვადასხვაობათა ჩვენს შორისვე ჩაკვლას, მაგრამ პარტიის მესამე ყრილობის შემდეგ კი და გაზეთ „პროლეტარის" ბოლშევიკების ცენტრალურ ორგანოთ გამოცხადების შემდეგ, სტამბაში მხოლოდ ბოლშევიკური მიმართულების მომხრეები დარჩენ.

პარტია იზრდებოდა, ლიტერატურის მოთხოვნილება სწრაფად მატულობდა, ასე რომ, მიუხედავად ჩვენი სტამბის დიდი ნაყოფიერებისა და მისი მთელ რუსეთში მოხერხებულად გავრცელებისა, მაინც ვერ ვახერხებდით პარტიულ სიმშილის დაკმაყოფილებას მეტ ოდენობით სიტყვის საქმეში. ლიტერატურის მოთხოვნილება უმთავრესად მოსკოვის და პეტროგრადის საწარმოო რაიონებში იზრდებოდა. რადგანაც ჩვენი სტამბა საგრძნობლად იყო დაშორებული ამ საწარმოო ცენტრებს და ამასთანავე ბოლშევიკური მიმართულების კერას, ჩვენი პარტიის ც. კ. საკითხი დასვა მოსკოვში სტამბის მოსაწყობად ზომების მიღების შესახებ, რაშიც ჩვენი ამხანაგების გამოცდილებაც უნდოდათ გამოეყენებინათ. ამხ. სიმონი გაიწვიეს მოსკოვში და ამ საქმის მოწყობა დაავალეს. იმ დროს ლ. ბ. კრასინიც მოსკოვში მუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობდა. ამხ. სიმონი მოსკოვში ჩავიდა, როგორც კავკასიური საქონ-
ლით მოვაჭრე, დაიქირავა იქ დუქანი და ჩაიტანა ბრინჯი, ქიშმიში
და სხვა საქონელი. დუქნის გვერდით მიწის ქვეშ მოწყობილ იქნა
სტამბა. დუქანი მოთავსებული იყო ლესნაია (ტყის) ქუჩაზე. ჩვენი ბა-
ქოელი სტამბიდან ამ სტამბაში გადაყვანილ იქნენ ამხ. სილიბისტრო
თოდრია და გიორგი სტურუა. სხვათა შორის, ამ დუქანში მოსამსა-
ხურე ქალათ მუშაობდა ამხ. იკრიანისტოვა (ამ ჟამად სრ. რ. ც. ა. კ.
წევრი, მაშინდელი სახელწოდება „ტრუბა"). მან მხოლოდ 1922 წელ-
ში გიგო, რომ იქ, სადაც ის 1905 წელს მოსამსახურედ მუშაობდა,
არალეგალური სტამბა იყო მოთავსებული. ეს კიდევ ერთხელ ამტკი-
ცებს, თუ რა დიდი კონსპირაცია იყო დაცული ჩვენი ამხანაგების
მიერ ამ საქმეში. ეს სტამბა ძალიან კარგად მუშაობდა და მთელ
მიმდინარე სამუშაოებს ამ ცენტრალურ საწარმოვო რაიონებისათვის
ის ასრულებდა, რითაც საგრძნობლად შეამსუბუქა ბაქოში არსებული
სტამბის მუშაობა. ამ სტამბის მუშაობა ღირსია უკეთ იქნეს გაშუქე-
ბული ამ ამხანაგების მიერ, რომლებიც იქ მუშაობდენ. ჩემი წერი-
ლის ფარგლებში კი ეს დღეს-დღეობით არ შედის.

1905 წლის ზაფხულში, როდესაც მოსკოვის სტამბამ დაიწყო
მუშაობა, ჩვენი სტამბა განთავისუფლებულ იქნა საჭიროო და მიმდი-
ნარე სამუშაოებისაგან. ბაქოს სტამბას დაეკისრა არა საჭიროო სამუ-
შაოები, რის გამოც მის მუშაობაში ადგილი აღარ ქონია ისეთ გა-
მალებულ მუშაობას, როგორსაც ადგილი ქონდა წინა წლებში. ჩვენ
შევუდექით ხოლოდ ბროშიურებისა და ცალკე კრებულების ბეჭდვას.
იმ ამბებს, რომელსაც ადგილი ქონდა 1905 წლის 9 იანვრის შემდეგ
და რომელსაც 1905 წლის „ოქტომბრის" თავისუფლება მოყვა, არ
შეიძლებოდა გავლენა არ ქონოდა ჩვენს სტამბაში შემოღებულ
შინაურ რეჟიმზე. მუშათა აშკარა მოძრაობის ზრდასთან ერთად
ჩვენ ამხანაგებსაც ეღვიძებოდათ სურვილი ამ სასტიკ კონს-
პირატიულ ცხოვრებიდან გამოსულიყვენ და მასებს შორის მუშაობა
დაეწყოთ. ერთი სიტყვით, მოახლოვებულ „თავისუფლებას" და მუ-
შათა მოძრაობის ზრდას მთელ რუსეთში ჩვენს კონსპირატიულ წრე-
ში ის შემოქონდა, რასაც თანამედროვე ენაზე გახრწნა ეწოდება.
დღითი-დღე უფრო ძნელი ხდებოდა ამხანაგების ამ ბუნებრივი
მისწრაფების შეკავება, რაც მასებში სამუშაოთ გასვლის სურვილში
გამოიხატებოდა, რადგან ბევრი ამხანაგი კარგად გრძნობდა, რომ
ჩვენი სტამბის მნიშვნელობა ამ პირობებში ისე აუცილებელი აღარ
იყო, როგორც წინად. გვშამდა, რომ პარტიას ახლა მრავალი ლეგა-
ლური შესაძლებლობა ქონდა ბეჭდვითი სიტყვისადმი არსებული უფ-
რო მეტი და მეტი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა. მიუხედავათ
ამისა, განვლილი შკოლისა და დისციპლინის წყალობით სტამბის ში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაური და გარეგანი რეჟიმის არავითარი დარღვევა არ მომხდარა.
2 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ პარტიას მართლაც
მიეცა შესაძლებლობა ლეგალურის გზით ლიტერატურის და პერიო-
დულ გამოცემათა გამოშვებისა, რის გამოც საოცრად იკლო ჩვენს
სტამბაში სამეჭდი მასალების გამოგზავნამ. ჩვენ წინ საკითხი დადგა
მუშაობისა და მომუშავეთა შტატის შემცირების, ან სტამბის დროებ-
ით დახურვის შესახებ. მეორეს მხრით შიშმა შეგვიპყრო, რომ ჩვენს
გარშემო შექმნილ მდგომარეობათა გამო საქმის დაღუპვა სულ ად-
ვილი საქმე იქნებოდა ჩვენ ინსტიტუციურად ვგრძნობდით, რომ შე-
საძლებელი იყო არალეგალური სტამბა კვლავ დაგვეპატრონებოდა. მე
კარგად მახსოვს ჩვენი არალეგალური წრის აღფოთოვანება ოქტომბ-
რის ამბების გამო, მაგრამ ისიც კარგად მახსოვს, რომ, როდესაც ამ
ამბების შეფასებას შევუდექით, ყველა რატომღაც იმ დასკვნამდე
მივდიოდით, რომ ეს თავისუფლება ბტკიცე არ არის, რომ ადვილი
შესაძლებელია მალე ისეთი მოგვეხდეს სამუშაოდ სარდაფებში ჩაძ-
რომა, როგორც ერთის წლის წინად გვიდებოდა. სტამბის ბედ-ილ-
ბალის გადაწყვეტა ჩვენ არ შეგვეძლო. ც. კ. მიერ რწმუნებული ამ-
ხანაგი კი იმ ჟამად ბაქოში არ იმყოფებოდა. გადაწყვეტილ იქნა მე
გავეგზავნეთ პეტროგრადში ც კ. საკითხის გამოსარკვევად. ნოემ-
ბერში ჩავედი პეტროგრადში. ბოლოტნი ქუჩაზე მე მომეცა თათ-
ბირზე შესაწვევი ქალაქი, რომლითაც პირდაპირ რ. ს.-დ. მ. პ.
ბოლშევიკების ც. კ. თათბირზე გაეგზურე. თათბირი ინტენერ ბრუს-
ნევის ბინაზე შესდგა, რომლის ბინაც ბადის ბაზრის ბოლოში, პოკ-
როვის მოედნის ახლოს იყო მოთავსებული. ამ თათბირზე მე პირველ-
ად ვნახე ამხ. ლენინი. ძალიან შეეჭეოთდი, როდესაც ამხ. ლენინი
შემდეგი სიტყვებით შეეხეთ: „აი, ვინ ყოფილა ამხ. ბელი!“ „Искра“-
სთან და კერძოდ ამხ. ვლადიმერ ილიჩთან ჩვენ ხშირად გვქონდა
მიწერ-მოწერა. ის ჩქარა გადავიდა საქმიან ლაპარაკზედ და გაიკოთხ-
ვა დამიწყო იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა იყო კავკასიაში.
როგორ მუშაობდენ იქაური ორგანიზაციები და კერძოდ რა გუნებაზე
იყვენ სტამბაში მომუშავე ამხანაგები და მიიწვევდენ თუ არა თავ-
ისუფლებისაკენ. მას და იქ დამსწრე სხვა ამხანაგებს: კრასინს, ბოგ-
დანოვს და პოსტალოვსკის მოკლედ გავაცანი ბაქოელი და სხვა კავ-
კასიის ორგანიზაციების მუშაობა, რიგელთა შესახებაც მე ცნობები
მქონდა და აგრეთვე დაწვრილებით გავაცანი სტამბის მდგომარეობა
და მუშაობა და სტამბის მომუშავე ამხანაგების სულიერი განწყობა-
ლება. აქვე გავაცანი მათ ჩვენი გადაწყვეტილება, რომ უფრო სია-
მოვნებით დავთანხმებოდით კვლავ არალეგალურ მდგომარეობაზე,
დავრჩენილიყავით და თუ გინდ დროებით ალაფერი არ გაგვეკეთე-
ბია, ვიდრე ლიკვიდაცია მოგვეხდინა ასეთი წვალებით დაწყებულ

ამხ. ლ. ბ. კრასინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კონსპირაციის მხრივ ასე კარგად მოწყობილი საქმისათვის. კარგად მახსოვს, თუ როგორ სასაცილოდ აიგდო ამბ. ლენინმა ის ამბანაგები, რომელთაც დიდი იმედი ჰქონდათ ამ „ოქტომბრის თავისუფლებისა“ და წარმოედგინათ, რომ ჩვენს ამხანაგებს არალეგალური მუშაობა არ დასჭირდებოდათ. მოუხედავად ამისა, ც. კ. წვრების ხმის უმრავლესობით დადგენილ იქნა ლიკვიდაცია მოგვეხდინა ბაქოს სტამბისათვის, მომუშავეთა კადრი მთლიანად შეგვენახა და გადმოგვიყვანა პეტროგრადში განზრახულ დიდ ბოლშევიკურ ლეგალურ სტამბაში სამუშაოდ, და თუ კი საჭიროება მომავალში მათ არალეგალურ მუშაობას კვლავ მოითხოვდა,—ამბობდენ იქ—ისინი ისევ ადვილად შესძლებდენ, როგორც გამოცდილი ამხანაგები არალეგალური სტამბის ხელახლა მოწყობას თავისი გამოცდილებისა და ენერგიის წყალობით. იქვე გადაწყდა მანქანა პეტროგრადში გაგვეგზავნა ქვითარის წარმომდგენის სახელზე. გადაწყდა, რომ განზრახულ ლეგალურ სტამბის განსაძღვ მანქანა გადატანილი ყოფილიყო ლიტეინის პროსპექტზე აოსტერ სტამბაში, სადაც მაშინ ბონჩ-ბრუევიჩის და პ. პ. რუმიანცევის „Вестник“-ი იბეჭდებოდა. ამ ხანებში მოლაპარაკება სწარმოებდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მენშევიკების საორგანიზაციო კომისის შორის (ასეთი სახელწოდება ჰქონდა ძაშინ მენშევიკების ც. კ.) გაერთიანებისა და ერთი ცენტრის შექმნის შესახებ. სხვათა შორის ამის შესახებ ამბ. ლენინს ჩემთან ჰქონდა ლაპარაკი და ასეთი აზრი გამოთქვა: „ჩვენ წინადადებას ვაძლევთ მენშევიკებს თანასწორი შეერთების შესახებ, მათ კი სურთ საერთო ცენტრში მეტი თავისი ამხანაგები გაიყვანონ. როგორ ფიქრობთ, დავთანხმდეთ თუ არა ჩვენ ამაზე?“ ეს. რასაკვირველია, ის ეუბასუხე, რომ ამაზე დათანხმება არაშც და არაშც არ შეიძლებოდა, რაზედაც ამბ. ლენინს გაეცინა, სთქვა—ეს კარგიაო და იქვე მიაჭცია ამბ. ბოგდანოვის და სხვების ყურადღება ამას: აი, უყურეთ რას ფიქრობენ ეგეასიელი ამხანაგებიო. აქედან ისეთი დასკვნა გამოვიყვანე, რომ ამბ. ბოგდანოვი და სხვები მომზრენი იყვენ საერთო ცენტრში ბოლშევიკები ხმების ნაკლები რიცხვითაც შესულიყვნენ.

პეტროგრადში ყოფნის რამოდენიმე ხნის შემდეგ მივიღე ფორმალური დადგენილება სტამბის ლიკვიდაციის შესახებ და ამისათვის საჭირო თანხები. ფულის ერთი ნაწილი მოსკოვში უნდა მიმეღო ამბ. გოლუბკოვისაგან ბოლშევიკური გაზეთის „Вперед“-ს რედაქციაში. მოსკოვში ამბ. გოლუბკოვისაგან მართლაც მივიღე ფული. სხვათა შორის იქ დროს ძოსკოველ ამხანაგებს გავეუბიარე, რომ ბაქოში ვბრუნდებოდი ჩვენი არალეგალური სტამბის სალიკვიდაციოთ და მახსოვს, რომ აწ უკვე განსვენებული ამბ. მარატი ძალიან ნაწყენი დარჩა. ბაქოში 6 დეკემბერს გავემგზავრე, ე. ი. მოსკოვის შეიარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებული გამოსვლების წინ. იმ ხანებში მოეკოვი სდუღდა ა ეშკარად ეტყობოდა, რომ დიდი ამბები მოხდებოდა. მე, ისე როგორც სხვა ამხანაგებიც, თავისუფლად დავდიოდით მოსკოვის ქუჩებზე მაუზერებით შეიარაღებულები, თავისუფლად ეყიდულობდით პატრონებს და სროლაში ვვარჯიშობდით პეტროვის პარკში. ბორკის ბინაზე, ახლანდელ საბჭოთა მე-4 სახლში, საშუალო ორგანიზაციის თათბირი გვქონდა, რომელზედაც სხვათა შორის გასინჯულ იქნა ახალი ტიპის ხელის ყუმბარები. მ. ფ. ანდრეევის ქალმა სიამოვნებით დაგვითმო ბინა ამ თათბირისათვის, მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობით, რომ ეს თათბირი ალექსი მაქსიმეს ძის არ ყოფნის დროს მოგვეხდინა, რადგან ყუმბარის გასცდომის შიში ჰქონდა და არ უნდოდა იგი საფრთხეში ჩაეგდო. ჩვენ, რასაკვირველია, ყუმბარების გასკდომის შიში არ გვქონებია, რადგან საშინჯათ დაუტანელი ყუმბარები გვქონდა, მაგრამ მაინც დავთანხმდით ამ პირობაზე.

ბაქოშა უკანასკნელი მატარებლით მივედი, რადგან ამის შემდეგ მალე სრულიად რუსეთის რკინის გზელთა გაფიცვა გამოცხადდა. ჩემი ჩასვლის წინ შავრაზმელებს ერთი ცნობილი მუშა-ბოლშევიკი, პეტრე მონტინი, მოეკლათ. ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტმა გადასწყვიტა გრანდიოზული დასაფლავება მოეწყო და მონტინის გვამი ტფილისში გადაესვენებინა. დასაფლავებაში, რასაკვირველია, მონაწილეობა მიიღეს მენშევიკებმაც და ესერებმაც. 9 დეკემბერს დანიშნული იყო სამივე ორგანიზაციების კომიტეტების გაფართოებული სხდომა დასაფლავების ცერემონიალის შესამუშავებლათ. საერთო გაფიცვა გამოცხადებულ იქნა არა მარტო რკინის გზაზე, არამედ ბაქოშიც ნავთის სამრეწველოებში. ამ სხდომაზე მე პირველად ვნახე კაკასიელი ამხანაგები, რომლებიც სამი წელიწადი არ მენახა. ისინი ძალიან განცვიფრებული დარჩენ ჩემი გამოჩენით, რადგან უახლესმა ჩემმა ამხანაგებმაც კი არაფერი იცოდენ იმის შესახებ, რომ მე ამ ხნის განმავლობაში არალეგალურათ ვმუშაობდი ბაქოში. მე მათ განუცხადე, რომ ახლახან დავბრუნდი ბაქოში პეტროგრადიდან და ბაქოს კომიტეტისათვის ც. კ.-დან რამოდენიმე დავალება მქონდა ჩამოტანილი ბოლშევიკების ც. კ-დან დასაფლავების ბიუროში მე შევედი. მახსოვს, ღამის 2 საათზე ჩვენ წინ საკითხი დადგა მუშების და მცხოვრებთა მიმართ საჩქარო მოწოდების გამოშვების საჭიროების შესახებ პ. მონტინის დასაფლავებისა და მასთან დაკავშირებულ საკითხების გამო. გამოირკვა, რომ დილისათვის ამ მოწოდების დაბეჭდვა ყოვლად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა, მიუხედავათ იმისა, რომ ძალაუფლების ფაქტიური ბატონ-პატრონი მაშინ ქალაქში ბაქოს კომიტეტი იყო. ამხანაგები ფრიად განცვიფრებულნი დარჩენ, როდესაც მე ამხ. ალიოშა ჯაფარიძეს წინადადება მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეცი მოწოდების შავი მოეცა და დავპირდი დილის 4 საათისათვის რამოდენიმე ათასი დაბეჭდილი მოწოდება ჩამებარებია. მე საჩქაროდ გავეშურე ჩვენ არალეგალურ სტამბაში, გავაღვიძე ამხანაგები და ორი საათის შემდეგ უკვე მზად იყო რამოდენიმე ათასი ეგზემპლიარი კარგ ქაღალდზე სუფთად დაბეჭდილი მოწოდება. ამის შემდეგ მე ისევ თათბირზე დავბრუნდი დაბეჭდილი მოწოდებებით, რომლებიც იქვე დაიგზავნა რაიონებში. იმ ღამეს მე პირველად ვუთხარი ამხ. ალიოშას, რომ ცენტრალური არალეგალური სტამბა ბაქოში იყო მოთავსებული და სწორედ ამ სტამბაში ვმუშაობდი მე გასული წლების განმავლობაში. მონტინის დასაფლავებაში რამოდენიმე ათი ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. შეკვეთილ იქნა სპეციალური მატარებელი ცხედარის ტფილისში გასასვენებლად და დელეგაციის გასაყოლებლად, რადგან მაშინ ამიერ-კავკასიის რკინის გზელები გაფიცულნი იყვნენ. მეც გავყევი მატარებელს. ტფილისელი ამხანაგები სემაფორთან შეგვხვდენ ჩრაღდნებითა და რევოლიუციოცნური სიმღერებით. მატარებელი სემაფორთან გავაჩერეთ და მონტინის გვამი მისი დედის ბინაზე გადავიტანეთ, რომელიც იქვე სადგურთან ახლოს იყო. დამხვდურ ამხანაგებს მეთაურობდა მენშევიკების მხრივ ისიდორე რამიშვილი, ბოლშევიკების მხრივ კი, მაშინ ბოლშევიკი საყვარელიძე.

ტფილისიდან ბაქოში დაბრუნების შემდეგ ამხანაგებთან ერთად სტამბის ლიკვიდაციას შევუდექით. მანქანის გარდა ჩვენ გვქონდა სხვა სასტამბო მასალების დიდი რაოდენობაც და აგრეთვე 60 ფუთამდე უკვე დაბეჭდილი ლიტერატურა. ყველა მასალები და ქონება, მანქანის გარდა, ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტს გადავეცით. დავშალეთ და ორ ყუთში ჩავალაგეთ. მანქანის გამოსატანად ყოფილი თავლის ერთ-ერთი კედელი გავანგრიეთ, აშკარაე გამოვიტანეთ ეზოში და ჩალაგება დაეუწყეთ. მთელ ამ სამუშაოს ამხანაგები ძალიან უგულოდ ასრულებდენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდი სურვილი ქონდათ თავისუფლებისა, მაინც გული სწყდებოდათ შეჩვეულ სამუშაოს თავის დანებებაზე, განსაკუთრებით კი იმ საქმის დაშლა ენანებოდათ, რომელსაც ამდენი ძალა და ენერგია შევალიეთ და რომელსაც ასეთის დიდი გულმოდგინებით ვაძლიერებდით. ჩვენმა მეზობელმა მუსულმანებმა აქ პირველად ნახეს, თუ რა საქმე კეთდებოდა მათ გვერდით. ისინი გაკვირვებით აკვნევდენ თავს და ჩუმ-ჩუმად რაღაცას ფუჩურნობდენ. ჩვენი ბინიდან სტამბის არალეგალურ ნაწილში გასასვლელი ხვრელი სამანქანო განყოფილების მხრიდან კარგად დავხურეთ და მიწით ამოვავსეთ, ე. ი. იგი პირველ-ყოფილ მდგომარეობაში მოვიყვანეთ. იქვე საძირკვლის ქვეშ ჩავმარხეთ ჩვენ მიერ ჩამოსხმული ტყვიის დაფა ჩვენის ხელმოწერით და დატით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბად, ამ დაფის პოვნა ახლაც შეიძლება. ასე გამოვიდა დღის ნათლეზე ჩვენი მანქანა, რომელიც თითქმის 2 წელიწადი მხოლოდ ბელოვნური სინათლით ნათდებოდა. ამხანაგები გაშეებულ იქნენ პეტროგრადში, რომ პარტიის პირველ დაძახილისთანავე ისინი გამეგზავნებოდენ პეტროგრადში ან სხვა ადგილას, სადაც მათ პარტია მიუთითებდა. მანქანა პეტროგრადში გავგზავნეთ ჩვეულებრივის წესით. ახლა კი, როგორც მანქანა, ისე იყო მიცემული ტვირთად, რადგანაც არავითარი საჭიროება არ იყო მისი მალულად გაგზავნისა. ჩვენი ალალეგალური ბინის დანგრევა და სტამბის ლიკვიდაცია მოხდა 1906 წლის 19 იანვარს. მანქანამ კი მუშაობა დაიწყო 1903 წლის 1 ნოემბერს. ამრიგათ, მანქანამ იმუშავა 3 წელიწადი და ორი თვე. დადგმული კი ეს მანქანა უფრო ადრეც იყო

თებერვლის შუა რიცხვებში ჩავედი პეტროგრადში. იქ მივიღე მანქანა და პირველად იგი დავდგი ლიტეინი პროსპექტზე. შემდეგ კი, როდესაც ფონტანკაზე, სახლი № 96, გაიხსნა სტამბა „Дело" (ბოლშევიკების დიდი ლეგალური სტამბა), ჩვენი მანქანაც იქ გადავიტანეთ და მასზე, როგორც ძალიან სწორსა და კარგ მანქანაზე, ჩვეულებრივათ სურათები და ნახატები იბეჭდებოდა.

სტამბა „Дело"-ს დარბევის შემდეგ, რომელიც სტოლიპინის ანკარგულებით მოხდა, ჩვენი მანქანა, რომელიც გაზეთი „ფორვერსტს"-ის ტიპისა იყო, გერმანეთში ნაყიდი, და პატარა ოტტაციული მანქანა, ბალშევიკების მიერ ნაყიდი მეშჩერსკისაგან (მეშჩერსკი იმ მანქანაზე თავის ცნობილ გაზეთს „Друг народа"-ს ბეჭდავდა, ჩვენ კი მასზე ვბეჭდავდით გაზეთებს „Война", „Эхо" და „Петроградское Эхо"), გადატანილ იქნა ბერეზინის ყოფილ სტამბაში, ივანოვის ქუჩაზე, № 14 სახლში. ამ სტამბის გამგეთ მაშინ ა. ა. ბელიაევი იყო და მე მგონია მისი შემწეობით ახლაც შესაძლებელია ნახულ იქნას ეს ჩვენი ბაქოდან ჩამოტანილი მანქანა, ანუ როგორც მას სხვა სტამბებში ეძახდენ „ბაკინკა", რომელიც შეიძლება საჩუქრად მივართვათ მოსკოვის ან პეტროგრადის „Правда"-ს, ან შენახულ იქნეს, როგორც სამუზეუმო ნივთი, ვინაიდან ის ღირსია ამის. თუ ოდესმე მოწყობილ იქნება არალეგალური სტამბების და მათი მოწყობილობის მუზეუმი, ძალიან თვალსაჩინო სურათი გამოვა პრიმიტიული სასტამბაკი დაზგიდან დაწყებული, რაზედაც ფურცლები შრიფტიდან ფეხსაცმელის საწმენდი ჩოთქით იბეჭდებოდა, პირველ ხარისხოვან, პრტყელ და მსწორფლ მბეჭდავ მანქანამდე.

1906 წელს, პირველი სახელმწიფო სათათბიროს გაოქის შემდეგ, საქმე ისე შეიცვალა, რომ კვლავ დადგა საკითხი არალეგალურ პარტიულ ორგანოს გამოშვების შესახებ. ბაქოს და მოსკოვის არალეგალურ სტამბებში ჩამოშავე ამხანაგთა კადრი მთლიანად შენახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იყო. პირველ ხანებში მათი უმრავლესობა ფონტანკაში—სტამბა „Дело"-ში მუშაობდა, ამ სტამბის დარბევის შემდეგ კი მათვე დაეარა ფილანდიაში—ვიბორგში—ახალი არალეგალური სტამბის მოწყობა და მაშინდელი ჩვენი ორგანოს „Социал-Демократ"-ის ბეჭდვა. ვლადიმერ ილიჩი მაშინ კუოკალეში ცხოვრობდა და იქ მიჰქონდათ მასთან კორექტურა გასასწორებლად. ჩემ მოვალეობათ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ყველა ის ამხანაგები, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ ჩემ მიერ დასახელებულ სტამბების მუშაობაში, შემდეგშიაც უახლოეს მონაწილეობას იღებდენ პარტიის რევოლიუციონურ მოძრაობაში და მრავალი მათგანი ახლაც პაასუხსაგებ პარტიულ ან საბჭოთა მუშაობას ეწევა. 1906 წლის ივნისში ც. კ. დადგენილებით გაგზავნილი ვიყავი ამიერ-კავკასიაში სამუშაოდ. ოქტომბრამდე ქუთაისის გუბერნიის სასოფლო ორგანიზაციებში ვმუშაობდი. შემდეგ კ. რ. ს.-დ. მ. პ. (მაშინ მთლიანის) სრულიად კავკასიის ყრილობის შემდეგ ბაქოს ორგანიზაციაში ვმუშაობდი. ამრიგად, 1902 წელში დატუსაღების შემდეგ მე კვლავ მომეცა საშუალება ჩემს საყვარელ საქმეს, ბაქოს პროლეტარიატის შორის მუშაობას დავუბრუნებოდი. პარტიაში ჩემი შემდეგი მუშაობა სულ სხვა დარგში სწარმოებდა, რომელსაც არალეგალურ სტამბების მუშაობასთან პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს, ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია ჩემი მოგონება მათ შესახებ ამით გავათავო.

მოსკოვი—კრემლი
21 თებ.-28 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ჩხეიძე.

ჩემი მოგონებანი

(გაგრძელება, იხ. „რევ. მატ." № 4)

ჩემი გასოციალისტება.

როგორც წინა წერილში მქონდა ნათქვამი, შედგა წრეები, სადაც გვამზადებდნენ, რომ ჩვენ შემდეგ თვითონ მოგვემზადებინა მუშები. ჩვენც ჩქარა გამოვედით მასწავლებლის როლში. როცა მუშების ახალ წრეს შეეადგენდით, ჩვენ თვითონ ვმეცადინეობდით, ვუკითხავდით იმავე წიგნებს, რომლებიც ჩვენ წაგვიკითხეს: „8 საათის სამუშაო დღე"-ს, „ვინ რითი ცხოვრობს" დიკშტეინისა, „პოლიტიკურ ეკონომიას" ბოგდანოვისა და სხ.

1897 წ. ჩვენი წრიდან თითქმის ყველანი დავდიოდით სხვა წრეებში და ვამზადებდით მუშებს, თუმცაღა ჩვენ თითონაც ძლიერ ცოტა ვიცოდით. ვუხსნიდით მათ, თუ ვინ იყო მუშების მტრები და როგორ უნდა გვებრძოლა მათ წინააღმდეგ. როცა საუბარი პრაქტიკულ კითხვებს შეეხებოდა, მუშები გულდასმით გვისმენდენ. მაგრამ, სხვისი რა მოგახსენოთ და ჩემი ცოდნა კი, ჩქარა იწურებოდა და დავიწყებდი ხოლმე პოლიტიკური ეკონომიის კითხვას ბოგდანოვიდან. როცა რთულ საკითხებზე დავიწყებდი მეჯელობას, მუშებს ძილი მოსდიოდათ და ეს არც გასაკვირვალი იყო, რადგანაც მეც ცოტა გამეგებოდა პოლიტიკური ეკონომიისა. იმ დროს ჩემთვის კვითხულობდი ასტრონომიას, მეტ წილად ფლამარიონს, რადგანაც პოლიტიკურ ეკონომიაზე კარგად ეს გამეგებოდა.

როდესაც დავუწყებდი მუშებს საუბარს იმის შესახებ, თუ როგორ ბრუნვას დედამიწა, ავუხსნიდი მზეს, ვარსკვლავებს, წვიმას, ქარს და სხ., მუშებს ასეთი საუბარი ძალიან მოსწონდათ, მთელი ღამე რომ მესაუბრნა ამ თემაზე, მუშები დაუღალავად და გულმოდგინეთ ისმენდნენ.

მაგრამ, საუბედუროთ, მაშინ კი არა, ახლაც ცოტა გამეგება ამ დარგში. რუსული ენა ხომ ნაკლებად ვიცოდით ჩვენ ყველამ. ყველაზე კარგად რუსული ვანო სტურუამ იცოდა, რადგანაც მას კულაშის ორ კლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დასრულებული. ჩვენს წრეში დადიოდა და რუსულ ვრამატიკას გვასწავლიდა მაშინ სტუდენტი, ახლა ვეჭილი ვანო ზედგინიძე. მე პირველად მისგან გავიგე, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულ ენაზე არსებობენ სქესები. ამ დროამდე სულ ერთი იყო: **Один стол, один лампа** და არა **одна, один яйцо** და არა **одно**. სქესის გარჩევა პირველად დიდათ გამიჭირდა, მაგრამ მასწავლებელი მაამედებდა: „ჩქარა გაიგებ, ნუ გეშინიან“-ო, და მართლაც, თუ რამე ვიცი რუსული გრამატიკის, ვანო ზედგინიძის წყალობით არა თუ მე, ბევრმა სხვა მუშებმაც.

ზედგინიძე ჩვენთან დიდ-ხანს არ დარჩენილა, რადგანაც ტომსკის უნივერსიტეტში წავიდა სწავლის დასამთავრებლად. მანვე წაგვიკითხა პირველად დიკშტეინის წიგნი, მაგრამ გაგვაფრთხილა, რომ არავისთვის გვეთქვა ეს ამბავი, რადგანაც მისთვის ჩვენთან პოლიტიკაზე ლაპარაკი ვასო ცაბაძეს და სხვებს აეკრძალთ—დღესაც არ ვიცი, რისთვის.

ასე ჩვენ ვსწავლობდით როგორც გრამატიკას, ისე სხვა საგნებსაც, მაგალითად არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას და სხ. ექიმი ალექსანდრე შატილოვი გვიკითხავდა და გვიხსნიდა დარვინიზმე. პოლიტიკურ ეკონომიას ჯერ ვასო ცაბაძე გვასწავლიდა, შემდეგ—სილიბისტრო ჯიბლაძე. ჩვენი ასეთი მეცადინეობა სამწუხაროდ დიდხანს არ გაგრძელებულა. ჯერ ერთი, პირობები ხელს არ გვიწყობდა და მეორედ უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ სილიბ. ჯიბლაძემ გამოგვიცხადა: „რათ გინდათ მეტი სწავლა, თქვენ ახლა იცით თქვენი ინტერესები, იცით ვინ არის თქვენი მტერი და მოყვარე. ახლა გეყოფათ. მუშებისთვის მეტი არ არის საჭირო. ახლა თქვენ თითონ ასწავლეთ სხვებსა“-ო, მაგრამ მე მაინც განვაგრძობდი სწავლას. ჩემს მასწავლებელს, გიორგი კუპრაშვილს, რომელიც თვითონ რეალურ სასწავლებელში სწავლობდა, ვაძლევდი თვეში თუმანს და ასე გადაწყვეტილი მქონდა სწავლის გაგრძელება. მაგრამ იძულებული გავხდი შემეწყვიტა მეცადინეობა; მასწავლებლისთვის თვეში თუმნის მიცემა იმ დროს, როცა მე თითონ სამ თუმანს ვიღებდი, ვერ შეეძელი. ოჯახი, ცოლ-შვილი მყავდა შესანახი. ამას გარდა უკვე რამდენჯერმე მიმაბრძანეს ეანდარმერიის სამმართველოში.

ჩვენი სწავლა შესწყდა 1900 წლის დასაწყისში. აღარ გვეცალა ამისთვის, რადგანაც წრეები გაიზარდა, გაფართოვდა და ხელმძღვანელები, ე. ი. ინტელიგენტური ძალები კი ცოტა იყო. ამის გამო ზოგჯერ საღამოობით სამ წრეში გვიხდებოდა თითოეულ ჩვენგანს სიარული.

ქართველ მუშებში, როგორც იყო, ვახერხებდით მუშაობას და კაცმაყოფილებდით მათ ასე თუ ისე, მაგრამ საჭირო იყო სომეხი და რუსი ხელმძღვანელები. შესაძლებელი იყო როგორც სომხური, ისე რუსული მუშათა წრის შედგენა. მაგრამ ვის უნდა ემაცადინა? ჩვენთან მაშინ ერთად-ერთი შეგნებული რუსი მუშა იყო ალილუევი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც წრეებში მეცადინეობა შეეძლო. ამასაც ორც დღე, ორც ღამე მოსვენება არ ჰქონდა. რომელიმე ჩვენგანს კიდევაც რომ შეძლებოდა რუსულად ან სომხურად მეცადინეობა, მაშინ მაინც ძოუხერხებელი იყო, რადგანაც მაშინ მუშებში ეროვნულ ნიადაგზე უნდობლობა სუფევდა. ასე რომ, რუსული წრისათვის აუცილებელი რუსი ხელმძღვანელი იყო საჭირო, სომხურისთვის—სომეხი. თათრული წრის შესახებ კითხვა არ დამდგარა, რადგანაც მუსულმანი მუშები ოკინის გზის სახელოსნოში არ ყოფილან.

ქართველი და სომეხი მუშების შეკრება და მათთან მუშაობა ადვილი საქმე იყო, რაც ჩემის აზრით იმით აიხსნება, რომ ესენი იმ დროის ჩაგრული ერის შვილები იყვნენ. რუსებთან საქმის დაჭერა უფრო სიფრთხილით გვიხდებოდა. რაც 1900 წლის შემდეგ უფრო ძნელი გახდა, რადგანაც როცა ატუსაღებდნენ რუს მუშებს, ჟანდარმები მათ ეუბნებოდნენ: „თქვენ რაღა გინდათ, თქვენ თქვენი მეფე, იმპერატორი გყავთ. ქართველები ჯუ იბრძვიან—ეს თქვენ წინააღმდეგ იბრძვიან, თავიანთი მეფე უნდათ"-ო. ასეთი პროვოკაცია დიდათ გვიშლიდა ხელს. მუშებში საზოგადოთ ძლიერ ცოტა იყო შეგნება და ჟანდარმების ანკესზე ბევრი ეგებოდა. დაბრკოლებანი ბევრი გვეღობებოდა, მაგრამ რევოლიუციონურ მუშაობას მაინც შეუპოვრად ვაწარმოვებდით.

პეტრე მონტინი.

1900 წელს დეპოს ვაგონის პარკში ზეინკლის თანაშემწედ დადგა ვინმე მონტინი. ის იყო მაშინ 16—17 წლის მეტად ქვეიანი ყმაწვილი. მომეწონა. მივეცი წასაკითხად ერთი პატარა ბროშიურა. ერთი საათის" შემდეგ დამიბრუნა: წავიკითხეო. მე არ დავუჯერე: ასე ჩქარა ვერ წაიკითხავდი მეთქი. მაგრამ მან ზეპირად მიამბო წიგნაკის შინაარსი.

ამის შემდეგ თითქმის ყოველ დღე ვაძლევდი მას ხან წიგნებს, ხან გაზეთებს. ისიც გულმოდგინეთ კითხულობდა. შემდეგ ის გავაცანი სხვა ამხანაგებს: მიხა ბოჭორიძეს, არაქელას, ხაქროს და სხვებს. რამდენიმე ხნის შემდეგ, იმავე 1900 წელს, შევადგინე დეპოში და ვაგონის პარკში წრე რუსი მუშებისაგან, რომელშიაც მონტინიც შედიოდა. ამ წრეში თითონ მე შევდიოდი და რაც კი ვიცოდი, სამი საღამოს განმავლობაში ავად იყო თუ კარგად, ყველაფერი გადავეცი. მეტი გზა აღარ იყო, წრე ჩავაბარე ამხ. მონტინს. ვაძლევდი მას წიგნებს, რომლებსაც ის წრეში კითხულობდა. მონტინი ცოტა ხანში საუკეთესო ამხანაგი შეიქნა, მაგრამ როგორც მთავრობისათვის მეტად საშიშ კაცს, ადრე მოუღეს მას ბოლო პაჭაში ხულიგანებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილოვან ივანიაძე.

ახალგაზრდებში გამონაკლისს შეადგენდნენ მონტინი და სილოვან ივანიაძე. სილოვანი იყო დ.ადი ჯიხაიშიდან, ღარიბი გლეხის შვილი. იგი დღეს თითქმის მივიწყებულია. სილოვან მეტად ცოცხალი და ჭკვიანი ბავშვი იყო; როგორც სოფელში, ისე ტფილისში ის ჩემს ხელში გაიზარდა. იგი მე წამოვიყვანე ტფილისში თორმეტი წლისა და ცხოვრობდა ჩვენთან სწორედ იმ ოთახში, საც ჩვენი წრეების კრებები იმართებოდა. ეს იყო 1897 წ. იმას არაფერს არ ვუმალავდით; თუ სადმე საიდუმლო საქმე იყო გასაკეთებელი, მას ვეზავნიდით. ფურცლების, წიგნების და ყველა არალეგალურ გამოცემებს მას ვავრცელებინებდით და ვანახვინებდით. ისიც ყველა ამას დიდის სიფრთხილით და სისწრაფით აკეთებდა.

სილოვან ივანიაძე დავაყენეთ ტელეგრაფის სახელოსნოში. იქ დიდი უნარი გამოიჩინა, როგორც ხელობის შესწავლაში, ისე პოლიტიკაში. შესანიშნავი რევოლიუციონერი შეიქმნა. სახელოსნოდან დაითხოვეს როგორც გაფიცვის მომწყობი. ამას შემდეგ წავიდა ბათომში და იქ დაიწყო მუშაობა როტშილდის ქარხანაში, სადაც განაგრძობდა რევოლიუციონურ მუშაობას; ყველა გამოსვლებში, გაფიცვებში, ტერორისტულ აქტებში მონაწილეობას იღებდა და პირველობა მუდამ მას ჰქონდა. ერთხელ ბათუმში ერთი ტერორისტული აქტის დროს, ვისზედ კარგად აღარ მახსოვს, სასიკვდილოთ დასჭრეს. ყაზახებმა ჭკრეს წიხლი და რომ ნახეს მკვდარი იყო, მიანებეს თავი, და დაიყოლეს: „Собака, уже здохла!“ ამხანაგებმა ის გაიტაცეს, მოაბრუნეს, მოარჩინეს და ექვსი თვის წოლის შემდეგ იგი კვლავ შეუდგა თავის საყვარელ რევოლიუციონურ მუშაობას. გაიგეს მტარვალებმა, რომ სიკვდილს გადარჩა და მაძებრი ძაღლივით დაეძებდნენ. მაგრამ თავს ფრთხილად ინახავდა და განაგრძობდა დაუღალავ მუშაობას. შემდეგ პარტიულმა კომიტეტმა სხვა ამხანაგებთან ერთად სილოვანი გაგზავნა სპარსეთში რევოლიუციონური მუშაობისათვის. სპარსეთში ის ბრძოლის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო. სპარსეთის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ სილოვანი დაუბრუნდა ისევ თავის ბათუმს. ის ბათუმში ჯაშუშების წყალობით დაიჭირეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, რომელიც შეუცვალეს 15 წლის კატორღით. გაგზავნეს სარატოვის ციხეში, სადაც არაქელასთან ერთად იმყოფებოდა. სარატოვის ციხეში, არაქელას გადმოცემით, ციხის ადმინისტრაციას საქმე გაუჭირა. როგორც ადმინისტრაციას, ისე გარეგნულ ტუსაღებს სილოვანი ებრძოდა და გასაკვირი არ არის, თუ მას ორივე ბანაკში ბევრი ჰყავდა მტერი. ერთ ღამეს ადმინისტრაციის მიერ მოსყიდულმა ძილში დანა ჩასცა მუცელში და მოჰკლა. ძილში იმიტომ, რომ სიფხიზლეში ყველას ეშინოდა მისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე'ლა დაეუბრუნდეთ ისევ ჩვენ პარტიულ მუშაობას.

1898 წლის მინსკში მომხდარ სოციალ დემოკრატიულ ყრილობამდე ერთი ცენტრი არა გვქონია. ცენტრალური კომიტეტიც ჩვენ ვიუაეთ, ადგილობრივიც, საოლქოც, პროპაგანდისტიც, აგიტატორიც, ორგანიზატორიც, ფურცლების გამავრცელებლებიც, გაფიცვების და ტერორის მომზუოპიც, ერთი სიტყვით, ყველაფერი.

1899 წელს დასაწყისში შესდგა ტფილისის კომიტეტი. ახლა ეს კომიტეტი იყო ყველაფერი. ეს კომიტეტი არ ყოფილა არჩეული. შეიკრიბა რამდენიმე ამხანაგი და გამოაცხადა თავი კომიტეტად და ხელმძღვანელად.

ჩემი დაპატიმრება 1901 წ.

პირველი მაისობა, ეს საერთაშორისო პროლეტარული დღესასწაული, ტფილისში პირველად გადაეიხადეთ 1898, მეორედ 1899 და მესამედ—1900 წლებში. ამ დღესასწაულების დაწვრილებით აღწერას აქ არ შეეუდგები, რადგანაც ეს უკვე მაქვს აწერილი „რევოლიუციის მატიანეს“ პირველ წიგნში. როდესაც პირველ მაისობისთვის ვემზადებოდით 1901 წელს, რომელიც გადაწყვეტილი იყო უნდა მოგვეწყო 18 აპრილს და ამით ევროპის პროლეტარიატთან ერთად გამოესულიეავით ჩვენც, ჟანდარმერიამ სუნი უკვე აიღო და რამდენიმე კაცი დაატუსაღა 16 თუ 17 აპრილს, რომელთა შორის მეც მოვხედი. მაშინ მე პარტიის დავალებით ბინა მეჭირა ანდრეევის ქუჩაზე, რომელიც შესდგებოდა ორი დიდი და ერთი პატარა ოთახისაგან. ეს ოთახები დანიშნული იყო კრებისათვის. იქ ვცხოვრობდი ცოლშვილით. ამ სამი ოთახის ავეჯეულობას შეადგენდა ერთი მაგიდა და რამდენიმე სკამი. ერთ დიდ ოთახში სრულიად არაფერი არ ყოფილა. როცა ღამით მოვიდნენ ჟანდარმები. პირველი მათი სიტყვები იყო: „Очень удобная квартира для собраний“ გაჩხრეკის დროს არაფერი არ უპოვნიათ. დამაპატიმრეს და წამიყვანეს მეხუთე საპოლიციო უბანში, სადაც ჩამსვეს ერთ ბნელ, ნესტიან სარდაფში; ორიც სხვა მუშა მოიყვანეს, რომლებსაც მე არ ვიცნობდი. ისინი სწუხდენ: რა უნდათ ჩვენგან, რათ დაგვაპატიმრესო. მე ვიიმედებდი მათ, რომ მალე გაუშვებდენ. საკმელი მომიტანეს, მაგრამ პირველ დღეს ვერაფერი ვჭამე. უბნის ზედამხედველს, („ოკოლოდნიკ“-ს) ეგონა, რომ გავიფიცე, ამიტომ ჯერ თვითონ დამიწყო თხოვნა, რომ მეჭამა. მერმე ბოქაული მოიყვანა და შესჩივლა: არაფერს არა სჭამსო. ეს დახასიათებელია იმ მხრით, თუ როგორ ეპყრობოდენ მაშინ პოლიტიკურებს.

მეოთხე ღამეს გამომიძახეს ღამის პირველ საათზე „პრისტავის“ კაბინეტში. იქ დამხვდა ჟანდარმის როტმისტრი ლავროვი. ჯერ მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავაზიანად დამიწყო გამოკითხვა—როგორ მეპყრობიან, ხომ არ გაწუხებენ პოლიციელებიო და სხვა. როცა ამაზე შესაფერი პასუხი მიიღო, შემდეგ უფრო მკვახეთ დამიწყო ლაპარაკი: „მე ყველაფერი ვიცი". მითხრა მან,—„მე თვითონ ვიდექი შენს ეზოს კარებთან გადაკმული, როცა შენთან კრებებზე „მოდიოდნენ"-ო. მოსულებში მხოლოდ ერთი სწორად დაასახელა—ამბ. კურნატოვსკი. ამიწერა მისი გარეგნობა: რიგა, დიდ-ულვაშება, ყრუ. მართლაც, კურნატოვსკი ასეთი იყო. საუკეთესო ამხანაგი იყო. სხვათა შორის, აქვე დაასძენ, რომ მან მაშინვე გამოიცნო, თუ ვინ იყო ჟორდანია: „თქვენი ჟორდანია ნაციონალისტია"-ო.

როცა შევატყვე, რომ ლაგროვმა ძალიან ცოტა იცოდა ჩვენი მუშაობის შესახებ, იმედი მომეცა. მისი სიტყვებიდან გავიგე, რომ მისთვის ჯაშუშებს ამბავი მიუტანიათ, მაგრამ არა სწორი.

როცა ლაგროვს არაფერი გაუგიდა, დაბოლოს დამიწყო მუქარა: „ერთ წელიწადს აქ, ამ სარდაფში, გამყოფებ, ორ წელიწადს სამხედრო განყოფილების ციხეშიო". ეს განყოფილება იყო მაშინ ჩუღურეთში, მაშინდელი ენფინჯიანცის თამბაქოს ქარხნის ახლოს, სადაც ამწყვდევდენ ჩვენს ამხანაგებს. იქ მაშინ კალანდაძე იჯდა. ამ მუქარის შემდეგ გამგზავნა საკანში, სადაც მე არხეინად დავიძინე. რადგანაც ვიცოდი, რომ მათ პირველ მაისობის მზადების შესახებ ცოტა იცოდნენ. ღამის ორ საათზე ისევ მოვიდა „გოროდოვოი" და გამაღვიძა: „პრისტავი გიბარებს"-ო. მე მეგონა ისევ უნდა დამკითხონ მეთქი და პროტესტი განვაცხადე: „ხვალ დღე იქნება და მაშინ ვილაპარაკოთ"—მეთქი, ვუთხარი მე. რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა თვითონ „პრისტავი" და მითხრა: „Вы свободны".

მე არ დავიჯერე. ერთი საათის წინეთ ლაგროვი მიპირებდა ერთ წელიწადს პოლიციაში გაჩერებას, ორ წელიწადს სამხედრო ციხის „სეკრეტში", სადაც, მისი სიტყვით, არც ადგომა შეიძლებოდა და არც დაჯდომა, მერე ციმბირში გადასახლებას და ახლა კი მეუბნებოდენ—შენ თავისუფალი ხარ, წადი სახლშიო.

გამანთავისუფლეს. ორი დღის შემდეგ კი გავედით „იარმუკაში" წითელი დროშით ხელში.

არჩეული კომიტეტი შესდგა 1901 წლის უკანასკნელ რიცხვებში, საცა ტფილისის ყველა რაიონებმა მიიღეს მონაწილეობა. ეს კრება შესდგა ავლაბარში. არც ბინა და არც ბინის პატრონის გვარი არ მახსოვს ეხლა, მხოლოდ მახსოვს, რომ კრება ავლაბარში იყო. აირჩიეს: არაქელა, მე, ქიშიშიანცი (ახლა აფთიაქის საწყობი აქვს), სევერიანე ჯაფეული, ვასო ცაბაძე, კალისტრატე გოგუა, ყარაჯანი. ზაქრო ჩოდრიშვილი და სტარაცენკო, რომელმაც შემდეგში გასცა ეს კომიტეტი. ზაქროს მიენდო კომიტეტის ბეჭდის გაკეთება. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყდა არაქელას სახლში სტამბის მოწყობა, თუმცა იქ გადაუწყვეტ-ლათ უკვე ნახევრად გამართული იყო სტამბა და იარაღის საწყობი. იქ ფურცლები უკვე იბეჭდებოდა, მაგრამ უმეტესი ნაწილი ამ ფურ-ცლებისა იბეჭდებოდა ლეგალურ სტამბაში არალეგალურად.

ვლასა მგელაძე ღამ-ღამობით გადაიპარებოდა ხოლმე სტამბაში. სადაც თვითონ დღისით მუშაობდა და ბეჭდავდა ფურცლებს ვაკ-ლავდით და ვავრცელებდით ყველანი, მხოლოდ მეტ წილს ვავრცე-ლებინებდით, როგორც შეუმჩნეველს: დედებს, ცოლებს და მცირე წლოვან ბავშვებს. იყო შემთხვევები, როცა თავ-დახურულ ქალებს: მიხა ბოკორიძის დედას, ზაქრის დედას, ჩემ სიდედრს ნატალიას, მიხას დედას ბაბეს (ამ ჟამადაც ცოცხალია, და კარგადაც არის.) ჩვენზე მეტ საქმეს ვაკეთებინებდით. ისინი ყველა თავდახურულნი, ლეჩაქებში იყვნენ და პოლიცია მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ფურცლების გადამტან-გადმომტანნი სულ ისინი იყვნენ.

ამ კომიტეტმა იარსება 1902 წლამდე. გაგვაკა კომიტეტის წევრ-ნი, როგორც ეს ზემოთ მოვიხსენიე, სტარაცენკომ და თავის მაგიერ ოლებაზედ ანანდარმი, კაპიტანი ლავროვი, გამოგვიგზავნა. კომიტეტის დატუსაღების შესახებ აქ ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ, რადგანაც ეს უკვე ვრცლადაა მოთხრობილი „რევოლიუციის მატიანეს“ პირ-ველ ნომერში.

ციხეში.

მეორე დილით ჩვენი კომიტეტი უკვე მეტეხის ციხეში იყო. დაუტუსაღებული დარჩა ქიშიშიანცი და სტარაცენკო. ჩვენ ყველანი ცალ-ცალკე კამერებში, „სეკრეტებში“ მოგვათავსეს. „სეკრეტებზე“ მე უფრო ცუდი წარმოდგენა მქონდა. ვიდრე ეს მეტეხის ციხეში იყო. ერთი პატარა ოთახი, შიგ ერთი მაგიდა, ერთი სკამი, ერთი რკინის საწოლი, ერთი ტუსაღი, რწყილები, ბაღლინჯოები და თაგვე-ბი,— ამ მთელი ამ ოთახის ავეჯი და მცხოვრებნი. ერთმანეთს ველა-პარაკებით კედლებზე კაკუნით. მიწერ-მოწერას ვახერხებდით „პარა-შნიკის“ საშუალებით და უფრო სიდუმლო წერილების მიწოდებას. ე. წ. ფოშტით, რომელიც მოწყობილი იყო საპირფარეშოში. იქ და-ნიშნულ ალაგს დავტოვებდით წერილს და როცა კარიდორში გავი-ელიდით, ვანიშნებდით იმ ამხანაგს, რომლისთვისაც ეს წერილი იყო დანიშნული. ისიც მაშინვე მოითხოვდა გარეთ გასვლას. პირველი და-ბრუნდებოდა თუ არა, მეორე მიდიოდა და იღებდა „ფოსტას“. „პა-რაშნიკს“ საჩუქრად ვაძლევდით თვეში აბაზს. იგი, კამერის ალაგების დროს მოხერხებულად აიღებდა წერილს, თუმცა „ნადზირატელი“ გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ყოველივე მის მოძრაობას კა-მერის ალაგების დროს, მაგრამ „პარაშნიკი“ მეტად დახელოვნებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და თავის საქმეს მოხერხებულად აკეთებდა. „პარაშნიკებს“ ეკითხებოდით, „ეგზამენს ვაქერინებდით“: პირველად დავწერდით უბრალო წერილს, თუ ჩავარდებოდა, არაფერს არ ნიშნავდა და როცა გავიგებდით, რომ ეს წერილი თავის დანიშნულ ალაგს სწრაფად მიდიოდა და პასუხსაც ეღებულობდით, შემდეგ ვაგზავნიდით ასე ხოლმე სერიოზულ წერილებსაც. ქაღალდები და ფანქრები თითქმის ყველა კამერაში მოიპოვებოდა, რადგანაც წერა-კითხვის სწავლას არ გვიშლიდნენ. გარეთ გასაგზავნ წერილებს კი ვსწერდით პაპიროსის ქაღალდზე. ამ პაპიროსის ქაღალდს დავაკეცავდით სიგრძეზე და როცა სახლიდან მოგვიტანდენ რამეს „სალფეთკით“, მას გადაკეცილ ყურებს გავფურღვევდით, შიგ ამ წერილს ირგვლივ შემოვაყოლებდით, ყურებს ისევ გადავუკეცავდით, გავკერავდით და თვითონ მეთვალყურე გადასცემდა ხოლმე. როცა ეს ორნი გაიგეს, „სალფეთქს“ ალარ ვვაძლევდნენ. ჩვენც სხვა ხერხს მივმართეთ: გარეთ გავაკეთებინეთ ორ ძირიანი თუნუქის ქეთილი (ჩაინიკი), რომლის ძირი ქვემოდან ოსტატურად იღებოდა. შიგ ეწყობოდა: ფფოცლები, წერილები, ფული და ზოგჯერ გაზეთებიც კი. ქეთლში ჩასხამდენ რძეს და ასე შემოგვიგზავნიდენ. ამნაირი ქეთილი ახლაც მაჭვს ორი ცალი. ასეთი ქეთლები ბევრი გაუკეთებია ამხ. დათიკო ციმაკურიძეს, რომელიც 1921 წელს მოსკოვში მიმავალი, გზაში გარდაიცვალა, სადაც ის საქმეზე იყო გაგზავნილი.

ამგვარი ორნები ბევრი გაგვიკეთებია, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, მხოლოდ მოვიყვან ერთ მაგალითს. მაგალითად, გარედ მუშაობის დროს, როცა ბომბების გადატანა იყო საჭირო, მიემართეთ შემდეგ ხერხს. იმავე ციმაკურიძემ გააკეთა ბიტონი, რომელსაც კრანი ქვევით ჰქონდა; გაალებდით კრანს, ნავთი გამოვიდოდა, ან ჯოხს ჩაყოფდით შიგ, იგი სველდებოდა ნავთში. ამ ბიტონის გვერდებზე კი ირგვლივ ბომბები ეწყო და ასე ორხეინათ გადაგვქონდა და გადმოგვქონდა.

ციხეში, ჩვენების ჩამორთმევამდე, ჩვენ უკვე მოვილაპარაკეთ ერთმანეთში წერილობით და კედელზე კაკუნით, თუ რა უნდა გვეთქვა ჩვენების დროს. უმთავრესი იყო: არ უნდა გვეპასუხნა ნაცნობობის შესახებ, ვიზედაც არ უნდა ეკითხათ, უნდა გვეპასუხნა: „არა გესოს! მაგის შესახებ პასუხის გაცემა“-ო და გათავდა. ასეც ხოლდა. დაკითხვის დროს მიჩვენეს ბევრი ამხანაგის სურათები. რაზედაც ეუპასუხე, როგორც მოლაპარაკებული ვიყავით. მაშინ მეორე ოთახიდან გამოიპატიჟა ჟანდარმმა პროკურორი და შესჩივლა: „აი, ჩხეიძეს არ სურს პასუხი მომცეს ნაცნობების შესახებ“-ო. „Тем хуже для него!“- მიუგო პროკურორმა, „რაც გინდათ ის მიყავით, განა თქვენი ნება არ არის?“—მეორე, ეუპასუხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასეირნოდ გავყავდით იქვე ციხის ეზოში დღეში მეოთხედი საათით; ეზოშივე დასეირნობდნენ სასხლის სამართლის ტუსაღები. ჩვენი სასეირნო ადგილი ციხის კედელთან იყო მავთულით შემოღობული და ბრეზენტით გადაფარებული, რათა ფანჯარიდან ამხანაგებს არ დავენახეთ. თუმცაღა ძალიან ცდილობდა ციხის ადმინისტრაცია, რომ არ გვცოდნოდა და არ გვენახა ჩვენი დატუსაღებული ამხანაგები, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდნენ. ჩვენ ყველამ ვიცოდით ვინ სად იჯდა და თითქმის ისიც კი ვიცოდით, ვინ რას აკეთებდა; ამ შემთხვევაში მეტეხის ციხის ადმინისტრაცია ამაოდ ბაძავდა პეტრე პავლესა და ბუტირის ციხის ბატონთ.

ციხეში ზრდილობიანად გვეპყრობოდენ. ვიჯექი მეტეხის „სეკრეტში“ 9 თვე. მერმე გამანთავისუფლეს დროებით განსაკუთრებულ ვანკარგულებამდე (До особого распоряжения), და გამგზავნეს ჩემ სოფელში პოლიციის მხედველობის ქვეშ. იქ მაშინვე მივიღე ქუთაისის კომიტეტისაგან განკარგულება, რომ მემუშავა გლეხებში. მაშინ მიხა ცხაკაია იყო ქუთაისის კომიტეტში. ქუთაისიდან ჩემი სოფელი, დიდი-ჯიხაიში, 25 ვერსტითაა დაშორებული. მიუხედავათ იმისა, რომ პოლიციის მხედველობის ქვეშ ვიმყოფებოდი, მე მაინც ხშირად ჩავდიოდი ქუთაისში. ვიკრიბებოდით ექიმ ჭიჭინაძის ბინაზე (შემდეგში მენშევიკი, მინისტრი, უკვე გარდაცვალებული).

ერთხელ ამხ. მიხას ვკითხე: რას წარმოადგენს ეს ჭიჭინაძე მეთქი. — „არაფერს, მაგრამ რა გინდა, ბინით ხომ ვსარგებლობთო,— მიპასუხა.

ემუშაობდი გლეხებში. ღამ-ღამობით დავდიოდი კრებებზე სოფ. კულაშში, ჯაგანში, სამტრედიაში, იანეთში, მაღლაკში, გუბში, კუხში, ზოგჯერ ხონში და ჯიხაიშში, რა თქმა უნდა. ჩემთან ერთად დადიოდა სოფლებში ამხანაგი სოლომონ ბიბილეიშვილი და შეძლებისდაგვარად მეხმარებოდა გლეხების შეკრებაში, ბინის შოვნაში და სხვ. მაშინ დიდ-ჯიხაიშში ცხოვრობდა ექიმი ვანო გომართელი, რომელიც მეხმარებოდა, როგორც გლეხთა შორის მუშაობაში, ისე ნივთიერადაც. გომართელ რომ ჯიხაიშში არ ყოფილიყო, შიმშილით სული ამომძვრებოდა, რადგანაც ჩემ მშობლებს და დეს თავისთვისაც არ ჰქონდათ საჩრო. ერთ მშვენიერ დღეს, 1903 წელში, როცა ჯიხაიშის ქსენონში ექიმთან ერთად (გვარი არ მახსოვს) ვსადილობდით, ალყა შემოარტყეს „სტრაჟნიკებმა“ ქსენონს მამასახლის ილარიონ ვაშაკიძის ხელმძღვანელობით და დამატუსაღეს. წამიკითხეს „Особое распоряжение“—შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება, ფონ-პლევეს ხელ მოწერილი, სამი წლით აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მოგზაურობა ეტაფით.

ასე სამ სამი წელიწადი გადაუწყვიტეს დატუსაღებულ კომიტეტის ყველა წევრებს. დიდი-ჯიხაიშიდან გამგზავნეს ქუთაისის ციხეში. იმ დროს ეს ციხე სავსე იყო რევოლიუციონერი გლეხებით. რომლებიც მარსელიოზის სიმღერით შეჯეხვდნენ. აქ მოიყვანეს კოლა მაჭარაძე და პოლიო კალანდაძე (მენშევიკები), დანარჩენნი გაგზავნეს ტფილისის ციხიდან. ქუთაისის ციხეში დავრჩით ორი კვირა. ციხე ამ დროს გადაქცეული იყო სკოლად. დატუსაღებულთ ამხანაგები ასწავლიდნენ წერა-კითხვას, პოლიტიკურ ეკონომიას და ასე რასაკვირველია, რევოლიუციას. ორი კვირის შემდეგ ჩვენ სამნი—მე, მაჭარაძე და კალანდაძე გაგვაგზავნეს ბათუმში. ამ ციხეში ვიყავით ერთი კვირა. იქაც ბევრი ამხანაგები აღმოჩნდნენ: გიორგი თეღია. ალექსანდრე დგებუაძე, ლადო ჯიბლაძე და სხ.

მივდიოდით აღმოსავლეთ ციმბირში. კონვოის უფროსმა ოფიცერმა მითხრა: „Куда вы едете? Вы не знаете свою родину!"

„Мы не едем, а нас везут!"—მიუგე. ჩაგვიყვანეს ნოვოროსიაში. აქ შემოგვიერთდენ კიდეე რუსის ამხანაგები. ჩვენ, პოლიტიკურებს, მაშინ, 1903 წლის დასაწყისში, ძალიან ზრდილობიანად გვეპყრობოდნენ როგორც ციხეში, ისე ეტაფით მოგზაურობის დროს.

ქალაქში რომ მივდიოდით, ვაგზალზე დაგვხვდებოდა ხოლმე ეკიპაჟი, ჩაგვსვამდენ შიგ და ისე მიყავდით ციხეში. სისხლის სამართლის ტუსაღებს კი, რომლებიც ჩვენთან მოდიოდნენ, გადაბამდენ ერთმანეთს და ისე მიჰყავდათ. პოლიტიკურებს „უგოლოვნები" ბურჟუებს და არისტოკრატებს გვეძახდენ; თუმცა ჩვენ ეს არ მოგვწონდა, მაგრამ რას ვიზამდით, მათთან ამხანაგობა შეუძლებელი იყო. რადგანაც კ>რტის თამაშისა, გინებისა და ლანძღვის მეტს ისინი არაფერს აკეთებდენ. ჩვენ თითქმის ყოველ ქალაქში გვხვდებოდნენ ამხანაგები და გვაწოდებდენ როგორც ფულს, ისე საზოგაგეს. ციხეში რომ მივდიოდით, ჩვენთვის უკვე იყო გამზადებული ცალკე სუფთა კამერები. „უგოლოვნებს" ახლოს არ გვაკარებდენ.

როცა სამარის ციხეში მივედით, დავინახე შესანიშნავი თეთრი შენობა, ელექტრონით გაჩირაღდნებული, მარმალილოს კიბეებით. მე პირველად მეგონა დიდებულ სასტუმროში მივყავდით, მაგრამ როცა შიგ შეგვიყვანეს, თვალწინ წარმომიდგა დაუსრულებელი ციხის კორიდორები, აქეთ-იქით ჭუჭრუტანებით, რკინის კარებით, გაყოფილებული ზედამხედველები, („ნადზირატელები") გასაღებებით ხელში. ციხის სამარისებურ სიჩუმეს არღვევდა ჩვენს ეტაპში მოსული „უგოლოვნი" ტუსაღების ბორკილების ჩხარა-ჩხური. ჩხრეკა ყოველი ციხიდან გამოსვლის და შესვლის დროს ჩვეულებრივია. ეტაფის მიღების დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჩხოეკას აწარმოებენ როცა ციხიდან გამოყვეხართ „კონვოიო“ — როცა ციხეში მიყვეხართ—ციხის ზედამხედველები. ეს ყველგან ასე ხდება, მაგრამ სამარაში განსაკუთრებული ყურადღებით გაგვჩხრიკეს: გაგეხადეს ტანისამოსი და ნაკერები გაშინჯეს. აგრეთვე გაშინჯეს ჩვენი ბარგიც. შემდეგ თითო-თითოთ შეგვიყვანეს „სეკრეტებში“. რომლებიც არ ჰგვანან შეტეხის ცეხის „სეკრეტებს“: გრძელი კუბოს მსგავსი ოთახი. მაღალი ჭერით, სრულიად თეთრია როგორც კედელი, ისე ჭერი. ფანჯარა მაღლა აქვს ჭერთან. ისე რომ ცის მეტის არაფრის დანახვა არ შეიძლება. რადგანაც მას ვერ მისწვდები. იქიდან გადახედვა მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, რომ მაგიდაზე სკამის დადგმა ყოფილიყო შესაძლებელი, მაგრამ, საუბედუროთ, სკამიც და მაგიდაც იატაკზე იყო მიმოგრეგული. მაგიდაზე დგას ერთი სპილენძის ჯამი და ერთიც „კრუჟკა“. ამას გარდა დგას საწოლი და კუთხეში ფეხის ალაგი თავის სიფონთი. კარებში პატარა ჭუჭრუტანაა, რომელიც შიგნიდან განიერია, გარეგან ვიწრო. ასე რომ, გარეგან ვინც შემოიხედავს კამერაში. ყველაფერს ხედავს, შიგნიდან გარეთ კი თითქმის არაფერი სჩანს. გარდა ერთი წერტილისა, ამ ჯოჯოხეთს ჩვენ გავუძლებდით, რადგანაც რამდენიმე დღე-ღამე უნდა დავრჩენილიყავით, მაგრამ ჩვენ ვფიქრობდით იმათზე, ვინც ორი, სამი და მეტი წლები ისხდნენ. ჩვენ ეტაფით ერთად მოვდიოდით, საკნებიდანაც სასეირნოდ ერიად გამოვყავდით; კამერაში კი, ამხანაგს არა თუ შემოუშვებდნენ, კარებისაკენ არც კი გამოახედებდნენ. სამარაში ამხანაგები მრავლად შემოგვეპატნენ. ჩვენმა ეტაპმა დაიკავა სამი ვაგონი. გაგვატარეს შემდეგ ციხეებში: ქუთაისის, ბათუმის, ნოვოროსიის, როსტოვის, ოზლოვის, სამარის, ჩელიაბინის, კრასნოიარსკის და ირკუტსკის

რუსეთის ციხეები თითქმის ყველა ერთნაირები იყვნენ, გარდა სამარისა. რამდენათ ციმბირის შუაგულში შეედიოდით, იმდენად ეტყობოდა მეტი თავისუფლება და საკმელის გაუმჯობესება. მაგალითად, კრასნოიარსკის ციხეში ხოროი თავისუფლად ყოფნიდათ პატიმრებს. ამგვარად, პირველი ეტაფი ჩვენ ჩამოგვხსნეს სადგურ ტრიუტში. ირკუტსკამდე დარჩა კიდევ 150 ვერსტი. წაგვიყვანეს სამაზრო ქალაქ ბალაგანსკში. ტრიუტში გადაგვცეს გლეხების „ჩალდანების“ კონვოის უფროსდნიკის მეთაურობით; „კონვოი“ ჯოხებითა და კეტებით იყო შეიარაღებული. ღამის გასათენად გვაროგებდნენ გლეხთა ოჯახებში. გლეხები ჩვენთან კარგათ იყვნენ განწყობილი. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა გაიგებდნენ, რომ ჩვენ პოლიტიკურები ვიყავით. მივედით ქალაქ ბალაგანსკში, რომელიც მდებარეობს მდინარე ანგარას ნაპირად. ირკუტსკიდან ორასი ვერსტის მანძილზე. ბალაგანსკის პირდაპირ, ანგარას მეორე მხარეზე მდებარეობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი მალინოვკა, რომელიც ბევრად დიდია ქალაქ ბალაგანსკეგ-ორიენი,—როგორც ქალაქში, ისე სოფელში ცხოვრობდენ ჩვენებრ ადმინისტრატიული წესით გადასახლებული პოლიტიკური დამნაშავენი. მათ ერთმანეთთან დამოკიდებულება ჰქონდათ ნავების საშუალებით. ამ ადგილას მდ. ანგარას ერთ ვერსტზე მეტი განი აქვს.

აქ თავისუფლად ამოვისუნთქეთ ციხისა და ეტაფის შემდეგ. თავს სრულიად განთავისუფლებულად ვსთვლიდით, მაგრამ აქ დიდ ხანს არ გაგვაჩერეს. აქედან გაგვანაწილეს სხვადასხვა სოფლებში. მე გამგზავნეს სოფ. ბურეტში, ბალაგანსკიდან ას ვერსტზე დაშორებული, ირკუტსკისაკენ. მაჭარაძე, კალანდაძე, ვოგუა და სხვები სხვა სოფლებში. დაშორებამ ჩვენზედ ძალიან ცუდათ იმოქმედა. მივედი ბურეტში, სოფლის კანცელარიაში, სადაც ჩამწერეს და მითხრეს: „წადი და იცხოვრე“-ო.

აქ დამხვდა ორი ებრაელი ამხანაგი ვარშავიდან. ერთი იყო გვარად ალტერი, მეორეს გვარი არ მახსოვს, ვეძახდით სოლომონს. ოთახი დავიჭირეთ ერთი პოლონელის, გვარათ გერიატოვიჩის სახლში, რომელიც გადმოსახლებული იყო ვარშავიდან სამოციან წლების რევოლიუციაში მონაწილეობისათვის. ის ცომბირის დიდი ხნის მცხოვრებლად ითვლებოდა. მას ბევრი ჰყავდა შვილები და შვილის-შვილები. თუმცა ის თავის ქვეყანას მოშორებული იყო ორმოც წელიწადზე მეტი, მაგრამ მის ოჯახში დიდი და პატარა ყველა პოლონურად ლაპარაკობდა. ასეთი ოჯახი ბურეტში სამი იყო. და როცა ეს ოჯახები ერთად შეიკრებებოდნენ, თავი სწორედ პოლონეთში გეგონებოდათ. ამათთან თავისუფლად შეიძლებოდა ლაპარაკი პოლიტიკაზე, ნიკოლოზის ტახტის დანგრევაზე და სხ. ისინი რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი. რუს გლეხებში, ე. წ. ჩალდანებში კი პოლიტიკაზე ლაპარაკი საერთოდ მეტად სახიფათო იყო,

ორიოდე სიტყვა აქაური ჩვეულების შესახებ, რაც ჩვენთვის, კავკასიელებისთვის, უცხოა. მისვლის მეორე ღამესვე სახლის პატრონმა წამოიყვანა სტუმრად მეორე ოჯახში. წამოიყვანა აგრეთვე თავისი შვილები ბორია და ალისა. მათ თან წამოიღეს დაირა, გარმონი და სკრიპკა.

საზოგადოდ ცომბირელი გლეხი ცხოვრობს ხის სახლში, რომელიც ორად არის გაყოფილი; ერთში თვით ოჯახის წევრები ცხოვრობენ, მეორე სასტუმროა, რომელსაც „გორნიცას“ ეძახიან. შიგ ხის სკამებისა და ტახტების მეტი არაფერია. საუცხოო სისუფთაეცა დაცული. ყოველ შაბათს რეცხავენ როგორც იატაკს, ისე კედლებს და ჭერს, სკამებს, მაგიდებს და სხვ. უდანა-ჩანგლოთ და უკოვზოთ არც ერთი გლეხი არ სჭამს, მხოლოდ ჯამები აქვთ საერთო, რომლებშიაც ოთხი-ხუთი ერთად სჭამს. აგრეთვე ყველა გლეხს აქვს ბანაო: თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეძლებული ია თეთრი „ფეჩით“, თუ ღარიბია—შავით. მათ ძორის განსხვავება ისაა, რომ თეთრ ფეჩს აქვს მილი ბოლისთვის და ამას გარდა ის შიგ ორ ნაწილად განიყოფება. ერთში ტანისამოსს სტოვებენ, მეორეში კი ბანაობენ. შავში კი ერთი ოთახია, სადაც ერთ კუთხეში ქვები ჰყრია. ამ ქვებზე ანთებენ ცეცხლს, რის გამოც მთელი ოთახი თითქმის ცეცხლის მსგავსად გადაიქცევა. ამ გახურებულ ქვებზე ასხამენ წყალს, ჩადგება საშინელი ორთქლი, დგება აუტანელი ბუღი. ასე რომ, თუ არა შეჩვეული ადამიანი, სხვა ვერ შევა შიგ. ასეა თუ ისე, ყველა გლეხის ოჯახი შაბათობით უეჭველად ბანაობს. ერთი სიტყვით, ხალხი აქ მეტად სუფთაა.

ახლა დავუბრუნდეთ იმათი სტუმრობის აღწერას.

შევედით „გორნიცაში“. ირგვლივ გრძელი სკამებია ჩამწკრივებული, რომლებზედაც სხვადან გასათხოვარი ქალები და ახალგაზრდა კაცები—ცომბირულად „პარნები“ და „დევკები“. ჩემმა „ხაზეინმა“ შემოიჯდინა გვერდით თავისი შვილები და მეც. თვითონ დაირაზე დაუკრა, ბორიამ გარმონზე, ალისკამ სკრიპკაზე და დაიწყო ცეკვა-თამაში. თამაშობენ ქალ-ვაჟი. თამაშის გათავებისას ქალი ჰკოცნის ჯერ მასთან მოთამაშე „პარენს“, მერე ჩემ ბებერ „ხაზეინს“, შვილებს—ერთი სიტყვით, მუსიკოსებს. ჩემი ხაზეინი ეუბნება ქალს: „ესეც ჩემი მდგმურია და უნდა აკოცოვო“. ისიც უცერემონიოდ მოდის და მკოცნის. მე სირცხვილისაგან გავწითლდი, მაგრამ გადავწყვიტე ბოლომდე დარჩენა და იმის გაკვირვებ, თუ რა იქნებოდა შემდეგ (ეს კოცნა ჩვეულებაა). ქალაბ ყველა მასთან მოთამაშეს უნდა აკოცოს, მერე უეჭველად მუსიკის დამკვრელს უნდა მისცეს ასეთივე კოცნა. ამას პროგონი ჰქვია.

ყველა ახალგაზრდამ, „პარენმა“ აუცილებლად იცის რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრა. ქალმა არც ერთმა არ იცის მუსიკა. ჩემის აზრით ეს აიხსნება „პროგონით“. ყოველი თამაშობა თავდება კოცნით; ხან ერთით, ორით და ხან კი აუარებელით. თამაშის შემდეგ მოთამაშე ქალს დაჯდომა უნდა, სკამები დაკავებულია. მივა და უეჭველად ჩაუჯდება კალთაში, მუხლზედ, რომელიმე „პარენს“ ან იქ მჯდომ კაცს, ნაცნობია ის თუ არა, სულ ერთია. ასე იმართება რამდენიმე სართული, კაცზედ ქალი, ქალზე კაცი, კიდევ ქალი და ასე. ასეთი გართობა თითქმის ყოველ ღამ იმართება ზამთ ობით. ზაფხულში კი ამისთვის არა სცალიათ, რადგანაც ყველანი, როგორც კაცები, ისე ქალები მუშაობენ მინდოლში: ხნავენ, თესავენ, ფარცხავენ, მკიან, თიბავენ და სხვ.

ჩვენ, როგორც ზემოდ ვსთქვი, გადმოსახლებულნი ვიყავით ბურეტში სანი. კიდევ ბევრი ჩვენები უნდა ნოსულიყვნენ, მაგრამ რადგანაც რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო, რკინის გზას ეტაფისთვის ალარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეცალა; ამიტომ ისინი, რუსეთის კუთხეებიდან აღმოსავლეთ ციმბირში გადმოსასახლებელნი, გაგზავნეს არხანგელსკში.

ასე ვატარებდით ცხოვრებას. კკითხულობდით წიგნებს, ვნადირობდით, ზოგჯერ ვეხმარებოდით გლეხებს, სხვა საქმე ჩვენთვის არ იყო.

ომის გამოცხადების შემდეგ „ისპრავნიკმა“ გამოგვიცხადა: უმაღლესი მთავრობის განკარგულებაა, რომ ვინც ჩაეწერებით ჯარში, განთავისუფლებული იქნებით. თქვენ მხოლოდ ჩაეწერეთ, ომში არ გაგზავნიან“-ო.

ჩვენ ვუპასუხეთ: „ჩვენ საზოგადოთ ომის წინააღმდეგნი ვართ და ამიტომ ვერ დავეთანხმებითო“. ასე მოქცეულიყვნენ თითქმის ყველა ამხანაგები, როგორც მერე გავიგეთ, ორის გარდა, რომელთა გვარები არ მახსოვს; ისინი მაშინვე გამორიცხეს ამხანაგობიდან. ომი დაიწყო ლონდონის ყრილობის შემდეგ, როცა ბოლშევიკ-მენშევიკობა ჩამოყალიბებული იყო. მთელ ციმბირში „ობორონეცი“ ორი კაცის მეტი არ აღმოჩენილა. პოლიტიკური გადასახლებულები ყველანი „პოროტენცები“ იყვნენ. ყოველ ფოსტით ჩვენ ვღებულობდით რამდენიმე წერილს. რუსის ჯარის დამარცხებას პოლიტიკურები დღეისასწაულობდნენ, და მაშინ ხომ მარცხდებოდა ნიკოლოზის ჯარი. ამ სიხარულს დაემატა ფონ-პლევეს მკვლელობა, რაც ერთი ბოთლი არაყი დამიჯდა. სოფლის მწერალმა, რომელიც წასული იყო ირკუტსკში, მოიტანა გაზეთი, საცა ეწერა ფონ-პლევეს მოკვლის შესახებ. ბოთლი არაყი მომთხოვა სამახარობლო, რაც სიამოვნებით ავასრულე.

შემდეგ გადავედი სოფელ ოსაში. როდესაც მივდიოდი ბურეტიდან, თითქმის ყველა გლეხები სწუხდნენ და მთხოვდნენ დავრჩენილიყავი მათთან, მინამ ვადას არ გავათავებდი. ჩვენ სოფელში, დიდ-ჯ‘ ხაიშში კი, როცა დამეჭირეს, ზოგიერთი გლეხი ჩემ გასაგონათ ალაპობდა: „ახია შენზედ: რას ამბუნტებდი ხალხსა-“ო. ოსას შემდეგ ისევ გადავედით ბალაგანსკ-მალიშოვკაში, საცა თითქმის ასამდე გადმოსახლებულები იყვნენ, ესენი ყველანი „პოროტენცები“ იყვნენ, თუმცა მათი დიდი უმეტესობა მენშევიკები იყვნენ. ეს იყო 1904 წლის მიწურულში და 1905-ის დასაწყისში.

თუმცა ღა ყველანი თითქმის სამ-სამი წლით ვიყავით გადასახლებულნი, მაგრამ მემკვიდრე ალექსის დაბადების გამო მანიფესტით ერთი წელიწადი დაგვიკლეს. დავერჩა ორი წელიწადი, რომელიც გავათავეთ 1905 წლის მაისის გასულს და დავბრუნდით. მოვგროვდით ქ. ირკუტსკში: ს. ჯიბლაძე, ვასო ცაბაძე, სევერიანე ჯუღელი, კალისტრატე გოგუა და სხვები. ყველანი მენშევიკებია. მაგრამ მაშინ ისინი მხოლოდ სახელად იყვნენ მენშევიკები. ისინი გზაში მიმტკიცებდნენ, რომ ეს რევოლიუცია უეჭველად სოციალისტური იქნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაო. ყველაზე ცხარედ ამას ამტკიცებდა სილიბისტრო ჯიბლაძე, და ვასო ცაბაძე. თუმცა მაშინ რევოლიუცია ჯერ კიდევ არ იყო. მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, რომ დღეს თუ ხვალ მოხდებოდა. რომელიც მართლა მოხდა 1905 წლის უკანასკნელ თვეებში. მათ საქართველოში რომ ეორდანია არ დახვედროდათ და თავის გავლენის ქვეშ არ დაეყენებია, ისინი აუცილებლად ყველა ბოლშევიკები გახდებოდნენ. ყველაზე ადრე სილიბისტრო ჯიბლაძე შეიქნებოდა ბოლშევიკი და ამის შემდეგ უეჭველად ყველა მას მიყვებოდა, რადგანაც მაშინ მთელი მაშინდელი მოძრაობა, თითო-ოროლის გამოკლებით (ფ. მახარაძე, მდივანი, ქავთარაძე და რამდენიმე მუშა), მის გავლენის ქვეშ იყო.

ჩამოვედით ტფილისში ივნისის. გასულს. ტფილისში ნახევრად თავისუფლება იყო. კრებები თავისუფლად იმართებოდა. ნაძალადევს შვეიცარიას ეძახდნენ. ჩვენი ჩამოსვლის შემდეგ შესდგა კონფერენცია ნაძალადევში, დათიკო დვალის სახლში, ეორდანიას თავმჯდომარეობით. ეს კონფერენცია ნახევრად თავისუფალი იყო, რომელმაც გასტანა სამი დღე. მთავრობას, რასაკვირველია, გაგებული ჰქონდა. მაგრამ ხელი არ შეუშლია. ამ კონფერენციამდე ეორდანიას ყოველი სიტყვა ჩემთვის კანონი იყო. ამის შემდეგ დავუწყე მას კრიტიკულად მოპყრობა. ნახევარი საათის წინად ნათქვამი სიტყვა, კამათის დროს. გადასთქვა. აგრეთვე ლანძღავდა ზაქრო ჩოდრიშვილს. ზაქროს წინააღმდეგ კრებაზე ერაძე („ბროდიაგი") გაგზავნეს. რომელიც ტრაბახით წავიდა: იმას ცხვირ-პირს დავამტვრევო. (რასაკვირველია, კამათით). ამ კონფერენციაზე გამიტყდა გული საზოგადოდ მენშეეიკებზე და კერძოდ ეორდანიაზე.

კონფერენციის შემდეგ მე გამგზავნეს კახეთში.—თელავში. გლეხთა შორის ორგანიზაციების, საბჭოების მოსაწყობად. გამგზავნა ეორდანიამ. მე უარი ვუთხარი: ახალ ჩამოსული ვარ, არაფერი გამეგება და სხვა გაგზავნეთ მეთქი. არ დამეთანხმა. თუ არ წახვალ, პარტიიდან გადიო. მეც წავედი. დავიწყე ორგანიზაციების მოწყობა ალექსანდრე ბადრიძის, ლევან ბარათოვის და სერგო დანდუროვის დახმარებით. ბარათოვი დამატარებდა ყველგან სოფლებში. ერთხელ ბარათოვის ძმის ოჯახში ვიყავით. ბარათოვის ძმამ მითხრა: „ჩემი ძმა გატყვილებთ, ეგ რა სოციალისტია, ფეოდალი არისო". ასე ვაწყობდი სოფლად გლეხთა ორგანიზაციებს. მაშინ თელავში მაზრის უფროსად მეტეხის ციხის ყოფილი უფროსი აპუშკინი იყო, როცა მე სოფლიდან გავდიოდი, ის მიდიოდა იქ და ანგრევდა ჩემ მიერ მოწყოფილ ორგანიზაციებს. აშინებდა გლეხებს, ემუქრებოდა და თანაც არიგებდა: „ის, ვიღაც ჩხეიძეა, გატყვილებთ, გამბოხებთ მთავრობის წინააღმდეგო". როცა ჩვენ სოფელში ვიყავით. ის იქ მოსვლას ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედავდა. ჩვენი სოფლიდან წასვლისას ის მიდიოდა და აკეთებდა თავის საქმეს. გადაწყდა მისი მოკვლა და შესრულდა კიდეც. ერთ საღამოს ის მოკლეს თელავის ბაღის მახლობლად. მოვარდა მისი ცოლი იმ დროს, როდესაც აპუშკინი ქუჩაში სულს ღაფავდა, ამოუღო ჯიბიდან ოქროს საათი და დაიძახა: «Тебя убили армяне».

ამ დროს ტფილისში დაიწყო სომეხ-თათართა შეტაკება. გამიწვიეს ტფილისში. დავტოვე კახეთი და ჩამოვედი თფილისში. აქ უკვე გაჩაღებულია ბრძოლა თათრის მოედანზე—თათრის მოედნის იქით, ორთაჭალისკენ იდგნენ შეიარაღებული თათრები, ბარიკადებში, აქეთ მხარეს სომხის „მაუზერისტები“ და რუსის ჯარი. ორივე მხარე ისროდა. მოედანი ცარიელი იყო. ისროდენ სახლებიდან და ბარიკადებიდან. თათრების მხრიდან, ორთაჭალის ქუჩიდან, წამოვიდა მძლავრი ბარიკადი. მოაგორებდენ სავსე ბოჭკას, თან ურას ძახილით მოსდევდნენ თათრები. ამ დროს სომხების მხრიდან რუსის ჯარმა აუტეხა მათ სროლა.

რუსის ჯარს კამანდრობდა სომეხი ოფიცერი. თათრები მაშინვე უკუ იქცნენ. დროებით შეწყდა სროლა. ჩვენი, სოციალ-დემოკრატების ორგანიზაცია შემოგებელის როლს ასრულებდა. მე და იულია. (ჯალისტრატე გოგუას ცოლი), გაგვგზავნეს თათრებთან პარლამენტიორად, მოსალაპარაკებლად. ჩვენც დავწყეთ თათრებთან მოლაპარაკება. თითქმის გვეთანხმებოდენ სროლის შეწყვეტაზე, რომ ამ დროს სომხების მხრით ისტყდა საშინელი სროლა, რაზედაც, რასაკვირველია, თათრებმაც უპასუხეს. ჩვენ კი გვითხრეს: „Иди фажалуста! Какое время разговаривать!?“ ჩვენც გამოვბრუნდით. სროლაში შემთხვევით გადავრჩით ცოცხლები. ეს თათრების და სომხების შეტაკება მოაწყო მთავრობამ, რადგანაც სურდა აბობოქრებული რევოლიუციის ყურადღება და ბრძოლა, ნაციონალურ შუღლად და ბრძოლად გადაექცია. მან ამ მიზანს რამდენიმედ მიაღწია.

სროლა ქალაქის თვითმართველობაში.

1905 წელს ქალაქის თვითმართველობაში იმართებოდა კრებები და მიტინგები. მე ვერ ვესწრობოდი მათ ავადმყოფობის გამო. ბოლოს ავადმყოფი წავიდე. ეს იყო 1905 წელს 29 აგვისტოს. ხალხით სავსე იყო იქაურობა; მაგრამ დარბაზი, საცა კრებები იმართებოდა, დაკეტილი იყო. ხალხი სთხოვდა გასაღებს ქალაქის თავს, მაგრამ არც გასაღები და არც ქალაქის თავი არ სჩანდნენ.

ბოლოს, როგორც იყო, ხალხმა ძალით გაალო კარები და შევიდა შიგ. ხალხით გაიტეხა დარბაზი. მე მოვხდი ქარდარაზედ. მიტინგი გაიხსნა. თავმჯდომარეობდა ზაქარია ჩიჩუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოვიდა მთავრობის წარმომადგენელი და გამოგვიცხადა დაშალენითო, ხალხი არ იძროდა. მეორედ კიდევ გამოგვიცხადეს დაშლა, ხალხი არ დაიშალა. მესამედ მოვიდა ჟანდარმის პოლკოვნიკი ციხი და ენერგიულად მოითხოვა მიტინგის დაშლა, თორემ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს გესროლოთო. ხალხი შეინძრა, უნდოდა დაშლა, მაგრამ ამ დროს ზაქარია ჩიხუამ მოუწოდა ხალხს არ დაშლილიყო. ხალხიც შესდგა. გავიდა ცოტა დრო და შემოცვივდნენ ყაზახები თოფებით. შემოსცლისთანავე დაგვიწყეს სროლა, უმთავრესად ჭანდარაზედ. ხალხი აირია. ყვირილით და ჟივილით გამორბოდენ კიბეებზე.. კიბეების ორივე მხარეს იდგნენ ყაზახები და კონდახებით სცემდნენ ხალხს. აქ სროლა არ შეიძლებოდა, რადგანაც ერთმანეთს დახოცავდნენ.

გასავალი არსით იყო. ყველა კარები ჩაკეტეთ. როგორც იყო, გავედი ეზოში სისხლით მოსვრილი. მე თუმცაღა რაღაც სასწაულით არ დავჭრილვარ, მაგრამ ჩემ გვერდით რამდენიმე დაჭრილი დაეცა და მეც იმათი სისხლით გავითხუპნე. ხალხი მიაწყდა რკინის ალაყაფის კარებს. კარები დაკეტილი იყო. ქუჩიდან ყაზახები ისროდნენ ეზოში. ხალხი დაიბნა. არ იცოდა რა ექნა. ბევრმა მოინდომა მაღლა კარებიდან გადასვლა, მაგრამ ისინი ძირს ცვივოდნენ ტყვიით განგმირულნი. მოვეფარე კედელს და ვუყურებდი ამ საშინელ სურათს. ყოველ წუთს სიკვდილს ველოდი. ცოტათი სროლა შესწყდა. ვიღაც მეეზოვემ გაგვიღო „კალიტკა“ მეორე მხრიდან და რამდენიმე კაცი გავედით ქუჩაში. იქვე ახლოს სომხების სკოლა ყოფილიყო, სადაც შეიხწნულიყო ბევრი ამხანაგი. მეც დამიძახეს, იქ ტირილი და ვაება იდგა. რამდენიმე დაჭრილი იყო. ვიღაცა ქალმა დახია თავისი კაბა და დაუწყო ჭრილობებს შეხვევა. აქაც ყოველ წუთს მოველოდით ყაზახების თავდასხმას. ვერ მოვისვენეთ და რამდენიმე კაცი გავედით ქუჩაში. ქუჩაში დაჭრილები და დახოცილები ეყარნენ. როგორც იყო, ჩავედი იარუმკამდე. იქ ჩავჯექი ეტლში და წავედი მიხა ბოჟორიძესთან, რომელიც მაშინ ჩუღურეთში ცხოვრობდა თავის დედით ნინო და დეიდა ბაბეთი. იმ ღამეს იქ ვიყავი. ცოლ-შვილს გაეგო, თითქოს მე მომკლეს, მეძებდნენ მიხეილის საავადმყოფოში მკვდრებში. მეორე დღეს მივედი სახლში, ნაძალადევში, ცოცხალი. ყველა გაკვირვებული მიცქეროდა — როგორც ცოლ-შვილი, ისე ამხანაგები. ზოგიერთი ამხანაგი მეკითხებოდა:—„შენ ცოცხალი ხარ თუ მკვდარიო“.

იმ ღამეს ბევრი დახოცეს, რამდენი—არავინ იცის და ბევრიც დაატუსაღეს.

დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ, როცა საშინელი რეაქცია დადგა, ნოე რამიშვილმა დასწერა პირველი წერილი რეაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის შესახებ სათაურით — „რეაქცია ირაზმება“. 1906 წელს პირველ იანვარს კრება გვქონდა დიდუბეში ეკლესიის ახლოს ოთხ სართულიან სახლში. ამ სახლში თითქმის სულ მუშები ცხოვრობდენ. კრებაზე ვიყავით: მე, რამიშვილი, ჟორდანია, სვეტრიანე ჯუღელი, ს. ჯიბლაძე, დათიკო მოხეევ (ხარტიშვილი) და სხვები. ყველანი ამტკიცებდნენ, ვარდა მე და ჯუღელისა, რომ მართალია, რეაქცია ირაზმება, მაგრამ საშიში არაფერია, გამარჯვებული ჩვენ გამოვალთო. ნოე ჟორდანია ამტკიცებდა: რუსეთში რევოლიუცია კიდევაც რომ დამარცხდეს, ჩვენ შეგვიძლია შეეკრათ საქართველოს საზღვრები, გამოვაცხადოთ რესპუბლიკა და დავიცვათ იგიო. ამისათვის ჩვენი ჯარი მზად არისო. ალბად, გულისხმობდა კავკასიაში მყოფ რუსის ჯარს. ამ ჯარის იმედი მე არა მქონდა, რადგანაც უკვე გამოვცადე ის ჟორდანიას მეთაურობით და კომიტეტის დავალებით (იხილეთ ზემოდ). მე და ჯუღელი ვამტკიცებდით, რომ ჩქარა მოგვიხდება სოროების ძებნა. ამის საბუთი ჩქარა გამოჩნდა.

დავიშალენით საღამოს საათის ხუთზე. ჟორდანია და მე ამ სახლის მახლობლად ვცხოვრობდით სხვა და სხვა სახლში. გამოვედით ქუჩაში თუ არა, ქუჩას შავრაზმელების პარტიის არაჩვეულებრივი მოძრაობა ეტყობოდა. ჩვენთან მოირბინა რკინის გზის ერთმა მუშამ ვაშაკიძემ, ხელში ჟანდარმის რევოლვერი ეპირა და იძახდა: „ეს კარგი ნივთი ვიშოვნეთ“. შევეკითხეთ: „საიდან?“ — „ერთ შავრაზმელ რუს მუშას წავართვეთო“. მივედი ბინაზე იქვე, ფოთის ქუჩაზე. ამავე სახლში სცხოვრობდა ვანო დურგლიშვილი და ჯაშუში თათუზოვი. მაშინ არ ვიცოდი, თუ ის პროვოკატორი იყო. შემდეგში ეს თათუზოვი მოკლულ იქნა ტფილისის კომიტეტის დადგენილებით.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ТБИЛИССКОЕ ГУБЕРНСКОЕ ПРАВЛЕНІЕ
№ —
ДОМ ВЕРСИКОВЫХ РАЗРЯДОВ

პ. სინდაძე

ჩემი მოგონებანი*)

1903 წ. 1920 წლამდე.

პირველ ყოვლისა უნდა გაგვეგზავნა ისეთი გაქცეულები, რომლებიც უფრო სახიფათო და მძიმე დამნაშავეებათ ითვლებოდნენ, ორმლებსაც სიკვდილით დასჯა მოელოდათ.

ამიტომ პირველ რიგში მოვაქციეთ ტენგინის პოლკიდან გაქცეული ჯარისკაცი, თომა ჩუბინიძე, ისმაილ ჭუმბურიძე და სხვები. ჯარისკაცი გამოვაწყვეთ ეაჭრის ტანისამოსში, (შეხედულებაც შესაფერი ჰქონდა) და პირველი (მატარებლით გავამგზავრეთ. მეორედ თომა და ისმაილი. უკანასკნელს, როგორც ახალგაზრდას, გიზმნაზიელის ფორმა ჩავაცვით, მოწმობაც გიმნაზიის ვუშოვეთ და თავისუფლად წავიდა. სადგურზე დიდ ხანს არ ეაჩერებდით, რადგან ჯაშუშები მრავლად იყო. იქვე სადგურის ახლოს ერთი ამხანაგის ბინა იყო. სამგზავრო ბილეთებს ადრევე ვყიდულობდით და მეორე ზარის შემდეგ გამოდიოდნენ ბინიდან და ჯდებოდნენ პირდაპირ ტფილისის მეორე კლასის ვაგონში, რათა რიონში კიდევ გადაჯდომა არ დასჭირებოდათ. რიონის სადგურამდის ყოველ ერთ ან ორ ამხანაგს ვაყოლებდით, რომ რიონიდან გამგზავრების შემდეგ ჩვენთვის ამბავი მოეტანათ მშვიდობიანად გამგზავრების შესახებ. ტფილისში კი ჩვენი ამხანაგები ჯგუფის ბინაზე ათავსებდნენ.

თომა ჩუბინიძეს ყველაზე უფრო ეუფრთხილდებოდით, რადგან თუ ჩავარდებოდა, მისი სიკვდილისაგან გადარჩენა შეუძლებელი იყო. რამდენადაც შეიძლებოდა სახე შევუცვალეთ. ჩავაცვით ახალი „ოსტიუმი“ და ეგვაყოლეთ პოლკონიკის ფორმაში გამოწყობილი კოწია ერისთავი, რომელსაც თითქმის ყველა ჯერის მოსამსახურე იცნობდა და ადვილად ხელის მოკიდებას ვერ გაუბედავდნენ ან და დაეხათრებოდენ. კოწია ერისთავმა გამოსდო მკლავში ხელი ჩვენს თომას და პირდაპირ სადგურში გაიყვანა, მიაცილა რიონის სადგურამდის და დაბრუნდა. ამნაირად, თითქმის ყველა მძიმე დამნაშავენი გავაცილეთ ტფილისში. დარჩენ ნაკლებად სახიფათონი, მაგრამ ჩვენ მაინც ყოველ ღონისძიებას ვხმარობდით მათი უხიფათოდ გაცილებისთვის

*) იხ. „ორვ. მატიანე“ № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისისკენ. მაგრამ, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, პროვაკოტ[illegible] მაინც ვერ ავუხვიეთ გვერდი.

ერთ საღამოს გავამზადეთ წასასვლელად სამი აძანაგი. ჯოხაძე, ესვანჯია და ჯიქავა ისინი მოვიყვანეთ ბარონის ბინაზე. მოვიყვანეთ დალაქიც, ჩვენი ამხანაგი, სანდო პირი. მე პასპორტებს ვსწერ, დალაქი თავსა და წვერს უკეთებდა. ერთს, როგორც მახსოვს, პარიკიც კი გაუკეთა. პასპორტებს სამაზრო სამმართველოდან გვაძლევდა მუსერიძე, რომელიც ყოველად სანდო ადამიანად მიგვაჩნდა. თითქმის 5—6 წელიწადი პარტიის წევრად ითვლებოდა. ყოველგვარ კონსპირტიულ საქმეებს გვიკეთებდა. პასპორტებს გვაძლევდა ბეჭდით და თან ნამდვილ კოპიოს სხვა პასპორტიდან, რომ პასპორტი თითქმის ნამდვილი ყოფილიყო. როდესაც პასპორტებს ვამზადებდი, ერთ-ერთი პასპორტის შესახებ მუსერიძემ მითხრა: „ამ პასპორტს ამაღამ ნურაფის მისცემო". კითხე მიზეზი — სწორე პასუხი ვერ მომცა. ყურადღება არ მივაქციეთ. როგორც „ჩინოვნიკის" ტანისამოსში გამოწყობილმა, მუსერიძემ ბევრი ამხანაგი გააცილა სადგურზე.

ყველაფერი დამზადებულია. პასპორტები დავურიგეთ, ერთს მასწავლებლის ფორმა ჩაეცვით, მეორეს კოსტიუმი, მესამესაც კიდევ რაღაც ფორმა, დალაქმა ყველანი გაალამაზა. ისე გამოიცვალნენ, რომ ჩვენც ვეღარ ეცნობდით. სულის-კვეთება ყველას კარგი ჰქონდა, არც ერთს ჩვენგანს და არც მათ დაღვრემილობა, მოწყენილობა არ ეტყობოდა. გასაკვირვალიც არ იყო: ამათზე უფრო მძიმე დამნაშავენი გავამგზავრეთ და ყველაფერი რიგზე, საათვით აწყობილი გამთენიოდა. საათს დავხედე. „აწი დროა წასვლისა" — განვაცხადე. ჯერ დალაქი წავიდა. ზემდეგ გადავკოცნეთ ერთმანეთი და წამსვლელნი კარებში გავაცილეთ. სადგურზე ისინი მუსერიძეს უნდა გაეცილებინა. მუსერიძე უკანასკნელად უნდა გასულიყო. კარები გააღო გასასვლელად, მობოუნდა და გვითხრა; „თუ რაიმე ცუდი მოხდეს, გაგაგებინოთ თუ არაო". მე ცოტა არ იყოს, ბრაზი მომივიდა და ხმა მაღლა ვუთხარი: „ნუ აშინებ მაგ ხალხს, არაფერიც არ მოხდება. ამბავი აქვე გაგვაგებინე" თქვა. რასაკვირველია, არაფერი მიფიქია. მხოლოდ შევნიშნე, რომ წასვლის ხანს მუსერიძეს სახე გაფითრებული ჰქონდა, რაც აღელვებით ავხსენი. წავიდნენ. მე და ბარონი დავწექით. საათის ორი იქნებოდა. ღამით, ბარონს ზარის ხმა შემოსმოდა. მე მკვდარივით მეძინა. მაღვიძებს და მეუბნება: „ბიჭო, ადექი პოლიცია მოვიდა; გაუღო, თუ უკან წასასვლელი არის და ხომ არ გაიქცეთო" ალარ მახსოვს რა ვუთხარი, მხოლოდ ადგომა კი ძლიერ შემეზარა და ბარონიც კარების გასაღებად წავიდა. პოლიციის მაგივრ შემოვიდა მუსერიძე, რომელიც სულ მთლად გაფითრებული, აღელვებული. უთავბოლოდ რაღაცას ლაპარაკობდა: „დაიჭირეს", „სცემეს" და სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა გავიგეთ, რომ გაქცეულები ჩავარდნილიყვნენ. ისიც გავიგეთ, რომ სადგურზე მაზრის უფროსს და მის ჩაფრებს დაეჭირათ, რის უფლება მაზრის უფროს არ ჰქონდა—„შენ როგორღა გადარჩი დაჭერას“,—შეეკითხეთ მუსერიძეს. „მე ეზოში გავიქეცი“,—გვიპასუხა.

გულ დაგვწყდა, თითქოს მკვდრად გადავიქეცით, მაგრამ რას გავაწყობდით. მივეცი ეტლის ფული და მუსერიძეც სახლში წავიდა.

იმდენად დამშუხრებული ვიყავით მე და ბარონი, რომ ერთმანეთისათვის სიტყვა არ გვითქვამს, ისე დავწექით თავ-თავის ლოგინებზე. ძილი აღარ მეკარება. გაუნძრეველად ვგდიავარ ლოგინში. ვფიქრობ იმაზე, თუ რისთვის ჩავარდნენ, ვინ არის გამცემი. თავში მოუსვენრად მიტრიალებს მუსერიძე, მარზის უფროსი, ჩაფრები, დალაქი, დათიკო პაშტალჯიანცი, რომელიც გაქცეულთა გამგზავრების ღამეს იქ იყო. ვერც ერთზე ვერ ჩერდება აზრი დიდხანს. ფრიად სანდო ამხანაგები იყვნენ.

თითქმის გათენდა. მოულოდნელად ბარონმა წამოიძახა: „მაგისი ბრალია უთუოდ“-ო. მე გამიკვირდა, რომ ბარონს არ სძინებია და შეეკითხე: „არა გძინავს“-თქვა. თურმე ისიც მთელი ღამე ფიქრობდა და იმ დასკვნამდის მისულა, რომ პროვოკატორი მუსერიძეაო. „მეც ვიფიქრე მაგაზე, მაგრამ ვერ გავბედე თქმა“-თქვა—გავეხმაურე. მოვიგონეთ მუსერიძის იმ ღამის საქციელი: „პასპორტი არ მისცეო“, „შეეატყობინოთ თუ არა, რომ ცუდი რამე მოხდეს“-ო, მისი დაღვრემილი და გაფითრებული სახე წასვლის დროს, კიდევ სხვა რამეები და ორივე დავადექით იმ აზრს, რომ მუსერიძე პროვოკატორია. მაგრამ როგორ დავამტკიცოთ? სანდო ამხანაგია. ძნელია ეჭვის შეტანა. ავდექით და გეგმას ვიმუშავებთ, თუ როგორ დავამტკიცოთ მუსერიძის პროვოკატორობა.

გადავწყვიტეთ ასე: მოვიწვევთ ისევ ჩვენთან, მოველაპარაკებით, რომ ბევრი გაქცეულთაგანი სახიფათო ბინებზე არიან, ბევრმა იცის ეს ბინები, განსაკუთრებით თომასი, ასათიანის და მგონი, სულიაშვილის. თომას წასვლა ტფილისში მან არ იცოდა. ლაპარაკის დროს უნდა დაგვესახელებინა მოგონილი ბინები და გვეთქვა, რომ მაგალ. ამაღამ გაქცეულის ბინა, (ვიტყოდით ბინის მისამართს) სახიფათოა, გადაყვანაა საჭირო, თორემ ჩავარდება კაცი და სირცხვილია-თქვა. თან მას ვთხოვდით ბინა ეშოვნა რომელიმე მათგანისთვის. შემდეგ კი თვალყური უნდა გვედევნებია, გაჩხრეკდენ თუ არა დასახელებულ მოგონილ ბინებს, რომლებიც ვეცოდინებოდა მხოლოდ ჩვენ, 3 კაცს. საბოლოოდ გადავწყვიტეთ ასე. ბარონმა შეატყობინა მუსერიძეს მოსულიყო ოთხ საათზე მასთან ბინაზე. გამოვედით ბულვარში. აქ გავიგეთ, რომ გამცემლობაში სრულიად კერძო ხალხსაც იჭვი სწორედ მუსერიძეზე აუღია. საქმე შემდეგში ყოფილა: როდესაც მაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის უფროსს სადგურზე ვაგონისათვის ალაყ შემოურტყავს, ჩაფარ[illegible]
რაზმის უფროსს თავად ჩხეიძეს მოუნდომებია ვაგონში შესვლა გა-
საჩრეკად. მაზრის უფროსს დაუნახავს ეს და უთქვამს ჩხეიძისთვის:
„თქვენ, თავადო, შიგ ვაგონში ნუ შემოხვალთ, რადგან აქ არის ისე-
თი კაცი, რომელმაც შენ არ უნდა გნახოსო". ჩხეიძე დაინტერესებუ-
ლა და მაინც მეორე მხრიდან შეუსულა. დაუთვალიერებია ყველა
შიგ მჯდომნი და მუსერიძის მეტი ნაცნობი ვერავინ უნახავს. ჩხეიძეს
ეშვი აუღია: ალბად, მუსერიძის გაცემულია გაქცეულებიო და თავი-
სი ეშვი მეორე თავადისათვის—ბონდო მიქელაძისათვის უთქვამს. ამ
უკანასკნელს მაშინვე ჩვენი ამხანაგისათვის, ბ. კუპრაშვილისათვის
გადაუცია, ჩვენ ბონდოს ვსთხოვეთ არავისთვის ეთქვა ეს დროებით.
ბაჭუაც გავაფრთხილეთ.

საღამოს ოთხ საათზე მოვიდა მუსერიძე. ეტყობოდა გახარებუ-
ლი იყო, რომ ჩვენ ისევ წინანდელი ნდობით ვეპყრობოდით. გავმარ-
თეთ მე და ბარონმა პატარა საუზმეს მზგავსი: ვიშნეკკა, ჩურჩხელა ტ. სხ.
ჯერ დავიწყეთ მშვიდი, წყნარი მუსაიფი.

შემდეგ ბარონს ვეუბნები: „კაცო, ბარონ, ეხლა შემხვდა ერთი
ამხანაგი და მითხრა, რომ თომას, სულიაშვილის და ასათინის ბინები
საეჭვოა, საჭიროა იმათი იქიდან გადაყვანა, თორემ ჩავარდებიან და
სირცხვილიაო"-თქვა.

ბარონმა უკმეხად მიპასუხა: „თუ საეჭვოა, მონახე ბინა და
გადაიყვანე, მე მარტოდ ვერ ავუდიეარ ამდენი ბინის მოძებნას, ყველანი
ჩემს კისერზე არიანო".

„შენ თუ არ მოუნახე, აბა, ვინ უნდა მოუნახოს, შენ ხარ ად-
გილობრივი კაცი, ყველას იცნობ, მე ჩამოსული ვარ, თან ვიმალები,
მერე ვინ დაგაწვა შენ კისერზე, თუ საქმეს ვაკეთებდით, ერთად ვა-
კეთებდით თქო", მივუგე მე.

„შენმა თავის ტეხამ—ერთად ვაკეთებდით, შენ მხოლოდ მიწა
გამოჩხრიკე, სხვა არაფერი გაგიკეთებია, დანარჩენი სულ მე დამაწვა
კისერზეო", ხმის ამაღლებით მითხრა ბარონმა.

მეც ვითომ გავჯავრდი, ხმამაღლა ვუპასუხე: „შენ მუდამ
ასეთი ხარ: თუ გაფუჭდა რამე სხვაა დამნაშავე, თუ გაკეთდა,—გინ-
და მითვისო, ჯერ შენ ერთ კაპეიკის საღირალი არაფერი გაგიკეთე-
ბია და ტყუილად ნუ ტრაბახობ, შენ კარგად იცი, რომ ბოლე-
ვაძის ბინაზე არ შეიძლება თომას გაჩერება, იცი, რომ ასათინს და-
რახველიძის ბინაზე ვერ გავაჩერებთ და სხვა, ეს ბინები თითქმის
ყველამ გაიგო,—ნათესავმა, ცოლმა, ამხანაგმა; თუ არ გიშოვნია ბი-
ნები, პასუხისმგებელი შენ იქნები. ტრაბახობას თავი დაანებე," მეთქი.

ამის შემდეგ უკვე თითქმის უშვერის სიტყვებით შევეხეთ ერთ-
მანეთს. მუსერიძე ყურს უგდებს ყველა ამას და ვეაჩუმებს, გვარიგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეუბნება: არ შეიძლება ჩხუბი, დაწყნარდით, მეც მოგეხმარები ბინის შოვნაშიო და სხვა.

მე გავჯავრდი, მივატოვე ისინი და წავედი. ბარონს კი ვუთხარი: ალბათ შენ იმასაც დამამადლი, რომ ერთი კვირა შენთან ვიყავი თქვა. ბარონმა „უსინდისო“ მომაძახა კარებში. წავედი, ისინიც გამომყვენ.

ეხლა ყურს ვუგდებთ: გაჩხრეკენ თუ არა ჩვენ მიერ მუსერიძესთან დასახლებულ ბინებს, სადაც, რასაკვირველია, არავინ გაქცეულა და ბინა არ ცხოვრობდა. იმ ღამეს არ გაუჩხრეკიათ. მეორე ღამეს დასახლებულ სამ ბინაში კაჩხრეკეს ერთი ბინა. თითქმის დამტკიცებულია ყველაფერი, მაგრამ ჩვენ კიდევ არა ვართ დარწმუნებული. ეფიქრობთ: ვაი თუ შემთხვევით გაჩხრეკეს. რათ ყველა ბინები არ გაჩხრეკეს და სხვა. იმდენად სანდო იყო მუსერიძე, რომ ამ ფაქტმაც ვერ დაგვარწმუნა მის პროვოკატორობაში. ბოლქვაძის ბინის გაჩხრეკის მეორე დილითვე გაველით ბულვარში. ბარონს შეხვდა მუსერიძე. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ბარონმა უთხრა: „კინაღამ არ დავიღუპეთ წუხელის, კინაღამ თომა არ დაიჭირეს. ბოლქვაძის ბინა გაჩხრიკესო.“

„მერე იქ იყო თომა,“ შეეკითხა მუსერიძე.

„იქ იყო, მაგრამ მოასწრო ბოჭკეებით სავსე სარდაფში შესვლა და სარდაფი ალარ გაუჩხრეკიათ და გადარჩაო,“ ეუბნება ბარონი.

„ეხლაც აქ არის,“ —შეეკითხა მუსერიძე.

„აწი რა უჭირს—რასაკვირველია, იქ არისო“—უთხრა ბარონმა.

არ გასულა ორი საათი ამას შემდეგ—გაჩხრიკეს ხელ მეორედ ბოლქვაძის სარდაფი. ეხლა კი უკვე ცხადი იყო, რომ მუსერიძე პროვოკატორი იყო.

გადავწყვიტეთ მისი მოშორება. მეორე დღეს მთავრობა შეუდგა მასიურ ჩხრეკას: ქუჩაში, სახლებში, გზებში. ალყა შემოარტყეს არქეოლის გორას. ბარონთან ვიყავი. გამაგებინეს, არქეოლის გორაზე იმალებოდნენ საშა სტეფანოვი და დათიკო სულიაშვილი. შეგვემინდა. არ მახსოვს ჩემთან ვინ იყო იმ დროს. მხოლოდ მახსოვს, რომ მე და კიდევ ერთი ამხანაგი არქეოლის გორაზე წავედით მეორე მხრიდან და ჯარისკაცების წრეში შევედით. გვინდოდა ორივე გაქცეულებისათვის გვეცნობებინა, რომ სახლებიდან გარეთ არ გამოსულიყვნენ. ჩემთან მგონი აკაკი დალაქიშვილი იყო. მაგრამ სტეფანოვს ვერ მივუსწარით. გარეთ გამოსულიყო და გზაში დაეჭირათ. როგორც გადმოგვცეს, ვერ მოიქცა გამოცდილად, თორემ გადარჩებოდაო. დათიკოს მივუსწარით. ის იყო მედავითნე კანდელაკის ბინაზე (პოლ შევიკი იყო), რომელიც იქაკე სასულიერო სასწავლებლის გვერდით ცხოვრობდა. სახლის წინ მივედით. გარეთ გამოსულიყო ამბ. კან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელაკი და რაღაცას ცულით თლიდა. დაგვინახა თუ არა, მოხერხულად შეგვნიშნა—თქვენ აქ რა გინდათ, წადით ჩქარა, დათიკოს ნე მოუვლი, მხოლოდ თქვენ თითონ არ დაგიჭირონო. დათიკოც გამოვიდა ამ დროს, თავზე მასწავლებლის ქუდი ეხურა. ჩვენს წინადადებაზე, ჩვენთან წამოსულიყო. უარი განაცხადა დათიკომაც და სახლის პატრონმაც. ჩვენს მისვლამდის ასე გადაეწყვიტათ.

თუ სახლში შესვლას დაეპირებდნენ გასაჩხრეკათ, დათიკო მაშინვე დაიხურავდა მასწავლებლის ქუდს და იქვე სასწავლებლისაკენ გასწევდა, როგორც მასწავლებელი. ასეთი გეგმა ჩვენც მოგვიწონა და მოვშორდით. საბედნიეროდ სახლისკენ არც კი უფიქრიათ გახედვა პოლიციელებს. დაინახეს მოხუცი კანდელაკი ღარიბულად მოწყობილ სახლთან მომუშავე და არც კი მიაქციეს ყურადღება. ჩვენ გავსწიეთ საჩქაროდ და იქვე ტყეში მივიმალეთ, სანამ ჯარისკაცთა წრე მოახსნებოდა. დათიკო გადარჩა, მხოლოდ გული დაგვწყვიტა საშა სტეპანოვის დაჭერამ. სულ ოთხი დაიჭირეს. სტეფანოვი და ის სამი კაცი, რომელნიც მუსერიძემ გასცა.

დანარჩენები მშვიდობიანად ჩავიდნენ ტფილისში. ხოგნი სოფლებში წავიდნენ.

ეხლა დავუბრუნდეთ მუსერიძეს. მისი სიკვდილი გადაწყვეტილი იყო. მხოლოდ გვინდოდა მოგვეტაცნა და გვეთქმევინებინა დაწვრილებით ვინ ჰყავდა გაცემული. ეცდილობთ, რომ მუსერიძეს არ გაეგო ვიცოდით თუ არა რაიმე ჩვენ: მას ისევ ნდობით ვეპყრობით. ვადავსწყვიტეთ ასე: უნდა მოგვეწვია ის ბრონის ბინაზე ვითომ კიდევ ბინების მოსანახავათ, დასახმარებლათ. ბაგრამ გადავწყვიტეთ ბინაზე არ დავხვედროდით, მხოლოდ თვალყური გვდევნებია შორიახლოდან მარტო მოვიდოდა ბინაზე, თუ ვისმე მცველს წამოიყვანდა თან. ამ მხრით ბარონის ბინა კარგ ალაგას იყო, ბოის ძირას. ასე რომ, მაღლიდან შეგვეძლო დანახვა, თუ როგორ მოვიდოდა. თუ მარტო მოვიდოდა. ჩვენ უკანა მხრიდან სახლში შევიდოდით და შევიდებოდით და თუ არა, მაშინ აღარ დავენახვებოდით სრულიად. ჩავწექით სამი ამხანაგი და თვალს ვადევნებთ. შესრულდა 6—7 საათი. ვხედავთ მოდის და თან მოჰყვება შვიდი ჩაფარი, თოფები ნაბდებში აქვთ გახვეული. მივიდა კარებთან და დაკაკუნა. როცა არავინ გამოეხმაურა, თავის ამალით უკან გაბრუნდა. ჩვენც მოვშორდით ბინას და წავედით. სჩანდა, დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ ბას ეპვის თვალით ეუყურებდით. ამის შემდეგ მოტაცება აღარ შეიძლებოდა. უნდა მოგვეკლა.

ქუთაისში ჩვენი ფრაქციის რამდენიმე წევრს გავაგებინეთ. სწრაფად შეიარაღდა რამოდენიმე ჯგუფი, სამ სამი კაცისაგან შემდგარი. ღილითვე ჩაესაფრენ იმ ქუჩებზე, რომელზედაც მუსერიძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გაეცლო, როცა სამსახურში წავიდოდა. ბულგარში ამბოსვლამ
დის ერთი ჩაფარი მოყვებოდა, შემდეგ კი, მარტო მიდიოდა. პირ-
ველ ორ დღეს ამხანაგები ვერაფერს გახდნენ. ამის მიზეზი ის იყო,
რომ მუსერიძე დილით არ გამოსულა.

ერთ საღამოს ბულგარში ვართ ყველა ამხანაგები.

ბევრს შეიძლება გაუკვირდეს, თუ რატომ ბულგარში დავდი-
ოდით. უნდა ითქვას, რომ ქუთაისის ბულგარი რაღაც განსაკუთრე-
ბული რამ არის. მას გვერდს ვერ აუვლის ვერც ვაჭარი, ვერც რე-
კოლიუციონერი, ვერც ტყუილად მოხეტიალე. ყველა იქ იყრის თავს,
იქ კეთდება ყოველგვარი საქმე. დღეს მეც მიკვირს, თუ რად ხდე-
ბოდა ასე, მხოლოდ ფაქტი იყო, რომ ქუთაისის ბულგარი ყველას
თავშესაფარი იყო. ჩვენც საღამოზე გამოვედით ერმანეთის შესა-
ხვედრად. (შესახვედრად კი „აუცილებლად“ ბულგარი უნდა დაგე-
ნიშნა). ბარონიც აქ არის. მუსერიძეც გამოვიდა. ჩვენ შიგნით, ბულ-
გარში ვართ. ბარონი გარეთ, ტოროტუარზე გავიდა. მუსერიძემ ჩვენც
დაგვიძახა, პირადათ მე, მაგრამ რაღაც არ მივედი მასთან. შორი-
დან სალამივით მივეცი. ბარონმა ხელი ჩამოართვა. ბარონი იმ წამსვე
დაიჭირეს გადაცმულმა ჩაფრებმა.

გამოირკვა, რომ ხელის ჩამორთმევა ნიშანი იყო იმის, თუ ვინ
უნდა დაეჭირათ. ეტყობოდა ხვრელის მომწყობთა გაცემა გადაე-
წყვიტა, როცა გაქცეულები ვეღარ ჩაიგდო ხელში. მაგრამ ბარონი
მან იქვე გააშვებინა ჩაფრებს. ეს იმიტომ, რომ ბარონი ქუთაისის
მკვიდრი მცხოვრები იყო. იმის დაჭერას ყოველთვის მოასწრებდა.
ჯერ უნდა ჩვენ დავეჭირეთ, რომლებიც დღეს აქ ვიყავით, ხვალ
სხვაგან; ამ მიზნით გვეძახოდა ალბათ, იმ საღამოსაც. ბარონის ხე-
ლის ჩამორთმევა კი ჩვეულებრივი იყო, მაგრამ ჩაფრებმა იფიქრეს:
უნდა დავიჭიროთ რაღაი ხელი ჩამოართვაო. ბარონს დაჭერა ჩვენ-
თვის საკმარისი გახადა, რომ აქეთ-იქით მივმალულიყავით. თვით
მაზრის უფროსიც გადაცმული დადიოდა. იქვე მოვილაპარაკეთ ერთი
ყუშბარა გაგვეგორებინა მაზრის უფროსისთვის, მაგრამ ვეღარ მო-
ვასწარით: ჩვენ რომ მივიმალეთ, ისიც წასულიყო. ბარონი იმ ღა-
მიდან სახლში აღარ მიდიოდა დასაძინებლათ. ამის შემდეგ მეორე
დღესვე კატეგორიულად გადავწყვიტეთ, რადაც არ უნდა დაგვჯდო-
მოდა, მოგვეკლა მუსერიძე. დილიდანვე ახალგაზრდა ტერორისტებმა
თავ-თავიანთი ადგილები დაიკავეს. დილით მოვიდა ცნობა, რომ
მუსერიძე მოდის და ახლავს ერთი ჩაფარიო. ჩვეულებრივად მუს-
რიძემ ბულგართან ჩაფარი გაუშვა და მარტო გაიარა ბულგარში
მოხეტიალე ხალხში. საბაევის მაღაზიის წინ ერთ-ერთი ტერორისტი,
ქიჯა, რომლის სადარაჯო პუნქტი ბულგარი იყო, დაეწია და რე-
ვოლვერი უკან, წელში, დაახალა და გაიქცა. მუსერიძე არ წაიქცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ტყვიით. იქვე მდგომ ანხ. ბაჭუა კუპრაშვილს ეგონა, „ტყვია ასცდაო და დაუყვირა გაქცეულ ქოქავას: „ბიჭო. ტყვია ასცდა, კიდევ ესროლეო". ქოქავა მობრუნდა, მიირბინა და დაიძახა: „როგორ თუ არ მოხვედრია, წელი გახვრეტილი აქვსო" და ისევ გაიქცა. დაჭრილი მუსერიძე შევარდა იქვე მაღაზიაში და შუშები სულ ერთიანად დალეწა. იქვე გაჩნდა მაზრის უფროსი და დაჭრილი ეტლით საავადმყოფოში გაიქანა, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. გამორკვა, რომ მაზრის უფროსი მუსერიძეს სამტრედიის ბოქაულის ადგილს დაპირებოდა, თუ ის გაქცეულებს დაეჭერინებდა და ხვრელის ორგანიზაციას ჩაუგდებდა ხელში.

ბოქაულობისთვის გაჯიდა საბრალო მუსერიძემ იდეა. ამხანაგები, სინდისი და პატიოსნება. ბოქაულობასაც ვერ ეღირსა!..

შემდეგ გავიგეთ, რომ მაზრის უფროსი ტრაბახობდა: „ორი დღე კიდევ რომ დასცლოდა მუსერიძეს, მთელ ბოლშევიკურ ორგანიზაციას ხელში ჩავიგდებდიო, ადრე გამიგეს ეშმაკმა ბოლშევიკებმაო".

მუსერიძეს მოკვლა თითქმის უკანასკნელი აკორდი იყო ხვრელის დამთავრებისა და გაქცეულების დაბინავებისა ტფილისში.

მეც ვიკადრე თმის შეღებვა. შემიღება ამბ. დარახველიძემ და ის იყო უნდა წამოვსულიყავი ტფილისში, რომ ამ დროს ციხიდან მივიღე გულშემზარავი წერილი. ციხეში დარჩენილი ამხანაგები ვეკითხებიან—რომ მდგომარეობა აუტანელია, გვიბრძანებენ, გვეკმენ. გვაგინებენ, სამელს აღარ გვაძლევენ, გარეთ არ გვიშვებენო და სხ

გამოირკვა, რომ ხვრელის შემდეგ ციხის უფროსობა მიეცათ იქვე მოსამსახურე მწ.რალ აბშილავასთვის. ამ უკანასკნელს, რომ თავი დაეწინაურებინა, ინკვიზიტორული რეჟიმი შემოეღო. მის თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. ამხანაგები ვეკმეუდარებოდნენ: ან აგვაფეთქეთ, ან აბშილავა მოგვაშორეთო.

გადავწყვიტეთ აბშილავას მოკვლა, მაგრამ მეტად ძნელი მისადგომი დარჩა. ბაჭუას საშუალებით მოვძებნეთ გამოცდილი ტერორ სტები. ქეთაისში იყო მაშინ ანარქისტების პატარა ჯგუფი, რომელშიაც შედიოდა ამხ. კოლია ბრეკვაძე. და აი, ამ კოლიას დავაკისრეთ აბშილავას მოკვლა. კოლიას უნდოდა ჩვენს ჯგუფში შემოსვლა. ჩვენ ასეთი პირობა დავუდეთ: თუ ამიღებდა- და აღიარებდა ბალშევიკურ იდეას და თან აბშილავას მოკლავდა, ჯგუფში მივიღებდით.

მთელი კვირა უდარაჯეს. აბშილავა გარეთ, ციხიდან, არ გადიოდა. შემდეგ გავიგეთ, რომ ორშაბათს დილაობით მოხსენებისთვის მიდის გუბერნატორთან. მიდის ეტლით და სამი მცველით. გავაგებინეთ ეს კოლიას. მან თან წაიყვანა ორი ამხანაგი. შეხვდენ გიმნაზიის პირდაპირ. შეუხტენ ეტლში, მოჰკლეს ციხის უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებშილავა, ორი მცველი სასაკვდილოთ დასჭრეს და მიიმალენ ტყეში. უკვლოდ.

ამ აქტით დამთავრდა ქუთაისის ხვრელის საქმე. ციხის. ამხანაგების მდგომარეობა გაუმჯობესდა. მეც გამოვსწიე ტფილისისაკენ და აქ შეეხვდი ციხიდან გაქცეულ ამხანაგებს. ციხიდან გაქცევა მოხდა 26 სექტემბერს. ტფილისში დაგბრუნდი ოქტომბრის ბოლო რიცხვებში და შევუდექით ჯგუფის საქმის გაგრძელებას. ამ დროს ერთი ნაწილი ჩვენი ჯგუფისა პეტროგრადში იყო წასული ახალი იარაღის ჩამოსატანად ფინლიანდიიდან. აქ ორგანიზაციის მხრით მზად უნდა დაგვეხვედრებინა ყველაფერი. კამოც საზღვარ-გარეთ იყო წასული და ისიც გერმანიაში დაეჭირათ და სიციეის მოგონების გამო რუსეთის მთავრობას გადმოცემს.

თუ რიცხვი არ მეშლება, პეტროგრადიდან ამხანაგები ჩამოვიდნენ ნოემბრის ბოლო რიცხვებში. მათ ამბ. ლადო დუმბაძეც ჩამოჰყვა, რომელსაც დიდი დახმარება გაეწია ამ ამხანაგებისთვის იარაღის გადმოტანაში. შევუდექით მზადებას, მაგრამ ტფილისში პიოდაპირ შეეცქინებელი გახდა მუშაობა, რადგანაც ადგილობრივი მთავრობა ერევნის მოედნის შემდეგ ძლიერ დაშინებული იყო. მთავრობამ იცოდა, რომ ჩვენი ჯგუფი არსებობდა, მაგრამ არავითარი საშუალება არ ქონდა ჩვენი ხელში ჩვგდების. ვერც ერთი მონაწილე ერევნის მოედნისა ხელში ვერ ჩაიგდეს. სამაგიეროდ, გააძლიერეს ყველა დაწესებულებების დაცვა. ფულის გადატანა იწყეს საგანგებო ფოლადისაგან გაკეთებულ ყუთებში, რომლებიც სალტეებით დაკრული იყო სპეციალურ ეტლზე. ბრონეეიკის მსგავსი რაღაც იყო. ამიტომ ჩვენი მოქმედების ასპარეზი ბაქოში გადავიტანეთ.

1908 წელს თებერვალ—მარტში ბაქოში გადავედით. სულ 18 კაკამდე ვიყავით. იქ ერთი დიდი და უკანასკნელი ექსპროპრიაცია უნდა მოგვეწყო. შემდეგ შევსდგომოდით პარტიული ამხანაგების შეიარაღებას. მხოლოდ ისეთების, რომელნიც ბრძოლაში გამოსადეგი იქნებოდნენ. გარდა ამისა, უნდა მიგვეღო ზომები საზოგადოთ იარაღის შესაძენად. ამის შესაფერად გავანაწილებდით ძალებს ჯგუფის წევრებისაკენაც. ვისაც რა დარგში შეეძლო, იქ იმუშავებდა, მაგრამ ამ კეგმის განხორციელება ადარ დაგვცალდა. ბაქოში სრულიად შემთხვევით გაიგეს ჩვენი უმთავრესი პინა, რომელიც ვაჩხრიკეს და აღმოჩინეს მთელი ჩვენი საწყობი. ამ ბინაზე ჩხრეკის დროს მოუხდათ შეტაკება ჩვენი ჯგუფის ორ წევრს, რომლებიც იმ დროს ბინაზე იმყოფებოდნენ. ესენი იყვნენ ამხანაგები ვანო ინწკირველი (სტეპკო) და თომა ჩუბინიძე. პირველი ხანგრძლივი სროლის შემდეგ მოკლული და დასახირებულ იქნა. მეორე დასჭრეს და დაიჭირეს. ამხანაგი სტეპკო თუმცა ითვლებოდა ჩვენი ჯგუფის წევრად, მაგრამ ის არ ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილა სისტემატიურად ამ ნიადაგზე მუშაობის მომხრე, მხოლოდ ამბობდა: ერთი დიდ და სერიოზულ საქმეში მივიღებ მონაწილეობას და შემდეგ სხვა დარგში გადავალ სამუშაოდო. მისი სიკვდილის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მას თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა რა პირობებშიაც არ უნდა ჩავარდნილიყო, წინაღმდეგობა გაეწია. „იარაღს უსიკვდილოდ არავის დავანებებო,“—იძახდა მუდამ. ზოგჯერ ამ კითხვაზე კამათის დროს ვეტყოდით, რომ შესაძლებელია ზოგიერთ პირობებში რევოლიუციონერმა ჩაბაროს იარაღი და თითონაც ჩაბარდეს მტერსა თქვა, მაგრამ ასეთი საქციელის სასტიკი წინააღმდეგი იყო. მართლაც, სისწორით დაიცვა თავისი შეხედულება ამ კითხვაზე. რომ მას წინააღმდეგობა არ გაეწია, ის, ალბად, დღესაც ცოცხალი იქნებოდა: ციხიდან შეიძლებოდა მისი განთავისუფლება, ანდა სასჯლის მოხდა, რადგან ის ძლიერ ახალგაზრდა იყო. მისი სიკვდილი შემდეგ პირობებში მოხდა: საათის 10 იქნებოდა, როდესაც ბინაზე მივიდნენ გასაჩხრეკად. ორიენნი: ამხ. თომა და სტეპკო ჩაის სვამდნენ. ოთახში ისე შესულიყვნენ პოლიციელები, რომ ვერც კი შეეჩნიათ. როდესაც პოლიციელებმა პასპორტი მოსთხოვეს, ის მაშინვე წამოდგა და ვითომ პასპორტის მოსაძებნად გაექანა განჯინისკენ. პასპორტის მაგივრად ამოიღო რევოლვერი, რომელიც იქვე ჰქონდა შენახული და სროლა აუტეხა. ორი პოლიციელი იქვე მოჰკლა. ამავე დროს თომა გადის მეორე ოთახში. წინ მას გადაეღობნენ. თომაც სროლით გავიდა ოთახში, რომელიც იმ ოთახის გვერდზე იყო, საიდანაც სტეპკო ისროდა. მაგრამ შესვლისთანავე თომას თავში დაჰკრეს რევოლვერი და წაიქცა. აღმოჩნდა, რომ ოთახი, საითკენაც თომა მიიწევდა, წინადვე დაეკავებიათ პოლიციელებს. როცა თომა დასჭრეს და დაიპირეს, პოლიციელებს გაუადვილდათ მოსაზღვრე ოთახიდან სტეპკოს მიპაოდნენ და გვერდიდან სროლა აეტეხათ. ასეც მოხდა. სტეპკო მოკლულ იქნა სწორედ იმ ოთახიდან. რომელშიაც თომა აპირებდა გასვლას და სტეპკოს გვერდის გამაგრებას. ნახ. საათის სროლის შემდეგ, როდესაც სტეპკო მოჰკლეს და თომა დაიპირეს,—ბინა გაჩხრიკეს და ყველაფერი აღმოაჩინეს. თუმცა ჯგუფს ფიზიკურად ორი კაცის მეტი არ მოჰკლებია, მაგრამ ტეხნიკურად ჯგუფი ძლიერ დაზარალდა. საჭირო შეიქნა ტეხნიკური მზადების ხელ-ახალი დაწყება. ამასთან ერთად, უკანასკნელმა ჩხრეკამ ზოგიერთი ძაფები ჩაუგდო ხელში მთავრობას, რომლის საშვალებით შეეძლოთ დანარჩენი ამხანაგების დაჭერა. ახლო მომავალში მაინც ჩვენი ჯგუფის სამხედრო მდგომარეობის გამასწორება ძნელი იყო. ამიტომ გადაწყვიტეთ (განსაკუთრებით მე ვიცავდი ამ აზრს) დროებით ჯგუფი დაგვეშალა და სხვა და სხვა რაიონებში (ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში) გაგვეშვა ამხანაგები სამუშაოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ბევრი იყვნენ იმის მომხრე, რომ შური გვეძია და სხვა, მაგრამ ჩემი წინადადება გავიდა. მხოლოდ დავტოვეთ ხუთი კაცისგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც დაჭერილი თომასთვის ყურადღება უნდა მიეტქცია და დარჩენილი იარაღისთვის და ქონებისთვის მოვევლო. ამ ჯგუფში შედიოდა ვანო კალანდაძე, დათიკო ჭიაბერაური, ილიკო ჭაჭიაშვილი, ამბაკო სამანიშვილი. დანარჩენნი ყველანი ტფილისს გავამგზავრეთ. თომასთან, დაჭერის მეორე დღესვე, დილით კავშირი გავაბით. წერილი მივსწერე და პასუხიც მივიღე. ვსწერდი ყოჩაღათ ყოფილიყო და დახმარების იმედი ჰქონებოდა. პოლიცია ყველა ჩვენგანს გამწარებული დაკეტდა, განსაკუთრებით მე, რადგან ჩემი ნიშნები ჰქონდათ, კიდევ შავდ შეღებვა დამჭირდა თმისა, ბოლოს იძულებული ვიყავით ბაქო მიგვეტოვებინა და დროებ თ ტფილისისათვის შეგვეფარებინა თავი. ტფილისში ჩამოველით ჩვენ, ხუთნიც.

გადავათვალიერეთ კასსა და შიგ აღარაფერი აღმოჩნდა. უფულოდ კი შეუძლებელი იყო ვინმესთვის რაიმე დახმარების აღმოჩენა. განსაკუთრებით გვაწუხებდა თომას ციხეში ყოფნა, რომელსაც სულ ცოტა ხანში სიკვდილით დასჯა მოელოდა. გადავწყვეტეთ ერთი მსუბუქი „ექსი“ კიდევ მოგვეწყო სადმე. გავაბით კავშირი. გავიგეთ, რომ მანგლისის ფოსტა დილით კოჯრის გზით გადიოდა. მცველები 6 კაცი ახლდა. ჩვენ გავამზადეთ შვიდი კაცი. შეეიარაღდით მაუზერებით და ბომბებით. ტფილისიდან 6-7 ვერსტზე იყო პატარა დუქანი. ნაშუალამევის 2 საათზე გავედით ვერიდან; შევუდექით აღმართს, გადავედით ფინეკულიორზე და გათენებისას დუქანთან მივედით. იქ მე, ვანო კალანდაძე და ილიკო ჭაჭიაშვილი დუქანში შევედით. ჩვენი როლი იყო პირველად შეეხვედროდი და ყუმბარებით აგვეფეთქებინა ცხენები. დანარჩენები წინ და უკან ჩასფარდნენ შემთხვევით გადარჩენილ მცველებით თავიდან მოსაშორებლად. დუქნიდან ხან ერთი გამოდიოდა, ხან მეორე ცნობის მოსატანად,—მოდიოდა ფოსტა თუ არა. დუქანში, როგორც მგზავრები ისე ვიყავით. ბოლოს ვანო შემოვიდა და ჩაგვჩურჩოა: „მოდისო.“ სამივენი გარეთ გამოვედით. მოვამზადეთ ყუმბარები. შუა გზაზე ვდგეკარ. შეეხვედეთ, მოდის თითქმის ჭენებით ოთხცხენიანი ფოსტა. პირველად ვანოს უნდა ესროლა, თუ იმას გადარჩებოდა, შემდეგ მე და მე თუ გადამრჩებოდა, შემდეგ ილიკოს. ესროლა ვანომ. ყუმბარა ასცდა და გვერდზე გასკდა. ჩემი და ილიკოს ყუმბარა თითქმის ერთ და იმავე დროს მოხვდა ცხენებს, ზედი-ზედ გასკდა, ორივე ცხენი პირ აღმა გახეთქილი დასცა ძირს მცველები ხრამში გადაყარა ყუმბარის სიძლიერემ. ცხენოსანი ჩაფრები გაიფანტნენ და ხრამიდან დაგვიწყეს სროლა, მაგრამ როდესაც ზევიდან დავუწყეთ სროლა და ერთი მათგანი მოკალით, დანარჩენებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარაღი გადმოყარეს. ჩვენც ხმა არ გაგვიცია. ხუთი წუთის განმავლობაში საქმე დავამთავრეთ. მცველების განიარაღების შემდეგ, რაც იყო ფული, წავიღეთ. აღმოჩნდა 21 ათასი. საქმის გათავებისას შევუღექით ფუნიკულიორის აღმართს. შემთხვევით ყაზახები წამოგვაწყდნენ. აგვიტეხეს სიშინელი სროლა და გამოგვედევნენ ცხენებით. ცხენები იმ აღმართში არ გამოადგათ, ფეხ და ფეხ მოგვსდევენ და თან გვესროიან. ერთი ამხანაგი, კოლია ბრეგვაძე, ავად იყოდა აღმართში სირბილი ვერ შესძლო. ამიტომ დიდი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ მოკლულ იქნა. მეორე, დ. ჭიაბეროვი ფეხის თითში გაიკაწრა. ეს იმ დროს, როცა აღმართი თითქმის ავირბინეთ. სროლა ყაზახების მხრით არ წყდებოდა, მაგრამ ამ დროს გვიშველა ნისლმა, რომელიც ისე სქლად მოედო მთას, რომ ორი ფეხის ნაბიჯზე ერთმანეთს ვეღარ ვარჩევდით, დათიკომ ხევში ჩაუხვია და ფუნიკულიორის ძირთან გავიდა თითქმის, მაგრამ დაუშვა შეცდომა და ქალაქს აღარ შეაფარა თავი. დარჩა ხევში. საათის თორმეტზე იპოვეს და დაიჭირეს. ზედ არაფერი აღმოჩნდა. მოესწრო დამალვა. ეჭვით მაინც დაიპატიმრეს და 20 წლის კატორგა მიუსაჯეს. (სიკვდილით დასჯა შეუცვალეს 20 წელზე) ორიოლის ციხეში გარდაიცვალა. დანარჩენები ყველა უნებლად გადარჩა. ჩამოვედით ვერაზე. ტანისამოსი გამოვიცვალეთ და გავსწიეთ გოლოვნის პროსპექტზე სასეირნოდ.

ორი კვირის შემდეგ მე ბაქოში გავემგზავრე ამხ. თომას გასანოავისუფლებლად. თან ათი ათასი მანეთი ბაქოს ორგანიზაციას წავუღე და გადავეცი ამხ. შუმიანს. ბაქოს ორგანიზაცია ძლიერ კრიტიკულ მდგომარეობაში იყო ფინანსიურად და სულზე მივუსწარი. რამდენიმე ათასი თომასთვის გადავდევით.

ბაქოში მეორეთ ჩასვლაზე დამხვდა თომას წერილი, რომელიც მატყობინებდა, რომ ციხის ერთი ზედამხედველი, რომელსაც მისი კამერა აბარია და ამავე დროს გარეთ გამოსასვლელ მეკარეთ ითვლება, კარგ შთაბეჭდილებას ახდენს და შეიძლება დაგვთანხმდეს დახმარების გაწევაზეო. გვარი მისი აღარ მახსოვს. სახელი კი ილია ჭქვიოდა. საჭირო იყო მასთან მოლაპარაკება. გავიგე მისი ბინა. ენახე სახლში და ვუთხარი; რომ მასთან სალაპარაკო მაქვს და როდის ექნებოდა თავისუფალი დრო. მან დღე და დრო დამინიშნა. პირველი პოლაპარაკება მარტო მე გავმართე. დანიშნულ ადგილას, როცა მივდიოდი, ჯერ „რაზვედკა“ გავაგზავნე. ხომ არავინ მოიყვანა თქვა, ოადგან პირველ ნახვაზეე გავაგებინე, რომ მე მაისურაძის (თომას ყალბი გვარი იყო) ამხანაგი ვარ თქვა. „რაზვედკამ“ ცნობა მომიტანა, რომ ახლო-მახლო არავინ სჩანსო. ერთი საათი განგებ მაინც დავაგვიანე. როცა შეეხვდი პირდაპირ გავუტყდი და ასე უთხარი: „მე სოც.-დემ. ბოლშევიკების სახელით გელაპარაკები, შენ მუშა ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხი იქნები უთუოდ, ჩვენ ამათი ინტერესების დამცველები ვართ, ბევრი ამხანაგი ციხეში ლპება მუშურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, მაგრამ იმათ, ვისაც დიდი სასჯელი არ მოელის, ჩვენ მხოლოდ ციხეში ვუწევთ დახმარებას, მაგრამ არიან ისეთები, რომლებსაც დღეს თუ ხვალ სიკვდილი მოელით, ამათი შველაა საჭირო, ასეთია დღეს მაისურაძე, შენ დღეს შეგიძლია მისი სიკვდილისაგან დახსნა და დახმარება უნდა გაგვიწიო, რითაც კი შეიძლება, მაისურაძე უნდა გამოიყვანო ციხიდან"-თქვა.

„ძალიან ძნელი საქმეა"—მოკლეთ მიპასუხა.

„ძნელი რომ არ იყოს, მაშინ თქვენი დახმარებაც არ იქნებოდა საჭირო, შენ ის მითხარი,—გაგვიწევ თუ არა დახმარებას და სიძნელეზე შემდეგ ვილაპარაკოთ"-მეთქი, მივუგე მე.

„მიიღე ჩემგან პატიოსანი სიტყვა, თუ კი რაიმე შემეძლება მასწავლე და ყოველგვარ დახმარებას გაგიწევო,—მითხრა მან.

მე ვუპასუხე, რომ ამ საათში ძნელია გეგმის მოცემა, მე გავეცნობი ციხის პირობებს, მდგომარეობას და შემდეგ მოგელაპარაკებითქვა. მანამდის შენც იფიქრე და შენი გეგმა წარმომიდგინე-თქვა. ერთმანეთს დავშორდით.

სანამ მას მეორეჯერ ვნახავდი,—იძულებული ვიყავი მეფიქრა, თომას აზრიც გამეგო და გეგმა ისე შემედგინა. ამ მიზნით თომას შევუთვალე დაწვრილებით გადმოეცა თავისი მოსაზრება გაქცევის შესახებ ილიას დახმარებით. თომამ რამოდენიმე გეგმა გადმომცა.

მეორეჯერ ილიასთან ამხ. ბუდუ წავიყვანე, რომ მასზე კიდევ მეტი შთაბეჭდილება მოგვეხდინა. ბუდუმ თავისებურად, მჭერმეტყველურად დაუწყო ლაპარაკი და ილია თითქმის აანთო თომას განთავისუფლების სურვილით. ეხლა ილია თითქმის ჩვენ ხელშია: რასაც ვეტყვით, იმას აასრულებს.

ერთი თვის შემდეგ ილიას ეს საქმე უკვე თავის საქმედ მიაჩნდა. მესამე შეხვედრაზე ილიამ მითხრა: მოვკვდები და ამ საქმეს გავაკეთებო, მხოლოდ გეგმა მომეცითო. წარვუდგინე თომას გადმოცემული გეგმები, მაგრამ ილიას არ მოეწონა არც ერთი. შევატყვე, რომ უნდოდა გაქცევა ისე მომხდარიყო, რომ თითონ არ ჩავარდნილიყო. ეს, რასაკვირველია, ყველას უნდა, მაგრამ ილია განსაკუთრებულ ყურადღებას ამას აქცევდა. ამისათვის კი საჭირო იყო ისე მოგვეწყო, რომ გაქცევა ილიას მორიგეობის დროს მომხდარიყო. მხოლოდ ფორმალურად ისე მოგვეწყო, რომ ვითომ გაქცევა მეორე მორიგის დროს მოხდა, რადგან ის—პეორე მორიგე—ყოვლად საძაგელი ადამიანი იყო, რომელიც ძლიერ სასტიკად ეპყრობოდა პოლიტიკურებს. გვინდოდა ორი კურდღელი დაგვეჭირა: თურმე ეგეც შესაძლებელი ყოფილა!.. გეგმა თეორიაში უკვე ზზად იყო. მხოლოდ საჭირო იყო ციხის ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიერთი პირობების გაგება. მე რამოდენიმე კითხვა დავუსვი ილიას. პასუხის მიღების შემდეგ გავაცანი გეგმა. მას მოეწონა, მხოლოდ — ეჭვი გამოსთქვა, ვერ გავატარებთო. გეგმა შემდეგში მდგომარეობდა: თომას კამერა ციხის კანტორის გვერდზე იყო (ბაილოვის ციხის), განსაკუთრებულ კამერაში განსაკუთრებული მცველებით და შიგ კამერ ში ჯაშუში, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმას თვალყურს ადევნებდა. ყოველ დილით, საათის 6—7 ტუსაღების გადათვლა ხდებოდა. თომას უნდა მოეხერხებია ისე, რომ ყოველ თვლის დროს ის საპირფარეშოში ყოფილიყო. ამიტომ თომას მთელი თვის განმავლობაში საფაღარათო წამალი უნდა ესვა, რომ კუჭი მართლაც აშლილი ქონებოდა ადმინისტრაციის შესახედათ. მე ადმინისტრაციის სისულელეზე მეჭირა კურსი. ვფიქრობდი, რომ როდესაც ერთხელ-ორხელ და მრავალჯერ თომა დათვლის დროს კამერაში არ დახვდება და საპირფარეშოში ნახავენ,—შემდეგ საპირფარეშოს გაუსინჯავათაც ჩანიშნავენ თომას ციხეში ყოფნას. სწორედ ამაში ეპარებოდა ილიას იქვი. ადმინისტრაცია ვალდებულია ტუსაღი თვალით ნახოს, ისე არ ჩანიშნავენო. მე ვეუბნებოდი—ესინჯოთ და თუ არაფერი გამოვა, შემდეგ სხვანაირად ვიმოქმედებთ თქვა-

შევუდექით ამ გეგმის განხორციელებას. თომამ მიიღო პირველი საფაღარათო და ჩვენი ილიას მორიგეობის დროს კამერაში არ აღმოჩნდა. ილიას გაუჯავრდნენ, რატომ დათვლამდის გაუშეიო. ილიამ აუხსნა, რომ ავად არისო.

შემდეგ თომამ სთხოვა უფროსს, რომ ავათმყოფობის გამო (მუცელი აქვს აშლილი) ნება მიეცათ ზედამხედველებისთვის დღითი დაუბრკოლებლივ გაეშვათ საპირფარეშოში. უფროსმა ნება დართო. ამნაირად ერთჯერ მოვიდნენ დასათვლელად, თომა კამერაში არაა, მონახეს—საპირფარეშოშია. მეორეჯერ, მესამეჯერ; ისე გაგრძელდა ორ კვირას. შემდეგ კი მიანებეს თავი ძებნას. ისე შეეჩვივნენ ამ მდგომარეობას, რომ საპირფარეშოს აღარ ნახულობდნენ. მოვიდოდნენ კამერაში—ვერ პოულობდნენ და იტყოდნენ,—ალბათ, საპირფარეშოშია და გაუსინჯავად ნიშნავდენ—„არისო“. მართლაც, მთელი თვის განმავლობაში ნიშნავდნენ უნახავად და თომა ციხეში იყო. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ თომამ დიდი ნდობა მოიპოვა ადმინისტრაციაში თავის სიდინჯით, ეხლა ხელს გვიშლიდა ბორკილები. საჭირო იყო ბორკილები როგორმე მოგვეშორებია.. ვცადეთ ლეგალური გზით. თომამ დასწერა განცხადება გუბერნატორთან, რომელშიაც სწერდა, რომ ამა და ამ კანონის ძალით გამოძიების ქვეშ მყოფი ტუსაღის ბორკილებში ყოლა არ შეიძლებაო. აქ პოლიტიკურმა ტუსაღებმაც მოითხოვეს ამავე მიზეზით ბორკილების ახსნა, მაგრამ არაფერი გავიდა. გუბერნატორმა თომას განცხადებაზე დაწერა, რომ მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა და კანონის ამა და ამ განმარტების ძალით შეუძლია მძიმე დანაშავენი ბორკილებში ამყოფოს და გამოუგზავნა უკან განცხადება. მეტი გზა არ იყო, ბორკილები ვინტებით უნდა დაგვემზადებინა. ბორკილების რგოლის შემაერთებელი „ზაკლიოპკა“ (заклепка) მთლიანია, საჭირო იყო, რომ მისი ზომა, მოდელი, თომას გარეთ გამოეგზავნათ. თომამ მოდელი გამოგვიგზავნა. ჩვენ იმ ზომაზე ვინტებიანი „ზაკლიოპკა“ გავაკეთეთ და გავუგზავნეთ თომას. თომას ბორკილების გატეხა უნდა მოეხერხებია და მთლიანის მაგივრად ვინტებიანი „ზაკლიოპკა“ გაეკეთებია. ძნელი საქმე იყო ციხეში ბორკილის გატეხა, მაგრამ სხვა გზა არ იყო! როგორც იყო, თომამ ილიას მორიგეობის დროს ციხის სახელოსნოში მოახერხა შესვლა. იქ ბორკილები გასტეხა, მთლიანი „ზაკლიოპკები“ ვინტებიანით შესცვალა, ბორკილები ისევ გაიკეთა. უბრალო თვალით შეტყობა ყოვლად შეუძლებელია, თუ ვინმემ არ გაგცა და არ უთხრა ბორკილები ასე და ასე არის გაკეთებული. ასე ეს დაბრკოლებაც მოვიცილეთ. ეხლა დარჩა მოსაშორებელი კიდევ ერთი დაბრკოლება—ეს იმ ჯაშუშის თავიდან მოცილება, რომელიც კამერაში უზის თომას. გადავწყვიტეთ მისი მოწამვლა. გავუგზავნეთ სტრიხნინი. თომა მას ლიმონადში დაალევინებდა, მაგრამ, საუბედუროთ, დოზა ცოტა გამოდგა: არ მოკლა, მხოლოდ სიკვდილზე კი მიაყენა. სამი—ოთხი დღე არც გონება და არც განძრევის არაქათი არ ჰქონია. თვით აქტი ამნაირად უნდა მომხდარიყო: დღე გამოშვებით ილიას მორიგეობა უწევდა ღამის თორმეტი საათიდან დილის 7 საათამდის, ე. ი. ტუსაღების დათვლამდის, როგორც ციხეში ეძახიან „პოვერკამდე“. აი, სწორედ ამ დროს უნდა გამოეყვანა ციხიდან ილიას თომა, ყველაფერი მზათაა. სხვათა შორის და ყოველ შემთხვევისათვის თომას გავუგზავნეთ ზედამხედველის ფორმის ქუდი და ხალათი (ზაფხული იყო). დავნიშნეთ მე და ილიამ გამოსვლის ღამე. მგონი 17 თუ 21 ივლისი იყო. მე თომას ვუცდიდი იქვე ახლოს სახალხო სახლში ამხ. ბესარიონ შენგელიასთან. იქ უნდა მოსულიყო თომა. მხოლოდ უკანასკნელად, სანამ გაქცევა მოხდებოდა, საჭირო იყო თომას პირადად ნახვა ციხეში ჩემ მიერ. მე მის საქმეზე თითონ მეძებდა მთავრობა. შევიღებე თავი კარგად და გადავწვიტე მისი ციხეში ნახვა; საქმე ასე მოვაწყვე: ციხეში ამ დროს იჯდა ამხ. სიმონ ყლენტი, რომელიც პოლიტიკურების მამასახლისად ითვლებოდა და თავისუფალი მიმოსვლა ჰქონდა ციხის ყველა კუთხეში. სიმონს მივსწერე, რომ მის ვითომ და დასთან ერთად შეეიდოდი სანახავად, მხოლოდ მას ჩემთან ნახვა უნდა მოეწყო იმ „კარიდორში“, სადაც თომა გაივლიდა, როდესაც ის საპირფარეშოში წავიდოდა. წავიყვანე ფუცუ დღეშაძის ქალი (მაშინ ჩვენი ამხანაგი იყო). ეს ქალი ვითომ სიმონის და იყო. მე კი მისი ნათესავი. სიმონმა ჩვენი ნახვა სწორედ იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარიდორში მოაწყო, სადაც თომა გაიელიდა. შეეფიდთ ციხეში. წყ
რეთელის პასპორტი მაქვს. ვდგეგართ კარიდორში და ვემუსაიფებით
სიმონს. თავზე თვით ციხის უფროსი და უფროსი ზედამხედველი
გვადგია. ილიამ იცოდა რაში იყო საქმე. ხელად გაულო კარები და
საპირფარეშოში გაუშვა თომა. თომამ ჩამოიარა, მაგრამ ხმა არ გამ-
ცა, მხოლოდ სიმონს, როგორც მამასახლისს, ხელი ჩამოართვა. ჩავ-
ლის შემდეგ სიმონს შეეკითხე—„ეუ ვინ იყო ის ტუსაღი-რუსულად,
უფროსის გასაგებად, მანაც ამიხსნა—ვინც იყო და თან მითხრა უფ-
როსისეე გასაგებად, როცა უკან დაბრუნდება, გაგაცნობო. უკან ჩა-
მოვლის დროს ვითომდა გამაცნო. მთელი გეგმა, რომელიც გაქცევის
ღამეს უნდა შესრულებულიყო, თომას ქართულად გადავეცი, მხოლოდ
ისე, რომ თითქო სიმონს ველაპარაკებოდი; პასუხიც მივიღე თომასა-
გან, მხოლოდ ისე, თითქო სიმონს ელაპარაკებოდა.

როცა დავამთავრეთ საუბარი, გამოგვემშვიდობა და წავიდა.
ჩვენ კიდ; ვ ვილაპარაკეთ რამოდენიმე წუთს და წავედით. სწორედ
ამ ნახვის მეორე თუ მესამე დღეს მოხდა გაქცევა. დანიშნულ ღამეს
ილია. მივიდა სამორიგეოთ. ილია ცოტა ხუმარა კაცი იყო და ყველა
ზედამხედველები—ღამით მორიგეები—მის გარშემო იყრიდნენ თავს
და მასლაათობდნენ. ამ ღამეს კი მათი თავიდან მოშორება იყო საჭი-
რო. ილიამაც მოახერხა ეს. მან თავი მოიმთვრალა და როცა ზეიამ-
ხედველები შეიკრიბნენ მის გარშემო, დაუწყო გინება და დაერია კა-
რების გასაღებებით. ზედამხედველებმა სთქვეს: ჩვენი ილია დღეს ხა-
სიათზე არ არისო და მოშორდნენ—ყველა თავ-თავის ალაგას წავი-
წამოვიდა. ალაყაფის კარებს გარეთ ქუჩაში იდგა ჯარისკაცი, დარა-
ჯი და ერთი „გოროდოვოი“, ეს უკანასკნელი თომას დაჭერის შემ-
დეგ იყო მიმატებული. ეგეც თავიდან უნდა მოეშორებინა. მისცა
ილიამ მას სამი მანეთი და შეეხვეწა წადი ერთი ბოთლი არაყი მოი-
ტანეო. არაყი 40 კ. ღირდა. დანარჩენი შენი იყოსო. ყველა ამ თა-
დარიგის შემდეგ ილია მივიდა თომას კარებთან და ნიშანი მისცა
მომზადებულიყო. თომამ საბანშივე შეიძრო ვინტებიანი ბორკილები,
ჩაიცვა ზედამხედველის ხალათი, ჩექჩები, ქუდი დაიხურა, ბორკილები
ხელ-სახოცში შეკრა და ელოდება მეორე ნიშანს, გამოსვლის ნიშანს.

ილია ხელ-მეორედ გამოჩნდა და კარები გააღო—შემდეგ
ნიშანი მისცა კამერიდან გამოსვლისა. თომა წამოდგა და კარებ-
თან მივიდა. კარები გაიღო. ილიამ ჯერ თომა იქვე ციხის კანტორა-
ში შეიყვანა და დაჯდინა, თან უთხრა: ბორკილები მაგიდაზე დატო-
ვეო. გამოვიდა და კარიდორები დაათვალიერა. ყველაფერი რიგზეა.
არავინ არ ჭაჭანეჩს. მიბრუნდა და უკან გამოყოლა ანიშნა. თან ისე
მოდიოდა ილია, რომ თომას ფარავდა წინიდან არავის დაენახა,
რომ შემთხვევით ვინმე შეჩეხებოდა. ალაყაფის მოსახვევ კორიდორში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომა წინ გაუშვა და თითონ უკან მოეფარა. ალაყაფის კარებთან მივიდნენ. გააღო კარები. ილიამ ჯერ დათვალიერა ქუჩა. არავინაა, ჯარის კაცის მეტი. მოუბრუნდა და უთხრა: „აბა გასწი“-ო, თომაც გამოვიდა დინჯათ. ილია მიბრუნდა და ბორკილები საპირფარეშოში ჩააგდო. მე სახალხო სახლში საათი ხელში მიეირავს. შესრულდა ოთხი საათი და თომაც შემოვიდა. გადავეხვიეთ ერთმანეთს. გავპარსეთ ჩვენ თითონ, წინდაწინ დამზადებული ტანისამოსი ჩავაცვით, პასპორტი მივეცით, რომელიც იქვე გაიზეპირა, ტოროსის ხელში, გავუდექით რკინის გზის სადგურისაკენ. ექვს საათზე ჩქარი მატარებელი მოდიოდა ტფილისში. გზაში ეტლში ჩავჯექით. სიხარულისაგან ეტლს ვეღარ ვგრძნობდი, ასე მეგონა ვფრინავდი. სადგურზე მივედით. პირველი კლასის ბუფეტში დავტოვე. მე ბილეთი ვიყიდე. მატარებელი დაიძრა და მეორე დღეს დილით ბაკურიანში ამოვყავით თავი. ბაქოს ბაილოვის ციხიდან, სახრჩობელას მოლოდინიდან, ბაკურიანის „დაჩაზე“ წამოსკუპდა ამხ. თომა. სხვათა შორის, ამხ. თომამ თან გამოიტანა გუბერნატორის მიერ წარწერილი განცხადება ბორკილების მოხსნის შესახებ. ეს განცხადება ბესოს დავუტოვეთ, რომელსაც ბუდუსთვის გადაეცა. ბუდუს წაეკითხა, გადაებრუნებია, გაეკეთებინა ზედ შემდეგი წარწერა: „ჩვენ რევოლიუციონური კანონის ამა და ამ სტატიის ძალით (ნაჩვენები იყო რაღაც სტატიები) უფლება გვაქვს არა თუ ბორკილები ავიხსნათ, არამედ სულ გავიქცეთ ციხიდან“-ო. და ასეთი წარწერით გაეგზავნა ბაქოს გუბერნატორისათვის. გუბერნატორს მიეღო, წაეკითხა თავის წარწერა, სადაც ის ამბობდა, რომ უფლება აქვს ასეთი და ასეთი განმარტებებით გამოძიების ქვეშ მყოფი ტუსაღი ბორკილებში ვიყოლიოთო და ქვევით ბუდუს წარწერა. შემდეგ გავიგეთ, რომ გუბერნატორს ეთქვა: რაღაზე დამცინიან ეს უსინდისოებიო.

მეორე დღეს თორმეტ საათამდე თომას წასვლა არ გაუგიათ. დილის შვიდ საათზე ჩვეულებრივად შვიდება ადმინისტრაცია დასათვლელად. მორიგე ილიაა. სწორედ უნდა ჩააბაროს მორიგეობა და ტუსაღები მეორე ზედამხედველს, რომელიც პირდაპირ მსეცია პოლიტიკურებისათვის. კრიტიკული მომენტია. ან გადარჩება ილია, ან დაიჭერენ. შვიდნენ კამერაში, თომა არ არის. მეორე ზედამხედველმა და ციხის უფროსის თანაშემწემ ერთად წამოიძახეს: „ალბათ, საპირფარეშოშია“—და დანიშნეს „არისო“. მაშ, ილია თავისუფალია. მან სრულად ჩააბარა ტუსაღები. მეორე მორიგეს. გადასცა გასაღებები და წავიდა სახლში დასაძინებლად. თორმეტ საათზე „მობრძანდა“ პოლიციელისტერი. ეს უკანასკნელი თომას დაჭერის შემდეგ ყოველ დღე 12 საათზე მოდიოდა და ნახულობდა თომას პირადათ. ეშინოდა არ გაიქცესო. ალბად, ცნობები ჰქონდა. ჩვეულებისამებრ გამოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძახა თომ». მოიკითხეს კამერაში,—არაა, ამა საპირფარეშოში იქნე-ბაო, დაიძახეს. მივიდნენ იქაც, არაა. შეიქნა საშინელი აურზაური. გაჩხრიკეს მთელი ციხე. არსად სჩანს. ირტყეს თავში, მაგრამ გვიან-ღა იყო. დაუძახეს ზედამხედველს და ციხის უფროსს თანაშემწეს. ეკითხებიან დილით დათვლის ,როს იყო თუ არაო. ორივე ერთხმად უპასუხებს: „კი ბატონო“. რა გზა ქონდათ. ეთქვათ არ იყოო, მაშ, რაღაზე დასწერეს იყოო. გამოდის, რომ ილიას შემდეგ გაქცეულა. მაშ, ესენია დამნაშავე. ორივეს დიდი ნდობა ქონდათ. ძნელი იყო მათზე ფიქრი, მაკრამ დაჭერით მაინც დაიჭირეს. ბოლოს ზედამ-ხედველმა სთქვა, რომ მას დათვლის დროს თვითონ არ უნახავს და აუხსნა რაშიც იყო საქმე და როგორ ნიშნავდნენ მის ციხეში ყოფ-ნას. აქ ეჭვი ილიაზედაც აიღეს. დაიჭირეს ილია, მაგრამ ერთი კვი-რის შემდეგ გაუშვეს, რადგან ის არ გატყდა და ისე ყოველი მხრით ფორმალურად მართალი იყო. პირიქით, ფორმალურად მეორე მორი-გეა დამნაშავე. ბოლოს იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ დარწმუნდნენ სანაგვე „იაშიკს“ გაყვაო. დაიჭირეს მენაგვე და ორი „გოროდოვიი“, რომელიც მენაგვეს აკილებდა „იმ დღეს“. აქაც არაფერი გამოუვიდათ. ამნაირად, მთავრობისთვის საიდუმლოებით დარჩა მოცული, თუ რო-გორ გაიქცა ციხიდან თომა. ილია უკანასკნელამდის ბაქოში მსახუ-რებდა საავადმყოფოში და შემდეგ მისი აღარაფერი ვიცი. მთელი სიმძიმე ამ ილიას შენახვისა და მოვლის აბმ. ბუდუს დაეწვა კისერზე.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თომას გაქცევამ არა თუ მუშებზე, არამედ უბრალო მოქალაქეებზეც განსაკუთრებით იმიტომ, რომ მთელმა ბაქომ იცოდა მისი ჩაკარდნის ისტორია, სიძმიმე მისი სასჯე-ლისა და თან გაქცევაც,-დაჭერის შემდეგ 2 თვეში მოხდა.

ეს იყო 1908 წლის ზაფხულზე.

ამის შემდეგ 1909 წლის თებერვლამდის ჩვენი ჯგუფი მიჩუ-მებული იყო და ყველა სხვა და სხვა რაიონში პარტიულ მუშაობას ეწეოდა. მე ტფილისში ვმუშაობდი. ეს ის დრო იყო, როდესაც თი-თქმის არავითარი არა-ლეგალური მუშაობა არ იყო ამიერ-კავკასიაში, ბაქოს გარდა, ტფილისში ,ალეგალურად თუ მუშაობდნენ რაიმეს ისიც ბოლშევიკები, მენშევიკები გატაცებული იყვნენ მხოლოდ სა-ხელმწიფო დუმით და თავიანთი ლეგალური გაზეთით. 1909 წლიდან მუშაობა ცოტათი გამოცოცხლდა, მხოლოდ მატერიალურად ფრაქ-ცია ძლიერ შევიწროვებული იყო. მე კიდევ მოვუყარე ჩვენი ჯგუფის რამოდენიმე წევრს თავი და განვიზრახეთ გორის ხაზინის ქვეშ ხვრეტის გაკეთება. სხვა გზით საქმის გაკეთება ძნელი იყო, რადგან ჯგუფის საუკეთესო წევრები დაჭერილ იქმნენ 1908 წელს ზოგი ტფილისში და ზოგიც სხვაგან. ყველაზე უკეთესები ტფილისში დაი-ჭირეს: ვანო კალანდაძე, ელისო ლიმინაძე, ილიკო ჭაჭიაშვილი, კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიაშვილი და სხვები. ყველა პასუხისგებაში მისცეს 102 სტატია ძალით, კატორღა მიუსაჯეს და გაგზავნილ იქნენ სარატოვის ციხეში. ს. ვ. კალანდაძე სარატოვის ციხეში გარდაიცვალა, ელისე ლომინაძემ გაათავა კატორღა და გადასახლება, ჩამოვიდა და სახლში გარდაიცვალა. ილიკო ჭაჭიაშვილი მეტეხში გარდაიცვალა ყურის ანთებით. ჩამოთვლილი ამხანაგები ლომები იყვნენ ბოლშევიკური ფრაქციისა. იმათ თავდადებას, გულადობას, გულწრფელობას, რევოლიუციონურ ცეცხლს საზღვარი არ ჰქონდა. იშვიათი არიან, იშვიათად შეხვდებით ასეთ რევოლიუციონერებს. მათი დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო. ჩვენ ბევრი ვეცადეთ მათი ციხიდან დახსნა, მაგრამ ვერ შეესძლოთ საღსარის უქონლობის გამო. როგორც იყო, საზღვარ გარეთიდან მივიღეთ 5—7 ათასი მანეთი „ვპერიოდელების“ წრისაგან მათ გასანთავისუფლებლად, მაგრამ გვიანლა იყო.

ამიტომ იყო, რომ უფრო ადვილად გასაკეთებელ საქმეს მოვკიდეთ ხელი. ხვრელის საშვალებით გვინდოდა წაგვეყო გორის ხაზინა, მაგრამ უკანასკნელ დღეს, როდესაც თვით კასას მივადექით, იქ გაგვიგეს და ჩავარდა ხვრელი. დაიჭირეს 4 ამხანაგი, მათ შორის თომაკ. ეს იყო ჩვენი ჯგუფის უკანასკნელი მოქმედება. რადგან ტფილისში ვიყავი წამოსული რაღაც ტეხნიკური საქმეების გასაკეთებლად განსაკუთრებით კასის გასაჭიელ იარაღებისათვის, მე გადავრჩი.

სხვათა შორის მაგონდება ერთი ამბავი. გორში ჩავარდნილი ამხანაგები მეტი ნაწილი ყალბი პასპორტებით იყვნენ. ორ ამხანაგს მ. ხუტულაშვილს და ამბაკო სამანიშვილს ჰქონდა ერთი და იგივე პასპორტი ვიღაც ფოთელი ეზეკია კახიანის ერთი პასპორტით ამბ. ხუტულაშვილი ჩავარდა გორში, იმავე პასპორტით—ამბ. ამბაკო სამანიშვილი ტფილისში. რაღაი პასპორტები ერთნაირი გამოდგა, ამბაკოც მიაკრეს გორის საქმეს და გაგზავნეს გორში. პირველის განთავისუფლება ძალოდ არ შეიძლებოდა, მეორესი კი შეიძლებოდა ხრიკებით. გამოვიჩინე შემდეგი თავხედობა. წაველ გორში და შევედი იმ გამომძიებელთან, რომელიც ამ საქმეს აწარმოებდა. მხედველობაში მისაღებია ის, რომ ამ საქმზე მე თითონ მეძებდნენ. ვიღაც თავად წერეთლის პასპორტი მაქვს. გამომძიებელმა ამხედდამხედდა და შემეკითხა, რისთვის მიესულვარ. მე ვუთხარი, რომ კახიანის საქმეზე, რომელიც ტფილისიდან არის გამოგზავნილი თქვა. ის ჩემი ბიძაშვილია, მაგ საქმეში არაფერი დამნაშავე არ არის და გთხოვთ გაუშვათ. „როგორ თუ არაა დამნაშავე,—მისი პასპორტი ერთ-ერთ ნამდვილ მონაწილეს აღმოაჩნდაო,“ მითხრა მან.

მე ვუპასუხე, რომ თქვენ რომ ხვალ ტფილისში ჩამოხვიდეთ, თქვენი პასპორტიც ყალბი გამოდგება, რადგან დღეს გავსებულია ყალბი პასპორტებით ყველაფერი-თქვა. მე კი ვიცი, რომ ჩემს ნათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავს ნამდვილი პასპორტი აქვს. მე თითონ ავიღე ქუთაისის სამმართ-
ველოში თქვა. ორივე პასპორტი კი ჩემი ხელით არის დაწერილი
კიდევ ამხიდ-დამხედა. ვიღაცას მიამზგავსა. „მე თქვენ ნიშნების
კაცს ვეძებ ამ საქმეზეო,“ მითხრა.

იმედი მაქვს მე არ ვიქნები თქვა ვუპასუხე. ამ დროს შემო-
ვიდა გორელი წერეთელი და გადამეხვია. წინდაწინ იყო მოწყობილი.
რომ უნდა შემოსულიყო ყოველ გვარი ეჭვების გასაქრობად, რადგან
იმ გამომძიებელის კარგი მეგობარი იყო. წერეთელმაც ბანი დამაწია.
თუ რამე შეიძლება, დაეხმარეო, უთხრა გამომძიებელს. გამომძიებელ-
მა მითხრა, რომ ამის შემდეგ მას არაფერი აქვს ჩემი ნათესავის კა-
ხიანის განთავისუფლების წინააღმდეგ. მხოლოდ შეიძლება მაზრის
უფროსმა არ გაუშვას და ადმინისტრატიულად დაიჭიროსო. ისევ
მეუბნება გამომძიებელი. თქვენ გაანთავისუფლეთ და იმასთან მე გა-
ვაწყობ საქმეს“-თქვა ვუთხარი. იქავე დავაწერინე განთავისუფლების
ქაღალდი. ჩავიდე ჯიბეში და გავსწიე ციხეში. ციხის უფროსმა მაზ-
რის უფროსს დაუძახა, მაზრის უფროსმა უთხრა: დროებით დაიკავეთო.
მე მაზრის უფროსთან წავედი. დიდის მორიდებით მიმიღო, როცა
უთხარი ჩემი ვიზიტის მიზეზი. მან მითხრა, რომ ფოთში აღმოჩნდა
კიდევ ვიღაც კახიანი და იქიდან დეპეშას ველოდები, რომ გავიგოთ,
რომელია ნამდვილი კახიანი--თქვენი ნათესავი თუ ის, რომელიც
ფოთში არისო.

მე, ცოტა არ იყოს, ტანში ამზრინა, მაგრამ ვუპასუხე, რომ დე-
პეშის მოსვლამდის დავიცდი და როცა თქვენ დარწმუნდებით ჩემი
ნათესავის სიმართლეში, გაუშვით და თან წავიყვან მეთქი. „დიდის
სიამოვნებითო“, მიპასუხა.

გამოველი თუ არა, მაშინვე სადგურს მივაშურე და სატვირთო
მატარებლით ტფილისს გამოვსწიე. საქმე უკვე ცუდად იყო, რაღაი
ფოთამდის მივიდა საქმე, მაგრამ თავი მაინც არ მიმინებებია ცდის-
თვის. მომაგონდა, რომ ჩვენ გვყავდა ერთი ამხანაგი ნიკიფორე ცინ-
ცაძე, რომელიც ჯარიდან იყო გაქცეული და შემდეგ შინაური
მდგომარეობის გამო თავი დაიხრჩო მტკვარში, მხოლოდ მისი გვამი
არ უნახავთ. მოვინდომე ამბაკოს (კახიანის) აქ ნიკიფორეთ გასაღე-
ბა. თუ გავიდოდა ხრიკი, მაშინ ჯარისკაცად გაგზავნიდნენ, სხვა არა-
ფერი იქნებოდა. ვიცოდი ნიკიფორეს ძმის სახელი (მგონი შერმანდი
ერქვა). ავიღე და დავსწერე პატარა ბარათი შემდეგი შინაარსის:
„ძვირფასო ძმაო ნიკიფორ! მოგიკითხავ ძმურის სიყვარულით. სხვა.
ძმაო, რატომ იღუპავ თავს ამ ციხეში ჯდომით. შენი გულისათვის
ჩვენც არა გვაქვს მოსვენება. შენი დახრჩობა მაინც არავის სჯერა..
დედა შენი და მამაშენი შენი ჯავრით კვდებიან. თუ შენ კიდევ დიდ-
ხანს იქნები ციხეში—ორივე, დედაც და მამაც მოკვდება შენი ჯავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით. შეიცოდე მოხუცებული დედმამა (არც კი ვიცოდი დედ-მამა ჰყავდა თუ არა) გამოტყვი ვინცა ხარ, სთქვი, რომ ნიკიფორე ცინ-ცაძე ხარ და რა იქნება,—სალდათად გაგაგზავნიან. თუ არ მოგეწონ-ნოს სალდათობა, მერე გაიქეცი. ისე რა გიჭირს, იმსახურე და მერე ჩამოხვალ სახლში თავისუფლად. გაახარე შენი დედ-მამა.

შენი კეთილის მსურველი ძმა შ. ცინცაძე.

რიცხვი . . . .

ეს წერილი გავაგზავნე ციხეში გორში ფრიად კონსპირატიულ-ად. მხოლოდ ციხეში მივსწერე, რომ როგორმე ეს წერილი ჩაეგდო ადმინისტრაციას ხელში შემთხვევით. ციხეში კახიანს და სხვა ამხანა-გებს მიჩენილი ჰყავდათ ერთი ჯაშუში ციხის უფროსის მიერ. ჩვენებ-მა ეს იცოდნენ, მაგრამ ვითომ მაინც დიდის ნდობით ეპყრობოდნენ მას. ამ ჯაშუშს ჩაუგდეს ხელში ეს წერილი. მხოლოდ ისე კი, რომ მას ეგონა, თითონ დაიჭირა წერილი. ჯაშუშმა სიხარულით წერილი ციხის უფროსს მიურბენინა. წერილიც ისე იყო დაჭმუჭვნილი „რომ „არალეგალურობა“ ეტყობოდა. ციხის უფროსს ძლიერ გაეხარდა, რადგან ეგონა, ვითომ გაიგო ვინც იყო კახიანი. მაზრის უფროსს გა-გებინა. იმისაც ძლიერ გაეხარდა, მან მაშინვე მიირბინა ციხეში და ვამოიძახა კახიანი.

ეკითხება: „გვითხარი ვინ ხარ, ჩვენ ვიცით მაინც, მაგრამ შენ თუ იტყვი, უკეთესიაო“.

ამბაკო უპასუხებს განგებ: „მე, ბატონო, კახიანი ვარო“.

„არა, შენ ნიკოფორე ცინცაძე ხარ, სალდათობიდან გაქცეუ-ლი“—გაჯავრებით უპასუხებს ის.

ამბაკო განგებ კიდევ უარს ეუბნება და შემდეგ ერთი საათის ლაპარაკისა ვითომ გამოტყდა და ეუბნება: „კი ვარ ნიკიფორე ცინ-ცაძეო“.

მაზრის უფროსი სწერს სიხარულით ჩვენებას და ბოლოს პირ-დება, რომ ახალ-გაწვეულ ჯარისკაცებთან გაგზავნის სამსახურში.

მაგრამ მაზრის უფროსი ფორმის გულისათვის მაინც დეპეშას გზავნის ნიკიფორე ცინცაძის სოფელში — არის თუ არა ასეთი კაცი. ამ მაზრის ბოქაული იბარებს სოფლის მამასახლისს დეპეშის გამო და ეკითხება ასეთი გვარისკაცი თუ ემალებოდა სამხედრო სამსახურსო. მამასახლისი უპასუხებს, რომ კი ემალებოდა, ბატონო, მაგრამ ის კა-ცი დაიხრჩოვო.

ბოქაული უყვირის მამასახლისს: „შენ მალავ დეზერტირს, ციმ-ბირში ამოგაყოფინებ თავსო“ —და გაუგზავნა დეპეშა გორის მაზრის უფროსს, რომ სწორედ ეს არის ნიკიფორე ცინცაძეო. ამ დროს, მარ-თლაც, ახალ გაწვეულ ჯარისკაცებს აგზავნიდნენ რუსეთში ბათუმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ამბაკოც მათთან ერთად გაგზავნეს ბათუმში, საიდანაც ჩასვლის მეორე დღესვე ჩამოვიდა ტფილისში. ჯარისკაცებს სრულიად თავისუფლად აგზავნიდნენ და გაქცევაც ადვილი იყო.

1911 წელს აპრილში მეორედ დამიჭირეს სრულიად შემთხვევით. ორი კვირის შემდეგ გამიშვეს. საქმე იმაში იყო, რომ არც ერთ საქმეში და არც პარტიულ მუშაობაში მე ჩემი ნამდვილი სახელით არ ვმუშაობდი. ყოველგან კოტეს მეძახდნენ. როცა დამიჭერდნენ, მაშინ ჩემს სახელ და გვარს ვამბობდი. თუ ყალბ პასპორტებს მიპოვნიდნენ და მეკითხებოდნენ, მაშინ ვუპასუხებდი, რომ გადასახლებული ვიყავი და მიტომ ვიმალებოდი თქვა, მხოლოდ თუ უპასპორტოდ მიჭერდნენ,—მაშინ ჩემს გვარს და სახელს ვეუბნებოდი. აქ სწორედ უპასპორტოდ დამიჭირეს. ვუთხარი ჩემი სახელი და გვარი—ალიპი ცინცაძე. არქივი, ალბათ, არ მონახეს, გულში კი მეშინოდა, რაიმე სხვა საქმე არ გაძმარნილიყო: გამოველ აპრილის ბოლო რიცხვებში და ამ დროს მივიღე წერილი ამხ. კამოსაგან დაახლოვებით შემდეგი შინაარსის: „შენ არ გეგონოს, რომ მე მართლა გიჟი ვარ. თავს ვიგიჟიანებდი აქამდე. მეტის ატანა აღარ შემიძლია. თუ შეგიძლიათ გამაქთავისუფლეთო, თორემ, სულ ერთია, მოვკვდებიო“, მეც შევუდექი მის განთავისუფლების საქმის **მოწყობას**. მე მაშინ ბუდუსთან ვცხოვრობდი.

კამო იჯდა ტფილისის ფსიქიატრიულ განყოფილებაში, როგორც გიჟი. ბიუხედავად იმისა, რომ ვერმანელი და ტფილისელი საუკეთესო ფსიქიატრები ამტკიცებდნენ, რომ კამო გიჟი იყო და საამისო მოწმობებსაც აძლევდენ მას,—მთავრობას მაინც არ სჯეროდა კამოს სიგიჟე და ამიტომ ყოველ შემთხვევისათვის თავისუფლებას არ აძლევდა მას. თუმცა კამო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჰყავდათ, მაგრამ მისთვის სპეციალური სადარაჯო იყო დამყოფილი. იჯდა მეორე სართულში.—სპეციალურ კამერაში საავადმყოფოს გარედან, მტკვრის პირას, სდარაჯობდა ორი პოლიციელი. ერთიც კარებიდან. მხოლოდ, საბედნიეროდ, დარაჯებს მხოლოდ ღამით აყენებდნენ. დღისით მხოლოდ შესასვლელ კარებთან სდარაჯობდნენ. ჩვენც უნდა გვესაუბრებლნა ასეთი მდგომარეობით. გაქცევა დღისით უნდა მომხდარიყო.

საავადმყოფოში მსახურობდა ერთი ზედამხედველ, გვარად ბრიტინი, ახალგაზრდა, ჯარში გასაწვევი ყმაწვილი. პოლიტიკური მომზადება სრულებით არ ჰქონდა, მხოლოდ ბუნებით პროტესტანტი იყო. თვითმპყრობელობა და საზოგადოდ ძველი წესები სძულდა, ვერ ურიგდებოდა ჩაგვრას და უსამართლობას. მისი ასეთი სულიერი განწყობილებით ვისარგებლეთ და წინადადება მივეცით დაგვხმარებოდა კამოს განთავისუფლებაში. ჯერ კიდევ საავადმყოფოში მოელაპარაკა მას კამო. მან თანხმობა განაცხადა შემდეგ მე გავიცანი და დაწერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით მოველაპარაკე. გაცნობამდის რამდენჯერმე გამოვცადე ვნიშობდით პროფეკტორი არ გამომდგარიყო. როდესაც დავრწმუნდით მის გულწრფელობაში, შემდეგ უფრო გაბედულად და თამამად ველაპარაკებით და ვნახულობდით. კავშირი მასთან კამოს დის არუსიაკის საშუალებით მქონდა. საჭირო იყო ამერიკული ფოლადის ხერხები, რომ ფანჯრის რკინები გადაგვეხერხა; თოკი, რომ მეორე სართულიდან ძირს ჩამოშვებულიყო და ბორკილების დამზადება წანდაწინ ისე, რომ გაქცევის დროს ადვილად მოეშორებინა ფეხებიდან. ვიუად ცნობილი ადამიანი ბორკილებში იჯდა!! ამაზე შორს აღარ წავა მთავრობის სისაძაგლე. ბორკილების შემართებელი რგოლის ვინტით შესაძლებელი „ზაკლიოპკები" გავაკეთებინეთ გარეთ. მოდელი კამოსაგან მივიღე ბირტინის საშვალებით. ხერხები და თოკი ვიყიდეთ. ჯერ ხერხები გაუგზავნე, რომ ბორკილი გაეხერხა და ვინტებით გაეკეთებინა. თან ფანჯრის რკინები უნდა გაეხერხა. როცა ბორკილები და ფანჯარა მზათ იყო, გავუგზავნე თოკი და თან დღეც დავნიშნეთ. თუ არ მავიწყდება 15 აგვისტოს უნდა გამოსულიყო. საჭირო იყო ამასთან ერთად ზოგი მოსამსახურეების დაძინება. ამ მიზნით გაუგზავნეთ მორფით შეზავებული ლავაშები, მაგრამ დოზა ცოცა იყო და არ იმოქმედა. გეგმა ასეთი იყო:

დილის 10 საათზე მე უნდა მივსულიყავი ვერის ხიდთან და მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან, საიდანაც კარგად იხედებოდა მისი კამერა, ნიშანი მომეცა გამოსვლის მაშინ, როდესაც იქ ახლო-მახლო არავინ იქნებოდა, რომ ვინმეს შემთხვევით თვალი არ მოეკრა. ჩემი ნიშნის მიცემის შემდეგ ის უნდა გამოსულიყო საპირფარეშოში, ე. ი. იქ, სადაც გაჭრილი იყო რკინის ფანჯრებში ხლართები... იქიდან თოკით ძირს უნდა დაშვებულიყო. საავადმყოფო მტკვრის მარცხენა ნაპირზეა. ძირს ჩამოშვების შემდეგ ის უნდა შემოსულიყო მტკვრის ერთ ტოტში, წყალში და გამოსულიყო პატარა კუნძულზე, რომელიც მდინარე მტკვარს ორად ყოფდა ხიდის ქვეშ. კუნძულიდან რომელიც „ნაბერეჟნი" ქუჩიდან იწყებოდა, გამოსულიყო ისევ წყალში „ნობერეჟნზე". იქ მე დაეხვდებოდი და წავიყვანდი წინ და წინ დამზადებულ ბინაზე. წყლის სიმაღლე მუხლებამდე იყო. გაზომილი ვვქონდა წინადვე. ჯერ ვფიქრობდით გეშოვნა ნავი, რომლითაც ვორონცოვის ხიდამდე წავიდოდით, იქიდან კი ველოსიპედით ბინაზე წავიდოდით. ასეთი სურვილი ჰქონდა თვით კამოს. მაგრამ მე პირველი ვარჩიე, რადგან წყალი დაბალი იყო, ფეხით გასვლა ნაჩვენებ ადგილამდის ადვილი იყო. ამას გარდა კონსპირაცია უკეთ ინახებოდა: არც მენავე გაიგებდა და არც ველოსიპედის მომქირავებელი. თან ისიც მივიღე ხელველობაში, სამი წლის ციხეში ნაყოფი, ფიზიკურად ძალზე დასუსტებული ვერ შესძლებდა ველოსიპედით მგზავრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 აგვისტოს, დილის 10 საათზე გაველ დანიშნულ ადგილს. საქმე ფრიად კონსპირატიულად იყო მოწყობილი. იცოდა მხოლოდ ამხანაგმა ბუდუმ.

როცა ბინიდან გავედი, იმ დროს მგონი ილიკო მგელაძე (ვარდინი) იყო ჩვენთან ბინაზე. არც იმან იცოდა არაფერი. დანიშნული ადგილიდან პირველი ნიშანი ვიჩვენე. ეს ნიშნავდა, რომ კამო უნდა მომზადებულიყო და თვალყური ედევნებია მეორე ნიშნისათვის. შემთხვევით რამოდენიმე უსაქმოდ მოხეტიალენი მოვიდა და იწყეს სეირნობა მტკვრის ნაპირზე. ველოდები მათ წასვლას. როგორც იყო, წავიდნენ. ის იყო ცხვირსახოცს მოვკიდე ხელი და უნდა მენიშნებია გამოსვლა—გამოჩნდა ვიღაც მოქალაქე ძაღლით და დაუწყო ბანაობა და სწავლება იქვე წყალში, საიდანაც ნიშანი უნდა მომეცა. ველოდები—არ მიდის. გავიდა ნახევარი საათი, ერთი საათი. განაგრძობს იქ ყოფნას, ეჭვი შემეპარა. ვფიქრობდი იქნება გაიგეს და საიდუმლო აგენტია, რომ ასე ხანგრძლივად ათამაშებს და აბანავებს ძაღლს-თქო. ამ მოლოდინში გაიარა მგონი სერგო ორჯონიკიძემ, რომელიც რუსეთიდან იყო იმ დროს ჩამოსული პარტიულ საქმეებზე, მკითხა რას აკეთებო, აღარ მახსოვს,—ვუთხარი რაში იყო საქმე თუ არა. მხოლოდ ის დიდი ხანი აღარ დარჩენილა და წავიდა. წასვლის ხანს ხუმრობით მითხრა: „შენ აქ კაი საქმეზე არ აქნებიო“. გავიდა კიდევ ერთი საათი და, როგორც იყო, წავიდა ის მოქალაქე თავისი ძაღლით. თითქმის 2 ნახევარი საათი აბანავა ძაღლი. გულზე ვსქდებოდი, რამდენჯერმე ვიფიქრე წყალში გადავაგდებ-თქვა.

პირველი საათი იყო. გვიანდებოდა. მაგრამ თითქმის არას დროს არ იყო ის ადგილები თავისუფალი ხალხისაგან. ხან ერთი ჯგუფი გაისეირნებდა, ხან მეორე. ბოლოს აღარ ვეთხოვე ყური ამათ იქ ყოფნას და მივეცი ნიშნი: სამჯერ ცხვირსახოცი დავუქნიე. ვუცდი თოკის გადმოშვებას. 5 წუთის შემდეგ გადმოიშვა თოკი. თვალის დახამხამებაში თითონაც დაეშვა თოკზე, მაგრამ ორი საკენი დაეშვა თუ არა თოკი, გაწყდა და მიწაზე დაეცა. საკვირველი იყო. თოკი მე თვითონ ვიყიდე. გავშინჯე. მე დამიმაგრა: 4 ნახ. ფუთს ვიწონიდი. ის კი მგონი მაშინ 2 ნახ. ფუთიც არ იქნებოდა წონით. ალბად, თოკი გაიხეხა რამეზე და ვეღარ გაუძლო. გული აძგერდა, ხომ არაფერი დაუშავდა თქვა. მაგრამ სწრაფად ადგა და წყლისაკენ გამოსწია. ხელში ხელსახოცში გამოკრული ბორკილები ეჭირა, რომელიც მდინარეში ჩაადგო. გამოვიდა კუნძულზე. იქიდან ვერის ხიდის ქვეშ, ისე წყალში გავიდა და „ნაბერეჟნზე“ უნდა გასულიყო. აქ მე მიუსწარი მარჯვნივ ნაპირიდან ვერის ხიდით. ნაპირი ცოტა მაღალი იყო და ვერ ამოვიდა თავისით. გავუწოდე ხელი და მაღლა ამოვიყვანე. მისთვის მოსახურავი მქონდა, რომელიც მე მეხურა. მოვიძარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მას მოვახურე. თავზე ჩემი ქუდი დავახურე. მე კი ჯიბეში მქონდა ჩემთვის მეორე ქუდი. გამოვდევი მ[illegible]ვში ხელი და წავიყვანე „ნაბერეჟნით". გავედი დიდი-მთავრის ქუ[illegible]ზე, იქიდ[illegible]ნ მიხეილის შესახვევით მიხეილის (პლეხანოვის) პრ[illegible]სპექტზე გავედით. იქ ეტლში ჩავსვი და ავჭალის (ჩერქეზოვის) ქუ[illegible]ით ბინაზე ივიყვანე ამხ. გაგლოევთან. მხოლოდ ავჭალ[illegible]ს ქუ[illegible]ზე ეტლი გაეუშვით და ტრამვაით ორი გაჩერება გავიარეთ. ეს იმიტომ, რომ მაძებარი ძალლებისთვის კვალი დაგვებნია.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. კალანდაძე

მოგონებანი

ერთი წელი ყალუულად

(გაგრძელება)*)

აჯანყების შემდეგ

ნოემბრის 9-ს, 1919 წელს დილა-ბნელზე მოისმა თოფების ხშირი ზალპი, რომელსაც რამოდენიმე ხნის შემდეგ მოყვა ტყვიის მფრქეველების რაკრაკი. ეს იყო სიგნალი ჩოხატაურზე თავდასხმისა. იმედი გაგვიახლდა: სჩანს, წარღვნისებურ წვიმას ხელი ვერ შეუშლია ერკეთელ კომუნისტებისათვის აჯანყების წამოწყებაში. ჩოხატაურისაკენ ფიცხლავ გაეძანა **ს. ჭანიშვილი** ამბის გასაგებათ და საჭირო ზომების მისაღებათ, იმისათვისაც, რომ მე საჭაროდ მივეყვანე აჯანყების ადგილზე. მანძილი პატარაა, რაღაც ოთხი-ხუთი ვერსტი, მარა წასვლა მარტოთ, თუ რამოდენიმე შეიარაღებული საიმედო ამხანაგი არ მეხლებოდა, სახიფათო იყო, ვინაიდან მენშევიკების მიმდეგარი ხალხი და გვარდიელები, აფორიაქებულნი და ჯერ კიდევ დაბნედილნი ბოლშევიკების ამ „გიჟური“ გაძოსვლით თვითეულ გზა-ჯვარედინზე დაწრწიან, მტერ-მოყვარეს ეძებენ. მივიღე ცნობა, რომ ჩოხატაური უკვე აიღეს ჩვენებმა და მალე მოგვიკითხავენ. როცა ეს ამბავი გაიგო ჩემმა მასპინძელმა ჭანიშვილმა, სიხარულით წამოიძახა: ღმერთი შეგეწიოს თქვენ, შვილებო! მეც აღფრთოვანებულმა დავიიმედე იგი ჩვენს გამარჯვებაში.

კარგა ხნის მღელვარე-ლოდინის შემდეგ ჩოხატაურიდან მივიღე სამწუხარო ამბავი: ს. მათითაშვილის მეთაურობით მენშევიკებს უკვე დაუკავებიათ ჩოხატაურის მახლობლათ მდ. სუფსის ხიდი და მით აჯანყებულთათვის ოზურგეთისაკენ მიმავალი დიდი შარა-გზა გადაუჭრიათო. ამავე დროს გავრცელდა ხმა, რომ ორი მხრით, ოზურგეთიდან და საჯაოხოდან მოდიან პულემიოტ-ზარბაზნებით შეიარაღებული მენშევიკური რაზმებიო. რომ ჩიხში არ მოქცეულიყვნენ, აჯანყებულებს ამ შემოხვევაში დარჩენოდათ ერთი გზა: მათითაშვილის ფრონტის გარღვევა, როგორათაც არ უნდა დამჯდარიყო ეს.

*) იხ. „რევ. მატიანე“ № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ: ან წინსელა დასავლეთისაკენ აჯანყებულ რაიონებთან შეერთებლათ, ან და უკან დახევა ერკეთის მთებისაკენ თავდაცვის მიზნით. პირველ მიზანს ჩვენებმა მიაღწიეს, მენშევიკური ფრონტი გაარღვიეს და თვითონ მათითაშვილი, ძალაზე ფრთხილი ხელმართულ ბრძოლაში, ყველაზე უწინ ბრძოლის ველიდან გაქცეული, ძლივს გადარჩა დატყვევებას. (ამ შეჯახებაში მოკლეს გვარდიელი — „მაძეკარი“, ვიღაც თავგერიძე, სიძე მოწამლულ მენშევიკების **შონიების**, რომელიმაც თავის მჩრთი დიდი „იმუშავეს“ კომუნისტების დასახვრეტად), მარა ეს მოხდა (ფრონტის გარღვევა) ერთობ დაგვიანებით, იმ დროს, როცა მოვიდა ნამდვილი ცნობა ოზურგეთიდან ძლიერი არტილერიის დაძრის შესახებ. როცა გაისმა ზარბაზნის ხშირი გრიალი, მტრის თანდათან მოახლოვების მომასწავებელი, ჩვენებმა გადასწყვიტეს, საქმე წაგებულიაო, დატოვეს ჩოხატაური და უკან დაიხიეს...

ამ-აირად, ამ არა ხანგრძლივი, მარა ლამ ზი რევოლიუციონერ-ეპიზოდის პირდაპირი მონაწილე მე, სამწუხაროდ, ვეღარ გავხდი აჯანყების მეთაურების დაუდევრობის თუ შეცდომის გამო.

ჩოხატაურის გამოსვლას პოლიტიკურად ხელმძღვანელობდენ **ტარასი მგალობლიშვილი** (ოავიდან) და **სამხონ ჭანიშვილი** (აღების შემდეგ). სამეცადინო ხელმძღვანელად იყვნენ, თუ არ ვცდები, **ორი ძმა მამალაძე და ლ. ჩანტლაძე.** პირველნი შემდეგ უკვე საბჭოთა გურიაში ვერაგულად დაიღუპენ ბანდიტების ხელით, რევოლიუციონერ პოსტზე მმაც�rად მდგომნ*).

გაიარნა თუ არა ხარბაზნის გრიალი და მენშევიკების თანამგრძნობ მეზობლების (რომელნიც მთელი დღის განმავლობაში შიშით ცახცახებდენ ბოლშევიკური დიქტატურის აჩრდილს წინაშე)—მხიარული ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა, ჩემი როდამი შიშმა აიტანა, დაიწყო კანკალი და იმდენად ენით არა, როგორც თვალებით და სტიქიური მიმიკით მემუდარებოდა, მებოდიშებოდა (ეს ერთგვარი მუ-

*) „რ. მატიანეს“ მეორე №-ში მოთავსებულ ჩემ წერილში („რა ეკეთოთ?“) ერედაქციის შეცდომით სრულ-ად გადაუმახინჯებია ერთი ადგილი, სადაც ლაპარაკია ყოფილი ერკეთლების ტაქტიკა სტრატეგიის შესახებ. იქ მე გალაქვეთი მჭონდა ასეთი აზრი გატარებული: ნოხ ტაურის ბრძოლა და უმსჯავრესოდ დაპყრობის, კი ძალი იარაღის (ვინტოვკები და პულემეტები) ხელ-ში ჩაგ ებინა და რამდენიმე ასეული საიმედო კოუნისტების შ-ერიალ-ის შემდეგ, ს-ჭირო იყო დაეყოფ-ებლივ ეაძარა დასაკეთებლაკენ ქაფარ ბ-ბუყვმულებთან. შეს ერთგ-ათ და ოზურგეთ-ს, ეუმთავრესი სიძაგრის ადგ-ილ, რაც არ-ის ეწერი იყო აჯანყების პირველ მომენტში, როცა მენშევიკური ბელი-ოუფლება მოიცვა ბანკამ. ოზურგეთის აღებით კი ხელ მალე გავ-ბტკ-ცებდით ჩვენ ძალა-ოუფლებას მთ-ლ გურიაში, რის შემ-ეგაც შესაძლებელი იქნებოდა კოუნისტური რაზმ ბის და არტილ-რიის გადასროლა ბერეთ-სამეგრელოსაკენ და მით აჯანყების გაერმოვება-გაფართ-ოებ-ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარაც იყო), რომ „გამენთავისუფლებია მისი კარ-მიდამო. იგი ინსტიქტიურათ გრძნობდა ჩვენ დამარცხებას და გუნებაში შეიძლება კიდეაც „გვჭირდავდა“: თქვენ მოერევით ჟორდანიასო?! ამავე დროს დარწმუნებული იყო, რომ მენშევიკები მადლობას არ ეტყოდენ საცოდავ მოხუცს, თუ მის სახლში იპოვიდენ მათ დაუძინებელ და რამოდენიმეთ საშიშ მტერს. იძულებული გავხდი გადავსულიყავი იქავე მახლობლათ მეზობლის ბინაზე (მგონი, ესეც ჭანიშვილის ოჯახი იყო), სადაც მასპინძლებმა, ისე როგორც მოულოდნელმა სტუმარმა მთელი ღამე თეთრათ გავათენეთ კომუნისტური ჩოხატაურის დაცემის და გამარჯვებული მენშევიკების თარეშის მაყურებლებმა.

ღილით მდგომარეობა გარკვეული იყო. ბოლშევიკური ოჯახყეობა დამარცხდა. ჩვენი რაზმელების ნაწილმა იარაღი დაჰყარა და ვერაგ მტერს დანებდა. ზოგი გაიფანტა, ზოგი მიიმალა. მთავრობა და მისი დამჭაშ-აგენტები ეხლა გაფთრებით და გაუა�icებით ეძებდენ ოჯანყების მონაწილეთ და მიმალულ ამხანაგებს. დატყვეებულებს კი უტიფრად ეპყრობოდენ. ატმოსფერა გაიჟღენთა საძაგელი მძულვარებით კომუნისტების მიმართ, სოფლის მეშჩანობას ენაზე აკერია ჩვენი ლანძღვა გინება, ბანდიტ-ავაზაკებათ და ავანტიურისტებათ მონათვლა, თუმცა ბოლშევიკების 10—12 საათის ბატონობის დროს ჩოხატაურში, სადაც კაი ძალი საზოგადო, სახელმწიფო და კერძო ქონება იყო, ერთი ნემსიც არ გაბნეულა.

ჩემი მდგომარეობა ერთობ გაძნელდა. ამ ოჯახში მეტი დარჩენა აღარ შეიძლებოდა. სამსონის ცოლის და ძმის რჩევა-წინამძღოლობით გადავედი მეზობელ მღვდლის მოზრდილ ეზოში, რომელიც მჭიდროდ იყო გაშენებული „ლუკუმაკით“ (ერთგვარი მცენარეა) და შუაგულ ალაკს „დავბინავდი“, პატრონის დაუკითხავათ, რასაკვირველია. კონსპირატიული ალაგი, აქ ჩვენი პოვნა არ შეიძლება, თუ ვინმე განზრახ არ გამცემა. ვგრძნობ თავს, როგორც პატარა ტყეში. აქ დავყავი საღამომდე. შემდეგ შემომიეოთდა ერთი ყმაწვილი, მაშინ ამხანაგი, მგონი **რაფიელ ჩიგოგიძეთ** (თუ ანთაძეთ) წოდებული. თოფით ხელში იგიც იმალებოდა. არ ვიცი რამდენათ დიდი იყო მისი სიკრთხე, მარა ძალიან შეშინებული კი იყო. წამოწვიმა. ასეთ ტარო-ში ჩემი გარეთ დარჩენა შეუძლებელია... ამიტომ, თუმცა ეჭვი მაქვს, ძალიან ნდობით ვერ ვუყურებ, მარა მაინც ვგზავნი ჩემ ახალ „ადიუტ ანტს“ ეზოს პატრონთან—**მამა მაქსიმესთან** მოსალაპარაკებლათ ღამის გათევის შესახებ. რაფიელს მივეცი დირექტივი: ჩემი ვინაობა არ გაანდო, სანამ თანხმობას არ მიიღებდა ღამის გათევაზე. მაქსიმემ უარი შემომითვალა. ეხლა კი ვიკადრე, პირის-პირ წავსდგომოდი მ-ქსიმეს, როგორც ჩემი და ჩვენი ოჯახის კარგ ნაცნობს. ცივად მიპიღო. მოხუცმა ვერ მიცნა. გავაცანი თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უარი ვეღარ მითხრა. საქმე გაიჩარხა. ბედის კმაყოფილი ვარ. მარა „ჩემმა“ რაფიელმა, რომელსაც მე უყურებდი, როგორც პარტიის მიერ მოგზავნილს ჩემდა დასახმარებლათ, მოულოდნელად მომიწამლა წამები: როცა ჩემი საქმე გავაკეთე, ვაპირებდი მოლაპარაკებას რაფიელის შესახებ, რომ მისთვისაც მეიკა ბინა მაქსიმეს. საჭირო იყო რაფიელის ჩემთან დარჩენა ჯერ-ჯერობით, სანამ მარტოთ-მარტო ვიყავი, ვინაიდან მთელ ახალშენში, რომელსაც ზედმიწევნით იცნობდა იგი, ამ ჟამად გზის მაჩვენებელი და წინამძღოლი სხვა არ მყავდა.

რაფიელი ერთხანს ჩუმათ მისმენდა, როცა ამაებზე ველაპარაკებოდი, მარა უცბათ, სრულიად მოულოდნელათ, აიღო თოფი ხელში და უსიტყვოთ, გამოუმშვიდობებლად სადღაც მოკურცხლა. მე სახტად დავრჩი. გაუგებარი იყო ეს საქციელი ჩემთვის პირველ წამებში. შემდეგ დავასკვენი: ისტერიკიანი და ლაჩარი ყოფილა მეთქმას შემდეგ აღარ მინახავს „ტკბილათ“ მოსაგონარი რაფიელი, რომელსაც ალბათ ლაყბობათ მიაჩნდა რუსთაველის მარგალიტები: „ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის (კომუნისტი კომუნისტისათვის) თავი ჭირსა არ დამრიდათ; გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზათ და ხიდათ“.

მამა მაქსიმემ მიმიპატიჟა თავის „ოდაში“ (მოლაპარაკება „ჭუხნაში“ სწარმოებდა, სადაც მაქსიმე, როგორც მოხუცი, ცეცხლს ითბობდა) და გამაცნო ახალგაზრდა რძალი და ვაჟი. იმ საღამოს ტკბილი მუსაიფის შემდეგ გავბედე ოთახში მოსვენება. მეორე დღეს დილიდანვე, რადგან სახლში ყოფნა საშიში იყო, გადავედი ეზო-ტაყეში. რომ „ძვირფას“ სტუმარს არ მოეწყინა, ხანდახან ფრთხილად. ფეხ-აკრეფით მოდიოდა ჩემთან ძაქსიმე და მრავალფეროვანი მუსაიფით მართობდა. ყველაფერზედ ველაპარაკობდით, ყველაზე ნაკლებათ კი—პოლიტიკაზე. ცხადია, მაქსიმეს დიდათ არც მენშევიკები უყვარდა, მარა ეტყობოდა, ბოლშევიკები კიდევ უფრო ვეჯავრებოდით, ვინაიდან მას, როგორც ჭკვიან და ცოტა მოეშმაკო ადამიანს, კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ის უბედურება, რაც მოელოდა ცრუმორწმუნეობის ქურუმთ, მემამულეთ და ყოველი ჯურის ექსპლოატატორთ კომუნისტური დიქტატურის დროს. უმთავრესი თემა იყო სარწმუნოება და სიყვარული. მაქსიმემ გულახდილათ გამიმხილა, რომ თვითონ იგი ურწმუნო კაცია და ღვთის მღვდელ-მსახურებას ეწევა ამ ქვეყნიური კეთილდღეობისათვის. მისი აზრით, ღმერთი, ეშმაკი, სარწმუნოება, ეკლესია, მღვდელი, ბერი—ყველაფერი ამის წყარო ხალხის სიბნელეა და მუქთახორების ფარისეველობაო. მე უთხარი: ამას რომ შენ სახალხოთ აღიარებდე, თუ გინდ არა მჭერმეტყველურათ, კაი საქმეს იზამ და დიდი აგიტატორის სახელსაც მოიხვეჭ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთქი. მაქსიმე სხვა ხუცებზეცაც ისეთივე წარმოდგენის იყო, როგორც თავის თავზე. ღმერთის კი არა, არსებითად, ყველა თავის საკუთარ კუჭს ემსახურებაო.

რომ დაღამდა და არავინ მომიკითხა, მაქსიმე შეწუხდა, ძალიან ეშინოდა მეორე ღამეც ჩემი მისას დარჩენის. დილიდანვე ვამხნევებ დი და ვარწმუნებდი, საღამოს მომიკითხავენ ამხანაგები-მეთქი და რომ ეს არ გამართლდა, მით უფრო შეშინდა და აღბათ იფიქრა: შენი ამხანაგები თუ გაგირბიან, ჩემო შვილო, ძალიან სახიფათო ყოფილა შენთან ყოფნაო. კიდევ უფრო ღელავდა მისი რძალი, რომელიც, ალბათ, ემუდარება-ემუქრებოდა ქმარ-სიმამრს: ღვთის გულისათვის მომაშორეთ ეს საშინელი ადამიანი. რომ მაქსიმე რამდენიმეთ დამემშვიდებია, გადავსწყვიტე გარეთ, ღია ცის ქვეშ დაწოლა. ეს „იდეა“ ძალიან მოეწონა მაქსიმეს და მირჩია ჩალის „ზვინში“ მოკალათება. ეზოში დიდი ზვინი ჰქონდა, ხის ირგვლივ ძირიდან აგებული, რომელშიაც გვარიანი ბუნაგი მოვაწყვეთ. შიგ რომ შევძვერი, მაქსიმემ შესაძრომი ადგილი ისევ ჩალით დაფარა და მკითხა, როგორ მოეწყვეო. დიდებულათ-მეთქი. თავისუფლად ამოისუნთქა, დამემშვიდობა და წავიდა. ღრუბლიან-წვიმიანი ღამე იყო. მაინცა და მაინც ტკბილად არ მეძინა. თაგვები და მაგვარი არსებანი პროტესტს მიცხადებდენ მათი საბუდარის „რეკვიზიციის გამო და ძილს მიფრთხობდენ. ნაშუაღამევს ერთხელ დამხვდა კეთილმა მაქსიმემ, ხალათ წამოსხმულმა და ჩუმათ მკითხა: ხომ კარგათ ხარ, არ შეგეშინდესო. დილა—ბნელზე ისევ ეზოს ტყეში გადავედი. რომ მესამე ღამეც მის კარ-მიდამოზე არ დავრჩენილიყავი, მაქსიმე ყოველ ღონეს ხმაროობდა, პირდაპირ შიკრიკობასაც კი მიწევდა და ზოგიერთ „სარისკო“ მინდობილებასაც ასრულებდა. დილიდან საღამომდე სულ „მოძრაობაში“ იყო ჩემი გულისათვის. ეძებდა თავისუფლად დარჩენილ ამხანაგებს და შესჩიოდა თავის ტრაღიკულ მდგომარეობას. უკვე კარგად დაღამებული იყო, როცა კაი ხნის ძებნის და დათქმული სიგნალის, პაროლის წყალობით მაქსიმე მოვიდა ჩემთან „ტყეში“ და მხიარულად „ჩამიფუჩუნა“: უკვე მოვიდა, გამომყევაო. ჩემდა წასაყვანად მოსულიყო არსენა კალანდაძე, ხიდისთაელი მედუქნე, რომელიც თანაუგრძნობდა ბოლშევიკებს. მხურვალე მისალმების შემდეგ რიხიანად მიბრძანა: აბა, წამოდიო. მაქსიმეს გულწრფელი მადლობა ვუთხარი, დავპირდი სამაგიერო სამსახურის ათკეცათ გადახდა და დავემშვიდობე. იშვიათია ცხოვრებაში ისეთი სიხარულით მასპინძელის მიერ სტუმრის გასტუმრება, როგორც გრძნობდა მაქსიმე, რომელიც თითქო საუკუნოთ მემშვიდობებოდა.

სანამ გზის გავუდგებოდით, მინდოდა არსენასთვის შეკითხვა, სად მივდივართ და რამდენათ სახიფათოა ეხლა ჩემი სიარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთქი; ეჭვი მქონდა, შეიძლება უკვე იციან ჩემი ახალშენში ყოფნა-თქვა, მარა მომაგონდა, რომ ცოტა ყურს აკლდა და უსიტყვოდ გავ-ყევი. მივდიოდით განზრახ უგზო-უკელოთ, რომ აგენტები არ შეგვ-ხეჩებოდენ გზაში. ერთ ძალიან ბნელ ალაგს არსენა დაიბნა და იძუ-ლებული იყო სწორი „ორიენტიროვკისათვის" წუმწუმა აენთო (ეს მთელი „პროეკტორი" იყო „მაძებრებისთვის") და კინაღამ ვუყვირე, რას ჩადიხარ მეთქი. მარა არსენა უკვე განაგრძობდა სიარულს და „კა-მანდრობას". მიმიყვანა თავის ოდაში და გამაცნო თავის მეუღლე, ერთ-გული პარტიული ამხანაგი. მთელი ოჯახი ამ ორი სულისაგან შესდგე-ბოდა. ამ მხრით ინა მოხერხებული იყო, მარა მეორეს მხრით სახიფათო, რადგანაც ხიდისთავში მიმავალ გზაზე იდგა. არსენამ დამაიმედა: მე, როგორც ვაჭარს, არ მკადრებენ „ობისკის" დარტყმასო. ჩემ განკარ-გულებაში იყო საკუთარი ოთახი, სადაც გარეშე ვერ შემოვიდოდა. ოდაში ღამის გათევა სახიფათო იყო. ამიტომ თათბირის შემდეგ გა-დავწყვიტეთ ღამეები მეთია „ნალიაში" (სასიმინდე). ჩენზე ზრუნავ-და ალათი (არსენას ცოლი), რომელიც ყოველ ღამე საკუთარი ძალ-ღონით მიაყუდებდა უზარმაზარ კიბეს მაღალ ნალიას; რომ აეფორ-თხავდი, ჩამოიღებდა და მოშორებით მიაყუდებდა. დილ-დილობით ალიონზე იგივე მეორდებოდა. დღეებს ოთახში ვატარებდი. არსენას მბოლოდ ვახშამზე ენახულობდი და მისგან ვგებულობდი ახალ ამბებს ბოლშევიკების დევნის შესახებ. არსენას ეხლა ვაჭრობაზე და ორიო-დე გროშის შოვნაზე უფრო აინტერესებდა ის, რომ თავის „აგენტუ-რის" საშუალებით წინდაწინვე გაეგო ყველაფერი, რაც ჩემს ძებნას შეეხებოდა. კარგი იყო არსენასას ყოფნა, რადგანაც გამოჩენილი შინაინობით ეს მასპინძლები არ მაწუხებდნენ. ჩემი აქ ყოფნის დროს სამივე სულ იმის ცდაში ვიყავით, რომ რაიმენაირად ამ საშიშ კუთ-ხეს მოვშორებოდით. რამოდენიმე ცდის შემდეგ მივიღე ამბავი, რომ გოგოლი ბერეკიანის ნასახლევზე ირაკლი ქორიძე გიცდისო.

ირაკლი სულ სწავ ყაიდის ყოფილი მენშევიკია, ზედმიწევნით ღარიბი და დაკვირვებული გლეხი. ჩვენი ოჯახის სიყვარული და ერთგულობა სამაგალითოდ დაამტკიცა მით, რომ კატეგორიულათ უარი უთხრა მენშევიკებს, რომელთაც მას დაავალეს (ამ დროს მი-ლიციონერად იყო ხიდისთავში) ვარდენ კალანდაძის დაჭერა. ეს ადგი-ლი საქმე იყო ირაკლისათვის, როგორც კარის მეზობლისათვის, რო-მელმაც კარგად იცოდა ვარდენის მალვის ორიგინალური „მანევრე-ბი". ამის გამო ირაკლი ადგილიდან დაითხოვეს, მარა შემდეგ იგი კიდევ უფრო ერთგული გახდა დევნილი კომუნისტების. ირაკლის არ სწამდა მენშევიკების არა თუ სოციალისტობა, არამედ უბრალო დე-მოკრატობაც კი. ირაკლი ყველაზე უფრო საშიშ თვეებში იყო ჩემი საუკეთესო შიკრიკი-მესაიდუმლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშნულ ალაგამდე ბნელ ღამეში ყოჩაღათ გამიძღვა ალიოშა. ირაკლი იქვე მელოდებოდა. ძალიან გვესიამოვნა ერთმანეთის ნახვა. მას უკვე შემეშავებული ჰქონდა გეგმა, როგორ უნდა გადავეყვანე ხიდისთავში. მდ. გუბაზოული ადიდებულია, მისი გაფონვა „რაშითაც“ არ შეიძლება. გალმა გასვლა შეიძლება მხოლოდ ხიდისთავის ხიდის საშვალებით, რაც ძალიან „სარისკოა“, ვინაიდან აქ მრავალი ხალხი და მთავრობის აგენტები იყრიან თავს. მე წინაღმდეგი ვარ ამ სახიფათო გზის, მაგრამ ირაკლიმ ლამაზი ღიმილით და რწმენით მითხრა: დარდი სუ გაქ, მომყეეიო. უყოყმანოდ გავყეევი, რადგან ვიცი, რომ ირაკლი მოხერხებული და ფრთხილი კაცია. მაცივა ძველი შინელი და მახურავს ყაბალახი. ირაკლიმ იქვე გადაუხვია წისქვილის ახლოს—ჯალაში, თიფქოს მიწიდან ამოიღო ტომარით სიმინდი და ღიმილით მიბრძანა: აიკიდე ზურგზე და გამომყეევი გაბედულათო. ულმობელ ბედს დავემორჩილე, ბავშობა-სიჭაბუკის დღიდან, როცა ორფუთიან ტომარს ყოველ კვირაში ვზიდავდი წისქვილზე, აღარ გამომიცდია ასეთი ჯაფა, მარა „შიში მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო“. ოღონდ მენშევიკებს ცოცხალი გავსხლტომოდი ხელიდან და მზად ვიყავი მრავალჯერ უფრო მძიმე საჭეები შემესრულებინა, ირაკლი წინ მიმიძღოდა შორი-ახლო. ხიდის გამოღმა ჩამოვჯექი „ქორთუხებზე“ (ხის ნამორები) და ირაკლი წავიდა ბაზარში დასაზვერავათ. კაი ხნის (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ძალიან გაჭიანურდა დრო) დაყოვნების შემდეგ ირაკლი დაბრუნდა და მანიშნა გავყოლოდი. ეს იყო ძალიან კრიტიკული მომენტი ამ პერიოდის მალვის დროს. კაი ძალი ხალხი შემხვდა გზაში, მათ შორის აგენტებიც, რომელთაც გამოცვლილი, დაღლილი ხმით სალამს ვაძლევდი. ორიეე თანამგზავრი ამ დროს გუნებაში თავშეკავებული სიცილით ვიგუდებოდით. თუმცა მდგომარეობა არც ისე სასიამოვნო იყო, ერთობ სახიფათო წამებს განვიცდიდი, მარა ვფიქრობდი: „სად მე, სად შიში მეთქი, და ამ „ტრადიციის“ მიხედვით ვლომგულობდი. ჩვენს ეზოში რომ ჩავედით, ირაკლიმ გამომართვა ტომარა და წაიღო თავის სახლში. ვინახულე შინაურები და განსაკუთრებით—მრავალტანჯული დედა, რომელსაც არ ასვენებდნენ მენშევიკები გაბშირებული ჩხრეკით და ეზოს ირგვლივ დარაჯით. ვნახე ჩემი დაც, რომელიც შორიდან თვალყურს მადევნებდა, მარა ჩემ ნახვას ვერ ბედავდა აგენტების შიშით. ჩემ სასაცილო ამპავს ირაკლის დედის დიდი მწუხარება დაეთხო: ირაკლის სიმინდი ჩუმად წამოიღო შინიდან და „ტირილით მომცინარ“ და ხუმარა კესარიას ეფქრა, სიმინდი მომპარა „ვინცხამო“ და კინაღამ ელდა სცემოდა. როცა „უამურმა“ შვილმა სიმინდი წისქვილიდან დაუფქვავი უკლებათ დაუბრუნა, მის სიხარულ-ტირილს საზღვარი არ ჰქონდა თურმე. იმ ღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეს ირაკლიმ გადამიყვანა თავის სახლში, სადაც დაეყავი თითქმის ერთი კვირა. ეხლა დღიან-ღამიანა ვცხოვრობთ „ნალიაში“. ოთახი მიუწვდომელი ფუფუნება გახდა ჩემთვის. უკვე გვარიანად ვიოდა. საიმედო სტუმრებს ვღებულობდ საკუთარ ბუნაგში.

ერთხელ სრულიად მოულოდნელად მაღალ ნალიაზე ძლივს ამოხოხდა დასუსტებული დედა და ფრთხილად დავიწყეთ ჭუჭუნი უმთავრესად „პოლიტიკაზე“. —„ნიკოლოზის სტრატეგიები, ჟანდრები და კაზაკები სრულიად დამავიწყეს შვილო მენშევიკებმა შენ და ვარდენეს გულიზა. მარა აი რა სათქმელია: მთავრობებიდან აწიოკება— „აფულიანცებას“ და სიმკრთით გამოზრდილ შვილების ტანჯვა-წამებას დიდი ხანია შევეჩვიე. ოღონდ თქვენმა საქმემ გაიმარჯვოს და მე ყოველთვის მზად ვარ ახალ-ახალი ტანჯვისათვის. /აკობრიობა რომ „განკაცდეს“ დიდი ბრძოლა და მსხვერპლი ყოფილა საჭირო“ —მითხრა დედამ.—ციხის და მეტადრე—სიკვდილით სასჯელის სასტიკი წინააღმდეგია დედა ჩემი.—„დატყვევებულ ადამიანს სიცოცხლე არ უნდა მოუსპოთ, უნდა გავასწოროთ“-ო, ამბობდა ის.

მენშევიკების „საგმირო საქმეთა“ შესახებ ხიდისთავიდან ინფორმაცია მოჰქონდა ირაკლის. ეხლა გადმოცა: ჩოხატაურში „საველე სასამართლოს“ კომედია მოუწყვიათ და „სახელმწიფო ღალატში“ მონაწილეთათვის, რომლებიც ვერაგობით და დატყვევებით ჩაიგდეს ხელში, კატორღა მიუსჯიათ. ბრალდებულ ამხანაგებს, მიუხედავად მოსაღოდნელი სასტიკი განაჩენისა, ღირსეულად ეჭირათ თავი. „კატორღელები“ გადაუყვანიათ ოზურგეთში, სადაც ცენტრიდან მოსულ ახალ განკარგულების თანახმად, გასამართლებულებს ხელახლათ გასამართლება მოელით და უმაღლესი სასჯელი. ეს არ იყო ძალიან სასიამოვნო ამბავი, მარა არა მოულოდნელი ჩემთვის, ვინაიდან დაბადებიდანვე, როცა ბოლშევიკი გავხდი და მენშევიკებს პირველად შეეჯახე, ვიცოდი, რომ ამ პარტიას არ მოეთხოვება არც ლოღიკა, არც სულგრძელობა, არც რევოლიუციონერობა-გაბედულება და არც პატიოსნება. და რაღა გასაკვირალი იყო, თუ მენშევიკები ჩაიდენდენ ასეთ სისაძაგლეს, ერთი მხრით, იმ მოსაზრებით, რომ „ჭკუა ასწავლონ“ კომუნისტებს და მათ მიმდევარ ხალხს, და მეორე მხრით, მათ განუსაზღვრელ მბრძანებელ „ანტანტას“ დაუმტკიცონ, რომ „დემოკრატიულ საქართველოში“ ამიერიდან კომუნისტური ბაცილები სრულიად გასრესილია და კაპიტალიზმ-იმპერიალიზმს თავისუფლად შეუძლია ნავარდიო.

ირაკლისას მეტი დარჩენა აღარ შეიძლება. თავის შენახვა თანდათან ძნელდება. აუცილებელი გახდა სახის რადიკალური გამოცვლა. ირაკლიმ წინასწარი თათბირის შემდეგ მომიყვანა პარიკმახერი ერმალო ფოცხიშვილი, პატიოსანი და საიმედო კაცი, თუმცა მენშევიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარა „მოუწამლავი“. კოხტად მომპარსა წვერი და ულვაში. ისე გამოიცვალე სახეზე, რომ ჩემმა დამ წამოიძახა: აწი, შენ „ბიძია“ არა თუ მტერი, სამწუხაროდ, ვერც მოყვარე-შენიანები გიცნობენო. ერმალომ თავმომწონეთ ჩაიცინა ულვაშებში.

ბნელ ღამეში, როცა სოფელს სძინავს (მარა მტერს კი არა), და გამიძღვა წინ და ნეოფიტე კალანდაძის სახლს დაუკაკუნა. როცა კარებში თავი გამოჭყო ნეოფიტეს ვაემა—უთხრა დამ: ხიდისთავში მეტს ველარ ვრჩები, ემელიანეს ლომთათიძე (ნ. რამიშვილის ლაქია) მემუქრება დატუსაღებას, თუ დავაყოვნო, (უკვე ჰქონდათ, ბალულ-ძმის უწყობს ხელსო) და ამ „ყაჩაღს“ თქვენ გაბარებთო.

ნეოფიტეს უფროსი ვაეი, აქვსენტი, მეტეხში ზის ბოლშევიკობისათვის, დანარჩენი სამი ვაეი უპარტიონი არიან, თუმცა ჩვენ თანაგვიგრძნობენ. მთელს ოჯახს პარტიისათვის მარტო ერთი გაუწირავს, და ეს იმიტომ თითქო, რომ იგი ყველაზე უფრო ულამაზოა. რაც შეიძლება პატივს მცემენ და მდარაჯობენ, მარა ჩემთან ერთად „მაშ“ არიან: ყოველ წამში მოსალოდნელია აგენტების თავდასხმა, ვინაიდან ხიდისთავს კიდევ ვერ დავშორდი. ამ გვიგე თერთმეტი კომუნისტის დახვრეტის ამბავი ოზურგეთ-ლანჩხუთში. ეს მძიმე განცდა იყო. ბრალი მახრჩობდა, ძარა ნერვებს, რაც შეიძლება, ვიმაგრებდი. თავში გამიელვა აზრამ შურისძიების შესახებ. მოხუცებულებმა ქარაგმით მითხრეს: გლახეზი ხართ ბოლშევიკები, თვარა მაგ ძაღლებს (ჯალათები) ამას შემდეგ რავა ვანავარდებ ქვეყანაზეო.

ამ ბინაზე დიდი სიფრთხილით ვინახულე ტფილისიდან გამოგზავნილი უცნობი შიკრიკი (გვარი არ მახსოვს), რომელმაც მომიტანა ფილიპეს წერილი, რომელშიაც ერცლად იყო აღნუსხული შექმნილი მძიმე მდგომარეობა, როგორც რუსეთში წითელ ფრონტზე, ისე ჩვენში, მენშევიკურ საქართველოში; ხაზგასმით იყო აღნუსხული მენშევიკების მიერ გამეფებული ტერორი კომუნისტების წინააღმდეგ მთელ საქართველოში. წერილი გაჟღენთილი იყო შურისძიების გრძნობით. დასასრულ ფილიპე გვირჩევდა გურულ ამხანაგებს: დაქსაქსულ მებრძოლ ამხანაგების ხელ-ახლა თავის მოყრას, დარაზმვას და პარტიზანული ომის გაჩაღებას. იმ ღამესვე დავწერე საპასუხო ერცელი წერილი და გავუგზავნე იმავე შიკრიკის ხელით ფილიპეს. მე ვწერდი: გურიაში გამეფებულია საშინელი რეაქცია, ორგანიზაციები სრულიად დანგრეულია, რაზმელები დაფანტული და მიმალული. ფიქრი ამ ჟამად რაიმე აქტიურ გამოსვლაზე, მეტადრე პარტიზანულ ბრძოლაზე, —უტოპიაა. საჭიროა უწინარეს ყოვლისა მატერიალური დახმარება აწიოკებული რაიონების და დასჯილ ოჯახებისათვის მეთქი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. თოდრია

ალიოშინიდან გათენებამდე

პირადი მოგონებები

(გაგრძელება)

1905 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩავედით ბაქოდან მოსკოვში მე და უშანგი ჯაში. სიმონ ენუქიძეს აქ უკვე მოწყობილი ჰქონდა სტამბა ლესნოი ქუჩაზე, ბუჯერკას ცოხის მახლობლათ.

რიგორც წინეთ მქონდა მოხსენებული, მოსკოვში მე უკვე ვიყავი ნამყოფი 1904 წლის შემოდგომაზე. მაშინ მე იქ შემემთხვა ერთი სასეირო ამბავი, როგორიც, ვფიქრობ, სხვებსაც შეიძლება შემთხვევოდეს: მოსკოვში არის კარგად ცნობილი ქუჩა „მეჭედლების ხიდი“ (Кузнецкий Мост). თუმცა ამ ქუჩის სახელი მე გაგონილი მქონდა ჯერ კიდევ გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“ წაკითხვის დროს, მაგრამ წარმოდგენა მასზე კი მქონდა ისეთი, თითქოს ხიდზე იყო გამართული სახლები, დაახლოვებით ისე, როგორც ჩვენ მადათოვის კუნძულზე. სწორეთ ამ ქუჩაზე მისამართი მომცეს ერთ ამხანაგთან. დავტოვე ჩემი ხაბაკი შესანახად სადგურზე და გავსწიე ამ-ხანაგის მოსაძებნათ. პირველად ყოვლისა მოვნახე მდინარე მოსკოვი და ზედ გამართული ხიდი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, არც ერთ ხიდზე არ აღმოჩნდენ შენობები და არც ერთი ხიდი არ ატარებდა „მეჭედლების ხიდის“ სახელს. იყვნენ ხიდები „ჩუგუნის“, „წითელი“, „თეთრი“ და კიდევ სხვა, მაგრამ მეჭედლებისას ვერ მივაგენი, მიუხედავად იმისა, რომ მდინარე მოსკოვის ხიდებს გარდა დავათვალიერე ღელე იაუზას ხიდებიც. ბოლოს იძულებული ვიყავი მეკითხა გამვლელებისთვის, თუ საით იყო ეს „მეჭედლების ხიდი“. ამდენხანს კითხვას ვერიდებოდი კონსპირატიული მოსაზრებით. მიმითითეს ქალაქის ერთ მხარეზე და თან დასძინეს, რომ აქედან კარგა შორს არისო. მეც გავსწიე ნაჩვენებ მიმართულებით, მაგრამ არამც თუ ხიდი ვერ ვნახე, მდინარესაც ვერსად წავაწყდი. გავიარე მთელი ქალაქი თითქმის და ეხლა იქ ვიკითხე, მაგრამ აქედან უკან მიჩვენეს და თან დასძინეს, რომ მეტად შორს არის და რომ გაიარო რამდენიმე მანძილი, კიდევ იკითხეო. მეტად დავიღალე, თანაც დაღამდა. ხიდი კი ვერ ვიპოვნე. ბოლოს იძულებული გავხდი სასტუმროში შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვსულიყავი ღამის გასათევად. არ უნდოდათ ღამის გათევინება, რადგან პოლიციისგან განკარგულება ჰქონდათ უბარგო პირს ღამე არავის გაათევინოთო. როდესაც ვუჩვენე კვიტანცია, რაც ამოწმებდა, რომ ბარგი სადგურზე მქონდა შესანახავად დატოვებული, მხოლოდ მაშინ დამრთეს ნება ღამის გათევისა. საშინლად მოკ ნცულმა იმ ღამეს კარგა გამ ვიძინე საუცხოოდ მორთულ სასტუმროს ოთახში. რომელშიაც სამი მანეთი გამ ომართვეს ქირა, რაც იმ დროს საუკეთესო სასტუმროს და ოთახის ქირა იყო. როცა გამოვედი სასტუმროდან, მეკარეს შევეკითხე, თუ საით უნდა წავსულიყავი, რომ „მჭედლების ხიდი“ მეპოვნა. მან იქავე მიმითითა ქუჩის ჯვარედინზე და მითხრა, რომ აი, აქვე არის „მჭედლების ხიდიო“. ჩემს განცვიფრებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც ოცი ფეხის ნაბიჯი გავიარე და ქუჩის ჯვარედინზე თვალი მოვკარი დიდი ასოებით წარწერას „მჭედლების ხიდი“, თუმცა აქ არავითარი ხიდი ან მდინარე არ არსებობდა. თურმე რამდენჯერმე გადავიარ-გადმოვიარე გუშინ ამ ქუჩაზე, მაგრამ ყურადღებაც კი არ მიმიქცევია მისთვის. იქვე ახლოს ვნახე ამხანაგის ბინაც. სირცხვილით მისთვის არაფერი გამიმხელია ამ შემთხვევის შესახებ.

სილოვან კობიძეს კალანდაძის გვარზე გაეხსნა პატარა სავაჭრო დუქანი „კავკასიური საქონლების სავაჭროს“ წოდებით. ეს კავკასიური საქონლები კი იყვნენ: რაღდენიმე ტომაია თხილი და ნიგოზი, ბრინჯი, ქიშმიში და გამხმარი ქლიავი, ორიოდე კასრი ოსური ყველი— მორჩა და გათავდა! დღიდან დუქნის გახსნისა არც ბევრი რამ მოკლებია ამ საქონელს და არც მომატებია. თუ ვინმე რასმეს იყიდდა ორიოდე გირვანქას, მეორეთ ის ჩვენთან საღაჭროთ აღარ შეძოვიდოდა და არც თავის ნაცნობებს ურჩევდა შემოსვლას,—ისეთ ფასებში და ისეთ უკარგის საქონელს წაიღებდა ჩვენგან, რომ დიდხანს არ დაავიწყდებოდა ეს.

თითქოს დუქანიც არ გვქონდა საწვრილმალო სავაჭროთ გახსნილი, არამედ ბითუმად. მაგრამ თუ მოხდებოდა იშვიათი შემთხვევა და ვინმე შემოვიდოდა ბითუმად მყიდველი, იმას კი ვეუბნებოდით, რომ საწვრილმაწო სავაჭრო გვქონდა და არა ბითუმათ.

ს. კობიძეს ჩასუქებული შეხედულობა ხელს უწყობდა დინჯი ვაჭრის როლის შესრულებაში. თუ დუქანში ასე ყალთაბანდობით გაგვქონდა საქმე, სამაგიეროდ მის სარდაფში სულ სხვაგვარი წარმოება იყო გაჩაღებული. ვითომც იმ მიზნით, რომ სარდაფი ნესტიანი არ ყოფილიყო და შიგ დაწყობილი საქონელი არ გაეფუჭებია, შუა გულში ამოღებული იყო ღრმა ჭა. წყალის დონეს ზემოდან გადიოდა ხერელი განზე, რომელიც რამდენიმე საჟენის შემდეგ შედიოდა პატარა მიწურ ოთახში. ამ ოთახს სიგრძე-სიმაღლე ექნებოდა არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეტეს კუთხური საკენისა. შიგ რა თქმა უნდა, არც სინათლე და არც ჰაერი არსაიდან არ შემოდიოდა. ჭაში გაყვანილი ხვრელი იყო როგორც ადამიანის შემოსაძრომი, ისე ჰაერის შემოსასვლელი. ასეთ სოროში იდგა ერთი საბეჭდავი მანქანა, „ამერიკანკა“,—საწერი ქაღალდის ფორმატის და რამდენიმე ასოების უჯრედები ერთმანეთზე შეწყობილი. სოროში ერთსა და იმავე დროს მუშაობა შეეძლოთ მბეჭდავს და ასოთ-ამწყობს. გასასთბებლათ ვხმარობდით კართოფილის სანთლებს, რადგან მათგან ჰაერი უფრო ნაკლებად ფუჭდებოდა.

სტამბაში რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ მეტისმეტ მოქანცულობას ვგრძნობდით და ამიტომ ხშირ-ხშირად ვეცვლებოდით ერთმანეთს მუშაობაში. იბეჭდებოდა ორკვირეული თექვსმეტ გვერდიანი ჟურნალი „Рабочий“ მაქსიმ გორკის და შანცერის („Мартат“) ხელმძღვანელობით. მატერიალურად სტამბის უმთავრესი დამხმარენიც ისინი იყვნენ, თუმცა თავისი მხრით კავშირი ჰქონდათ გამბმული ბალშევიკურ ცენტრალურ კომიტეტთან და მოსკოვის ორგანიზაციასთან. ჟურნალ „Рабочий“-ს გარდა იბეჭდებოდა ფურცლები მოსკოვის, პეტროგრადის და რუსეთის შუა გუბერნიების ორგანიზაციებისთვისაც.

ჩვენი მოსკოვში ჩასვლის შემდეგ ჩქარა დატრიალდა ისეთი ამბები, რომ არალეგალური სტამბა დიდ საჭიროებას აღარ შეადგენდა:—ეს იყო 17 ოქტომბერის მანიფესტი, რომლის შემდეგ ლეგალურმა პრესამ შედარებით მსუბუქათ ამოისუნთქა. ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, გული აგვიკრუა ჩვენც არალეგალურ სტამბაში მუშაობაზე და ვლაპარაკობდით სტამბის გაუქმებაზე, მაგრამ მოგვიყვიდა ლენინის გულთმისნური განკარგულება, რომ სტამბის მოშლა არ გაბედოთ, ის კიდევ დაგვჭირდება და დიდ სამსახურს გაგვიწევსო.

ამ დროს სტამბაში ვმუშაობდით მე, გ. სტურუა, ს. იაშვილი და უ. ჯაში. დუქანში კი ჩვეულებრივად „ვაჭრობდა“ ს. კობიძე. ს. ენუქიძე გარედან გვიწყობდა ხელს და სტამბაში მხოლოდ შემოიტანიდა მასალის შემოსატანად და ლიტერატურის წასაღებათ. ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ის ბაქოს სტამბის პეტროგრადში გადატანას შეუდგა ამ. ენუქიძესა, ვ. ბოლქვაძესა, ლ. დუმბაძესა და სხვებთან ერთად, რომელიც ეხლა ლეგალურად იქნა გამართული.

ჩვიდმეტი ოქტომბრის დიადმა სურათებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე, რომ თუმცა მის შემდეგაც ბევრი რამ მინახავს, მაგრამ არც ერთი შემთხვევა ასეთი სიმძლავრით არ აღბეჭდილა ჩემს მეხსიერებაში.

დილით, როდესაც გამოვედი ქუჩაში სახლიდან, თვალი მოვკარ მცირე დიმიტროვის ქუჩაზე მომავალ აუარებელ ხალხს წითელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშებით ხელში და წითელი ლენტებით გულზე. დემონსტრაციას „მარსელეზის“ და „თქვენ მსხვერპლი გახდით“-ს სიმღერით მიემართებოდა ბუტირის ციხისაკენ, სადაც გაფიცვებში მონაწილეობის მიღებისთვის ისხდენ აუარებელი მუშები, უმეტესად მესტამბეები და მეპურეები, რომელთა საერთო გაფიცვა იყო ამ ხანებში. ციხესთან შეჩერდა პროცესია და აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ახლო-მახლო შენობების აივნები მოირთო წითელი დროშებით. ხელათ გაიმართა მიტინგი და ორატორები ყველა პარტიების სახელით გამოდიოდენ და ლაპარაკობდნენ მანიფესტის მიერ რუსეთის ცხოვრებაში ახალი ხანის დაწყებაზე. ამ დროს ციხის ადმინისტრაციასთან გამართული მოლაპარაკების შედეგებიც გამოირკვა და სატუსაღოს კარები გაუღეს ყველა პოლიტიკურ ტუსაღებს, რომლებსაც ხალხი აღტაცებით შეხვდა.

ციხესთან მიტინგმა რამდენიმე ხანს გასტანა და შემდეგ უზარმაზარი პროცესია ნაწილობრივ მშვიდობიანათ დაიშალა, ნაწილი კი გაემართა ქალაქის შუაგულ ქუჩებისკენ.

ამ დღიდან იწყო განუწყვეტელი მიტინგები უნივერსიტეტში და თეატრებში, მაგრამ ჩქარა მოვიდენ გონს რეაქციონერები და თვითმპყრობელობა და ოქტომბრის დღესასწაულებს მოჰყვა ებრაელების და საზოგადოთ რევოლიუციის მონაპოვარის რბევა და გაჩანაგება.

ჩვენ სტამბაში ოქტომბრის დღეებში უკვე იწყობოდა «Рабочий»-ს მორიგი ნომერი, რომელიც მომხდარ ამბების გამო მხოლოდ ნოემბრის პირველ რიცხვებში დაგვიანებით გამოვუშვით. ამ ნომრის გამოშვებასთან ჩვეხც ცოტა შევისვენეთ, რადგან საბეჭდავი აღარაფერი იყო სტამბაში. ცხოვრებამ გადმოხეთქა არალეგალური კალაპოტები და გადმოვიდა ქუჩებში,—უნივერსიტეტის და თეატრების დიდ დარბაზებში, სადაც მიტინგები თითქმის განუწყვეტლად მიმდინარეობდნენ.

ნოემბრის პირველ რიცხვებში მივიღე ასი მანეთი, რაც დიდი თანხა იყო ჩემთვის (და სხვისთვისაც) მაშინ და «Рабочий»-ს ერთი კალათა ნომრებით გამგზავნეს პეტერბურგში. ვინახულე კრასინი, რომელიც უკვე პეტერბურგში ცხოვრობდა და მთლად პარტიულ მუშაობაში იყო გართული. ის აღტაცებული გადამეხვია, ჩამკოცნა და სიხარულით მითხრა: „განა წარმოვიდგენდით ოცნებაში მაინც, რომ როდისმე ასეთ დროს მოვესწრებოდითო“. ის ლეგალური გაზეთის გამოცემით იყო გატაცებული. იმავ საღამოს წამიყვანა სარედაქციო კრებაზე—ნევის პროსპექტზე ანიჩკოვის ხიდთან, იმ ბინაზე, სადაც შემდეგ «Новая Жизни»-ს რედაქცია იყო მოთავსებული. კრებას ათ-თორმეტ კაცამდე დაესწრენ,—მათ შორის იყვნენ მგოსანი ნ. მინსკი და გორკის მეუღლე—ანდრეევის ქალი. ამ კრებაზე საბოლოოთ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყდა გაზეთ «Новая Жизни»-ს გამოშვება, რომელიც ჩქარა გამოვიდა კიდევაც ანდრეევის ქალის გამომცემლობით და მინსკის რედაქტორობით.

პეტროგრადში დავრჩი ორ კვირაზე მეტი. აქ შევხვდი «Новая Жизни»-ს რედაქციაში პირველად მიხა ცხაკაიას, რომელსაც პირადათ არ ვიცნობდი მანამდი, თუმცა გაგონილი კი მქონდა მასზე. მან ქალაქიელების სახელით გვირგვინი უძღვნა შვრაზმელების აწიოკების გამო დახოცილებს, რომელთა პატივსაცემად პეტროგრადის საბჭომ სამგლოვიარო დემონსტრაცია მოაწყო. გვირგვინის ლენტზე მოხდენილი წარწერა იყო დროს შესაფერი: „დაღუპულთ ძველებზე აღსდგება ხალხი“.

ეს სამგლოვიარო დემონსტრაცია ოქტომბრის მანიფესტის მიერ შექმნილ ილიუზიების გამოსამშვიდობებელიც შეიქნა, რადგან ჩქარა მუშათა საბჭოც დატუსაღებულ იქნა და რეაქციის შემოტევა ცხადათ გამოაშკარავდა.

ლენინის წინასწარმეტყველება, რომ მოსკოვის სტამბა დაგვჭირდება და დიდ სამსახურს გაგვიწევსო,—გამართლდა უფრო ადრე, ვიდრე თითონ მოელოდა ამას, რადგან სწორედ მაშინ ჩამოვიდა ის საზღვარგარეთიდან, როცა რეაქციამ უკვე იწყო შემოტევა.

სამ დეკემბერს ღამით დაატუსაღეს საბჭო. მეორე დღესვე მე მივიღე განკარგულება კრასნინისგან დავბრუნებულიყავი მოსკოვში და შევდგომოდი არალეგალურ მუშაობას სტამბაში.

პეტერბურგის საბჭოს დატუსაღებით იქ რევოლიუციონურმა ტალღებმა უკუ-ქცევა იწყეს, მოსკოვში კი, პირიქით, ტალღები უფრო აბობოქრდენ.

ამ გარემოებას ხელს უწყობდა ის, რომ მოსკოვს ჯერ არ გამოეცადა ძარღვების ისეთი დაჭიმვა, როგორც პეტროგრადს და არც ისეთი სისხლის დენა. მეორე ხრით ამ დროს ბრწყინდებოდნენ ჯარისკაცები შორეულ აღმოსავლეთ დან—იაპონიასთან ზავის შეკვრის შემდეგ, რომლებიც გზათ გამოიელიდენ მოსკოვზე,—ნაწილი აქ რჩებოდა სამფეთოს ძაბნაში, ნაწილი კი იფანტებოდა სხვა და სხვა მიმართულებით. ეს ყოფილი მუშები, შემდეგ ს ლღათები და ისევ დაზგისკენ დაბრუნებულნ ი, ყოველგვარ ჭირ ნახული ახალგაზდობა მეტის მეტად პოხიერ ნიადაგს შიადგენდა რევოლიუციონურ მოძრაობისთვის.

და აი, იმ დროს, როდესაც პეტროგრადის საბჭოს დატუსაღებას საკმაო სიბძაგრით ვერ გამოეხმაურა იქაური პროლეტარიატი, მოსკოვში საქმე მასსიურ აჯანყებით გათავდა, თუმცა აქ მუშათა საბჭო არც ყოფილა და არც დატუსაღება მოხდარა მისი.

მოსკოვში მიტინგები თეატრებში და უნივერსიტეტში აჯანყების დაწყების უკანასკნელ წუთებამდე განუწყვეტლად იმართებოდა. ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ მიტინგზე უკანასკნელად დავესწარი მე შვიდ დეკემბერს საღამოს საზაფხულო თეატრში ტვერის და სადგოო ქუჩების კუთხეში. მიტინგზე კამათი იყო ბოლშევიკებსა, მენშევიკებსა და ესერებს შორის მოქმედების ტაქტიკაზე. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ გავაგებინეს,—თეატრს ჯარი და პოლიცია ალყას აიტყამსო. მიტინგის პრეზიდიუმმა ხელათ შეიმუშავა მოქმედების გეგმა, რომლის მიხედვით უიარაღნი უნდა გასულიყვნენ გარეთ, შეიიარაღებულნი კი დარჩენილიყვნენ თეატრში და იარაღით თავის დაცვა ეწარმოებიათ. კრება ასეც მოიქცა, მაგრამ ჩქარა მოკვეტანეს ამბავი, რომ გამავალ უიარაღო ხალხს პოლიცია და სალდათები უმოწყალოთ სცემენ და წრეში ცემით ატარებენო. ჩქარა ისიც გამოირკვა, რომ იარაღი ორმოცამდე კაცს გვქონდა, რაც არ იქნა მიჩნეული საკმაოდ ამდენი გარს შემორტყმული ჯარის და პოლიციის წინააღმდეგ თავის დასაცავათ. მაუზერის რიგოლვერით ვიყავი შეიარაღებული მეც.

პრეზიდიუმმა ჩქარა სხვა გზა გამონახა თავის საშველად: თეატრის ბანდიდან მივდგარ კიბე ეზოშელ სახლის ბანზე, იქიდან რომელიღაც სახლის ეზოში გადავხტით და შემდეგ ვიწრო ჩიხით გაველით ტვერის ქუჩაზე. სახლების მცხოვრებლები და მეეზოვეები თუმცა ხიდავდენ ამ ჩვენ არაჩვეულებრივ მოგზაურობას, მაგრამ უკვე იცოდენ, თუ რაში იყო საქმე და ხმასაც არ გვიცემდენ საწინააღმდეგოთ, პირიქით, გვშველოდენ კიდეც. შეიარაღებულებმა ჯერ უიარაღნი გავუშვით წინ და შემდეგ ჩვენ მივყვავით უკან. როდესაც ჯარმა და პოლიციამ შეამტვრია თეატრის ეზოს კარები, იქ აღარავინ დაუხვდა.

მეორე დღეს, რვა დეკემბერს, ნაშუადღევს გავიარე ტვერის ქუჩაზე, პუშკინის ძეგლთან. აქ გაზეთების გამყიდველებს პოლიციელები გაზეთებს ართმევდენ. მეგაზეთეებმა პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწიეს და რამდენიმე მაგგანს იქვე სცემეს და იარაღიც აართვეს. სწორეთ ეს მოხდენა იყო აჯანყების დაწყების პირველი ნიშნები. მეგაზეთეებს ზოგიერთი გამვლელი მუშებიც წაეხმარენ და ჩქარა საქმე საეთოო შეტევაზე გადავიდა: თუ ვინმე სამხედრო პირი, ან პოლიციელი გამოჩნდებოდა ქუჩაში, ხელად შემოერტყმოდენ გარს და აჭყიდენ იარღს. ვნებით კი არავის არ ვნებდენ, თუ ვინმე წინააღმდეგობის გაწევას არ გაბედავდა; ასეთს მხოლოდ სცემდენ და შემდეგ იარაღ აყრილს გაუშვებდენ. საქმე გაცხოველდა. ჩქარა დაღამდა და აქა იქ თოფების სროლის ხმა გაისმა კანტიკუნტათ.

მე წავედი ჩემ საქმეზე ანბანაგ გოლუბევთან, რომელთანაც სტამბის შესახებ კავშირი გვქონდა გაბმული და რომელმაც ამას წინად მომცა ჩემი მაუზერის რიგოლვერი. იქ შეეხვდი ამბ. სოკოლოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. მის მეუღლეს, რომლებიც აგრეთვე დაკავშირებული იყვნენ სტრა-ბასთან, როგორც მოსკოვის კომიტეტის წევრები. ისინი დამშვიდებით შეექცეოდენ ჩაის და ქუჩებში დაწყებულ სროლის პირველად ამბავის მათთვის მიმტანი მე ვიყავი მხოლოდ.

ეს პატარა ფაქტი იმის მაჩვენებელია, თუ როგორი მოულოდნელი იყო ორგანიზაციისათვის მოსკოვის აჯანყება, რადგან კომიტეტის აქტიურმა მომქმედმა წევრებმა არც კი იცოდენ მისი დაწყება.

როდესაც გამოვბრუნდი უკან, ტვერის ქუჩაზე, პუშკინის ძეგლთან და მონასტრის გარშემო სროლა კიდევ იამოდა დროგამოშვებით. ეს იყო რვა დეკემბერს საღამოს. ცხრაში უკვე ფილიდანვე ბარიკადებით იფინებოდა მოსკოვის ქუჩები.

ამ დღეს სტამბაში მოგვიტანეს ასაწყობათ პატარა მოწოდებები,—სხვათა შორის ჯარის კაცების მიმართ, განსაკუთრებით ომიდან დაბრუნებულების. ეს უკანასკნელი თავდებოდა მოწოდებით, რომ ძიმხრობოდენ ისინი მუშებს, აეყარათ იარაღი კაზაკებისთვის, თუ ისინი წინააღმდეგობას გაუწევდენ—დაეხოცათ კიდევაც, როგორც ხალხის მტრები.

ეს ფურცლები როცა დაიბეჭდებოდა, მე უნდა წამეღო ისინი მდინარე მოსკოვის გაღმა უბანში, მაგრამ ათ დეკემბერს შეუძლებელი შეიქნა ტვერის ქუჩის გადაღმა გადასვლა. ქუჩებს ნაწილი კაზაკებს და მთავრობის სანდო ჯარის ნაწილებს ქონდათ დაპყრობილი, ნაწილზე კი ბარიკადები იყო გამართული და მუშებს ეპყრათ. ამ ქუჩებში სიცოცხლე სდუღდა და გადმოსდუღდა, იმ დროს, როდესაც ჯარის და კაზაკების მიერ დაპყრობილ ქუჩებში სიცოცხლე ჩამკვდარი იყო და გარეთ ვერავინ ბედავდა გაჩენებას.

რაღა ის ფურცლები ვერ წავიღე დანიშნულ ადგილას, გაღმა უბანში, ისევ მე თითონ დავდიოდი ქუჩებში და ვაწოდებდი ასობით რკინის გზის სადგურიდან მომავალ ჯარისკაცებს (ომიდან დაბრუნებულებს), რომლებიც დიდი ხალისით ღობულობდნენ მათ.

დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა ამ დროს მოსკოვის ქუჩები. მრავალ ანეკდოტისებურ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი.

მიდის მუშების ჯგუფი ხერხით და ნაჯახით ხელში. ამ წუთში გაათავეს მათ ერთი ბარიკადის აგება და ახლა მიდიან მეორე ადგილას სხვა ბარიკადის ასაგებათ. არავინ არაფითარ განკარგულებას არ აძლევს მათ. თითონ ერთმანეთშორის მოლაპარაკებით ადგენენ გეგმას და მოყავთ სისრულეში კიდევაც სად როგორი ბარიკადი ააგონ. ჩაუარეს საჩაიეს. გადაულაპარაკეს ერთმანეთს:

— მოდი ერთი ჩაი დაეღიოთ, გავთბეთს...

— კეთილი! გროშები გაქვს?..

— გვეყოფა, რაც მაქვს, თუ არ გვეყოფა—გვადროვებს, ჩემი ნაცნობია ნიკიტ ივანეს ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედიან მხიარულათ, ნაჩქარევათ შეხვრეპენ ცხელ ჩაის და ისევე მხიარულად, მაგრამ დინჯი საქმიანობის გამომეტყველებით, გაეშართებიან ქუჩის ბოლოსკენ. აქ უკვდა გადაიარონ ჯვარედინზე, მაგრამ არ იციან, თუ ეს ჯვარედინი ქუჩა ვის ხელშია—მუშების თუ ჯარის. ამიტომ ჩქარა გადარბენას ამჯობინებენ სათითაოდ მართლაც, ქუჩა თურმე ჯარს უკავია. ასტყდება შორიდან სროლა და დაუნდობელი ტყვია ერთ მათგანს მოხვდება ფეხში. ის, თითქოს აქ არაფერიაო, სიცილით ამბობს აკოჭლებული: „მიპწკინა ამ შეჩვენებულმა ბარძაყში!“ ამოეფარება კუთხეს, გაიხდის ფეხზე, იქვე შეიხვევს ჭრილობას ამხანაგების დახმარებით, ან საიდანღაც იყოს გამოჩნდებიან სტუდენტები და კურსისტკები მოწყალების და-ძმანი და მუშა ისევ განაგრძობს თავის საქმეს წინანდებურად მხიარულად, თუმცა სისხლის დაკარგვით სახეზე ნაკრის ფერი ადევს.

ტრამვაის ვაგონი, ტელეფონის და ფარანის ბოძები, შეშის ან ფიცრების საწყობები—ყველაფერი მიდის საქმეში. რამდენიმე საათში ბარიკადი მზად არის. იმ უბნის შეიარაღებული ახალგაზრდობა დგება მორიგ მცველათ ბარიკადზე. ხერხით და ნაჯახით შეიარაღებული მუშები კი მიდიან ახალი ბარიკადის ასაგებათ.

აგერ ჯვარედინი ქუჩა. ერთი აჯანყებულთ უპყრიათ, მეორე კი ჯარს—უმეტესად კაზაკებს. ჯვარედინზე გადასვლა სახიფათოა—სროლას ასტეხენ იმ წუთში კაზაკები, თუ ვინმეს მოჰკრავენ თვალს. მათ თოფები აქვთ, ბარიკადის მცველებს კი რევოლვერები. იარაღში დიდი უპირატესობა კაზაკებს ეკუთვნის, მაგრამ ბარიკადის იერიშს მაინც ვერ ბედავენ. სდგანან უსაქმოდ ორივე მოწინააღმდეგენი. ერთი ახალგაზრდა მუშა, რომელსაც მოსწყინდა უსაქმოდ დგომა, მხიარულად წამოიძახებს: „ის ძაღლები უნდა გავრეკოთ იქიდან“.

— როგორ, რა ნაირად?

— აბა დაეხმარეთ მე თქვენ და გიჩვენებთ როგორ! ხელად შეკრავენ რამდენიმე ჯოხებს, ჩაკეცვენ ძველ ტანისამოსს, დახურავენ ქუდებს და ამ საფრთხობელას მოხერხებულად ჩაასაფრებენ ჯვარედინ ქუჩაზე ისე, რომ კაზაკებს ჰგონიათ, თუ მათ წინააღმდეგ არიან ჩასაფრებული მუშები. ასტყდება სროლა, აქედანაც უპასუხებენ დრო გამოშვებებით. ჩასაფრებულ საფრთხობელებს კაზაკები ვერაფერს აკლებენ, თუმცა „პატრონებს არ ზოგავენ“ ტრეპოვის ბრძანების თანახმად. ბოლოს მათი მხრით სროლა ნელდება,—ეტყობათ, რომ პატრონები მართლა არ დაზოგეს. ამ დროს მოხერხებული მუშის ხელმძღვანელობით საფრთხობელები ნელნელა წამოიწევენ ზეზეთან მუშების მხრივ სროლა ცოტა გაცხოველდება, მარა კაზაკების მხრიდან კი თანდათან წყნარდება. ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ მათ პატრონები შემოელიათ. ეხლა საფრთხობელას მაგიერ თვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარიკადის მცველი მუშები წამოცვივდნენ და მიიტანეს იერიში კაზაკებზე, რომლებიც გარბიან უკან მოუხედავათ. ამნაირად მათი სიმაგრე აღებულია სრულებით უმსხვერპლოდ მუშების მხრივ.

ახალი სტრატეგია იქვე მუშავდება ბარიკადთან, ან რომელიმე გულკეთილ მეეზოვეს მიერ ეზოში გაჩაღებულ ცეცხლის პირას. ეს სტრატეგია არ ჰგავს ჯარის ხელმძღვანელების მიერ შემუშავებულს, — ის თავისებურია, რევოლიუციონური. რადგან მე არც ერთ ამ ჯგუფს არ ვეკუთვნი, ამიტომ თავისუფლად გადავდივარ ერთი ჯგუფიდან მეორესთან, ერთი ბარიკადიდან მეორეზე. ფურცლები თან მაქვს. დავარიგებ რამდენიმე ფურცელს და მიუხედავათ იმისა, რომ პირადათ არავინ მიცნობს, მაინც ნდობას ვიმსახურებ მათ თვალში. ბრძოლა თანდათან ჩაღდება, ისმის ზარბაზნების გუგუნიც. ქალაქი, ზოგიერთი მნიშვნელოვანი ადგილების გამოკლებით, თითქმის მთლათ აჯანყებულთა ხელშია, მაგრამ ნტერს ისეთი მინიშვნელოვანი ადგილები უკავია, რომ მეტად აფერხებს აჯანყებულთ საქმეს. ასეთია სმოლენსკის რკინის გზის სადგური და პუშკინის ძეგლთან ქალაქის თითქმის შუაგული ადგილი. ამნაირათ ტვერის ქუჩა გადაჭრილია მოწინააღმდეგის მიერ და მუშების ძალები დაქსაქსულია. არ არის მოქმედების ერთი გეგმა. იბრძვიან ისე, ვის როგორ ეხერხება და შეუძლია. ყველა რაიონს თავისი სამხედრო შტაბი ჰყავს და თავისი გეგმა აქვს. ერთმა რაიონმა არ იცის რა ხდება მეორეში.

საუცხოო წესრიგი არსებობს რაიონებში, არავითარ ძარცვაგლეჯას ადგილი არა აქვს. მიმოსვლა შეფერხებულია მხოლოდ იქ, სადაც მოწინააღმდეგენი პირის პირ დგანან. გამვლელმა იცის, სად შეიძლება გავლა და სად არა.

ზოგიერთ სახლებზე მოსჩანან წითელი ჯვარის ბაირაღები, სადაც შეიძლება დაჭრილების მიყვანა.

ასეთი დიდი სურათების მოწმე ვიყავი თერთმეტ დეკემბრის საღამომდე. აქ კი მიმუხთლა ბედმა.

შეღამების ხანს ჩემი ბინიდან, რომელიც მოთავსებული იყო დოღგორუკოვის და პალიხას ქუჩების კუთხეში, ბუტირკის ციხის პირდაპირ, — წავედი ჩვენ სტამბაში. ღესნოი ქუჩა დღე თავისუფალი მეგულებოდა. თუმცა ბუტირკის ციხესა და ჩვენ სტამბას შუა იყო „კონვოინი კამანდის“ სადგომი ბინა, მაგრამ ისინი არ იყვნენ გამოწვეული მთავრობისგან აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობის მისაღებათ და ამიტომ სრულ ნეიტრალიტეტს იცავდნენ, თუმცა თვით ციხეს ერთგულათ ყარაულობდენ, ქუჩაში გამვლელებს არას ეუბნებოდენ. ამიტომ მეც თამამათ მივდიოდი ღესნოი ქუჩაზე და არ მოვრიდებივარ „კონვოინი კამანდის“ ბინის წინ თავშეყრილ ჯარის კაცებს, რომლებიც ამ კომანდის ჯარის კაცებათ მივიღე. თურმე დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდომაში ვიყავი შესული: ესენი კაზაკები ყოფილიყვნენ. მიუახლოვდი მათ თუ არა,—მტაცეს ხელი და პირველად ყოვლისა მაუზერი ამომართვეს პალტოს ჯიბიდან. იმ დროს მაუზერის რეკოლვერი უცხო იარაღი იყო, ისიც უბრალო კაზაკის ან ჯარის კაცისათვის. მანახეს რა ეს საუცხოვო იარაღი, ერთ წუთში მასზე შეაჩერეს ყურადღება. მე ვისარგებლე ამ წუთით და ჯიბეში ჩარჩენილი ხუთი თუ ათიოდე პროკლამაციები ჯარისკაცების მიმართ, რომელიც თავდებოდა კაზაკების განიარაღების და საჭირო შემთხვევებში აბოხოცვის მოწოდებით, დავეუბნე მჯიღში და შეუმჩნეველად ჩაკაგდე თოვლში, იარაღის დათვალიერების შემდეგ ერთმა კაზაკთაგანმა მითხრა: ახლა წადიო; მაგრამ ეს ისეთი კილოთი იყო ნათქვამი და თოფი შექანებული, რომ მე ერთ წუთში გამიელვა აზრმა თავში,—თუ აქედან ფეხს გადავდგამდი, უსათუოდ ტყვიას მომაყოლებდნენ ზურგში. გაგონილიც მქონდა მომხდარ ასეთ ხშირ შემთხვევებზე. ამიტომ წასვლაზე უარი განვაცხადე. როგორც შევატყვე, კაზაკი მიხვდა, რომ მე მისი განზრახვა გავიგე, ერთი შემომიკურთხა და თან დასძინა: „სულ ერთია, ცოცხალი ვერ გადაგვირჩები, ხვალ აგაყუდებთ კედელთანო". ეხლა ყველა ჯიბეები გამიჩხრიკეს, ორი „ობოიმა" პატრონებიც მინახეს, მაგრამ, საბედნიეროთ, ფურცლების თოვლში ჩაგდება კი შეუმჩნეველი დარჩათ. ის ფურცლები რომ ენახათ, რა თქმა უნდა, ხვალისთვის „კედელზე ასაყუდებელად" აღარ შემომინახავდნენ. ჯიბეში სამ თუმნამდე ფული მქონდა; იმდენი სინდისიანობა კი გამოიჩინეს, რომ დაუთვლელათ შუაზე გამიყვეს,—მეტი არ მოგინდებაო და გამისტუმრეს იქვე ბუტირკის ციხეში. ამნაირად, რამდენიმე წუთში ორჯერ გადავრჩი სიკვდილს: ერთი, რომ ფეხი არ მოვიცვალე, თორემ უსათუოდ მომაყოლებდენ ზურგში ტყვიას, მეორე—პროკლამაცია რომ მოხერხებულად ჩავაგდე თოვლში.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბათუმში პოლიციმეისტერთან და ბოქაულის უბანში რამდენიმე საათის გატარებას და ოზურგეთში ნახევარ საათზე ცოტა მეტს,—ეს იყო ჩემი ციხეში პირველად ჯდომა, თან ისეთ სერიოზულ პირობებში, რომ მეც ეჭვი აღარ შემდიოდა იმაში, რომ „ხვალ კედელთან გამაჩერებდენ". კავკასიელ რაზმს, რომელიც მაქსიმ გორკის გარშემო იყარდა თავს, უკვე სახელი ჰქონდა განთქმული. მეც კავკასიელი, მაუზერით ჯიბეში, ბუტირკის ციხესთან, რომელზედაც უნაყოფო თავდასხმა უკვე იყო მოხდენილი, ყველაფერი ესენი ამბობდნენ ჩემს წინააღმდეგ. თან სხვის გვარზედაც ვცხოვრობდი მას შემდეგ, რაც ბაქოში ჯაშუშმა ჩამსდია და გავეპარე შემახინკაზე, ვისარგებლე რა თითრების მოედანზე ბაზარში აუარებელი ხალხის თაყვრილობით. თუნცა პასპორტი გარეგნულათ კარგად შედგენილი მქონდა გიორგი ალექსანდრეს ძე ზარდიაშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის, განჯის მცხოვრების სახელზე, მაგრამ ასეთი პირი არც განჯაში და არც კახეთში,—ზარდიაშვილების ქვეყანაში,—არ არსებობდა.

ციხეში შემოყვანეს ცალკე კამერაში. ჩემი მიყვანა ხელად გაიგეს სხვა ტუსაღებმა და ფანჯრებიდან თუ აივანში კარების ჭუჭრუტანებიდან ხმა მაღლა გამოძახილით დამიწყეს გამოკითხვა, თუ ვინ ვიყავი და სად დამიჭირეს. ჩემ გვერდზე ყველა კამერების ტუსაღები აღმოჩნდნენ „ფიდლეროველები“.

მოსკოვში ფიდლერს ჰქონდა კერძო სასწავლებელი. ამ სასწავლებელში აჯანყების პირველ დღეებშივე ესერების შეიარაღებულ ახალგაზრდათა ჯგუფი ჩასაფრებულიყო და გაემართა სამხედრო შტაბი, მაგრამ ცხრა დეკემბრისავე ამ სკოლას ალყა შემოარტყა ჯარმა, დაუშინა ზარბაზნები და ჯგუფი—ოთხმოცდა ათ კაცამდე დატუსაღებულ იქნა. ამ ჯგუფს დარჩა „ფიდლეროველები , რადგან უმრავლესობა ამ სასწავლებლის მოწაფეები იყვნენ. შემდეგში იმათგან გამოვიდნენ მემარცხენე ესერები, ანუ ანარქისტ-სოციალისტები, რომლებიც ოპოზიციაში ჩაუდგნენ ესერების ცეკას და წვრილმან ექსებს აწყობდნენ.

თერთმეტ დეკემბერს საღამოს დამატუსაღეს მე. ბრძოლა კი გრძელდებოდა გაცხარებით ჩვიდმეტ დეკემბრამდის,—თვრამეტში უკვე გაზეთები გამოვიდნენ, რომლებიც არ გამოდიოდნენ აჯანყების პირველ დღეებიდანვე. ცხრამეტში კი აჯანყება სრულებით ჩაქრობილ იქნა.

მოსკოვის აჯანყების ჩაქრობის მიზეზების შესახებ ბევრი თქმულა სხვა და სხვა აზრი. მათ შორის ყველაზე უფრო სწორად მე მიმაჩნია შემდეგი მოსაზრება: მაშინ კიდევ არ იყო მუშათა კლასის ძალა-რბილში კარგად გამჯდარი ერთი მეორის მიმართ სოლიდარობა. მოსკოვის აჯანყებას არამც თუ მხარი არ დაუჭირეს დანარჩენმა მუშათა ცენტრებმა, საიდანაც მთავრობას საშვალება მიეცა ჯარები მოეხსნა და გადაეჯგუფებია მოსკოვის რაიონში, არამედ თვით მოსკოვშიც კი ბრძოლას უალრესად პარტიზანული ხასიათი ჰქონდა. რომელიმე რაიონს რომ გაემარჯვებინა, ის არ ფიქრობდა თავისი ძალაუფლების გავრცელებას სხვა რაიონებზე, ან საზოგადოთ ძალა უფლების ხელში ჩაგდებაზე. აჯანყებას თითქოს არც კი ჰქონდა მიზნად დასახული მთავრობის ჩამოგდება და მის ალაგას სხვა მთავრობისთვის გზის გაკაფვა. აჯანყებულების მიზანი იყო თითქოს არსებულ მთავრობისთვის „ჭკუის სწავლება“ („проучить“) და მეტი არაფერი. იყო ისეთი მუშათა რაიონები, სადაც აჯანყების მსვლელობის დროს მთავრობის აპარატი აღარ არსებობდა, მაგრამ მის მაგიერ არავინ არ ჩამდგარა აპარატის სათავეში. ასეთი რაიონები არც კი ფიქრობდნენ იმაზე, რომ დახმარებოდნენ სხვა რაიონებს და საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალით გადასულიყვნენ შეტევაზე საერთო მტრის წინააღმდეგ. ხშირად ასეთ გამარჯვებულ რაიონებში გაიგონებდით გულუბრყვილო სიცილს დამარცხებულ რაიონების მიმართ: „აი ის ფინაჩები, ისინი, მიბიგვეს კარგად სალდათებმა და კაზაკებმა,—ტყუილა ტრაბახობდნენ, ჩვენებ ყოჩაღები რომ არ არიან, განა ამდენ ხანს არ იკოდნენ ესო!“... იმაზე კი არ ფიქრობდნენ, თუ დღეს ისინი მიბეგვა კაზაკებმა, ავალ მათაც ის დღე მოელოდათ და რომ ეს არ მომხდარიყო, ამისთვის მიბეგვილების დახმარება იყო საჭირო.

მოსკოვის აჯანყება—ეს იყო პირველი აღლუმი რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლის ველზე. როგორც აღლუმის დროს ჯარი იბრძვის ცარიელი ზარბაზნებით და დაჩლუნგებული ხმლებით, ისე მოსკოვის აჯანყების დროს პროლეტარიატი იბრძოდა სავარჯიშოთ. ხიშტზე გადასვლას, პირისპირ შეტაკებას, ხელჩართულ ბრძოლაში გადასვლას ადგილი არც კი ჰქონია. ებრძოდენ ერთმანეთს შორიდან არა იმ მიზნით, რომ დაეხოცათ, არამედ „ჭყუა ესწავლებიათ“.

მთავრობას ამიტომ არ გაუძნელდა ასეთი დიდი აჯანყების ჩაქრობა რამოდენიმე დღეში. ციხე გაიესო ტუსაღებით. შედარებით ძალიან თავისუფლად ვიყავით აჯანყების მსვლელობის ხანაშიც. ციხის ადმინისტრაცია ალბათ არ იყო დარწმუნებული მეფის მთავრობის გამარჯვებაში და ამიტომ არ ღებულობდა ჩვენს წინააღმდეგ რეპრესიულ ზომებს, შემდეგ კი ჩვენც შეეჩვიეთ და ადმინისტრაციაც ერთნაირ რეჟიმს და ამიტომ აჯანყების ჩაქრობის შემდეგაც ცვლილება თითქმის არაფერი მომხდარა. გაზეთებს თითქმის დაუბრკოლებლათ ვღებულობდით მუდამ.

აჯანყების ჩაქრობისთანავე ციხეში მოვიდა რამდენიმე გამომძიებელი პროკურორის თანხლებით და ჯგუფობით გამოგვიძახეს ჩვენების ჩამოსართმევად. ერთ გაძახილ ჯგუფში მიც მოვხვდი, მაგრამ გამოირკვა, რომ გამოძიება მხოლოდ „ფიდლეროველებს“ ეხებოდა და სხვას არა.

ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე ხანი, მაგრამ არავინ არაფერს კითხულობდა ჩემს შესახებ.

მე უკვე გავმართე მიწერ მოწერა საიდუმლოთ. ბაქოში ბუფეტი ჰქონდა ჩემ მეზობელ ვაჩეშვილს. იმას მივწერე, რომ ვინიცობაა ჩემი სურათი გაჩვენოს ჟანდარმებმა, ან პოლიციამ, არამც და არამც არ თქვა, რომ მე თოდრია ვარ, არამედ თქვი, რომ გიორგი ზარდიაშვილი არის თქო. აგრეთვე მივსწერე წერილი იქვე ლვინის საწყობი „ალაზანის“ გამგეს, თავად ჯორჯაძეს, რომელიც გაეცანი ბაქოში, რომ ისიც ასე მოქცეულიყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ გამომიძახა გამომძიებელმა. გამოკითხვის დროს მივხვდი, რომ არაფერი არ იცოდა მან, თუ როდის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა პირობებში ვიყავი დატუსაღებული, რადგან დატუსაღების დროს არავითარი ოქმი არ შეუდგენიათ—ამისთვის არავის სცხელოდა მაშინ!

ამ გარემოებამ საშვალება მომცა მომეჩამახა გამომძიებლისთვის რაც მინდოდა. თან ვერ შევამჩნიე ჩემი მაუზერი გამომძიებლის ოთახში, რომელიც როგორც ნივთიერი საბუთი, აქვე უნდა ყოფილიყო. გამომძიებელმა არც კი იცოდა, თუ მე კაზაკებმა მაუზერი წამართვეს. მე ხომ ამას აღარ გავამხელდი მის წინაშე!

ჩემი ვინაობის გამოსარკვევათ მიუთითე ბაქოში ზემოხსენებულ ვაჩეიშვილთან და ჯორჯაძესთან, რომლებიც სრულებით სანდო პიროვნებას წარმოადგენდენ გამომძიებლისთვის. „სამშობლო“ განჯის შესახებ ვსთხოვე, გამომძიებელს, რომ იქ არ შეკითხებოდა, რადგან მოხუცი დედა მყავდა თითქოს იქ, რომლისთვისაც საშინელება ამბავი იქნებოდა ერთად-ერთი შვილის დაჭერის გაგება და რომელიც ვერ გადაიტანდა ამ დარდს. როგორც სჩანს, გამომძიებელმა დამიჯერა ყველაფერი და მართლაც ისე მოიქცა. ბაქოდან ვაჩეიშვილის და ჯორჯაძის მიერ პასუხის მიცემის შემდეგ ივლისის შუა რიცხვებში გამანთავისუფლეს ბუტირკის ციხიდან ყოველივე უშედეგოთ.

გამოვედი და ისევ იმავე ზარდიაშვილის გვარზე დავიწყე ცხოვრება ძველსავე ბინაზე.

ეს იყო 1906 წლის ზაფხულში, როდესაც პირველი სახელმწიფო სათათბირო უკვე გარეკილი იყო და სტოლიპინის რეაქცია ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა.

ციხეში ესერებს შორის ვიმყოფებოდი, რომლებიც ოცნებობდნენ: აი გაზაფხულზე გლეხები მიწის თესვას რომ მოჭკიდებენ ხელს, მაშინ აჯანყდებიან და დაირიგებენ დასათეს მიწებსო. გაზაფხული რომ გავიდა და გლეხები არ აჯანყდნენ, შემდეგ ამბობდენ: აი ჰურს როცა მომკიან და სამუშაოს მორჩებიან, —მაშინ აჯანყდებიანო, მაგრამ ზაფხულიც გავიდა და გლეხები სდუმდნენ.

ციხიდან რომ გამოვედი გარეთ, შემდეგი სურათი დამხვდა: მენშევიკებს ისევ მოეკიდნათ ხელი თავიანთი ძველი, ჩემ მიერ ბათუმის ხანის აღწერაში მოყვანილ ხელობისთვის: საღამოს და კვირა-უქმეების კურსებზე მუშების განათლებისთვის. ესერები ან ოცნებობდნენ აი შემოდგომაზე მაინც აჯანყდებიან გლეხებიო, ანა და საექსოთ პატარ-პატარა პარტიზანულ ჯგუფებს აწყობდნენ, რომელთა მოქმედებები იმდენად წვრილმანდებოდნენ, რომ ერთხელ რომელოაც აგარაკზე მოსკოვის მახლობლად მოჭკლეს დედაბერი, რომელსაც ხბოლოდ ოთხი აბაზი აღმოაჩნდა. ჩვენნი, ბოლშევიკების რიგები ყველაზე უფრო დაზიანებული იყო, როგორც უფრო მომქმედი ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის, მაგრამ მაინც მეტი სიმტკიცეც გვქონდა შენარჩუნებული და იარაღის დაყრას არ ვეპირებდით ასე ადვილათ.

შემოდგომისთვის განვიზრახეთ სტამბის ისევ ამუშავება, რომელიც უმოქმედოთ იყო ერთხანს. სტამბის გარშემო ეხლა დარჩენილი იყვნენ: გ. სტურუა, ს. იაშვილი და ს. კობიძე, რომელთანაც განწყობილება გამწვავებოდათ გიორგის და სანდროს. ჩემი ციხიდან გამოსვლის შემდეგ გადავსწყვეტეთ კობიძე გაგვეშვა სამშობლოში და სტამბას ჩვენ ჩავდგომოდით სათავეში. კობიძის გაშვება იწვევდა სტამბის სხვა ალაგას გადატანას. ასეც მოვიქეცით. სტამბა ავალაგეთ და მივიტანეთ ერთ-ერთ საქონლის საწყობში შესანახათ. კობიძე კი გამოვისტუმრეთ კავკასიაში. შემდეგ როდესტვენის ბულვარის გასავალთან ვიქირაეთ შენობა, გავხსენით იქ სავაჭრო მაღაზია იმავე „კავკასიელი საქონლებისა", ჩავაყენეთ შიგ მოვაჭრეთ ანბ. იაგუბოვი და მე და გიორგი შეუდექით მუშაობას მაღაზიის ქვეშ სარდაფში გამართულ სტამბაში. ს. იაშვილი ამ დროს დატუსაღებული იქნა შემთხვევით სტამბის გარეშე.

მუშაობა გავაჩაღეთ, მაგრამ ცხოვრების პირობები მეტად ძნელი გვქონდა. პარტია ვერ ვეაწვედდა სარჩოს თავის დროზე და საკმაოდ. იაგუბოვი კი ისეთი გამოცდილი „ვაჭარი" იყო, რომ დუქანი ზარალის მეტს არაფერ ხეირს გვიტოვებდა.

ხშირად მთელი დღეები მარტო პურით და ჩაით გავდიოდით.

ეს გარემოება გვაიძულებდა გვეფიქრა სხვა რაიმე საშვალებაზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ხანდახან მე ლეგალურ სტამბაში დავდიოდი დროებით სამუშაოდ.

ბუტირის ციხეში ჯდომის დროს 1905—1906 წელში გავეცანი იქ ანარხისტ ზავიალოვს და დავმეგობრდით. ეს მეგობრობა არ შეგვიწყვეტია ციხიდან გამოსვლის შემდეგაც.

თუმცა მან არ იცოდა ჩვენი სტამბის არსებობა, მაგრამ მიმხვდარი იყო, რომ მე ახლო დამოკიდებულება მაქვს არალეგალურ ლიტერატურის ბეჭდვითი საქმესთან.

და აი ერთხელ მან ანარქისტების სახელით მომმართა წინადადებით, რომ დამბეჭდა მათი პროკლამაცია.

ვიქონიე ამის შესახებ მსჯელობა გიორგისთან და მივიღე მისგან დასტური. გაურიგდით ანარქისტებს ოცდა ხუთ მანეთად. თან ერთნაირი ცენზორული უფლებაც დავიტოვეთ: თუ პროკლამაცია არ მოგვეწონებოდა, ან ბოლშევიკების საწინააღმდეგო იქნებოდა—არ დავბეჭდავდით.

გადავსწყვიტეთ, რომ იაგუბოვისთვის არაფერი გაგვეგზილა, თორემ შესაძლებელი იყო, რომ მას, როგორც ჩვენზე უფრო პრინციპების წმინდათ დამცველს, უარი განეცხადებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკლამაციის აწყობა ისე, რომ იაგუბოვს არ გაეგო, ადვილად შეგვეძლო, მაგრამ მისდა გაუგებრად დაბეჭდვა შეუძლებელი იყო. მას ესმოდა საბეჭდავი მანქანის ხმა და აგრეთვე იცოდა, როგორც კორექტორმა, თუ როდის რას ვბეჭდავდით.

ამიტომ გადავწყვიტეთ: გიორგი შეუმჩნევლად დარჩებოდა ღამით სარდაფში, დაბეჭდავდა პროკლამაციას და დილით ისევ შეუმჩნევლად გამოცხადდებოდა.

ეს გადაწყვეტილება იმავე საღამოს მოხერხებულად მოვიყვანეთ სისრულეში.

საბეჭდავი სულ რამოდენიმე საათის საქმე იყო.

გაათავა თუ არა გიორგიმ ბეჭდვა, შეძვრა იქვე მიხრონგვილ ყუთებში და ტკბილად დაიძინა.

დილით, როდესაც გაღაო იაგუბოვმა დუქანი, რატომღაც დასჭირდა მას სარდაფში ჩასვლა. კარების გაღების ხმაურობაზე გიორგის უცებ გამოეღვიძა და შემკრთალი ზეზე წამოიჭრა. მიარონგვილი ყუთები შეინძრენ და გადმოცვივდნენ. ბნელ სარდაფში არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა უსინათლოდ. იაგუბოვი შეკრთა სარდაფში ასეთი ხმაურობით. დაახეთქა კარები და გაფითრებულმა უკანვე შემოირბინა დუქანში. ამ დროს მეც მივედი და გავსწვე სარდაფისკენ,—ვითომ აქ არაფერი ამბავია. შევამჩნიე, რომ მიმავალს გაშტერებული თვალები გამაყოლა უკან იაგუბოვმა. მე გამიელვა თავში აზრმა: ალბად, მიმხვდარია ჩვენს საიდუმლოებას მეთქი. სარდაფში გიორგიმ ჩუმი სიცილით მიამბო, რაც მოხდა.

მე ამოვედი ზევით, მაგრამ იაგუბოვი დამშვიდებული გაზეთს კითხულობდა. ამ დროს გიორგი ჩუმად გაიპარა უკანა კარებში და წინიდან შემოვიდა, თითქოს სახლიდან მოვიდა სიცივით გათოშილიო.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ იაგუბოვი ვერაფერს ხვდებოდა. ხმაურობა სარდაფში ალბად თაგვებს თუ მიაწერა.

იმ დღესვე ჩავაბარეთ „ზაკაზი“ ანარქისტებს და მივიღეთ ფული.

საღამოს მადიანად შევექცეოდით სამ მანეთიან ვახშამს გ. მენაბდესთან ლეონტიევის შესახვევში. იაგუბოვიც ჩვენთან იყო, რომელსაც აქ ვუამბეთ ყველაფერი. ის გულახდილად გამოტყდა, რომ დილით კინაღამ შიშით გული გაუსქდა, როდესაც ბნელ სარდაფში მოულოდნელად ხმაურობა მოესმა.

მეორე სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების მონაწილეობის მისაღებად ვემზადებოდით. სტამბაში სამუშაო ბევრი გვქონდა. მოვთხოვეთ ორგანიზაციას დამხმარე კაცი. გამოგვიგზავნეს ერთი, რომელსაც თურმე სმა უყვარდა. იაგუბოვმა შეამჩნია ეს და იძულებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ვიყავით გაგვეშვა, თუმცა ასეთი გაშვება კაცის არალეგალურ სტამბიდან არ იყო სასურველი: დაიწყებდა ლაპარაკს, იმხანაგებში,— არა ცუდი განზრახვით, რა თქმა უნდა.

შემდეგ გამოგვიგზავნეს მეორე, ეს თუმცა არ სვამდა, მაგრამ კონსპირაციის ნაკლებათ დამცველი გამოდგა. მან ვერ მოიშალა ამხანაგებში სიარული, რაც დაუშვებელი იყო, თან მომღერალთა გუნდში ნამყოფი გამოდგა, ხმაც კარგი ჰქონდა; გადაავიწყდებოდა ხოლმე თუ სად იმყოფებოდა და ისეთი მაღალი ხმით შემოსძახებდა ზოვჯერ სიმღერას, რომ აღშფოთებას იწვევდა ჩვენში. თან დუქანში საქონელი შემოგველია. ახალის საყიდლათ ორგანიზაციამ ფული ველარ მოგვაწოდა. ყველა ამან იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ დიდხანს ველარ ვიარსებებთ ასეთ პირობებში მეთქი, ამიტომ გადავსწყვიტე და ვამჯობინე კიდეც გაცლა დროზე. გამოვითხოვე პეტერბურგში წასვლის ნებართვა, რომელიც მივიღე გაუჭირვებით. გიორგი თუმცა მისაყვედურებდა, რატომ მტოვებ მარტოსო, მაგრამ მე მოვაგონე ბაქო, როდესაც მან დამტოვა და აღარაფერი ეთქმოდა.

1907 წლის თებერვლის დამლევს წავედი პეტროგრადში, სადაც მეგულებოდნენ ვანო ბოლქვაძე, ლადო დუმბაძე, უშანგი ჯაში, მაკარი გოგუაძე ცოლით, აბელი და სიმონ ენუქიძეები და ვანო სტურუა, მაგრამ არც ერთი ისინი აღარ დამხვდენ იქ, რადგან ლეგალური მუშაობა უკვე შეუძლებელი გახდა და გაზეთებს ზედიზედ კეტავდა მთავრობა, ამიტომ ისინი გადასულიყვნენ ფინლიანდიაში, ვიბორგში და იქ ლეგალურ სტამბაში ბეჭდავდენ არალეგალურ პარტიის ცენტრალურ ორგანოს «Пролетарий»-ს.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
№
ПИМ ВАШКОЛЬЕ, РАБОТНИКА

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. მირზაბეკ

ჩემი მოგონება

მე დავიბადა 1883 წელს შორაპნის მაზრის ს. წირქვალში, ღარიბ გლეხის ოჯახში: მამა ჩემი მიწის მუშა იყო, მაგრამ უმიწობის გამო ხშირად სოფლად დალაქობას ეწეოდა. სიღარიბის გამო მამა ჩემი სწავლაზე სრულიად არ ფიქრობდა. შვიდი წლიდან მე ვაძოვებდი ძროხას და ერთ ხარს. ეს იყო მამის მთელი სიმდიდრე.

რადგანაც ძალიანი მინდოდა წერა-კითხვის სწავლა, მე მიმაბარეს სოფლის სკოლაში. მაგრამ მასწავლებელი უხეირო გამოდგა. ის გართული იყო ლოთობაში, სკოლისათვის მას არ ეცალა, ამიტომ იმასთან ვერაფერი შეეისწავლე. როცა ათი წლისა გავხდი, მიეჭირავე სოფლის მეჯოგეს მწყემსად მთელი ზაფხული 3 მანეთად. აღებული ფულით ვფიქრობდი წერა-კითხვის შესწავლას. ბიძის დახმარებით წამოვედი ტფილისში, სადაც ბიძამ მოსამსახურედ დამაყენა ერთ მედავითნესთან იმ პირობით, რომ მას ჩემთვის ცოტათი წერა-კითხვა ესწავლებია.

დავიწყე მუშაობა იმ იმედით, რომ მედავითნე წიგნებს მიყიდდა, წერა-კითხვას დამაწყებინებდა, მაგრამ ჩემი იმედები არ გამართლდა. შვიდი თვე მამუშავა და სწავლაზე კი სრულიადაც არ უფიქრია.

თავი მივანებე მედავითნეს და ბიძისვე საშუალებით დავდექი ერთ მოხელესთან, რომელიც შემპირდა მომზადების შემდეგ სახელოსნო სასწავლებელში მიგაღებინებო, მაგრამ დაპირება აქაც მხოლოდ დაპირებად დარჩა. ერთი წლის შემდეგ იმასაც მივანებე თავი. მიუხედავათ ასეთი მონდომებისა მიზანს მაინც ვერ მივაღწიე. ჩემი მიზანი იყო ჯერ წერა-კითხვის შესწავლა, შემდეგ ხელოსანთან შეგირდათ დადგომა. მაგრამ ეს ვერ მოვახერხე. დავდექი ხელოსანთან წერა-კითხვის უცოდინარი. ხელოსანი, როგორც შეგირდს, დღეში ორ შაურს მაძლევდა. მასთან დავრჩი დაახლოვებით ექვსი თვე. ვხედავ, რომ აქაც არ არის ხეირი. ნაცნობ-აშხანაგების დახმარებით გადავდიეარ ქვის მთელელის სახელოსნოში. აქ ხელობის შესასწავლად საჭიროა 4 წელიწადი. შეგირდობა უსასყიდლოა. ამ ოთხი წლის განმავლობაში მე დიდი გაჭირვება გადავიტანე, აღა მამუშავებდა დაუსვენებლად დღითა და ღამით. არ მეძლეოდა საკმაოდ საჭმელ-სასმელი, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქონდა ტანისამოსი და სხ. ამ დროს მე 19 წლისა ვიყავი. ამ ხანებში შევისწავლე წერა-კითხვაც.

ერთხელ ალამ გამგზავნა ალიბასტრის სასყიდლად სადგურის ახლო, სადაც ნახულმა ერთმა სოფათმა ძალიან დაშაფიქრა. იყო ზამთარი, თოვლი. რკინის გზის უფროს ხელოსანს დაეჭირავებინა მუშები, რომელთაც ემუშავნათ მთელი დღე და ფული კი ვერ აელოთ. შეკრებილი მუშები ყვიროდენ, მოითხოვდნენ ფულს. უფროსი მიმალულიყო. ამ ამბავმა დამაინტერესა: გამოვკითხე მუშებს ყველაფერი.

მე მაინტერესებდა პოლიტიკური საკითხები, თუმცა არავითარი გაგება არ მქონდა; მხოლოდ ინსტიქტიურად ვგრძნობდი საშინელ უკანონობას, მუშათა უფლების ფეხ-ქვეშ გათელვას, რომ მუშისთვის არ არის არც სამართალი, არც კანონი.

ვიდრე გავიდოდა შეგირდობის ვადა, ალამ დამნიშნა უფროს მუშად. თვეში დამინიშნა 10 მანეთი. უფროს ხელოსნებში ამ დროს სწარმოებდა პოლიტიკური მუშაობა, წრეში მეც ვღებულობდი მონაწილეობას, თუმცა არ მესმოდა რაში იყო საქმე. ასე გავატარე 1901 წლამდე. 1901 წელს პირველ მაისს იარმუკაში მომხდარ გამოსვლებში ჩვენ მონაწილერბა მივიღეთ, თუმცა საუნებით გარკვეული არ გვქონია საქმის ვითარება.

1902 წელს ჩვენს სახელოსნოში მოვაწყვეთ მოსამზადებელი პოლიტიკური წრე, რომელშიაც შედიოდნენ ჩემთან ერთად გიორგი ელიავა, ნოზაძე, ტყემალაძე, გარსო და სხვები.

1902 წლის ოქტომბერში სალდათად გამიწვიეს. დამტოვეს ქუთაისში და რადგანაც ფეხი მტკიოდა, მომათავსეს საავადმყოფოში. იქ გავეცანი ერთ ჯარისკაცს ვანკა სკობელევს. ის იყო ბათუმიდან, ცოტათი ქართული იცოდა. დამიწყო ლაპარაკი პოლიტიკაზე, მომაგონა ტფილისის ამბები, პირველი წითელი დროშის აფრიალება იარმუკაში და ტფილისის დეპოში მომხდარი გაფიცვები და შემეკითხა: შენ სად იყავი მაშინო, მე ჯერ არაფერი ვუთხარი, შემდეგ თანდათან შევეჩვიეთ ერთმანეთს. მიამბო, თუ როგორ მუშაობენ ბათუმში და სხ. ამან ძალიან დამაინტერესა. დავუახლოვდით ჯარისკაცებს; მან დაიბარა ერთი ჯარისკაცი ფოთის პოლკიდან და გამაცნო. ეს ჯარისკაცი იყო ბორის დუხონინ ეკატერინოსლაველი. ის ზეპირ პროპაგანდას ეწეოდა. მოდიოდა ჩვენთან ერთი ახალგაზრდა, გვარად აბულაძე. 1903 წელს ის გვაწვდიდა ფურცლებს, რასაც ჩვენ ვავრცელებდით. დაბოლოს ჩვენ აგვიკრძალეს ყაზარმებიდან გამოსვლა, მაგრამ ჩვენი ტრანსპორტიორი მოიტანდა ფურცლებს ყაზარმის ეზოსთან და ლობესა და ნაგვის ყუთის შუა შეინახავდა. შემდეგ ყაზარმის ახლო მდებარე ქუჩიდან სტვენით გვაცნობებდა; საღამოს „პროვერკის“ შემდეგ გავინაწილებდით ფურცლებს. ზოგს ბალიშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეშ შემოვიდებდით ფურცლებს, რამდენიმე ფურცელს ისე მოვფენ-ტავდით. ერთხელ ჩემს გვერდით მწოლარეს ყველას ჩავუდე ფურცელი ბალიშს ქვეშ, ერთი ჩემთვისაც დავდე. ერთმა, რომელმაც პირველად აფერთხა ლოგინი, იპოვა ფურცელი. გაუკვირდა—მე არ მჭონია და საიდან გაჩნდაო. წამოხტა ერთი ხულიგანი სალდათი და პირველს დაუწყო დავა. ერთს კიდევ აღმოაჩნდა ფურცელი. თითონ ხულიგანმა გასინჯა თავისი სასთუმალი, იქაც აღმოაჩნდა ფურცელი. ყველაფერი ეს მესმის, მაგრამ თავი მოვიმძინარე. მოიტანეს ჩემზე ეჭვი და მიყვირეს: ეი გრუზინ, ვსტან! მე გავიშმუშნე და გვერდი ვიცვალე, გადამხადეს საბანი და ბალიშის ქვეშ ნახეს ერთი ფურცელი გაეფანტათ ჩემზე ეჭვი. თითქმის ყველას აღმოაჩნდა თითო ცალი ფურცელი. ამის გარდა, გარეთ, კიბეზედაც ნახეს, გაიგეს, რომ სხვა ყაზარმებშიაც გაევრცელებიათ. ამის შემდეგ მთელ ქუთაისში ყაზარმები შეკრეს ისე, რომ აღარავის უშვებდენ არც შიგ, არც გარეთ. ბათუმიდან ჩამოსულმა გიორგი ელიავამ მინახულა. მოვიდა ისე, როგორც ჩემი ძმა, ვითომ დედაჩემს გამოეგზავნოს. გიორგიმ სთხოვა უფროსს, რომელმაც ნება დამრთო გავყოლოდი მას ქალაქში. ქალაქში ჩვენ შევძელითო ზოგიერთი ამხანაგების შეკრება. აქ გიორგიმ გაგვაცნო ბოლშევიკ-მენშევიკებს შორის მომხდარი განხეთქილება. გიორგი თუმცა თავგამოდებული რევოლიუციონერი იყო, პრაქტიკულ საქმეებში ყოჩაღი, მაგრამ თეორიაში სუსტი იყო. ამიტომ მომხდარი განხეთქილების შესახებ ჩვენს შეკითხვებზე ვერ გვიპასუხა: მენშევიკები მოითხოვენ, რომ თვითმპყრობელობის ჩამოგდების შემდეგ ბატონობა ბურჟუაზიას მივსცეთ, სანამ მუშები მომზადდებოდნენო. ბოლშევიკები მოითხოვენ, რომ თვითმპყრობელობას მივაყოლოთ ბურჟუაზიაც, თორემ თუ ის გამაგრდა, მისი ჩამოგდება უფრო ძვირი დაგვიჯდებაო. ასეთი იყო მაშინ მისი განმარტება პარტიული უთანხმოების შესახებ. მე მივემხრე ბოლშევიკურ მიმდინარეობას.

ჯარში ამხანაგების დახმარებით მე გადავედი მუსიკის კამანდაში. მუსიკა ადრე შევისწავლე. გაგვაგზავნეს ფოთში. იქ დავუახლოვდით „პორტის“ მუშებს და შეძლებისამებრ განვაგრძეთ მათში მუშაობა. ფოთიდან გაგვაგზავნეს სოჩაში. დაებრუნდით ისევ ქუთაისში და განვაგრძეთ მუშაობა ძველებურად. 1904 წელში ჩამოვედით ტფილისში. მოვნახე ძველი ამხანაგები: ამხ. გიორგი ელიავა ტრამვაის ლიანდაგზე მუშაობდა. ელექტრონის ტრამვაისთვის აგებდენ მაშინ ლიანდაგს. აქ წრეში ვმეცადინობდით საღამოობით და დღე—კვირაობით. გავდიოდით ერუფურტის პროგრამას, ვკითხულობდით „ოთხ ძმას“ და სხვა არალეგალურ ბროშიურებს. წრის შესაკრები პუნქტი იყო მიხას სარდაფთან. მოდიოდნენ მ. ბოჟორიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზ. ჩოდრიშვილი. ესენი ხელმძღვანელობდნენ წრეს. ჩემს ამხანაგებს გავაცანი ვანკა სკობელევი, გიორგი ელიავას ოთახში. მოხსენება გაკეთა ა. წულუკიძემ. შემოდგომაზე ჩვენ ისევ ქუთაისში დავბრუნდით.

ჯარში იმ დროს კარგათ მიმდინარეობდა ომის საწინააღმდეგო მუშაობა. 1905 წ. გაზაფხულზე ჯარში მუშაობა გაცხოველდა. ამ დროს გარდაიცვალა ამხ. წულუკიძე. შეგვატყობინეს, რომ ჯარისკაცებს მიგვეღო მონაწილეობა გასვენებაში თუ ჯგუფ-ჯგუფად აა, თითო-თითოდ მაინც. გაგვიგეს, გენერალ გუბერნატორმა გასცა განკარგულება, რომ ჩავეკეტეთ ყაზარმებში. ასეც მოხდა. არც ერთი ჯარის-კაცი და კაზაკი არ გამოუშვიათ ამ დღეს გარეთ, სანამ არ გაასვენეს მიცვალებული. ყაზარმის ახლოს ცხოვრობდა მკერვალი ისაკაძეს ქალი, რომელმაც გვაშოვნა ჩოხები ხუთ კაცს. და მხოლოდ ჩვენ, გ. დაცმულებმა, მივიღეთ მონაწილეობა და გავყევით პროცესიას ხუთ ვერსამდის. მოდიოდა კოკისპიოული წვიმა. როდესაც ქალაქში დავბრუნდით, წვიმა აღარ იყო. ჯარისკაცებიც გამოუშვათ.

როცა დარწმუნდენ, რომ ჯარში მუშაობა სწარმოებდა (იმ დროს ერთი პოლკოვნიკიც კი მოჰკლეს გადაცმულმა ჯარის-კაცებმა) მთავრობამ გადასწყვიტა ფოთის პოლკის სხვაგან გადაყვანა. ეს გაიგო მთელმა ქუთაისმა. გავრცელდა ხმები, რომ რკინის გზის აყრას აპირებენო. ჩვენც დავდიოდით ჯარში, ვეწევოდით აგიტაციას. ვეუბნებოდით ჯარის-კაცებს: ხალხს ჩვენთვის კარგი უნდა, მთავრობა გვასახლებს აქედან, გვატყუილებს ვითომ სპარსეთის საზღვარზე გვაგზავნის. ნამდვილათ კი მანჯურიაში გვაგზავნიან იაპონელებთან საბრძოლველათ. მთავრობა მართლაც შეშინებული იყო. სად. რიონამდე შეკრეს გზები, ჩასხეს ჯარი ვაგონებში, ჩვენ ოცდა ხუთ კაცამდე, რომლებიც მუშაობას ვაწარმოებდით, მივიმალეთ. მე ჩამოვედი ტფილისში. ჯარი გადაიყვანეს სპარსეთის საზღვრებზე. ტფილისში მოვნახე ჩემი წრე. აქ ამხანაგებმა ელიავას საშუალებით მომცეს საჭირო დარიგებანი და გამაცნეს რკინის გზის ფერშალი დალაქიშვილი, რომელიც ტფილისიდან ჯულფამდე დადიოდა. ერთი თვის შემდეგ წავედი ნახიჩევანში, სადაც იყო ფოთის პოლკის შტაბი. პოლკის უფროსს ვუთხარი, რომ შემთხვევით დავრჩი და ამ დრომდე ვეღარ გავიგე სად იმყოფებოდა პოლკი მეთქი. შემდეგ მოვნახე სკობოლევი, გავაცანი ფერშალი დალაქიშვილი, რომელსაც კავშირი ჰქონდა ქალაქთან. მისი დახმარებით გავაჩაღეთ მუშაობა ჯარში. ყოველ ორ კვირაში ქალაქიდან მოჰქონდა ფურცლები და ახალ-ახალი ინსტრუქციები. აღმოვაჩინეთ, ერთი დიდი სახლი ქალაქის ნაპირად. პატროხი როსტოვში იყო. ვისარგებლეთ ამ გარემოებით. სახლის რამდენიმე შემოსავლელი ჰქონდა; აქ ვახდენდით ჯარისკაცთა კრებებს რამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმე კაზაკიც იყო ჩვენს წრეში. მომხსენებლად გამოგვეკეთა ფერშალი დალაქიშვილი. რუსულად კარგად ლაპარაკობდა. ჯარისკაცებს ვეუბნებოდით, ვითომ ის პეტროგრადიდან იყო გამოგზავნილი. ეჭვები მოიტანეს ჩემზე იმდენად არა, რამდენათაც სკობოლევზე. მიუყენეს დარაჯები არსად წავიდესო, ჰყავდათ ყაზარმაში: გარეთ არ უშვებდნენ, მაგრამ მასთან მისვლა და ლაპარაკი შეიძლებოდა. მე, როგორც ორგანიზატორი, დავძვრებოდი ხან აქეთ, ხან იქით, თუ აუცილებლათ საჭირო იყო სკობოლევის სადმე წაყვანა, მე შევდიოდი უფროსთან და ვსთხოვდი. უფროსს ჩემი ხათრი ჰქონდა და ჩუმათ გამატანდა ხოლმე: მან არ იცოდა რისთვის მიმყავდა. უფროსი იყო ფელდფებელი ყანჩაველი; ის პოლიტიკაში არ ერეოდა, არც ხელს გვიშლიდა. თუ რამდენათ გათამამდნენ ჯარის-კაცები, ეს შემდეგიდან სჩანს: ერთ ჯარისკაცს ფურცელი უპოვნეს. დაეპირეს დაჭერა, მაგრამ ჩაერიენ სხვა როტის ჯარის-კაცები და დაჭერის ნება არ მისცეს. დაუძახეს სხვა როტას მათ დასამორჩილებლათ, ეს რომ გაიგეს ჯარისკაცებმა, გამორეკეს გარეთ თავიანთი უფროსები. ყაზარმა დიდ შენობას წარმოადგენდა, მოასწრეს ალაყაფის კარების ჩაკეტვა. მაგრამ ჯარისკაცები შეიარაღდნენ; მივიდა ორი როტა, მაგრამ არ დანებებდნენ; ჩვენც შეგვატყობინეს, — როგორ მოვიქცეთო. ჩვენ ვერ მივედით, რადგან ალაყამემორტყმულნი იყვნენ. გამოიწვიეს კაზაკთა პოლკი, მოიტანეს ზარბაზნებიც. ერთი დღე გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა. კაზაკების უფროსი იძახდა: ნება მიეცით ჩემს კაზაკებს და სულ მტერათ აქცევენ სახლსაც და ჯარისკაცებსაც. ჯარის გენერალმა უყვირა კაზაკების უფროსს: „ეს ჩემი საქმე არისო, მე ვარ უფროსი და არა შენო. ჩვენ ეს გაგვეხარდა. როგორც იყო, მოვახერხეთ მოშორებით მდებარე სახლის სახურავიდან შეგვეტყობინებინა, რომ დანებებოდნენ უბრძოლველად. საღამო ხანი იყო რომ დანებდნენ. ამათში მხოლოდ ერთი გააგზავნეს ტულაში, დანარჩენნი გაანთავისუფლეს. ჩვენ კი, ვიზედაც ეჭვი ჰქონდათ, როგორც მეთაურებზე, დაგვიჭირეს და სამხედრო ციხეში მოგვათავსეს, სადაც ერთ თვემდე დავრჩით, შემდეგ გაგვანთავისუფლეს. 1906 წლის დასაწყისში ამხანაგებმა დამავალეს რომ წავსულიყავი სადგურზე, რომელიც ოთხი ვერსტით იყო მოშორებული ქალაქზე და გამეგო იქნებ ფერშალმა დალაქიშვილმა მოიტანა რამე 1906 წლისთვის. დიდი თოვლი იყო, ძალიან დავიღალე, მაგრამ მაინც მივაღწიე სადგურამდე და გავიგე, რომ დალაქიშვილი არ ჩამოსულიყო. როცა დავბრუნდი ქალაქში, შემხვდნენ ფელდფებელი ყანჩაველი და ერთი „ვოლნოოპრედელიაოუშჩი“ რომელთაც აბანოში დამპატიჟეს. მე თითქოს საცლებისათვის წავედი ყაზარმისკენ, ნამდვილათ კი ამხანაგებს ვუთხარი, რომ დალაქიშვილი არ იყო ჩამოსული. ძალიან ეწყინათ ამხანაგებს, ვინაიდან არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიკოდით სრულიად რა ხდებოდა ქვეყანაზე. როცა იქიდან დავბრუნდით გზაში ნელის ხმით შემოსძახეთ მარსელიოზა. ჩვენ თურმე ყურს გვაგდებს ერთი ოფიცერი. გამოგვიდგა პატრულით. ჩვენ ვფიქრობდით, მან ქართული არ იცის, ვერ გაიგებს რას ვმღეროდით, მაგრამ მიგვაბრძანეს სამხედრო ციხეში. მაშინ სამხედრო წესები იყო. ჩაგვთვალეს „ეაფნი პრესტუპნიკებათ". ზამთარი იყო, არც ლოგინი, არც ცეცხლი, ვეყარეთ ცარიელ იატაკზე. 30 გრადუსი სიცივე იყო; არც არავის მნახველს უშვებდნენ.

ასე ვიტანჯეთ ორი კვირა და მერე, როგორც იქნა, ერთი ქართველი ჯარისკაცი იყო გამგე და როგორც იყო, მოგვიწყო „ფეჩი". საღამოთი მოიტანდა ზედმეტ შეშას და ცოტას მოგვცემდა. ასე გადაგვარჩინა სიკვდილს. ციხეში დავრჩით 1906 წ. მაისამდე. ციხის გამგემ მოგვიყვანა ერთი ჯარისკაცი, ვინმე ყავაძე, რუსული არ იცოდა; ვუთხარით იმას ყველაფერი. გვითხრა—რუსული „არ ვიცი, მაგრამ ვიცნობ ერთ ქართველ პოლკოვნიკს და იქნებ იმან გიშველოსთ რამეო. ეს პოლკოვნიკი ყოფილიყო ვაჩნაძე. ამ ჯარისკაცს ჩვენ შესახებ ეთქვა მისთვის ტყვილა უბრალოთ იხოცებიანო, მოუგონეს რაღაცები. აქ, უცხო ქვეყანაში, არავინ მათ პატრონი არა ჰყავთო. ვაჩნაძეს ეთქვა—გამიგე ვინ დაიჭირა ისინიო. მოვიდა ჩვენთან ჯარისკაცი, ჩვენც ვუთხარით ოფიცრის გვარი. შემდეგ ვაჩნაძეს დაებარებია ის ოფიცერი. მოუნახათ ჩვენს შესახებ შედგენილი ოქმი და დაეხიათ. ამის შემდეგ ჩვენც გაგვანთავისუფლეს ციხიდან 1906 წ. აგვისტოში. ჩამოვედით ტფილისში.

დავშორდი იმ ამხანაგებს, რომლებიც ჩემთან მუშაობდნენ ჯარში. ქალაქში საძწახარო ამპავი დამიხვდა. მითხრეს ნახალოვკის ამბავი, სადაც მოეკლათ ცხრა ამხანაგი, მათ შორის, გიორგი ელიავა, რომელთანაც თავიდანვე ერთ წრეში ვმუშაობდი. ჩვენი წრიდან ნაძალადევის შეტაკებაში ერთი კიდევ სხვა მოყოლოდა. რომლის სახელი იყო გალაქტიონი, გორიდან იყო, გვარი აღარ მახსოვს. მძიმედ დაეჭრათ, მაგრამ შემდეგ მორჩენილიყო. მერე აღარ მინახავს.

მე, როგორც ორგანიზატორმა, დავიწყე მუშაობა მეორე რაიონში. წარმომადგენელი იყო გიგოლია ქოსა. გასჭირდა ქალაქში მუშაობა და მე ბაქოში წავედი. ჩასელისათანავე ამხანაგებმა მომიწვიეს „დრუჟინაში", რომ ამხანაგებისათვის მესწავლებინა „ინტოვკის" ხმარება. ჩვეს გარდა „დრუჟინაში" ორი მასწავლებელი იყო.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. რუხაძე

მოგონებანი

(1917—1921 წლამდე)

1904 წლიდან 1917 წ. თებერვლის რევოლიუციამდე ვცხოვრობდი არალეგალურად. 1909 წლამდე, ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, ვცხოვრობდი ბაქოში. აკრძალული მჭონდა ამიერ-კავკასიაში ცხოვრება, ამიტომ გადავბარგდი ჩრდილოეთ კავკასიაში. ვცხოვრობდი მეტ წილად თერგის და ყუბანის ოლქებში, პარტიასთან არას დროს კავშირი არ შემიწყვეტია. შეძლების დაგვარად ვაწარმოვებდი ფარულ მუშაობას.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციამ მომისწრო ქ. მაიკოპში (ყუბანის ოლქი), სადაც იმ დროს არალეგალურად ვცოვრობდი.

აქ საჭირო იყო მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების მოწყობა, მაგრამ ეს საქმე თავს არავინ იდვა, მიუხედავათ იმისა, რომ მენშევიკები და ესერები ბევრი იყვნენ. იყვნენ ბოლშევიკებიც. ფარულად მუშაობის დროს ჩვენი ორგანიზაცია 10—12 კაცს არ ასცილებია, მაგრამ რევოლიუციის შემდეგ ეს რიცხვი საგრძნობლათ გაიზარდა. საბჭოს მოწყობისათვის ხელის შემშლელი იყო ორი მიზეზი: ერთი, რომ არ არსებობდა არავითარი პროფესიონალური კავშირები და მეორე, ყაზახობა თავისი შაი ლაშქრით რევოლიუციაში არ ღებულობდა მონაწილეობას; გენერალი ტრეტიაკოვი, რომელიც მაშინ ატამანად იყო, რაღაც დროს უცდიდა.

მე პირველმა გავბედე და შევუდექი საქმეს. ყველა ქარხნებში მოვაწყვე ყრილობები, აირჩიეს წარმომადგენლები, ავრეთვე ყველა საზოგადო ორგანიზაციებში მოვახდინეთ არჩევნები და ამნაირათ 1917 წლის 10 მარტს, პუშკინის სახალხო სახლში შესდგა საბჭოს პირველი სხდომა, სადაც შეძლების დაგვარათ გავაკეთე მოხსენება; ყრილობის დროს საიდანღაც გაჩნდნენ ესერები, რომელთაც უნდოდათ საბჭოს ხელში ჩაგდება, ავირჩიეთ პრეზიდიუმი, რომელშიაც მეც მოვყევი. პრეზიდიუმში ბევრი არამკითხე ვაჟბატონი შეძვრა.

მივიღეთ ზომები არმავირის საბჭოს საშვალებით ყაზახების წინააღმდეგ; ამ მიზნით არმავირიდან ჩამოვიყვანეთ საბჭოს თავჯდომარე გ. გაგლოევი, მაგრამ გენერალმა ტრეტიაკოვმა ჩვენ ნება არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვცა ყაზახებთან გველაპარაკნა. ამიტომ ჩვენ მარტო საქალაქო მიტინგით დავკმაყოფილდით. საბჭოს გარდა კიდევ დაარსდა ეგრედ წოდებული სამოქალაქო კომიტეტი, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენდა მაშინდელი დროის ხელისუფლებას, სადაც ისხდნენ კონტრრევოლიუციონერები და აკეთებდნენ თავიანთ ბნელ საქმეებს. საბჭო მათ წინააღმდეგ უძლური გამოდგა, ვინაიდან სამოქალაქო კომიტეტს ზურგს უმაგრებდნენ ყაზახები. ამის გარდა შიგ მოიკალათეს ესერებმა და მენშევიკებმა, რომლებიც ყაზახებს მხარს უჭერდნენ. საზოგადოთ ეს ვაჟბატონები ცდილობდნენ თბილი ადგილების ხელში ჩაგდებას და სრულიად არ იმტრეკდნენ თავს რევოლიუციის გაღრმავებაზე. აუტანელი ხდებოდა მუშაობა. მოსალოდნელი იყო ტრიტიაკოვის კონტრრევოლიუცია. ორი თვის დღე და ღამ დაუღალავმა მუშაობამ ისეც შერყეული ჩემი ჯანმრთელობა მთლად მოშალა და აპრილში იძულებული გავხდი საქმიმოთ წავსულიყავი ესენტუკში. ვხედავ რომ აქ არავითარი ცვლილება არ მოხდარა, ძალა უფლება ისევ სტანიცის ხელშია, მთავრობის კომისრათ მონარქისტი ტყეშელაშვილია, იგივე სამოქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, მდივნათ პროვოკატორი ლავრენოვსკი, მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოში ოფიცრებს, ექიმებს, და ეგრეთ წოდებულ საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლათ უფრო სპიკულიანტებს მოუყრიათ თავი, რომელთაც თავისთვის დაურქმევიათ საბჭო.

მაშინ არ არსებობდა არავითარი პროფკავშირი და არც არავინ ამისთვის თავს იწუხებდა, ამ დროს აქ საერთო გაფიცვები იყო, რომლის წინააღმდეგ როგორც „ხაზინები“, აგრეთვე ზემოხსენებული ორგანიზაციებიც იბრძოდნენ. ერთხელ გაფიცულების ყრილობაზე საბჭოს თავმჯდომარე გლაზოვმა გაფიცვა დაშლილათ გამოაცხადა და დაემუქრა ვინც არ დამორჩილებოდა. ბოლოს გაფიცვის ხელმძღვანელობა მე ვიკისრე და ისიც სრული გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ დავიწყე კავშირის მოწყობა; ამაში დიდ წინააღმდეგობას მიწევდა მაშინდელი მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო. მისი გიჟი თავმჯდომარე ვინმე გლაზოვი რევოლიუციის სახელით მიბრძანებდა თავი დამენებებინა კავშირის მოწყობაზე. ის ამბობდა: ეს ზედეტი ბარგია ეს საკმარისია ჩვენი საბჭოვო, მაგრამ მე განვაგრძე მუშაობა და აქ მე მშველოდა ჩემი ძველი ნაცნობობა მუშებთან, როცა წინა წლებში ესენტუკში საადუმლო მუშაობას ვეწეოდი. მშრომელი ხალხი ერთბაშად რევოლიუციას მიემხრო, მუშაობის ნიადაგი კარგი იყო, მოვასწარი კავშირების დაარსება. მტრებმა სხვა ხრიკებს მიმართეს. ატამანი ტრეტიაკოვი მიბრძანებს 24 საათში დავტოვო ქალაქი, წინააღმდეგ შემთხვევაში დატუსაღებული ვიქნები. მე დეპეშით მივმართე მაშინდელ შრომის მინისტრს სკობელევს, რომელმაც და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიხნა გაჭირვებისაგან; შემდეგ მოვახდინე კავშირების რწმუნებულთა ყრილობა, სადაც არჩეულ იქნა სამაზრო პროფბიურო.

ჩვენი მთავარი მიზანი იყო კონტრ-რევოლიუციონური საბჭოს გარეკა. დავინიშნეთ საბჭოს ახალი არჩევნები და მოვახდინეთ დელეგატების ყრილობა. პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 15 ამხანაგი. თავმჯდომარეთ მე ამირჩიეს. ასე ძველი საბჭო დაშლილ იქნა. ამ მუშაობაში მეურვალე მონაწილეობა მიიღო ორმა ახალგაზრდამ—ნიკოლაიშვილმა და მეტაკსემ, რომლებიც შემდეგ ბაქოს 26 კომისართა რიცხვში მოყვნენ.

ამ დროს მოხდა კორნილოვის გამოსვლა, რომელსაც ყაზახობა გამოეხმაურა, კერძოთ ოფიცრობა. ოფიცრობა საგრძნობ ძალას წარმოადგენდა მაშინ ესენტუკში. კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების საწინააღმდეგო ზომების მისაღებათ არჩეული იყო განსაკუთრებული სამეული, კაზაკების, სამოქალაქო კომიტეტის და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლებისაგან. სერიოზული ზომების მიღების დროს ჩვენი კომიტეტი კრილოვის ცნობილ არაკს მოგაგონებდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, პიატიგორსკის საბჭოს დახმარებით დასახმარებლათ ჩამოვიყვანეთ ერევნის პოლკის ჯარისკაცების ერთი როტა. მათი დახმარებით კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლები ჩავაქრეთ და ოფიცრებიც ბლომათ დავატუსაღეთ. კორნილოვის გამოსვლის ჩაქრობის შემდეგ ჩემი მიზანი იყო სამოქალაქო კომიტეტის გარეკა და შემდეგ ყაზახთა სტანიცის სამმართველოს წინააღმდეგ პრძოლა. სამოქალაქო კომიტეტის წინააღმდეგ სტანიცის სამმართველომ მხარი დაგვიჭირა და ამ კომიტეტის გარეკვით ძალა-უფლებაც ყაზახებმა იგდეს ხელთ.

ეხლა ერთ მტერთან გვქონდა საქმე. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ყაზახებთან ადვილი იქნებოდა ბრძოლა და მათი დამორჩილება. ყაზახები კი სრულიად წინააღმდეგს ფიქრობდნენ.

სამოქალაქო კომიტეტის წინა დღეებში ესენტუკის ბაღში მივდიოდი. ბაღი გავსილი იყო რუსეთიდან გამოქცეული კონტრ-რევოლიუციონერებით. ვიღაცამ დაიძახა: აი, მოდის ბალშევიკების მეთაური. მომცვივდნენ და მიპირობდნენ იქვე გასამართლებას, მაგრამ მათ ხელი შეუშალეს მკვე წყლის მუშებმა და მოსამსახურეებმა, ეს ყველა იცოდა სამოქალაქო კომიტეტმა და მისმა თავმჯდომარემ ტყეშელაშვილმა, რომელიც ძლიერ სწუხდა რისთვის არ გამასამართლეს.

ამ მდგომარეობაში რომ ვიყავით, პეტროგრადში მოხდა ოქტომბრის რევოლიუცია და ძალა უფლება ხელში აიღო მშრომელმა ხალხმა ბოლშევიკების მეთაურობით. ამ გარემოებამ კონტრ-რევოლიუციონური ესენტუკი კიდევ უფრო გააძლიერა, ვინაიდან რუსეთიდან გამოქცეული გენერლები, მემამულეები, თავადები და კაპიტალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტები აქ ჩამოვიდნენ. ოქტომბრის რევოლიუციის პირველსავე დღეებში დავდექი საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. მაშინ ბალშევიკი არ ვყოფილვარ. ვეკუთვნოდი ინტერნაციონალის, ჯერ მარტოვიასა და შემდეგ ამხ. ლიდოვის ჯგუფს, რომელმაც შექმნა მემარცხენე ფრთა ინტერნაციონალისტებისა; ეს მიმდინარეობა იდგა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. ამ ჯგუფის საშუალებით გაიხრწნა სოც. დემოკ. პარტ. პიატიგორსკში და ამხ. გურარის მეთაურობით შესდგა ახალი ორგანიზაცია ლიდოვის მიმდინარეობისა, სადაც შევიდა სოც. დემოკრატების საუკეთესო ძალები.

პეტროგრადში მომხდარი ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ჩვენს მიზანს. შეადგენდა მოგვემზადებინა ნიადაგი ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად. ამ მიმართულებით ვაწარმოვებდით დაუღალავ მუშაობას. 1918 წ. დასაწყისში შევუდექით ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების შეკავშირებას, აგრეთვე შევსძელით ჩამოგვეგდო დიდი უთანხმოება გლეხებსა და კაზაკებს შორის მიწის დანაწილების ნიადაგზე. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა მასწავლებელმა ვ. სერგეევმა, რომელიც შემდეგ აღმოსაკომის მდივანი იყო, გლეხებმა ნოეიკოვმა და ეგოროვმა და კაზაკებმა მიხეილ სტარიცკიმ და გორეპიოკინმა. სხვების გვარები არ მახსოვს. განხეთქილების ჩამოგდებამ დიდი სარგებლობა მოიტანა. 1918 წ. თებერვლის დასაწყისში „ინოგოროდნი“ სასწავლებელში მოვიწვიეთ ყოილობა გლეხების, ადგილობრივი მუშათა ორგანიზაციების და ფრონტის ჯარისკაცთა წარმომადგენლებისა. აქ იყო ორი მთავარი საკითხი: არჩევა აღმასრულებელი კომიტეტისა და ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. საკითხს დიდი კამათი არ გამოუწვევია. მოხდა არჩევნები, არჩეულ იქნა 17 ამხანაგი. თავმჯდომარეთ ისევ მე ამირჩიეს. მეორე საკითხის გადაჭრა აღმასრულებელ კომიტეტს მიანდეს. აღმასკომი იმ დღესვე შეუდგა გეგმის შემუშავებას. ღამის 12 საათზე მოულოდნელათ თავს დაგვესხენ შეიარაღებული ყაზახები და დაგვატუსაღეს. გეიპირობდნენ იქვე ხიშტებზე ავგებას. ყაზახებს თან მოეტანათ რამოდენიმე ყუშბარების სასროლი და ტყვიისმფრქვეველები. ერთმა ყაზახმა, მგონი გვარათ ტრეტიაკოვი იყო, სთქვა: რად გვინდა ამ „რაზბონიკების“ დაჭერა, სატუსაღოში ჰურს მოგვთხოვენო, სჯობს აქვე დავხვრიტოთო“.

იმ დროს ესენტუკში ასეთი ამბები ხშირად ხდებოდა. მაგრამ აქ ერთმა შემთხვევამ გვიხსნა: პიატიგორსკში ძალა-უფლება ხელთ იგდო საბჭომ ამხ. ანჟიევსკის მეთაურობით, რომელსაც იქ ყაზახობა მრავლად დაეტუსაღებია. ამიტომ მე ადგილობრივ ყაზახებს მივეცი წინადადება მათ წარმომადგენლებთან ერთად მეც გავეგზავნე პიატიგორსკში, სადაც გავანთავისუფლებდით დატუსაღებულ ყაზახებს. წინადადება მიიღეს. მეორე დილით გავემგზავრეთ პიატიგორსკში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ მე სრულიად არ მიფიქრნია ყაზახთა განთავისუფლებაზე, არამედ ვთხოვე ამხ. ანეიევსკის მოეცა ჯარის ნაწილი ესენტუკის დასაპყრობათ. ამხ. ანეიევსკი დამპირდა და, როგორც მახსოვს, 27 თებერვალს 1918 წ. ჯარი მაშინდელ სარდლის ნიეევიასოვის მეთაურობით წამოვიდა ესენტუკისკენ და ნაშუადღევის 3 საათზე კაზაკობა უბრძოლველად დაგვნებდა. გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. შეეუდექით ყაზახთა განიარაღებას. ყაზახების იარაღს ვურიგებდით ყოფილ ჯარისკაცებს. ორ დღეში მოვახდინეთ ყაზახთა განიარაღება და შეექმენით ჩვენი რევოლიუციონური რაზმი, რომელშიაც 600-მდე კაცი ითვლებოდა, რაზმის ხელმძღვანელობას მე ვეწეოდი. შეიარაღებული ძალა დავაბინავე ერთ დიდ შენობაში, შევდგინეთ შტაბი და რაზმი. შემოვიღეთ ყველა ის წესები, რაც სამხედრო დარგში საჭიროა; გარდა ამისა, შევაიარაღეთ ყველა ის მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც საბჭოთა პლატფორმაზე იდგნენ. აგრეთვე ჩვენ მოგვემხრო მცირე ნაწილი ყაზახთა ახალგაზრდობისა.

1918 წ. აპრილში აღდგომის წინადღით ესენტუკში მოულოდნელად ამოდის პიატიგორსკის რევოლიუციონერი შტაბის გაუბიცის ბატარეია ამხ. სმირსკის მეთაურობით, რომელმაც შემდეგი გვაცნობა: ჯარის უფროსმა ნიეევიასოვმა განიზრახა თავის თავი გამოაცხადოს დიქტატორად და გარეკოს ყველა საბჭოები, მისი თავმჯდომარეები კი დახვრიტოსო, სხვათა შორის, დასახვრეტ სიაში მეც ვიყავი.

რას ვიზამდით: ჩვენი ძალა სულ 600—700 კაცისაგან შესდგებოდა, ნიეევიასოვის კი ვგონებ 10,000 კაცამდე ჰყავდა, ამას გარდა, უმრავლესობა ჩემი რაზმისა ნიეევიაზოვის მომხრენი იყვნენ. აღდგომის პირველ დღეს პირდაპირი მავთულით მელაპარაკება ნიეევიასოვი, რომელიც მაძლევს წინადადებას 2 საათის განმავლობაში დავატუსაღო ბატარეის კომანდირები და წარვუდგინო მას; ბევრი ვაჭრობის შემდეგ მივიღე 4 საათის ვადა. ამის შემდეგ მავთულით დაველაპარაკე ვლადიკავკაკაში სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ბუჯანიძეს და სამხკომისარს ამხ. ბუტირინს, გავაცანი საქმის მდგომარეობა, მივიღეთ განკარგულება ღილამდე გაეკლაეებოდით. ამ დროისთვის ისინი ჯარს მოგვაშველებდნენ. საჭირო იყო ზომების მიღება. ვინახულე ამხ. სმირსკი, გავაცანი განკარგულება და შეეუდექით სამზადისს. საჭირო იყო ძალა, რომელიც ბატარეიას დაიცავდა. მივმართე ჩემს ოტრიადს, ამხ. ანეიევსკის თანადასწრებით. გავაცანი რაზმს საქმის ვითარება, მაგრამ წინააღმდეგ გაილაშქრეს. დიდი იყო ნიეევიაზოვის გავლენა რაზმელებზე, ვინაიდან ის ძარცვა-გლეჯის ნებას აძლევდა, რის წინააღმდეგი ვიყავით ჩვენ. ამხ. ანეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევსკი ავტომობილით გიორგიევსკში წავიდა, იმედი ჰქონდა იქიდან ძალას მოვიშველიებო. როგორც იყო, დავაწყნარეთ რაზმი, აირჩიეს დელეგატები ნიკეევიასოვთან მოსაღაპარაკებლად, მე ჩემი თოფით წამოვედი ფრონტზე, სადაც ბატარეია იყო. გამომყვა მხოლოდ 80 შეიარაღებული მუშა. დავიკავეთ პოზიცია და მთელი ღამე გავატარეთ მოლოდინში. მაგრამ ნიკეევიასოვი არ სჩანდა. ასე მოეწყო საქმე იმიტომ, რომ ნიკეევიასოვის რაზმს არყის საწყობები გაეტეხა და ყველანი მთვრალები იყვნენ.

აღდგომის მეორე დღეს გამოჩნდა ლიანდაგზე ორთქლმავალი ვლადიკავკაზიდან. ჩამოსული სახკომისრები ფიგატნერი და ამხ. ანდრიევსკი გვილოცავდნენ გამარჯვებას. სადგური დაეკავებიათ ამხ. ბუაჩიძის და ამხ. ავტონომოვის—ჩრდილო კავკასიის მთავარ სარდლის ჯავსნოსნებს, ეს ვაცნობეთ ამხ. სმირსკის და გახარებულებმა გავსწვეთ პიატიგორსკის სადგურზე. მართლაც, ჩვენ იქ ვნახეთ ამხ. ბუაჩიძე; იქვე შემუშავდა ზომები ნეკეევიასოვის განსაიარაღებლათ. ამხ. ოსკარ ლიშინსკის მეთაურობით ჩვენმა პატარა რაზმმა შესძლო ამ ვემბერთელა ძალის განიარაღება, ვინაიდან სიმთვრალის გამო ვერ გამორკვეულიყვნენ, თუ რა ხდებოდა მათ გარშემო. აქ დიდი სიმამაცე გამოიჩინეს ძმებმა დარაფიავებმა, რომლებიც უკან დახევის დროს ასტრახანის გზაზე დაიხოცნენ, და კასანიდმა, რომელიც ესენტუკში შკურომ დაახრჩო. სარდალი ნეკეევიასოვი თითონ გამოცხადდა ამხ. ბუაჩიძესთან, განაცხადა დამორჩილება. მას გამოაცემინეს ბრძანება ჯარის დამორჩილებაზე, შემდეგ აყარეს იარაღი და დაატუსაღეს. საქმე გაგვიძღვენდა ტყვიისმფრქველთა ბატალიონში; იქ უარი განაცხადეს დამორჩილებაზე. ამხ. ბუაჩიძე თითონ წავიდა მოსალაპარაკებლათ, მაგრამ იქ ის დაატყვევეს და თუ ნეკეევიასოვს არ მივცემდით, უპირობდნენ დახვრეტას. დიდი ზომების მიღების შემდეგ, როგორც იქნა, ბუაჩიძე გავანთავისუფლებიეთ, ბათალიონს გაესაღებები ჩამოვართვით. ამ გვარად განიარაღების საქმე დამთავრდა, მთელი შტაბი შეპყრობილი იყო, რომელსაც საღამოს თათბირმა დახვრეტა მიუსაჯა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

ამხ. ლიშინსკი, როგორც ინსტრუქტორი წითელი ლაშქრისა, შეუდგა ჯარის შექმნას, რაც მეტად ნელის ნაბიჯით ტარდებოდა.

მოვათავეთ რა საქმე ნიკეევასოვის რაზმთან, ცნობა მივიღეთ, რომ პოლკოვნიკი შკურო კისლოვოდსკში აწყობს ყაზახთა რაზმსო. ეს ვაცნობეთ აღმასკ. თავმჯდომარეს. ამხ. ტუნნევს, რომელმაც დაატუსაღა შკურო და გადაგზავნა კავკაზში. შკურომ იქ შესძლო თავის განთავისუფლება, პირიქით, მანდატიც მიიღო, რომ მას დავალებული ჰქონდა ყაზახების რაზმის მოწყობა გერმანელების წინააღმდეგ, რომლებიც მაშინ ტაგანროგში შემოვიდნენ. ჩვენ ეს არ გვესიამოვნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რას ვიზამდით! მოგვდის უტყუარი ცნობები, რომ შკურო სტანიცა ბურგესტანში ახდენს ყაზახთა მობილიზაციას და ამ მოკლე ხანში დაიწყებს ჩვენ, წინააღმდეგ გალაშქრებასო. შკუროს შესახებ სერიოზული მოლაპარაკება გვქონდა პიატიგორსკის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე რადზიევიჩსთან, მაგრამ ის ვერ დავარწმუნეთ შკუროს კონტრ-რევოლუციონერობაში. პირიქით, იყო შემთხვევა, როდესაც ის გვინიშნავდა შკუროს აფიცრობას სამხედრო სამსახურში. ამიტომ ჩვენ მას ეჭვის თვალით ვუყურებდით.

როდესაც შკურო ბურგესტანში მობილიზაციას აწარმოებდა, მე ცნობის მომტანან ყაზახთან ერთად წავედი პიატიგორსკში, კატეგორიულად მოვითხოვე შკუროს დაჭერა. რადზიევიჩი დამთანხმდა, შემპირდა შეიარაღებული ძალებით დახმარებას, მე კი მიბრძანა, ჩემი რაზმით დაუყოვნებლივ წასულიყავი შკუროს წინააღმდეგ. ეს მე სისწრაფით შევასრულე.

მივუახლოვდით სტანიცას. მზვერავების საშუალებით ვგებულობთ, რომ შკურო იქ არის. ჩვენ იმ წამსვე შევიჭერით შუა-გულ სოფელში, მაგრამ შკურო მიიმალა იქვე ხევში. შეპირებული დამხმარე ძალები მეორე დღემდე არ მოსულა. ეს რომ შკუროს სცოდნოდა, დიდ ზიანს მოგვაყენებდა. მოვიდა კისლოვოდსკიდან ცხენოსანთა პატარა რაზმი, ამხ. მარკიკევიჩის მეთაურობით, პიატიგორსკიდან— 100 კაცი ორი საველე ზარბაზნით. მოვახდინეთ მთელი ხეობის დათვალიერება, მაგრამ შკურო იქ არ აღმოჩნდა. მოგვდის ახალი ცნობა: შკურო, 28 ვერსტის მოშორებით სტან. სუვოროვსკაიაში აწარმოებს მობილიზაციას. მოველაპარაკეთ ბურგესტანის ყაზახებს, მათ მოგვცეს 100 ცხენოსანი თავისი წინამძღოლით. გავსწიეთ სუვოროვსკაიასაკენ. ცხენოსანი რაზმი წინ წავიდა მარტიევიჩის მეთაურობით. ღამით, როდესაც რაზმი მიუახლოვდა სუვოროვსკაიას, ყაზახთა ურიადნიკმა ალყა შემოარტყა ჩვენს ცხენოსნებს და მოსთხოვა დამორჩილება. ამხ. მარკიკევიჩს ყაზახებმა ხმლით მარცხენა მხარი ჩამოაჭრეს, მაგრამ ის არ დაიბნა, მოასწრო ორი ბომბის სროლა, რამაც ყაზახებში გამოიწვია არევ-დარევა, ზოგი იქვე მოკვდა. ვინც ცოცხალი გადარჩა, თავს უშველა. ჩვენი ამხანაგთაგანი არავინ მომკვდარა. მივიღეთ სასწრაფო ზომები მოღალატეების წინააღმდეგ. მაგრამ ისინი უკვე შკუროსთან იყვნენ. დილით მივუახლოვდით სუვოროვსკაიას, სადაც მართლაც სწარმოებდა მობილიზაცია. სასწრაფოდ დავიკავეთ სოფელი. შკურო გაიქცა ბატალპაშინსკის მიმართულებით. თან წაიყვანა 500 რჩეული ყაზახი. მოვიწვიეთ მცხოვრებთა ყაზგადო ყრილობა, ყაზახებს ძალა-უფლება ჩამოვართვით და გადავეცით გლეხობას. ეს იყო პირველი ბრძოლა შავ გენერალთან პიატიგორსკის ოლქში. ყაზახთა თანდათან გარბოდა შკუროს ლაშქარში. ფრონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი ღებულობდა სერიოზულ ხასიათს, საჭირო იყო სხვა ზომების მიღება. მავთულით დაველაპარაკე საოლქო საბჭოს თავმჯდომარე რადზიევიჩს (ესერი იყო), რომელმაც გამოგზავნა პოლკოვნიკი იარაშევი (ესერი). შევიმუშავეთ გეგმა, დავიკავეთ პოზიციები და დავბრუნდი ესენტუკში. აქ გიეიგე: ყაზახობა აღელვებულია და მოსალოდნელია მათი აჯანყებაო.

ეს მართლაც მოსალოდნელი იყო ერთი იმიტომ, რომ ყაზახებს მიწები ჩამოვართვით, მეორეც — ზოგიერთი ამხანაგები თავს ცუდად იჭერდნენ, განსაკუთრებით მეზღვაურები, რომელთა მოქმედებას ყაზახობა ვერ ურიგდებოდა. ეღებულობთ შესაფერ ზომებს შეიარაღებული მუშების საშუალებით; დილით, საათის 4 იქნებოდა ამხ. პოსუხოვი, (ესენტუკის რაზმის უფროსი) საველე მავთულით გვაცნობებს: იარაშევი ორი ზარბაზნით და ასი ამხანაგით საღამოს წავიდა სტანიცა ბეკეშოვკის მიმართულებით, ჯერ არ ვიცით, თუ რა ბედი ეწია, ჩვენ ნება არა გვაქვს ადგილიდან დავიძრათ. ისმოდა დიდი სროლა, მაგრამ! შედეგი არ ვიცითო. მოვახდინეთ განკარგულება დამხმარე რაზმის გასაგზავნათ. თითონ მე სასწრაფოთ მივემგზავრები ბრძოლის ველზე. დილის 6 საათზე უკვე ფრონტზე ვარ. საქმე ასე მომხდარა: ამხ. იარაშევი წასულა ბეკეშოვკისაკენ, რათა იქიდან ზარბაზნების საშუალებით შკურო გაედევნა, რომელიც მობილიზაციას ახდენდა. მას ამ დროს თავს დასხმოდა 1000 კაცზე მეტი შეიარაღებული ყაზახები. გაჩაღებული ბრძოლა. ჩვენი ამხანაგები იბრძოდენ როგორც ლომები. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენები რიცხვით ნაკლები იყვნენ, 500 კაცზე მეტი გაეწყვიტათ. მაგრამ ბოლოს ჩვენებს დასძლიეს ყაზახებმა და 100 ამხანაგიდან ერთი ცოცხალი არ დარჩენილა. დაიღუპა ამხ. იარაშევიც. ზარბაზნები და დაღუპული ამხანაგების იარაღი ყაზახებმა ხელთ იგდეს. საჭირო იყო დახმარება და აქ სწორედ თავი ისახელა ესენტუკის რაზმმა. ჩვენ ყაზახებს დავეწიეთ მთებში, როდესაც ჩვენს ზარბაზნებს ხარ-კამეჩებით მიათრევდნენ. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა, დავატოვებინეთ ზარბაზნები და იარაღი. ბრძოლის ველი გვამებით დაიფარა. დაიხოცნენ ჩვენი მხრითაც. ბრძოლა იყო სასტიკი და შეუპოვარი. არც ერთ მხარეს ტყვე არ მიჰყავდა. ყაზახობა ჩვენზე მოდიოდა როგორც კალია, ხშირათ კეტებითა და ნაჯახებით შეიარაღებულნი. მკვდრების დასაფლავების დროც აღარ იყო, უნდა უკან დაგვეხია, ვინაიდან სუვოროვსკაიას ყაზახობა ზურგში გეყავდა და შეეძლო დიდი ზიანის მოყენება. დავიკავეთ ახალი პოზიცია 20 ვერსტის მოშორებით ესენტუკიდან და 8 ვერსტით სუვოროვსკაიადან და საველე მავთულით ვაცნობეთ ცენტრს საქმის ვითარება, ვთხოვეთ ძალების და ხელმძღვანელების მოშველება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდის რადზიევიჩი და და თან მოჰყავს ორი სარდალი: გენ. პაშკოვსკი და გენ. მადრიტოვი. უნდა ჩავაბარო მათ ფრონტი. მე ასეთ განკარგულებას არ დავმორჩილდი, უარი განვაცხადე ფრონტის გადაცემაზე იმიტომ, რომ სწორედ ამ გენერლების წინააღმდეგ ვიბრძოდით ჩვენ. ამხ. რადზიევიჩი ურჩობისათვის სიკვდილით დამეშუქრა. მე ეს ვამჯობინე. მთელი რაზმი მე მიჭერდა მხარს და როდზიევიჩი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. ვთხოულობდი დაენიშნათ კომუნისტი, ვინაიდან სხვა პარტიებმა თავიანთი მოქმედებით ყოველგვარი ნდობა დაჰკარგეს.

გეორგიევსკიდან და მინერალნი ვოდიდან მოვიდნენ დამხმარე ძალები. ერთ დღეს როდზიევიჩის დანიშნულმა კომისარმა ამხ. ხახლოვმა (ესერია) ჯარი ამოჯანყა და კინაღამ ბრძოლის ველი მიგვიტოვა. საქმე ასე იყო: ტიტველ ჯარს მოეთხოვა რამოდენიმე შინელი და ნაბადი. ხახლოვს უარი ეთქვა. ამან გამოიწვია არეულობა. როცა გავიგეთ რაშიაც იყო საქმე დაუყოვნებლივ დავაკმაყოფილეთ ჯარის მოთხოვნილება, ის თავის ალაგს დარჩა.

ჩემი პარტია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე იდგა, ასე მსჯელობდა: ჩვენ ხელისუფლებას ვცნობთ, მაგრამ სამოქალაქო ომში ვერ ჩვევრევითო, ჩემის აზრით კი ეს კონტრ-რევოლიუციის დახმარება იყო. ზოგიერთები ასეც კი მსჯელობდნენ. შკურიოს სახით მოდის ნამდვილი დემოკრატია და მაშინ უფრო კარგი პირობები იქნებაო.

ფრონტზე სარდლათ ნიშნავენ კომუნისტ მუშას ამხ. იანიშევსკის. მართალია, მას გამოცდილება აკლდა, მაგრამ ის არ ულალატებდა საბჭოთა ხელისუფლებას, ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამოქალაქო ომის დროს. ვაბარებ მას ფრონტს და უკანეე ვბრუნდები ჩვენს წინაშე ისმება საკითხი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით შევინახოთ ჯარი და შევინარჩუნოთ ხელისუფლება. კავშირი ცენტრთან ვერ იყო კარგად მოწესრიგებული და რომც ყოფილიყო, სახსარი არც მას გააჩნდა, ასეთს შემთხვევაში აღმასკომს თვით უნდა გამოენახა შემოსავალი წყაროები: ეს მდიდრებზე კონტრიბუციის დადება და რეკვიზიცია იყო. ვართმევდით ყველას, თუ კი რაიმე ზედმეტი აღმოაჩნდებოდა. ყველაფერი ეს ხდებოდა წინასწარ გამომუშავებულ წესს გარეშე. ჩვენ ამისთვის დრო არ გვქონდა. ამ ნიადაგზე ხშირად ხდებოდა ბოროტმოქმედებაც, რამაც ისეთი სტიქიური ხასიათი მიიღო, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი იყო.

სამოქალაქო ომი კი თანდათან ფართო ხასიათს ღებულობდა. ბრძოლის ასპარეზი ხან შიგ ქალაქში იყო, ხან მის გარეთ. გაქცეულმა შკურომ კისლოვოდსკი დაიპყრო და საბჭოც გარეკა. ამ ბრძოლაში ბევრი საუკეთესო ამხანაგები დაიღუპნენ, ჩვენ დროზე მივეშვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთ და ერთი დღის ბატონობის შემდეგ მეჯუროს ბანდა კისლოვო-დსკიდან გავრეკეთ.

ივლისის დამლევი იქნებოდა, როცა ცოტა სიწყნარე ჩამოვარდა და ჩვენი ჯარის ცხენოსანია ნაწილი ყაზახების ყაზარმებში ისვენებდნენ. ღამით ამ ყაზარმებს თავს დაესხა აჯანყებული ყაზახობა და ბევრი ჯარისკაცები დაგვიხოცა. სასწრაფო ზომების წყალობით აჯანყება ჩავაქრეთ, მაგრამ დიდძალი ყაზახობა გაეშურა მთებში მეჯუროს ლაშქარში. ამ თავდასხმამ ჩვენი ჯარის მხრით გამოიწვია წარმოუდგენელი შფოთისძიება. შეუძლებელი შეიქნა ჯარისკაცების შეკავება. გამოვიდნენ ქუჩაში შაპოვალოვის ხელმძღვანელობით და თუკი ყაზახს დაინახავდნენ, ხოცავდნენ განურჩევლად, ბევრი შენობები დაიწვა, ბევრიც გაიძარცვა. ამ გარემოებამ გამოიწვია 10.000-მდე ყაზახის დატყვევება როგორც მძევლებისა რამოდენიმე დღის შემდეგ შესდგა საგანგებო კომისია ჩემი თავმჯდომარეობით. კომისიამ ყველა გაანთავისუფლა, გარდა 45 კაცისა, რომლებიც გამოჩენილი პირები იყვნენ. ისინი გაიგზავნენ მაშუკის მთაზე (მაშუკი, ეს ის ადგილი იყო. სადაც ყოველი განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ).

ასეთივე მწვავე ხასიათი მიიღო ბრძოლამ ყუბანის ოლქში, სადაც მტრის მთავარი სამხედრო ძალა მოქმედებდა. საქმე აქაც არ მიდიოდა კარგად, ჩვენი ნაწილები თანდათან მარცხდებოდნენ: მათ დასტოვეს ეკატერინოდარი, ნოვორიისიისკი, მთავარი სადგურები: ტიხორეცკაია და კავკასკაია. მთავრობა ჯერ მაიკოპში გადმოდის და შემდეგ არმავირით პიატიგორსკში. პიატიგორსკი გახდა ბრძოლის ცენტრი ჩრდილო-კავკასიაში. ქალაქი არმავირი ხელიდან ხელში გადადიოდა. ამ გარემოებამ პიატიგორსკის ოლქი ერთავად გაავსო. ყველა დიდი შენობები ლაზარეთებათ გადაქცეულ: ჯარის ნაწილებით გაივსო კურორტები. გახშირდა რეკვიზიცია, კონტრიბუცია, რაც დამოკიდებული იყო ამა თუ იმ ნაწილის უფროსისაგან. შეუძლებელი შეიქნა ასეთი წესების წინააღმდეგ ბრძოლა. პიატიგორსკი ალყა შემორტყმული იყო; ერთი მხრით მეჯუროს, მეორე მხრით დენიკინი, მესამე მხრით მოზდოკის ესერების მთავრობა. ამ მთავრობის ლაშქარს სათავეში უდგნენ გენერლები მადრიდოვი და პაშკოვსკი, რომლებსაც რადხიეევიჩი ფრონტის ჩაბარებას უპირებდა. მდგომარეობა კრიტიკული იყო: ვიყავით მტრის მიერ ალყა შემორტყმული, ხდებოდა შინაური აჯანყებები, გამეფებული იყო ანარქია, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში საუკეთესო კომუნისტები იღუპებოდნენ, „სიპნოი ტიფიც“ მუსრს გვავლებდა.

ეკატერინოდარის მთავრობა ჯერ კიდევ არ იყო გადმოსული პიატიგორსკში, რომ პროზლადნაიას ფრონტის სარდალმა ამბ. ილინდა ფრონტი შეასუსტა და შეუდგა ქალაქის „უშჩემლენიას“. ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობები შეიქმნა, რომ ბევრი საუკეთესო ამხ. მიიმალა. დაიწყო საძაგელი ანარქია. ადამიანის სიცოცხლეზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ისახელა თავი მაშუკის მთამ. იქ იგზავნებოდენ ჩვენი მოწინააღმდეგები, იქ ხოცავდნენ ჩვენ საუკეთესო კომუნისტებს.

იმ დროს, როდესაც ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ყოველ ხულიგანს შეეძლო თავის მიზნის მიღწევა, საჭირო იყო გამბედაობა და ინიციატივა, რომ აღგვედგინა ხელისუფლება, მოვილაპარაკეთ იმ დროს იქ მყოფ მოსკოველ ამხანაგებთან ამხ. აქსელროდთან და ა. გესთან, რომლებიც იყვნენ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, მონაწილეობას ღებულობდნენ ანჟიევსკი, ატაბეკოვი არშაკ, ლევონოვი, შუშანიკი და მთავარ სარდლის მოადგილე გაიჩინეცი (ეს უკანასკნელი შემდეგ ღალატის გულისთვის დახვრეტილ იქნა) გადაწყვეტეთ მოგვეწყო დროებითი დირექტორია. გამოვაცხადეთ მისი ძალაუფლება. დირექტორიაში შევიდნენ ამხანაგები: აქსელროდი ა. გე, დ. რუხაძე, ლეშინსკი, მამსუროვი, თლიგი, შუშანიკი და ორი ესერი—გოხარი და კოზლოვსკი. დირექტორიამ შესძლო ილინის დამორჩილება. ილინი შეგვპირდა, რომ ის იმ დღესვე წავიდოდა ფრონტზე. მოითხოვდა მხოლოდ, რომ ჯარისთვის საჭირო ტანსაცმელი სურსათი და ფული დროზე იქნებოდა მიწოდებული. ეს ყველაზე უფრო მძიმე საქმე იყო. დირექტორიამ დაავალა ორ მის წევრს: თლიგს და რუხაძეს ჯარის დაკმაყოფილება. ჩვენ შევიმუშავეთ გეგმა და შევუდექით ბურჟუაზიის ექსპროპიაციას (უშრომლენიას). ასე ჩვენ შევსძელით ფრონტის დაკმაყოფილება. დირექტორიამ გამოუშვა აგრეთვე ახალი ბონები. დირექტორიამ იარსება თვე-ნახევარი. ამ ხნის განმავლობაში მან ალადგინა საბჭოები, გაამაგრა ფრონტი და დაამყარა მშვიდობიანობა, თვე-ნახევრის შემდეგ მოწვეულ იქნა საბჭოთა საგანგებო ყრილობა, რომელმაც მოიწონა დირექტორიის მუშაობა და აირჩია კანონიერი ხელისუფლება: საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი. თავმჯდომარეთ არშაკ ათაბეგოვი აირჩიეს. (თერგის ოლქის ცენტრათ დროებით პიატიგორსკი იყო, ვიდრე ჩვენები აიღებდნენ ყავკავს) იმის შემდეგ მე ვბრუნდები ესენტუკში, როგორც თავმჯდომარე, ვინაიდან ესენტუკი გადაიქცა სერიოზულ ბრძოლის ველად. თუ არა ვცდები, ვვარ ბ აგვისტოში თერგის ოლქის ხალხთა მეოთხე ყრილობაზე ქ. ვლადიკავკავში, ზოგმა (ესერებმა) მოზდოკის მთავრობას დაუჭირა მხარი, ზოგმა საბჭოთა ხელისუფლებას. ზოგიერთებმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ამით ისარგებლა მოზდოკის შავი ლაშქრის სარდალმა და ქალაქის ნაწილი ხელში ჩაიგდო.

იყო შემთხვევა: შტაბის ქვედა სართულში ყაზახები შეიჭრნენ და ზედა სართულში წითელი ჯარის კაცები მოექცნენ, საიდანაც გაგაგრძნობდნენ ბრძოლას, აქ თავი ისახელა ჩინელების პატარა რაზმმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამხ. გეგეჭკორის რაზმმა. ყრილობა ქალაქიდან გადატანილ იქნა მალაკნების სოფელში. ბევრი დელეგატთაგანი ბარიკადებში იბრძოდა. რამოდენიმე დღის შემდეგ მტერი ისევ განდევნილ იქნა ქალაქიდან; ყრილობა ისევ ქალაქში გადმოვიდა. აქ საგულისხმოა ის, რომ როდესაც ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა, შემთხვევით სარგებლობდნენ ინგუშები. ოსები, ჩეჩნები. ასე გეგონათ, მიწიდან ამოძერნენო, მიჰქონდათ ურმებით რის წაღებაც შეიძლებოდა. საცოდავ ვლადიკავკაზს ასეთი სტუმრობა ბევრი გამოუცდია. ყრილობამ ვეღარ შესძლო ახალი არჩევნების მოხდენა, დაიბადა უთანხმობა კომუნისტებშიაც. ზოგი იყვნენ მომხრენი, რომ მთავრობაში შესულიყვნენ მარტო კომუნისტები, ზოგი კი მომხრენი იყვნენ შერეული არჩევნების. მეტი გზა არ იყო, დარჩნენ ისევ ძველები და ყრილობა დაიშალა. წამოსვლა პიატიგორსკში შეუძლებელი იყო, ვინაიდან გასავლელი გზა ყაზახების ხელში იყო, დელეგატებმა გამართეს მოლაპარაკება მოზდოკის ჯარის ოფიცრებთან, რომ გაეშვათ ისინი სტანიცა ზმეიკის მიმართულებით, რაზედაც მიიღეს თანხმობა (მე ავადყოფობის გამო შეორე ყრილობაზე მომხდარ ამბებში მონაწილეობა არ მიმიღია) როდესაც დელეგატები მივიდნენ ზმეიკაში, ისინი ყველანი დაატუსაღეს: ამხ. პაშკოვსკი (მემარცხენე ესერი)—სოფნარკომის თავმჯდომარე, ტულიენევი—კისლოვოდსკის აღმასკომის თავმჯდომარე, როზენტალი 17 წ. ქალი. ესენი იქვე იქნენ დახვრეტილნი. დანარჩენი დელეგატები მოზდოკის ციხეში წაიყვანეთ და იქ ყავდათ მანამ, სანამ არ ავიღეთ მოზდოკი.

ამ დროს ყუბანის ოლქში საქმე უარესდებოდა. როგორც მთავრობა, აგრეთვე შტაბი გადმოვიდა პიატიგორსკში. აქ ძნელი გასაგები იყო, ვინ ვის ემორჩილებოდა. ეკატერინოდარიდან ჩამოსული ამხ. ალიერ-კავკასიის სრულ უფლებიან მთავრობას უწოდებდნენ, თერგის ოლქის მთავრობა მათ სცნობდა, პეტიგორსკას კი საკუთარ რესპუბლიკად მიაჩნდა თავი, ის არავის არ ემორჩილებოდა, გარდა მოსკოვისა. ამ ნიადაგზე ხდებოდა ბევრი გაუგებრობა და შეხლა-შემოხლა.

ვბრუნდები ესენტუკში და ისევ მიხდება ბჟეროს წინააღმდეგ მოქმედება. ერთ დღეს, თუ არა ეცდები, სექტემბრის 20-ში. შესდგა ყაზახების დიდი ყრილობა. მეც მომიწვიეს. ყრილობა გენერლების და ოფიცრების ხელში იყო. დიდი შეხლა-შემოხლა და ბრძოლა დაგვჭირდა მათ წინააღმდეგ.

ბოლოს დავიყოლიეთ, რომ ისინი მიიღებდნენ მონაწილეობას საბჭოთა მუშაობაში. აირჩიეს 16 დელეგატი საბჭოსათვის და ამით გათავდა ეს დღე. დამშვიდებულმა ამის შემდეგ, გავუკეთე ალმასკომს მოხსენება და წავედი მოსასვენებლათ, აგრე მოქცეულიყო ჯარის უფროსი შაპოვალოვიც, ადგილობრივი ჯარის-კაცები თავიანთ ოჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებში წასულიყვნენ. ასე ფრონტი შესუსტდა, სანგრები დაცალიერდა. აქ თურმე ყაზახები გვატყუილებდნენ. დილით საათის 4 იქნებოდა, რომ ქალაქში საშინელი სროლა დაიწყო. ისვრიან ქუჩებში, სახლებში, სანგრებში. ისმის ზარბაზნების ხმა. იარაღით გავდივარ ქუჩაში, გაელა ყოველად შეუძლებელია. ერთ-ერთი სანატორიის ბაღის საშუალებით დავუახლოვდი აღმასკომის შენობას. ვხედავ ნაბდიანებს, რომლებიც ისვრიან. მეგონა ყაზახები. ჩემს შეძახებაზე (ვინ არიან, მიპასუხეს: ისინი აღმასკომის დამცველი ლეკები არიან და მეც ხმაზე მიცნეს. შევაწყვეტინე სროლა. გამოორკვა, რომ მტერს დაუკავებია ჩვენი სანგრები. მოდის ქალაქის ასაღებად მტრულად განწყობილი ხალხი, რომლებიც ბლომად იყვნენ ქალაქში. ისროდნენ სახლებიდან, რათა შეექმნათ არეულობა. არა ნაკლებ არეულობას ახდენდნენ ჩვენი ამხანაგებიც. ვისაც სადაც გაღვიძებოდა, იქვე ისროდა. საქმე წაგებული იყო. საჭირო იყო უკანასკნელი ზომების მიღება. მოვნახე ჩემი მოადგილე პეშკოვი. აღმასკომის სალაროში თუ რაიმე იყო ფასიანი, გავატანე პიატიგორსკში მთავარ საწყობში შესანახად. მოვახდინე განკარგულება გაეტანათ ურმებით რის გატანაც კი შეიძლებოდა. ასეთ შემთხვევისათვის 50 ურემი ყოველ ღამე დარაჯობდა ეზოში. მიუხედავათ ზარბაზნების გრიალისა, გაჩაღდა მუშაობა. გავეცი რა ყველა განკარგულება, გავეშურე სადგურისკენ, სადაც მეგულებოდა 200 შეიარაღებული მუშა ამხანაგ კერზიევიჩის ხელმძღვანელობით. დიდი გაჭირვებით მივედი სადგურზე, ქუჩებში თეთრ-ლენტიანი ყაზახები დაეაჯირითებდნენ ცხენებს. სადგურზე მარტო კერსიევიჩი დამხვდა, მუშათა რაზმს პიატიგორსკისკენ დაეხია. მატარებელი, რომელნიც იქ მუდმივათ გვყავდა შემთხვევისათვის, იტვირთება ლაზარეთებიდან მოყვანილი დაჭრილებით. მატარებელი გავაქანეთ წინ, სადგურიდან 2-ვერსტის მანძილზე. მე, ამხ კერზიევიჩი, სამხედრო კომისარი ბარდაკოვი 15 ფრონტოვიკი ჯარის-კაცებით გავეშურეთ სანგრებისაკენ. გვინდოდა ჩვენი ჯარის ნაწილს შევეფრთებოდით, მაგრამ ეს ადგილი უკვე ყაზახებს დაეკავებიათ. ბრძოლით ჩვენ დავიხიეთ უკან, და მივედით იქ, სადაც მატარებელი იდგა: იქ დაჭრილებმა კატეგორიულად მოითხოვეს მატარებლის წაყვანა, მეტი გამოსავალი არ იყო, დავეთანხმეთ და ორთქმავალზე მემანქანესთან ერთად გაეყოლეთ პიატიგორსკში. ირგვლივ სროლაა, გარბის აუარებელი ხალხი, ყაზახობა არ ზოგავდა მუშას და გლეხს განურჩევლად პარტიული მიმართულებისა.

ამ დროს ორთქლმავლიდან ვხედავთ ყაზახების ცხენოსან რაზმს, ისვრიან, მემანქანე უკანასკნელი სისწრაფით უშვებს ორთქლმავალს, თვითონ წვება ორთქლმავლის იატაკზე, სადგურ ხალატუნკას დაუახლოვდით; აქ დარაჯი წითელ ბაირაღს გვიჩვენებს. ძნელი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთქლმავალის შეჩერება. მოხდა საშინელი კატასტროფა; ვეებერთელა ორთქლმავალი გადაბრუნდა, დაიმსხვრა ყველა ვაგონები და დაიხოცა აუარებელი ხალხი. ყაზახთა ცხენოსანი რაზმი, რომელსაც გზა გაეფუჭებია, დაერია ხმლებით და ვინც კი ცოცხალი გადარჩა, უმოწყალოდ ჩეხდა. როცა გონს მოვედი, მემანქანესთან ერთად გამოვიერი ორთქლმავლის ფანჯრიდან, გავიქეცი ბოსტანში, რომელსაც ჭაობიანი ადგილი ეკავა. ისმოდა მხოლოდ ტყვიის ზუზუნი და დაჭრილების კვნესა. ამ დროს ბრძოლის ველზე მოულოდნელად ვხედები ჩემს ცოლს, რომელიც დაეჭირა ყაზახებს, მაგრამ შემდეგ გაქცეოდა მათ; წამოსვლისას მას მოესწრო მატარებლის უკან ვაგონში ჩაჯდომა. რაღაც შემთხვევით უკანა ვაგონი დამსხვრევას გადარჩა. როგორც იყო, შევძელით სამშვიდობოს გასვლა. როდესაც ჩვენ (ე. ი. ყველა მეშები და გლეხები) გავრბოდით, ყაზახთა ცხენოსანი რაზმი მოგვდევდა და ცდილობდა გზის მოჭრას, მაგრამ მათ ხელი შეუშალა ერთმა ჩვენმა რაზმელმა ამხ. შეეჩენკომ (ყაზახი), რომელსაც ტყვიის-მფრქვეველი თან გამოეტანა. მან დაუშინა ტყვიები ყაზახებს. მასთან ერთად რამოდენიმე ამხანაგი თოფებიდან ვესროდით. ამრიგად ჩვენ მიუახლოვდით პიატიგორსკს. ჩვენს წინაშე იდგა საკითხი ყოფნა არ ყოფნისა, საჭირო იყო დღესვე ქალაქის უკან აღება, რადგანაც იქიდან შკუროს შეეძლო მობილიზაციით დიდი ძალების გაყვანა. ჩავდიეართ პიატიგორსკში, პირველად ენახულობ სამხედრო შტაბს, რომლის თავმჯდომარედ იყო ამხ. მამსუროვი, ვუკეთებ მოხსენებას, ვთხოვ სამხედრო ძალას. შემდეგ მივდიეარ კომუნ. შტაბში, ენახულობ ამხ. ანჟიევსკის, რომელმაც აღმითქვა დახმარება. ამნაირად. ჩვენ, საათის 12 შევძელით ახალი ძალების ბრძოლით უკან დაბრუნება. კომუნისტური რაზმი ამხ. ანჟიევსკის მეთაურობით და ამხ. ანისიმოვის ხელმძღვანელობით იჭერს მარცხენა ფრთას, ცენტრს (შუა ადგილს) იკავებენ ესენტუკის ძალები, რომელიც ჩვენ შევაგროვეთ პიატიგორსკში, უკან დახვევის შემდეგ საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა ამხ. შეპოვალოვს. მარცხენა ფრთას იკავდა შეპოვალოვის ცხენოსანთა რაზმი, რკინის გზის მიმართულებით ორი „ბრონევიკი“. ამ რიგად ჩვენ დავიწყეთ შეტევა. ბრონე-მატარებლები გაჩერდნენ იქ, სადაც კატასტროფა მოხდა, იქით წასვლა შეუძლებელი იყო, მათ, თანახმად ჩემი ჩვენებისა, დასცხეს ზარბაზნებიდან. ამ დროს სხვა ნაწილები მიუახლოვდნენ ესენტუკს და შეიჭრენ შიგ. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა.

ყველაზე უფრო თავდადებით იბძოდნენ ესენტუკის მუშები., საათის 5-ზე მეტრი დიდი ზარალის შემდეგ გარბის, ჩვენ ვიკავებთ ქალაქს. ჩვენ ბრძოლის ველზე დავკარგეთ ერთი ამხანაგი ანისიმოვი, რომელიც ხელმძღვანელობდა კომინისტურ. რაზმს. შკურო ქალაქში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო 8 ს. საღამო ს. 4 ს. ამ ხნის განმავლობაში მან შეკრიბა და თან წაიყვანა 1000 ყაზახი. გაძარცვა და გაანადგურა საჭოთა ყველა უწყებები: მას თან გაჰყვენ ყველა ოფიცრები და გენერლები და კატორღელი, ლიტერატორი, სოც. დემ. იანკოვსკი, რომელიც იყო აღმასკომის წევრი და შრომის განყოფილების გამგე, მაგრამ შემდეგ შკურომ ის არ დაინდო. ესენტუკის მეორედ აღების დროს, როცა იანკოვსკიც თან ჩამოჰყვა, ამ უკანასკნელმა შკუროს დემოკრატიზმი სახრობელაზე იგემა...

მეორე დღესვე, დილით შეეუდექით ბრძოლის ველზე დახოცილ გვამების დასაფლავებას, რომელიც იკისრა მელითონეთა და მეავე წყლის მუშათა ორგანიზაციებმა, შეექმნით აღმასკომის ახალი აპარატები და შეეუდექით მუშაობას. ძნელი საქმე იყო ყველა ეს, რადგანაც ყველაფერი გატაცებული იყო. შკუროს თან გაჰყვა ოფიცრობა, მაგრამ აქ მაინც დარჩენილიყვნენ ზოგიერთი გამოჩენილი გენერლები, როგორც მაგ რუზსკი, რადკო დიმიტრიევი, მუხრანსკი და სხვები. აგრეთვე გზათა მინისტრად ნამყოფი რუხლოვი, გრაფი ტოლსტოი, ძმ. ურუსოვები და სხვები 50 კაცამდე. ვლებულობთ განკარგულებას პიატიგორსკიდან ამ კონტრ-რევოლიუციონერების როგორც მძევლების დაპატიმრების შესახებ. ესენი კონტრ-რევოლიუციის შემოტევის დროს დასჯილნი იქნენ. ამ დღიდან ესენტუკი, კისლოვოდსკი იქცევა ჯოჯოხეთად: ერთი მხრით მტერი, მეორე მხრით ჩვენი ჯარის უფროსები ჭქმნიდნენ აუტანელ პირობებს. ყველა ამის შემდეგ, როდესაც ჩემი მისია შეეასრულე და ხელახლად ავაფრიალე წითელი დროშა, გადავწყვიტე დამეტოვებია ესენტუკი და გადასულვიყავი პიატიგორსკში. ნებართვა მივიღე სოლქომ კომიტეტიდან. ესენტუკი ჩავაბარე ამხ. ნიკიტინს. მანამ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როკინის შტაბი ყველაფერს თვალყურს ადევნებდა. ბევრი საუკეთესო კომუნისტი მიიმალა, რათა არ ჩავარდნოდნენ სოროკინს ხელში, აქ ყველა ვგრძნობდით, რომ საქმე გვქონდა სოროკინის ავანტიურისთან და ღალატთან. ასეთ მდგომარეობაში შეიკრიბა პირველი ყრილობა ჯარის კაცებისა და კომუნისტების პარტიისა, სტანიცა ნევინომისკაიაში, სადაც იყო ბრძოლის ეკანასკნელი ფრონტი ყუბანის ოლქისა. ყრილობამ გაბედა ხმის ამოღება და სოროკინი მოღალატეთ გამოაცხადა. ყრილობამ მიმართა ჯარს, რომ მას სოროკინის შტაბის განკარგულება არ შეესრულებინა და დანიშნა ახალი სარდალი ამხ. ფედკო. სოროკინი და მისი შტაბი გაიქცა სტავროპოლისაკენ, სადაც იდგა ალექსეევის ლაშქარი, მაგრამ სოროკინი შტაბითურთ ხელში ჩაუვარდა ამხ. ტამანელებს, რომელთაც სარდლობდა ყოფილი მეზღვაური ფედენკო თუ ფადიევი. სოროკინი დახვრეტილ იქნა. პიატიგორსკში შეპყრობილნიც გამოტყდნენ დანაშაულში და მათაც ღირსეული სასჯელი მიიღეს. ამის შემდეგ ჩვენს ახალ სარდლობას უხდებოდა იმ პირთა შეცვლა, რომელთაც სოროკინის მიერ იყვნენ დანიშნულნი, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო ხელჩართულ სამოქალაქო ომის დროს.

აქვე საპიროდ მიმაჩნია დაუმატო შემდეგი: ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ პიატიგორსკში ჩამოვიდა პლეხანოვის მიმდინარეობის ჯგუფის წევრი ვინმე გიდონი, რომელიც გამოჩენილი ლექტორი იყო. გიდონი აწყობდა ლექციებს ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ. მის ლექციას აუარებელი ძველი ოფიცრობა და გამოქცეული კაპიტალისტები ესწრებოდნენ. მის წინააღმდეგ მაშინ გამოსვლა არავის შეეძლო, როდესაც ჩვენ ვიგდეთ ხელთ ძალა-უფლება, გიდონი სადღაც გაიპარა.

(დასასრული იქნება)

ДОМ ВНЕШКОЛЬНАГО РАБОТНИКА

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ცაგარელი

ჩემი მოგონებიდან

(1890—1905 წ.წ.)

1896 წელი ბევრ ნაირათ იყო საინტერესო ჩვენს მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში. ამ წელს ხელმძღვანელი ჯგუფის შემადგენლობა სულ მთლად შეიცვალა. რენიგერმა მიწის მზომელთა სასწავლებელი გაათავა და რუსეთში წავიდა. ამის შემდეგ კოკიც მალე წავიდა ტფილისიდან. რაც შეეხება ათანასიევს—იმან ერთი თვის შვებულება აიღო სამსახურიდან და თავის კერძო საქმეების გამო რუსეთში გაემგზავრა, საიდანაც ის მალე უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ, სამწუხაროთ, გზაში შემთხვევით ჟანდარმებს ჩაუვარდა ხელში. ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით და ხელმძღვანელი ჯგუფი, რომელიც შევსებული იქნა ახალი წევრებით: არჩილ არაგვაშვილით, ზაქარია ჩოდრიშვილით, სანდრო ბაქრაძით და არაქელა ოქუაშვილით,—ათანასიევის ბინაზე იკრიბებოდა. ყველა საზღვარგარეთიდან მიღებული წიგნები, უმთავრესად „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ გამოცემები უკვე მოელასწარი და ათანასიევის ბინიდან ზაქარია ჩოდრიშვილს ეტლში ჩაეწყვა და ნაძალადევში გაეატანე. მეორე დღეს გადაწყვეტილი იყო დანარჩენი წიგნების გადატანაც ნაძალადევში, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ მოვასწარით. იმ ღამეს ათანასიევის ბინაზე ჯგუფის უკანასკნელი კრება იყო და კინაღამ ეს კრება ჟანდარმებს არ ჩაეფარდა ხელში. კრების გათავების შემდეგ,—როგორც კი გამოვედით ათანასიევის სახლის ეზოდან ქუჩაში,—იმავე წამს ჟანდარმები შეეიდნენ ეზოში და ჩქარის ნაბიჯით ათანასიევის ოთახის კარებს მიადგენ. ჩვენ სულ ორი წუთით გამოვასწარით...

ეს პირველი თავდასხმა იყო ჩვენზე ჟანდარმებისა და სრულიად შემთხვევით გადავრჩით. ჩვენი პირველი მუშათა არალეგალური ბიბლიოთეკის უდიდესი ნაწილი ჟანდარმებს ჩაეფარდათ ხელში. ათანასიევის ბინაზე, სხვათა შორის, ჟანდარმებმა ნახეს წერილები, სადაც ჩემი სახელი „ვასო“ც იყო მოხსენებული და ეს „ვასო“ მათ რამდენიმე წელიწადი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვნეს. იქვე ნახეს ფოტოგრაფიული სურათები—კოკისა და მაქსიმ გორკისა (პეშკოვი). გორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ამ დროს რუსეთში უკვე საკმარისად ცნობილი მწერალი იყო. გორკი და ათანასიევი ტფილისში, როდესაც გორკის, როგორც მწერალს არავინ იცნობდა,—ერთად ცხოვრობდენ და დიდი მეგობრები იყვნენ. გორკიმ, როდესაც ის ტფილისიდან რუსეთში წავიდა, ათანასიევს, როგორც მეგობარს, თავისი სურათი დაუტოვა სახსოვრათ და ასე ეს სურათი წაიღეს ჟანდარმებმა. ცოტა ხნის შემდეგ გორკი დატუსაღებული ჩამოიყვანეს ტფილისში პეტროგრადიდან და მეტეხის ციხეში მოათავსეს. ამ დროს ათანასიევი უკვე „მეტეხში" იჯდა. ამ ციხეში გაატარა ათანასიევმა სამი წელიწადი და გორკის რომ იმ დროს რუსეთის ცნობილი მწერლები ლევ ტოლსტოი, ა. ჩეხოვი, კოროლენკო და სხვები არ გამოქმამაგებოდნენ, მას მეტეხის ციხეში დიდხანს გააჩერებდნენ და შეიძლება გადაესახლებინათ კიდეც. აღნიშნულმა მწერლებმა გორკის განთავისუფლება ენერგიულად მოითხოვეს, როგორც ახალგაზრდა და დიდი ნიჭიერი მწერლის. ისინი უმთავრესად თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებდენ, რომ გორკი ტუბერკულოზით იყო ავად და ხანგრძლივად ციხეში ჯდომას ვერ გადაიტანდა. გორკი ამის შემდეგ მალე გაათავისუფლეს. მეტეხის ციხეში გორკიმ, თუ არ ვცდები, სულ ხუთი თვე დაჰყო. ათანასიევი სამი წელიწადი აწვალეს ჟანდარმებმა ციხეში და შემდეგ სამი წლით ადმინისტრატიული წესით ვიატკის გუბერნიაში გადაასახლეს. ათანასიევი ერთი პიონერთაგანი იყო ჩვენში მუშათა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისა. ის იყო პირველი მუშა, რომელმაც აიღო თავის თავზე ინიციატივა მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების და წრეების მოწყობისა. მისი ამაგი და ღვაწლი დიდი იყო ამ საქმეში. მან პირველმა გაბედა და გამოუცხადა მეფის თვითმპყრობელობის დუხჭირ რეჟიმს შედგარი და გმირული ბრძოლა და პირველმავე იგემა ამ რეჟიმის სასტიკი ტანჯვა-წამება. ის პირველი სოციალ-დემოკრატი მუშა შევიდა მეტეხის ციხეში და პირველი გამოვიდა იქიდან სრულიად გამარჯვებული, ნამდვილი გმირის შარავანდედით მოსილი.

შემთხვევით წაიწყდენ ჟანდარმები პირველ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციას ათანასიევის სახით ტფილისში. ჟანდარმებმა კარგად იცოდნენ, რომ ათანასიევი აქ მარტო არ იყო და ყოველი ღონე იღონეს ეს პირველი ორგანიზაცია ჩაეგდოთ ხელში და იქავე სათავეში ძირიან-ფესვიანად ამოეფხვრათ ის, მაგრამ ვერაფერს გახდენ. ათანასიევი იშვიათი ადამიანი იყო, ის ნამდვილი და ღირსეული შვილი იყო მუშათა კლასისა. კლასიური გრძნობებით და იდეალებით გამსჭვალული, უაღრესი კეთილშობილურის მისწრაფებებით გატაცებული, ის მუდამ მზად იყო თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე მსხვერპლად შეეწირა მუშათა დიადი საქმისთვის. ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ათანასიევის რევოლიუციონური მოღვაწეობის პირველი ადგილი. ის ტფილისში იცნობდა ყველა „ყოფილ ადამიანებს“, ყოფილ ნაროდნიკებს. არ მოსწონდა მას ეს ხალხი, ისინი მას მცონარე, მშიშარა და ყოველად გამოუსადეგარ ადამიანებათ მიაჩნდა. ათანასიევი ბევრ თვით განვითარების წრეებში იყო გამოვლილი, საკმარისად მომზადებული და მრავალ მხრივ განვითარებული. ნაროდნიკების ყოფილი თანამგრძნობი, ბოლოს უკიდრესი მარქსისტი და უსასტიკესი მოწინააღმდეგე ნაროდნიკებისა. ეს ფრიად შესანიშნავი ძალა ადრე გამოაკლდა ჩვენს ისედაც მცირერიცხოვან რიგებს და სამწუხაროდ,— გამოაკლდა სამუდამოდ. 1898 წ. გადაასახლეს ის ვიატკაში სამი წლით.

სამი თუ ოთხი წლის შემდეგ ის ტფილისში დაბრუნდა ისევ, მაგრამ თავის საყვარელ რევოლიუციონურ მოღვაწეობას სამუდამოთ გამოეთხოვა. როცა ათანასიევი ვიატკიდან ტფილისში დაბრუნდა, მაშინ მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა მშფოთარე ზღვასავით ბობოქრობდა, თავის ჩვეულებრივ კონსპირატიულ და არალეგალურ კალაპოტში ჯერ ეტეოდა, მისი ტალღა ცხოვრების გაყინულ ნაპირებს ეხეთქებოდა, მათ გადალახვას ლამობდა,—ათანასიევი კი ამ დიად სურათს თავისი დაწყებული საქმისას—შორიდან, გულხელ დაკრეფილი, მწარეთ დაღონებული უყურებდა. რა მოახდინა ასეთი საშინელი გადატეხა ამ იშვიათ ადამიანში?! არ ვიცი. შეიძლება ამის მიზეზი იყო სამი წლის ცხენ. „სამი წლით გადასახლება ჩრდილოეთში“, შეიძლება ოჯახურმა მდგომარეობამ აიძულა ის დაენებებია თავი რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის. მან ვიატკაში ცოლი შეირთო და შვილები შეეძინა. ტფილისში რომ დაბრუნდა, ადგილის შოვნა გაუჭირდა. ბოლოს, თუ არ ვცდები, რკინის გზის სამმართველოში იშოვა ადგილი. 1918, 1919 წ.წ. მე მას კიდეე ტფილისში ეხედავდი,—შემდეგ კი დავკარგე მხედველობიდან და ახლა არ ვიცი სად არის.—ცოცხალია თუ მკვდარი, არც ის ვიცი.

1896 წლიდან, შემდეგ იმისა, რაც ათანასიევი დაიჭირეს, ჩვენ მუშაობის ბაზად გავიხადეთ ნაძალადევი. ნაძალადევში იკრიბებოდა ხელმძღვანელი ჯგუფი. იქ იკრიბებოდნენ თითქმის ყველა მუშათა თვითგანვითარების წრეებიც. ჩვენ ამ წლის ზაფხულზე, გარდა რკინის გზის დეპო-სახელოსნოსი, ფართო კავშირი გავაბით ტფილისის თითქმის ყველა თამბაქოს ფაბრიკის მუშებთან. იმ დროს, რკინის გზის დეპო-სახელოსნოს შემდეგ ტფილისში პირველი ადგილი ეჭირა მუშათა რიცხვის რაოდენობით თამბაქოს ფაბრიკებს. ამ ფაბრიკებში გაფიცვები წინადაც ყოფილა, ხოლო ამ გაფიცვებს არასოდეს ისეთი ფართე, ხანგრძლივი და მტკიცე ხასიათი არა ჰქონია, როგორც 1896 წ. ჩვენმა ჯგუფმა აქ პირველად აიღო თავის თავზე ამ გაფიცვების ხელმძღვანელობა, ეს პირველი გაკეთილი იყო მისთვის. ჯგუფი პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველად ჩაერია აქტიურად მუშების და ხაზინების ეკონომიურ კონ-ფლიქტში. გაფიცვები მოხდა შემდეგ ფაბრიკებში: ბოზარჯიანცის, ენფიანჯიანცის, საფაროვის და სხ. გაფიცვები დაიწყო ივლისის პირ-ველ რიცხვებში. მუშები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, სამუ-შაო დროს შემცირებას. გაფიცვა გაგრძელდა ერთ თვეზე მეტი. კუ-ჯიის სასაფლაოს იქით, ღამ-ღამობით ხდებოდა გაფიცული მუშების დიდი კრებები, რომელსაც სისტემატიურად ესწრებოდა 100—200 კაცამდე. ამ კრებებზე ხელმძღვანელი ჯგუფი ეწეოდა ფართო აგი-ტაციას,—როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ხასიათისას. გა-ფიცვაში პოლიციის წარმომადგენლებიც ჩაერიენ, ხოლო ამ ჩარევას გაფიცვის დასაწყისში არა ჰქონდა რეპრესიების ხასიათი. პოლიცია გამოდიოდა აქ მომრიგებლის, შუამავლის როლში, აუმცა სასწორს მუდამ ხაზინებისაკენ ხრიდა და მუშებს ურჩევდა დაეწყოთ მუშაო-ბა. პოლიციამ, რასაკვირველია, არ იცოდა, რომ გაფიცვას სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ხელმძღვანელობდა.

გაფიცვებში გაფიცულ მუშების მხრივ ყველაზე აქტიურ როლს თამაშობდენ შემდეგი მუშები: გიორგი აზნაურაური, სანდრო ბაჯია-შვილი, ვანო მანჯავიძე და თათარი ასათა. ეს უკანასკნელი, როგორც გადმომცეს, კაი ხანია მომკვდარა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, გა-ფიცვის დასაწყისში პოლიცია მუშებს უფრო ლმობიერათ ეპყრობო-და, ხოლო რაც დრო გადიოდა და გაფიცვა გრძელდებოდა, მით პოლიცია უფრო და უფრო მკაცრ ზომებს ღებულობდა გაფიცულე-ბის წინააღმდეგ. პოლიცია გაფიცულ მუშებს დატუსაღებით და ციმ-ბირში გადასახლებით ემუქრებოდა.

„ხაზინები“ ნამეტანს ჯიუტობდენ, მუშებს არაფერს არ უთ-მობდენ. ძნელი იყო მაშინ 400—500 გაფიცული მუშის ხანგრძლივი გამაგრება. გაფიცულებისთვის, გარდა იმ აგიტაციისა, რომელსაც ჩვენ ვეწეოდით მათში, საჭირო იყო ნივთიერი დახმარება და ამ მხრივ-კი ჩვენ გვარიანად მოვიკოჭლებდით. ჩვენი საიდუმლო მუშათა დამხმარე კასის თანხები 100 მან. არ აღემატებოდა. ცხადია, ასეთი რესურსებით გაფიცვის გახანგრძლივება შეუძლებელი იყო. გაფიცულ მუშების პირველ კრებებზე ჩვენ უმთავრესად ვაწარმოებდით ეკონო-მიური ხასიათის პროპაგანდა-აგიტაციას. მუშებს ეუხსნიდით, რომ ხაზინები (კაპიტალისტები) და მუშები—ეს ორი ერთი მეორეს მო-წინააღმდეგე კლასებია, მათი ინტერესები მუდამ ერთი მეორეს ეწი-ნააღმდეგება და სხ. შემდეგ, როდესაც პოლიციამ მუშებს ძალა და-ატანა ემუშავნათ და ამ ძალდატანებამ კი დიდი უკმაყოფილება გა-მოიწვია გაფიცულ მუშებში,—ჩვენ ვისარგებლეთ რა ამ გარემოებით, ეკონომიური ხასიათის პროპაგანდა-აგიტაცია პოლიტიკური აგიტა-ციით შევცვალეთ. მუშებს ვეუბნებოდით, რომ დღევანდელი მთავრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა კაპიტალისტების მთავრობაა და როგორც ასეთი, ის მოვალეა დაიცვას და იცავს კიდეც მათ ინტერესებს წინააღმდეგ მუშათა ინტერესებისა. მთავრობა საშუალებას არ აძლევს მუშებს თავისუფლად შეკავშირდენ, თავისუფლად შეიკრიბონ და თავისუფლად იმსჯელონ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, თავის ჭირ-ვარამზე. კაპიტალისტებს კი, პირიქით, ყოველნაირ დახმარებას უწევს. კაპიტალისტებს შეუძლიანთ უზომოთ გააძრონ ტყავი მუშებს, გაუელიფონ ისინი უსაზღვროთ, ხოლო მუშებს არა აქვთ უფლება ამ საშინელი უსამართლობის წინააღმდეგ ხმა ამოიღონ. გაფიცულები დიდის ყურადღებით ისმენდენ ჩვენს აგიტაციას და ცოცხალი ფაქტებით რწმუნდებოდენ იმაში, რაზედაც ჩვენ იმათ ველაპარაკებოდით.

ეს გაფიცვა ბოლოს მუშების დამარცხებით გათავდა. მუშებმა ვერ მიიღეს ვერც გადიდებული ხელფასი და არც სამუშაო დრო შეუმცირეს. მიუხედავათ ამისა, მუშები დიდის იმედებით უყურებდენ მომავალ სდარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ შემდეგი გაფიცვა, რომლისთვისაც ისინი უკეთესად მოემზადებოდენ, —მათი გამარჯვებით დამთავრდებოდა. ამ გაფიცვამ მათ დაანახა, რომ კაპიტალისტებთან ბრძოლა ადვილი არ არის, რომ კაპიტალისტებს ეხმარება მთავრობა თავისი პოლიციით, ჟანდარმერიით, ციხეებით, ციმბირით, კატორღით და სხ. კაპიტალისტებთან ბრძოლა ნიშნავს მთელ არსებულ სახელმწიფო წყობილებასთან ბრძოლას, რომ მათ წინაშე დგას დიდი შეკავშირებული ძალა, რომ ამ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა ძნელი და ხანგრძლივი იქნება, რომ შეკავშირებულ ძალას უნდა დაუპირდაპირდეს შეკავშირებული ძალა. მართალია, ამ გაფიცვამ რეალურად არაფერი მისცა, მაგრამ მუშათა კლასიურ თვითშეგნებას ბევრი რამ შესძინა. გაფიცვამ პირველად წამოაყენა გაფიცულ მუშათა წრიდან ის მოწინავე მუშები, რომლებმაც თავი ისახელეს თავდადებული და ენერგიული ბრძოლით.

როგორც ზევითაც აღვნიშნე, გაფიცვა გათავდა მუშების დამარცხებით, მიუხედავათ ამისა გაფიცულ მუშებსა და ჩვენ შორის სამუდამო კავშირი მოეწყო. გაფიცულთა მასა ძალიან მალე დადგა ჩვენი გავლენის ქვეშ. რამდენათაც მახსოვს, გაფიცვის გამო არავინ დაუჭერიათ. გიორგი აზნაურეოვი, ვანო მანჯავიძე, სანდრო ბაჯიაშვილი და სხვები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს გაფიცვაში, ჩვენს არსებულ მუშათა სოციალ-დემოკრატიულ თვითგანვითარების წრეებში შევიყვანეთ და იქ მათთან სისტემატიური მეცადინეობა დავიწყეთ. მათგან ჩვენ ვამზადებდით მუშათა მომავალ ხელმძღვანელებს. ამ გაფიცვებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ჩვენთვისაც—ხელმძღვანელ ჯგუფისთვის. ჩვენ აქ პრაქტიკულად დავრწმუნდით იმაში, რაც კარგად ვიცოდით თეორიიდან, წიგნებიდან. სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობრ იმაში, რომ თუ წრეების საშუალებით წლებია საჭირო მუშებში კლასობრივი თვითშეგნების შესატანად,—გაფიცვების წყალობით ეს შეგნება სულ რამდენიმე დღეს ხდება. აქ მუშების შეგნება ემყარება არა სიტყვებს, არამედ ცოცხალ ფაქტებს. გაფიცულ მუშათა მასებს შეტაკება უხდება არა მარტო კაპიტალისტებთან, არამედ მთავრობის წარმომადგენლებთანაც—პოლიციასთან, ჟანდარმებთანაც და სხ. ამ შეტაკებაში და ბრძოლაში მისთვის ცხადი ხდება, რომ მუშათა კლასის წინააღმდეგაა მიმართული მთელი არსებული პოლიტიკური და ეკონომიური წყობილება და ის ამ ბრძოლიდან გამოდის იმ შეგნებით, რომ კლასობრივ ბრძოლის სათანადო წარმოებისთვის საჭიროა შეკავშირება მუშებისა პოლიტიკურ პარტიაში, პროფესიონალურ კავშირებში და სხ. 1896 წლის დამლევს სისტემატიურად იკრიბებოდა და მეცადინეობა სწარმოებდა დაახლოვებით ოცდა ხუთ მუშათა წრეებში. პროპაგანდისტთა რიცხვი მცირე იყო. პროპაგანდა-აგიატაციას როგორც წრეებში, ისე წრეებს გარედ აწარმოებდენ მოწინავე მუშები. ინტელიგენცია ჯერ კიდევ არსად სჩანდა. ჩვენ პრაქტიკულ მუშაობასთან ყველაზე ახლო იდგა სილიბისტრო ჯიბლაძე, თუმცა ჯერ კიდევ მუშაობაში ის პრაქტიკულ მონაწილეობას არ იღებდა. მკითხველებმა, ალბად იციან, რომ სილიბისტრო ჯიბლაძემ სემინარიის რექტორს სცემა, რის გამო მას სასამართლომ ოთხი წლით გამასწორებელი რაზმი (ორესტანტსკია როტი) მიუსაჯა. ის ამ სასჯელის ახალ მოხდილი იყო და ჯანზეადაც ვერ იყო კარგად, ამიტომ ჯერ-ჯერობით მან არჩია პრაქტიკულ-რევოლიუციონურ მუშაობაში არ მიეღო მონაწილეობა. ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ და საჭიროთ მიგვაჩნია აქაც გავიმეოროთ, რომ მუშაობა უმთავრესად სწარმოებდა ქართველ მუშებში და ქართული რევოლიუციონური ლიტერატურის უქონლობა ძალიან ხელს გვიშლიდა. შეიძლება მკითხველმა იკითხოს: რატომ ქართველ მუშებში ვაწარმოებდით მუშაობას და არა სხვა ეროვნებათა მუშებში? ამაზე ჩვენ უნდა ვუპასუხოთ შემდეგი: სომეხი მუშები იმ დროს სულ მთლად დაშნაკცაკანების გავლენის ქვეშ იყვნენ და მათთან დაახლოვება ნამეტანი ძნელი იყო, მეორეს მხრივ სომეხი სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტები არ მოგვეპოვებოდნენ. ყოველ საშუალებებს ვღებულობდით სათანადო შეგნება სომხის მუშებშიაც შეგვეტანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველი ჩვენი ცდა უშედეგოთ ჩრებოდა. იმ დროს დაშნაკცაკანების გავლენა სომხის მუშებზე ძალიან დიდი იყო. შემდეგში ჩვენ დიდი შრომა და მეცადინეობა დაგვჭირდა შეგვერია დაშნაკელებისაგან სომხის მუშათა მასსებში ათეული წლობით მოპოვებული გავლენა და ავტორიტეტი. იმ დროს, როგორც სომხის მთელი ეროი, ისე თითქმის ყველა მუშები იმაზე ზრუნავდენ და ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრობდენ,—რაიმენაირად დახმარებოდენ ოსმალეთის სომხებს, რომლებსაც ოსმალეთის დესპოტიური მთავრობა საშინლად აწიოკებდა და სდევნიდა. აქეთკენ იყო მაშინ მიქცეული სომხის მუშების მთელი ყურადღება. რაც შეეხება რუს მუშებს, მათი დიდი უმრავლესობა ნაციონალისტური აზროვნებით იყო გამსჭვალული. აქ ისინი გაბატონებულ ერის წარმომადგენლად გრძნობდენ თავს და ამიტომ მათთან დაახლოვება, როგორც პოლიტიკურად, ისე კონსპირატიულად, ძნელი იყო. გარდა ამისა, რუს პროპაგანდისტებსაც ვერ ვშოულობდით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარმენ სინდარი

პირადი მოგონებანი

1901 წლიდან ვმუშაობდი ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე, ნავთის გასატარებელ მილების სამუშაოზე. აქ გავეცანი ნოე რამიშვილს და ნოე ხომერიკს. მომიხდა მათთან დაახლოვება, რის შემდეგ ჩავები რევოლიუციონურ მუშაობაში. იმათ მომანდვეს გურიაში საიდუმლო კრების მოწყობა. ერთი ასეთი კრება, ათი კაცისაგან, მოვიწვიე ლანჩხუთში. დანიშნულ დროისათვის გამოვიწვიე ამხანაგები: იოს. ებრალიძე, კ. ჩაჩავა, გიორგი ზენაიშვილი და სხვები. კრებას დაესწრო ნოე ხომერიკი. ის მოხსენებაში შეეხო მთავრობის პოლიტიკას, მემამულეების და სამღვდელოების აღვირ-ახსნილ მოქმედებას. ეს იყო 1902 წელს.

ამ ხანებში ასეთი საიდუმლო კრება მოვაწყვეთ ნიგოითში და ჩიბათში. დაარსდა წრეები. თითოეულ მათგანში შედიოდა ათი წევრი. დავნიშნეთ ათისთავები.

ნიგოითში ცხოვრობდა მემამულე მაჭუტაძე, რომელიც წარმოუდგენლად ავიწროვებდა გლეხ-კაცობას. ამიტომ ნიგოითის წრეს დაეკალა აგრარული მოძრაობის გამოწვევა და ხელმძღვანელობა. იქ დაარსდა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევდა მოძრაობას.

ამ წლის დასასრულს და 1903 წლის დასაწყისს ნიგოითში შეიკრიბა რამოდენიმე ათეული მოწინავე გლეხი იქ არსებულ კომიტეტის ხელმძღვანელობით და გამოეძართა ლანჩხუთისაკენ. ლანჩხუთში შესვლისას აღმართეს წითელი დროშა და შეჩერდნენ მოედანზე. გაიგო თუ არა ბოქაულმა ეს, შეიარაღებულ „სტრაჟნიკების“ თანხლებით მყისვე გაჩნდა დემონსტრანტებთან. ბოქაულის შეკითხვაზე, — თუ რა მიზნით მოსულან აქ, დემონსტრანტებმა უპასუხეს, რომ მოითხოვენ სასტიკი ზომების მიღებას მემამულე მაჭუტაძის და სამღვდელოების წინააღმდეგ. ბოქაული შეპირდა, რომ მათ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. დემონსტრაციის აქტიური მონაწილენი და ხელმძღვანელნი, სახლში დაბრუნებისას, ბოქაულის განკარგულებით დაატუსაღეს. ბევრი მათგანი გადაასახლეს.

ამ გამოსვლების შემდეკ გურიაში რევოლიუციონურმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. მაზრის უფროსი იყო ჯაფარიძე, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც დადიოდა თემებში და ხალხს ცემით ემუქრებოდა, თუ ვინმე ხალხიდან სიტყვის თქმას გაბედავდა. საერთოდ მისი „ხელმძღვანელობა“ მხოლოდ ლხეშ და ტლანქ ძალდატანებაში გამოიხატებოდა. ასეთმა უდიერმა საქციელმა ხელისუფლების მხრივ, გურიის ფეიზელი გლეხობა მეტის მეტად გააბრაზა. მოძრაობა მემამულეების წინააღმდეგ გაძლიერდა. მემამულეებს გამოუცხადეს „ბოიკოტი“. სანადელო მიწებს არ ამუშავებდნენ.

სამღვდელოება თითო მოსახლე გლეხს აწერდა გადასახადათ ორ მანეთს (დრამა ფულს). ვაწარმოებდით მუშაობას გლეხობაში, რომ უარი ეთქვათ დრამის გადახდაზე. მთავრობას შეემჩნეველი არ დაურჩა ჩვენი მუშაობა. მან იცოდა ვინ აწარმოებდა ხალხში აგიტაცია-პროპაგანდას მთავრობის, მემამულეების და ეკლესიის წინააღმდეგ და შეუდგა ბრძოლას ჩვენ წინააღმდეგ—ხატითა და ჯაშუშებით.

იმ დროს გლეხობის საკმო ნაწილს კიდევ სწამდა ხატი და ჯვარი. მეტადრე ეშინოდათ ხატზე დაფიცების. მთავრობამ ეს კარგად იცოდა და შეეცადა მის გამოყენებას თვით მშრომელი ხალხის რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. სურებში იყო, სხვათა შორის, ლომისკარელის ხატი, ასე უწოდებდენ მას. ხალხს მასზე დაფიცების დროს სიცრუის თქმის ეშინოდა. მთავრობას მიყავდა ხატთან ხალხი და აფიცებდა, —იცოდნენ თუ არა რაიმე რევოლიუციონერების გადაწყვეტილების შესახებ. ვისაც რამე კი გაეგონა, ხატის წინაშე აღიარებდა. მთავრობამ ამ გზით, ხატით და ჯაშუშების დახმარებით, საკმო ცნობები შეაგროვა.

გადავწყვეტეთ „ლომისკარელის“ მოპარვა და დამტვრევა. ეს გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი დავალებით, ერთ ჯგუფ ამხანაგების მიერ.

1903 წ. გურიაში ბუშაობდენ: თედორე კალანდაძე ძმებით, იასონ მეგრელიძე, გრიშა ურატაძე, გერმანე მგალობლიშვილი, დიმ. ჩხაიძე და პართენ ებრალიძე. მოძრაობას ხელმძღვანელობდა გურიის კომიტეტი, რომელიც ბათომში არსებობდა. მასში მეც შევდიოდი, როგორც რაიონის წარმომადგენელი. გურიის კომიტეტმა მიიღო გადამპრელი ზომები ჯაშუშების წინააღმდეგ.

შეეადგინეთ მათი სია და გამოვაქვეყნეთ ფურცლებში. ამ გარემოებამ ჯაშუშების ერთი ნაწილი შეაშინა, ბევრი კი უფრო მეტად გააღიზიანა. მაშინ ჩვენ მივმართეთ მათ წინააღმდეგ ტეროროს. ამან კი გამოიწვია მთავრობის მხრივ შემჩნეული პირების დატუსაღება და გადასახლება. ჩვენი გადაწყვეტილებით ხალხს არ უნდა შეეტანა არავითარი გადასახადი, უმთავრესად დრამის ფული. გლეხობაც ასე მოიქცა. სამღვდელოებამ ამის გამო აღძრა საჩივარი მთავრობის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახადის შეუტანლობის გამო გლეხებს ართმევდენ რაც ერ საუნჯე ებადა სახლში.

ნიადაგი რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერებისათვის ხელსაყრელი იყო. ამავე წელს გურიაში მუშაობდა ბუდუ მდივანი და ბენია ჩხიკვიშვილი.

1904 წ. ხიდისთავში მიტინგს თავს დაესხა ბოქაული შეიარაღებული ძალით. ამხანაგებმა გადასწყვიტეს არ დანებებულიყვნენ. ბოქაულმა იარაღს მიმართა უიარაღო ხალხის წინააღმდეგ, ასტყდა სროლა. მოგვიკლეს ორი ამხანაგი—ფოცხოშვილი და კალანდაძე. დასჭრეს რამოდენიმე კაცი. ამხ. თედორე კალანდაძის მოხუცი დედა მივიდა საშველად დაჭრილებთან, მაგრამ ბოქაულმა ის დაატუსაღა. გაბედული ქალი დარაჯებს ხელიდან გაუსხლტა და მიიმალა.

ხიდისთავიდან, მიტინგის დაათავრების შემდეგ, მივიღე ცნობა ამხ. ბუდუ მდივანისაგან, რომ მას განზრახვა აქვს პიტინგი ბოაწყოს აგრეთვე ლანჩხუთის რაიონში. მაცნობებდა და მითითებდა იმაზე, თუ რა ზომები უნდა მიმეღო მიტინგის მოსაწვევად. ჩვენც მივიღეთ ზომები და დანიშნულ დროისათვის ხალხი მოვიწვიეთ სოფელს გარეთ, ტყეში. ღამე მთვარიანი იყო. დამსწრეთა რიცხვი 3000 კაცს აღემატებოდა.

ამხ. ბუდუს, ხიდისთავიდან მომავალს, შეეგებე გზაში და წავიყვანე მიტინგზე. გზაში მან მიამბო ხიდისთავის მიტინგის შესახებ, თუ როგორ შეებრძოლენ იქაური ამხანაგები შეიარაღებულ პოლიციელებს, როგორ მოგვიკლეს ორი ამხანაგი და სხვა, ამასთანავე გამაფრთხილა, რომ, ალბათ, პოლიციას გაგებული ექნება ჩვენი მიტინგის შესახებ, თავს ვერ დაგვესხმიან, მაგრამ მოსალოდნელია, რომ გზაში ჩაგვისაფრდნენო. ამიტომ დამავალა დამერიგებია ამხანაგები, რომ მიტინგის გათავების შემდეგ ცალ-ცალკე წასულიყვნენ გზაში. მე ეს გადავეცი ამხანაგებს. ისინიც ასე მოიქცნენ. რიგ-რიგობით მიდიოდნენ მიტინგის ადგილზე დარჩენილნი ვიყავთ რამოდენიმე ათეული კაცი, რომ ჩვენთან მოირბინა ერთმა ამხანაგმა და გვაცნობა შემდეგი: გზაში პართენ ებრალიძე დაატუსაღა პოლიციამ და სცემეთ. გავეშურეთ მისაშველებლად ამხ. ებრალიძე ერთი ხელმძღვანელთაგანი და მოწინავე მუშაკი იყო. ჩვენი მიახლოვებისას შეიარაღებული პოლიციელები ჩასაფრებულიყვნენ და ჩვენია შეუმჩნევლად გარშემო შემოგვეხვიენენ. დაგვიწყეს სროლა. ჩვენც შევეცადეთ წინააღმდეგობა გაგვეწია. პოლიციელებს თან ახლდა ბოქაული კვაშალი და ჯაშუშები: ირაკლი მენაღარაშვილი, სამუელ ებრალიძე და დათა მენაღარაშვილი. ამ უკანასკნელს ამხ. ესოფ ებრალიძემ დაარტყა, მაგრამ პოლიციელებმა მოუსწრეს და ესოფი მოჰკლეს. ამხ. კოსტა ჩაჩავა ბოქაულთან შეტაკების დროს მოჰკლეს. ჩვენ გავიფანტეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭრილებს გარდა ვერავინ შეგვიპყრეს, ამბ. პართენ ებრალიძე, რომელიც უწინ შეიპყრეს, ციმბირში გადაასახლეს.

ამ ამბავმა ქუთაისის გუბერნიის პოლიცია ფეხზე დააყენა. მეორე დღეს ლანჩხუთს ეწვიენ მაზრის და გუბერნიის უფროსები. ხალხს მოსთხოვეს მიტინგის ხელმძღვანელების გაცემა და შეპყრობა. სოფლის ყრილობაზე აირჩიეს კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია ვინაობა მიტინგის ხელმძღვანელებისა. ჩვენ შევძელით კომისიაში აერჩიათ აგრეთვე მოხუცი გლები სეიდ ბისიეშვილი, რომელიც ჩვენ გვიჭერდა მხარს. მასთან დავიჭირეთ მჭიდრო კავშირი და ვაძღეოდით დირექტივებს, თუ რა გზით წაეყვანა კომისიის მუშაობა. საზოგადოების ხუთი დღის წვალების შემდეგაც, პოლიციამ მიზანს ვერ მიაღწია; ხალხი დააჯარიმეს.

ფულის გადახდაზე საზოგადოებამ უარით უპასუხა და წინად პოლიციის მიერ გატაკებული ავეჯეულობის დაბრუნება მოითხოვა. პოლიციასთან შეტაკების დროს დაღუპულ ამხანაგების დასაფლავების დღე გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია იყო. გურიის კომიტეტმა ბათუმიდან გამოგზავნა შესაფერი ფურცლები, რომელსაც უხვად ვავრცელებდით ხალხში. ბათუმის მუშებისაგან მივიღეთ გვირგვინი მტერთან ბრძოლაში მოკლულ ამხანაგების ხსოვნის აღსანიშნავადად. მათ დასაფლავებას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. დასაფლავების დღეს ერთი ჯაშუში ებრალიძე მივიდა მიცვალებულთან ამბ. ჩაჩავას ოჯახში. იქ მყოფმა გლეხმა რაკდენ ცინცაძემ კიტით მიაშურა ჯაშუშს მოსაკლავად. მოკვლა ვერ შესძლო, მაგრამ თავი კი გაუპო.

სასტიკი რეპრესიები გამეფდა გურიაში ხსენებულ გამოსვლების შემდეგ. უკვე იცოდა ხელისუფლებამ—ვინც იყვნენ მოძრაობის მეთაურები. მიუხედავათ ჩვენი დევნისა, ორგანიზაციები გაძლიერდნენ. ყველა ცნობილ ჯაშუშებს წესი ავუგეთ.

1904 წელს, გურიის კომიტეტი ბათუმიდან გურიაში გადმოვიდა. მაზრა დავყავით სამ რაიონად. ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის.

ხელისუფლება რევოლიუციონურ მოძრაობის ჩასაქრობათ მრავალ ღონისძიებას მიმართავდა. ჯაშუშების კადრი გააძლიერა, განსაკუთრებით რევოლიუციონურ ხიდისთავში. ჩვენც დავუხშირეთ ტერორისტულ აქტების მოხდენას ჯაშუშების მიმართ.

1904 წ. რევოლიუციონური მოძრაობა გურიაში საკმაოდ გამაგრდა. ამ გარემოებამ საერთო არევ-დარევა შეიტანა მოწინააღმდეგეთა ბანაკში. მათ რიგებში უნდობლობამ ურთი-ერთისადმი და სამარცხვინო ნაბიჯებმა გამოამჟღავნა ეს მათი ბუნება და ავლა-დიდება. ერთ ასეთ ნაბიჯათ ჩაითვლება იმ დროს ჯუმათის მამასახლისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე კილაძის საქციელი. ის ერთ დღეს მოდიოდა ლანჩხუთში ქაულთან. გზაში დაჰკიდა თავის ჩოხა და სროლა აუტეხა. ამ დროს ლანჩხუთში ბოქაულად დანიშნული იყო ვიშმე დევშინსკი, რომელმაც კილაძე მამასახლისობიდან გადააყენა.

დევშინკაი შემდეგ დაგვიახლოვდა ჩვენ და საგრძნობლად გვიწყობდა ხელს მუშაობაში. ასეთ ერთგულ დახმარებას გვიწევდა აგრეთვე აკეთის მამასახლისი თობაძე. მის სამამასახლისოში ხშირად ვიმყოფებოდით და კრებას ვმართავდით.

1905 წ. ხალხი მთავრობას ჩამოშორდა. რევოლიუციონურმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო.

თითქმის ნახევრად ლეგალურათ დავაარსეთ გლეხთა კომიტეტები. თვითმართველობამ ხალხი თავისკენ მიიზიდა და მთავრობა კი ჰაერში გამოკიდული დარჩა. ამ გარემოებამ გააბრაზა თავად-აზნაურობა და სამღვდელობა. 1905 წ. გუბერნიის უფროსად იყო, ვიტყვი, რევოლიუციონერი, სტაროსელსკი, რომელიც ხელის შეწყობის გარდა ხშირად დირეკტივებსაც აძლევდა მუშაობის კარგათ დაყენებისათვის ჩვენს ამხანაგებს.

1904 წლიდან მე უკვე კოხსპირატიულად ვცხოვრობდი. სასტიკად მდევნიდენ. ვერსად ვახერხებდი თავის შეფარებას. მიპირებდნენ ოჯახის დაწვას, მაგრამ დროზე გავუგე და ცოლ-შვილი დროებით გადავიყვანე.

1905 წელში, როდესაც დაისვა კითხვა პარტიაში მეუსრავლეესებზე და მეუმცირეესებზე, ჩემი სიმპატია გადაიხარა პირველებისაკენ და დავიწყე მათთან მუშაობა.

ამ დროს გავეცანი გურიაში მომუშავე ბოლშევიკების მეთაურებს ამ. ბუდე მდივანს, ამხ. თეოფილე ჩიჩუას, ამხ. მგალობლიშვილებს, ასალო ცინცაძეს, ისიდორე თალაკვაძეს და სხვებს.

ლანჩხუთის რაიონში იმ დროს ადგილობრივად მომუშავეებს შორის ბოლშევიკი იყო კოსტა ცინცაძე, მიუხედავათ ამისა კავშირი ამხანაგებთან მაინც გვქონდა: დირეკტივებს ვღებულობდით მუშაობის სახელმძღვანელოთ ამხ. კოტე ცინცაძესა და ბუდუ მდივნისაგან.

ამ დროს ხშირათ გვიხდებოდა ტფილისში ჩამოსვლა, რადგან დამოკიდებულება გვქონდა ამიერ-კავკასიის კავშირთან.

1905 წ. ოქტომბრის მანიფესტამდე, ბოქაულ დევშინსკისთან წინასწარ მოლაპარაკების შემდეგ, გავაიარაღეთ პოლიციელები. შეტაკება მოგვიხდა კაზაკებთან ნასაკირალზე. ეს იყო 1905 წელს. ხალხი ჩვენთან იყო. ნასაკირალზე კაზაკებთან შეტაკების დროს ავყარეთ რკინის გზის ხაზი ნიგოითსა და საჯეევახოს შუა. დროებით მხარე მოვწყვიტეთ ცენტრს და ადგილობრივეთ ძალა-უფლება თით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმის ჩვენ ხელში იყო. ამ გამოსვლებს თვალს ადევნებდა გუბერნიის უფროსი სტაროსელოსკი და ხელს გვიწყობდა *).

გურია სამეგრელოს და იმერეთის წითელ რაზმებით წაეედით ტფილისისაკენ, შეიარაღებული იყო 400 თუ 500 კაცი, უნდა აგვეღო ხაშური, ბორჯომი და შემდეგ ტფილისი. იარაღი არ გვქონდა კარგი, რაც დიდათ აფერხებდა ჩვენ დიდ რევოლიუციონურ ბრძოლას 1905 წ.

1905 წელს, ტფილისის მიმართულებით წასულ წითელ რაზმს, გურია-სამეგრელო იმერეთისას, ყვირილაში შეუერთდა შოროპანის წითელი რაზი. შეხვედრისას იყო მისალმებანი. ამ დროს რაზმის ერთი ნაწილი მატარებელში ვიყავით, როდესაც ვიღაც ჯაშუშმა ორხელ გაისროლა. ღამე იყო, რაზმელებმა ვერ გამოარკვიეს, თუ ვინ ისროლა თოფი. იმერეთის რაზმმა იფიქრა თავს თუ დაგვესხენო და ასტყდა სროლა. დაიჭრა ოთხი რაზმელი. ორი მათგანი იქვე გარდაიცვალა. ორი დაჭრილი ამხანაგი ქუთაისში გავგზავნეთ. მაშინ გუბერნატორმა სტაროსელსკიმ 300 მან. გამოუგზავნა ჩვენს რაზმს და გვაცნობებდა, რომ წადით თუ არა, კაზაკები დაიძრენ ქალაქის ასაკლებათ და „სტრაჟნიკებით“ ვიცავო. შეჩერდით სანამ მე არ გაცნობოო. ჩვენ დავიხიეთ უკან და სამ დღეს ვუდარაჯებდით ხან სვირის და ხან აჯამეთს. ამ დროს გავიგეთ, რომ გვირაბთან ორთქმავალი აეფეთქებიათ და გასვლა შეუძლებელი იყო, ამის გამო იძულებული ვიყავით უკან დავბრუნებულიყავით. იარაღი ძალაზე ცოტა გვქონდა და რაც იყო, ისიც უვარგისი, მაშინ ჩვენ მოვიტანეთ ერთი „სტანოკი“. ლანჩხუთში კარგი მოხელე გვყავდა ვასილ ნაუმოვი, იარაღს ისედაც ვიძენდით, ნიგოითში იყო ერთი ძველი ზარბაზანი. ვცადეთ თოფის წამლით გასროლა, ზარბაზანი გასკდა და კინაღამ ამხანაგები დაამარცხა. ჩვენმა ამხანაგებმა ვერ შესძლეს ტფილისის აღება, მთავრობა გამაგრდა ტფილისში და შემდეგ ალიხანოვ-ავარსკი დაიძრა დასავლეთ საქართველოს ასაკლებად დასმჯელი რაზმით.

დასწვა ყვირილა, დაატყვევა ამხანაგები, სვირის საღგურის უფროს ამხ ჟღენტს თავი მოჭკეთა, შემოვიდა ქუთაისში და იქაც დასწვა რამოდენიმე სახლი, დაატყვევა შენიშნული პირები, რომლებმაც მოასწრეს,—გაიფანტენ.

შემდეგ თავისი ჯარით გურია უნდა „მოეჭკვიანებია“, მაგრამ სტაროსელსკიმ ურჩია ორივენი ჩამოსულიყვნენ გურიაში და საქმე შეშვიდობიანი გზით მოეგვარებიათ. იმანაც დაუჯერა და ჯარის ნაწი-

*) რამდენადაც ვიცით, ვლ. სტაროსელსკი 1905 წლის მოძრაობის დამარცხების შემდეგ აშკარად მიემხრო ბოლშევიკურ ფრაქციას. დაახლოვებით 1909 თუ 1910 წელს ის ეკატერინოდარში თუმენა დაამატიმრეს პარტიულ კავშირებზე, მაგრამ ადრე გაათავისუფლეს. ამის შემდეგ ის წავიდა პარიზში, სადაც, როგორც ემიგრანტი, მეტად გაჭირვებულ ცხოვრებას ეწეოდა, გარდაიცვალა პარიზშივე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები სამტრედიაში დასტოვა. სტაროსელსკიმ გვაცნობა, გენერალ-მოდის დიდი ძალით და სჯობს დროებით მშვიდობიანათ შესწყდეს საქმეო.

ჩვენ დავიშალეთ, რადგან მტერთან ძალით ვერას გავხდებოდით. გურიაში დასწვეს ნატანები, ოზურგეთის ნაწილი და რომოდენიმე სოფელი. შესცვალა ოზურგეთის ადმინისტრაცია. მაზრის უფროსად დანიშნა ერმოლოვი, დამსჯელ რაზმის მეთაურად კრილოვი, ლანჩხუთის ბოქაულად მაქიაშვილი. დიმიტრი მგელაძეს ჯარის უფროსობა მისცა. ამ ცნობილ რეაქციონერების გაბატონების მეოხებით გამეფდა საშინელი რეაქცია.

მუშაობა რომ არ შეწყვეტილიყო, ავირჩიეთ გურიის ახალი კომოტეტი (მასში მეც შევდიოდი) და სარაიონო ბიუროები, პოლიციამ დამიწყო სასტიკი დევნა და როდესაც ვერ დამატუსაღეს, კოწია ბერიძემ და დ. მგელაძემ გადასწყვიტეს ჩემი ოჯახის დაწვა, მაგრამ სახლი დაცლილი დახვდათ, რის გამო გადაწყვეტილება სისრულეში არ მოიყვანეს.

+ გურიის კომიტეტის ერთ ერთ სხდომაზე დაისვა კითხვა სახელმწიფო დუმის არჩევნების შეხახებ. მე ცენტრიდან მქონდა მონდობილი, რომ წინაადმდეგ უნდა წაესულიყავ დუმაში მონაწილეობის მიღების, ჩვენ „პოიკოტს“ ვუცხადებდით დუმის არჩევნებს, მაგრამ კრებას თავმჯდომარეობდა კარლო ჩხეიძე და უმრავლესობა ხმის მან მიიღო, მას მხარს უჭერდა აგრეთვე გრ. ურატაძე.

ეს დადგენილება გამოქვეყნებულ იქნა გაზეთებში, რის გამო მთავრობა ფეხზე დადგა. ჩამოაყენეს „ეგზეკუცია“ და გაძლიერდა რეპრესიები. ჩვენ გავიკეთეთ ბინა ორაგვეს ტყეში, სადაც დაახლოვებით 8 თვეს ვცხოვრობდით. რეაქციის გაძლიერებამ გამოაფხიზლა ჯაშუშები და დაგვიწყეს ბოქაულის მეთაურობით სასტიკი დევნა. გურიის კომიტეტმა გადასწყვიტა ბოქაულის მოკვლა. მისი მოკვლა ძალიან ძნელი იყო, ვინაიდან მას თან დაყვებოდა შეიარაღებული მცველები. ერთმა ამხანაგმა გაგვცა. ბოქაულს აცნობა ჩვენი გადაწყვეტილება. ჩასაფრებულ ჩვენ ამხანაგთა შორის პირველმა ისროლა ურუშაძემ, რომელმაც განგებ დააცილა, რომ ამით ენიშნებია ბოქაულისათვის. ბოქაული ჩაწვა მოხერხებულ ადგილს და მით გადარჩა სიკვდილს. ჩვენი ცდა უშედეგოდ დათავდა. ბოქაულმა საპასუხოდ მოკლა სტუდენტი კვირკველია, სცემა ხალხს. მეორე დღეს ამ ადგილს გაჩნდა მაზრის უფროსი თავის ამალით. დაატუსაღა მთელი საზოგადოება და მოსთხოვა დამნაშავე პირების გაცემა. ხალხი სამი დღის განმავლობაში ყავდა დატუსაღებული, მაგრამ მაინც ვერას გახდა, ჩვენ ვეწეოდით მუშაობას, რომ ხალხს არ გავეცით. მთავრობას აკვირვებდა ის გარემოება, რომ ხალხი თანდათან ემატებოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებული შეიჭნენ გაენთავისუფლებია ხალხი. განთავისუფლებისას ხალხს მათრახით გაუმასპინძლდნენ. მეორეხელ მოვაწყვეთ ჯგუფი ბოქ. მიქიაშვილის მოკვლისთვის. მაგრამ აქაც გადარჩა, მოკვდა მისი ერთი მცველი. მიცვალებული გაასვენეს ოზურგეთში, (25 ვერსტის მანძილზე). კუბოში ჩაყარეს ხრეში 15 ფუთამდე, რომ უფრო მძიმე გამხდარიყო და გაასვენებიეს საზოგადოებას. გზაში მოგვიკლეს ორი ჩვენი ამხანაგი, შემდეგ გადავსწყვიტეთ ერმოლოვის (მაზრის უფროსის) მოკვლა. მოგვანდეს მე და დიმიტრი ჩხაიძეს, მაგრამ გურიის ფარგლებში აქტის შესრულება არ მოხერხდა. მოგვცეს საუკეთესო ტერორისტები. მრავალჯერ ვსცადეთ, მაგრამ ერმოლოვი გაძლიერებული მცველებით დადიოდა და ვერ მოვახერხეთ.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. ნუსუბიძე

მოგონებანი

(ფარმაცევტთა არალეგალური პროფკავშირის ცხოვრებიდან).

1911 წ. შემოდგომის დამდეგს დიდი ‹ავიდარაბისა და გაჭირვების შემდეგ ბედმა გამიღიმა და ბაქოში აფთიაქის მოწაფის ადგილი ვიშოვე. სანამ სამსახურს დავიწყებდი, გატაცებული ვიყავი ერთი აზრით, როგორმე საშუალო სასწავლებელი დამემთავრებინა და უმაღლესი განათლებით ეზიარებულიყავ, რაც საშუალებას მომცემდა მძლავრი იარაღით მებრძოლა კომუნიზმის იდეების გასავრცელებლად. ამ მისწრაფების გზაზე დიდი და დაუფასებელი დახმარება აღმომჩინეს ამხ. მიშა ოკუჯავამ და მისმა მშობლებმა. მე მეტად მძიმე მატერიალურ პირობებში მიხდებოდა ცხოვრება უსახსრობის გამო და მაშინ ჩვენი მოწაფეთა წრის ხელმძღვანელმა, ამხ. მ. ოკუჯავამ დამაყენა თავის ბინაზე თითქმის უსასყიდლოდ. ამხ. ოკუჯავის ბინა წარმოადგენდა სახალხო სამკითხველოს, სადაც თავს იყრიდენ დევნილი სოციალისტები და მთელ ‹ღღიურ სინათლეს მაცადინეობას, კითხვას და კამათს ანდომებდენ. აქ მოდიოდენ ავგუსტოვა ამაღლობელი, კოწია ხომერიკი, ი. მაჭავარიანი, ბ. ბიბინეიშვილი, სტუდენტები და ქუთაისის მუშები. თვით ამხ. მიშა ხელმძღვანელობას უწევდა წრეებს. ამ წრემ ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა, მე აქ უკანასკნელად გავერკვე მეცნიერული სოციალიზმის ძირითად დებულებებში და გადავსწყვიტე მთელი ჩემი ენერგია ამ სარბიელზე შემეწირა.

1911 წ. მე გავემგზავრე ბაქოში. იქ მიმიღეს აფთიაქში მოწაფეთ,—აფთიაქში სამსახური არ მაკმაყოფილებდა და მთელ თავისუფალ დროს მეცადინეობას ვანდომებდი, ბაქოში შეეხვედი ამხ. კ. ხომერიკს, რომლიდანაც გავიგე, რომ ამხ. ფ. მახარაძე ცდილობს ჟურნალის გამოცემას. ძლიერ მეინტერესებოდა ამხ. ფ. მახარაძის გაცნობა. ბაქოს მუშებმა გამაცნეს ჩვენი ბელადი და შეუპოვარი მებრძოლი ამხ. ფ. მახარაძე. ამ დროს ბაქოში იყვენ ნ. ჟორდანია, ინა ჟორდანიასი და არსენიძე, რომლებიც გავიცანი ამხანაგების მიერ დავალებული საქმისაკენ დირექტივების მისაღებათ. ამხ. ფ. მახარაძე დაუფალავ რევოლიუციონურ მუშაობას ეწეოდა ბაქოს მუშებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს სწორედ ფეხს იკიდებდა ლიკვიდატორობა. ამბ. ფ. მა-ხარაძე სცემდა ქართულ ჟურნალს „წყაროს“ და ამ ჟურნალის საშუალებით და არალეგალურ წრეებში მუშაობით, თავისი მახვილი კალამით კვალ და კვალ დევნიდა ოპორტიუნიზმს და ლიკვიდატორობას, რამაც მის ირგვლივ თავი მოუყარა მრავალრიცხოვან წრეებს. ბაქოში მუშაობამ და ბაქოს პროლეტარიატთან დაახლოვებამ ბრძოლის ენერგია გამოორკეცა და რითაც კი შემეძლო, ყოველ საქმეში მონაწილეობას ვიღებდი. აფთიაქში მოსამსახურეების მდგომარეობა მეტად აუტანელი იყო. არც სამუშაო დროს განსაზღვრას და არც ხელფასის მომატებას ადგილი არ ქონდა. აფთიაქის პრინციპალები ალვირ-წასხნილი იყვენ და რაც მოესურვებოდათ, იმას სჩადიოდენ, მათ არავინ კონტროლს არ უწევდა, არავინ არ ებრძოდა.

აფთიაქის პატრონები უშვერი სიტყვებით, ქუჩური ლანძღვით და საზიზღარი ღრეჯით უმასპინძლდებოდენ თავიანთ მოსამსახურეებს. ერთმა „განათლებულმა“ პროვიზორმა თავის მოსამსახურეს უყვირა: „какая пьяна« свиния тебя создала“, — და ეს გამოთქმა საყვარელ ფრაზად გადიქცა აფთიაქრებისათვის. ერთი სიტყვით, აფთიაქის პატრონები თავ-აშვებული იყვენ, ვინაიდან მათ არც ადმინისტრაცია და არც მოსამსახურეთა ორგანიზაციები არ ზღუდავდენ. პირველი მათ ხელში იყო და მექანთნესავით ქოთანს საითაც უნდოდათ, იქიდან გამოამბამდა ყურს, მეორე კი — პროფკავშირი არ არსებობდა, ვინაიდან ამისთვის კვალიფიციურ ფარმაცევტებს, ფარმაცევტების არისტოკრატიას, არ ეცალა და მოგებაში თავის წილის ანგარიშს უნდებოდენ. მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა, მე ამბ. ამბ. მიქაბირიძემ და ვანო მიქელაძემ განვიზრახეთ აფთიაქში მოსამსახურეების და მუშების შეკავშირება, ჩვენ ვერ შევძელით ფარმაცევტთა ჩვენ მხარეზე გადმოყვანა, მაგრამ ერთგვარი საინიციატივო იაჩეიკა მაინც მოვაწყვეთ, რომელიც ყოველთვის და ყოველგან საჭირ-ბოროტო საკითხებში თავის ხმას იმაღლებდა.

1912 წ. მე იძულებული შევიქენი უადგილობის გამო ფოთში წავსულიყავ, იქ. აფთიაქში მმიღო ქალაქის მმართველმა ალექსანდრე მდივანმა. ფოთში ჩასვლისთანავე შევხვდი ამბ. კანდელაკს. ჩვენ შევადგინეთ მცირე წრე. სამი თვის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი მუშაობა, მაგრამ აქ სამსახურიდან დამითხოვეს ერთი ინცინდენტის გამო. საქმე შემდეგში იყო: აფთიაქის მოსამსახურეები ორ ჯგუფად გაიყო: ერთ მხარეზე იყო მმართველი მდივანი და თანაშემწე გეგეჭკორი, მეორეზე — ყველა დანარჩენი მოსამსახურეები. პროვიზორი მდივანი და გეგეჭკორი ლოთობის მეტს არაფერს აკეთებდენ. ერთხელ, როდესაც რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინ'ში წამალს ეაკეთებდი, ნამთვრალეკი გეგეკკორი მომეკარდა ტ. მიყვარა: „ბიბრძანეს ჩქარა დაამზადე წამალიო". მე ასეთმა ბისმა საქკიელმა ამაღელვა და გაბრაზებულმა მკეთეთ ეუბასუხე; ამის შემდეგ მდგომარეობა გამწვავდა და მე იძულებული ეიყავი სამსახური დამეტოვებია. მიუხედავათ ამბანაგების რჩევისა, [დავრჩენილიყავი ფოთში, მე ძლიერ ვიჩქაროდი ტფილისში წამოსვლას და თითქმის უფულოდ 1913 წელს გადმოვბარგდი ქ. ტფილისში ერთი თვის განმავლობაში ძლიერ მიჭირდა უფულოთ და უადგილოთ ყოფნა, მაგრამ შემდეგ გავეცანი ამხანაგებს და მაღე სამსახურში ჩავდექი. ადგილი ეიმოვე ზემელის აფთიაქში, ჯამაგირი მეტად მცირე იყო. ძაგრამ დროებით ბედს უნდა შევრიგებოდი; ზემელის აფთიაქში 25 ფარმაცევტ-პროვიზორები და მოწაფეები მსახურობდენ. საერთო შრომის პირობები ყველა მოსამსახურისათვის აუტანელი იყო: განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა დაბალი და საშუალო მოსამსახურეთა პერსონალი. საერთოდ აფთიაქში მომუშავეთა მატერიალური მდგომარეობა 1913 წ. მეტად აუტანელი იყო, საძუშაო დღე განუსაზღვრელი და ამ გარემოებას ყურადღებას არავინ აქცევდა, არ იყო ამ დროს არაკითარი მეშაობა ორგანიზაციებში და, რასაკვირველია, არც ფარმაცევტებს ქონდათ თავისი პროფკავშირი, ამ პერიოდში რუსეთის საზოგადო ცხოვრება შემუსრული იყო შავი რეაქციით და თვით სამრეწველო და პროლეტარული ცენტრებშიც კი იშვიათი იყო რევოლიუციონური მოძრაობის გაშლა. მიუხედავათ ამ მდგომარეობისა, მე ძლიერ მაწუხებდა ის დაქსასვა, დაკნინება და სულიერი სიდამბლე, რომელიც ქრონიკულად მოსდებოდა ფარმაცევტთა საზოგადოებას. ბევრი არ დამიყოვნებია სამსახურის დაწყების შემდეგ და ჩემი ზრახვანი გავაცანი პ. კანდელაკს (მენშევიკს) და პ. პარამუზოს (უპარტიოს), ამ ამხანაგებმა ჩემი შეხედულება ფარმაცევტთა საზოგადოებაზე სწორეთ იცნეს და ჩემი წინადადება მოიწონეს. ჩვენ გადავწყვიტეთ ფარმაცევტების შეკავშირება და რევოლიუციონური ბრძოლის დაწყება ეკონომიური საკითხების ირგვლივ. პირველად კრება მოვახდინეთ ჩვენ სამმა მუშაობის გეგმის გამოსაშუავებლათ ზემელის აფთიაქის მატერიალურ ოთახში. აქ გადავწყვიტეთ, თუ რომელ აფთიაქიდან რომელი ამხანაგი უნდა მოგვეწვია. ამისთვის შეავდგინეთ მოკლე სია და დავნიშნეთ დღე დამფუძნებელი კრების მოსაწვევად, ამ ამხანაგებმა მოხსენების გაკეთება ჩვენი მიზნების შესახებ მომანდეს მე. ორი კვირის შემდეგ, მართლაც ეს კრება შესდგა ტფილისის ერთ-ერთ სასადილოში და მოწვეული ამხანაგები უსაზღვრო აღტაცებით შეხვდენ ჩვენ წინადადებას. ამ კრებაზე სხვათა შორის წამოიჭრა ერთი უმნიშვნელო საკითხი, რომელიც საქართველოს გასაბჭოებამდის დიდ სადაო საკითხად გადაიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა. საკითხი ეხებოდა—თუ რა სახელი გვეწოდებია ჩვენი წრისთვის, მე ამის შესახებ წამოვაყენე შემდეგი წინადადება ვრცლად დასაბუთებული.—„აფთიაქში მუშა-მოსამსახურეთა საორგანიზაციო ბიურო". ამ წინადადებამ დიდი კამათი გამოიწვია, მაგრამ ხმის უმეტესობით გადაწყდა ასეთი სახელწოდების მიღება. ამ მეორე საორგანიზაციო კრებამ, რომელსაც ათ კაცამდე დაესწრო, გადასწყვიტა მუშაობის გაჩაღება და სამუშაო აპარატის შექმნა. რომელიც დღევანდელ პროფკავშირების სეკრეტარიატებს—სამდივნოებს მოგვაგონებს, ამ სამდივნოში არჩეული ვიყავით სამი კაცი: მე, პ. კანდელაკი და პარემუზოვი, აქვე ავირჩიეთ ორგანიზატორები და გადავწყვიტეთ პრესის საშუალებითაც აგიტაციის და პროპაგანდის დაწყება. არჩეული სამდივნო მეორე დღესვე მუშაობას შეუდგა და ტფილისის სხვა და სხვა აფთიაქებში მოწყო პროფესიონალური იაჩეიკები. ამ სამდივნომ არ დაგვიანა და უპირველეს ყოვლისა ბრძოლა გამოუცხადა აფთიაქში გამეფებულ წესლების ფალსიფიკაცია-სიყალბეს, ამ ნიადაგზე ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო ზემელის აფთიაქში და მას უშედეგოთ არ ჩაუვლია. ზემელის ლაბორანტი მოქალაქე ფრანკი და თვით აფთიაქარი ზემელი აელაგმეთ. ამ ბრძოლაში ხელს გვიწყობდა კეთილი და მოსამსახურეების მიერ საყვარელი გამგე გედეონტი, რომელიც მოსამსახურეებს არ ასჯენდა და არ ითხოვდა და უმთავრესად ლაბორანტის თანაშემწე მოწაფე ბურნაო, ზედმიწევნით განათლებული და კულტურული პიროვნება, რომელიც გვაცნობებდა ხოლმე ყოველგვარ თაღლითობას გაიძვერა ლაბორანტისას, რის შემდეგ წყალში გახსნილ, გაყალბებულ წამალს ან არ ვხმარობდით, ან ვაქცევდით ან კიდეე ვტეხდით. ამ საკითხის წინააღმდეგ დიდი კამპანია ავტეხეთ პრესაში და ამ გარემოებამ თანდათან დაგვიახლოვა აფთიაქის მუშაკები. მუშაობა სხვა მხრივაც სწარმოებდა—მოწყობილ წრეებში ვაწარმოებდით ლექციების კითხვას, აგიტაციას და პროპაგანდას, მაგრამ მომზადებული ძალები ძლიერ ცოტა გვყავდა. 1914 წ. დამდეგს ჩვენ მოგვემატა ერთი მომზადებული, მაშინ რევოლიუციონერი, ენერგიით სავსე ათანასე ქვათაძე (მენშევიკი), რომელიც შემდეგ ჩამოგვშორდა თუ ჩამოვიშორეთ. სამდივნომ ეს პიროვნება მუშაობაში ჩაება და ჩვენი ძალა და გავლენა დღითი-დღე იზრდებოდა. ჩვენ არ დაგვიყოვნებია და კავშირი გავაბით პეტროგრადის ამხანაგებთან, მიწერ-მოწერას ვაწარმოებდი პირადად მე ამხ. ამხ. ალიფესთან და კანევსკისთან; ვგზავნიდი სამდივნოს დავალებით აქედან კორესპონდენციებს ჟურნალ „ფარმაცევტთა ცხოვრებაში" და ამ ჟურნალის 100 №-ს ყოველთვიურად ვავრცელებდი ტფილისში. არჩეულმა სამდივნომ ცოტა ხნის შემდეგ მოიწვია არსებული ჯგუფების საერთო არალეგალური კრება მორიგი საკითხების გადასაჭრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად. ეს კრება, რომელსაც 80 კაცამდე დაესწრო, შესდგა ორთა-ჭალის ერთ-ერთ ბაღში, სადაც ეკითომდა ვახშამს ვუმართავდით ერთ წამავალ ამხანაგს. სუფრაზე გვეწყო ცარიელი თეფშები და წინასწარ მებაღე გაფრთხილებული გვყავდა ერთი ამხანაგის წყალობით. ამ მრავალრიცხოვან კრებაზე მოხსენება და სამდივნოს ანგარიში გავაკეთე მე. კრებამ დიდი ინტერესი გამოიჩინა საკითხების გაშუქებაში და გადასწყვიტა ახალი გამგეობის არჩევა, საზოგადოებისათვის სახელის წოდება და სამეცადინო წრეების დაარსება. ამ კრებაზე დაახლოვებით გვეცანი ამხ. ჩიქოვანს და კარაპეტიანცს, რომლებიც რევოლიუციონურ ტენდენციებს ატარებდენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფარმაცევტებში ამ დროს რევოლიუციონურ იდეოლოგიას ადგილი არ ჰქონდა. მეც განსაკუთრებით მაინტერესებდა წრეების მოწყობა და რევოლიუციონური ს. დ. იდეების გავრცელება; ამან დიდი შედეგები მოგვცა, რასაც ამტკიცებს დღევანდელი საზოგადო მოღვაწეების ყოლა ფარმაცევტთა წრიდან. ამგვარად, ამ მესამე საერთო კრებაზე ავირჩიეთ ახალი გამგეობა, ამ გამგეობაში შედიოდენ: პ. კანდელაკი, პ. პარემუზოვი, ა. ქავთარაძე, თ. ჩიქოვანი, მე, კარაპეტიანი და კიდევ ორიოდე ამხანაგი, რომლის გვარები არ მახსოვს. ამ კრებაზე ირჩეოდა საკითხი,—თუ რა სახელწოდება მიგვეცა ჩვენი არალეგალურ კავშირისათვის. აქ თავი იჩინა ორმა შეხედულებამ—ერთს იცავდენ განსაკუთრებით პროვიზორები და აფთიაქის თანაშემწეები, მეორეს აფთიაქის მოწაფეები და ზოგიერთი აფთიაქის თანაშემწენი. ამ საკითხის ირგვლივ ბრძოლა ააშკარავებს იმ სოციალურ ბუნებას, რომელთაც ეს მებრძოლი ჯგუფები ატარებდენ, მაგრამ ამ საკითხის შესახებ შემდეგ ვილაპარაკოთ.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ. დადიანაშვილი

მოგონებანი

(რევოლიუციონურ მოძრაობის დასაწყისი საქართველოში)

(1876—1906 წწ.)

(გაგრძელება)

1878 წლიდან გორის მაზრაში რამდენიმე სახალხო სკოლა დაარსდა და მასწავლებლად ჩემი ამხანაგ-მეგობრები დაინიშნენ: მოსე ნათაძე და შემდეგ თეოფილე კანდელაკი (ს. მეჯვრისხევი), გრიგოლ ყიფშიძე (ქვემო გომი), იოსებ ცხვეთაძე (ხოვლე), დ. კაპანაძე (ნიქოზი), შაქრო გულისაშვილი (მეტეხი), ა. გაგლოშვილი (ჭვარები), ლადო გულისაშვილი (რუისი), ნ. ხუციშვილი (ქვემო-გომი, გ. ყიფშიძის შემდეგ), ა. ნათაძე (ზემო ჭალა), ი კობორიძე და ოქუაშვილი (ხიდისთავი)... ეს მასწავლებლები, თავის მოვალეობის გარეშე, ხალხში ტრიალებდნენ და რევოლიუციონურ აზრებს ავრცელებდნენ, ხალხის ყოფა-ცხოვრებას ყურადღებით ეპყრობოდნენ და ადგილობრივ ადმინისტრაციას არ აჩაგვრინებდნენ. ამ მხრივ მეტად მოუსვენარი იყო შაქრო გულისაშვილი, რომელსაც ბოქაულ-მამასახლისები აყავყავებული ჰყავდა, რამდენჯერმე მაზრის უფროსი დაემუქრა, ადგილიდან დაგათხოვნინებ, თუ რომ ადმინისტრაციის საქმეში კვლავ გაერევიო. ის მაინც თავისას არ იშლიდა. იმ შემთხვევაში, როდესაც დაჩაგრულ გლეხების ინტერესის დაცვას ვერ მოახერხებდა, ამხანაგი გულისაშვილი კორესპონდენციებს აურენდა გაზეთ „დროება“-ში და ამ გზით მაინც იმარჯვებდა*).

გორის მაზრაში გაფანტული მასწავლებლები ჩემთან ხშირად დადიოდნენ, ბინაც მომეტებულ ნაწილს ჩემთან ჰქონდა გორში. ამ გზით გორის რევოლიუციონერმა ჯგუფმა ყოველ ქამს იცოდა სოფლის ამბებიც და რევოლიუციონური მუშაობის მიმდინარეობაც.

*) შ. გულისაშვილმა რამდენიმე თავისი შეგირდი შეგნებულ მომუშავედ გამოზარდა. სკოლის მოსამსახურეც-კი, მ. მირზაშვილი რევოლიუციონურ გზაზე დააყენა, როგორც აქტიური მოქმედი. ამ მირზაშვილის ლექსები იბეჭდებოდა „მუშა“ და „გლეხი“-ს ფსევდონიმით. ამ საუკუნის პირველ წლებში, გამანთავისუფლებელ მოძრაობის დროს, მირზაშვილი ადმინისტრაციამ რუსეთში გადაასახლა და იქ სიდღეც გადიღუპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1878 წლიდანვე გორში შესდგა სცენის მოყვარულთა წრეც. წარმოდგენებს ვმართავდით ქალაქის პავილიონში, მტკვრის პირად და შემდეგ კლუბის დარბაზში. ამ წრეში მონაწილეობდნენ: ს. მგალობლიშვილი, შ. გულისაშვილი, ნოქარი ლეონ ჯულაბაშვილი, მაშო კერესელიძე, ნინო მგალობლიშვილი, მარიამ ივანოვისა (დემურია), სოფო და ფეფო მაღალაშვილები, ბარბარე კარგავა, ჩემი მეუღლე ქეთევანი და სხვ. აქ პირველად გამოვიყვანეთ ქართულ სცენაზე ნატო გაბუნია და ბაბო კორინთელი. რეპეტიციები სწარმოებდა მ. კერესელიძის, ს. მგალობლიშვილის, ანიკო ყანჩელისა და სხვების ბინებზე.

რეპერტუარი უმთავრესად ადვილ წარმოსადგენ პიესებისაგან შესდგებოდა: მოლიერი, სუნდუკიანცი, გ. ერისთავი, ანტონოვი, ანტონ ფურცელაძე, ალალო თუთაშვილი და სხ.

რეცენზიები გაზ. „დროება“-ში იბეჭდებოდა და სცენის მოყვარულთ ამხნევებდა.

ტფილისიდან მუდმივი დასის არტისტებიც რამდენჯერმე მოგვწვეეია თეელის შემდგენლობით საგასტროლოდ. გორის საზოგადოებამ კარგა გაიცნო ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვი, ა. ყაზბეგი, კ. მესხი და სხვ.

გორის მაზრაშივე გადმოსახლდნენ ამ მოგონების დასაწყისში დასახელებულნი ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მუშა-შეგირდები და „ოსტატებად“ ცნობილნი ია დოდაშვილი და სანდრო ქუჩუკაშვილი. პირველი დასახლდა ს. ახალქალაში, მეორე—ს. ვარიანში. ჩემთან ხშირად დაიარებოდნენ და თავის მუშაობასა და შთაბეჭდილებას მიზიარებდნენ. დოდაშვილი გულწრფელი რევოლიუციონერი იყო, ნამდვილი მეგობარი მუშა-ხალხისა. საუბედურად, ის ჭლექით იყო დაავადებული და 1879 წ. წუთი სოფელს გამოესალმა.

ჩემთან გადმოვიდა გორში ჩემი სემინარიელი ამხანაგიც თევდორე გოლიევი (ბოლო დროს ბოლშევიკი). რამდენიმე თვე ჩემსას ცხოვრობდა და მერე სამასწავლებლო სემინარიის უფროს კლასში შევიდა, სწავლა დაამთავრა და ჩრდილო-ოსეთში დაბრუნდა, თავის სამშობლო სოფელ გიზელში.

გორშივე ამოვიდა ჩემი ამხანაგი ნიკო კეცხოველი, ჩემი კარგი მეგობარი და თანამოაზრე. მისი ოჯახი დროებით გორში ცხოვრობდა და შემდეგ ს. ტყვიავში დასახლდა. ჩვენ ერთმანეთში ხშირად დავიარებოდით. ნიკოს ძმა სანდრო სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობდა, ბინა ჩემსას ჰქონდა. ძმათა კეცხოველთა გარევოლიუციონერება აქედან იწყება. მათი მოღვაწეობა და ტრაგიკული სვეტები უკვე ცნობილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალ საკითხთა შორის, რომელთა გარკვევა დასჭირდა ჯერ თეორიულად გამოუცდელს გორის რევოლიუციონურ წრეს, გარეშეებამ იმ დროს ერთი მძიმე საკითხიც წამოაყენა—ებრაელების საკითხი.

როგორც ვიცით, ებრაელები უძველეს დროიდან ცხოვრობენ საქართველოში როგორც წარმართობის ხანაში, ისე გაქრისტიანების შემდეგ. ქართველ ხალხს ებრაელებისათვის არავითარი შეწუხება არ მიუყენებია. თუმცა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ებრაელებმა შმობლიური ენა დაივიწყეს და მის ნაცვლად ქართული შეითვისეს, მაგრამ თავისი სარწმუნოება, ტიპი და განსაკუთრებული ზნე-ჩვეულება შეინარჩუნეს. ქართველებს რომ სდომოდათ, მთელ ებრაელობას ერთ დღეს გაეწყობდნენ და მოსარჩლეც არავინ გამოეჩნდებოდათ, მაგრამ ქართველი არც ებრაელებს და არც სხვა რჯულისა და მოდგმის ხალხს არაობდეს არა სდევნიდა. ამას მოწმობს ისტორია და სინამდვილე. წარსულ საუკუნეში კი, რუსეთის საზიზღარ პოლიტიკანებისა და სამღვდელოების წყალობით ებრაელების შესახებ საქართველოშიც მრავალნაირი ცრუ-აზრი ვრცელდებოდა. ჩემს ბავშვობისას გამიგონია, ვითომც ქართლში ჯერ ისევ ბატონ-ყმობის დროს ებრაელებს ერთი ქართველი ბავშვი დაეჩხვლიტოთ და ამის გამო ზემოქართლის მდივანბეგს დიმიტრი აბაშიძეს ებრაელები დაეწიოკებინოს. მას შემდეგ ქართველები ეჭვის თვალით უყურებდნენ ებრაელებს და მათ პურ-ღვინოს არ ეკარებოდნენ. მაინც ებრაელების მშვიდობიანი ცხოვრება არაოდეს არ დარღვეულა: ჩემს სოფელ ბრეთში ებრაელები ცალკე უბნად ცხოვრობდნენ და ვაჭრობას მისდევდნენ. გლეხისთვის ებრაელების მეზობლობა ხელსაყრელი იყო, რადგან მიწის მოსავალს იქვე ადგილზრივ ასაღებდა. გაკოტრებული თავადები-კი არ უსვენებდნენ, ფულს ესესხებოდნენ და აღარ აძლევდნენ, უდიერად ეპყრობოდნენ, ოროლობეებში სძარცავდნენ და სხვა. ებრაელებმა ველარ გაუძლეს, ბრეთიდან აიყარნეს, ზოგი ცხინვალს გადასახალდა, ზოგი სურამს. ეს ყოველივე იმიტომ ხდებოდა, რომ მოხელეობა დაჩაგრულებს დახმარებას არ უწევდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თვით დაშინებული ებრაელები საჩივრის განცხადებას ვერა ჰბედავდნენ. აღსანიშნავია, რომ ებრაელს მრავალი ვექსელები, „ნეუსტოიკის“ წერილები და აღმასრულებელი ფურცლები ეჭირათ, მაგრამ მაგალითი არ ყოფილა, რომ ებრაელს პირშავ მოვალის მოძრავი ანუ უძრავი ქონება გაეყიდვინებინოს, ან თავსა და შეპირებულ სარგებელზე მეტი მოეთხოვოს, როგორც ამას სხვა ტომის და თვით ქართველი მოვაჭშენი სჩადიოდნენ.

და აი, ამისთანა კეთილ-განწყობილების დროს, ვგონებ—1877 წელს, ხმა გავრცელდა, ვითომც სარჩერის რაიონში ბავშვი დაიკარგა, რომელიც რავდენისამე დღის შემდეგ ჭალაში მკვდარი იპოვეს. ეჭვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრაელებზე მიიტანეს და მოწმეებიც აღმოაჩინეს, რომლებსაც პასპორტის წინა დღეებში საჩხერის გზით მიმავალი ებრაელები უნახავთ და ბავშვის ტირილიც გაუგონიათ.

დაფაცურდა ადგილობრივი მოხელეობა, გამართეს გამოძიება და „ეშოვეს საბუთები, რომლებითაც ებრაელების დანაშაულობა მტკიცდებოდა. სასამართლოს გამომძიებელმა საბრალმდებლო ოქმი უკვე შეადგინა, ებრაელები დააპატიმრა და საქმე სასამართლოს გადასცა. შეინძრა ებრაელობა არა მარტო საქართველოში, არამედ — რუსეთშიაც.

დამკვეელად მოიწვიეს ნაფიცი ვექილი ალექსანდროვი, რომელმაც ვერა ზასულიჩის პროცესით თავი ისახელა. ებრაელთა საკითხი იმ დროს მეტად გამწვავდა და მთელი ქართველი ხალხი აალაპარაკა. მცირე რამ მიზეზი საკმარისი იქნებოდა, რომ არასასურველი ამბები გამოეწვია.

გორის რევოლიუციონერ ჯგუფს ამის გამო თათბირი ჰქონდა და იმ აზრს დაადგა, რომ საჩხერის ამბავი შეუგნებლობითა და უფრო პროვოკაციით არის გამოწვეული, რადგან მთავრობის მოხელენი ცდილობენ სხვა და სხვა ერთა შორის შუღლი ჩამოაგდონ და ამით თვითმპყრობელობა და მართლმადიდებელი სარწმუნოება განამტკიცონ. ეს ჩვენი აზრი გორის მაზრაში გაბნეულ ამხანაგებს ვაცნობეთ და ჩვენს თანამოაზრეებსაც შევატყობინეთ ქუთაისსა და სხვა ქალაქებში, რომ ებრაელთა შესახებ ცრუ-აზრი გაჰფანტონ და საზოგადოებაში ინტერნაციონალური შეხედულობა დაამყარონ.

საჩხერელების საქმე სასამართლოში გაირჩა. „ბრალდებულნი გაამართლეს. გამოირკვა, რომ საჩხერეში მიმავალ ებრაელებს ხურჯინით ციკანი მიჰყავდათ, თავიც-კი უჩანდა და ციკნის კიკინი ზოგიერთ მოწმეს ბავშვის კვნესა-ტირილად მოსმენოდა; მკვდარ ბავშვსკი ნაჩხვლეტები მაგიერ ეკლის ნაკაწრი აღმოაჩნდა, რადგან შინიდან უპატრონოდ გამოსულს უგზო-უკვლოდ ეხეტიალნა...

1881 წლიდან გორის ინტელიგენციას ერთი გამოცდილი რევოლიუციონერი ემატება. ეს იყო მიშო ყიფიანი, ადმინისტრატიულ წესით რუსეთს გადასახლებული და ვადის შემდეგ განთავისუფლებული. იმ დროს საოსტატო სემინარიაში ქართულ ენის მასწავლებლის ადგილი განთავისუფლდა. სემინარიის დირექტორმა სეშენოვმა მიშო ყიფიანი თავის კანდიდატად წარუდგინა ოლქის მზრუნველს და „პოლიტიკურ კეთილ-საიმედობის“ თავდებობაც თვით იკისრა.

მიშო ყიფიანი ენტუზიასტი იყო, თითონაც მალე აღფრთოვანდებოდა და მსმენელთაც ადვილად გაიტაცებდა. ამ თვისებით ჩვენი ჯგუფი სარგებლობდა და, როცა საჭიროება მოითხოვდა, წინ გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლავრებდა. მიშომ უფრო მჭიდროდ შეაკავშირა მასწავლებლობა და ჩვენს ჯგუფს დაუახლოვა.

როდესაც ამრიგად გორის ინტელიგენტთა წრე მოლონიერდა, საერთო საქმეებისათვის დაიწყო მზრუნველობა. სხვათა შორის, მან ყურადღება მიაქცია იმ არანორმალურ გარემოებას, რომ საქართველოში სასულიერო სასწავლებლებიდან ქართული ენა განდევნილი იყო. სწორედ იმ ხანებში პეტერბურგიდან გამოვიდა სასულიერო სასწავლებლების რევიზორად სინოდის სამოსწავლო კომიტეტის წევრი, ცნობილი პედაგოგი მიროპოლსკი, რომელიც გორშიაც ამოვიდა. გორის წრემ დეპუტაცია მიუგზავნა, რომელშიაც მოვაყენეთ: მიშო ყიფიანი, მათე კერესელიძე, ლევან გრიგორიშვილი, მე და მეხუთე არ მახსოვს. მიროპოლსკიმ ყურადღებით მოგვისმინა, საქმის ვითარება და საერთოდ სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობა გამოგვკითხა, ჩვენი მოთხოვნილება სამართლიანად სცნო და შეგვეპირდა, რომ ამ გარემოებას რევიზიის შედეგთან ერთად და თავის დასკვნებს მოახსენებდა, სადაც ჯერ არს. ეტყობოდა მიროპოლსკიმ თავისი სიტყვა შეასრულა, რადგან მომდევნო სამოსწავლო წელს სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენა შემოიღეს, ხოლო როგორც ცალკე საგანი.

გორის ინტელიგენტთა წრის ზეგავლენით, მაზრის თავად-აზნაურობამ თავის საერთო კრებებზე ისეთი საგნებზე დაიწყო მსჯელობა, რომელთა შესახებ არც იმ დროს და არც შემდეგ მწერლობაშიაც ხმის ამოღება არ შეიძლებოდა. მან მოითხოვა, შუამდგომლობის სახით, საერობო დაწესებულებათა და ნაფიც მსაჯულთა წესის შემოღება; ნებაყოფლობით კისრულობდა განსაკუთრებული გადასახადი დაწესებულიყო თავად-აზნაურთა შეილების სწავლა-განათლებისათვის. ოდგან სამინისტროს გიმნაზიები მას არ აკმაყოფილებდა და სხვ. ესეთი შუამდგომლობანი შემდეგ გუბერნიის მარშლის კანცელარიაში დაიმარხა, რადგან წარჩინებული თავად-აზნაურობა მხარს არ უჭერდა.

ხიზანთა საკითხმა გორის თავად-აზნაურთა საერთო კრებაზე დიდი ალიაქოთი გამოიწვია, საქმე კინაღამ მუშტი-კრივამდე არ მივიდა. მცირე მამულის პატრონები და ლიბერალურად მოაზრე აზნაურობა მოითხოვდა ხალხის დასაწყნარებლად ხიზნების დამუშავებული მამული მშრომელთა სარგებლობაში დარჩენილიყო საშეილოშვილოდ. ამის წინააღმდეგი იყვნენ სხვილი მემამულენი და ტფილისიდან ამოსული ჩინოსნები (მაგ. გუბერნატორის განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე კოლა ერისთავი—ცუნცულაძე). საბუთათ ხიზნების წინააღმდეგ ისიც-კი მოჰქონდათ, რომ მომეტებული ნაწილი ხიზნებისა ოსობაა და არა ქართველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის თვითმართველობაც ფეხის-ხმას აჰყვა და შუამდგომლობა აღძრა გორში რეალური სასწავლებელი დაარსებულიყო სამეურნეო განყოფილებით. ქალაქი აძლევდა სახნავ მიწას, სახლკარის ადგილს და ჰპირდებოდა საათანადო შენობაც აეგო. ამ შუამდგომლობის გამო საოლქო მზრუნველი იანოვსკი ეწვია გორს თავის მოხელეობით. ქალაქის მიწები დაათვალიერა, ადგილი ამოირჩია, თითქმის გადაჭრით გამოუცხადა ქალაქის წარმომადგენლებს, რომ შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნებაო, მაგრამ განვლო დრომ და ეს საქმეც დავიწყებას მიეცა.

გორის საოსტატო სემინარიის შეგირდობა მიშო ყიფიანთანაც ხშირად დაიარებოდა. ლაპარაკი მუდამ პოლიტიკურ და ლიტერატურულ საკითხების გარშემო ტრიალებდა. შეგირდები თავის ლექსებს, მოთხრობებს და პატარა რეფერატებს კითხულობდნენ, რასაც შემდეგ კამათი მოყვებოდა. ლუკა რაზიკაშვილმა თავისი ნიჭი იქ განავითარა, თუმცა მისი ორიგინალობა მაშინ ჯერ ვერ ირკვეოდა.

იქვე დაიწერა მომეტებული ნაწილი მუშა-პოეტ იოსებ დავითაშვილის ლექსებისა. ის ს. რუისელი იყო, გორში ხშირად დაიარებოდა და ნახევრად იქა ცხოვრობდა. თავისი ლექსები ხან სოფრომ მგალობლიშვილთან მოჰქონდა, ხან ჩემთან გადასათვალიერებლად. რადგან იოსები სკოლაში ნასწავლი არ იყო, გრამატიკის უცოდინარობა ძალიან აწუხებდა და მხოლოდ ამ მხრივ გვთხოვდა მისი ლექსები შეგვესწორებინა.

იქვე უკულმართობის გზას ასცილდა ერთი ბავშვი, რომელიც კარგა ხანია ბავშვური პოეზიის დამამშვენებელია. ეს იყო 1880 წ. ერთს დღეს ჩემთან ვიღაც ანაფორიანი მოვიდა და თან 10—11 წლის ბავშვი მოიყვანა. შევხედე—ა. ქუჩუკაშვილი იყო.

— ეგ რა ღვთის წყრომაა?—შევეკითხე და ანაფორაზე მივუთითე.

— რა მექნა, დიდი გაჭირვება დამადგა. მამიჩემის ოჯახი მე დამაწვა, ხელობით ლუკმა პურს ვეღარ ვშოულობდი და ძალა-უნებურად ანაფორა გადავიცვიო. აი ეს ჩემი ძმა ქვაბთახევის მონასტერში მიმყავს, ბერები შემპირდნენ—დიაკვნობას შევასწავლითო.

მე ძალიან შევეტუქსე, როგორ-თუ იმ დროს, როდესაც მღვდელ-მონაზონობის მოსპობისა ვცდილობთ, შენ გინდა ბავშვი მონასტერში მოამწყვდიო. დასტოვე ბავშვი ჩემთან და, თუ სასურველ გზაზე ვერ დავაყენე, უარესი ხომ მაინც ვერ გამოვა-მეთქი.

დარჩა ბავშვი ჩემთან. მასუკან მისი ძმა აღარ გამოჩენილა. იმ დროს ჩემთან ცხოვრობდნენ სანდრო კეცხოველი და ნიკო რაზიკაშვილი (ბაჩანა), რომლებიც გორში სწავლობდნენ. პატარა შიო ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ მეცადინეობდა, შემდეგ საქალაქო სასწავლებელში შევიდა და თანდათან სწავლის გზა გაეღო. ლუკა რაზიკაშვილისა და მისი ამხანაგების მაგალითმა ბავშვები წაახალისა და ამათაც ლექსების წერა დაიწყეს. შიოს ლექსებს ხალხური ცოდნა ეტყობოდა, მიშო ყიფიანმაც ყურადღება მიაქცია და დახმარებას უწევდა. გორში რომ სწავლა გათავა, შიო ტფილისში ჩამოვიდა და მთელი ლექსთა კრებული ჩამოიტანა. ჯერ თითონაც არ იცოდა ოა გზას დასდგომოდა, ხოლო ისეთი საქმე კი უნდოდა ლუკმა პურის საშოვნელად, რომ ქართული წიგნები ხელმისაწდომი ყოფილიყო. მეც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მოვუხერხე ადგილი, თუმცა ერთი გამგეთაგანი დიდხანს ყოყმანობდა—ინტელიგენტური ფიზიონომია არა აქვსო. დღეს ყოველი ქართველი მოტიკტიკე ბავშვი იცნობს „ძია შიო"-ს,—მის საყვარელ პოეტს შიო მღვიმელს.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება

= III =

ავტობიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. მახარაძე

ჩემი მოკლე ავტობიოგრაფია

დავიბადე 1868 წელს (თუ არ ვცდები მარტში) სოფ. კარის ყურეში (გურია). მამა ჩემი იყო მეტად ღარიბი სოფლის მღვდელი, რომელსაც, როგორც ყმა-გლეხს, ჩემს დაბადებამდის რამოდენიმე წლით ადრე, როგორლაც მოეხერხებია და თავი დაეხსნა მემამულისაგან; დედა ჩემი კი უბრალო გლეხის-ქალი იყო. მამას არავითარი განათლება არ ქონდა მიღებული, შეეძლო მხოლოდ ქართულად კითხვა და საკუთარი გვარისა და სახელის მოწერა. დედა—საესებით გაუწათლებელი ქალი იყო. მშობლებს ყავდათ სულ ხუთი შვილი, მათ შორის სამი ვაჟი და ორი ქალი. მე საშუალო შვილი ვიყავი. ჩვენი ოჯახი მეტად ღარიბი იყო და ამიტომ ყველანი, როგორც დიდი, ისე პატარა, ვმუშაობდით ყანაში და სახლში სხვა გლეხებთან ერთად.

8—9 წლისა შემიყვანეს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, სადაც ამ დროს სწავლობდა ჩემი უფროსი ძმა—მაქსიმე. ამ სასწავლებელში ბავშვებს უფრო ჩქარა ამახინჯებდენ, ვინემ რამეს ასწავლიდენ. უფროსები საშინლად სცემდენ ბავშვებს და თმებით ათრევდენ ხოლმე. მეცადინეობა სწარმოებდა რუსულ ენაზე, რომელიც თითქმის არავის არ ესმოდა.

დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ ეს სასწავლებელი დავასრულე 1884 წელს და იქიდან პირდაპირ შევედი ტფილისის სასულიერო სემინარიაში. სულის შემხუთავი ატმოსფერა იყო გამეფებული. ეს იყო სქოლასტიკის, მატყუარობის და გაიძვერობის სამეფო. ყოველივე ცოცხალი დევნილი და აკრძალული იყო. ყველაფერი დაფუძნებული იყო რელიგიასი და ტახტის ერთგულებაზე. სემინარიაში შესვლის დროს ძალიან წყნარი და მასთან სამაგალითო მოწაფეც ვაყავი სულიერი იეზუტების თვალში და მასთან გულწრფელად მორწმუნე ადამიანიც. ერთი წლის შემდეგ კი აღარ შეიძლებოდა ჩემი ცნობა: პირველ ყოვლისა, გავხდი **პროტესტანტი** სემინარიაში გამეფებული წეს-რიგის წინააღმდეგ და მასთან, **ათეისტიც**. სემინარიის მოწაფეთა შორას უკვე მაშინ არსებობდა თვითგანვითარების საიდუმლო წრეები. ასეთი წრეების არსებობა იცოდა სემინარიის მთავრობამ და მათ წინააღმდეგ აწარმოებდა ცხარე ბრძოლას, რაც ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავითარ შედეგებს ვერ აღწევდა. ჩქარა მეც შევედი ერთ-ერთ ასეთ წრეში. სამწუხაროდ, მაშინ ჩვენ არ გვყვანდა საკმაო რიცხვი ისეთი მომზადებული აბხანაგებისა, რომელთაც კი შეეძლებოდათ ჩვენთვის ხელმძღვანელობის გაწევა. თითქმის სრულებით არ გვქონდა ცოტად თუ ბევრათ განსაზღვრული და გარკვეული პროგრამა წრეებში მეცადინეობისათვის. **ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, შელგუნოვი**,—აი ის მწერლები, რომელთა ნაწარმოებსაც ჩვენ უმთავრესად ვკითხულობდით და ვსწავლობდით, ხოლო ხანგამოშვებით ხელში ჩაგვივარდებოდა ხოლმე „**ნაროდოვოლცების**“ ნაწერებიც, რომელთაც დიდის გატაცებით ვეწაფებოდით და თითქმის ზეპირადაც ვსწავლობდით. მთელი ჩემი სიმპატია იყო „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიის მხარეზე, მაგრამ, უნდა ვსთქვა, რომ ნაკლებად მესმოდა „ნაროდოვოლცების“ მოძღვრება. მარქსის მოძღვრება კი და სოციალ-დემოკრატიის არსებობა ყველა ჩვენთაგანისათვის სავსებით უცნობი რამ იყო და ისე გავათავეთ სემინარია (1890 წ.), რომ ამის შესახებ არც ერთმა არაფერი ვიცოდით.

თითქმის სემინარიის კურსის დამთავრების წინ, თვით სემინარიის კედლებში მოხდა ერთი დიდი სკანდალი, მაშინდელი პირობების მიხედვით მეტად დიდ-მნიშვნელოვანიც, რომელმაც ძლიერი გავლენა იქონია მთელ ჩემ მომავალ ბედ-იღბალზე, რისთვისაც მინდა ცოტა შეეჩერდე მის გადმოცემაზე.

სემინარიაში მუდამ სწარმოებდა ბრძოლა მოწაფეებსა და სემინარიის მთავრობის შორის. ეს იყო ორი მოწინააღმდეგე მებრძოლი ბანაკი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. 1890 წლის მარტში ეს ფარული ბრძოლა შედარებით უბრალო მიზეზის წყალობით (სემინარიის საკვების გაუმჯობესება) გამოისახა თითქმის მთელი სემინარიის **აშკარა გაფიცვაში.** მთელი ერთი კვირის განმავლობაში მოწაფეები გაფიცული იყვნენ და არ დაიარებოდენ სამეცადინოთ. ამ გარემოებამ დაიფაცურა და გააბრაზა არა მარტო სემინარიის მთავრობა, არამედ ტფილისის მთელი უმაღლესი საადმინისტრაციო ხელისუფლებაც. გადაწყვეტილ იქნა დაპატიმრება და ადმინისტრატიული წესით გაგზავნა ამ ჯერ უმაგალითო გაფიცის უმთავრესი დამცველებისა და სულის ჩამდგმელებისა და მათ შორის, პირველ რიგში, მეც, ნ. ჯორდანიას (შემდეგში, ქართველ მენშევიკების ლიდერის), კიკვაძისა და სხვების. მაგრამ ყველაზე მეტ დამნაშავეთ და ამ გაფიცვის სულის ჩამდგმელათ ყველას თვალში მე ვითვლებოდი. სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი **ნიკოლოზი** (შემდეგში, ვარშავის არქიეპისკოპოსი) — შედარებით გამჭრიახი და შორსმჭვრეტელი ადამიანი, არ თანხმდებოდა ჩვენს დაპატიმრებაზე, რადგან ფიქრობდა, რომ ასეთი ზომა კიდევ უფრო გაამწვავებდა მდგომარეობას და ურთიერთობას მოწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეებსა და სემინარიის მთავრობის შორის. ამის გამო სემინარიის მთავრობა იძულებული გახდა რამდენიმეთ დაეთმო მოწაფეებისათვის და ერთ-ერთ დათმობათ იყო დაპირება იმისა, რომ არავის არ დასჯიდენ ამ ისტორიისათვის. ამრიგად, მე არა თუ დამაპატიმრეს, არამედ სემინარიიდანაც კი არ დაუთხოვნივარ.თ. საშუალება მომცეს დამესრულებია სემინარია, მაგრამ ეს ამბავი აღნიშნეს იმით, რომ ატესტატი მომცეს ყოფაქცევაში „4“ ნიშანით, რაც მაშინ არსებითად სავსებით უდრიდა „მგლის (волчьи) ბილეთს“. ამის წყალობით, თუმცა სემინარია დავასრულე პირველი ხარისხით და სტუდენტის სახელწოდებით,—მაგრამ ყველა უმაღლეს სასწავლებლის კარები ჩემთვის დახშული იყო. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, ე. ი. 1891 წელს, რუსეთში აღმოჩნდა დაბოლოს ერთი სასწავლებელი, რომელმაც გაგვიღო ჩვენ თავისი კარები. ეს იყო ვარშავის ვეტერინარული ინსტიტუტი, სადაც კიდევაც შევედით მე და ნ. ჟორდანია—1891 წლის შემოდგომაზე. ეს ინსტიტუტი მე მიმაჩნდა ერთად-ერთ შესაძლოებათ მთლიანი და საბოლოო მსოფლმხედველობის შესამუშავებლად. საქმე იმაში გახლავთ, რომ, თუმცა ჩემ თავს სოციალისტად ვთვლიდი, მაგრამ თვით სოციალიზმზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა. ვარშავაში და საერთოდ პოლონეთში იმ ხანად საკმაოდ ძლიერი მუშათა მოძრაობა იყო. თუმცა ჩვენ შევეჩვიეთ იმის ფიქრს, რომ მუშათა მოძრაობა შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალისტური, მაგრამ სინამდვილეში ყოველთვის ასე როდია. ამის მაგალითს ჩვენ გვაძლევს პოლონეთის პროლეტარიატის მოძრაობა მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მას ქონდა ერთსა და იმავე დროს სოციალისტური და ნაციონალური ხასიათიც (პოლონეთის ხალხის უფლებების დაცვა). მაგრამ აქა-იქ, პოლონეთის მუშათა შორის თანდათან ფეხს იკიდებდა **მარქსიზმი**. უკვე 1891 წლის შემოდგომიდან მე დავუახლოვდი სტუდენტების იმ ჯგუფს, რომელიც გაცნობილი იყო მარქსის მოძღვებასთან და სოც.-დემოკრატიულ მოძრაობასთან. ჩქარა ჩვენ შევადგინეთ წრე მარქსიზმის შესასწავლად. ამ წრეში ჩემს გარდა იყვნენ: **ნ. ჟორდანია, მიქაძე, პესკინი, ლიუბიმსკი, ანტოვოლსკი, ზალკინდი**, შემდეგ შემოგვეერთდენ **რუნკევიჩი და შუმოვი**. თეორიიდან ჩვენი წრე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს, დროის მიხედვით, პირველ სოც.-დემოკრატიულ იაჩეიკათ ვარშავაში.—ჩქარა გადავიდა პრაქტიკულ მოქმედებაზე, რაც გამოიხატებოდა, პირველყოვლისა, სოც.-დემოკრატიული იდეების პროპაგანდაში მუშებს შორის და, მეორეს მხრით, იმ არალეგალური საზღვარ-გარეთელი ლიტერატურის გავრცელებაში, რომელსაც მაშინ სცემდა „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო აქ ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ჯგუფის საშვალებით სოც.-დემოკრატიული იდეები პირველად შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჭრა მაშინ საქართველოში, როგორც პირადი ურთიერთობის, ასევ არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის გადმოგზავნის საშვალებით.

1893 წლის დასაწყისში ჩვენ დაგვიჭირეს ერთი ასეთი დიდი ტრანსპორტი სოც.-დემოკრატიული ლიტერატურისა და ამასთან დაკავშირებით დატუსაღებულ იქნა მთელი ჯგუფი ამხანაგებისა და მათ შორის მეც.

ვიჯეტი ცნობილ ალექსანდროვის ციხეში ვარშავაში 1895 წლის დასაწყისამდე; გამანთავისუფლეს თავდების ქვეშ და გადმომასახლეს სამშობლოში, სადაც ვიმყოფებოდი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ვიმყოფებოდი 1899 წლის ბოლომდე. ამ დროს განმავლობაში ნება არ მქონდა მეცხოვრა ამიერკავკასიის რომელიმე ქალაქში, მაგრამ დრო-გამოშვებით მე ხშირად ვახერხებდი ტფილისში ჩამოსვლას და იქ ცხოვრებას, რასაკვირველია, არალეგალურად. ჩემი მუშაობა იმ ხანებში უმთავრესად გამოიხატებოდა ყოველ-კვირეულ გაზეთ „კვალი"-ში თანამშრომლობაში, რომელშიც ვათავსებდი პუბლიცისტურ და ისტორიულ-ეკონომიური ხასიათის წერილებს, რომელნიც წმინდა მარქსისტული თვალსაზრისით იყვენ გაშუქებულნი. ეს გაზეთი იმ დროს შეიქნა ორგანოთ ქართველი მარქსისტებისა, ანუ **მესამე დასელებისა**, როგორც გვეძახდენ ჩვენ მაშინ ყველანი. ტფილისის მუშებში სისტემატიური აგიტაციისა და პროპაგანდის წარმოებას ვერ ვახერხებდი, მაგრამ მათთან გაბმული მქონდა არსებითი კავშირი.

ზედამხედველობის ვადის გასვლის შემდეგ განვიზრახე საზღვარგარეულ გამგზავრება, მაგრამ ამ დროს პოლიციას მოაგონდა, რომ ოდესლაც მე გადამიდვეს სამხედრო ბეგარის მოხდა და 1900 წლის დასაწყისში კიდეეაც გამიწვიეს ჯარში, სადაც მამსახურეს დაახლოვებით 6 თვე, რის შემდეგაც გადასწყვიტეს ჩემი განთავისუფლება. ამის შემდეგ მე დავსახლდი ტფილისში და ამხანაგების გადაწყვეტილების თანახმად, ნოე ჟორდანიასთან ერთად, დავიწყე აქტიური მონაწილეობის მიღება გაზ. „კვალში". მაგრამ ჟანდარმერია თვალყურს ადევნებდა თვითეულ ჩემ ნაბიჯს და უკვე 1901 წლის განმავლობაში ორჯერ დამაპატიმრეს მარტო იმ ეჭვით, რომ მონაწილეობას ვიღებდი სოც.-დემოკრატიულ მოძრაობაში. მაგრამ, ვინაიდან არავითარი კონკრეტიული საბუთები არ მოეპოვებოდათ ჩემ წინააღმდეგ, ორივეჯერ გამანთავისუფლეს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტფილისიდან მაინც გადამასახლეს 1901 წლის ბოლო რიცხვებში. ნება დამრთეს მეცხოვრა ქ. ქუთაისში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ და უკვე იქიდან მიხდებოდა ხელმძღვანელობა გამეწია გაზ. „კვალი"-სათვის, რომელიც გამოდიოდა ტფილისში (ჟორდანია ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს უკვე ციხეში იჯდა). 1902 წლის დასაწყისიდან, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქ. ბათომსა და ოზურგეთის მაზრაში (გურია), სწრაფად დაიწყო განვითარება რევოლიუციურმა მოძრაობამ, რომლის ხელმძღვანელობის გაწევისათვის, გარდა ქუთაისის საგუბერნო და ბათომის საქალაქო კომიტეტისა, შედგენილ იქნა ჩემის მონაწილეობით რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის გურია-სამეგრელოს კომიტეტი. 1902 წლის ზაფხულის შუა რიცხვებში ქუთაისში ჩემთან ჩამოვიდა ლ. კეცხოველი, რომელსაც მაშინ მინდობილი ჰქონდა არალეგალური სტამბის მოწყობა. ჩვენი ამხანაგების სახელით კეცხოველმა წინადადება მომცა წავსულიყავი საზღვარ-გარეთ, რათა იქ მომეწყო ქართულ ენაზე სოც.-დემოკრატიული გამომცემლობა. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ ქართველ ფედერალისტების პაწია ჯგუფი ემზადებოდა გამოეშვა პარიზში თავისი ჟურნალი („საქართველო"). მე თანხმობა განვაცხადე და კიდევაც ვიშოვნე ყალბი პასპორტი, მაგრამ მას ჰქონდა ერთი ფორმალური ნაკლი, რის გამოც მე საზღვარ -გარეთ არ გამიშვეს და ამიტომ, ჩემდა ძალიან სამწუხაროდ, იძულებული გავხდი ავსტრიის საზღვრიდან დაბრუნებულიყავი ქუთაისში.

1903 წლის დასაწყისში ტფილისში გაიმართა სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციების **კავკასიის პირველი ყრილობა**, რომელშიც მეც ვიღებდი მონაწილეობას. ყრილობაზე იყვნენ სხვათა შორის მ. ცხაკაია, ს. ჯიბლაძე და ნ. ჟორდანია. ამ ყრილობაზე არავითარი პრინციპიალური უთანხმოება ჩვენ შორის არ ყოფილა. მთელი ყრილობა იდგა ვაზეთ „ისკრა"-ს **ანუ ლენინის პოზიციაზე**. მხოლოდ ერთად ერთი ჟორდანია, რამდენათაც მახსოვს, და ისიც მხოლოდ კერძო ბაასში, რაღაც გაუგებრად და ბუნდოვანად აყენებდა საკითხს **კავკ. სიის სეიმის** შესახებ, მაგრამ ყრილობის არც ერთ ოფიციალურ სხდომაზე ეს საკითხი არ დასმულა.

სხვათა შორის მე დავალებული მქონდა დამემზადებია მასალა აგრარული საკითხის შესახებ ამიერ-კავკასიაში, რომელიც უნდა წარდგენოდა ახლო მომავალში განზრახულ პარტიულ მე-2 ყრილობას. ეს დავალება შევასრულე ვადამდე. გარდა ამისა, იმავ 1903 წელს გადავთარგმნე **ლენინის** ბროშიურა „К деревенской бедноте", რომლის დაბეჭდვაც მოვახერხეთ არალეგალურად ქუთაისში იმავე 1903 წელს.

1904 წელში, ბოლოს და ბოლოს, გაზეთი „კვალი" დაიხურა ოთხი მინისტრის განკარგულების თანახმად. 1904 წლის გასულს, ვისარგებლე რა თანდათანობით გაძლიერებული რევოლიუციური მოძრაობით, კვლავ გადმოვედი ტფილისში, სადაც 1905 წლის დასაწყისიდანვე, სხვა ამხანაგებთან ერთად (საშა წულუკიძე და სხვ.) ხელი მოკიდე ყოველ-კვირეული მარქსისტული ჟურნალის „მოგზაური"-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემას. თანდათან განვითარებულმა რევოლიუციურმა მოძრაობამ ძლიერ შეარყია აბსოლიუტიზმის ბეჭენი, რის გამოც ცენზურა ბევრად უფრო ლიბერალური შეიქნა, წერაც შეიძლებოდა ბევრად უფრო თავისუფლად, თუმცა პირველივე ნომერის გამოშვების შემდეგ მე თავი ამოვყავი ციხეში, სადაც, მართალია, ამ ჯერად დიდხანს არ მამყოფეს, სულ 1 ნახ. თვე. ამ ხნის განმავლობაში ჩვენშიაც ჩამოყალიბდა უმცირესობის და უმრავლესობის ფრაქციები და კიდევაც დაიწყო მათ შორის გაცხარებული ბრძოლა, პირადათ ჩემში ბოლშევიკური ფრაქციისადმი მიკედლების საკითხს არ გამოუწვევია არავითარი ყოყმანი, რადგან ეს უკვე წინასწარ იყო გადაწყვეტილი მთელი ჩემი აღზრდითა და მომზადებით. აქ მე ერთხელ და საბოლოოდ უნდა განვაცხადო, რომ ფრაქციულობის მხრით იმ თავიდანვე ვიყავი, თუ უკიდურესი მემარცხენე არა, ყოველ შემთხვევაში. მტკიცე ბოლშევიკი მაინც. თუმცა არ მსურდა გადამეტანა ლეგალური ჟურნალი შინაურ-პარტიული და ფრაქციული ბრძოლის ორგანოდ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჟურნალი „მოგზაური“ ჩვენ ვცდილობდით, რამდენადაც კი ამის ძალა შეგვწევდა, გაგვეხადა ბოლშევიკური ტაქტიკის გამტარებელ ორგანოთ. მაგრამ 1905 წლის ოქტომბრის 17 მანიფესტის შემდეგ, როდესაც თითქმის ყველგან თავი იჩინა ორივე ფრაქციის ერთ მთლიან ორგანიზაციაში გაერთიანების ტენდენციამ,— ჟურნალ „მოგზაური“-ს როგორც ცალკე დამოუკიდებელი ორგანოს გამოცემა შესწყდა და იგი შეუერთდა იმ ხანებში გამოსულ სოც.-დემოკრატიულ გაზეთ „ხმივს“. მაგრამ, როგორც თქვენც იცით, ასეთი „გაერთიანება“—„გატაცება“ დასრულდა ჩქარა, ეგრედ წოდებული 1906 წ. სტოკჰოლმში მოწვეული გაერთიანების ყრილობის შემდეგ, სადაც უმრავლესობა ყავდათ მენშევიკებს, —ასეთი გაერთიანების მისწრაფება თანდათან იკლებს და საერთო ენაც ვერ იქნა გამონახული; მით უმეტეს, შეუძლებელი იყო ოცნება მენშევიკებთან ერთად რაიმე საერთო ლიტერატურული ორგანოს გამოცემაზე.

როგორც კი 1905 წლის გასულს დაიწყო შავი რეაქცია, მე დამაპატრიეს, მაგრამ 1906 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში ისევ გამანთავისუფლეს, რადგან არ მოეპოვებოდათ რაიმე კონკრეტიული საბუთები ჩემ წინააღმდეგ. მიუხედავათ ამისა, ჩემი მდგომარეობა არც თუ არა სახიფათო იყო. ყველა რეაქციონურმა პარტიებმა და ჯგუფებმა საშინელი განგაში ატეხეს პირადათ ჩემ წინააღმდეგ. მეორეს მხრით, სამხედრო მდგომარეობის გამო შესაძლებელი იყო ჩემი დაპატიმრება ყოველ წუთში, რაც შეიძლებოდა ძალიან სამწუხაროთ გათავებულიყო: ამასთანავე მენშევიკებთანაც ძალიან გამწვავებული მდგომარეობა გვქონდა. ასეთ პირობებში ახლო მეგობრებმა და ამხანაგებმა მირჩიეს წავსულიყავი საზღვარ-გარეთ, მით უმეტეს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გამგზავრება ჩემი დიდი ხნის სანატრელი ოცნება იყო. და მართლაც, 1906 წლის სექტემბერსა თუ ოქტომბერში გაემგზავრე გერმანიაში, მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ სრულებით უსახსროთ დავრჩი: გერმანიაში გარდამეცვალა ჩემი პატარა ასული, რის შემდეგაც იძულებული ვიყავი უკანვე დაბრუნებულიყავი. ამ რიგად, ვერ მივალწიე ჩემ მიზანს: გერმანული ენის შესწავლას და გერმანიის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან ახლოს გაცნობას. დაბრუნდი ტფილისში 1907 წლის თებერვალში. იმ დროს აქ გაჩაღებული იყო მეორე სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანია. მენშევიკებს დიდი გამარჯვება ხვდა წილად ამ არჩევნებში. შემდეგ დაიწყო არჩევნები პარტიული (ლონდონის) ყრილობისათვის. მენშევიკებმა აქაც ყველა თავისი დელეგატები გაიყვანეს. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ფრაქციული ბრძოლა კი არ შესუსტებულა, არამედ, პირიქით, იგი თანდათან მწვავდებოდა და ღრმავდებოდა. თუმცა ფორმალურად მენშევიკები და ბოლშევიკები გაყოფილი არ ყოფილან, მაგრამ ჩვენ, ბოლშევიკებს, ტფილისში გვქონდა ჩვენი ცენტრი **იდეურ—საგამომცემლო ბიურო**, რომელიც სავსებით დამოუკიდებლად სცემდა გაზეთებს, ფურცლებს, მოწოდებებს და სხვ. მუშაობა საკმაოდ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა; მაგრამ ჩვენ ცენტრში 1907 წ. მეორე ნახევარში შემოძვრა ერთი პროვოკატორი, რომელსაც ეძახოდენ „მაქსიმეს“. იგი გამოგვიგზავნეს სამუშაოდ ბაქოდან და მასთან ძალიან დიდი რეკომენდაციაც ჰქონდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, მას დავალებული ჰქონდა გაეცა მომავალი პარტიული ყრილობა ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციებისა. თუმცა მან ვერ მოახერხა სავსებით ყრილობის გაცემა, მაგრამ, სამაგიეროთ, მან გასცა მთელი ჩვენი ბოლშევიკური ბიურო, რის შემდეგაც იგი საბოლოოდ დაიკარგა ჩვენ თვალთაგან. ამ პროვოკატორის წყალობით მე დამპატიმრეს 1908 წლის იანვარში და წამომიყენეს ორი ბრალდება: ერთი ისა, რომ მე ვიყავი ბოლშევიკური ბიუროს წევრი და, მეორე, რომ მე ვიყავი არჩეული დელეგატად ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციების მე-VII ყრილობაზე. ეანდარმერიას ჰქონდა დაწვრილებითი ცნობები, მაგრამ ყოველივე ეს აშენებული იყო აგენტების ცნობებზე და სასამართლოსთვის მასალად ვერ გამოდგებოდა. ამის გამო ეანდარმერიამ მამყოფა რა ციხეში დაახლოვებით 7 თვე, გადასწყვიტა ადმინისტრატიული წესით ჩემი ტურუხანის მხარეში გადასახლება. რაც შემდეგ შესცვალეს ასტრახანის გუბერნიით.

გადასახლებაში დავყავი თითქმის 1911 წლის შუამდე. გადასახლების ვადა ოფიციალურად გათავდა, მაგრამ საქართველოში დაბრუნება შეუძლებელი იყო. საჭირო იყო სხვა რომელიმე ადგილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამორჩევა. მე შევჩერდი დონის როსტოვზე. აქედან შემდეგ გადავედი ალექსანდრო-გრუშევის ქვანახშირის რაიონში, პარამონოვის მაღაროებში, სადაც ჩემმა ცოლმა მიიღო მასწავლებლობის ადგილი. აქ იყო ქვანახშირის რამდენიმე ათასი მუშა, რომელნიც მუშაობდენ მაღაროებში და მიწის ზედაპირზედაც. მუშაობის პირობები პირდაპირ აუტანელი იყო, მაგრამ არავითარი ორგანიზაცია,—არც პარტიული და არც პროფესიონალური მათ შორის არ არსებობდა. რაიმე კავშირის მათთან დაჭერა ჩემთვის ძალიან ძნელი იყო. მით უმეტეს, რომ მე მათთვის სრულებით უცნობი და უცხო პირი ვიყავი. მაგრამ ამ საქმეში მეტად ხელი შემიწყო ერთმა შეუთხვევამ. რამოდენიმე ხნის შემდეგ, რაც მე იქ ჩავედი, დაიწყო სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანია. წავედი ალექსანდრო-გრუშევის რაიონის მუშათა საარჩევნო კრებაზე და შევიპარე იმ დარბაზში, სადაც გამართული იყო ეს კრება. დავრწმუნდი იმაში, რომ მუშებს არ ესმოდათ არჩევნების ტეხნიკა და არც ყავდათ ხელმძღვანელი, დაუწყე გამოლაპარაკება ხან ერთს და ხან მეორე მუშას, ეუხსნიდი მათ არჩევნების ტეხნიკას და სხვ. აქვე ვურჩევდი მათ თუ ვინ უნდა აერჩიათ, თუ ვისთვის უნდა მიეცათ ხმა მათ ამორჩეულებს საოლქო საარჩევნო კრებაზე. ამ ხნიდან მაღაროს მუშებთან საკმაოდ მჭიდრო კავშირი გავაბი. ისინი დადიოდნენ ჩემთან, მაგრამ უფრო ხშირად კი მიწვევდენ ხოლმე თავიანთ კრებებზე. საფუძნელი ჩავუყარეთ პარტიულ იაჩეიკას და მუშაობა დაიწყო პეტერბურგელი გაზ. „პრავდა"-ს კოლექტიური გამოწერით, რომლის შესახებაც მათ მანამდე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ. ეს გამოვიდა ძალიან ბუნებრივად, ყოველგვარი იძულების გარეშე. მე მხოლოდ ნიადაგს ვამზადებდი და დავრწმუნდი კიდეც იმაში, რომ იქაური მუშები ინსტიქტიურად იზიარებდენ ბოლშევიკურ ტაქტიკას. საჭირო იყო მხოლოდ სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა. საჭიროა აქ აღვნიშნოთ ერთი დამახასიათებელი ფაქტი. ჩემს შემდეგ იქ გამოჩნდა ერთი მენშევიკი, რომელსაც კარგად ვიცნობდი და რომელმაც, გაიგო რა ჩემი დაახლოვება მუშებთან და მათ შორის მუშაობის გაჩაღება,—შეეცადა ეს მუშები გადაებირებია თავის მხარეზე და აეძულებია ისინი გამოწერათ „პრავდას"-ს მაგივრად გაზ. „ლუჩ"-ი, მაგრამ თვით მუშებმა აგრძნობიეს მას, რომ ამაზე ისინი არ დასთანხმდებიან და ისიც იძულებული გახდა თავი დაენებებია ასეთი ცდისათვის. სამწუხაროდ, 1913 წლის დასაწყისში, ავადმყოფობის გამო იძულებული გავხდი დამეტოვებია ეს რაიონი და გადმოვსახლებულიყავი ბაქოში. ცნობილია, რომ ბაქო მუდამ იყო ბოლშევიზმის ციხე-სიმაგრე მთელ კავკასიაში, ვინაიდან ასეთი ძლიერი პროლეტარიატი აქ სხვაგან არსად არ იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, 1913 წელს, ბოლშევიკური ორგანიზაცია, როგორც ასეთი, ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოში თითქმის არ იყო. ეს მოხდა იმიტომ, რომ დაუსრულებელმა დაპატიმრებამ და განადგურებამ ძლიერ დაასუსტა ოდესღაც მეტად ძლიერი ბაქოს ორგანიზაცია. ამაში, რასაკვირველია, დამნაშავე იყო პროვოკატორების მუშაობა. ახლად არჩეული კომიტეტის შემადგენლობა ვერც კი ასწრებდა მუშაობის დაწყებას, რომ მას აპატიმრებდნენ: ასეთივე ბედი მოდიოდა შემდეგ კომიტეტს და სხვ. ასეთივე ბედი ეწია იმავ წლებში ტფილისში ბოლშევიკების კავკასიის ბიუროს, მაგრამ ბაქოში. ამ მხრით რაღაც უჩვეულო რამ ხდებოდა. სულ სხვა გვარი მდგომარეობა ქონდათ მენშევიკებს. მათ შეინახეს თავისი ზერელე ორგანიზაცია—კომიტეტი, ქონდათ საკმაოდ კარგად მოწყობილი აპარატი, რომელიც მათ ესაჭიროებოდათ, უმთავრესად, საარჩევნო კამპანიების დროს. ეს აიხსნება იმით, რომ იმ ხანებში მენშევიკები რევოლიუციურ და პარტიულ მუშაობას არ აწარმოებდენ, ამიტომ მთავრობა მათ ნაკლებათ ან სრულებითაც არ სდევნიდა. ისინი ყველანი თავის ადგილზე იყვნენ. მაშასადამე, ფაქტია ის, რომ ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია 1913 წლის დასაწყისში საბოლოოდ დანგრეული და დაშლილი იყო. გარდა ამისა, ბევრი ბოლშევიკი, რომელთაც მე წინად ვიცნობდი მუშაობიდან, სავსებით ჩამოსცილებოდა პარტიულ მუშაობას და განზე იყო გამდგარი. ცოტა გამოცოცხლება ჩვენი ბაქოს ორგანიზაციისა დაიწყო 1914 წელში, მაგრამ იმპერიალისტური ომის დაწყებისათანავე მოხდა ხელ-ახალი განადგურება ბაქოს ორგანიზაციისა. დამპატიმრეს მეც, თუმცა ვერავითარი საეჭვო რამ ვერ მინახეს. ჩქარა გამანთავისუფლეს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დამპატიმრეს. სურდათ როგორმე მეც გავეჩხირეთ სახელმწიფო სათათბიროს მუშა-დეპუტატების სოც.-დემოკრატიული ფრაქციის საქმეში იმის გამო, რომ ამბ. პეტროვსკის, დატუსაღების დროს, უნახეს ჩემი ბაქოს მისამართი, მაკრამ ჩემი ამ საქმეში გაჩხირვა მაინც ვერ მოახერხეს. ციხეში მაინც ვეაედით დაჭერილი რამდენიმე თვის განმავლობაში. დაახლოვებით 1915 წლის მარტში ადმინისტრატიული წესით გადამასახლეს ბაქოს გუბერნიის ერთ-ერთ მიყრუებულ სამაზრო ქალაქში—კუბაში, სადაც უნდა ვეყოფილიყავი პოლიციის მხედველობის ქვეშ. აქ მე დავყავი თვე-ნახევარი, ხოლო შემდეგ წავედი იქიდან „თავის ნებით", როგორც ეს იყო ნათქვამი პოლიციის ერთ-ერთ მოხსენებაში ჩემს შესახებ. ამის შემდეგ 1917 წლის რევოლიუციამდე, არა-ლეგალურად ვცხოვრობდი ხან ქუთაისში, ხან ტფილისში, მიუხედავათ იმისა, რომ პოლიცია დიდის გაფაციცებით დამეძებდა. ქუთაისში დამხვდა ძველი, გამოცდილი ბოლშევიკების ჯგუფი. ისინი თითქმის არაფერს აკეთებდენ და დაქსაქსული იყვნენ. ჩვენ შევადგინეთ პატარა იაჩეიკა და მუშაობაც გამოცხოველდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ მენშევიკებს ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაისშიც ქონდათ შედარებით კარგად მოწყობილი აპარატი. ჩვენ გავაჩაღეთ ძლიერი კამპანია **სამხედრო სამრეწველო კომიტეტში** მუშების მონაწილეობის წინააღმდეგ, რის სასარგებლოთაც აგიტაციას ეწეოდენ მენშევიკები. ჩვენი კამპანია წარმატებით მიმდინარეობდა. მივიღეთ სათანადო ზომები იმისათვის, რომ აღგვედგინა **ბოლშევიკების კავკასიის ბიუროს** მოქმედება; ამ ბიუროს სახელით გამოუშვით რამდენიმე მოწოდება ომის წინააღმდეგ და მათ შორის **სამაისო მოწოდებაც** 1916 წლის 1 მაისისათვის. ამ მოწოდებით, სხვათა შორის, ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ მენშევიკები, რომელნიც მაშინ, იმპერიალისტური ომის ხანაში, აწარმოებდენ, ან ყოველ შემთხვევაში, სცდილობდენ ეწარმოებიათ ლოიალური პოლიტიკა მეფის მთავრობის მიმართ და ამიტომ თვით მათ მიიღეს ზომები ამ მოწოდების გავრცელების წინააღმდეგ. ისინი მზად იყვნენ ჩვენ გასაცემად. დამახასიათებელია ის, რომ სწორედ იმ ხანებში ჩვენთან შემოძვრა ერთი მენშევიკი, რომელიც თითქოს თანაუგრძნობდა ბოლშევიკებს, და რომელიც აღმოჩნდა პროვოკატორი — ეს იყო ვინმე ნიკოლოზ რამიშვილი; მან გაგვცა ჩვენ, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროთ, ცოტა დაგვიანდა, რადგან მოწოდება უკვე გავრცელებული იყო, ხოლო მე, გამაფრთხილეს რა წინასწარ ამის შესახებ, — გავიქეცი ქუთაისიდან ტფილისში. ეს იყო 1916 წლის ზაფხულზე.

სამუშაროდ, მაშინ ჩვენი ორგანიზაცია ტფილისში განადგურებული იყო, ყველა თვალსაჩინო მისი წევრები დაპატიმრებულნი იყვნენ ან გადასახლებულნი, ზოგი კიდევ მეტეხის ციხეში იჯდა (კ. ცინცაძე, ს. ქავთარაძე და სხვ.). ყველანი ამტკიცებდენ, როგორც ფაქტს, რომ ბოლშევიკების შორის მუშაობდა რომელიღაც გაწვრთნილი პროვოკატორი. ასეთ პირობებში ჩემს ტფილისში დარჩენას აზრი არა ქონდა და ვინაიდან მე სამუშაო მივიღე სოციალ-სამეურნეო აღწერისათვის ტფილისის გუბერნიის ბორის მაზრაში, ამიტომ დაუყოვნებლივ გავემგზავრე იქ. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ იმ დროს, როდესაც ტფილისის პოლიცია დიდის ამბით ყველგან დამეძებდა, ეგევე პოლიცია დახმარებას მიწევდა ამ აღწერის ჩატარებაში. რასაკვირველია, მას ფიქრადაც არ მოდიოდა ის, თუ ვისთან ჰქონდა საქმე.

1916 წლის შემოდგომაზე დავბრუნდი ტფილისში და მოვეუწყვე საერობო კავშირში სტატისტიკოსის თანამდებობაზე, რომ ერთბაშად, 1917 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში მოვიდა ცნობა შესახებ იმისა, რომ პეტროგრადში მოხდა გადატრიალება. მე, რამდენიმე ამხანაგთან ერთად, მსწრაფლ მივაშურე მუშათა უბნებს და ვაუწყე რა მათ სასიხარულო ცნობა თვითმპყრობელობის დამხობისა, მოვუწოდე დაუყოვნებლივ შეედგინათ **მუშათა დეპუტატების საბჭო**. რასაკვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველია, ამ ჩემ წინადადებას მხურვალედ დაუჭირა მხარი ყველა ჩვ. დამსწრეთაგანმა; იქვე შევადგინეთ ბიურო დეპუტატების არჩევნების ჩასატარებლად. საბჭოს პირველი სხდომა დანიშნული იყო მეორე დღისათვის. დანიშნულ ვადაზე ყველანი შეიკრიბენ და სხდომის თავმჯდომარეთ ერთხმად ამირჩიეს მე, მიუხედავათ იმისა, რომ დამსწრეთა დიდ უმრავლესობას შეადგენდენ მუშა-მენშევიკები. მანდატების შემოწმების შემდეგ სხდომაზე მოვიდენ რამიშვილი, ჟორდანია და სხვა ცნობილი მენშევიკები. ისინი ძალიან უკმაყოფილონი დარჩენ იმ როლით, რომელიც მე ვითამაშე ტფილისის მუშათა დეპუტატების პირველი საბჭოს შედგენაში. საქმე იმაშია, რომ ამ ხნის განმავლობაში ჟორდანია-რამიშვილი გართულნი იყვნენ იმით, რომ სადარბაზოთ დადიოდენ ყოფილ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძესთან და სხვებთან, ხოლო მუშათა დეპუტატების საბჭოს შედგენაზე კი სრულებითაც არ ფიქრობდენ.

სხვათა შორის, ცბიერი ხრიკებით მათ შესძლეს ჩემი სავსებით გაძევება საბჭოდან. მაგრამ ჩვენ უმთავრეს ამოცანად მაშინ მიმაჩნდა პარტიული აპარატის განახლება და, მოწყობა. ჩვენი, ბოლშევიკური, ორგანიზაცია არ არსებობდა არა თუ პროვინციაში, არამედ თვით ტფილისშიდაც. ჩვენი ძალები ყველგან დაფანტული და დაქსაქსული იყო. პირველ ყოვლის საჭირო იყო ამ ძალების გამორკვევა, მათი შეკავშირება და გაერთიანება. ბოლშევიკების პირველ კრებას ტფილისში დაესწრო მხოლოდ 25—30 კაცი. ჩვენ არ გვქონდა კავშირი არც ცენტრალურ კომიტეტთან, არც პეტერბურგსა და მოსკოვთან: რა ხდებოდა იქ, ჩვენ არ ვიცოდით. ჩემი წინადადება იყო, სანამ არ გვქონდა გამორკვეული ჩვენი ძალების რაოდენობა ადგილმბრივ, მანამ ფორმალურად დავჩენილიყავით ერთ ორგანიზაციაში მენშევიკებთან ერთად, მაგრამ ამასთანავე გვქონდა **ჩვენი საკუთარი ბიურო და იდეური ორგანოები, გაზეთების** და სხვათა სახით. ეს წინადადება მიღებულ იქნა. არსებითად ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ ვაწყობდით სავსებით დამოუკიდებელ ბოლშევიკურ ორგანიზაციას. ჩვენ გვქონდა საკუთარი სხდომები და კრებები. რაც უმთავრესი იყო, ჯერ კიდევ მარტის პირველი რიცხვებიდან, ჩვენ პირველებმა გამოვეკით რუსულ ენაზე ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი". ამ გაზეთის მოწინავე წერილებში მე იმ თავითვე აღვნიშნავდი, რომ თებერვლის რევოლიუციას არ შეუძლია შეჩერდეს მიღწეულ წერტილზე, რომ საჭიროა მისი განვითარება და გაღრმავება; რომ რუსეთში დღეს-დღეობით არსებობს ორი ცოცხალი ძალა, რომელიც მოწოდებულია გაუძღვეს ამ რევოლიუციას. ეს ძალებია **ქალაქის პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა,** რომელიც არსებითად არის დაინტერესებული მიწის საკით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის გადაკრაში; რომ გარეშე ამ კლასებისა არც ერთი კლასი,— არც ბურჟუაზია და არც მემამულენი დაინტერესებულნი არ არიან რევოლიუციის შემდეგ განვითარებასა და გაღრმავებაში; პირიქით, როგორც ბურჟუაზია, ისე მემამულენი დაინტერესებულნი არიან სულ წინაამდეგ რამით, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ კონტრ-რევოლიუციონურ კლასს. ამრიგად, „კავკაზსკი რაბოჩი“ იმ თვითვე იზიარებდა ორიენტაციას პროლეტარიატსა და რევოლიუციურ გლეხობაზე და ეს კილო გაზეთს არ შეუცვლია შემდეგ არას დროს.

როგორც გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, ისე ბოლშევიკების ტფილისის ბიურო კოლოსალურ გავლენას ახდენდა მუშურ-გლეხურ მასსაზე ბოლშევიკური იდეებისა და ბოლშევიკური ლოზუნგების პოპულიარიზაციითა და გავრცელებით. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ მოვაწყვეთ ბოლშევიკური გაზეთის გამოცემა ქართულ და სომხურ ენებზედაც. ჯერ კიდევ 1917 წლის აპრილში მე მომიხდა პეტროგრადში გამგზავრება **ბოლშევიკების სრულიად რუსეთის პირველ ლეგალურ კონფერენციაზე**—სათათბირო ხმით. კონფერენციაზე მე გამაგზავნა ჩვენმა ბიურომ და გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“-ს რედაქციამ. ამ კონფერენციის დროს მივიღე სრული ინფორმაცია როგორც იმ პოზიციის შესახებ, რომელიც ბოლშევიკებმა დაიკავეს თებერვლის რევოლიუციის მიმართ, ისე იმ დიადი ამოცანების შესახებ, რომელიც იდგა ჩვენი პარტიის წინაშე მომავალ მუშაობაში. ამ კონფერენციაზე პირველად ვნახე ლენინი და ვერასოდეს ვერ დავივიწყებ იმ შთბეჭდილებას, რომელიც მან ჩემზე მოახდინა. ჩემს წინაშე იდგა გენიალური ბელადი პროლეტარიატისა და მე შევიგენე, თუ რატომ ასეთი გაბრაზებითა და გაშმაგებით ებრძოდა ბურჟუაზია სწორედ მას. წამოვედი პეტროგრადიდან განსაზღვრული გადაწყვეტილებებითა და დადგენილებებით, რომელიც ჩვენ უნდა გაგვეტარებია ცხოვრებაში. ჩემთან ერთად ბრუნდებოდა კავკასიაში და კერძოთ საქართველოში ამხ. მ. ცხაკაია, რომელიც 10 წელზე მეტი იმყოფებოდა საზღვარ-გარეთ. პირველი მოხსენება კონფერენციის შესახებ ჩვენ ერთად გავაკეთეთ ბაქოში. როგორც ვიცით, ბოლშევიკების სრულიად რუსეთის კონფერენციაზე, რამდენათაც ეს უცნაური არ უნდა იყოს, დელეგატი ბაქოს არ ჰყოლია. გამოირკვა, რომ ბაქოში ბოლშევიკები და მენშევიკები ჯერ კიდევ ერთ ორგანიზაციაში იყვნენ გაერთიანებული ეს უცნაური მოვლენა იყო, მაგრამ კიდევ უფრო მეტად უცნაური ის იყო, რომ ბაქოს ბოლშევიკები, რომელთაც მეთაურობდნენ ისეთი ხელმძღვანელები, როგორიც იყვნენ ამხ. შაუმიანი, ჯაფარიძე, ფიოლეტოვი და სხვ., თებერვლის რევოლიუციის მთელ პერიოდში ერთხელაც კი არ შეკრებილიყვნენ მენშევიკებისაგან დამოუკიდებლათ. ჩვენ წინადადება მივეცით ბაქოელ ამხანაგებს თავი დაენებებიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანების თამაშისთვის, ე. ი. მოეწყოთ დამოუკიდებელი ორგანიზაცია. ამხ. ბაქოელი ამხანაგები მაინც აყოვნებდნენ ასეთი ნაბიჯის გადადგმას ზოგიერთი ტაქტიკური მოსაზრებებით, მაგრამ შემდეგ დაეთანხმენ ჩვენ აზრსა და საბუთებს. სრულებით საჭირო არ იყო ტფილისელი ამხანაგების დამოუკიდებელ მუშაობაზე დათანხმება, რადგანაც ტფილისში ჩვენ არსებითად უკვე გვქონდა დამოუკიდებელი საკუთარი ორგანიზაცია—ბიუროსა და გაზეთის სახით. იქ, სადაც კიდევ არსებობდა გაერთიანებული ორგანიზაცია, ყველას დირექტივა მიეცა გამოყოფილიყვნენ და დაუყოვნებლივ შეედგინათ საკუთარი ბოლშევიკური ორგანიზაცია და ამ რიგად ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბების პროცესი მეტად ჩქარი ტემპით წავიდა წინ. ამის შემდეგ ჩვენს წინაშე წამოიჭრა საკითხი **კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობის მოწვევისა**. ჯერ კიდევ პეტერბურგში, კონფერენციაზე ყოფნის დროს, ველაპარაკებოდი რამოდენიმე ჩრდილო-კავკასიელ ამხანაგებს, რომ საჭიროა უახლოეს დროში ბოლშევიკების საერთო კავკასიის ყრილობის მოწვევა. ამხანაგებმა მოიწონეს ჩვენი წინადადება და გადაწყვეტილ იქნა ამ მიზნით დაგვეარსებია ტფილისში საორგანიზაციო ბიურო.

ასეთი ბიურო მართლაც შესდგა და მან დაიწყო მუშაობა. ყრილობის ადგილად ამორჩეულ იქნა ტფილისი. ამ დროისთვის ჩვენმა ორგანიზაციებმა უკვე მოასწრეს ასე თუ ისე ჩამოყალიბება და გამაგრებაც, წინაადმდეგ ყველა ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული (ესერები და მენშევიკები) მოლოდინისა, რომელნიც განუწყვეტლივ აწარბოებდენ ჩვენ წინააღმდეგ აღმაშფოთებელსა და საზიზღარ დევნას.

ყრილობა მოწვეულ იქნა 1917 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში. ყრილობაზე გამოცხადდენ წარმომადგენლები კავკასიის და ამიერ-კავკასიის ყველა დიდი ცენტრებისა და აგრეთვე კავკასიის ფრონტის სამხედრო ორგანიზაციების დელეგატებიც.

ყრილობამ ამოირჩია **კავკასიის საოლქო კომიტეტი**. ყრილობის შემდეგ გაიარა მცირე ხანმა და უკვე მოხდა ოქტომბრის გადატრიალება. კავკასიის საოლქო კომიტეტი ჩავარდა ძალიან რთულ მდგომარეობაში. ტფილისის საბჭო, საოლქო ცენტრი და ყველა სხვა ორგანიზაციები გავსებულნი იყვნენ, მარტოოდენ, ჩვენი მოწინააღმდეგე პარტიების წარმომადგენლებით, ხოლო ჯარის ნაწილებში კი, რომელნაც აოარ სურდათ ომი, განწყობილობა იყო ჩვენდა სასარგებლოთ, მაგრამ სერიოზულად ათხზე იმყოფის დამყარება შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკების ზოგიერთ წრეებში მაინც იყო განზრახვა დაეპყროთ ხელისუფლება სწორედ ამ სამხედრო ორგანიზაციების დახმარებით. საოლქო კომიტეტის უმრავლესობა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის მეც, წინააღმდეგი ვიყავით ასეთი ნაპიჯისა, ვინაიდან ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარების იმედი არა გვქონდა. ჩვენი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ადგილობრივ მასსებში დიდი გავლენა მოგვეპოვებია და ისინი ჩვენ მხარეზე გადმოგვებირებია; ამ მხრით ჩვენ მუშაობას დიდი შედეგები ქონდა. ამას ძალიან კარგად ხედავდენ მენშევიკები და გადასწყვეტეს კიდეც ჩვენი ასეთი მუშაობის ჩაშლა, რისთვისაც პროვოკაციას ეწეოდენ ჩვენი გამოსვლის განზრახვების შესახებ. ამ მიზნით 30 ნოემბერს ღამით მათ მოახდინეს არსენალზე თავდასხმა. საქმე იმაშია, რომ, თუმცა მენშევიკები და ესერები გაბატონებულნი იყვნენ მთელ ტფილისში, მაგრამ მათ არ ემორჩილებოდა არსენალი, სადაც ინახებოდა დიდი რაოდენობა ყოველგვარი იარაღისა. ამ არსენალს იცავდა სადარაჯო ბატალიონი, რომელიც თითქმის მთლიანად (დაახლოვებით 600 კაცი) თანაგვიგრძნობდა ჩვენ და ჩვენი სანქციის გარეშე ერთ თოფსაც კი არავის აძლევდა, რასაკვირველია. მენშევიკებს აღარ შეეძლოთ კვლავ ასეთი მდგომარეობის გაგრძელება მოეთმინათ. მათ შეადგინეს შერეული რაზმი სხვა და სხვა ნაწილებიდან წითელ-არმიელებთან ერთად; ეს რაზმი ღამით, სრულიად მოულოდნელად, მიადგა არსენალს და ტფილისის საბჭოს აღასრულებელი კომიტეტის სახელით მოითხოვა არსენალის ჩაბარება. დარაჯებმა არ მოისურვეს გადაცემა არსენალისა. მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც არსენალი აიღო მენშევიკების რაზმმა, იმავე ღამეს მენშევიკებმა გაანადგურეს ყველა ჩვენი რედაქციები და დაატბტიმრეს მრავალი ამხანაგი. მაგრამ მენშევიკებმა ვერ შესძლეს ჩვენს შესახებ პროვოკაციის გაწევა, მით უმეტეს, რომ გადამწყვეტ მომენტში ჩვენმა თანამგრძნობმა სამხედრო ნაწილებმა ყოყმანი დაიწყეს და გამოიჩინეს სისუსტე და გაუბედაობა. მეორე დღეს ყველა ჩვენი რედაქციები გააღეს და დაპატიმრებული ამხანაგებიც გაანთავისუფლეს. მაგრამ ჩვენთვის ცხადი იყო, რომ მენშევიკები ამით არ დაკმაყოფილდენ და ამიტომ ჩვენც მუდამ მზად უნდა ვყოფილიყავით. ამ ინციდენტის შემდეგ ბევრი ჩვენი ამხანაგი და მათ შორის მეც ჩვენ თავს ვთლიდით ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში.

1917 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ტფილისში გაიმართა კავკასიის ჯარების მე-2 ყრილობა, რომელმაც ხმის უმრავლესობით (თუმცა ძალიან უმნიშვნელო უმრავლესობით) მიიღო ბოლშევიკური რეზოლიუციები და ამოირჩია ახალი საბჭო. მაგრამ ძველი საბჭო, ცნობილი სოც.-რევოლიუციონერის დონსკოის მთავრობის მეთაურობით, არ დაემორჩილა ყრილობის გადაწყვეტილებათ და უარის თქვა ჩაებარებია საქმეები ახალი საბჭოსათვის.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ მენშევიკები და ესერები სისწორით უწევდენ ანგარიშს შექმნილ მდგომარეობას. საქმე იმაშია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტზე მყოფი ჯარისკაცები ოპოზიციაში უდგენ მენშევიკებსა და ესერებს უმთავრესად იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელნი არა თუ ხელს უწყობდენ, არამედ პირდაპირ ხელს უშლიდენ მათ შინ დაბრუნებას. ამასთანავე, ჯარისკაცებს სურდათ რუსეთში დაბრუნებულიყვნენ სავსებით შეიარაღებულნი, ხოლო მენშევიკებს კი სურდათ ისინი წინასწარ განეიარაღებიათ და ისე გაეშვათ შინ, როგორც იტყვიან, სავსებით გაშიშვლებულნი. თუ როგორ მოღალატურად მოექცენ ამ შინ მიმავალ ჯარის ნაწილებს მენშევიკები და ესერები, ამის ნათელი მოწმე გახლავსთ **შამხორის** ტრაღედია, რომლის დროსაც შეიარაღებულმა ბანდიტებმა თათრების მიერ, ქართველი პოლკოვნიკის მაღალოვის მეთაურობით, ამოხოცა 1000-ზე მეტი რუსის ჯარისკაცი, რომელნიც ბიმგზავრებოდენ ჩრდილო კავკასიაში. მხოლოდ ამ საშინელი ხოცვა-ტლეტის შემდეგ ჩვენ შეეძელით საქმე ისე დაგვეყენებინა, რომ რუსის ნაწილები, რომელნიც ოსმალეთის ფრონტიდან მიმგზავრებოდენ ტფილისით ჩრდილო-კავკასიისაკენ, რჩებოდენ უვნებელნი. მაგრამ ეს გარემოება მოსვენებას არ აძლევდა მენშევიკებს. ბოლოს და ბოლოს მათ გადასწყვიტეს საბოლოოდ გაენადგურებიათ ტფილისში ყველა ჩვენი ორგანიზაციები, რომელნიც უკვე ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში იყოფებოდენ. 1918 წლის იანვრის მეორე ნახევრიდან ხელ-ახლა დაიწყო ბოლშევიკების დაპატიმრება. ორდერი ჩემი დაჭერის შესახებ უკვე ხელმოწერილი, მზად იყო და მხოლოდ ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდენ ამისათვის, რომ მე შევეპყარით. ამ მიზნით პრესაში ავრცელებდენ საშინელ აღმაშფოთებელ ცილისწამებას ჩემს შესახებ. თებერვლის 8-ს, ღამით, ყველა ჩვენი პერიოდული გამოცემები, სამ ენაზე, დაბეჭდეს ღა ამით მენშევიკურ-დაშმაკურ-ესერულმა კოალიციამ ბოლო მოუღო ბოლშევიკური პრესის ლეგალურ არსებობას საქართველოს საზღვრებში. თებერვლის 8-ს, დილით, ჩემთან მოვიდა ძველი გამობრძმედილი ბოლშევიკი—მეჩრძოლი თ. ჩუბინიძე, რომელიც შემდეგ მენშევიკებმა მოჰკლეს დუშეთის აჯანყების დროს; მან წინადადება მომცა გავყოლოდი მას. მე იმ წუთშივე გავიგე მისი წინადადების აზრი. უნდა გადავსულიყავი არალეგალურ მდგომარეობაზე და ისე განმეგრძო მუშაობა. და მართლაც, უკვე ნახევრად არალეგალურ ცხოვრებას ვეწეოდი, მაგრამ ამ ხნიდან უკვე გადავიდოდი სავსებით არალეგალურ მდგომარეობაზე, როგორც მეფის მთავრობის დროს, მაგრამ ეს ეხლა ჩემთვის ბევრად უფრო საძნელო და შეურაცმყოფელი იყო, ხოლო შავრაზმული გაზეთები, რომელნიც თავისუფლად გამოდიოდენ ტფილისში, ყველას სიამოვნებით აუწყებდენ იმას, რომ ფ. მახარაძე უკვე დაპატიმრებულიაო.

მაგრამ პატიოსან მუშებსა და ჯარისკაცებს არ შეეძლოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმილით შეხვედროდენ ყოველივე ამას და თებერვლის 10-სათვის საერთო შეთანხმებით შესდგა ალექსანდრეს სახელობის ბაღში მიტინგი, რომელსაც პროტესტი უნდა განეცხადებია ბოლშევიკური გაზეთების დახურვისა და ბოლშევიკების დაპატიმრების წინააღმდეგ. ამ მიტინგის შავი ისტორია ყველას ახსოვს. ამ მიტინგის დახვრეტით მენშევიკებმა ესერებთან, დაშნაკებთან და სხვა შავრაზმულ პარტიებთან შეკავშირებით დაიწყეს სამოქალაქო ომის სისხლიანი ისტორია მთელ ამიერ-კავკასიაში. ჩქარა მას შემდეგ, რაც მენშევიკები ასე მხეცურად გაუმასპინძლდენ მუშებს თებერვლის 10-ს, რომლის დროსაც სრულებით შემთხვევით გადავრჩი სიკვდილს, გავემგზავრე ქუთაისში, სადაც ჩვენი ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში იყვნენ და სადაც ამ დროს დანიშნული იყო **ჩვენი პარტიის საგუბერნიო კონფერენცია.** ამხან. **ბუდუ მდივანისა და მ. ოკუჯავასთან** ერთად ეს კონფერენცია საკმაოდ დამაკმაყოფილებლად ჩავატარეთ. უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოში მენშევიკები კიდევ ვერ იყვნენ სრული ბატონ-პატრონნი მდგომარეობისა. განსაკუთრებით პროვინციაში, როგორც მაგალითად, ლეჩხუმის, სენაკის, შორაპნის და სხვ. მაზრებში, რომ არაფერი ვსთქვათ ბათომის შესახებ,—ხალხი დიდათ აღშფოთებული იყო მათ წინააღმდეგ, ყველაზე მეტად კი გლეხობა. ზოგიერთ მაზრებში, როგორც მაგალითად, ლეჩხუმის მაზრაში, ამას ჰქონდა პირდაპირ აჯანყების სახე. მენშევიკებს არ ჰქონდათ საშუალება ჩაეტროთ აჯანყება და დამარცხებიათ ლეჩხუმის რეკოლიუციონური გლეხობა და ამიტომ იქამდისაც კი მივიდენ, რომ ბლოკადა გამოუცხადეს ერთ მაზრას. გლეხობის ასეთი აჯანყება მოსალოდნელი იყო სხვა მაზრებშიაც, მაგრამ არსად ამ აჯანყებას არ ჰქონებია ორგანიზაციული ხასიათი. არ იყო საკმარისი იარაღი, სურსათი და სრულებით არ გვყვანდენ ცოტათი მაინც მომზადებული ხელმძღვანელები. ყოველივე ეს კი წინასწარ სწყვეტდა აჯანყების ბედს, რადგან ასეთ პირობებში აჯანყებულთა გამარჯვება შეუძლებელი რამ იყო. რამდენიმე კვირის შემდეგ მე კვლავ ტფილისში დავბრუნდი, რათა გამომერკვია ჩვენი უახლოესი ტაქტიკა საოლქო კომიტეტში. კონკრეტიულად დაისვა საკითხი გლეხთა აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობის, მათთვის იარაღისა და პატრონების მოწოდების შესახებ. ეს გარემოება უფრო ნათლად გამოირკვა ტფილისის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე, რომლის ხელმძღვანელობაც მონდობილი მქონდა მე. რასაკვირველია, კონფერენცია არალეგალური იყო. ყველა ამ საკითხების შესახებ დანიშნული იქნა **სპეციალური თათბირი** ქუთაისში, 1918 წლის მაისის პირველ რიცხვებში. მდგომარეობა მეტად რთული იყო. გარდა იმისა, რომ შიგნით სრული ქაოსი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამეუბენული, — ოსმალეთი სულ უფრო მეტად უტევდა საქართველოს; მან დაიკავა არა მარტო ყარსი, არდაგანი და ბათომი, არაბედ ოზურგეთის მაზრის (გურია) მთელი ნახევარიც. მენშევიკების სარგებლობდენ ამითი იმისათვის, რომ უფრო საშინელი პროვოკაცია გაეწიათ ჩვენს შესახებ. ქუთაისის თათბირი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. თათბირს დაესწრო ბუდუ მდივანიც, რომელიც იმ ხანებში პირობით გაანთავისუფლეს ტფილისის ციხიდან, მაგრამ იგი მეორე დღესვე დაიპატიმრეს და გაგზავნეს ტფილისს მეტეხის ციხეში. ამ თათბირზე ჩვენი ტაქტიკური ხაზი გარკვეულ იქნა შემდეგნაირად: ზომები იქნეს მიღებული იმისათვის, რომ შეიკავოთ გლეხობა ნაადრევ გამოსვლებისაგან. ამასთან ერთად ყოველი საშვალებით შეეეცადოთ ვიშოვნოთ აჯანყებულთათვის იარაღი, პატრონები და სხვ. რისთვისაც გაიგზავნოს ამხანაგები ჩრდილო-კავკასიაში, სადაც იმ დროს, ჩვენი ცნობით, უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო. ჩქარა მე ისევ ტფილისში დავბრუნდი. საოლქო კომიტეტის სხდომაზე ქუთაისის თათბირის ყველა დადგენილებანი საერთოდ დადასტურებული იქნა: მათ მხოლოდ ზოგი რამ დაუმატეს და ზოგიც შესცვალეს. მაგალითად ის, რომ, ვინაიდან ტფილისი სხვადასხვა პირობების გამო მოწყვეტილი იყო ამიერ-კავკასიის ყველა სხვა ცენტრებს, რომლებთანაც კავშირის დაჭერა ტფილისიდან თითქმის შეუძლებელი შეიქნა, ამიტომ დადგენილ იქნა საოლქო კომიტეტი თავისი უმრავლესობით გადასულიყო ჩრდილო კავკასიაში და თავის მუდმივ ადგილად ამოერჩია ვლადიკავკაკი. ამათანავე ყოველი ღონე ეხმარათ, რომ იქ მოეწვიათ საერთო-კავკასიის პარტიული მე-2 ყრილობა. ტფილისში კი დარჩენილიყო საოლქო კომიტეტის ბიური 2—3 კაცის შემადგენლობით. უმთავრესად კი მეტი ყურადღებია მიექციათ იმისათვის, რომ შეეძინათ იარაღი და გადაეგზავნათ იგი იქ, სადაც საჭირო იყო.

ეს დადგენილება მიღებულ იქნა მაისის 20-ის რიცხვში; ამასთანავე, საოლქო კომიტეტის თვითეული წევრს, რომელსაც კი ევალებოდა ჩრდილო კავკასიაში გამგზავრება, თვითონ უნდა ეზრუნა იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხებდა იგი ჩრდილო კავკასიაში წასვლას. ერთად-ერთი გზა, რომელითაც შეიძლებოდა ჩრდილო-კავკასიაში გადასვლა, იყო **სამხედრო-საქართველოს გზა,** მაგრამ ამ გზით გამგზავრება არც თუ ადვილი საქმე იყო, მით უმეტეს ჩემთვის, ვინაიდან ამ გზით წასვლა მომასწავებელი იქნებოდა იმისა, რომ მე უეჭველად ხელში ჩაუვარდებოდი მენშევიკებს. ამის გამო მირჩიეს წავსულიყავი ჩრდილო-კავკასიაში **სამხრეთ-ოსეთზე გადასვლით.** ამავე დროს საოლქო კომიტეტმა დამავალა მივსალმებოდი **ოსების ყრილობას,** რომლის გახსნაც დანიშნული იყო მაისის ბოლო რიცხვებში სოფ. ჯავას (სამ. ოსეთი). მეც ასე მოვიქეცი; ჩემთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოვიდენ ამხ. **გ. ჩხეიძე და პოეტი ა. აკოპიანი.** მაგრამ ეს უკანასკნელი ავად გახდა და იძულებული გახდა დარჩენილიყო სოფ. ჯავაში. 3—4 დღე დავრჩით ყრილობაზე. მენშევიკებმა ყრილობაზე გამოგზავნეს თავისი ოფიციალური წარმომადგენელი ის, რამიშვილი, რომელმაც ყრილობას წარუდგინა ოსებისათვის ყოველად მიუღებელი დებულებანი. ყრილობამ დიპლომატიურად უარყო მენშევიკების წინადადება. ეს მოხდა სწორედ მენშევიკების მიერ ოსეთის პირველი აოხრების შემდეგ. თვითეულ ოსს, გარდა ერთი მუჭა გამყიდველებისა და მოღალატეებისა, სძულდა ქართველი მენშევიკები. ამ სიძულვილის მსხვერპლი კინაღამ არ შეეიქენით მე და ამხ. ჩხეიძე ოსეთის ერთ-ერთ სოფელში (ჯომახში). დიდი ტანჯვა-წამება გავიარეთ და როგორც იქნა, მაისის ბოლო რიცხვებში გადავიარეთ კავკასიის ქედი ჯომახის ულელტეხილით, რომელიც 11.000 ფუტის სიმაღლეზეა ამართული ზღვიდან. თვით ულელტეხილზე მაშინ კიდევ დიდი თოვლი იყო, რომელსაც ჯერ დადნობაც კი არ დაეწყო. ულელტეხილი რომ გადავიარეთ, კიდევ სამი დღის მოგზაურობა დაგვჭირდა ხან ცხენით, ხან ურმით, ხან ეტლით, რომ ვლადიკავკაზში ჩავსულიყავით. ჩქარა ჩამოვიდენ საოლქო კომიტეტის დანარჩენი წევრებიც: ს. ქავთარაძე, ლ. დუმბაძე, კ. ცინცაძე და სხ. იმ თავითვე ჩვენ შეუუდექით დასახული მიზნების განხორციელებას: იარაღის შეძენას და აგრეთვე ყრილობის მოწვევის სამზადისს. უბედურებაც იმაში იყო, რომ იმ დროს საბჭოთა ხელისუფლების ბედი თერგის ოლქში პირდაპირ ბეწვზე ეკიდა და ჩვენ ამიტომ იმის მაგივრად, რომ შეგვესრულებინა დავალებანი საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მიმართ, იძულებული შევიქენით ყოველი ღონე გვეხმარა, რათა საქმე არ დაგეღუპოდა თვით თერგის ოლქში. თუ როგორი იყო იქ საერთო მდგომარეობა, ამას ნათლად დაგვისურათებს შემდეგი ფაქტი. ვლადიკავკაზში ჩვენი ჩასვლის რამდენიმე დღის შემდეგ, თითქმის ჩვენ თვალ წინ, მოჰკლეს თერგის რესპუბლიკის სახალხო კომისართა თავმჯდომარე ამხ. ბუაჩიძე; მკვლელები არავის დაუსჯია. იარაღი (500 ცალი თოფი და ტყვიები), რომელიც შევიძინეთ და უნდა გადმოგვეგზავნა საქართველოში, იძულებული გავხდით დაგვეტოვებია ისევ ვლადიკავკაზში, რადგან იქ იგი მეტად საჭირო შეიქნა. ვლადიკავკაზი მოწყვეტილი დარჩა თითქმის ყოველ მხრიდან და ამიტომ ყრილობის მოწვევაც ყოვლად შეუძლებელი გახდა. სწორედ იმავ ხანებში იფეთქა დუშეთის მაზრაში გლეხთა აჯანყებამ, რომელიც პროვოკაციულად გამოიწვიეს მენშევიკებმა. აჯანყებული გლეხობა მოელოდა დახმარებას ვლადიკავკაზიდან, ჩვენგან, მაგრამ თერგის ოლქში დატრიალებული ამბები საშუალებას არ გვაძლევდენ თავის დროზე დავხმარებოდით აჯანყებულ გლეხობას. ვლადიკავკაზიდან გამოგზავნილ რაზმებს აღარ შეეძლოთ გაეწიათ მათთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებითი დახმარება თავისი მცირერიცხოვანებისა და გამოუცდელობის წყალობით. აჯანყება დიდი სიმკაცრით იქნა ჩაქრობილი.

არ გასულა დიდი ხანი და თვით ვლადიკავკაზს დაეცენ ყაზახები ბიჩერახოვის მეთაურობით. მათ ხელში ჩაიგდეს ქალაქი და ბატონობდენ იქ თერთმეტი დღის განმავლობაში; მაგრამ შემდეგ, დიდი მსხვერპლის დაკარგვით, განდევნილ იქნენ ისინი ქალაქიდან, თუმცა ვლადიკავკაზისათვის ისინი შემდეგშიც დიდ-ხანს წარმოადგენდენ ძლიერ მუქარას. შემდეგ, ყრილობამ, მე ამირჩია თერგის რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრად. საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა თერგის რესპუბლიკაში 1919 წლის თებერვლამდე, როდესაც დენიკინის შემოტევის გამო, ჩვენ იძულებული გავხდით დაგვეხია უკან—მოისკენ, ჩეჩნეთში და ინგუშეთში. დიდი ხნის ტანჯვა-წამებისა და მრავალი გაჭირვების შემდეგ, როგორც იქნა, გადმოვედით საქართველოში. ჩემთან ერთად მოდიოდა დაახლოვებით ორმოცდათი ამხანაგი, რომელთა შორისაც იყვნენ ქალები და ბავშვებიც. ეს იყო 1919 წლის მარტის ბოლო რიცხვებში, როდესაც ჯერ კიდევ ზამთრის სუსხი იდგა. ჩვენ ფეხით გადმოვიარეთ რამდენიმე უღელტეხილი. 11,000 ფუტის სიმაღლისა, საშინელ მძიმე პირობებში და ღამით მოვადექით სამხედრო-საქართველოს გზას დარიალის ხეობის ზეკით, სადაც ქართველების სადარაჯო იყო. რომ მაინცა და მაინც არ მიგვეკარა ქართველი ჯარისკაცების ყუდადღება, გადავწყვიტეთ დავნაწილებულიყავით სამხედრო-საქართველოს გზაზე. ამიტომ, გარიჟრაჟზე, მე ორ ამხანაგთან (ფალავანდიშვილი და ელერდოვი) ერთად შეუდექით გზას. ჯარისკაცებს ვუთხარით, რომ ჩვენ ვართ გაკოტრებული ვაჭრები, მოვდივართ ქ. გროზნიდან და მათაც თავისუფლად გვგატარეს. სამწუხაროდ, დანარჩენი ამხანაგები წამოსულიყვნენ ერთად და ისინი კიდევაც დაიჭირეს მენშევიკური მთავრობის აგენტებმა,—რომელთაც, ქალებსა და ბავშვებს გარდა,—ყველანი უკანვე გადასცეს ყაზახებს. მენშევიკების ამ საზიზღარი ბოროტმოქმედების შესახებ ბევრი რამ დაწერილა. ამ რიგად მე შევძელი ტფილისში შეუმჩნევლად ჩამოსვლა. გავეცანი რა საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას, დავრწმუნდი, რომ, თუმცა მუშაობა ამ ხნის განმავლობაში მიტოვებული და თითქმის შეჩერებული იყო, მაგრამ მომავლისათვის მეტად საიმედო და კარგი პერსპექტივები იყო ამ მხრით. მიუხედავად მენშევიკების რეპრესიებისა და დევნისა ჩქარა შევძელით გამოგვეცოცხლებია მუშაობა, როგორც ქალაქებსა, ისე სოფლებში. ერთი თვის შემდეგ მე გამაგზავნეს ბაქოში ამიერ-კავკასიის პარტიულ კონფერენციაზე. ამ კონფერენციაზე ხელახლად არჩეულ იქნა საოლქო კომიტეტი. აშკარად მოსჩანდა ის დიადი გარდატეხა, რომელიც მომხდარიყო ბაქოს პროლეტარიატში საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ 1918

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის ამბების შემდეგ. სამწუხაროდ, აქ დიდი ნაკლებობა იყო გამოცდილი ხელმძღვანელებისა. მე მომიხდა დავრჩენილიყავი ბაქოში აზერბაიჯანის არსებობის ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში, როდესაც იგი იდგა დენიკინის ჯარების შემოსევის საფრთხის წინაშე. საბედნიეროთ ეს საფრთხე თავიდან აცილებულ იქნა. პარტიული ვალდებულებანი მაიძულებდენ ტფილისში დავბრუნებულიყავი. მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკურმა მთავრობამ დიდის სიმკაცრით ჩააქრო გლეხთა აჯანყებები 1918 წელში, ანტიმენშევიკური მოძრაობა გლეხობაში მაინც საოკარი სისწრაფით ძლიერდებოდა. ეს თითქმის ბუნებრივად ხდებოდა მენშევიკების პოლიტიკის წყალობით. ამიტომ საქართველოში გლეხთა აჯანყების მოწყობის საკითხი დღიურ წესრიგში იქნა დასმული. ჩვენ მეტად ფრთხილად ვუდგებოდით ამ საკითხის გადაჭრას. ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ მათი ადგილობრივი ხასიათი და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავრწმუნდით, რომ აჯანყება აუცილებელია, დავსვით ეს საკითხი საოლქო კომიტეტის პლენუმზე, რათა ხელიდან არ გაგვეშვა აჯანყების ხელმძღვანელობა. ამასთან ერთად გამოირკვა, რომ მენშევიკური ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი აქტიურად დაეხმარებოდა განზრახულ აჯანყებას. მას შემდეგ, რაც საოლქო კომიტეტის პლენუმზე დადებითად გადაწყდა ეს საკითხი, ჩვენ შეეუდექით აჯანყების ტეხნიკურად მოწყობას. ეს იყო დაახლოვებით 1919 წლის სექტემბრის ბოლოს. აჯანყების დაწყების დრო დანიშნული იყო ერთსა და იმავე დროისათვის მთელ საქართველოში, მაგრამ მთელი რიგი იმ ამხანაგების დაპატიმრების გამო, რომელნიც მრშაობდენ ჯარის ნაწილებში და აგრეთვე პროვინციის ორგანიზაციებში, იძულებული გავხდით ეს აჯანყება თვითონ ჩვენ მოგვეხსნა, ე. ი. გადაგვედვა, მაგრამ ზოგიერთი ადგილების გაფრთხილება ვეღარ მოვასწარით და აქ ხელისუფლება ჩვენებმა ჩაიგდეს. მთავრობამ ამაზე პასუხი გაგვცა მკაცრი რეპრესიებით. მრავალი ასეული გლეხი იქნა დახვრეტილი, კატორგაში გაგზავნილი, ხოლო დაპატიმრებულთა რიცხვი 1000 კაცს აღემატებოდა. დაპატიმრებულ იქ[illegible]ნ აჯანყების თითქმის ყველა ხელმძღვანელები, მათ შორის მეც. ეს მოხდა ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში. ვინაიდან ხელმძღვანელი ორგანიზაცია დაპატიმრებულ იქნა, ჩვენ გადავწყვიტეთ მოგვეწყო ციხიდან გაქცევა,—თუნდაც პატარა ჯგუფისა, ყველაზე მეტად აქტიური და გავლენიანი ამხანაგებისა. შემუშავებულ იქნა გაქცევის გეგმა, რომელიც სისწორით იქნა შესრულებული 1920 წლის თებერვლის 6-ს; ჩემთან ერთად ციხიდან გამოიქცენ კოტე ცინცაძე, ლადო დუმბაძე. ალექსანდრე მახარაძე. ციხიდან გამოგვიყვანა დიდი რისკით თავისი თავისა და ჩვენთვისაც ციხის უფროსმა ზედამხედველმა ლეკვეიშვილმა, რომელიც ჩვენი ამხანაგი აღმოჩნდა. ასეთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხერხებულმა გაქცევამ დიდი გავლენა მოახდინა და მეტი გამხნევება შეიტანა როგორც პარტიულ მასსაში, ისე ჩვენ თანამგრძნობთა შორისაც. ხელ-ახლავ დაიწყო მუშაობა ორგანიზაციების გამოცოცხლებისა და სამხედრო რაზმების შედგენისათვის. ეს მით უმეტეს აუცილებელი იყო, რომ ამ დროს ჩრდილო-კავკასია უკვე გაწმენდილი იყო დენიკინის ბანდებისაგან და წითელი ჯარებიც უახლოვდებოდენ მენშევიკურ საქართველოს საზღვრებს. ამ ხანებში საოლქო კომიტეტის ყურადღება მიპყრობილი იყო არა მარტო საქართველოზე, არამედ ჩვენ სათანადო დამმარებას ვუწევდით მატერიალურად, ამხანაგების გაგზავნით, ფულით—ჩრდილო ოსეთს, ჩეჩნეთს და ინგუშეთს; ხოლო ვლადიკავკაკი კი, დენიკინის ბანდების წასვლის შემდეგ, წითელი ჯარების იქ მისვლამდე დაკავებულ იქნა ჩვენგან გაგზავნილი რაზმების მიერ.

უნდა ითქვას, რომ 1920 წელი საქართველოს მენშევიკური ხელისუფლებისათვის იყო ყველაზე მეტად კრიტიკული წელი. ჩრდილო კავკასიაში დენიკინის ავანტიურის ლიკვიდაციის შემდეგ, რაც უფრო უახლოვდებოდა წითელი ჯარი საქართველოს საზღვრებს, ქართველი ხალხის თითქმის ყველა წრეებში განმტკიცდა რწმენა იმისა, რომ მენშევიკური ხელისუფლება აუცილებლად უნდა დამხობილიყო. ეს რწმენა კიდევ უფრო გაძლიერდა, ერთის მხრივ, აზერბაიჯანის გასაბჭოების წყალობით და, მეორეს მხრივ, სომხეთში რევოლიუციონური მოძრაობის სრულებით მოულოდნელად გაჩაღების გამო, რომელმაც თითქმის კინაღამ გამოიწვია მისი გასაბჭოებაც. საქართველოში კი ჩვენი ორგანიზაცია მზად იყო ასეთი გადატრიალების მოსახდენად, მაგრამ ამ დროს, ჩვენთვის სავსებით მოულოდნელად, მაისის 8-ს ქალ. მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, ერთის მხრივ, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისა და, მეორეს მხრივ, საქართველოს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელთა მიერ. ამ ხელშეკრულების ძალით, სხვათა შორის, საქართველოს კომუნისტური პარტია გამოცხადებულ იქნა ლეგალურ პარტიად. ამასთან ერთად ჩვენ მივიღეთ დადგენილება რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომლითაც უქმდებოდა საოლქო კომიტეტი და არსდებოდა დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია საქართველოსი და სომხეთისა. ჩვენ დაუყოვნებლივ შევასრულეთ ეს. ჩვენი პარტიის ლეგალიზაცია დაიწყო იქიდან, რომ დაპატიმრებული თითქმის ყველა ჩვენი ამხანაგები თანდათანობით გაანთავისუფლეს. პირველსავე პარტიულ თათბირზე, რომელიც მოწვეულ იქნა ტფილისში, ლეგალიზაციის შემდეგ, მაისის ბოლო რიცხვებში, გავაკეთე მოხსენება მთელი ჩვენი წარსული მუშაობის შესახებ და იმ ამოცანების შესახებ, რომელიც უნდა დაესახა ჩვენ პარტიას თავის მომავალ მუშაობაში. მე დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭვები შეეიტანე ჩვენი ლეგალიზაციის საქმეში, რადგან საქართველოში მენშეეიკური დიქტატურის გამო საშინელი პირობები იყო შექმნილი და წინადადება მიეეცი თათბარს, რომ პარტია გამოიყენებდა რა ლეგალურ ყველა შესაძლოებათ, არ გატაცებულიყო ბრძოლის ლეგალური ფორმებით და ლეგალურ ორგანოსთან ერთად მოეწყო არალეგალური აპარატიც. ჩემი მოხსენება სავსებით მოწონებული იქნა. ჩვენ შეეუდექით ლეგალური პარტიის მოწყობას, გამოეცემა გაზეთი და სხვ. მაგრამ ლეგალური მუშაობის პირველსავე დღიდან გამოირკვა, რომ ლეგალური არსებობა არა მარტო უბრალო ფიქცია იყო, არამედ—მახეც: პირველად დაიწყეს დაპატიმრება, გაზეთების დახურვა, ხოლო პარტიული ორგანიზაციების შენობები შეიქნა ჩვენივე ამხანაგების დასაპერი ხაფანგი.

მე ამირჩიეს დელეგატათ კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე დასაწრებლად და გავემგზავრე მოსკოეს. რუსეთის კომპარტიის ცეკას მე დაწვრილებით მოხსენება გავუკეთე საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. კონგრესის დახურვის შემდეგ მივიღე რა რუსეთის კომპარტიის ცეკას დირექტივები საქართველოში მუშაობის წარმოების შესახებ,-უნდა დავბრუნებულიყავი საქართველოში. თანახმად, როგორც რუსეთის კომპარტიის ცეკას, ისე მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დირექტივების, კომუნისტურ პარტიებს ისეთ ბურეუაზიულ ქვეყნებში, როგორიც იყო საქართველო, აუცილებლად უნდა· გამოეყენებიათ ყველა, როგორც ლეგალური, ისე არალეგალური შესაძლოებანი. გზათ ბაქოში შევჩერდი, სადაც ამ დროს იყო **ალმოსავლეთის ხალხების ყრილობა**. საქართველოდან ყრილობას ესწრებოდა 100 ამხანაგი და თითქმის ყველა ისინი ჩვენი ამხანაგები იყვნენ. ნაწილი მათ შორის გადმოსახლებული იყო საქართველოდან, ხოლო დანარჩენი კი ფარულად გადმოსულიყვნენ საქართველოს საზღვრებზე. მათ გაიკეს რა ჩემი ბაქოში ყოფნა, წინადადება მომეცეს გაგვემართა საქართველოს დელეგატების თათბირი საქართველოს მდგომარეობის საკითხის გასაშუქებლად.

ამ თათბირზე გამოირკვა, რომ ჩვენი ორგანიზაციების მდგომარეობა საქართველოში მეტად მძიმე იყო. ლეგალურ მუშაობას სისტემატიურად შიყავდა პარტია თვითმკვლელობისაკენ. თითქმის ,ყველა დელეგატი იმ აზრის იყო, რომ თუ პარტია განაგრძნობდა ძხოლოდ ლეგალურ მუშაობას,—იგი უეჭველად დაიღუპებოდა. ვინაიდან ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანი იყო, ჩემის ინიციატივით გამართულ იქნა მეორე თათბირი, რომელზედაც მოწვეულ იქნენ საქართველოს პასუხისმგებელი მომუშავენი. ამ კრებაზე მოწვეულ იქნა ამხ. **კიროვიც**. რომელიც მაშინ იყო რუსეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმოდგენელი საქართველოში. მე წავიკითხე მოხსენება შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ თემაზე: „საქართველოს მდგომარეობა და ჩვენი ამოცანები". ჩემი მოხსენების ძირითადი დებულებები იყო შემდეგი: მხოლოდ ლეგალურ მუშაობას პარტია მიყავს დაღუპვისაკენ; სრულებითაც უარს არ ვიტყვით რა ლეგალურ შესაძლოებათა გამოყენებაზე, საჭიროა ეხლავე დაიწყოს არა-ლეგალური აპარატის მოწყობა, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს როგორც ლეგალურ, ისე არა-ლეგალურ მუშაობას. დამსწრეთა შორის იყვენ ისეთი ამხანაგები, რომელთაც რაიმეს გაგონებაც კი არ სურდათ არალეგალური მუშაობის შესახებ; ისინი უმცირესობას წარმოადგენდენ. ჩემი მოხსენების ყველა დებულებები გაიზიარა დამსწრეთა დიდმა უმრავლესობამ; ამ თათბირის მეორე დღეს გამომიცხადეს, რომ თანახმად კავკასიის ბიუროს დადგენილებისა მე გაწვეული ვარ მოსკოვს კომუნისტურ ინტერნაციონალში სამუშეერად, როგორც სტატისტიკოსი. ამ დადგენილებამ მეტად გამაკვიფრა, მაგრამ დაუყოვნებლივ გავემგზავრე მოსკოვს, სადაც დავრჩი 1921 წლის დასაწყისამდე. 1921 წლის თებერვლის 18-ს ამხ. სტალინმა მაცნობა საქართველოში დაწყებული ამბები და წინადადება მომცა დაუყოვნებლივ გავემგზავრებულვიყავი საქართველოში, რაც კიდეკაც შეესრულე; მაგრამ წინასწარ მივიღე რჩევა-დარიგება ამხ. **ლენინისაგან**. ჩამოვედი საქართველოში მარტში და შევედი საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტში—როგორც თავმჯდომარე.

ამით ვათავებ ჩემ ავტობიოგრაფიას. შემდეგი ჩემი მუშაობა ყველამ უწყის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება

= IV =

რევოლიუციის მსხვერპლნი

ამხ. ნიკოლოზ ვარიშვილი

. . . ერთხელ საიდუმლო კრებაზე თავს დაგვესხენ ჯაშუშები... ნიკოლაიმ 3 ფუთი შრიფტი ტომარაში ჩაყარა და ისე წაიღო, როგორც ერთი გირვანქა . . გვ. 231.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ სიგას ძე გარიშვილი

ნიკოლაის ახალგაზრდობიდანვე ვიცნობდი. 16 წლის იყო, როცა ის რუსეთში წავიდა. ხმები დადიოდა, რომ გარიშვილი „გაშარლატანდაო", ნამდვილი კი არავინ იცოდა. 1899 წ. ეტაპით მოიყვანეს სასალდათო სამსახურისთვის. ენახეთ: მანაც გვიამბო თავისი თავგადასავალი. ის ყოფილიყო ლუგანსკში და მიეღო მონაწილეობა მუშათა მოძრაობაში. სამხედრო სამსახურიდან გაიქცა და ცხოვრობდა ბაქოში იგნატიევის გვარით. 1900 წ. ის მუშაობდა საბუნჩაში მიტროფანოვის ქარხანაში, სადაც მოაწყო გაფიცვა, რომლის დამთავრების შემდეგ ისევ რუსეთში წავიდა. დაბრუნდა 1903 წ.

პირველ მაისობას საბუნჩაში კითხვა დადგა, ვინ უნდა წავიდეს მაისობის ჩასატარებლათო. ეს საქმე ნიკოლაიმ იკისრა და დროშაც სწორედ მან ააფრიალა. როცა დროშასთან ერთად ჟანდარმი შეეცადა ნიკოლაის შეპყრობას, დროშა მან გადასცა ამხ. გუკსა და თითონ ის დაიჭირა ჟანდარმმა და მაგრად სცემა. მეორე წელს, 1904 წ., როცა მუშები ჰარაპეტთან შეიკრიბნენ, ნიკოლაის დაედევნა ორი ლეკი. იმათაც შიგ ქალაქში დაუწყო ნიკოლაიმ ცემა. ერთხელ საიდუმლო კრებაზე თავს დაგვესხენ ჯამუშები, სადაც კაცცხოველიც იყო. ის ბაქრაძის სახლში ცხოვრობდა; იქ იყო ბევრი შრიფტი. ნიკოლაიმ სწრაფად 3 ფუთი შრიფტი ტომარაში ჩაყარა და ისე წაიღო, როგორც ერთი გირვანქა. ის ტერორისტი იყო. მისი— „ხაზეინებსაც" ეშინოდათ, განსაკუთრებით ეშინოდა მექარხნე მალნიკოვს. ის ეუბნებოდა: შენ რაც გინდა მთხოვე, მოგცემ, მხოლოდ სხვებს თავი დაანებეო. ერთი ასეთი წინადადების შემდეგ ნიკოლაი მივარდა „ხაზეინს" და კინაღამ სცემა. ასეთი მოქმედებით დიდი სახელი ჰქონდა ნიკოლაის მუშებში.

ერთხელ ჩვენს საერთო კრებაზე „გოროდოვოი" შემოვიდა შემთხვევით და უნდოდა წასულიყო პოლიციაში დასაბეზღებლათ. გამოვიდა ნიკოლაი და მაგრად სცემა. ამის შემდეგ „გოროდოვოიმ" სამსახურს თავი დაანება.

1918 წ. ნიკოლაი ტფილისში ჩამოვიდა. მან აქაც მალე მოიპოვა პირველ რაიონში რევოლიუციონერის სახელი. 1918 წელს იქნა მოკლული ალექსანდროვის ბაღში მენშევიკების მიერ.

გ. რთველაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილარიონ გეგურის-ძე სარჯველაძე

ილარიონ დაიბადა 1890 წელს გურიაში, ს. ზემო ჩიბათში. ილარიონი დედ-მამის უფროსი ვაჟი იყო. დაობლდა 6 წლის რომ შეიქმნა. აღიზარდა ლარიბ ოჯახში. სწავლობდა ქ. ლანჩხუთის საქალაქო სასწავლებელში, მაგრამ უსახსრობის გამო ქვრივმა დედამ ვერ შესძლო ხარჯები და იძულებული შეიქნა ილარიონი თავი დაენებებია სწავლისთვის და ხელი მოეკიდა ოჯახური მუშაობისათვის.

1904—5 წლებში, ჯერ კიდევ 14 წლის ბავშვი ჩაება რევოლიუციურ მოძრაობაში. მას ირჩევენ ასისთავად და უბნის ხელმძღვანელად. რეაქციის გამარჯვების შემდეგ ის მიდის ტფილისში და დროგამოშვებით ხან ოჯახში ეწევა მუშაობას და ხან ქალაქებში. 1911 წელს მას იწვევენ სამხედრო სამსახურში და გზავნიან ვოლინის გუბერნიაში. იქ მოუსწრო მას სამხედრო სამსახურის დასრულებამდე 1914 წლის იმპერიალისტურმა ომმა და ავსტრიის ფრონტზე იქნა დაკრილი იმავე შემოდგომაზე. ცოტა ხნის აქმომის შემდეგ მას გზავნიან ოსმალეთის ფრონტზე, სადაც დაპყო 1918 წლის დასაწყისამდე. ილარიონი 1918 წლის იანვარში დაბრუნდა სამხედრო სამსახურიდან ლანჩხუთში და გააფთრებით შეუდგა მუშაობას ჯერ კიდევ ლანჩხუთის რაიონის სუსტ კომუნისტურ ორგანიზაციაში. ილარიონი მალე გაეცნო გურიის კომუნისტურ ორგანიზაციას. 1918 წელშივე მენშევიკების მიერ შეიქნა დევნილი ჩვენი პარტია და, მათ შორის, ილარიონიც.

1919 წელს გურიის მშრომელი გლეხობა დაირაზმა კომუნისტური პარტიის გარშემო და ეკვეთა ჯალათ-მენშევიკებს, რომ დაემხო გამყიდველი მენშევიკური მთავრობა, რომ გაეხთავისუფლებია მენშევიკების მიერ შელახული შრომის წიოელი დროშა. ილარიონ თვით ღებულობდა მონაწილეობას და ხელმძღვანელობდა ამ გამოსვლებს, მაგრამ მენშევიკების თეთრ-გვარდიელებთან უთანასწორო ბრძოლაში ჩვენი ამხანაგები დამარცხდენ და დაიფანტენ მთებში. მენშევიკები მოედევნენ მთელი გურიის სოფლებს და ტყეებს ტყვიის-მფრქვეველებით და ხარბაზნებით. ილარიონ ამხანაგებით მოემწყვდა სოფელ სიროოული მახლობლად ტყეში ალყაშემორტყმული. მათ დაუშინეს ხარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები და თუ ისინი გაუწევდენ წინააღმდეგობას, მენშევიკები იმუქრებოდენ მთელი ახლო მდებარე სოფლების განადგურებით და ილარიონმა ხუთ ამხანაგთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ილარიონ სარჯველაძე

...თუ მოგვკლავენ, ხომ იცით, რას შევსწირეთ თავი! ჩვენს ძვლებზე უნდა აშენდეს შრომის სამეფო—კომუნიზმი. ჩვენი სისხლით შეიღებება დროშა, რომელიც იქნება სიმბოლო თავისუფლებისა... გვ. 234.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასწყვიტა გაეწირა თავი და ჩაბარებოდენ ჯალათებს და მით გადაერჩინათ ოთხრებას და აწიოკებას რამოდენიმე სოფელი.

ტყვედ ჩავარდნილი კომუნისტები წაიყვანეს მენშევიკების ჯალათებმა ოზურგეთის საპყრობილეში.

ამის შემდეგ დანიშნეს „სამხედრო საველე სასამართლო“. გასამართლება მოხდა ორ ადგილას: ოზურგეთში და ლანჩხუთში. ილარიონი, როგორც ლანჩხუთელ და ლანჩხუთის გამოსვლებში მონაწილე, მისი ამხანაგებითურთ გადმოგზავნეს ლანჩხუთში გასასამართლებლად. ამხ. ილარიონს, მ. სირაძეს, კერესელიძეს, თურნავას, ი. ციხეკაძეს, იმნაიშვილს, ადეიშვილს და სხვებს სულ 28 კაცს მისაჯეს სიკვდილით დასჯა, მათ შორის 16 ამხ. შეეცვალა სიკვდილით დასჯა სამუშაო კატორღით და თორმეტი კომუნისტი კი უნდა გამხდარიყო მენშევიკების ჯალათების მსხვერპლი, რომ ამხ. ილარიონს არ გამოეჩინა ვაჟკაცობა და გამბედაობა. რიცხვი კარგად არ მახსოვს, 1919 წელს, მგონი 20 ნოემბერს, ღამით მიადგა სატუსაღოს გოგუაძის რაზმი. ციხეში 11 ამხანაგი იყო, რომლებიც უნდა დაეხვრეტათ, დანარჩენი უკვე გადაგზავნილი იყვნენ ქუთაისის საპყრობილეში: მისცეს მათ წინადადება გამოსულიყო ხუთი კაცი: ილარიონი, სირაძე, ადეიშვილი, კერესელიძე და კილაძე. მენშევიკები შიშობდენ 11 კაცის ერთად დასახვრეტად გაყვანას. მეორე ჯგუფის ექვსი ამხანაგი გადაუდგა წინ კარებთან და მოინდომეს წინააღმდეგობის გაწევა. კარგა ხანი გასტანა ბრძოლამ. ამხანაგები არ დანებდენ, ჯალათები არ ეშვებოდენ. როცა საქმე გამწვავდა, ყოფილმა ოფაცერმა-გვარდიელმა თედორე ჭანშვილმა და ლანჩხუთის გავარდიის შტაბის უფროსმა ავთანდილ ურუშაძემ მომართეს ხელად სასროლი ყუმბარები და დააპირეს სატუსაღოშივე ყველას აფეთქება. ამ დროს არ დააყოვნა ამხ. ილარიონმა და შესძახა ამხანაგებს: „აქ ყველას დაგვხოცავენ, გავყვეთ ხუთი და შეიძლება ვინმე გადავარჩინოთო“ და თვითონ გადმოხტა ამხანაგების წინ და მიმართა ამხანაგებს: „მე მივდივარ, გამომყევით, ჩვენ განვსწროთ თავი და დანარჩენ ექვს ამხანაგს ვუშველოთო“. მას გაჰყვა სირაძე, ადეიშვილი, კერესელიძე და კილაძე: ხუთივენი წაიყვანეს სადგურზე და იქ ჩასვეს გოგუაძის ჯავშნოსან მატარებელში და წაიყვანეს ნიგოითის მიმართულებით. ქუთაისში მიედივართო. ლანჩხუთიდან მეორე ვერსტზე, სახელდობრ, „ჯიკის ტბასთან“ გაჩერდა მატარებელი და წინადადება მისცეს რკინის ბორკილებით დაჭედილ ტუსაღებს გადმოსულიყვენ მატარებლიდან.

დიდ ხანს იყოყმანეს ამხანაგებმა, მაგრამ გამოსავალი გზა არ იყო, მხოლოდ ცდილობდენ დრო გასულიყო, ღილა რომ მოახლოვდებოდა, ვეღარ მოასწრებდენ მეორე ჯგუფის დახვრეტას. მთელი ყურადღება იქითკენ იყო მიქცეული, რომ გადაერჩინათ საპყრობილეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატოვებული ექვსი ამხანაგი. ამავე დროს ილარიონმა გააფრთხილა ამხანაგები: მე შევებრძოლები და თქვენ თავს უშველეთო. ჩამოვიდენ მატარებლიდან ბორკილების რახუნით. ილარიონი მზად იყო საბრძოლველად და ამხანაგებს ამხნევებდა: „თუ მოგვკლავენ, ხომ იცით, რას შეესწირეთ თავი, ჩვენს ძალებზე უნდა აშენდეს შრომის სამეფო — კომუნიზმი, ჩვენი სისხლით შეიღებება დროშა, რომელიც იქნება სიმბოლო თავისუფლებისაო“. ბევრი ღაპარაკის დრო აღარ დასცალდა. შემოესივენ ჯალათები, მიათრიეს იქვე ამოთხრილ სასაფლაოსთან და ჩაამწკვრივეს ხუთივენი და უნდა ესროლათ, რომ ამ დროს ბრძოლაში გამობრძმედილი ილარიონი ეკვეთა მტერს ცარიელი ხელებით, ჩასტაცა ერთ გვარდიელს ყელში ხელი და შესძახა ამხანაგებს — „თავს უშველეთო!“ მოსე სირაძე და ადეიშვილი გაექანენ ტყისკენ. კერესელიძე გაიქცა ნიგოითის მიმართულებით. სიბნელის გამო ვერ გაიგნო გზა და ჩაეფლა ჯიკის ტბის ტალახში და იქვე მიიმალა, კილაძე ადრე იქმნა მოკლული ხიშტით. ილარიონ კვლავ განაგრძობდა ბრძოლას. გაიმართა ხელ-ჩართული ბრძოლა. გვარდიელებმა ვერ გაარჩიეს დასახვრეტი სარჯველაძე. სირაძემ და ადეიშვილმა რამდენიმე ხანს იცურეს წყალში და შემდეგ წააწყდენ ტყეში ხეზე მიბმულ ნავს, ჩასხდენ შიგ და გასწიეს უგზო-უკვლოდ. მესამე დღეს გავიდეს ჯუმათში მშიერები და დაქანცულები და იქ დაამტვრიეს ბორკილები. ასე გაინთავისუფლეს თავი. ილარიონს კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ დაუშინეს ხიშტები გვერდებში და ისე დაფლითეს, რომ სხეულის არც ერთი ნაწილი დაუმტვრეველი არ დაუტოვებიათ. შეუდგენ გაქცეულების ძებნას. უკვე თენდებოდა, რომ ნახეს ტალახში ჩაფლული კერესელიძე, ესროლეს ნაპირიდან, როგორც ნადირს, დასჭრეს და ამოათრიეს დაჭრილი და ისიც შემდეგ ხიშტებით დაფლითეს. ილარიონი, კერესელიძე და კილაძე ჩაჭყარეს წინასწარ მოთხრილ ორმოში, რომელიც წყლით იყო სავსე და ოდნავ წააყარეს ტალახი და მიატოვეს. გამობრუნდენ უკან დანარჩენი ექვსი დასახვრეტ ტუსაღების წასაყვანად, მაგრამ უკვე გათენებული იყო. დახვრეტის დროს სროლის ხმაზე გაიღვიძა ხალხმა და სატუსაღოს მახლობლად მოიყარა თავი. აქ იყო დიდი, პატარა, ქალი და კაცი, ხალხი აღშფოთებული იყო მენშევიკების ჯალათების საქციელით და ამიტომ გვარდიელებმა ვეღარ მოახერხეს დანარჩენი ტუსაღების დახვრეტა ლანჩხუთში. ისინი გადაგზავნეს ქუთაისის საპყრობილეში. დიდი წინააღმდეგობის შემდეგ ხალხი გაექანა დახვრეტილების წამოსაღებად. არ გასჭრა არავითარმა წინააღმდეგობამ, ამოთხარეს დახვრეტილები და გაასვენეს თავ-თავის ოჯახებში. მშობლებმა მოინდომეს ჩვეულებრივად დაესაფლავებინათ დახვრეტილები, დღეც დანიშნეს და თავიანთ ნათესავებს და ნაცნობებს შეატყობინეს, მაგრამ ილარიონის ეზოს შემოარტყეს ალყა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარდიელებმა და მისცეს წინადადება მის დედას იმავ დღესვე, რომ დაღამდებოდა თუ არა, დაესაფლავებია. მეტი რაღა დარჩენოდა უბედურ დედას—ერთი შვილი ჯალათებმა მოუკლეს, მეორე—გრიშა კი თელავის სამაზრო სატუსაღოში ყავდა იმავე ჯალათებს გამომწყვდეული. სხვა გამოსავალი გზა აღარ იყო: დაასაფლავეს იმ ღამეს. მიუხედავათ ასეთი მოულოდნელი დასაფლავებისა, დიდი ძალი ხალხი დაესწრო ილა რიონის დასაფლავებას.

ვ. ხ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხ. ნიკო ჩოდრიშვილი

ნიკო ჩოდრიშვილი დაიბადა 1858 წ. სიღნაღში, ერთი ღარიბი მუშის, სოსია ჩოდრიშვილის ოჯახში. 7 წლამდე ნიკო მშობლებთან იზრდებოდა. 9 წლისა რომ გახდა, მშობლებმა სიღნაღშივე ერთ ვაჭარს დაუყენეს სახლში მოსამსახურედ მარტო იმისთვის, რომ ერთი მჭამელისაგან ოჯახი განთავისუფლებულიყო. ასე გაგრძელდა ნიკოს სამსახური 4 წელი. 13 წლის ნიკო წავიდა ტფილისში და აქ სალდათის ბაზარში ერთ ვაჭარს დაუდგა მოჯამაგირეთ, წელიწადში 8 მანეთად. შემდეგ 15 წლისა რომ შეიქნა მისმა ძმამ მიხამ თავისთან წაიყვანა და დურგლობა შეასწავლა.

1877 წელს ნიკო ზეიცერის სადურგლოში მუშაობდა. იქ ნიკომ პირველ გაფიცვაში მიიღო მონაწილეობა და გაფიცვის გამო ნიკოც სხვებთან ერთად დათხოვნილ იქნა. ამავე წლებში ნიკო ნაროდნიკულ ჯგუფში მუშაობდა, რომლის ხელმძღვანელი გოლა ჩიტაძე იყო; ამ ჯგუფში ნიკო მხურვალე მონაწილეობას იღებდა. 1884 წელს ნიკო თავისი ორი ძმით თელავში წავიდა და იქ დაარსეს ხელოსანთა საამხანაგო სადურგლო სახელოსნო და მასთან ერთად სოციალისტური წრეც, რომელსაც ხელმძღვანელობდენ თვით ნიკო, მისი ძმა სანდრო, ვანო და იოსებ დავითაშვილი, ვარდენ გოცირიძე და მიხა საბედაშვილი. ამავე მოაწყვეს თელავში სცენის მოყვარეთა წრე, სადაც თეთონვე თამაშობდნენ.

ვანო როსტომაშვილის მონაწილეობით და დახმარებით დააარსეს საურთიერთო დამხმარე ბანკი.

ნიკომ თელავში ცოლიც შეირთო, რომელიც ადრე გარდაეცვალა. ნიკო ამის შემდეგ თელავს თავს ანებებს და გადადის ბათუმში. აქ ცოტა ხანს როტშილდის ქარხანაში მუშაობს; აქაც თავს ანებებს და მიდის სარატოვში, საიდანაც ავადმყოფობის გამო ისევ უკან, ტფილისში, ბუნდება და არსენალში იწყებს მუშაობას 1894 წლამდის.

შემდეგ 1896 წელს ახლად დაარსებულ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს გაეცნო და მხურვალე მონაწილეობას ღებულობს პარტიულ მუშაობაში ძმებთან ერთად. ყველა პირველ მაისობაში იღებდა ნიკო მონაწილეობას, 1898-წ., 1903 და სხვა წლებშიაც ნიკო მუშაობდა მენშევიკებთან ერთად, რადგან ჯერ პარტია განუყოფელი იყო; 1903 წლიდან კი ბოლშევიკ-კომუნისტური პარტიის ერთგულ წევრად დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩა და პარტიულ ტეხნიკურ მუშაობას ასრულებდა, როგორც მაგ-იარაღებისა და ლიტერატურის გადატან-გადმოტანა, საიდუმლო სტამბების და საწყობების მოწყობა როგორც მაგ., ავლაბრის საიდუმლო სტამბის აშენება და სხვა.

ნიკოლოზის მთავრობის დამხობის შემდეგ მენშევიკებმა ნიკო სამსახურში მიიღეს როგორც უმუშევარი და გაჰირვებული. დააყენეს შეშის საწყობის დარაჯათ დიდუბეში. დარაჯობდა ზამთარში ცის ქვეშ, თოვლ-ყინაპში, იანვრის სიცივეებში. თუმცა დაპირდენ მენშევიკები ნიკოს თბილ ტანსაცმელს, მაგრამ აღარ მისცეს. ნიკო იქ გაცივდა, ფილტვების ანთება გაუჩნდა და 15 თებერვალს 1919 წელს გარდაიცვალა. დარჩა ავადმყოფი ცოლი, რომელიც ამ ჟამად იმყოფება უკიდურეს მდგომარეობაში.

ამხანაგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება

= V =

პარტიული არქივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის კავშირი რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბროშიურა პარტიულ კითხვებზე № 1.

ზაკვრით
პარტიულ უთანხმოებაზე.*)

სოს.-დემ. მარქსიზმის მუზეუმის
ბიბლიოთეკა
№ ____
ДОМ ВЕРХНИЙ ЛАВРУШИНА

რედაქცია
კავკასიის კავშირის კომიტეტისა.

სტამბა კავშირისა.
1905 წ.

*) ეს ბროშიურა ეკუთვნის ამხ. კობა ჯუღაშვილი—სტალინის ქალაქს.
რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე.

I

„სოციალდემოკრატია—ეს მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთებაა“!
კარლ კაუცკი.

ჭირვეული რამაა ჩვენი „უმცირესობა“! მე თბილისის „უმცირესობაზე“ გელაპარაკებით. გაუგია, რომ პარტიაში უთანხმოებაა, და ახირებულა: გინდა თუ არა, ყველგან და ყოველთვის უთანხმოებაზე უნდა ვილაპარაკო, გინდა თუ არა, მარჯვნივ და მარცხნივ „უმრავლესობას“ უნდა ვაგინოო! და იგინება ისიც წარა მარა, იტყვი—ქადაგათ დაცემულაო. აღმა თუ დაღმა, სახლში თუ გარეთ—ყველგან ერთსა და იგივეს გაჰკივის: ერიდეთ „უმრავლესობას“, ისინი გიაურები არიანო! ის „ჩვეულებრივ“ სარბიელსაც-კი არ დასჯერდა, მან „საქმე“ ნება-დართულ მწერლობაში გადაიტანა და მით ერთხელ კიდევ დაანახა ქვეყანას თავისი... ჭირვეულობა.

რა დაეშავა „უმრავლესობამ“, რატომ „გაკუჭებულა“ ჩვენი „უმცირესობა“? გადავხედოთ წარსულს.

პირველათ პარტიის მეორე კრებაზე (1903 წ.) იჩინა თავი „უმცირესობამ“ და „უმრავლესობამ“. ეს ის კრება იყო, საცა ჩვენი გაფანტული ძალები ერთ დიდ პარტიათ უნდა შეერთებულიყო. დიდი იმედებით ველოდით ამ კრებას პარტიული მუშაკები. ძლივს!—ვიძახდით გახარებულნი—ჩვენც გვეღირსება ერთ პარტიათ შეერთება, ჩვენც შეგვეძლება ერთ გეგმაზე მოქმედება!.. რა თქმა უნდა, ჩვენ მანამდეც ვმოქმედებდით, მარა ჩვენი მოქმედება ნაწილ-ნაწილი და მოუწყობელი იყო; რასაკვირველია, ჩვენ მანამდეც ვცდილობდით შეერთებას, სწორეთ ამიტომ მოვიწვიეთ პარტიის პირველი კრება (1898 წ.), თითქოს „შეეერთდით“ კიდეც,—მარა ეს მხოლოდ სიტყვიერი შეერთება იყო: პარტია მაინც დაქუცმაცებული იყო ცალკე ჯგუფებათ, ძალები მაინც დაქსაქსული იყო და ერთათ თავ-მოყრას ითხოვდა. და აი, პარტიის მეორე კრებას უნდა შეეკრიბა გაფანტული ძალები და ერთმანეთზე გადაეჯაჭვა. ჩვენ საქმით უნდა შეგვექმნა პარტია. დიახ, დიდი იმედებით ველოდით ამ კრებას პარტიული მუშაკები... მაგრამ საქმემ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი იმედები, რამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენიმეთ მაინც, ნაადრევი იყო: კრებამ ვერ მოგვცა ერთი და განუყოფელი პარტია, მან მხოლოდ საძირკველი ჩაყარა ასეთი პარტიისთვის. სამაგიეროთ ამ კრებამ ნათლათ. დაგვანახვა, რომ პარტიაში ორი მიმართულება ყოფილა: მიმართულება „ისკრის“ (ძველ „ისკრა ზეა“ ლაპარაკი) და მიმართულება მისი მოწინააღმდეგეების. თანახმათ ამისა, კრება ორ ნაწილათ გაიყო: „უმრავლესობათ“ და „უმცირესობათ“, პირველმა „ისკრის“ მიმართულება მიიღო და მის გარშემო მოიყარა თავი, მეორემ-კი, როგორც „ისკრის“ მოპირდაპირემ, მოწინააღმდეგე პოზიცია დაიჭირა, ამგვარათ, „ისკრა“ გადაიქცა დროშათ პარტიული „უმრავლესობისა“, პოზიცია „ისკრის“ გამოცხადდა პოზიციათ „უმრავლესობისა“.

რა გზას ადგა „ისკრა“, რას იცავდა ის? ამის გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა პირობებში გამოვიდა ის სარბიელზე.

„ისკრა“ 1900 წლის დეკემბერში გამოსცეს. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთის მრეწველობაში კრიზისი იწყებოდა. მრეწველობის აყვავება, რომელსაც პროფესიონალური გაფიცვები მოჰყვა (1896—98 წ.), თან-და-თან კრიზისით იცვლებოდა; კრიზისი-კი დღითი დღე ძლიერდებოდა და პროფესიონალურ გაფიცვებს წინ ეღობებოდა. მიუხედავათ ამისა, მუშათა მოძრაობა მაინც წინ მიდიოდა და გზას მიიკაფავდა: ცალკე ნაკადულები ერთმანეთს უერთდებოდა, მოძრაობას კლასსიური ელფერი ედებოდა და თან-და-თან პოლიტიკური გზისკენ ექანებოდა. მუშათა მოძრაობა საოკარი სისწრაფით იზრდებოდა... არ ჩანდა მხოლოდ მოწინავე რაზმი, სოციალდემოკრატია*), რომ სოციალისტური შეგნება შეეტანა მოძრაობაში, შეეუღლებინა ეს მოძრაობა სოციალიზმთან და, ამგვარათ, სოციალდემოკრატიული ხასიათი მიეცა პროლეტარიატის ბრძოლისთვის.

მაშ რას აკეთებდნენ მაშინდელი „სოციალ-დემოკრატები“? („ეკონომისტებს“ ეძახდენ იმათ). ისინი გუნდრუკს უკმევდნენ სტიქიურ მოძრაობას და უზრუნველათ გაიძახოდნენ: არც ეგრე საჭიროა მოძრაობისთვის სოციალისტური შეგნება, უიმისოთაც კარგა მიახწევს ის თავის მიზანს, საქმე თვით მოძრაობაშიაო—მოძრაობა ყველაფერია, შეგნება არაფერია. **მოძრაობა უსოციალისტოთ** —აი საით მიილტოდნენ ისინი.

რა დანიშნულება აქვს რუსეთის სოციალდემოკრატიას? ის მორჩილი მონა უნდა იყვეს სტიქიური მოძრაობისა, იძახდნენ ისინი. სულაც არაა ჩვენი ვალი სოციალისტური შეგნება შევიტანოთ მოძრაობაში, სულაც არაა ჩვენი საქმე წინ გაუძღვეთ მას—ეს უნაყოფო

*) სოციალდემოკრატია—ეს პროლეტარიატის მოწინავე რაზმია, რომელშიაც შედის ყველა მებრძოლი სოციალდემოკრატი, მუშა იქნება ეს თუ ინტელიგენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალდატანება იქნებოდა,—ჩვენი ვალია მხოლოდ ყურს ვუგდებდეთ მოძრაობას და სისწორით ვწერდეთ, რაც ცხოვრებაში ხდება—ჩვენ-კუდში უნდა მიეჩანჩალებდეთ სტიქიურ მოძრაობასო *). ერთი სიტყვით, **სოციალდემოკრატია მეტი ბარგიაო.**

ვისაც სოციალდემოკრატია არა სწამს, მას არც სოციალ-დემოკრატიული პარტია უნდა სწამდეს. სწორეთ ამიტომ იყო, რომ ასე დაჟინებით იძახდნენ ისინი: რუსეთში მუშათა პოლიტიკური პარტია შეუძლებელია, დეე ისევ ლიბერალებმა მისდიონ პოლიტიკურ ბრძოლას ეს იმათ უფრო შეჰფერისო. მაშ რა ვაკეთოთ? ჩვენ დღევანდებურათ ცალკე წრეებათ უნდა დავრჩეთ და ჩვენ-ჩვენ კუთხეებში ვიმოქმედოთ. **პარტია კი არა, წრეო!**

ამ გვარათ, ერთ მხრივ მუშათა მოძრაობა იჭრდებოდა და მოწინავე რაზმს ითხოვდა წინამძღოლთა; მეორე მხრივ „სოციალდემოკრატია", იმის მაგიერ, რომ მოძრაობას წინ გასძღოლოდა—თავის თავს უარსა ჰყოფდა და უკან მისანჩალებდა მოძრაობას.

საჭირო იყო ხმა მაღლა გამოთქმულიყო ის აზრი, რომ მოძრაობა უსოციალიზმოთ უგზო-უკელო ხეტიალია, რომელიც ოდესმე თუ მიგიყვანს მიზანთან და ისიც ვინ იცის როდის და რა წვალებით: რომ სოციალისტურ შეგნებას, მაშასადამე, ფრიად დიდი ნიშვნელობა აქვს მოძრაობისთვის.

საჭირო იყო აგრეთვე დამტკიცებულიყო, რომ ამ შეგნების მატარებელი — სოციალდემოკრატია — ვალდებულია სოციალისტური შეგნება შეჰქონდეს მოძრაობაში და მუდამ წინ მიეძღოდეს მას, არა თუ სეირს უყურებდეს მუშების ბრძოლას და უკან მისჩანჩალებდეს მათ.

უნდა ვამოთქმულიყო აგრეთვე ის აზრი, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პირდაპირი მოვალეობაა თავი მოუყაროს პროლეტა-

*) ძალიან „კრიტიკის" მადა აქვს ძარღელი ჩვენ „სოციალ-დემოკრატს" (იხ. № 1 „ეკონომისტ-ტოლსტოიზმ" თუ „უმცირესობა"), მარა აქვე უნდა აღენიშნო, რომ სწორეთ ეგრ ახასიათებს „ეკონომ-სტუბსა" და „რაბოჩეველცებს" (ერთნი მეორისაგან დიდათ არ განირჩევიან). ხაქმე იმაში-კი არაა, რომ ისინი „ბატონათ იღებდნენ პოლიტიკურ კითხვებს",—არამედ იმაში, რომ უკან მისჩანჩალებდნენ მოძრაობას და სწორეთ იმას წაბოლიანებებდნენ ხოლმე, რასაც მოძრაობა წასჩურჩულებდა. იყო დროა, როცა მარტო გაფიცვები ხუბებოდა. მაშინ ისინიც ეკონომიურ ბრძოლას ქადაგებდნენ. დადგა დროა დემონსტრაციების (1901 წ.). დაიღვარა სისხლი, დაჭეროლა უიმედობის ქარმა, და ტერორს მიმართეს მუშებმა—ეს გვიხსნის მტარვალებისგანო. მაშინ „ეკონომისტ-რაბოჩეველცებიც" ფეხის ხმას აპყენენ და დიდი ამბით გამოაცხადეს: დროა ტეროორი დავიწყოთ, დავეცეთ ციხეებს, გავანთავისუფლოთ ამბანაგებიო და სხვ (იხ. „Историч поворотъ. Раб Дѣло). როგორც ხედავთ, ეს სულაც არ ნიშნავს „პოლიტიკური კითხვების ბატონათ აღებას". ავტორს ბარტინოვისაგან უსაზღვრო „კრიტიკა", მარა ეკეთოს იზამდა, თუ ისტორიის გაცნობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიატის ცალკე რაზმებს, შეაერთოს ისინი ერთ პარტიათ და მით საშუალებით მოუღოს ბოლო პარტიულ დაქუცმაცებას.

სწორეთ ამ კითხვების გარკვევას შეუდგა „ისკრა“.

აი რას ამბობს ის თავის საპროგრამო წერილში (იხ. „ისკრა“ № 1): „სოციალდემოკრატია—ეს მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთება“. ე. ი. მოძრაობა უსოციალიზმით, ან მეორე უპირველოთ არასასურველი მოვლენაა, რომელსაც უნდა ებრძოდეს სოციალ-დემოკრატია. და რადგანაც „ეკანომისტ-რაბოჩედელ-ცები“ თაყვანსა სცემდნენ სტიქიურ მოძრაობას, რადგანაც ისინი სოციალიზმის მნიშვნელობას ამცირებდნენ,—ამიტომ „ისკრა“ შენიშნავს: „მუშათა მოძრაობა უსოციალდემოკრატიოთ აუცილებლათ წვრილმალდება და ბურჟუაზიულ ხასიათს იღებსო“. თანახმათ ამისა სოციალდემოკრატიის მოვალეობაა: „მიუთითოს მოძრაობას მის (მოძრაობის) საბოლოო მიზანზე, უჩვენოს მისი პოლიტიკური ამოცანები და დაიცვას მოძრაობის პოლიტიკური და იდეიური დამოუკიდებლობა“.

რა მოვალეობა აწევს რუსეთის სოციალდემოკრატიას? „აქედან თავისთავათა ჩანს, თუ რა დანიშნულება უნდა შეასრულოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ—განაგრძობს „ისკრა“—„მან უნდა შეიტანოს პროლეტართა მასსაში სოციალისტური აზრები და პოლიტიკური თვითშეგნება და უნდა მოაწყოს რევოლიუციონური პარტია, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნება მუშათა სტიქიურ მოძრაობასთანო“. ე. ი. ის მუდამ წინ უნდა მიუძღოდეს მოძრაობას, და მისი პირველი მოვალეობაა—ერთ პარტიათ შეაერთოს მოძრაობის სოციალდემოკრატიული ძალები.

ასე ასაბუთებს თავის პროგრამას „ისკრის“ რედაქცია *)

ახორციელებდა თუ არა „ისკრა“ ამ შესანიშნავ პროგრამას? ყველამ იცის, თუ რა თავგანწირულებით გაჰყავდა მას ცხოვრებაში ეს საგულისხმო აზრები. ეს ნათლათ დაგვიმტკიცა პარტიის მეორე კრებამ, რომელმაც, ოცდა თხუთმეტი ხმის უმეტესობით, ცენტრალურ ორგანოთ მიიღო „ისკრა“. დიახ, ეს ასე იყო. და მოდი და ნუ გაგეცინება, როცა ზოგიერთა ძალათ მარქსისტები „ისკრის“ კრიტიკას დაიწყებენ:

„მას (ისკრას“) უნდა გაერჩია „ეკანომიზმი“, ყალბი ადგილები უარეყო, ხოლო ჭეშმარიტი მიეღო და ახალ კალაპოტში ჩაეყენებია... მარა **ეს ასე არ მოხდა**. „ეკანომიზმთან“ ბრძოლამ მეორე უკიდურესობა გამოიწვია, ეკანომიური ბრძოლის დამცირება, აბუჩათ აღება და პოლიტიკური ბრძოლის გაბატონება. **პოლიტიკა უეკანომიოთ**

*) „ისკრის“ რედაქციაში ექვსი კაცი იყო მაშინ: პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულინი, მარტოვი, სტროვეი და ლენინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(უნდა) იყოს: უეკანომიკოთ)—აი ახალი მიმართულება" (იხ. „სოციალ-დემოკრატი" № 1. „უმცირესობა" თუ „უმრავლესობა").

მერე სად, როდის, რა ქვეყანაში მოხდა ეს ამბები, ღირსეულო „კრიტიკოსო", ან რას აკეთებდნენ პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულიჩი, მარტოვი, სტაროვერი? რატომ „ჭეშმარიტ" გზაზე არ შეაყენეს „ისკრა": ისინი ხომ უმეტესობას წარმოადგენდნენ რედაქციაში? ან სად იყავ, აქამდე შე დალოცვილო, რატო არ გააფთხილე პარტიის მეორე კრება: ცენტრალურ ორგანოთ ხომ აღარ მიიღებდა „ისკრას"... მარა დავანებოთ თავი „კრიტიკოსს".

საქმე იმაშია, რომ „ისკრამ" სისწორით შეამჩნია „საჭირბოროტო კითხვები", სწორეთ იმ გზას დაადგა, რომელზედაც წეღან ელაპარაკობდი, და თავგანწირვით გაჰყავდა ცხოვრებაში თავისი პროგრამა.

უფრო მკაფიოთ და საბუთიანათ გამოსთქვა „ისკრის" პოზიცია ლენინმა თავის შესანიშნავ წიგნაკში „Что дѣлать" (რა ვაკეთოთ"). შეეხოთ ამ წიგნს.

„ეკანომისტები" თაყვანსა სცემდნენ მუშათა სტიქიურ მოძრაობას. მარა ვინ არ იცის, რომ **სტიქიური** მოძრაობა—ეს უსოციალიზმოთ მოძრაობაა, ეს იგივე ტრედიუნიონიზმია" *), რომელიც კაპიტალიზმის იჯრთ ვერ იხიდება? ვინ არ იცის, რომ მოძრაობა უსოციალიზმოთ—ეს კაპიტალიზმის ფარგალში ტრიალია, ეს კერძო საკუთრების გარშემო ხეტიალია, რომელიც ოდესმე თუ მიგიქვანს სოციალურ რევოლიუციასთან და ისიც ვინ იცის, როდის და რა წვალებით? განა მუშებისთვის სულ ერთია, დღეს მივლენ ისინი „აღთქმულ ქვეყანაში" თუ ხვალ, ადვილოათ თუ გაჭირვებით? ცხადია, ყველა ის, ვინც **სტიქიურ** მოძრაობას მაღლა აყენებს და თაყვანსა სცემს მას,—ის თავისდა უნებურათ, ორმოსა სთხრის სოციალიზმსა და მუშათა მოძრაობის შორის, ის ამცირებს სოციალისტური იდეოლოგიის მნიშვნელობას, ის სდევნის მას ცხოვრებიდან და თავისდაუნებურათ ამეფებს მუშებზე ბურჟუაზიულ იდეოლოგიას: მას ვერ გაუგია, რომ „სოციალდემოკრატია—ეს მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთებაა", **) მას ვერ გაუგია, რომ „**ყოველივე** ამაღლება მუშათა სტიქიური მოძრაობის, **ყოველივე** დამცირება იმ მნიშვნელობის, რომელიც „შეგნებულ ელემენტს", სოციალდემოკრატიას უნდა ჰქონდეს მუშათა მოძრაობაში,—**აუცილებლათ მოსწავებს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას მუშებში—სულ ერთია—გინდათ ამ იდეოლოგიის გაძლიერება თუ არა**".***).

*) Что дѣлать 28 გვ.

**) კაუცკი. Эрфуртск. программа 94 გვ. (ცენ. კ. გამ).

***) Что дѣлать. 26 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავხსნათ უფრო დაწვრილებით. ჩვენ დროში მხოლოთ ნაირი იდეოლოგია შეიძლება არსებობდეს: ბურჟუაზიული და სოციალისტური. მათში სხვათა შორის, ის გარჩევაა, რომ პირველი ე. ი. ბურჟუაზიული იდეოლოგია გაცილებით უფრო ხნიერია, უფრო ძლიერაა გავრცელებული და უფრო ფესვ მომაგრებულია ცხოვრებაში, ვიდრე მეორე: მთაში თუ ბარში, სახლში თუ გარეთ— ყველგან ბურჟუაზიულ აზრებს წაწყდებით; მაშინ, როდესაც სოციალისტური იდეოლოგია **ეს**-ეს არის ფეხს იდგამს და გზას იკაფავს. ლაპარაკი არ უნდა, რომ თუ აზრების გავრცელებაზე მიდგა საქმე, ბურჟუაზიული იდეოლოგია, ე. ი. ტრედიუნიონისტური შეგნება, უფრო ადვილათ გავრცელდება და უფრო ფართეთ მოედება მუშათა **სტიქიურ** მოძრაობას, ვიდრე ახლათ ფეხ-ადგმული სოციალისტური იდეოლოგია; მით უმეტეს, რომ **სტიქიური** მოძრაობა, მოძრაობა უსოციალიზმოთ, ისეც „ბურჟუაზიული იდეოლოგიის ბატონობისაკენ მიილტვის" *). ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაბატონებაკი სოციალისტურის განდევნაა, რადგანაც ესენი უარყოფენ ერთი მეორეს.

როგორ? იკითხავთ თქვენ—განა სოციალიზმისაკენ არ მიილტვის მუშათა კლასი? დიახ, სოციალიზმისკენ მიილტვის. **ეს რომ ასე არ იყოს, სოციალ-დემოკრატიის მოქმედება უნაყოფო იქნებოდა.** მარა ისიც ნამდვილია, რომ ამ ლტოლვილებას წინ უდგება და ხელს უშლის მეორე ლტოლვილება, ლტოლვილება ბურჟუაზიული იდეოლოგიისკენ. წეღანაც ვამბობდი, რომ ცხოვრება ერთიანათ გაჟღენთილია ბურჟუაზიული აზრებით, რის გამოც გაცილებით უფრო ადვილია ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავრცელება, ვიდრე სოციალისტურის; ნუ დავივიწყებთ, რომ ამავე დროს არ სძინავთ ბურჟუაზიულ იდეოლოგებს, რომლებიც თავისებურათ „სოციალისტობენ" და დაუღალავათ ცდილოდენ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას დაუმორჩილონ მუშათა კლასი; თუ აქ სოციალ-დემოკრატებიც „ეკონომისტებივით" პირს დაღებენ და კუდში აეთრევიან სტიქიურ მოძრაობას (მუშათა მოძრაობა-კი სწორეთ მაშინაა სტიქიური, როცა სოციალ-დემოკრატია ასე იქცევა),—მაშინ თავისთავად ცხადია, რომ მუშათა სტიქიური მოძრაობა ამ დაღარულ გზისკენ დაექანება [და ბურჟუაზიულ „იდეოლოგიას დაემორჩილება, რა თქმა უნდა დრომდე, სანამ ხანგრძლივი ხეტიალი და წვალება კავშირს არ შეაწყვეტინებს ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან და სოციალური რევოლიუციისკენ არ გააქანებს. ამას ჰქვია ლტოლვილება ბურჟუაზიულ იდეოლოგიისკენ.

აი რას ამბობს ლენინი: „მუშათა კლასი სტიქიურათ მიილტვის სოციალიზმისაკენ, მარა, მიუხედავათ ამისა, ბურჟუაზიული იდეოლო-

*) Что дѣлать. 28 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია, რომელიც, უფრო ძლიერაა გავრცელებელი ცხოვრებაში (და რომელიც მუდამ სხვადასხვა ტანისამოსში მოგვევლინება ხოლმე) უფრო ხშირათ ეხეჭება გზაში მუშას და უფრო დაყინებით ეკვიატება მას" *). სწორედ ამიტომაა, რომ მუშათა **სტიქიური** მოძრაობა, სანამ ის **სტიქიურია,** სანამ ის სოციალისტურ შეგნებას არ შეერთებია,—ბურჟუაზიულ იდეოლოგიას ემორჩილება და ამ მორჩილებისკენ მიილტვის**). **ეს რომ ასე არ იყვეს, მაშინ მეტი იქნებოდა სოციალ-დემოკრატიული კრიტიკა, სოციალდემოკრატიული პროპაგანდა, მაშინ მეტი იქნებოდა „სოციალიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან“.**

სოციალდემოკრატიას მოვალეობაა **შეებრძოლოს** ამ ლტოლვილებას ბურჟუაზიული იდეოლოგიისკენ და ხელი შეუწყოს მეორე ლტოლვილებას—ლტოლვილებას სოციალიზმისკენ. რა თქმა უნდა, მერე, კარგა ხნის მერე, ბევრი ხეტიალისა და წვალების მერე სოციალდემოკრატიის დაუხმარებლათაც თავისას გაიტანს, სტიქიური მოძრაობა, ის მაინც სოციალურ რევოლიუციას მიადგება კარზე: ვინაიდან, „მუშათა კლასი **სტიქიურათ** მიილტვის „სოციალიზმისკენ“ ***). მარა მანამდე? რა ვაკეთოთ მანამდე? გულ-ხელი დავიკრიფოთ „ეკანომისტებივით“ და ადგილი დაუცალოთ სტრუვეებსა და ზუბატოვებს? უარეყოთ სოციალდემოკრატია და მით ხელი შეუწყოთ ბურჟუაზიულ ტრედიუნიონისტური იდეოლოგიის გაბატონებას? დავივიწყოთ მარქსიზმი და ნუ „შეეაერთებთ სოციალიზმს მუშათა მოძრაობასთან“? Эрфрут. программа К. Кауцкаго 64 გვ. ც. კომ. გამ.

არა! სოციალდემოკრატია პროლეტარიატის მოწინავე რაზმია ****), და მისი ვალია მუდამ წინ უძღოდეს მას, მისი ვალია **მოაშოროს** მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიულ-ტრედიუნიონიზმის გზას და გადაიყვანოს ის რევოლიუციონური სოციალდემოკრატიის დროშისკენ“ *****); სოციალ დემოკრატიის ვალია სოციალისტური შეგნება შეიტანოს მუშათა სტიქიურ მოძრაობაში, ერთმანეთთან შეაერთოს მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი და, ამგვარათ, სოციალდემოკრატიული ხასიათი მისცეს პროლეტარიატის ბრძოლას.

ამბობენ—მუშათა **კლასმა** ზოგიერთ ქვეყნებში მისით შეიმუშავა სოციალისტური იდეოლოგია (მეცნიერული სოციალიზმი) და მისითვე შეიმუშავებს მას დანარჩენ ქვეყნებშიც; ამიტომ სრულებით მეტია სოციალისტური შეგნების შეტანა მუშათა მოძრაობაშიო. მაგრამ ეს

*) „Что дѣлать 29 გვ.

**) იქვე 28 გვ.

***) Что дѣлать 29 გვ.

****) Манифестъ К. Маркса. 15 გვ.

*****) Что дѣлать 28 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმა შეცდომაა. მეცნიერული სოციალიზმი რომ შეამუშაო, ამისათვის საჭიროა წინ მიუძღოდე მეცნიერებას, საჭიროა შეიარაღებული იყვე მეცნიერული ცოდნით და საძირკვლიანათ იკვლევდე კანონებს ისტორიული მოძრაობისა. მუშათა **კლასს**-კი, სანამ ის მუშათა კლასათ დარჩება, არ ძალუძს სათავეში მოექცეს მეცნიერებას, წინ წასწიოს ის და მეცნიერულათ იკვლიოს ისტორიული კანონები: მას ამისთვის არც დრო აქვს და არც საშუალება. მეცნიერული სოციალიზმი „მხოლოდ ღრმა მეცნიერულ ცოდნაზე შეიძლება აშენდეს“... ამბობს კ. კაუცკი—...„მეცნიერების მატარებელი-კი **ბურჟუაზიული ინტელიგენციაა** (კურსივი კ. კაუცკისაა), და არა პროლეტარიატი: სწორეთ ამ ინტელიგენციის ზოგიერთა წევრების თვალში შემუშავდა თანამედროვე სოციალიზმი, რომელიც მერე გადასცეს მათ განვითარებულ პროლეტარებს“... *)

თანახმათ ამისა, ლენინი ამბობს: ყველა იმათ, ვინც თაყვანსა სცემენ მუშათა სტიქიურ მოძრაობას და პირ-ღია შესაკერია მას, დღე-მუდამ ამცირებენ სოციალდემოკრატიის მნიშვნელობას და ადგილს უთმობენ სტრუვე—ზუბატოვებს—ყველა ამათ ისე ჭკონიათ, რომ ეს მოძრაობა მისით შეიმუშავება მეცნიერული სოციალიზმს. „მარა ეს ღრმა შეცდომაა“ **). ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მე-90-ე წლებში პეტერბურგელ გაფიცულ მუშებს, სოციალ-დემოკრატიული შეგნება ჰქონდათო, მარა ესეც შეცდომაა. მათ არ ჰქონდათ ესეთი შეგნება „და არც შეიძლებოდა ჰქონებოდათ. ის (სოციალდემოკრატიული შეგნება) მხოლოდ გარედან შეიძლებოდა შეტანილიყო მათში. ყველა ქვეყნის ისტორია ამტკიცებს, რომ მარტო თავისი ძალ-ღონით მუშათა კლასს შეუძლიან შეამუშაოს მხოლოთ ტრედიუნისტური შეგნება ე. ი. დარწმუნება იმაშია, რომ საჭიროა კავშირების შედგენა, ხაზინებთან ბრძოლა, მოთხოვნა მთავრობისგან ამა თუ იმ სასარგებლო კანონების გამოცემისა და სხვ. მეცნიერული სოციალიზმ-კი აღმოცენდა იმ ფილოსოფიურ, ისტორიულ და ეკონომიურ ტეორიებზე, რომლებსაც ამუშავებდნენ შეძლებულ კლასთა შეგნებული წარმომადგენლები, ე. ი. ინტელიგენცია. თანამედროვე სოციალიზმის დამაარსებელნიც, მარქსი და ენგელსი, თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ეკუთნოდნენ“ ***)... ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, განაგრძობს ლენინი—„რომ, ვითომ, მუშები მონაწილეობას არ ღებულობენ სოციალიზმის შემუშავებაში. ისინი ღებულობენ მონაწილეობას, მარა არა რო-

*) იხ. Что дѣлать 27 გვ., სადაც გადმობეჭდილია ეს სიტყვები კაუცკის ცნობილი წერილიდან. „ნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც მუშები, არამედ როგორც სოციალიზმის ტეორეტიკები, როგორც პროუდონები და ვეიტლინგები (ორივე მუშები იყვნენ), "ერთი სიტყვით, სხვანაირათ რომ ვთქვათ, მონაწილეობას ღებულობენ იმ-დენათ, რამდენათაც მათთვის შესაძლებელი ხდება შეიარაღდნენ თავისი დროის ცოდნით და წინ წასწიონ ეს ცოდნა" *).

ყველა ეს, დაახლოვებით, ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ. არსებობს კაპიტალისტური წესები. არიან მუშები და არიან ხაზეინები. მათ შორის ბრძოლაა ატეხილი. მეცნიერული სოციალიზმი ჯერ არ-სადა სჩანს. მეცნიერული სოციალიზმის ხსენებაც არსად იყო, რომ მუშები იბრძოდნენ... დიახ, იბრძვიან მუშები. მარა ყველა თავთა-ვიანთ ხაზეინებს ებრძვის, ყველა თავ-თავიანთ მთავრობას ეკამათე-ბა: იქ გაფიცვასა მართავენ, აქ მიტინგებზე და დემონსტრაციებზე გასულან, იქ უფლებებსა სთხოვენ მთავრობას, აქ ბოიკოტს აცხადე-ბენ, ერთნი პოლიტიკურ ბრძოლაზე ლაპარაკობენ, მეორენი—ეკონო-მიურზე და სხვა. მარა, ეს კიდევ იმას ირ ნიშნავს, რომ მუშებს სო-ციალდემოკრატიული შეგნება ჰქონდეთ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი კაპიტალისტური წესების დასალეწათ მოძრაობდნენ, რომ ისინი დარწმუნებული იყვნენ კაპიტალიზმის დამხობაში და სოციალისტური წესების გამეფებაში ისევე, როგორც მზის ამოსვლაში არი-ან დარწმუნებულნი, რომ ისინი თავიანთ პოლიტიკურ გაბატონებას (პროლეტარიატის დიქტატურას) აუცილებელ იარაღათ სთვლიდენ სოციალიზმის გამარჯვებისა და სხვა. ამავე დროს ვითარდება მეცნიერება. მუშათა მოძრაობა თანდათან მის ყურადღებას იპყრობს. სწავლულების მეტი წილი იმ აზრს ადგება, რომ მუშათა მოძრაობა—ეს მოუსვენართა ბუნტია, რომელსაც კაი ვათრახი მოუხდებაო. ზოგი კიდევ ასე ფიქრობს, რომ მდიდრების მოვალეობაა თითო-ოროლა გროში არ დაიშურონ ღარიბებისთვინო, ე. ი. მუშათა მოძ-რაობა—ეს გლახაკთა მოძრაობაა, მხოლოდ აოსაში ერთი ერეკა ამ სწავლულებში ისეთი, რომელიც მეცნიერული თვალით უყურებს მუ-შათა მოძრაობას, მეცნიერულათ იკვლევს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, თვალს ადევნებს კლასიურ შეჯახებას, ყურს უგდებს მუ-შათა კლასის დრტვინვას და ბოლოს მეცნიერულათ ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური წეს-წყობილება მუდმივს არაფერს წარმოადგენს, რომ ის ისევე წარმავალია, როგორც ფეოდალური ხანა, რომ მას აუ-ცილებლათ უნდა მოჰყვეს მისი უარყოფელი სოციალისტური წესები, რომელსაც დაამყარებს მხოლოდ პროლეტარიატი სოციალური რე-ვოლიუციის შემწეობით. ერთი სიტყვით, მუშავდება მეცნიერული სო-ციალიზმი. რა თქმა უნდა კაპიტალიზმი და კლასთა ბრძოლა რომ არ-

*) Что дѣлать 27 зз.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილიყო, არც მეცნიერული სოციალიზმი იქნებოდა. მარა, მართალია აგრეთვე ის, რომ მეცნიერული ცოდნა რომ არა ჰქონოდათ იმ ზოგიერთებს, ვთქვათ მარქსსა და ენგელსს,—ვერც მეცნიერულ სოციალიზმს შეიმუშავებდნენ.

რა არის მეცნიერული სოციალიზმი **უმუშათა მოძრაობოთ?**— კომპასი, რომელიც შეიძლება უხმრებლათ დაჟანგდეს და წყალში გადასაგდები გახდეს.

რა არის მუშათა მოძრაობა **უსოციალიზმოთ?**

— უკომპასო გემი, რომელიც ისეც მიატანს მეორე ნაპირს, მარა კომპასი რომ ჰქონდეს, უფრო ჩქარა მიადგება ნაპირს და უფრო ნაკლებ ხიფათს შეხვდება.

შეაერთეთ ორივე,—და მიიღებთ შესანიშნავ გემს, რომელიც სისწორით გაექანება მეორე ნაპირისკენ და უვნებლათ მიახწევ ნავთსადგურს.

შეაერთეთ მუშათა მოძრაობა სოციალიზმთან,—და მიიღებთ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც პირდაპირი გზით გასწევს „აღთქმული ქვეყნისკენ".

და აი, სოციალ-დემოკრატიის (და არა მარტო ინტელიგენტ-სოციალ-დემოკრატების) ვალია შეუერთოს სოციალიზმი მუშათა მოძრაობას, შეიტანოს მოძრაობაში სოციალისტური შეგნება და, ამგვარათ, სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მისცეს მუშათა სტიქიურ მოძრაობას.

ამას ამბობს ლენინი.

ზოგიერთები ამბობენ, რომ ვითომ ლენინისა და „უმრავლესობის" აზრით მუშათა მოძრაობა, თუ მას სოციალისტური იდეოლოგია არ ახლავს, დაღუპვისკენ მიდის, სოციალურ რევოლიუციას ასცდებაო. მარა ეს ჭორია, მოკლილთა ჭორი, რომელიც ანისთანა ძალათ მარქსისტებს თუ მოუვა თავში, (იხ. „რა არის პარტია"? „მოგზაური" № 6).

ლენინი გარკვევით იძახის, რომ „მუშათა კლასი სტიქიურათ მიიღტვის სოციალიზმისაკენო" *), და თუ ამაზე ბევრს არა ლაპარაკობს—ეს მხოლოდ იმასა ნიშნავს, რომ მისი დამტკიცება მეტათ მიაჩნია, რადგანაც ის ისედაც დამტკიცებულია. გარდა ამისა, ლენინის მიზანი სულაც არ იყო **სტიქიური** მოძრაობა გამოეკვლია,—მას მხოლოდ ის უნდოდა დაენახვებია პრაქტიკებისთვის, თუ რა უნდა აკეთონ მათ **შეგნებულათ**.

აი კიდევ რას ამბობს ლენინი ერთ ადგილას, საცა ის მარტოვს ეკამათება. „ჩვენი პარტია **შეგნებული** გამომხატველია შეგნებული პროცესისო". სრული ჭეშმარიტებაა. და სწორეთ ამიტომ არ უნდა ვცდი-

*) Что дѣлать зв. 29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდეთ, რომ „ყველა გაფიცული“ (стачечник) პარტიის წევრია ითვლებოდეს: გაფიცვა რომ **შეგნებული გამოხატულება** იყვეს შეუგნებელი პროცესის, და არა სტიქიური გამოხატულება იმ ძლიერი **კლასიური ინსტიქტისა და კლასიური ბრძოლის, რომელსაც აუცილებლათ სოციალური რევოლიუციისკენ მიჰყავს მუშა ხალხი**... მაშინ ერთი დაკვრით მოუთავებდით საქმეს მთელ ბურჟუაზიულ საზოგადოებას“ *). როგორცა ხედავთ, ლენინის აზრით კლასთა ბრძოლას, კლასთა შეჯახებას, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული ბრძოლა ვერ დაერქმევა, აუცილებლათ სოციალური რევოლიუციისკენ მიჰყავს მუშათა კლასი.

თუ სხვა „მეუმრავლესთა“ აზრიც გაინტერესებთ, მოისმინეთ. აი რას ამბობს პარტიის მეორე კრებაზე ერთი „მეუმრავლესე“ ამხ. გორინი: „როგორ იქნებოდა საქმე, თუ პროლეტარიატი თავის ძალღონეზე იქნებოდა მიშვებული? საქმე იმნაირათვე დატრიალდებოდა, როგორც, მაგალითათ, ბურჟუაზიული რევოლიუციის წინა დღეებში. არავითარი მეცნიერული იდეოლოგია არ ჰქონდათ მაშინ ბურჟუაზიულ რევოლიუციონერებს. მიუხედავათ ამისა ბურჟუაზიული წესწყობილება მაინც დამყარდა. პროლეტარიატი უიდეოლოგებოთ, რა თქმა უნდა, მაინც სოციალური რევოლიუციისკენ გაემართებოდა, მარა ინსტიქტიურად... პროლეტარიატი ინსტიქტიურათ განახორციელებდა სოციალიზმს, მარა არ ექნებოდა სოციალისტური თეორია. პროცესი უფრო ხანგრძლივი და გასაჭირი იქნებოდა... **) ახსნა და განმარტება მეტია.

მაშ ასე. მუშათა **სტიქიური** მოძრაობა, მუშათა მოძრაობა **უსოციალიზმოთ** აუცილებლათ წყრიმალდება და ტრედიუნიონისტურ ხასიათს იღებს—ის ბურჟუაზიულ იდეოლოგიას ემორჩილება. შეიძლება აქედან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ: სოციალიზმი ყველაფერია და მუშათა მოძრაობა—არაფერი? რა თქმა უნდა, არა! ამას მარტო იდეალისტები იტყვიან. ოდესმე, კარგა ხნის მეორე ეკანომიური განვითარება აუცილებლათ მიიყვანს მუშათა კლასს სოციალურ რევოლიუციასთან და, მაშასადამე, ყოველივე კაეშირს შეაწყვეტინებს ბურჟუაზიულ დეოლოგიასთან; საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ეს გზა ძალიან გრძელია და გასაჭირი იქნება.

მეორე მხრივ, სოციალიზმი **უმუშათა მოძრაობოთ**, რაც უნდა მეცნიერულ ნიადაგზე იყვეს ის შემუშავებული,—მაინც ცარიელ ფრაზათ დარჩება და მნიშვნელობას დაჰკარგავს... შეიძლება აქედან ის დასკვნა გიმოვიყვანოთ, რომ: მოძრაობა ყველაფერია და სოციალიზმი—არაფერი? სულაც არა! ესე მარტო ძალათ მარქსისტები ლაპა-

*) „Шаг вперед, два шага назад“. Ленин. 53 გვერდი.

**) Протоколы Партіи, 129 გვერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკობენ, რომელთათვისაც შეგნებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რახან ის ცხოვრებაში იბადება. სოციალიზმი შეიძლება მუშათა მოძრაობას გადაეცეს და მით ცარიელი ფრაზიდან ბასრ იარაღად გადაიქცეს.

დასკვნა? დასკვნა ასეთია, რომ მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი ერთმანეთს უნდა შეუერთდეს, პრაქტიკული მოქმედება და ტეორეტიული აზრი ერთმანეთს უნდა ჩაეკონოს მით მუშათა სტიქიურ მოძრაობას სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მიეცეს: ვინაიდგან „სოციალ-დემოკრატია—ეს მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთებაა“ *). მაშინ სოციალიზმი, მუშათა მოძრაობასთან შეკავშირებული, ცარიელი ფრაზიდან უდიდეს ძალათ გადიქცევა მუშაოა ხელში. მაშინ სტიქიური მოძრაობა სოციალდემოკრატიულათ გადაქცეული, უფრო ჩქარი ნაბიჯით და სწორე გზით გაემართება სოციალისტური წესწყობილებისაკენ.

მაშ რა დანიშნულება აქვს რუსეთის სოციალდემოკრატიას, რა ვაკეთოთ?

ჩვენი, სოციალდემოკრატიის ვალია ტრედიუნიონისტურ გზას ავაშოროთ და სოციალ-დემოკრატიულ გზაზე შევაყენოთ მუშათა სტიქიური მოძრაობა, ჩვენი ვალია სოციალისტური შეგნება **) შევიტანოთ ამ მოძრაობაში და შევაერთოთ მუშათა მოწინავე ძალები ერთ ცენტრალისტურ პარტიათ, ჩვენი ვალია მუდამ წინ ვუძღოდეთ მოძრაობას და დაუღალავათ ვებრძოლოთ ყველას, მტერი იქნება ეს თუ „მოყვარე“, ვინც-კი ხელს შეგვიშლის ჩვენი წმინდა მიზნის განხორციელებაში...

ასეთია საზოგადო პოზიცია „უმრავლესობისა“.

ჩვენ „უმცირესობას“ არ მოსწონს „უმრავლესობის“ პოზიცია: ეს არა „მარქსისტული“ პოზიცია, „ძირიანათ ეწინააღმდეგობა“ მარქსიზმსო! მართლა, ღირსეულნო? მეტე სად, როდის, რომელ პლანეტაზე? ბა წაიკითხეთ ჩვენი ნაწერები, თუ ტყუილიაო. კეთილი, წაიკითხოთ.

ჩვენს წინა ძევს „რა არის პარტია“ (იხ. „მოგზაური“ № 6). რაში ამტყუნებს „კრიტიკოსი“ ანი „პარტიულ უმრავლესობას“. ისინი („უმრავლესობა“)... თავის თავს პარტიის უფროსათ აცხადებენ... და თხოულობენ სხვების მორჩილებას... და რომ ეს თავისი ქცევა გაამართლონ, ხშირათ ახალ თეორიებსაც იგონებენ, როგორც მაგ. მუშა ხალხი თავისი ძალღონით ვერ **შეითვისებს** (კურსივი ჩემია) მაღალ იდეალებსო“ და სხვ. ***). ახლა ვიკითხოთ, აქვს სადმე, ან ჰქონია

*) Эрфуртск. программа 94 გვ. (ს. კომიტ. გამოცემა).

**) რომელიც მარქსა და ენგელსმა შეიმუშავეს.

***) „მოგზაური“ № 6, 71 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდისმე „უმრავლესობას“ ეს „თეორიები“? არსად, არასრულს! პირიქით, უმრავლესობის შეგნებული წარმომადგენელი ამბ. ლენინი, ძალიან გარკვევით ლაპარაკობს, რომ მუშა ხალხი ძალიან ადვილათ **ითვისებს** „მაღალ იდეალებს“, ის ძალიან ადვილათ **ითვისებს** სოციალიზმსო. ყური დაუგდეთ: „ხშირათ ამბობენ, რომ მუშათა კლასი **სტაქიურათ** მიილტვის სოციალიზმისკენო. ეს სრული ჭეშმარიტებაა, თუ ასე გავიგებთ ამ აზრს, რომ სოციალისტური თეორია ყველაზე ღრმათ და სისწორით არკვევს მუშათა სიღარიბის მიზეზებს, რის გამოც **მუშები ასე ადვილათ ითვისებენ ამ (სოციალისტურ) თეორიას“!** *) როგორცა ხედავთ „უმრავლესობის“ აზრით, მუშები ადვილათ ითვისებენ იმ „მაღალ იდეალებს“, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

მაშ რას ახირებულა ანი, საიდან გამოატყვრინა ეს უცნაური „აღმოჩენა“? საქმე იმაშია, მკითხველო, რომ „კრიტიკოს“ ანს სრულიათ სხვა რამე ჰქონდა სახეში,—მას უნდოდა “Что дѣлать“-ის იმ ადგილს შეხებოდა, საცა ლენინი სოციალიზმის **შემუშავებაზე** ლაპარაკობს, საცა ის ამბობს, რომ მუშათა კლასი თავისი ძალღონით **ვერ შეიმუშავებს** მეცნიერულ სოციალიზმსო **). მერე საიდან სადაო—იტყვით თქვენ. სად სოციალიზმის **შემუშავება** და სად მისი **შეთვისება**? ან რატომ დაავიწყდა ანს ლენინის ის სიტყვები, საცა ის ახე გარკვევით ლაპარაკობს „მაღალი იდეალების“ **შეთვისებაზე**? მართალს ამბობთ, მკითხველო, მარა მაშ რა ქნას ანმა, თუ „კრიტიკოსობა“ უნდა? ძაან საგმირო საქმე კია, თუ თქვენც იტყვით; შეადგინო შენი საკუთარი „თეორია“ და მერე შენსავე ფანტაზიას შენვე ყუმბარები დაუშინო! კრიტიკაც ამასა ჰქვიან! ყოველ შემთხვევაში ეჭვს გარეშეა, რომ ანს „თავისი ძალ-ღონ̄ით ვერ შეუთვისებია“ ლენინის წიგნი: Что дѣлать:

გადავშალოთ ახლა ეგრეთ წოდებული „სოციალ-დემოკრიტი“. რას ამბობს „უმრავლესობისა და უმცირესობის“ ავტორი (იხ. „სოც. დემოკ.“ № 1)?

ის დიდი ფაფი-ფუფხით უკიჟინებს ლანინს, რომ მისი აზრი მუშათა ბუნებრივი (უნდა იყვეს: სტაქიური) განვითარება მიდის არა სოციალიზმისაკენ, არამედ ბურჟუაზიული იდეოლოგიისკენ“... ***) როგორცა სჩანს, ავტორს არ ესმის, რომ მუშათა **სტაქიური** მოძრაობა —ეს უსოციალიზმოთ მოძრაობაა (დაამტკიცოს ავტორმა; რომ ეს ასე არაა); **ასეთი** მოძრაობა-კი უეჭველათ ბურჟუაზიულ-ტრედიუნიონისტურ იდეოლოგიას ემორჩილება და აქეთ მიილტვის ის; რადგანაც

*) Что дѣлать 29 გვ.

**) Что дѣлать 20—21 გვერდი.

***) „სოც.-დემოკრატი“ № 1. 14 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს დროში მხოლოთ ორგვარი იდეოლოგია შეიძლება არსებობდეს, სოციალისტური და ბურჟუაზიული, და საცა პირველი არაა, იქ უეჭველათ მეორე ჩნდება და მის ადგილს იჭერს (დაამტკიცეთ წინააღმდეგი!) დიახ ამას ამბობს ლენინი. მარა ამავე დროს მას არ ავიწყდება მოძრაობის მეორე ლტოლვილება—სოციალიზმისკენ ლტოლვილება, რომელიც მხოლოთ დრომდე იჩრდილება ბურჟუაზიული იდეოლოგიისკენ ლტოლვილებით. ის ხელაღებით ამბობს, რომ „მუშათა კლასი სტეჭიერათ ჰიღლტვის სოციალიზმისკენ“ *) და სამართლიანათ აღნიშნავს, რომ სოციალდემოკრატიის ვალია დააჩქაროს **ამ** ლტოლვილების გამარჯვება, სხვათა შორის „ეკანომისტებთან“ ბრძოლით. რატომ ეს ადგილი-კი არ მოიყვანეთ თქვენს სტატიაში პატივცემული „კრიტიკოსო“, განა ესეც ლენინის სიტყვები არ არი? არ გიჯობდათ, განა?

„ლენინის აზრით... მუშა თავის **მდგომარეობით** (კურსივი ჩემია) ბურჟუა უფროა, ვინმე სოციალისტიო“ **)... გინაგრძობს ავტორი. აი სისულელე, რომელსაც ავტორისაგანაც-კი არ ველოდი. განა ლენინს მუშათა **მდგომარეობაზე** აქვს ლაპარაკი, გინა ის ამას იძახის, რომ მუშა თავისი **მდგომარეობით** ბურჟუა უფროაო? რომელი სულელი იტყვის,რომ მუშა თავისი **მდგომარეობით** ბურჟუაა, ის მუშა, რომელიც მოკლებულია საწარმოვო იარაღებს და მუშა ძალის გაყიდვითა ცხოვრობს!? არა! ლენინი სულ სხვა რამეს ამბობს. საქმე იმაშია, რომ მე შეიძლება **მდგომარეობით** ბურჟუა არ ვიყვე, მარა ჩემი **მდგომარეობა** შეგნებული არ მქონდეს და ამიტომ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას ვემორჩილებოდე. სწორეთ ასეა მუშათა კლასის საქმეც. ეს-კი სულ სხვა რამესა ნიშნავს.

საერთოთ, ავტორს სიტყვების სხარტათ წამოსროლა უყვარს, იტყვის და აღარ გაზომავს! აი, მაგალითათ, ავტორი ახირებულა, რომ „ლენინიზმი ძირიანად ეწინააღმდეგება მარქსიზმსო“ ***), ახირებულა და არ ესმის, თუ საღამდე მიიყვანს მას ეს „აზრი“. დავუჯეროთ ერთ წამს, რომ ლენინიზმი მართლა „ძირიანათ ეწინააღმდეგება მარქსიზმს“. მერე რა გამოვა აქედან? აი რა. „ისკრა“ (ძველი „ისკრა“) „ლენინიზმმა გაიტაცა“ (ამას არც ავტორი ჰყოფს უარს) —ამასადამე, „ისკრაც“ „ძირიანათ ეწინააღმდეგება მარქსიზმს“. პარტიის მეორე კრებამ ცენტრალურ ორგანოთ მიიღო „ისკრა“ ვინ ბმის უმეტესობით და დიდი ქება შეასხა მას ****). მაშასადამე, ეს კრე-

*) Что дѣлать 29 გვ.

**) „სოც.-დემ.“ № 1 14 გვ.

***) „სოც.-დემ. № 1 15 გ.

****) იხ. Протоколы Партіи, 147 გვ. იქვეა რეზოლიუცია, საცა „ისკრას“ ნამდვილ დამცველს უწოდებენ სოციალ-დემოკრატიზის პრინციპებისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაც „ძირიანათ ეწინააღმდეგება მარქსიზმს“, მისი პროგრამაც, მისი ტაქტიკაც,.. სასაცილოა არა, მკითხველო?

ავტორი მაინც განაგრძობს: „ლენინის აზრით მუშათა სტიქიური მოძრაობა მიდის ბურჟუაზიასთან შეერთებისკენ“... დიახ, დიახ ავტორი სისულელესთან შეერთებისკენ მიდის და კარგი იქნებოდა, რომ ამ გზას აუხვევდეს. მარა გავანებოთ თავი „კრიტიკოსს“. გადავხედოთ მარქსიზმს.

პატივცემული „კრიტიკოსი“ ახერებულა, რომ „უმრავლესობის“ და მისი წარმომადგენელი ლენინის პოზიცია ძირიანათ ეწინააღმდეგება მარქსიზმს: კაუცკიც, მარქსიც და ენგელსიც წინააღმდეგს ლაპარაკობენო! მართლა? ვნახოთ ახა!

„კ. კაუცკი—გვეუბნება ავტორი—თავის „ერფურტის პროგრამაში“ სწერს: პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესები იმდენათ ეწინააღმდეგება ერთი მეორეს, რომ შეუძლებელია ორივე კლასის მიდრეკილება დიდი ხნით შეერთდეს. ყოვილგან, სადაც კაპიტალისტური წარმოება დამკვიდრდა, მუშათა კლასის მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, **ადრე თუ გვიან** მიიყვანს იქამდე, დააარსებს დამოუკიდებელ **მუშათა პარტიას**“.. მერე, რა გამოდის აქედან? მხოლოდ ის, რომ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რომ „ადრე თუ გვიან“ პროლეტარიატი გამოეყოფა ბურჟუაზიას ცალკე **მუშათა პარტიათ.** (დაიხსომეთ, **მუშათა პარტიათ** და არა **სოციალდემოკრატიულ** მუშათა პარტიათ) ავტორსა ჰგონია, რომ კაუცკი ლენინს ეწინააღმდეგებაო! ლენინ-კი ამბობს **ადრე თუ გვიან** არამც თუ გამოეყოფა ბურჟუაზიას, არამედ სოციალურ რეფორიუციასაც-კი მოახდენს, ე. ი. ძირს დასცემს ბურჟუაზიასო *). სოციალდემოკრატიის ვალია—დასძენს ის,—ეცადოს, რომ რაც შეიძლება **ადრე** მოხდეს ეს მოვლენა და **შეგნებულათ** მოხდეს. დიახ, **შეგნებულათ** და არა სტიქიურათ, რადგანაც სწორეთ ამ შეგნებაზე აქვს ლენინს ლაპარაკი.

...„სადაც საქმე მუშათა პარტიის დაარსებამდე მივიდა—განაგრძობს კაუცკის წიგნიდან ამოწერილს ჩვენი „კრიტიკოსი“—უკანასკნელი ადრე თუ გვიან ბუნებრივი აუცილებლობით **შეითვისებს** სოციალისტურ მიდრეკილებებს, თუ-კი ამით თავიდანვე არ სულდგმულობს, იძულებული იქნება **სოციალისტურ** მუშათა პარტიით იქცეს, ე. ი. **სოციალ-დემოკრატიათ**“ **). რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ მუშათა პარტია **შეითვისებს** სოციალისტურ მიდრეკილებებსო. მერე, ეწინააღმდეგება ამას ლენინი? არასოდეს! ლენინი პირდაპირ ამბობს, რომ მარტო მუშა პარტია-კი არა, მთელი „მუშათა

*) Ленинъ. Шагъ Впередъ. 53 გვ.

**) სოც.-დემ. № 1, 15 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასი ითვისებს სოციალიზმსო“ *) მაშ, რას მიედ-მოედება ეს „სოციალ-დემოკრატი“ და მისი ᲐᲘᲠᲘᲐᲜᲐ გმირი? რატომ ასე აბდა უბდა ლაპარაკობენ? ვერა თქვი მაგის ადგილსაო, რომ იტყვიან ხოლმე, სწორეთ ის მოსდის გზა აბნეულ ავტორს...

როგორც ხედავთ კ. კაუცკი იოტის ოდენასაც არაფერს ამბობს ლენინის წინააღმდეგ. სამაგიეროთ, შესანიშნავი სისწორით ამტკიცებს ავტორის გაუგებრობას.

ამბობს რამეს კ. კაუცკი „უმრავლესობის“ პოზიციის სასარგებლოთ? აი რასა სწერს იმ ერთ თავის შესანიშნავ წერილში, სადაც ის ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამის პროექტს არჩევს:

„ზოგიერთა რევიზიონისტულ კრიტიკოსებს (ბერნშტეინის მიმდევრებია) ჰგონიათ, რომ, ვითომ მარქსის აზრით, ეკანომიურათ განვითარება და კლასთა ბრძოლა ᲩᲥᲛᲜᲘ არა მარტო პირობებს სოციალისტური წარმოებისა, არამედ თავისთავად ბადებს მისი აუცილებლობის **შეგნებასაც** (კურსივი კაუცკისაა). და აი, ეს კრიტიკოსები გაიძახიან, რომ ინგლისში უმაღლეს საფეხურამდეა ასული კაპიტალისტური წარმოება და ასეთი შეგნება-კი ᲯᲔᲠᲐᲪ არ არის იქაო. (ავსტრიის) პროგრამის პროექტს თუ გავყვებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კომისიაც (რომელმაც ეს პროექტი შეიმუშავა) ამ აზრისაა. პროექტში ვკითხულობთ: „რაც უფრო ამრავლებს პროლეტარიატს კაპიტალისტური განვითარება, მით უფრო იძულებული ხდება და საშვალებას პოულობს პროლეტარიატი კაპიტალიზმს ებრძოლოს. პროლეტარიატი **იგნებს** „სოციალიზმის აუცილებლობას და შესაძლებლობასო, თუ ასე შეეხედავთ საკმეს, მაშინ სოციალისტური შეგნება აუცილებელი და პირდაპირი შედეგი იქნებოდა პროლეტარული კლასთა ბრძოლის. ეს-კი **სიმართლე არ არის**... თანამედროვე სოციალისტური შეგნება შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ **ღრმა მეცნიერულ ცოდნაზე**... მეცნიერების მატარებელი-კი **ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲐᲐ** (კურსივი კაუცკისაა), და არა პროლეტარიატი. ამ ინტელიგენციის ზოგიერთა წევრების თავში **ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ** თანამედროვე სოციალიზმი და ამათვე გადასცეს ის (მეცნიერული სოციალიზმი) გონება-განვითარებულ პროლეტარებს, რომლებსაც შემდეგ შეაქვთ იგი პროლეტარიატის კლასთა ბრძოლაში... ცხადია, სოციალისტური შეგნება **ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲜᲐᲐ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ** პროლეტარიატის კლასთა ბრძოლაში, და **ᲐᲠᲐ ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲦᲛᲝᲪᲘᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ**. თანახმად ამისა ძველი გაინფელდის პროგრამა სრულიად სამართლიანიათ ამბობდა, რომ სოციალ-დემოკრატიის მიზანია **ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲨᲘ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲐ** მისი მდგომარეობისა და მოწოდებისა“ **)...

*) Что делать 29 გვ.

**) ნოიე ცეიტ, 1901—1902, XX; № 3, 97 გვ. ეს შესანიშნავი წერილი კ. კაუცკისა გადმობეჭდილია ლენინის, Что делать-ში იხ. 27 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გაგონდებათ, მკითხველო, ლენინის ცნობილი აზრები, რომ გაგონდებათ „ულრავლესობის“ ცნობილი პოზიცია? რატომ დაიფარა ხელი სიმართლეს „ტფილისის კომეტეტმა“ და მისმა „სოციალ-დემოკრატმა“, რატომ არ მოიყვანა ეს სიტყვები პატივცემულმა „კრიტიკოსმა“ თავის წერილში, როცა კაუკაზზე ლაპარაკობდა, ვის ატყუებენ ეს ღირსეულნი, რატომ ასე „აბუჩად იღებენ“ მკითხველს? იმიტომ, რომ... სიმართლისა ეშინიანთ; სიმართლეს ემალებიან და ჭგონიათ, რომ სიმართლეც დაიმალება. ესენი იმ ფრინველს ეგავანენ, რომელიც თავს ფრთებში ამოიყოფს ხოლმე და ჭგონია, რომ ვეღარც სხვა მხედავსო! მაგრამ სცდებიან ისევე, როგორც ის ფრინველი.

თუ სოციალისტური შეგნება მეცნიერების ნიადაგზე შემუშავდა, თუ ეს შეგნება სოციალ-დემოკრატიის *) მაკადონეობთან, გარედან შედის მუშათა მოძრაობაში,—ცხადია, ყველა ეს იმიტომ ხდება, რომ მუშათა კლასს, სანამ ის მუშათა კლასათ დარჩება, არ ძალუძს სათავეში ჩაუდგეს მეცნიერებას და საკუთარი ძალღონით შეამუშაოს მეცნიერული სოციალიზმი: მას ამისთვის არც დრო აქვს და არც საშვალება. აი რას ამბობს თავის „ერფურტის პროგრამაში“ კ. კაუცკი: ...„უკეთეს შემთხვევაში, პროლეტარს შეუძლია შეითვისოს და საჭიროებისთვის გამოიყენოს ნაწილი იმ ცოდნის, რომელიც ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა შეიმუშავეს, მარა მანამ ის პროლეტარათ დარჩება, მას არა აქვს არც დრო და არც საშვალება, რომ დამოუკიდებლათ განავითაროს მეცნიერება და გადააცილოს იმ საზღვარს, სადამდისაც ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა განავითარეს. სწორეთ ამიტომაა, რომ მუშის საკუთარ სოციალიზმს უტოპიზმის ყველა ნიშნობლივი თვისებები უნდა ჰქონოდა“. **) (უტოპოზმი—შემცდარი და არა მეცნიერული მოძღვრებაა).

ამგვარი უტოპიური სოციალიზმი ხშირათ ანარხიულ ხასიათს იღებსო—განაგრძობს კაუცკი,—ხოლო „...ჩვენ ვიცით, რომ ყველგან, საცა კი ეს ანარხიული მოძრაობა (ე. ი. პროლეტარული უტოპიზმი, კ. კაუკკი.) ფეხს იკიდებდა მასსაში და კლასიურ ხასიათს იღებდა—ადრე თუ გვიან, **ვიწრო პროფესიონალურ მოძრაობათ** გადადიოდა, მიუხედავათ მისი გარეგანი რადიკალიზმისა“ ***).

ესე იგი, თუ მუშათა მოძრაობა მეცნიერულ სოციალიზმთან არაა შეერთებული, ის აუცილებლათ წვრიმალდება, „ვიწრო პროფესიონალურ“ ხასიათს იღებს და, მაშასადამე, ტრედიუნიონისტურ იდეოლოგიას ეშორჩილებაო.

*) და არა მარტო სოციალდემოკრატი ინტელიგენტების მაკადონეობით.

**) Эрфуртская программа. 93 გვ. გამოცემა ცენტრ. კომიტეტისა.

***) Эрфуртская программа 93—94 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეს მუშების დამცირებაა, ეს ინტელიგენციის გამეფებაა*! გაჭ-ვივის ჩვენი „კრიტიკოსი“ და მისი „სოციალდემოკრატი“... საწყალი „კრიტიკოსი“, პროლეტარიატი იმათ უხასიათო „ბარიშნა“ ჰგონიათ, რომელსაც სიმართლეს ვერ ეტყვი, რომელსაც მუდამ კომპლიმენტებს უნდა ეუბნებოდე, რომ არ გაგიქცეს! არა ღირსეულნო! ჩვენ გვწამს, რომ პროლეტარიატი მეტ სიმტკიცეს გამოიჩენს, ვიდრე თქვენ გგონიათ. ჩვენ გვწამს, რომ ის სიმართლეს არ დაეშალება! თქვენ აბა რა უნდა გი-თხრათ: აი ეხლაც დაეშალეთ სიმართლეს და მკითხველს არ შეატყო-ბინეთ თქვენს წერილში კაუცკის ნამდვილი შეხედულობა...

ამ გვარათ, მეცნიერული სოციალიზმი **უმუშათა მოძრაობოთ**— უმნიშვნელო სიტყვებია, რომელიც ყოველთვის შეგიძლიან ქარს გა-ატანო.

მეორე მხრივ, მუშათა მოძრაობა **უსოციალიზმოთ**—ტრედიუნიო-ნისტური ხეტიალია, რომელიც ოდესმე, რა თქმა უნდა, სოციალურ რევოლიუციასთან მიგიყვანს, მარა დიდი წვალებით და გაჭირვებით.

დასკვნა?—„მუშათა მოძრაობა უნდა შეეერთდეს სოციალიზმს“: „სოციალ-დემოკრატია—ეს მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთება“ *).

ამას ამბობს კაუცკი, მარქსიზმის ტეორეტიკი.

ჩვენ ვნახეთ, რომ ამასვე ამბობს (ძველი) „ისკრა“ და „უმრავ-ლესობა“. ჩვენ ვნახეთ, რომ ამავე გზას ადგია ამბ. ლენინი.

მაშ ასე. „უმრავლესობა“ მტკიცეთ ადგია მარქსიზმის გზას.

ცხადია, რომ ეს „მუშების აბეჩათ აღება“, „ინტელიგენციის გა-ბატონება“, „უმრავლესობის არა მარქსისტობა“ და სხვა ამისთანა მარგალიტები—სიტყვების რახა-რუხია, ტფილისის „უმცირესობის“ ფანტაზიაა და მეტი არაფერი.

პირიქით, ჩვენ დავინახავთ, რომ „მარქსიზმს მართლა ძირიანათ ეწინააღმდეგება“ თვითონ ტფილისის „უმცირესობა“, ტფილისის „კომიტეტი“ და მისი „სოციალ-დემოკრატი“. მარა ეს მერე. ჯერ-კი ყურადღება მივაქციოთ შემდეგს.

თავისი აზრის გასათერებლათ „უმრავლესობის და უმცირესო-ბის“ ავტორს მარქსის (?) სიტყვები მოჰყავს: „რომელიმე კლასის თეორეტიკი თეორიულათ მიდის იმ დასკვნამდის, **რომლისაკენაც თვითონ კლასი უკვე მივიდა პრაქტიკულათო**“ **).

ორში ერთი. ან ქართული არ იცის ავტორმა, ან და მბეჭდა-ვის შეცდომაა: არც ერთი ქართველი არ იტყვის—„რომლი**სკენაც** უკვე მივიდაო“; უნდა იყვეს: ან „რომელ**თანაც** უკვე მივიდა“, ან და

*) Эрфрутская программа 94 გვერდი.

**) „სოციალ-დემოკრატი“ № 1. 15 გვერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რომლისკენაც უკვე **წავიდა**". თუ ავტორს უკანასკნელი გამოთქმა აქვს სახეში (რომლისკენაც უკვე წავიდა), უნდა შეეამჩნიო, რომ მას სწორეთ არ გადმოუღია მარქსის სიტყვები, მარქსი ესეთს არაფერს ამბობს. ხოლო თუ ავტორს პირველი გამოთქმა აქვს სახეში, მაშინ მისგან მოყვანილი წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: „რომელიმე კლასის თეორეთიკი თეორეტიულათ მიდის იმ დასკვნამდის, **რომელთანაც** თვითონ კლასი **უკვე მივიდა პრაქტიკულათ**".

ე. ი. თუ მარქსი და ენგელსი ტეორეტიულათ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კაპიტალიზმი უნდა დაინგრეს და სოციალიზმი აშენდეს,—ეს იმასა ნიშნავს, რომ პროლეტარიატმა **უკვე** უარჰყო **პრაქტიკულათ** კაპიტალიზმი, უკვე დალეწა კაპიტალიზმი და ააშენა მის ადგილზე სოციალისტური ცხოვრება!

საწყალი მარქსი! ვინ იცის კიდევ რამდენ სისულელეს მიაწერენ ჩვენი ძალათ-მარქსისტები! მართლა ასე ლაპარაკობს მარქსი? აი რას ამბობს ის: წვრილი ბურჟუების ტეორეტიული წარმომადგენლები **„ტეორეტიულათ მიდიან იმ დასკვნამდე, რომლისკენაც პრაქტიკულათ მიდის წვრილი ბურჟუა,** ამოძრავებული მისი მატერიალური ინტერესებით და საზოგადოებრივი მდგომარეობით. ასეთია საერთოთ ის განწყობილება, რომელიც არსებობს კლასსა და მის პოლიტიკურ და ლიტერატურულ წარმომადგენლებ შორის" *).

როგორცა ხედამთ, მარქსი სულაც არ ამბობს—**„უკვე მივიდაო"**. ეს ფილოსოფიური სიტყვები პატივცემული ავტორისაგანაა ჩამატებული.

ამ შემთხვევაში-კი სრულიათ სხვა აზრი ეძლევა მარქსის სიტყვებს.

რა აზრია გატარებული მარქსის წინადადებაში? მხოლოთ ის, რომ ამა თუ იმ კლასის ტეორეტიკი **ვერ შეჰქმნის** ისეთ იდეალს, რომლის ელემენტებიც ცხოვრებაში არ არსებობს, რომ მას შეუძლიან **მხოლოთ შეამჩნიოს** მომავალი ცხოვრების ელემენტები და ამ ნიადაგზე ტეორეტიულათ **ააშენოს** ის იდეალი, რომლისკენაც პრაკტიკულათ მიდის ესა თუ ის კლასი. გარჩევა იმაშია, რომ ტეორეტიკი კლასს ასწრებს და იმაზე ადრე ამჩნევს მომავალი ცხოვრების შთანაჩენს. ამასა ჰქვიან „ტეორეტიულათ მისვლა", აი რასა ამბობენ მარქსი და ენგელსი თავიანთ „მანიფესტში": „პრაკტიკაში კომუნისტები (ე. ი. სოციალ-დემოკრატები) წარმოადგენენ ყველაზე უშიშარს და ყველაზე **წინ მიმავალ** ნაწილს ყველა ქვეყნის მუშათა პარტიებისა, ხოლო ტეორეტიულათ ის უპირატესობა აქვთ დანარჩენ პრო-

*) თუ 18 "Брюмера" არ გშო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეტარებთან შედარებით, რომ **მათ ესმით** (они понимаютъ) პიროვნები, მსვლელობა და **საერთო** დასკვნები მუშათა მოძრაობისა".

დიახ, იდეოლოგები „**წინ მიდიან**", ისინი უფრო შორს იხედებიან, ვიდრე „დანარჩენი პროლეტარები", და საქმე სულ იმაშია. იდეოლოგები წინ მიდიან, და სწორედ ამიტომაა, რომ იდეას, სოციალისტურ შეგნებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოძრაობისათვის.

ამას უკიჟინებთ „უმრავლესობას" „ღირსეულო კრიტიკოსო?" მაშ გამოემშვიდობეთ მარქსიზმს და იცოდეთ, რომ „უმრავლესობას" თავი მოსწონს თავისი მარქსისტული პოზიციით...

„უმრავლესობის" მდგომარეობა ძალიან გვაგონებს ენგელსის მდგომარეობას მეოთხმოცდაათე წლებში.

იდეა ცხოვრების დასაბამიაო—იძახდნენ იდალისტები. მათი აზრით, საზოგადოების შეგნება ის საძირკველია, რომელზედაც შენდება საზოგადოების ცხოვრება. ამიტომ ერქვა იმათ იდეალისტები.

საჭირო იყო დამტკიცებულიყო, რომ იდეია ზეციდან არ ვარდება, რომ ის ცხოვრების ღვიძლი შვილია.

გამოვიდნენ სარბიელზე მარქსი და ენგელსი და შესანიშნავათ შეასრულეს ეს როლი. ცხოვრება იდეის დასაბამია, ამიტომ საზოგადოების ცხოვრება ის საძირკველია, რომელზედაც შენდება საზოგადოების შეგნებაო—იძახდნენ ისინი. ამით მათ სამარე გაუთხარეს იდეალიზმს და გზა გაუკაფეს მატერიალიზმს.

ზოგიერთმა ნახევრათ მარქსისტებმა ეს ისე გაიგეს, რომ იდეიას, შეგნებას ძალიან მცირე მნიშვნელობა ჰქონია ცხოვრებაშიო.

საჭირო იყო დამტკიცებულიყო იდეის დიდი მნიშვნელობა.

და აი, გამოვიდა ენგელსი და თავის წერილებში (1891—94 წლ.) სთქვა, რომ მართალია იდეია ზეციდან არ ვარდება, ის ცხოვრების ღვიძლი შვილია, მარა რაკი ერთხელ დაიბადება, მას დიდი მნიშვნელობა აქვს, ის თავს უყრის ხალხს, აერთებს მათ და თავის დაღს ასვამს მშობელ ცხოვრებას,—იდეიას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ მოძრაობაშიო.

ეს მარქსიზმი არ არის, ეს მარქსიზმის ღალატიაო"! დაიძახა ბერნშტეინმა და სხვა ამისთანებმა. მარქსისტებს ეცინებოდათ...

იყვნენ რუსეთში ნახევრათ მარქსისტი—ეკანომისტები". ისინი იძახდნენ, რომ რაზან იდეია ცხოვრებაში იბადება, ამიტომ სოციალისტურ შეგნებას მცირე მნიშვნელობა აქვს მუშათა მოძრაობისთვისო.

საჭირო იყო დამტკიცებულიყო, რომ სოციალისტურ შეგნებას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა მოძრაობისთვის, რომ უამისოთ მოძრაობა ტრედ-იუნიონისტური ხეტიალია, რომელსაც ოდესმე თუ დაახწევს თავს პროლეტარიატი და სოციალურ რევოლიუციას მიადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი გამოიცა „ისკრა“, რომელმაც შესანიშნავათ შეასრულა ეს როლი, დაიბეჭდა „Что дѣлать“-ი, საცა ლენინი ხაზს უსვამს სოციალისტური შეგნების დიად მნიშვნელობას. შედგა პარტიული უმრავლესობა“, რომელიც მტკიცეთ დაადგა ამ გზას.

გამოსულა პაწაწა ბერნშტეინები და გაიძახიან: ეს „ძირიანათ ეწინააღმდეგება მარქსიზმსო“! მერე, იცით რა არის მარქსიზმი, პაწია „ეკონომისტებო“?..

— —

საკვირველია!—იტყვის მკითხველი. რაშია საქმე? გვკითხამს ის. მაშ რატომ დასწერა პლეხანოვმა თავისი კრიტიკული წერილი (იხ.ახალი „ისკრა“ №№ 70—71)? მაშ რათა ჭიკცხავს ის „უმრავლესობას“? განა ტფილისელი ძალათ-მარქსისტები და მათი „სოციალ-დემოკრატი“ პლეხანოვის აზრებს არ იმეორებენ? დიახ, იმეორებენ, თუმცა ისე ტლანქათ, რომ შეგეზარებათ. დიახ, პლეხანოვმა დასწერა კრიტიკა. მარა იცით რაშია საქმე? პლეხანოვი ეთანხმება „უმრავლესობასა“ და ლენინს. და არა მარტო პლეხანოვი, არამედ მარტოვიც, ზასულიჩიც, აქსელროდიც. დიახ იმ კითხვაში, რომელზედაც ჩვენა გვქონდა ლაპარაკი, „უმცირესობის“ ბელადები ეთანხმებიან ძველ „ისკრას“. ძველი „ისკრა“ კი უმრავლესობის“ დროშაა. ნუ გაიკვირვებთ! აი ფაქტები.

ჩვენ ვიცნობთ ძველი „ისკრის“ საპროგრამო წერილს (იხილეთ ზემოთ). ჩვენ ვიცით, რომ ამ წერილში სავსებით გამოიხატა „უმრავლესობის“ პოზიცია. ვის ეკუთვნის ეს წერილი? „ისკრის“ მაშინდელ რედაქციას. ვინ შედიოდა ამ რედაქციაში? ლენინი, პლეხანოვი, აქსელროდი, მარტოვი, ზასულიჩი და სტაროვერი. ამათში დღეს მარტო ლენინი მუშაობს „უმრავლესობაში“, დანარჩენი ხუთი „უმცირესობას“ ხელმძღვანელობს, მარა ფაქტი მაინც ფაქტია. „ისკრის“ საპროგრამო წერილი მათი რედაქციის ქვეშაა გამოსული და, მაშასადამე, ისინი არ უნდა ღალატობდნენ თავიანთ სიტყვას, მათ ალბათ სწამდათ მათივე ნათქვამი.

მარა თავი დავანებოთ, თუ გინდათ, „ისკრას“. აი რასა სწერს მარტოვი: „ამ გვარათ, სოციალიზმის იდეია ყველაზე პირველათ მუშათა თავში კი არ შემუშავდა, არამედ სწავლულთა კაბინეტში, რომლებიც ბურჟუაზიული წრიდან იყვნენ გამოსულები“ *).

ვერა ზასულიჩი სწერს: „მთელი პროლეტარიატის კლასიური ერთობის იდეაც კი არ არის ისეთი, უბრალო რამე, რომ თავისთავათ იბადებოდეს ყველა მუშის თავში... სოციალიზმი ხომ... სულაც არ იბადება თავისთავათ მუშების თავში. სოციალისტური ტეორია შემუშავდა ცხოვრებისა და მეცნიერების ხანგრძლივმა განვითარებამ...

*) Красное знамя Мартова. 5 ვვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შექმნა ამ მეცნიერებით შეიარაღებულმა გენიოსმა. მუშათა მორის სოციალიზმის გავრცელებაც, თითქმის მთელ ევროპაში, სოციალისტებმა დაიწყეს, უმაღლეს სასწავლებელში რომ ქონდათ მიღებული სწავლა-განათლება" *).

ყური დაუგდოთ ახლა პლეხანოვს, რომელმაც ისეთი ამბითა და ზეიმით გამოილაშქრა ახალ „ისკრაში" №№ 70—71) ლენინის წინააღმდეგ. საქმე პარტიის მეორე კრებაზე სწარმოებს. პლეხანოვი ეკამათება მარტინოვს და იცავს ლენინს. ის საყვედურს ეუბნება მარტინოვს, რომელიც ლენინის წიგნის ერთ ადგილს ჩაბღაუჭებია და მთელ წიგნს კი ყურადღებას არ აქცევს,—და განაგრძობს: „მარტინოვის საქციელი ერთ ცენზორს მაგონებს, რომელსაც თურმე უთქვამს: მომეცით „მამამ ჩვენო", ნება დამრთეთ ერთი ადგილი ამოგლეჯო იქიდან და მე დაკამტკიცებ, რომ მისი შემდგენი დასახრჩობიაო. მარა მარტინოვისა და სხვა ამხანაგების საყვედური ამ (ლენინის) ფრაზის გამო გაუგებრობაზეა აშენებული. ამხ. მარტინოვს ენგელსის სიტყვები მოყავს: „თანამედროვე სოციალიზმი ტეორეტიული გამოხატულებაა თანამედროვე მუშათა მოძრაობისა". ამხ. ლენინიც ეთანხმება ამ აზრს... მარა ენგელსის სიტყვები ხომ ზოგადი აზრია. საქმე იმაშია, თუ ყველაზე ადრე ვინ აძლევს ფორმას ამ ტეორეტიულ გამოხატულებას. ლენინი საისტორიო ფილოსოფიის ტრაქტატს კი არა სწერდა, არამედ პოლემიკურ სტატიას ეკანომისტების წინააღმდეგ, რომლებიც ამბობდნენ: ჩვენ უნდა ვეუფროთ—სად მივა მუშათა კლასი „რევოლიუციონური ბაცილის" დაუხმარებლათ (ე. ი. უსოციალ-დემოკრატიოთ). უკანასკნელს უკრძალავდნენ ისინი მუშებთან ლაპარაკს, რადგანაც ის „რევოლიუციონური ბაცილაა", ე. ი. რადგანაც მას ტეორეტიული შეგნება აქვს. მარა თუ ამ „ბაცილას" ცალკე გაიყვანთ, მაშინ შეუგნებელი მასსა დარჩება, რომელშიაც გარედან უნდა იქნეს შეტანილი შეგნება. თქვენ რომ სამართლიანათ მოქცეულიყავით და თავიდან ბოლომდე ყურადღებით წაგეკითხათ ლენინის წიგნი, დაინახავდით, რომ ლენინი სწორეთ ამას ამბობს"... **)

ამას ამბობს პლეხანოვი პარტიის მეორე კრებაზე.

და აი, იგივე პლეხანოვი, იმავე მარტოვის, აქსელორდის, ზასულიჩის, სტაროვერის და სხვების წაქეზებით, რამდენიმე თვის მერე გამოსულა, ჩაბღაუჭებია ლენინის წიგნის სწორეთ იმ ადგილს, რომელსაც კრებაზე **იცავდა** და იძახის: ლენინი და „უმრავლესობა" მარქსისტები არ არიანო. მან იცის, რომ „მამამ ჩვენოდანაც რომ ამოგლეჯო ერთი ადგილი და ცალკე გაარჩიო—შეიძლება მის ავტორს სახრჩობელა ეწვიოს", როგორც ღვთის უარმყოფელს, რომ ეს

*) „Заря" № 4. 79—80 გვერდი.

**) Протоколы Партии, 123 გვერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსამართლობა იქნებოდა, რომ მიუდგომელი კრიტიკა ასე არ მოიქ-ცეცა, მარა ის მაინც გ:ეეჯავს ერთ ადგილს ლენინის წიგნიდან, ის მაინც უსამართლოთ იქ:�ეა და თავის დაფურთხებულს საქეეყნოთ ლოკავს... მარტოვი, ზასულიჩი, აქსელროდი და სტაროვერი კი კვერს უკრამენ მას, თავიანთი რედაქტორობი ახალ „ისკრაში" უშვებენ (№№ 70—71) პლეხანოვის წერილს და მით ერთხელ კიდევ ილანძღა-ვენ თავს.

რატომ მოხდა ეს ჯხასიათობა. რატომ ალოკეს თავიანთი და-ფურთხებული ამ „უმცირესობის" ბელადებმა, რატომ უარჰყვეს თავიანთგანვე დაწერილი „ისკრის" სპროგრამო წერილი, რა-ტომ უარჰყვეს თავიანთგანვე წარმოთქმული სიტყვები, მოიხდარა სა-დმე ასეთი სიყალბე რომელიმე სოციალდემოკრატიულ პარტიაში?

განა რა მოხდა ისეთი იმ რამდენიმე თვეში, რომელმაც მეორე კრებასა და პლეხანოვის წერილ შუა გაიარა?

საქმე აი რაშია. ექვსი რედაქტორიდგან მეორე კრებამ მარტო სამილა აირჩია „ისკრის" რედაქტორებათ: პლეხანოვი, ლენინი და მარტოვი. აქსელროდს, სტაროვერს და ზასულიჩს სხვა ადგილები მიუჩინა. კრებას, რა თქმა უნდა, ამის უფლება ჰქონდა და მის წინ ყველას უნდა მოეხარა თავი: კრება პარტიის სურვილების გამომხატვე-ლია, ის პარტიის უმაღლესი ორგანოა და ვინც მისი გადაწყვეტილე-ბის წინააღმდეგ მიდის, ის ფეხქვეშა სთელავს პარტიის სურვილებს.

მარა ეს ახირებული რედაქტორები არ დაემორჩილნენ პარტიის სურვილებს, პარტიულ დისციპლინას (პარტიული დისციპლინა იგივე პარტიის სურვილებია). თუმმე პარტიული დისციპლინა ჩვენისთანა უბრალო მუშაკებისთვისა ყოფილა გამოგონილი! ისინი გაუწყრნენ კრებას—რატომ რედაქტორებათ არ აგვირჩიეთო, გადგნენ განზე, გაიყოლიეს მარტოვი და შეადგინეს ოპოზიცია. მათ გაფიცეა გამოუ-ცხადეს პარტიას, ხელი აიღეს პარტიულ მუშაობაზე და მუქარით უთხრეს პარტიას: აგვირჩიეთ რედაქციაში, ცენტრალურ კომიტეტში, პარტიის საბჭოში, თორემ განხეთქილებას მოვახდენთო. დაიწყო განხეთქილება. ამით მათ ეოთხელ კიდევ გადაქელეს პარტიის სურვილები. აი გაფიცული რედაქტორების მოთხოვნები:

„ადადგინეთ „ისკრის" ძველი რედაქცია" (ე. ი. **სამი ადგილი** მოგვეცით. რედაქციაშია).

„ცენტრალურ კომიტეტში შეიყვანეთ გახსაზღვრული „რიცხეი ოპოზიციის (ე. ი. „უმცირესობის*) წევრებისა;

„პარტიის საბჭოში **ორი ადგილი** მიეცით ოპოზიციის წარმომადგენლებს" და სხვა...

„**ეს ერთათ ერთი პირობებია,** რომელთა დაკმაყოფილებასაც შეეძლიან ააცილოს პარტიას საშიშარი „განხეთქილება"... (ე. ი. დაგვაკმაყოფილეთ, თორემ დიდ განხეთქილებას მოვახდენთ პარტიაშია) *)

*) Коментарій къ протоколамъ Лиги. 30 გვერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უპასუხა პარტიამ? პარტიის წარმომადგენელმა, ცენტრალურმა კომიტეტმა და სხვა ამხანაგებმა უთხრეს, რომ ჩვენ ვერ შეგვიძლიან პარტიული კრების წინააღმდეგ წავიდეთ, თქვენი არჩევა კრების საქმეა, მარა ჩვენ მაინც ვეცდებით—მორიგება და მშვიდობიანობა ჩამოვაგდოთ, ეს კია, რომ სირცხვილია „**ადგილებისთვის** ბრძოლა, თქვენ **ადგილების გულისთვის** გინდათ პარტიაში განხეთქილება ჩამოაგდოთო და სხვა.

გაფიცულმა რედაქტორებმა იწყინეს, მათ შერცხვათ—მართლაც ადგილებისთვის ბრძოლათ გამოდოდა,—მოიმხრეს პლეხანოვი *) და დაიწყეს თავიანთი საგმირო საქმე. მათ უნდა **გამოეძებნათ** რაიმე **მაგარი** „**უთანხმოება**“ „უმრავლესობასა“ და „უმცირესობას“ შორის **და** მით თავი გაემართლებინათ, რომ ადგილებისთვის არ იბრძვიან. ეძებეს, ეძებეს და იპოვეს ისეთი ადგილი ლენინის წიგნში, რომელსაც, თუ ამოგლეჯავ და ცალკე განიხილავ, შეიძლება მართლა ხელი ჩასჭიდო. ეს კაი აზრია—იფიქრეს „უმცირესობის“ ბელადებმა—ლენინი „უმრავლესობის“ წინამძღოლია, გავაშაოთ ლენინი და მით პარტიას ჩვენსკენ გადმოვიყვანთო. და დაიწყო პლეხანოვის ლათაიები—„ლენინი და მისი მიმდევრები მარქსისტები არ არიანო“. მართალია, გუშინგუშინ წინ სწორეთ იმ აზრს იცავდნენ ლენინის წიგნიდან, რომლის წინააღმდეგ დღეს გამოილაშქეს, მარა-რა უყოთ—ოპორტუნისტი იმის ოპორტუნისტია, რომ პრინციპები არ უყვარს.

აი ამიტომ ალოკეს მათ თავიანთი დაფურთხებული, აი სად იფარება სიყალბის დასაბამი.

---

*) მკითხველმა შეიძლება იკითხოს, როგორ მოხდა და რა ნაირათ გადავიდა პლეხანოვი „უმცირესობისაკენ“, ის პლეხანოვი, რომელიც უკიდურესი მომხრე იყო „უმრავლესობის“. საქმე იმაშია, რომ მისსა და ლენინს შორის ერთი უთანხმობა დაიბადა. როცა „უმცირესობა“ გამძვინვარდა და გაფიცეა გამოაცხადა, პლეხანოვი იმ აზრს დაადგინა, რომ სრული დათმობა აუცილებელიაო. ლენინი არ დათანხმა მას. პლ. ნოვი თანდათან „უმცირესობისკენ“ გადაიხარა, უთანხმოება უფრო გაიზარდა მათ შორის და ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ერთ მშვენიერ დღეს პლეხ. ნოვი ლენინსა და „უმრავლესობის“ მოპირდაპირეთ გადაიკა. აი რასა სწერს ლენინი ამის შესახებ:.. „ერთხელ მე და პარტიული საბჭოს ერთი წევრი პლეხანოვთან შევედით. ჩვენმა ლაპარაკმა ასეთი ხასიათი მიიღო.

— იცით, არიან ისეთი ხუშტურიანი (скандалныя) ცოლები (ე. ი. „უმცირესობა“), რომლებსაც აუცილებლათ უნდა დაუთმო თუ „ისტერიკისა და „სკანდალის“ აცილება გინდა თავიდან—მითხრა პლეხანოვმა.

— შეიძლ ბა, ეუპასუხე მე, მარა ისე უნდა დაუთმო, რომ ძალი შეირჩინო, თორემ შეიძლება უფრო დიდი „სკანდალი“ დგებოდეს თავზე“ (ინ. Коментаріи къ протоколамъ Лиги 37 გვ.. სიცა მოყვანილია ლენინის წერილი).

ლენინი და პლეხანოვი ვერ შეთანხმდნენ. აქედან დაიწყო პლეხანოვის „უმცირესობისკენ“ გადასვლა... ჩვენ ვაკიდეთ ნაშდეული წყაროებიდან, რომ პლეხანოვი „უმცირესობასაც“ ანებებს თავს და უკვე დაუარსებია თავისი ორგანო „Вѣстникъ Соціальдемократа“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა რამდენიმე ხანი. ნახეს, რომ მათ აგიტაციას ლენინისა და „უმრავლესობის“ წინააღმდეგ ყური არავინ უგდო, ზოგიერთა გულუბრყვილოების გარდა, ნახეს, რომ „საქმე“ ცუდათ მიდის,—და ერთხელ კიდევ იცვალეს ფერი. იგივ პლეხანოვმა, იგივ მარტოვმა და აქსელროდმა რეზოლიუცია გამოაცხადეს პარტიის საბჭოს სახელით 1905 წ. 10 მარტს, საცა, სხვათა შორის, შემდეგსა ლაპარაკობენ:

„ამხანაგებო! („უმრავლესობას“ მიმართავენ)... „ორივე მხარეს (ე. ი. „უმრავლესობასაც“ და „უმცირესობასაც“) არა ერთხელ და ორჯერ გამოგვითქვამს ის რწმენა, რომ ჩვენ შორის არსებული ტაქტიკური და ორგანიზაციური უთანხმოებანი ისეთი ხასიათისა არაა, რომ ჩვენი ერთათ მუშაობა შეუძლებელი გახადოს ერთ პარტიულ ორგანიზაციაში“ *). ამიტომ მოვიწვიოთ საამხანაგო სასამართლო (ბებელისაგან და სხვებისაგან შემდგარი) და გადავჭრათ მცირე დავაო. ერთი სიტყვით, მთელი პარტიული უთანხმოება კინკლაობა იყო, რომელსაც საამხანაგო სასამართლო გაარჩევს და ჩვენ ერთნი ვართო.

მერე როგორ? ჩვენ, „არამარქსისტებს“ პარტიულ ორგანიზაციებში გვეძახით, ერთნი ვართ და სხვა ამისთანები... რას ნიშნავს ეს? ეს ხომ პარტიის ღალატია თქვენგან, „უმცირესობის“ ბელადებო! განა შეიძლება არა მარქსისტები პარტიას სათავეში დაუყენონ? რა უნდათ არა მარქსისტებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში? ან იქნება თქვენც ულალატეთ მარქსიზმს და ამიტომ შეიცვალეთ ფრონტი?

მარა ტყუილათ ეძებთ პასუხს? საქმე იმაშია, რომ ამ შესანიშნავ გმირებს რამდენიმე „პრინციპი“ აქვთ ჯიბეში და როდესაც რა დასჭირდებათ, ისა ამოიღებენ,—ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!

ასეთია ბელადები ეგრეთ წოდებული „უმცირესობისა“. მათი დევიზი თქმა-გადათქმა ყოფილა და რაღა საკვირველია, თუ ხან მარქსისტს გიწოდებენ და ხან არა?

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა იქნება ამისთანა ბელადების კუდი—თფილისის, ასე ვთქვათ, „უმცირესობა“... ხათაბალა ისაა, კუდი თავს აღარ ეთანხმება და ურჩობას უწევს. აი მაგალითათ, მაშინ, როდესაც „უმცირესობის“ ბელადები შესაძლებლათ სცნობენ შერიგებას და მშვიდობიანობისკენ მოუწოდებენ პარტიულ მუშაკებს, თფილისის „უმცირესობა“ და მისი „სოციალ-დემოკრატი“ ახირებულან: „უმრავლესობასა“ და „უმცირესობას“ შორის „სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაა“ **) და ერთმანეთი უნდა ამოვხოცოთო! ერთი ალთას, მეორე ბალთას...

„უმცირესობა“ გვიჩვენ!—ოპორტუნისტებს (უპრინციპოებს) ნუ გვეძახითო. მაშ, რა დავარქვათ ამ თქმა-გადათქმას, წაჯიქ-უკუჯე-

*) „ისკრა“ 91 № 3 გვ.

**) იხ. „სოც.-დემ. № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქობას; ამ მუდმივ ტორტმანსა და რყევას, თუ არ ოპორტუნიზმი? შეიძლება ნამდვილი სოციალ-დემოკრატი ასე წაიმა-უკუღმა იცვლიდეს აზრებს? ასე ხომ ხელსახოცებსაც არ იცვლიან!

ჩვენი ძალათ მარქსისტები ახირებულან: „უმცირესობას“ ნამდვილი პროლეტარული ხასიათი აქვსო. მართლა? ჩაუკვირდეთ ამბა.

კაუცკი ამბობს, რომ „პროლეტარი ადვილათ იმსჭვალება პარტიული პრინციპებით, ის ბომბრია იმ მტკიცე-პრინციპიალური პოლიტიკის, რომელსაც ვერ არყევს წუთიერი გულისთქმა, პირადი თუ ადგილობრივი ინტერესები“ *)

„უმცირესობა“? ისიც ასეთი პოლიტიკის მომხრეა, რომელსაც ვერ არყევს წუთიერი გულისთქმა და სხვა? პირიქით: ის განუწყვეტლივ ირყევა, ის მუდმივ ტორტმანშია, მას სძაგს მტკიცე-პრინციპიალური პოლიტიკა, ის უპრინციპობას რჩეულობს, წუთიერი გულისთქმას გასდევს. ფაქტები უკვე ვიცით.

კაუცკი ამბობს, რომ პროლეტარს პარტიული დისციპლინა უყვარსო: „პროლეტარი-არაფერია, სანამ ის განკალკეევებულია. მთელ თავის სიძლიერეს, მთელ თავის მამოძრავებელ ძალას, მთელ თავის იმედებსა და მისწრაფებას **ორგანიზაციაში** პოულობს ის... სწორეთ ამიტომაა, რომ მას არ ინტაცებს პირადი საოგებლობა. საკუთარი სახელი, —„ის ასრულებს თავის მოვალეობას ყველა „პოსტზე“, საცა კი დააყენებენ მას, ის თავისი ნებით ემორჩილება დისციპლინას, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მისი გრძნობა, მთელი მისი აზროვნება“ **).

„უმცირესობა“? ისიც ასე გამსჭვალულია დისციპლინით? პირიქით: მას სძაგს პარტიული დისციპლინა, ის სასაცილოთ იღებს მას ***). პირველი მაგალითი პარტიული დისციპლინის დარღვევისა „უმცირესობის“ ბელადებს ეკუთვნის. მოიგონეთ აქსელროდი, ზასულიჩი, სტროვერი, მარტოვი და სხვები, რომლებიც არ დაემორჩილნენ მეორე კრების გადაწყვეტილებას.

„სულ სხვანაირათაა ინტელიგენტის საქმე“...—განაგრძობს კაუცკი—ის დიდი გაჭირვებით ემორჩილება პარტიულ დისციპლინას, ისიც ძალაუნებურათ, და არა თავისი ნებით. „დისციპლინის საჭიროებას ის მარტო მასსისთვის აღიარებს, და არა განსაკუთრებული პირებისთვის. თავისი თავი კი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული პირი ჰგონია... იდეალური მაგალითი ესეთი ინტელიგენტისა, რომელიც ერთიან გაიმსჭვალა პროლეტარული გულის თქმით, რომელიც... იბრძოდა ყველა „პოსტზე“, საცა კი მას დააყენებდნენ, ხელაღებით უმორჩილებდა თავის „მე“-ს ჩვენს დიად საქმეს და ეზიზღებოდა ის ლაჩ-

*) Эрфрут. прогр. 81 გვ. გ. ᲪᲐ.

**) იხ. Шагъ Впередъ, 93 გვ. სადაც მოყვანილია კაუცკის ეს სიტყვები.

***) იხ. Протоколы Лиги.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული წუწუნი, რომელსაც ხშირათ ინტელიგენტები ასტეხენ ხოლმე, როცა ისინი უმცირესობაში რჩებიან,—იდეალური მაგალითი ასეთი ინტელიგენტისა.., ლიბკნეხტი იყო. შეიძლება აგრეთვე მარქსი დავასახელოთ, რომელიც არასოდეს არ ცდილობდა პირველი ადგილი დაეჭირა და სამაგალითოთ ემორჩილებოდა პარტიულ დისციპლინას ინტერნაციონალში, სადაც ის რამდერჯერმე დარჩა უმცირესობაში. *)

„უმცირესობა„? შეეტყო რაშიმე „პროლეტარული გულისთქმა“? წაადგავს მისი ყოფა-ქცევა ლიბკნეხტისა და მარქსის ყოფაქცევას? პირიქით: ჩვენ ვნახეთ, რომ „უმცირესობის“ ბელადებმა არ დაუმორჩილეს თავიანთი „მე“ ჩვენს წმინდა საქმეს“, ჩვენ ვნახეთ, რომ სწორეთ ამ ბელადებმა მორთეს „ლაჩრული წუწუნი, როცა უმცირესობაში დარჩნენ“ მეორე კრებაზე, ჩვენ ვნახეთ, რომ სწორეთ ესენი ტიროდნენ „პირველი ადგილებისთვის“ კრების მერე, და სწორეთ ამ ადგილებისთვის ასტეხეს მათ პარტიული განხეთქილება...

ესაა თქვენი პროლეტარული ხასიათი?

მაშ, ჩვენ მხარეზე რათ არიან მუშები ზოგიერთ ქალაქებშიო? გვეკითხება „უმცირესობა“.

(ეიახ, მართლა „უმცირესობის“ მხარეზე არიან მუშები ზოგიერთ ქალაქებში, მარა ეს არაფერსაც არ ამტკიცებს. რევიზიონისტების (ოპორტიუნისტებია გერმანიაში) მხარეზედაც არიან მუშები ზოგიერთ ქალაქებში, მარა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მათი პოზიცია პროლეტარულია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ოპორტიუნისტები არ არიან. ერთხელ ყვავმაც იშოვა ვარდი, მარა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყვავი ბულბულია. ტყუილათ კი არ არაა ნათქვამი:

„რა ყვავი ვარდსა იშოვის,
„თავი ბულბული ქგონია“...

ეხლა ცხადია, თუ **რა ნიადაგზე** აღმოცენდა პარტიული უთანხმოება. ლაპარაკი არ უნდა, რომ ჩვენს პარტიაში ორგვარი მიდრეკილება გამოორკვა: მიდრეკილება **პროლეტარული სიმტკიცის**, და მიდრეკილება **ინტელიგენტური რყევის**. და აი, ამ ინტელიგენტური რყევის გამოხატულებაა დღევანდელი „უმცირესობა“. ამ „უმცირესობის“ მორჩილია ტფილისის „კომიტეტი“ და მისი „სოციალ-დემოკრატი“! აქ მარხია „ძაღლის თავი“!

მართალია, ჩვენი ძალათ მარქსისტები ძალიან ბევრს ყვირიან „ინტელიგენტური პსიხოლოგიის“ წინააღმდეგ, მართალია, ისინი პირიქით „უმრავლესობას“ აბრალებენ „ინტელიგენტურ რყევას“, მარა ეს იმასა გავს, რომ ქურდმა თავის ამხანაგებს ფული მოპპარა და მერე თითონვე შექნა ღრიალი: რა უნამუსობაა, ფული რათ მომპარეთო! გარდა ამისა, მოგეხსენებათ: ვისაც რა სტკივა,—იმაზე ყვირის...

---

*) იხ. Шагъ Впередъ, 93 გვ., საცა მოყვანილია კაუცკის წერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. მეხარაძე

მოხსენება მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე მსოფლიო კონგრესის შესახებ

(გაგრძელება, იხ. „რევ. მატ." № 4)

ლენინის მოხსენების და ტეზისების უმთავრესი დებულებანი შემდეგი იყო: 1) ბურჟუაზიული წესწყობილება უმთავრეს კაპიტალისტურ ქვეყნებში უდიდეს კრიზისს განიცდის და კაპიტალისტური წარმოების მექანიზმი რღვევის პროცესშია; 2) სოციალისტური რევოლიუცია არასოდეს დემოკრატიული გზით ანუ მშვიდობიანი საშუალებით არ მოხდება; ეს რევოლიუცია უნდა მოხდეს და მოხდება კიდეკაც ძალდატანებითი მოქმედების, აჯანყების საშუალებით და ბურჟუაზიის დიქტატორის მაგიერ აუცილებლათ პროლეტარიატის დიქტატურა უნდა დაწესდეს; 3) პროლეტარიატის დიქტატურის დღემდის გარდაუვალ ფორმას წარმოადგენს **საბჭოების** (სოვეტების) **მთავრობა**; 4) დღევანდელ მომენტში მუშათა კლასის ავანგარდის-კომუნისტური ინტერნაციონალის მოვალეობას შეადგენს პროლეტარული რევოლიუციის არა თუ დაჩქარება და მზადება, არამედ პირდაპირ მოქმედებათა, პირდაპირ აჯანყებათა დაწყება ამ მიზნით, სადაც ეს შესაძლებელია.

კომუნისტური პარტიის როლი პროლეტარულ რევოლიუციაში.

მეორე კონგრესის მუშაობის და კამათის მთავარი ღერძი ტრიალებდა უთუოდ **კომუნისტური პარტიის** აუცილებელი საჭიროების და მნიშვნელობის გარშემო. ტეზისები და მოხსენება ამ საგანზე წარმოადგინა ამხ. **ზინოვიევმა**. მომხსენებელმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ „იმ ქვეყნებში, სადაც უფრო განვითარებულია მუშათა მოძრაობა, როგორც მაგ. ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში, ჩვენ ვამჩნევთ საკმარისათ ძლიერ მიმდინარეობას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მას არა თუ ვერ გაურკვევია მუშათა კლასის საკუთარი პარტიის როლი, არამედ რომელიც პირდაპირ უარყოფს ასეთ „პარტიას". მეორე მხრივ ამხ. **ტროცკიმ** დისკუსიის დროს შენიშნა, რომ შეიძლება ბევრს გაუკვირდეს ის, რომ **„კომუნისტური მ.ნიფესტის"** ვამოქვეყნებიდან სამი-მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ ინტერნაციონალურ კომუნისტურ კონგრესზე ირჩევა საკითხი იმის შესახებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროებს თუ არა მუშათა კლასი თავის საკუთარ პარტიასო-ტროცკის აზრით, აქ არაფერი გასაკვირველი არაა, პირიქით, გასაკვირველი იქნებოდა ის, რომ დღევანდელ კონგრესზე ეს საკითხი არ ყოფილიყო დასმული.

რაშია საქმე? მუშათა კლასის შესამჩნევი ნაწილი და ამასთანავე ყველაზე უფრო რევოლიუციონური ელემენტები ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში, ისპანიაში, რამდენიმეთ გერმანიაშიც და იტალიაშიც, უარყოფს პოლიტიკური პარტიის საჭიროებას. ასეთია საფრანგეთის და ისპანიის მეპარცხენე სინდიკალისტები, ინგლისის საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტები (Schop Steward Committis), მსოფლიოს სამრეწველო მუშები ამერიკაში (J. W. W.) და სხვ. ესენი ამტკიცებენ, რომ პოლიტიკური პარტიის შექმნა ტყუილა უბრალოთ დროს დაკარგვაა, რომ რევოლიუციას ახდენს თვით მასსა, ხალხი და არა პოლიტიკური პარტია, რომ ამ უკანასკნელს სარგებლობის მაგიერ შეუძლია რევოლიუციას ზიანი მოუტანოსო და სხვ. და სხვ. მაშასადამე, საკითხი დგას მეტათ სერიოზულათ. რუსეთის კომუნისტური (ბალშევიკური) პარტიის თითქმის ოცი წლის არსებობის გამოცდილება და რუსეთისაგე მთელი რევოლიუციის გაკვეთილი ამტკიცებენ პროლეტარიატის საკუთარი პარტიის აუცილებელ საჭიროებას; მეორე მხრით ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, ისპანიის პროლეტარიატის შესამჩნევი ნაწილი, როგორც ზევით ვამბობდით, თავისი საკუთარი პოლიტიკური პარტიის არსებობას უარყოფს. კონგრესზე ამ საკითხმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიწვია საკმარისად ცხარე კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს: **რამზაიმ** (ამერიკა), **მაკლაინმა** და **ტანერმა** (ინგლისი—პირველი წევრია ბრიტანიის სოც. პარტიის, მეორე—წარმომადგენელი საფაბრ.-საქარხნო კომიტეტების), **პეშტანიამ** (ისპანია—რევოლიუც. სინდიკალისტები), **რაკოშმ** (უნგრეთი), **ვეინკოფმა** (ჰოლანდია), **ლევიმ** (გერმანია), **სერატტიმ** (იტალია), **ლენინმა** და **ტროცკიმ**. პარტიის საჭიროების მოწინააღმდეგენი გამოდიოდენ და ეყრდნობოდენ იმ ფაქტზე, რომ ძველმა პოლიტიკურმა პარტიებმა, მეორე ინტერნაციონალის პარტიებმა, მუშათა ფართო მასსებს ზურგი შეაქციეს, რევოლიუციონური მოძრაობა ჩააქრეს, გაანელეს; იმათი ბელადები ბურჟუაზიულ მთავრობათა აგენტები შეიქნენ, პარტია გახადეს სექტათ, ამიტომ მასსები დარჩენ მინებებული, უწინამძღვროთ. ამიტომ იმათ არ სურთ პოლიტიკური პარტიისათვის ძალები დაკარგონ. თავის თავათ იგულისხმება, რომ ყველა ეს საბუთები სამართლიანი იყო; კიდევ მეტი: მეორე ინტერნაციონალის უდიდესმა და პასუხისმგებელ პარტიებმა პირდაპირ უალატეს მუშათა კლასს; მაგრამ ამ სწორ დებულებიდან იმათ სრულიად შემცდარი დასკვნები გამოყავდათ და გამოყავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მეორე ყვითელი ინტერნაციონალის პარტიები არ ვარგოდენ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოთ პარტია საჭირო არ არის ან ყველა პარტია ასეთი უვარგისი და მავნეა. ამ მხრით ყველაზე უფრო დამარწმუნებელ მაგალითს იძლევა რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორია. ამ პარტიის ოცი წლის რევოლიუციონური მოღვაწეობა ღირს იმათ, რომ მას ყველა ქვეყნის მუშათა კლასმა თავის მოქმედების მისაბაძად მაგალითათ მიიჩნიოს. რუსეთის კომუნისტური (ანუ ბალშევიკური) პარტია თავიდანვე გამოვიდა როგორც რუსეთის მუშათა კლასის ყველაზე უფრო მოწინავე და ყველაზე უფრო შეგნებული ნაწილის ხელმძღვანელათ არა მარტო მეფის თვითმპყრობელობის, არამედ მყვლეფელთა კლასების (ბურჟუაზიის და მემამულეების) წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში. თავისი დაუღალავი ენერგიით, თავისი თავგანწირული მუშაობით, თავისი სიმტკიცით რევოლიუციონური მარქსიზმის დაცვაში და ერთგულებით ნამდვილი მუშათა ინტერნაციონალის დიადი ანდერძისადმი, და ბოლოს, განსაკუთრებით, თავისი გაფოლადებული დისციპლინის მეოხებით,—რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ აზიური აბსოლიუტიზმის პირდაპირ ჯოჯოხეთურ პირობებში მოამზადა და ხელი შეუწყო რუსეთის უდიდეს რევოლიუციას. ეს მოხდა სწორედ ამ პარტიის მეოხებით, რომ 1917 წლის თებერვალში დამხობილ იქმნა სისხლის მსმელი რომანოვების მთავრობა; მაგრამ რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, ეს ის, რომ მხოლოდ ამ პარტიის უდიდეს ღვაწლს შეადგენს ის გარემოება, რომ იმავე 1917 წლის ოქტომბერში რუსეთის პროლეტარიატმა ხელთ იგდო სახელმწიფო ძალაუფლება, ჩამოაგდო ტახტიდან ბურჟუაზია და დაიწესა თავისი დიქტატურა. მაგრამ ამით არ თავდება რუსეთის კომუნისტური პარტიის როლი და მნიშვნელობა პროლეტარულ რევოლიუციაში. ეს ის პარტიაა, რომელიც წინამძღოლობს დღეს პროლეტარიატის და გლეხკაცობის სამოქალაქო ომს მთელი საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელმაც შექმნა სახელოვანი წითელი არმია, რომელიც ქმნის შორომის არმიას, რომელიც წინ მიუძღვის მთელი რუსეთის 100—120 მილიონ მშრომელ მასას, რომელიც განაგებს მრეწველობას, რომელიც ახორციელებს კომუნიზმს როგორც მრეწველობაში, ისე სასოფლო მეურნეობაში, რომელიც სახალხო განათლების დარგში ახდენს პირდაპირ სასწაულს,—ერთი სიტყვით, რუსეთის კომუნისტური პარტია, თუმცა შედარებით მცირეა თავისი წევრების რიცხვით (600—700,000) ორგანიზაციულათ აერთიანებს, აკავშირებს უთვალავ მშრომელ მასსას, მიუძღვება მას წინ კომუნიზმისაკენ. წარმოვიდგინოთ ერთ წუთს, რომ რუსეთში არ ყოფილიყო ასეთი პარტია, წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთის პროლეტარიატს არ ყოლოდა თავისი საკუთარი პოლიტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტია, რა იქნებოდა მაშინ რუსეთში? ორში ერთი: ძალა-უფლება ექნებოდათ ხელში ან პირდაპირ მყვლეფელ კლასებს (ბურჟუაზიას და მემამულეებს), და ან იმათ დამქაშებს, ლაქიებს, მუშათა კლასის მოღალატეებს: მენშევიკებს და ესერებს, რაც ძველი წესწყობილების სრული აღდგენა იქნებოდა; ან კიდევ რუსეთს დიდი ხნობით მოიცავდა ნამდვილი ანარქია, რაც არა ნაკლები უბედურება იქნებოდა.

ამნაირათ პროლეტარიატის საკუთარი პოლიტიკური პარტიის აუცილებელი საჭიროება, მისი როლი და მნიშვნელობა პროლეტარულ რევოლიუციაში სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება. რუსეთის რევოლიუციის გამოცდილება და გაკვეთილი ამას ცხადზე უცხადესათ ყოფს. ასეთი უცილობელი და ანალსაჩინო საბუთის წინაშე პარტიის საჭიროების მოწინააღმდეგეთ შეუძლებელი ქედი არ მოეხარათ, ვინაიდან ამ საბუთის წინააღმდეგ წასვლა ნიშნავდა თვით დღევანდელი სოციალისტური რუსეთის, რუსეთის პროლეტარიატის და გლეხკაცობის ბრძოლის წინააღმდეგ წასვლას, ეს იქნებოდა საბჭოთა მთავრობის უარყოფა, რომელიც ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას. არ არის არც ერთი ისეთი ორგანო, არც ერთი ისეთი ორგანიზაცია, არც ერთი ისეთი აპარატი, რომელსაც შეეძლოს ამ შემთხვევაში კომუნისტური პარტიის ადგილი დაიჭიროს და მისი როლი შეასრულოს. ეს არ შეუძლია არც პროფ. კავშირებს, არც საფაბრიკო—საქარხნო კომიტეტებს, ეს არ შეუძლია არც მსოფლიოს სამრეწველო მუშებს და წარმოიდგინეთ, არც თვით მუშათა დეპუტატების საბჭოებსაც კი. პროლეტარული ან კომუნისტური პარტია აუცილებელია როგორც პროლეტარული რევოლიუციის მოსამზადებლათ და მოსახდენათ, ისე ამ რევოლიუციის შემდეგ, სანამ საზოგადოების კლასებად დაყოფა სრულიად არ მოისპობა.

კამათის შემდეგ კონგრესმა თითქმის ერთხმად მიიღო რეზოლიუცია კომუნიტური პარტიის როლის შესახებ, რომელიც ცნობს კომუნისტური პარტიის აუცილებელ საჭიროებას და რომლის ძირითადი დებულებები ასეთია: 1) კომუნისტური პარტია წარმოადგენს მუშათა კლასის განთავისუფლების უმთავრეს იარაღს; 2) თითეულ ქვეყანაში უნდა არსებობდეს ერთი მთლიანი კომუნისტური პარტია; 3) კომუნისტური პარტია უნდა მოეწყოს უსასტიკესი ცენტრალიზაციის პრინციპზე და სამოქალაქო ომის ხანაში მან უნდა დაწესოს თავის წევრებში სამხედრო დისციპლინა; 4) ყოველგან, სადაც კი მოიპოვება ათიოდე პროლეტარი ან ნახევრად პროლეტარი, კომუნისტურ პარტიას უნდა ქონდეს მოწყობილი თავისი „იაჩეიკა"; 5) თითეულ უპარტიო დაწესებულებაში უნდა არსებობდეს კომუნისტური „იაჩეიკა", რომელიც სასტიკათ უნდა ემორჩილებოდეს პარტიულ ცენტრს; 6) მტკიცეთ და ერთგულათ იცავს რა კომუნიზმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრამას და რევოლიუციონურ ტაკტიკას, კომუნისტური პარტია ყოველთვის მჭიდროთ შეკავშირებული უნდა იყოს მუშების ფართო ოროგანიზაციებთან და უნდა უახლოვდებოდეს უპარტიო მასას.

ლეგალური და არალეგალური მუშაობის შეერთება (сочетание).

ერთ თავის ახალ წიგნში („Детская болезнь „левизни" в коммунизме"—ამბ. ლენინი სხვათა შორის სწერს: „მაგრამ ის რევოლიუციონერები, რომლებმაც არ იციან ბრძოლის არალეგალური ფორმების შეერთება ყველა ლეგალურ ფორმებთან, მეტად ცუდი რევოლიუციონერები არიანო" *). ავტორს აქ მხედველობაში ყავს ის „შემარცხენე" კომუნისტები და მუშების ზოგიერთი რევოლიუციონური ორგანიზაციები, რომლებიც ლეგალურ ბრძოლას პარლამენტებში სრულებით და ყოველივე პირობებში უარყოფენ. ლენინი ამტკიცებს, რომ აუცილებელია ბრძოლის ამ ორივე ფორმის (ლეგალურის და არალეგალურის) საკვანძოთ გამოყენება, მაგრამ ლენინი იქვე უმატებს, „ოპორტიუნისტები და მუშათა კლასის გამცემლები არიან ის ბელადები და ის პარტიები, რომლებმაც არ იციან ან არ სურთ ბრძოლის არალეგალურ საშუალებათა გამოყენება" ისეთ ხანაში, როცა ბურჟუაზია და ყვითელი სოციალ-დემოკრატია ჯერ არ გაგონილი სიმხეცით და სიფთრით ებრძვის მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობას.

კონგრესზე საკითხი ლეგალური და არალეგალური მუშაობის შესახებ სრულებით არ დასმულა, ვინაიდან იქ არ იყო ისეთი ელემენტი, რომელიც არსებითად წინააღმდეგი ყოფილიყოს ლეგალური და არალეგალური მუშაობის შეერთების. კონგრესმა ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა პარტიის ამგვარ მუშაობას შესაფერი მუხლების შეტანით მიღებულ რეზოლიუციაში კომუნისტური პარტიის როლის შესახებ. ასეთებია ამ რეზოლიუციის მე-15 და მე-16 მუხლები, რომლებიც ჩვენ აქ მოგვყავს სიტყვა-სიტყვით. მუხ. 15: „ევროპის და ამერიკის კომუნისტურ პარტიების მთელი რიგი, ბურჟუაზიის მიერ საალყო წესების შემოღების გამო კომუნისტების წინააღმდეგ, **იძულებულია არალეგალურათ იარსებოს.** საჭიროა მოვაგონოთ, ასეთ მდგომარეობაში ზოგჯერ გვიხდება არჩევნებითი პრინციპზე ხელი ავიღოთ და ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს მივანიჭოთ კოოპტაციის უფლება, როგორც ეს ერთ დროს რუსეთში იყო. საალყო წესების ფაქტიურ არსებობის დროს კომუნისტურ პარტიას არა თუ არ ძალუძს მიმართოს თითეული სერიოზული საკითხის გამო დემოკრატიულ რეფერენდუმს პარტიის წევრებში, პირიქით, ვალდებულია მიანიჭოს თავის ხელმძღვანელ ცენტრს საჭირო დროს და მი-

*) რუსული გამოცემის 89 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღოს პასუხისმგებელი გადაწყვეტილება პარტიის ყველა წევრებისა-თვის''. მუხ. 17: „იმ ქვეყნებში, სადაც მთავრობას სათავეში უდგას კიდევ **ბურჟუაზია** ანუ **კონტრ-რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია, კომუნისტური პარტიები უნდა დაეჩვიონ** თანახმად შემუშავებული გეგმისა შეუერთონ **ლეგალური მუშაობა არალეგალურს, ამასთანავე ლეგალური მუშაობა უნდა ყოველთვის იმყოფებოდეს პროლეტარული პარტიის ფაქტიური კონტროლის ქვეშ.** კომუნისტების პარლამენტარული ფრაქციები როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დაწესებულებათა სულ ერთიანად და ყოველივე პირობის გარეშე უნდა ემორჩილებოდენ კომუნისტურ პარტიას, დამოუკიდებლად იმისა, არის პარტია ამა თუ იმ დროს ლეგალური თუ არალეგალური ორგანიზაცია. ყველა დეპუტატები, როჟლებიც ამა თუ იმ ფორმით უარს განაცხადებენ პარტიის მორჩილებაზე, უნდა განდევნილ იქნან კომუნისტების წრეებიდან. ლეგალური პრესა ყოველივე პირობის გარეშე უნდა ემორჩილებოდეს პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს. არავითარი დათმობა ამ მხრით დასაშვები არაა".

აქედან ნათლათ სჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევს კომუნისტური ინტერნაციონალი არალეგალურ მუშაობას, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, **არალეგალურ კომუნისტურ პარტიას.** ეს ადვილი გასაგებია, ვინაიდან ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სამოქალაქო ომის ხანაში შეუძლებელია კომუნისტური პარტია ლეგალურად არსებობდეს. მისი ლეგალური არსებობა შეიძლება მხოლოდ იმდენათ, რამდენათ ის არ მუშაობს, ე. ი. როცა ის თავის თავს უარყოფს, ან ხელს იღებს იმ როლზე, რომელიც მას ნაკისრები აქვს პროლეტარიატის წინაშე. ერთი სიტყვით, იმ ქვეყნებში, სადაც მთავრობას სათავეში უდგანან ბურჟუაზია ან ყვითელი სოციალდემოკრატი, მთავარი როლი და მნიშვნელობა არალეგალურ მუშაობაზე, არალეგალურ ორგანიზაციაზე უნდა გადავიდეს. ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, ლეგალური მუშაობის უარყოფას, რამდენადაც კი ეს უკანასკნელი შესაძლებელია და ხელსაყრელი პარტიისათვის საერთოდ. ასეთი მდგომარეობაა დღეს ფინლიანდიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, ინგლისში, ამერიკაში, უნგრეთში, საქართველოში, სომხეთში და საზოგადოთ ყოველგან, სადაც კი კომუნისტური პარტია მოქმედებას იჩენს.

თუ რა მნიშვნელობას აძლევს კომუნისტური ინტერნაციონალი არალეგალურ მუშაობას, სხვათა შორის, სჩანს იმ მოწოდებიდან, რომელიც მიმართულია საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წევრებისადმი და რომელსაც ხელს აწერენ: ლენინი, ზინოვიევი, სერატი, ლევი და როსმერი. ამ მოწოდების ძესამე მუხლში ჩვენ ვკითხულობთ: „ეგივე უნდა ვთქვათ თქვენ **აგიტაციაზე სოფელში და ჯარში.** ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგიტაცია ან არ არსებობს სრულებით, ან მას აქვს აშკარა **რეფორმისტული** ხასიათი. სად ან როდის თქვენმა პარტიამ აუხსნა საფრანგეთის ჯარისკაცებს რევოლიუციონური პროლეტარული მოვალეობანი. რამდენადაც ჩვენ ვიცით, არსად და არას დროს. თუ ძალთა დამოკიდებულება საფრანგეთში დღეს იმნაირია, რომ სოციალისტებს არ შეუძლიათ **ამის გაკეთება ლეგალურათ**, იმ შემთხვევაში თითეული ჰატიოსანი პროლეტარის მოვალეობაა **შეავსოს ლეგალური მუშაობა არალეგალურით** და მით შეასრულოს თავის მოვალეობა როგორც თავის ქვეყნის მუშათა კლასის, ისე ყველა ქვეყნის მუშების წინაშე".

ყოველივე ზევით ნათქვამი აშკარად ამტკიცებს იმას, რომ ლეგალური და არალეგალური მუშაობა ერთი მეორეს ავსებს, ერთი მეორეს შველის; მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სამოქალაქო ომი უკვე დღიურ წესრიგში დგას ან უკვე გაჩაღებულია, იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეზეა მეტი ძალა და გავლენა: პროლეტარიატის თუ ბურჟუაზიის, არალეგალურ და ლეგალურ მუშაობას სხვადასხვა გვარი მნიშვნელობა ეძლევა: პროლეტარიატის აჯანყების დროს პარტია უკვე ლეგალურად გამოდის და ბრძოლას წინამძღოლობს, ხოლო ბურჟუაზიის ან ყვითელ სოციალდემოკრატიის დიქტატურის ხანაში არალეგალურ მუშაობას ეძლევა უაღრესი მნიშვნელობა, ვინაიდან ბურჟუაზია არასოდეს არ მისცემს პარტიას საშუალებას ცოტათ თუ რევრათ ფართოთ განავითაროს და გაშალოს თავისი მუშაობა. ასე, მაგ., ფინლანდიაში, უნგრეთში. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სომხეთში, საქართველოში და სხვ., სადაც დემოკრატიზმის ლოზუნგით ხდება ყოველად უნაჰუსო ძალდატანება პროლეტარიატზე და გლეხკაცობაზე, სადაც „დემოკრატიის" ხსნის სახელით კომუნისტურ პარტიის წევრობისათვის ადამიანებს აწამებენ, საპყრობილეებში ალპობენ დახვრეტენ, რა თქმა უნდა, ლეგალური მუშაობა ან სულ არ არსებობს ან თუ არსებობს, მეტად ვიწროო ფარგლებშია ძომუკუვდეული, სამაგიეროდ იქ არალეგალური მუშაობისათვის უფრო ფართე სარბიელია. ისეთ ქვეყნებში კი, როგორიც არიან, მაგ, იტალია, ბოლგარია, სერბია, რამდენიმეთ საფრანგეთი, გერმანია, შეიძლება ინგლისიც, სადაც მუშათა კლასი შედარებით ძლიერია, სადაც კომუნისტურ ან მის მსგავს პარტიებს შედარებით დიდი გავლენა აქვთ მოპოვებული სახელმწიფოში, იქ პარტიის ლეგალურ მუშაობას უფრო მეტი გასავალი ექნება და აქვს. აქედან მკითხველი თითონ გამოიყვანს შესაფერ დასკვნას.

„მემარცხენე" კომუნისტები და პარლამენტარიზმი.

„დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში პარლამენტმა დაიმსახურა ზიზღი მოწინავე რევოლიუციონურ მუშების თვალში. ეს უდავოა. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად ადვილი გასაგებია, ვინაიდან ძნელია წარმოვიდგინოთ იმაზე უფრო მდაბალი, იმაზე უფრო უნამუსო მუხანათური საქციელი, ვიდრე საქციელი სოციალისტურ და სოციალ-დემოკრატიულ დეპუტატების დიდი უმრავლესობისა პარლამენტებში ომის დროს და ომის შემდეგ", — ვეითხულობთ ამბ. ლენინის წინგზში, რომელიც ჩვენ ზევით დავასახელეთ. ჩვენ დაუმატებთ ზევით მოყვანილ სიტყვებს მხოლოდ იმას, რომ სოციალისტების და სოციალ-დემოკრატების პარლამენტარული ფრაქციები გახდენ ოპორტიუნისტები და გამცემლები უკვე მეორე ინტერნაციონალის არსებობის დროს.

აი სწორედ რისთვის მუშათა კლასის შესაჩნევ ნაწილში განვითარდა ერთი მხრით სრული ინდეფერენტიზმი (გულგრილობა), მეორე მხრით ზიზღი და სიძულვილი პარლამენტისა და სხვა დემოკრატიულ დაწესებულებისადმი. მართალია ეს სრულიად ადვილი გასაგები და კანონიერი გრძნობაა, მაგრამ ეს გარემება, ე. ი. უარყოფითი დამოკიდებულება პარლამენტისადმი, როგორც სამართლიანათ შეიშნა თავის მოხსენებაში ამბ. **ბუხარინმა** (ამბ. ბუხარინი იყო პირველი მომხსენებელი პარლამენტარიზმზე), რომ ანტიპარლამენტარისტების უკანასკნელი საბუთი მდგომარეობს იმათ საკუთარ სისუსტეში, ვინაიდან, სადაც მუშათა მოძრაობა საკმარისად ძლიერია და სადაც სოციალისტური პარტიები სწორ ნიადაგზე დგანან და მუშათა კლასს არ ღალატობენ, იქ ადგილი ქონდა და აქვს პარლამენტის გამოყენებას რევოლიუციის სასარგებლოდ, როგორც, მაგ., რუსეთში, ბულგარიაში, სერბიაში, იტალიაში და სხვ.

საკითხი პარლამენტარიზმზე არის, რა თქმა უნდა, ტაქტიკური საკითხი. ბურჟუაზიული პარლამენტის გამოყენების წინააღმდეგნი არიან **გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია** ლაუფენბერგის, ვოლფგეიმის, ხორნერის, კარლ შრედერის და სხვების მეთაურობით, შემდეგ ჰოლანდიის **ტრიბუნისტები,** ინგლისში **„მუშათა სოციალისტური ფედერაცია"** და **„მუშათა სოციალისტური პარტია"**, მემარცხენე ფრთა იტალიის სოციალისტურ პარტიაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ამბ. **ბორდიგა, მსოფლიოს სამრეწველო მუშები** ამერიკაში და სხვ. ამბ. ბუხარინი თავის მოხსენებაში ორმად შეეხო საკითხს; მან უწინარეს ყოვლისა აღნიშნა, რომ თავის ტაქტიკის გამომუშავების დროს ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ ამა თუ იმ ეპოქის კონკრეტიული დაფასებიდან. კაპიტალიზმმა თავისი მშვიდობიანი ხანა დაამთავრა; ახლა იგი გადაიდა დაშლის ანუ სამოქალაქო ომის ხანაში; ამის მიხედვით, თუ წინეთ სოციალისტური ფრაქციები ბურჟუაზიულ პარლამენტში ჩაექცევენ, მათი შემადგენელი ნაწილი შეიქნენ, დღეს იმათ პარლამენტის დამრღვეველი როლი უნდა ითამაშონ. პარლამენტი შიგნიდან უნდა ააფეთქონ, ან ხელი უნდა შეუწყონ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინც ამ აფეთქებას. იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ევროპის ქვეყნების თითქმის ყველა სოციალისტურ ფრაქციების მოღვაწეობას, იმათ პროგრამას და ამტკუნებს იმათ, როგორც უტაქტობაში, ისე პირდაპირ ღალატში, რამაც ხელი შეუწყო ანტიპარლამენტარიზმის ზრდას. ბუხარინის აზრით, არიან ორგვარი მოწინააღმდეგენი პარლამენტში რაიმე მონაწილეობის მიღებისა. ერთნი პრინციპიალურათ უარყოფენ პარლამენტში რაიმე მონაწილეობის მიღებას; მეორენი გამოდიან რა თანამედროვე ისტორიული მომენტის დაფასებიდან, ამტკიცებენ, რომ პარლამენტმა მოჭამა დრო, რომ დღევანდელ მომენტში ის არ წარმოადგენს უკვე ბრძოლის ნამდვილ იარაღს. პირველებს ეკუთვნიან, მაგ., მსოფლიოს სამრეწველო მუშები ამერიკაში; ისინი ურევენ ერთმანეთში პოლიტიკურ ბრძოლას და პარლამენტარულ მოღვაწეობას, და რადგან ამერიკაში პარლამენტი ყველაზე უფრო გამყიდავი გამოდგა, ამიტომ მათ საზოგადოთ პოლიტიკური მოღვაწეობაც ასეთად მიაჩნიათ.

მეორე მიმდინარეობის წარმომადგენელათ შეიძლება ჩაითვალოს ამხ. ბორდიგა, რომელიც იყო მეორე მომხსენებელი ამ საკითხის შესახებ. ბუხარინის აზრით ეს მიმდინარეობაც შემცდარია, ვინაიდან მრავალ ქვეყნებში ჯერ კიდევ არ მომწიფებულა პირობები პირდაპირ პროლეტარიატის დიქტატურის დასაწესებლათ. ასეთ პირობებში ჩვენ ჯერ კიდევ მოგვიხდება პარლამენტებში შესვლა, რათა ისინი შიგნიდან ავაფეთქოთ. ერთი სიტყვით, აუცილებლათ საჭიროა ზოგიერთ პირობებში რევოლიუციონური პარლამენტარიზმის ტაქტიკას დავადგეთ, ისე, როგორც ამას ჩადიოდენ კარლ ლიბკნეხტი გერმანიაში, ხელგუნდი—შვეიცაში, სერბიელი და რუსეთის ამხანაგები; ამ უკანასკნელებმა სხვა და სხვა ისტორიულ პირობებში შესძლეს—სახელმწიფო დუმაში, კერენსკის დროს და დამფუძნებელ კრებაში-გამოეყენებიათ რევოლიუციონური პარლამენტარიზმი.

ამხ. ბორდიგამ განაცხადა, რომ ის არ არის პარლამენტში მონაწილეობის მიღების პრინციპიალური მოწინააღმდეგე. იგი იმ აზრისაა ამ მხრით, რომ რუსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის დიდი განსხვავებაა, რომ დასავლეთ ევრობაში პარლამენტი ვერ გახდება იარაღათ მასის გასარევოლიუციონერებლათ, ვინაიდან პარლამენტები იყო და არის მუშათა კლასის შევიწროების და დატყვეობების იარაღი. ჩვენი დანიშნულებაა ვებრძოლოთ ბურჟუაზიის ბატონობის ძლიერ აპარატს, როგორიც არის პარლამენტი. ყოველ შემთხვევაში, ბორდიგა შიშობს, რომ ვაი თუ პარტიებმა მთავარი ყურადღება მიაქციონ პარლამენტის არჩევნებს და ნამდვილ რევოლიუციონურ მუშაობაზე ხელი აიღონ. მასაში ინტერესი პარლამენტისადმი განელებულია და ვაი თუ ჩვენი მონაწილეობით არჩევნებში ბურჟუაზიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეს დავეხმაროთ. ბოლოს ბორიგამ განაცხადა, რომ თუ კონგრესის გადაწყვეტილება ამ საგანზე მისი შეხედულების საწინააღმდეგო იქნება, იგი, რა თქმა უნდა, სავსებით დაემორჩილება კონგრესის გადაწყვეტილებას.

პარლამენტარიზმის საკითხმაც აზრთა მხურვალე გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. გადაწყდა მიეცათ ლაპარაკის ნება მხოლოდ 6 ორატორისთვის, 3 ბუხარინის ტეზისის სასარგებლოთ, 3—ბორდიგას. პირველი სამი ორატორი იყვნენ: **შაბლინი** (ბოლგარია), **მერფი** (ინგლისი) და **ლენინი;** მეორენი: გალლიკერი (შოტლანდია), **ხუში** (გერმანელი სინდიკალისტი) და **გერეოგი**.

ჩვენ არ მოგვეყავს აქ ამ ორატორების ნათქვამი, მოგვყავს მხოლოთ რამდენიმე უფრო დამახასიათებელი ადგილი ლენინის სიტყვიდან. გააკრიტიკა რა ბორდიგას შეხედულება რევოლიუციონური მარქსიზმის თვალთახედვის წერტილიდან, ლენინმა თქვა: „რა თქმა უნდა, თუ არსებობს პარლამენტის დაუყოვნებელი შეცვლა საბჭოებზე, მით უკეთესი. ჩვენ არა თუ სიტყვით, საქმით დავამტკიცეთ, რომ ამ შეცვლის ყველაზე უფრო გაბედული მომხრეები ვართ. მაგრამ ყოველთვის კონკრეტიული პირობები როდი უწყობენ ხელს ამას და ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ძალა-უფლების დაპყრობის და ბურჟუაზიული პარლამენტის გარეკის მომზადებაზე... რომ შეეძლოთ ბურჟუაზიის ბატონობის ამ ფორმის მოსპობა, ჯერ უნდა შევიჭრეთ პარლამენტში, დავეხმაროთ იმას, რომ ჩანორჩენილ მუშების, წვრილ მოსამსახურეების, გლეხების და დანარჩენ გაყვლეფილ ელემენტების ფართე მასსას დაეჯარგოს ყოველივე იმედი პარლამენტის საშუალებით თავისი მდგომარეობა გაიუმჯობესონ. აიღეთ მაგალითი რუსეთიდან. თუმცა ჩვენ მეტად ჩქარა განვლეთ ბურჟუაზიული დემოკრატიზმი, ჩვენც იძულებული შევიქენით მოგვეწვია დამფუძნებელი კრება, რაცა არა თეორიებით, არამედ გამოცდილებით. გვეჩვენებია მასისთვის პარლამენტის დანგრევის აუცილებლობა, და როცა ჩვენ შევაგროვეთ საკმარისი ძალები, ჩვენ ეს შევასრულეთ. თქვენ იმეორებთ,—მიმართავს ლენინი ბორდიგას მონხრეებს,—რომ პარლამენტი ყოველგვარ წარმოადგენს ბურჟუაზიის ხელში დატყვეილების და სიცრუის იარაღს, მაგრამ ეს ხომ თქვენ წინააღმდეგ ლაპარაკობს იმას, რომ თქვენ მეტად სუსტი ხართ გამოიყენოთ რევოლიუციონური პარლამენტი. საერთოდ ანტიპარლამენტარულ სინდიკალისტების და ანარქისტების ყველა საბუთი არსებითად იმას ამტკიცებს, რომ ისინი სუსტნი არიან აწარმოვონ თავისი პარლამენტარული ბრძოლა. შემდეგ ლენინი ბორდიგას საპასუხოთ ამბობს, რომ გაკვირვებულია, როცა ასეთივე საბუთი ესმის მარქსისტისაგან. როცა ამბ. ბორდიგა ამბობს, რომ შეუძლებელია შევქნათ ნამდვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური პარლამენტარული ფრაქცია, მუშებს უფლება აქვს უპასუხონ მას, რომ თუ რომ კომუნისტებს არ შეუძლიათ შექმნან გაწვრთნილი, პარტიის წინაშე პასუხისმგებელი ფრაქცია, მაშ როგორ-ღა ფიქრობენ ისინი ძალა-უფლების ჩაგდებას ხელში".

დასასრულ, მიღებულ იქნა ამხ. ბუხარინის ტეზისები, რომელთა დიდა ეზრი მდგომარეობს იმაში, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ბურჟუა-ზიული პარლამენტარიზმის და დემოკრატიზის ილიუზიები მასსაში ჯერ კიდევ ცოცხლობენ, სადაც ჯერ კიდევ არ დაწყებულა პირდა-პირი ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის დასაწესებლათ, აუცი-ლებლათ საჭიროა ბურჟუაზიულ პარლამენტებში მონაწილეობის მი-ღება იმ მიზნით, რომ ბურჟუაზიული წესწყობილების ასაფეთქებლათ ლეგალური მუშაობა პარლამენტში და არალეგალური მუშაობა პარ-ლამენტის გარეთ, მუშებში, გლეხებში, ჯარში და სხვ. მწყობრათ შეერთებული და შეწყობილი იქნას. ეს დადგენილება ისე, როგორც ყველა დანარჩენი დადგენილებები, სავალდებულოა ყველა კომუნის-ტურ პარტიებისა და მუშების სხვა ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში შედიან. უნდა შევნიშნოთ, რომ მესამე ინტერნაციონალის გარეთ რჩებიან ამ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით მხოლოთ გერმანიის „მემარცხენე" კომუნისტები, რომლე-ბიც შეადგენენ „გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიას" და რომ-ლებიც მეორე კონგრესს არ დასწრებიან, თუმცა მოწვეული კი იყვნენ. გერმანიის „მემარცხენე" კომუნისტები მსჯელობენ მეტის მეტათ ბავ-შურათ. მათ მეტათ ბავშური წარმოდგენა აქვთ ისტორიულ მოვლე-ნებზე; ის გარემოება, რომ ბურჟუაზიულმა პარლამენტარიზმმა ისტო-რიულათ უკვე მოჭამა თავისი დრო, რომ უკვე დაიწყო პროლეტარია-ტის დიქტატურის ეპოქა, იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა ქვეყნებში პროლეტარიატს დღესვე შეუძლია ბურჟუაზიული პარლამენტის და-გრევა და მის მაგიერ თავისი დიქტატურის დადგენა. კომუნისტების და კომუნისტური პარტიის ტაქტიკა ამ შემთხვევაში შესანიშნავი ცოდნით და გასაოცარი წინდახედულობით გამოხატულია ამხ. ლენინის შემ-დეგ სიტყვებში: „უნდა შევაერთოთ,—ამბობს იგი,—კომუნიზმის იდე-ებისადმი უსასტიკესი ერთგულება ერთი მხრით და მოხერხება და ცოდნა, წავიდეთ ყოველივე საჭირო და აუცილებელ პრაქტიკულ კომ-პრომისებზე, შეთანხმებაზე, ზიგზაგებზე, დათმობებზე, უკან დახევაზე და სხვ., რათა დავაჩქაროთ გენდერსონების ანუ მეორე ინტერნაციო-ნალის გმირების პოლიტიკური ძალა-უფლების განხორციელება, და-ვაჩქაროთ იმათი აუცილებელი გაკოტრება პრაქტიკაზე... დავაჩქა-როთ აუცილებელი შეჯახ-შემოჯახება, დავა, კონფლიკტები და სრულ-ი გათიშვა გენდერსონებსა, ლოიდ-ჯორჯებსა და ჩერჩილებს შორის (მენშევიკებსა და ესერებსა, კადეტებსა და მონარქისტებს შორის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიდემანელებს, ბურჟუაზიასა. კაპ-ლიუტვიცებს შორის) და სისწორით ამოვარჩიოთ სამღვთო კერძო საკუთრების ყველა ამ ბურჯიბს შორის ნამდვილი გათიშვის ისეთი მომენტი, რომ პროლეტარიატის გაბედული იერიშით დავამარცხოთ ყველა ისინი და დავიპყრათ პოლიტიკური ძალა-უფლება“ *).

ასეთია ალი და მოქნილი ტაქტიკა კომუნისტების და კომუნისტური პარტიის დღეანდელ რთულ მომენტში და კერძოთ საქართველოს კომუნისტურ პარტიას მართებს დიდი შორსმჭვრეტელობა, წინდახედულება და გამჭრიახობა თავისი ტაქტიკის გამომუშავებაში. ჩვენში სიტუაცია ბევრნაირათ სხვაგვარია, ვინემ დასავლეთ ევროპაში, ვინაიდან ჩვენი გენდერსონების, ლეგინების, შეიდემანების, ნოსკეების—ჟორდანია-გეგეჭკორ-წერეთელ-რამიშვილების დემოკრატიული ცდა უკვე დრომოჭმულია, თუმც შეუძლებელია იმის თქმა, რომ „დემოკრატიულ“ გაბრუებას მუშათა ზოგიერთ წრეებში, სამწუხაროთ, ჯერ კიდევ ადვილი არ ქონდეს. ყოველ შემთხვევაში, მშრომელი მასსა, ქალაქის და სოფლის მუშები,—ჩვენში იმდენათ გამოწაფულია კლასობრივ ბრძოლაში, რომ ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ის რევოლიუციონური მარქსიზმის ტაქტიკას არასოდეს არ უღალატებს.

პროფესიონალური კავშირები.

დაახლოვებით ისეთივე მდგომარეობაა შექმნილი რეაქციონურ ყვითელ პროფესიონალურ კავშირების მიმართ, როგორც ბურჟუაზიულ პარლამენტების მიმართ. არავისთვის დასამალავი არაა, რომ თუ დღეს მეორე ინტერნაციონალს კიდევ რაიმე ძალა შერჩენია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანიის, ინგლისის, ამერიკის პროფესიონალური კავშირები, რომლებიც ერთებენ და აკავშირებენ მილიონ მუშებს, მას ჯერ კიდევ მხარს უჭერენ. იმავე დროს კი ზოგიერთი „მეშარცხენე“ კომუნისტები ერთი მხრით და ინგლისის შოპ-სტიუარტები (საფაბრიკო-საქარხნო საბჭოები ანუ კომიტეტები) და საფაბრიკო საქარხნო კომიტეტები გერმანიაში ქადაგებენ ძველ რეაქციონურ პროფეს. კავშირების „რასკოლს“, გათიშვას, იმათგან საუკეთესო ძალების გამოყოფას და ახალ რევოლიუციონურ კავშირების დაარსებას. ეს ლოზუნგი კი ნიშნავს არა მასსებთან, არა მასსების გარევოლიუციონერებას, არამედ შორს მასსებიდან, ამ მასსების ბურჟუაზიის აგენტების,—ბ. ბ. გომპერსების, ლეგინების, ჟუოების და კამპ. ანაბარა მიტოვებას. რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა მუშათა კლასის ნამდვილი მტრებისთვის დიდი სამსახურის გაწევა.

---

*) დასახ. წიგნის გვ. 87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის დანიშნულება ამ ხანაში მდგომარეობს იმაში, რომ რაიმე ნაირათ დავიპყრათ ძველი პროფ. კავშირების ძლიერი აპარატი, გამოვყოროთ იქიდან მუშების პირდაპირი მოღალატენი და კაპიტალისტების დაქირავებული აგენტები, როგორც არიან გომპერსები, ჟუოები, ლეგინები და სხვ., და გამოვიყენოთ ის როგოლიუციის სასარგებლოდ, პროლეტარიატის დიქტატურის უმთავრეს დასყოდნობ ბურჯად. ამიტომ არამ კ და არამც არსებულ პროფ. კავშირების გაპობა, არამედ იქ შესვლა, იქ მუშაობა. ასეთია მესამე ინტერნაციონალის დამოკიდებულება ამ საკითხთან. ამ გვარათ გამომუშავებული იყო ტეზისები მეორე კონგრესისთვის. მოხსენება წაიკითხა ამხ. **რადეკმა**. მოიხსენებელმა პირველათ აღნიშნა ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა; მან უჩვენა, რომ პროფესიონალური კავშირები მილიონ მუშებს აერთებენ, რომ პროლეტარულ სახელმწიფოში, როგორც, მაგ., საბჭოთა რუსეთში, პროფესიონალური კავშირები უნდა გადაიქცენ პროლეტარიატის დიქტატურის ერთ ძირითად სამეფურნეო ორგანიზაციად. საინტერესოა, რომ ამის შემდეგ მოხდა პროფ. კავშირების წევრების რიცხვის ზრდა, მაგ, **გერმანიაში** ომამდე იყო ორ ნახევარ მილ. წევრები, ახლა კი 8 მილ.; ინგლისში ოთხ ნახევარ მილ. ომამდე და ექვს ნახევარ მილ. ომის შემდეგ; **საფრანგეთში** 400,000 ომამდე, ახლა 2 მილ. **იტალიაში** დღეს ითვლება 2 მილ. წევრი; ამერიკაში 2 მილიონიდან 4 მილიონამე ავიდა; საბჭოთა რუსეთში პროფკავშირებში ითვლება 4 მილ. წევრი. აქედან აშკარაა, რომ ომის გამოცდილებამ მუშათა კლასი დაარწმუნა დიდი ძლიერი კავშირების შექმნის საჭიროებაში. ჩვენი ტაკტიკა პროფ-კავშირების შესახებ უნდა გამომდინარეობდეს მომენტის და ეკონომიური კონიუნქტიურების დაფასებიდან. დღეს ხდება კაპიტალიზმის დაშლის პროცესსი. პროფკავშირები წინეთ იბრძოდენ თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელფასის აწევის საშვალებით. მაგრამ დღეს ყოველად შეუძლებელია ამ გზით მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება რეფორმების საშვალებით, როგორც ოპორტიუნისტები ფიქრობენ. მუშათა კლასი დღეს ყოველგან, როგორც დამარცხებულ, ისე გამარჯვებულ ქვეყნებში ერთნაირათ იტანჯება პირველი მოთხოვნილების საგნების უქონლობის ან სიძვირის გამო. მდგომარეობა ამ მხრით თანდათან და სულ უფრო და უფრო უარესდება. აუცილებლათ საჭიროა ამ ჭეშმარიტების შეგნება ფართო მასსების მხრით, საჭიროა ამ მასსების ჩათრევა ბრძოლაში. მართალია, იქ დიდ დაბრკოლებებს ვხვდებით. სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა გვარი მდგომარეობაა. მაშინ, როცა გერმანიაში პროფესიონალური კავშირები მოდებულია ფართო მასსებს და არა მარტო მუშათა კლასის მაღალ ფენებს. ეგრეთ წოდებულ მუშათა არისტოკრატიას, ამერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაში, პირიქით, შრომის ფედერაციაში შედის უმეტეს ნაწილათ მუშათა არისტოკრატია, მუშა-ხელოსნები, მუშათა ფართო მასსები კი შეუკავშირებელია, ამიტომ აქ ჩვენ ანგარიში უნდა გაუწეოთ ახალ რევოლიუციონურ პროფ.-კავშირების შექმნის შესაძლებლობას. ამავე მიზეზით ამერიკაში ჩვენ მხარს ვუჭერთ „მსოფლიოს სამრეწველო მუშებს", მაგრამ ამავე დროს ჩვენ უნდა ვიმუშაოთ აგრეთვე ყვითელ პროფესიონალურ კავშირებში, რომელსაც აერთებს ამერიკის შრომის ფედერაცია მით უმეტეს, რომ გარევოლიუციონერების პროცესი არ აცდა არც ამ კავშირებს. ამნაირათ, მომხსენებლის აზრით ჩვენ წინაშე დგას პროფ-კავშირების დაპყრობა და არა მათი დანგრევა.

რაც შეეხება საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს გერმანიაში და შოპ-სტიუარტებს (საფ.-საქარხნო საბჭოებს) ინგლისში, ისინი მოდებულია მუშების უფრო რევოლიუციონურათ განწყობილ, უფრო აქტიურ ელემენტებს შორის. მართალია, იმათ არ აქვთ ჯერ მიღებული მკვიდრი ორგანიზაცია, არ აქვთ განსაზღვრული სტატუტები (წესდებები), მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა როდი აქვს ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მუშათა კლასის ახალ ორგანიზიციებს დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან პროფესიონალური კავშირები ამათთან შედარებით უფრო ვიწრო, ცეხური ორგანიზაციებია, ისინი არ ედებიან ყველა მუშებს. ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა ასეთ ორგანიზაციებს და იმათ სათავეში უნდა მოექცენ კომუნისტები და უხელმძღვანელონ იმათ. დასასრულ მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თუმცა სინდიკალური მოძრაობა ჩვენ მიკვანია რევოლიუციონურ მოძრაობათა, მაგრამ მეორე მხრით სინდიკალისტების თვალთახედვის წერტილს ჩვენ ვთვლით შემცდარათ, ვინაიდან ბურჟუაზიის დაუმხობლათ და პროლეტარიატის დიქტა ურის განუხორციელებლათ შეუძლებელია სოციალიზმის დამყარებაო,—ასე დამთავრა თავისი სიტყვები ამბ. რადეკმა. ამ საკითხის შესახებ გამოწვეულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: **ფრაინემ** (ამერიკა), **ტენნერმა** (ინგლისი), **ვალტერმა** (გერმანია), **ზილანმა** (ამერიკა), **ბომბაჩიმ** (იტალია), **რიდმა** (ამერიკა), **ლოზოვსკიმ** და **ზინოვიევმა** (რუსეთი). ამერიკელი და ინგლისელი ამხანაგები ამტკიცებდენ, რომ ანგლო-საქსონურ ქვეყნებში განსაკუთრებული პირობებია, რომ ამერიკაში მუშების 80 პროც. კავშირების გარეშე იმყოფებიან, ამიტომ არსებულ კავშირებში მუშაობას ისე დიდი მნიშვნელობა როდი აქვს, როგორც ახალ ორგანიზაციებში მუშაობასო და სხვ. ყველა ამ ორატორების სიტყვებიდან ყურადღების ღირსია ამხ. ვალტერის სიტყვა. ორატორმა აღნიშნა, რომ მართალია ინგლისში და ამერიკაში პირობები მართლაც მეტად რთულია და ადვილი გასაგებია ის ზიზღი, რომლითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშები გამსჭვალული არიან ბელადების პოლიტიკანობის მიმართ, მაგრამ ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ობიექტიური რევოლიუციონური სიტუაცია, რომელიც ხელს უწყობს კომუნისტებს შიგნიდან განაახლონ ეს სხვილი ორგანიზაციები. თუმცა ზოგიერთ ამხანაგებს ეს დანიშნულება მეტათ ეძნელებათ, მაგრამ ერთხელ და სამუდამოთ უნდა ვთქვათ, რომ თუ არ იმ მასსების საშუალებით, რომლებიც ამ კავშირებშია, კომუნისტები ვერ შესძლებენ თავის დანიშნულების განხორციელებას, ე. ი. დიქტატურის დამყარებასო.

საკუთრივ გერმანიის შესახებ ამხ. ვალტერმა განაცხადა: გერმანიის კომუნისტები და დამოუკიდებელთა მემარცხენე ნაწილი ერთნაირად უყურებენ საფაბრიკო საქარხნო კომიტეტებს, რომლებსაც ისინი უპირდაპირებენ რეაქციონურ ყვითელ პროფ. კავშირებს. ორატორებს არ დაუმალავს ის გარემოება, რომ ბ. ბ. ლეგინები და კომპ., რომლებიც ეყრდნობიან მემარჯვენე დამოუკიდებლებს, ჯერჯერობით ამ საკითხში სრული გამარჯვებულები არიან, მაგრამ ჩვენო, — განაცხადა ამხ. ვალტერმა, — მხარს დავუჭერთ გერმანიის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საყოველთაო სიეზდს და შეგნებულათ ვიბრძოლებთ იმათ გაერთიანების დამოუკიდებლობისთვის რეაქციონურ პროფ. კავშირების წინააღმდეგო. კონგრესმა შემდეგ მიიღო ხმის დიდი უმრავლესობით რეზოლიუცია, რომელიც აუცილებელ საჭიროებათ სთვლის რეაქციონურ პროფ. კავშირებში მუშაობას, რომელიც ავალებს კომუნისტურ პარტიებს ყველა ქვეყნებში ამ კავშირებში კომუნისტური იაჩეიკების შექმნას და იმათ გაწმენდას ლეგინებიდან, გომპერსებიდან და ჟუოებიდან. ჩვენ ვიცით, რომ ამ კავშირებში ღრმა მოძრაობა უკვე დაიწყო. ინგლისის ტრედიუნიონები უკვე ისეთები აღარ არიან, რაც წინეთ იყვენ. ასევე უნდა ვთქვათ ამერიკის შრომის ფედერაციის შესახებაც. გერმანიაში ეს გამოფხიზლება კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯით ხდება. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავმალოთ ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ავანგარდული და მტაცებელი ბურჟუაზია ჯერ კიდევ ეყრდნობა ყვითელ **პროფესიონალურ კავშირების ამსტერდამის ინტერნაციონალს,** რომელიც აროსებითად ეგრეთ წოდებულ **ნაციათა ყაჩაღურ ლიგის** ფილიალური განყოფილებაა. როგორც ვიცით, ბურჟუაზიამ დაკარგა მეორე ინტერნაციონალი, როგორც **მუშათა პოლიტიკურ ორგანიზაციების** გაერთიანებული კავშირი. მეორე ინტერნაციონალის როლს ახლა ასრულებს იმპერიალისტური ბურჟუაზიისათვის პროფ. კავშირების ამსტერდამის ინტერნაციონალი. მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი უკანდებს დაუზოგველობას ამსტერდამის ყვითელ საერთაშორისო ორგანიზაციას. მან სასიკეთოდ დაამარცხა მეორე ინტერნაციონალი. იგი დარწმუნებულია ასევე დაამარცხებს ამსტერდამის კავშირისაც. ამას მიახწევს კომუნისტური ინტერნაციონალი იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ პროფეს. კავშირების მომხრეობით, რომლებიც დღეს არსებობენ ინგლისში, გერმანიაში, ამერიკაში. რამდენად კომუნისტური ინტერნაციონალი ეწინააღმდეგება არსებულ რეაქციონურ პროფ. კავშირების გაპობას, რევოლიუციონური ელემენტების იმათგან გამოსვლას და საკუთარ პროფ. კავშირების შექმნას ცალ-ცალკე ქვეყნებში, იმდენად ის მომხრეა **ამსტერდამის გაერთიანების პირის პირ საერთაშორისო ფარგალში ახალ წითელ პროფ. კავშირების ორგანიზაციის შექმნის.** ასეთ ორგანიზაციას უკვე მიეცა დასაწყისი. მოსკოვში მეორე კონგრესის დროს შესდგა წითელ პროფ. კავშირების **საერთაშორისო საბჭო,** რომელმაც მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს და რომელიც ახლო მომავალში მოიწვევს წითელ რევოლიუციონურ პროფ. „კავშირების **საერთაშორისო სიეზდს** (კონგრესს).

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ, როგორც ამბობს **ლენინი,** დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში „იქაური მენშევიკები უფრო გამაგრებული არიან პროფ. კავშირებში", ვინემ ჩვენში, რომ იქ გამოიყო უფრო ძლიერი ნაწილი პროფესიონალური, ვიწრო, თავმოყვარე, უგულო, ანგარებიანი, მეწარბანური, იმპერიალისტურათ განწყობილი და იმპერიალიზმის მიერ მოყიდული, იმპერიალიზმის მიერ გარყვნილი მუშათა არისტოკრატიისა, ვინემ ჩვენში. ეს უდავოა, ბრძოლა გოპპერსებთან, ეუოებთან, გენდერსონებთან, მერრჰეიმებთან, ლეკინებთან და კომპანიასთან დასავლეთ ევროპაში ბევრათ უფრო ძნელია, ვინმე ბრძოლა ჩვენ მენშევიკებთან. ეს ბრძოლა ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ დეუზოგველათ და უთუოთ უნდა მივიყვანოთ ის სრულ შერცხვენამდე და პროფ. კავშირებიდან განდევნამდე ოპორტიუნიზმის და სოციალ-შოვინიზმის ყველა გაუსწორებელ ბელადებისა". *) და ეს იქნება.

(დასასრული იქნება)

---

*) „Детская болезнь „левизны" в коммунизме" გვ. 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სოც.-დემ. მუშ. პარტიის მოხსენება

ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესისადმი (1904 წ. 14—20 აგვისტო)

I. რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება. საერთო მიმდინარეობა 1900—1904 წ.წ

პერიოდი, უკანასკნელი საერთაშორისო კონგრესის შემდეგ, მეტად დამახასიათებელი ეპოქა იყო მთელი რუსეთია საზოგადოების, კერძოთ კი მუშათა მოძრაობის და მისი ხელმძღვანელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიაში.

ოთხმოცდაათიან წლებში ფართედ განვითარებულმა საგაფიცვო მოძრაობამ და მასთან დაკავშირებულმა პოლიტიკურმა უკმაყოფილებამ მუშათა მასებში, პირველათ ნათლათ დაანახვა რუსეთის საზოგადოების და ხალხის ოპოზიციონურ და რევოლიუციონურ ფენებს არსებობა მასსიური ძალის, რომელიც მზად იყო დაეწყო ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. და მარტო ეს ფაქტი საკმაო იყო სტუდენტობის, დემოკრატიული ინტელიგენციის და ლიბერალური ერობის მხრივ თვითმპყრობელობაზე იმ რევოლიუციონური შეტევის გაძლიერებისათვის, რომელიც მანამდე ესოდენ უნაყოფო იყო და ლიბერალური და დემოკრატიული ოპოზიციის ამ ზრდასთან ერთად, თავისი უკიდურესი წარმომადგენელების სახით, რომლებიც ეძებდენ დასაყრდნობს, იმავე მუშათა მასებში და ცდილობდენ მათთან მისვლას იმ ჯეკლასიური quasi-სოციალისტური პროგრამით, რომელიც ასე ბევრს პირდება ყველა „მშომელთ“ და ასე ცოტას აძლევს პროლეტარიატს, ამასთან ერთად არაჩვეულებრივათ გართულდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამოცანები, რომელიც მანამდე, საკმაოთ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეკავშირებული რევოლიუციონერი მოძრაობის ერთად-ერთი წარმომადგენელი იყო. კრიზისს, რომელიც წარსული საუკუნის დამლევს და ახლანდელი საუკუნის დამდეგს მოედვა რუსეთის მრეწველობას, განსაკუთრებით სამხრეთში, თან სდეედა უდიდესი უმუშევრობა, შრომის ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასის შემცირება, შრომის ყველა პირობების გაუარესება დამამ-
წარმოშვა მუშათა ფართე მასებში პოლიტიკური მღელვარების და
უკმაყოფილების უდიდესი ტალღა. ეს მღელვარება თავის მხრივ გა-
მოიხატა მთელ რიგ, ხშირად სრულიად სტიქიურად წარმოშობილ
პროტესტებში, რომელმაც უმაღლეს წერტილს მიაღწია იმ გრანდიო-
ზულ საყოველთაო გაფიცვაში, რომელიც 1903 წლის ზაფხულში,
როგორც ეპიდემია, მოედო რუსეთის მთელ სამხრეთ ნაწილს და
რამდენიმე დღით შეაჩერა ვეებერთელა რაიონის მთელი სავაჭრო
და სამრეწველო ცხოვრება.

ამავე დროს საჭირო დარჩა ბრძოლა მთავრობის იმ პოლიტი-
კასთან, რომელიც ცნობილია „ზუბატოვშჩინის“ სახელით და გამოი-
ხატება მუშათა მასების გახრწნას და მის პოლიტიკურ მონობის
უღელქვეშ მოქცევის ცდაში, ვითომდა მისი უახლოესი ეკონომიური
ინტერესების მფარველობის სახით. ამ პოლიტიკით, რომელიც შემო-
იღო მოსკოველმა ჟანდარმმა ზუბატოვმა, ფარულად სარგებლობდა მე-
ფის პოლიცია და მან პირველ ხანებში ერთგვარი არევ-დარევა შეი-
ტანა მუშათა რიგებში. მაგრამ, ჩქარა, მეფის მოავრობა დარწმუნდა,
რომ შეუძლებელია დაუსჯელათ ცეცხლთან თამაში და რომ ერთჯერ
გაღვიძებული, თუ გინდ პოლიციის ჩურჩულის ზეგავლენით,—თავისი
თუნდაც წვრილალი ინტერესებისათვის საბრძოლათ,—პროლეტარიატი
არ შეჩერდება იმ წერტილზე, რომელსაც უკარნახებენ მას ზევიდან,
არამედ სწრაფად წავა წინ ბრძოლის უფრო ფართე სფეროებისაკენ
და დამსხვრევს პოლიციის დემაგოგების ბინძურ ზრახვებს.

ამ პერიოდში ამოძრავდა გლეხობაც. ბატონ-ყმობისაგან 1861 წ.
19 თებერვალს ფორმალურად განთავისუფლებული რუსეთის გლეხობა,
თვით განთავისუფლების პირობების წყალობით, რჩებოდა და სინამ-
დვილეში დარჩა საგრძნობლათ მემამულის მონობაში. არა ნაკლებ
რიოლს—თვითმპყრობელური წესების ნიადაგზე—თამაშობენ ის მიწე-
ბი, რომლებიც ჩამორთმეულ იქნენ „განთავისუფლების“ დროს გლე-
ხების მფლობელობიდან მემამულეების სასარგებლოდ და ახლა უმძ-
ლავრეს იარაღს წარმოადგენენ გლეხების დასამონებლათ. უფრო მეტად
დარჩა გლეხობა სახელმწიფოს მონობის უღელ ქვეშ. სახელმწიფო „ზრუნ-
ველობის“ მთელი სისტემა—1889 წ. საერობო უფროსების შესახებ
კანონის გამოცემის დროიდან, რომელმაც წოდებრივ-მემამულური ხა-
სიათი მიიღო,—საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის და თავისი მი-
წით სარგებლობის უფლების შეკვეცა, პოლიტიკური და მოქალაქეო-
რივი უთანასწორობა, რომელიც იქამდე აღწევდა, რომ გლეხებს ცე-
მით სჯიდენ, სოფელში განათლების საქმის დაბრკოლება, გლეხობის
თითქმის განდევნა საერობო თვითმართველობებში მონაწილეობიდან,
მძიმე გადასახადები, პირდაპირი და განსაკუთრებით არა პირდაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი,—ყველაფერი ეს არაჩვეულებრივად მტკივნეულათ ხდიდა სოფელში იმ ახალი, კაპიტალისტურ საფუძველზე აგებულ ურთიერთობათა შეჭრის პროცესს, რომელიც დაიწყო დაუყოვნებლივ განთავისუფლების შემდეგ. თვითმპყრობელური რეჟიმი, რომელიც აბრკოლებს მეურნეობის ახალ, უმაღლეს ფორმებზე გადასვლას ან გლეხებისათვის, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ შეძლება შერჩენ სოფლის მეურნეობას, რომელიც ხელს უშლის მიწასთან კავშირის სრულიად გაწყვეტას იმათ, ვისთვისაც დაქირავებული შრომა უკვე ახლა წარმოადგენს არსებობის ერთად ერთ საშვალებას; რომელიც მონათ ხდის გლეხს, ვერ შეაჩერებს სოფლის დაშლას და თუ ხელს უშლის გლეხობის **პროლეტარიზაციას**, მხოლოდ და მხოლოდ მისი გაძლიერებული **პაუპერიზაციის** წყალობით. ასეთმა მდგომარეობამ რუსეთის სოფლისათვის შექმნა არაჩვეულებრივ გაჭირვებათა მთელი რიგი, რაც ყველაზე ნათლათ გამოიხატა სიმშილობაში, რომელიც წლიდან წლამდე ედებოდა რუსეთის ხან ერთს და ხან მეორე რაიონს. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, სწრაფი ნაბიჯით ვითარდება სოფლის იმ ტრადიციული იდეოლოგიის ნგრევაც, რომელიც შეეჩვია მფარველის დანახვას ღმერთში ზეცაში და მეფეში მიწაზე. არსებული მდგომარეობით უკმაყოფილება ედებოდა უფრო და უფრო ფართე მასებს, განსაკუთრებით გლეხობის უღარიბეს ფენებს. პოლიტიკური აგიტაციის ის თესლები, რომლებიც შემოჰქონდათ თავიანთ სოფლებში,—როგორც უმუშევრობის, ისე უკმაყოფილო ელემენტების „სამბშობლოში გადასახლების“ გამო, რითაც ფართედ სარგებლობდა მეფის მთავრობა,—დაბრუნებულ პროლეტარებს,— ეს თესლები ნოყიერ ნიადაგს პოულობდენ სოფელში. გლეხობა ამოძრავდა და „გლეხების აჯანყებები“ 1902 წ. მაჩვენებელი იყვენ იმ მწვავე უკმაყოფილების, რომელიც მოედვა სოფლის მასებს. აქის გარდა, მრავალ ადგილებში დაიწყო გლეხობის ორგანიზაციული მოძრაობაც, რომელსაც ნაწილობრივ, მაგალითად კავკასიაში, სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობდა. გლეხობის მოძრაობამ, რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატიის წინაშე არაჩვეულებრივად მწვავედ დასვა აგრარული საკითხი, და ქვემოთ ჩვენ მოგახსენებთ, თუ რა გაკეთდა ამ მიმართულებით.

მოღვაწეობის ახალი ასპარეზი გაიხსნა სოციალ-დემოკრატიისათვის არმიაშიც.

თავის ბრძოლაში რევოლიუციონურ მოძრაობასთან, რომელიც თანდათან იზრდებოდა, მეფის მთავრობა არ შეჩერდა ისეთი საშვალებების წინაშე, რომელთა შესახებ ფიქრიც კი საშინელებათ მოგვეჩვენება მეოცე საუკუნეში. ებრაელების დარბევა, პირველ ყოვლისა კიშინიოვის ამბები, მოწყობილი იყო,—როგორც ეს ნათლათ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამტკიცა თვით იმ quati-სასამართლოებმა, რომლებიც ყველაზე შეტად სინამდვილის დამალვაზე ზრუნავდენ,—შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და მიზნათ ქონდა არა მარტო ხალხის მასების წასისიანება ვითომდა მტერზე—ებრაელებზე, რომ ამით აეცილებიათ მათი ყურადღება ნამდვილი მტერისაგან—თვითმპყრობელობისაგან, არამედ რეეოლიუციონერების დაშინებაც. ჯერ კიდევ კიშინიოვის დარბევა მოწყობილი იყო რამდ. ნიმე დღით ადრე პირველ მაისამდე; სხვა მრავალ ქალაქებში გუბერნატორები აშკარად იმუქრებოდენ, რომ თუ 1-ლ მაისს გაიმართება მუშათა დემონსტრაციები, მთავრობა „ჰოგრომებით“ უპასუხებს.

დაბოლოს, კოლოსალურმა ფაქტმა: რუსეთ—იაპონიის ომმა, რომელმაც, როგორიც არ უნდა დარჩეს მისი შედეგი, არ შეუძლია ძირიან-ფესვიანად არ შეარყიოს რუსეთის თვითმპყრობელობის დაძველებული შენობა, ჩვენს პარტიას დააკისრა ისეთი მოვალეობანი და ისეთი სურთუ ე შეიტანა მის მოღვაწეობაში, როგორთანაც მას საქმე არ ჰქონებია არასოდეს წინათ.

არ არის გასაკვირი, რომ ყველ ა ამ პირობების ნიადაგზე, რომელიც სდგას რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე მისი წარმოშობის დღიდანვე და გამოხატება პროლეტარიატის კლასობრივი პარტიის შეკრებაში ისეთ ეპოქაში, როცა ჯერ კიდევ მთელი ბურჟუაზიული საზოგადოება იბრძვის თავისი თავისუფალი განვითარების ელემენტარული უფლებებისათვის, გასაკვირი არ არის, რომ ყველაფერმა ამან აროჩვეულებ~ივათ მდიდარი და შინაარსიანი გახადა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, როგორც გარეგანი, ისე შინაური ცხოვრება ზემოხსენებული პერიოდის განმავლობაში.

ამ ცხოვრების მოკლე მიმოხილვაზე გადავდიეართ ჩვენ ახლა, მაგრამ წინასწარ საჭიროთ მიგვაჩნია ღვნიშნოთ, რომ ჩვენგან დამოუკიდებელმა მიზეზებმ. ხელი შეგვიშალეს, რომ ჩვენი მიმოხილვა ყოფილიყო თუნდაც შედარებით მოლიანი და ვრცელი, რაც საჭირო იყო, რომ მოგვეცა საკმაოთ ნათელი წარმოდგენა განვლილი პერიოდის შესახებ.

II. ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ 1900—1904 Წ.Წ.

ა) გაფიცვები.

მოხსენებაში, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დელეგაციამ წარუდგინა 1900 წ. პარიზის საერთაშორისო კონგრესს, საკმაოთ ვრცლათ იყო ჩამოთვლილი და აწერილი ის საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც 90-იანი წლების ეპოქისათვის ახალ და მეტად თვალსაჩინო ეპოქას წარმოადგენდა რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლანდელ მოხსენებაში ჩვენ ვერ ჩამოვთვლიდ(ით მას ასე დაწვრილებით, და არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ ხელს გვიშლიან ის პირობები, რომელთა შესახებ ვლაპარაკობდით წინა §-ის ბოლოში. არა,—საგაფიცო მოძრაობამ ისეთი ფართე ხასიათი მიიღო, რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების ისეთ ჩვეულებრივ ფაქტად გადაიქცა, რომ შედარებით სრული რეგისტრაცია მისი შეუძლებელი გახდა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პრესის თავისუფლების უქონლობის და ცენზურის მიერ მუშათა მოძრაობის შესახებ ცნობების გამოქვეყნების სისტემატიურად აკრძალვის და პროფესიული კავშირების თითქმის სრულიად უქონლობის პირობებში, გაფიცვების უდიდესი ნაწილი იწყება და მიმდინარეობს სტიქიურად და თითქმის—რამდენათაც ლაპარაკია ისეთ გაფიცვებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ რაიმე არა ჩვეულებრივს მონაწილეთა რაოდენობის ან გაფიცვის დროს მომხდარი ამბების მხრით,—შედარებით მცირე ყურადღებას იპყრობენ. პარტიულმა ორგანიზაციებმა, ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით, ვერ მოახერხეს საგაფიცო მოძრაობის თავის ხელმძღვანელობის ქვეშ მოქცევა; ამისათვის არ არის არც საკმარ ძალები და არც საშუალებები, ვინაიდან თვით უბრალო—ევროპიული მასშტაბით—ჩარევა სოციალ-დემოკრატიისა გაფიცვის მიმდინარეობაში, არალეგალური მუშაობის პირობებში, მოითხოვს შედარებითი დიდი რევოლიუციონური ენერგიის დახარჯვას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთგვარი როლი საგაფიცო მოძრაობის მიმდინარეობასა და განვითარებაში სოციალ-დემოკრატიის შედარებით ასე მცირე მონაწილეობაში ითამაშა იმ გარემოებამ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მან მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო უშუალოთ პოლიტიკურ აგიტაციას და ბრძოლას, და უკვე პარტიის მეორე ყრილობაზე დაისვა ამ ცალმხრივობის გამოსწორების საკითხი. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მთელ სივრცეზე ტრხანგელსკიდან კავკასიამდე და პეტერბურგიდან ციმბირის უშორეს რაიონებამდე—სანაპირო და იაკუტსკის ოლქამდე და თვით „ოკუპაცია ქმნილ“ მანჯურიამდის არ არის არც ერთი ოდნავ ინიშნველოვანი სამრეწველო და საავაჭრო კუთხე, რომელსაც არ ეხილოს გაფიცვა. არ მოიპოვება შრომის არც ერთი დარგი—საქარხნო—ფაბრიკა—ქარხნის, სამთო-მადნო წარმოების და რკინის გზელი მუშებიდან დაწყებული მეეტლემდე, მტვირთავამდე, ტორფის ჭაობების და სოფლის მეურნეობის მუშამდე—რომელთა წარმომადგენლებს არ ეცადათ გაფიცვის საშუალებით გაეუმჯობესებინათ თავისი ეკონომიური მდგომარეობა. ხშირათ გაფიცვის მიზეზი ხდებოდა მოთხოვნილება უფრო ზრდილობიანი მოპყრობის და ქარხანაში „გაჩხრეკის“ გაუქმების შესახებ, რაც ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელი მაჩვენებელია ნუშათა მასებში საკუთარი ღირსების დაფასების და შეგნების ზრდის.

წინა პერიოდთან შედარებით არ შეიძლება არ აღნიშნოს, რომ მუშებში თანდათანობით ძლიერდება ლტოლვა აწარმოონ გაფიცვები იმ ძალადობის, ფაბრიკა-ქარხნის შენობის დანგრევის, ცეცხლის წაკიდების და სხვ. გარეშე, რაც ყოველგან და მათ შორის რუსეთშიც, თან სდევს მონობაში, სიბნელეში და უვიცობაში ყოფა მასების ბძოლას. და თუ, როგორც ამას დაინახავთ ქვევით, დიდი გაფიცვების საგრძნობ ნაწილს თან ახლდა შეტაკება პოლიციასთან და ჯართანაც კი, რომლის დროს ეცემოდენ ათეული დაჭრილები და მოკლულები, ეს გარემოება აიხსნება არა გაფიცულთა მიერ ძალადობის ხმარებით, არამედ მეფის მთავრობის დაჟინებით სურვილით რაც არ უნდა მომხდარიყო, ძალით ჩაეღრჩო მუშათა მოძრაობა. ასეთი საშინელი ძალადობა, ასეთი მასიური მკვლელობა, იარაღის ასე ფართედ მოხმარა საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ, რასაკვირველია, არ ახსოვს არც ერთ ქვეყანას. ყველა იმ მატერიალურ ძალების, რომელსაც კაპიტალისტური წარმოება აძლევს თანამედროვე მთავრობას, მეფის მთავრობა იყენებდა პირველ ყოვლისა მუშათა კლასთან ბრძოლისათვის, წინააღმდეგ ეგრეთ წოდებულ სოციალისტ-რევოლიუციონერებისა, ჩვენი პარტია შეძლებისდაგვარად ცდილობდა აეცილებია სისხლისმღვრელი კონფლიქტები ჯარებთან და პოლიციასთან. ვისახავთ რა მიზნათ კლასობრივი გრძნობის და მუშათა კლასობრივი ორგანიზაციების განვითარებას, ჩვენ არ გვაქვს საფუძველი სასურველათ ჩავთვალოთ უსარგებლო სისხლის ღვრა, რომელიც, შესაძლოა, დროებით ამწვავებს ადმინისტრაციით უკმაყოფილების გ რ ძ ნ ობ ა ს, მაგრამ არ აშუქებს ამ უკმაყოფილებას კლასობრივი შეგნების სინათლით, დეზორგანიზაცია შეაქვს მუშათა რიგებში და ნაადრევათ ანადგურებს მის ძალებს. ამიტომ ჩვენ ყოველგან ვურჩევდით მუშებს ეწარმოებიათ თავისი ბრძოლა რაც შეიძლება მშვიდობიან ფორმებში, შეცდილიყვენ არ წამოგებოდენ პოლიციის პროვოკაციის ანკესზე და შეეკავებიათ თავისი უფრო განუვითარებული ან გატაცებული ამხანაგები თავისი კანონიერი რისხვის ძალადობაში გამოხატვისაგან.

ჩვენ არ შეგვიძლია ავწეროთ თუ გინდ ყველა დიდი გაფიცვები განვლილი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ჩამოვთვლით მოკლეთ ზოგიერთ მნიშვნელოვან მათგანს მაინც.

1900 წლის 3 ოქტომბერს გაიფიცენ დონის აუზის მაღაროს მუშები. მუშათა მოთხოვნილებები მეტად ზომიერი იყო: აღდგენა ძველი შრომის ხელფასის, რომელიც შემცირებულ იქნა ორი თვით ადრე გაფიცვამდე. გამოწვეულ იქნენ კაზაკები, რომლებიც საქმის გაურჩევლათ, დაერიენენ იქვე ახლო მდგომ ქალებისა და ბავშვების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯგუფს და დაუწყეს მათრახებით ცემა. ამან საშინლათ გააბრაზა და ააღელვა მუშები, რომლებიც გაეშურენ თავისი ოჯახების დასახმარებლათ; გაიმართა ნამდვილი შეტაკება, რომელიც დამთავრდა იმით, რომ მუშებმა დაარბიეს კანტორა, დასწვეს ქაღალდები, დაამსხვრიეს მინები. რბევა მთელი დღე გაგრძელდა. გამოიწვიეს კაზაკების მეოთე რაზმი, რომელმაც ალაყ შემოარტყა და დაატუსაღა სამასი მუშა. შემდეგ დატუსაღებულები გაატარეს კაზაკების რიგებში და სცემეს. გაფიცვა ნაწილობრივი გამარჯვებით დამთავრდა: ზოგიერთ მაღაროებში აღდგენილ იქნა ძველი შრომის ხელფასი, დანარჩენ მაღაროებში შემცირეს უფრო ნაკლებ, ვიდრე წინათ ქონდათ განზრახული.

თვით ისეთ შორეულ კუთხეებში, როგორიც არის იაკუტსკის ოლქი, რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან ათი ათასი ვერსტის მანძილზე, ადგილი ჰქონდა მუშების ორ დიდ გაფიცვას: ლენის ნაპირების ოქროს მაღაროებში—1901 წ. 2—9 იანვარს (მონაწილეობას იღებდა 1700 მუშა) და ბოდაიბოს მაღაროებში—1901 წ. 9—16 იანვარს (მონაწილეობას იღებდა 800 მუშა). ორივე გაფიცვის დროს თითქმის ერთნაირი მოთხოვნილებები იყო წარმოდგენილი: 1. შრომის ხელფასის ყოველთვიურათ მიცემა,—შრომის ხელფასიდან სურსათით მიცემული უნდა იქნას არა უმეტეს 1 მესამედისა, 2. სურსათით თავისუფალი ვაჭრობის ნებართვა, 3. ზოგიერთი მოსამსახურეების შეცვლა, 4. ხელფასის სწორად გამოანგარიშება, 5. არც ერთი მუშა დათხოვნილი არ უნდა იქნას. მოთხოვნილებათა უმეტესი ნაწილი დაკმაყოფილებული იქნა.

1901 წლის მარტის პირველ რიცხვებში გაიფიცენ ნორის მანუფაქტურის მუშები, იორასლავის გუბერნიაში. გაფიცვის მიზეზი იყო ზაფხულში მუშების შრომის ხელფასის შემცირების განზრახვა; მუშები მოითხოვდენ ძველ შრომის ხელფასს. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 3500 ფეიქარმა; გაფიცვა დამარცხებით დამთავრდა.

1901 წლ. 6 ივნისს იფეთქა გაფიცვამ ქ. სარატოვში, რკინის გზის სახელოსნოებში. გაფიცვის უშუალო მიზეზი იყო ადმინისტრაციის მიერ შემოღებული ჯარიმების სისტემა და შრომის ხელფასის თითქმის 50 პროცენტით შემცირება. მოლაპარაკებაში მუშებსა და ადმინისტრაციას შორის ჩაერია ჟანდარმის პოლკოვნიკი. მიუხედავად ამისა მუშებმა მაინც მიაღწიეს თავის მოთხოვნილების, თუმცა არა სრულ დაკმაყოფილებას: გადიდებულ იქნა ხელფასი და შემცირებული—ჯარიმები. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 3000 მუშა.

სარატოვის რკინის გზის სახელოსნოების შემდეგ 1901 წ. 3 აგვისტოს დაიწყო გაფიცვა ტამბოვის რკინის გზის სახელოსნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებში. სახელოსნოების ადმინინისტრაციამ, სარატოვის მაგალითს მებრ შემოიღო უფრო მკაცრი წესები ჯარიმების შესახებ, რაც გაფიცვის უშუალო მიზეზი შეიქმნა. მუშები გარდა ჯარიმებისა ახალი სისტემის გაუქმებისა, მოითხოვდნენ საერთოდ შრომის ზოგიერთი პირობების გაუმჯობესებასა და შრომის ხელფასის მოწესრიგებას; მოთხოვნილებათა რიცხვში, სხვათა შორის, იყო—უფრო ოკეთესი მოპყრობა მუშებთან. გუბერნატორი დამუქრა ყველა მუშებს სამშობლოში გადასახლებით, „მეთაურებს“ კი აღმოსავლეთ გუბერნიებში გაგზავნით. მუშებმა შესწყვიტეს გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 2000 მუშა.

1901 წ. 17 აგვისტოს სარატოვში ზოგიერთ (პოლიტიკურად) „საეჭვო“ მუშების დათხოვნამ ივნისის გაფიცვაში მონაწილეობისათვის, გამოიწვია ახალი გაფიცვა რკინისგზის სახელოსნოებში. მუშების მიერ წარდგენილ მოთხოვნილებათა შორის იყო მოთხოვნილება მუშების რწმუნებულთა თათბირისათვის ცალკე ბინის დათმობის, მუშებისათვის თავის რწმუნებულებთან სათათბიროთ თავისუფლად შეკრების შესაძლებლობის მიცემის და რწმუნებულთა მისაღებად უფროსის მიერ საათების დანიშვნის შესახებ. სახელოსნოები დახურეს. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 3000 კაცი.

1901 წ. ოქტომბერში ტფილისის რკინისგზის სახელოსნოებში იფეთქა გაფიცვამ, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 4000 მუშა. აქ სხვათა შორის წამოყენებული იყო შემდეგი მოთხოვნილებები: 8 საათის სამუშაო დღე, შრომის ხელფასის გადიდება და საერთოდ შრომის პირობების გაუმჯობესება. გაფიცვა 15 დღეს გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოთ, რადგან ჩაქრობილ იქნა ჯარების მოწვევით და 1500 მუშის დაპატიმრებით.

1902 წ. თებერვალში ტვერში გაიფიცენ ფეიქრები (1500 კაცი) რადგან მათ მოსთხოვეს ემუშავათ უქმე დღე. გაფიცვა უშედეგოთ დამთავრდა.

1902 წლის 28 თებერვალს იფეთქა გაფიცვამ ბათომში, როტშილდის ნავთის სამრეწველოებში იმის გამო, რომ ადმინისტრაციამ დაითხოვა როგორც „არასაიმედონი“ 420 ძველი მუშა. მუშები მოითხოვდენ მათ უკან მიღებას, გაფიცვის დროს დატუსაღებული იქმნა მრავალი მუშა; გაფიცულები მოითხოვდენ მათ განთავისუფლებას. მუშები, 600 კაცამდე, შეიკრიბენ და რევლიუციონური სიმღერებით გაემართენ ციხისაკენ, სადაც ისხდენ დატუსაღებული ამხანაგები. პოლიციამ ხრიკს მიმართა, გათავისუფლა ყველა მუშები, მაგრამ სთხოვა დანარჩენ 600 მუშას გაელოთ არა ქუჩით, არამედ ციხის ეზოთი; როცა მუშები შევიდენ ეზოში, ყველანი დატუსაღეს და იქ ისინი შეეჯახენ ჯარისკაცების ორ როტას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღშფოთებულმა მუშებმა დაუწყეს ქვებისა და ტალახის სროლა ჯარისკაცებს. ჯარისკაცებს მისცეს ბრძანება—ესროლათ: ერთი მოკლეს, 19 დაიჭრა, ამათგან ცხრა კაცი მოკლე ხანში გარდაიცვალა. მონაწილეობას იღებდა 2000-ზე მეტი კაცი.

1902 წლის 26 მარტს გაიფიცენ ვოტკინის ჭარხნის მუშები. ვიატსკის გუბერნიაში. მოითხოვეს: 8 საათის სამუშაო დღე და შრომის ხელფასის გადიდება. მუშებმა დაატუსაღეს გამგე, დაარბიეს მოსამართლის კამერა და გაანთავისუფლეს რამდენიმე დაპატიმრებული მუშა. გამოიწვიეს ჯარები, დანიშნეს ადმინისტრატიული გამოძიება, რასაც შედეგათ მოყვა 35 მუშის გარეზგვა. მუშები დამარცხდენ. გაფიცვაში მონაწილეობდა 5000 კაცი.

1902 წ. 13 სექტემბერს დაიწყო კრასნოიარსკის რკინის გზის სახელოსნოების მუშების გაფიცვა. გაფიცვის უშუალო მიზეზი იყო ანგარიშის გასწორების დაგვიანება. გაფიცვა მეორე დღეს მუშების სრული გამარჯვებით დამთავრდა. მონაწილეობას იღებდა 1500 კაცი.

1902 წ. 4 ნოემბერს იფეთქა დიდმა გაფიცვამ კავკავის რკინის გზების სახელოსნოში, დონის როსტოვში, რომელმაც გამოძახილი ჰპოვა როგორც ამ ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში, ისე ტიხორეცკაიასა და ნოვოროსიისკშიც. ამ გაფიცვის შესახებ ჩვენ კიდევ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

1902 წლის 9 დეკემბერს კვლავ იფეთქა გაფიცვამ ბათომში როტშილდის ნავთის სამრეწველოებში; მუშები მოითხოვდენ ჯარიმის სახით გამორიცხული ფულების დაბრუნებას და ჯილდოს საშობაოთ ერთი თვის შრომის ხელფასის რაოდენობით. ჯარიმების სახით გამორიცხული ფულები მწარმოებელის ხელში მოგროვდა 600.000 მანეთამდე. მუშები ყველა დაითხოვეს—1500 კაცი.

1903 წ. 16 იანვარს ანგარიშის თავის დროზე გაუსწორებლობის ნიადაგზე დაიწყო გაფიცვა ტაგანროგის ლითონის დასამუშავებელ ქარხანაში. მუშები მოითხოვდენ ანგარიშის დაუყოვნებლივ გასწორებას თითეული ორი კვირის შემდეგ და არა სამ კვირაში, როგორც ჩვეულებრივად ხდებოდა. გაფიცვა ოთხ დღეს გაგრძელდა და მუშების სრული გამარჯვებით დამთავრდა. მონაწილეობას იღებდა 850 კაცი.

ს.-პეტერბურგში სამუშაო დღის ხანგრძლივობამ (15 საათი) 1903 წ. 23 იანვარს გამოიწვია გაფიცვა შეიგლიცის ძაფის ქარხანაში. მუშები მოითხოვდენ სამუშაო დღის 13 საათამდე დაყვანას და შრომის ხელფასის გადიდებას. ქალაქის უფროსის (Градоначальник) განკარგულებით ყველა, სამი ათასი მუშა, დაითხოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1903 წ. 13 მარტს ზლატოუსტში გაფიცვის დროს მთავრობამ ნამდვილი სისხლის ღვრა მოაწყო. გაფიცვა დაიწყო ახალი საანგარიშო წიგნაკების შემოღების გამო, რომელშიც შეცვლილი იყო წესები. ახალი წესებით შემოღებული იყო ჯარიმა სამუშაო იარაღების და მანქანების გაფუჭებისათვის, დაგვიანებისათვის და დაუსაღება სხვა და სხვა წესების დარღვევისათვის. მუშებმა უარი სთქვეს წიგნაკების მიღებაზე და მიატოვეს სამუშაო. მოვიდა ჯარები გუბერნატორის მეთაურობით, რომელმაც აუკრძალა მუშებს შეკრება და უბრძანა აერჩიათ დელეგატები. მეორე დღეს დეპუტატები დაატუსაღეს და სადღაც წაიყვანეს. აღშფოთებული მუშები, რიცხვით 5000 კაცამდე, შეიკრიბა მოედანზე და მოსთხოვეს გუბერნატორს დატუსაღებულთა განთავისუფლება. გუბერნატორმა უარი განაცხადა, მუშების მხრით გაისმა მუქარა: „ყველას ამოგწყვეტთ თქვენ, მანდ.“ იმ წამსვე, გაუფრთხილებლათ, მიუხედავათ იმისა, რომ მუშები უკვე იშლებოდენ, გასცეს ბრძანება ესროლათ მუშებისათვის—მოკლეს 69 და დასჭრეს 100 კაცი. მეორე დღეს მუშაობა განახლდა, მუშებმა წიგნაკები არ მიიღეს.

1903 მარტში, ვიაზნიკიში, ვლადიმირის გუბერნია, დაიწყო ფეიქართა გაფიცვა. მუშები მოითხოვდენ გამგის შეცვლას: გაიფიცა მთელი ქარხანა—900 კაცი. გაფიცვა მუშების სრული გამარჯვებით დამთავრდა.

1903 წ. 23 მარტს ს.-პეტერბურგში ხელფასის შემცირების გამო გაიფიცენ ვარშავის რკინის გზის სახელოსნოების მუშები; მუშები მოითხოვდენ ძველი ხელფასის დატოვებას და სამუშაო დღის შემცირებას. სახელოსნოებში პოწვეულმა კაზაკებმა მათრახებით სცემეს მუშებს. ქალაქის უფროსის მოსვლის შემდეგ, რომელმაც აუოთქვა მუშებს ყველა მათი მოთხოვნილებების შესრულება, გაფიცვა შეწყდა. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდენ ყველა სახელოსნოები—რამდენიმე ათასი კაცი.

1903 წ. 5 მაისს ქ. კოსტრომაში ბელგიის აქციონერული საზოგადოების საფეიქრო ფაბრიკაში, შრომის ხელფასის საშინელი სიმცირის გამო, რომელიც 9 ნახ. კაპეიკს აღწევდა დღეში და ამ ხელფასის კიდეც უფრო შემცირების გამო, იფეთქა გაფიცვამ. მუშები მოითხოვდენ შრომის ხელფასის გადიდებას და მხეცი დირექტორის დათხოვნას. ფაბრიკის ადმინისტრაცია არ სთმობდა; მუშები იკრიბებოდენ ფაბრიკის ახლო, პოლიცია შლიდა მათ, ამრიგად მოხდა რამდენიმე შეტაკება პოლიციასთან. ქვევით ჩვენ მოგვყავს ცნობა ამ გაფიცვასთან დაკავშირებით მომხდარი დემონსტრაციის შესახებ.

1903 წლის მაისში გაიფიცენ პეტერბურგის ფეიქრები, რიცხვით 2000 კაცი. გაფიცვა გამოიწვია ადმინისტრაციის მიერ 16 მაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის დღესასწაულის (პეტერბურგის არსებობის ორასი წლის თავზე) შრომის ხელფასის სავსებით მიცემაზე უარის თქმამ.

დამახასიათებელია თავისი მიზეზით გაფიცვა, რომელიც დაიწყო 1903 წ. 22 მაისს ნიკოლაევში გემთა საამშენებლო ქარხანაში და რომელშიც მონაწილეობა მიიღო 7000-ზე მეტმა მუშამ; მას ახასიათებდა აგრეთვე მუშების განსაცვიფრებელი სიმტკიცე, ორგანიზაციულობა და ერთსულოვნობა, დიდი კრებები, რომელზედაც შინაარსიან სიტყვებს ამბობდენ თვით მუშები. 22 მაისს დღის გაცდენისათვის დაითხოვეს ერთი მუშა. მუშა წავიდა ინჟენერთან, რომელიც ქუჩური ლანძღვა-გინებით შეხვდა. მუშამ სილის გარტყმით უპასუხა. ინჟენერმა ამოიღო ჯიბიდან რევოლვერი, ესროლა მუშას, მაგრამ ააცილა. ეს შეიქნა დაუყოვნებლივ გაფიცვის გამოცხადების მიზეზი. მუშები გაემართენ კანტორისაკენ საფაბრიკო ინსპექტორის, პროკუროროს და ქალაქის უფროსის მოსათხოვაო. მეორე დღეს მუშებს შორის რიგდებოდა რ.-ს.-დ. მ. ბ. ნიკოლაევის კომიტეტის ფურცლები, რომელიც მოუწოდებდა მუშებს გაფიცვისაკენ და შესდგებოდა 14 მუხლი-მოთხოვნილებისგან. ეს მოთხოვნილებები წამოაყენეს მუშებმაც: 1) ინჟენერის გაძევება, 2) დატოვება იმ მუშის, რომელმაც სილა გააწნა ინჟენერს, 3) გაჩხრეკის გაუქმება, 4) ჯარიმების მოსპობა, 5) იძულებითი სამუშაოების გაუქმება, 6) ქარხნის მიერ მოწყობილ კასაში იძულებითი მონაწილეობის გაუქმება და სხვა წვრილმალი მოთხოვნილებები. ჯარები მზად იყვენ, მაგრამ მუშების მოთხოვნით ქარხანაში არ შეიყვანეს. ქარხნის ადმინისტრაცია დასთანხმდა მუშების მოთხოვნილებათა ნაწილის დაკმაყოფილებაზე.

1903 წ. 21 ივნისს იფეთქა გაფიცვამ ბორისოგლებსკში სამხრეთ-აღმოსავლეთის საზოგადოების რკინისგზების სახელოსნოებში. გაფიცვის მიზეზი იყო საერთოდ შრომის მეტად მძიმე პირობები, სულიერი განწყობილება კი მოამზადა ჩვენი ორგანიზაციის ფურცლებმა. მუშების მოთხოვნილებანი ჩამოყალიბებული იყო ფურცლებში: 1. სახელოსნოების უფროსის თანაშეწეს გაძევება, 2. შრომის ხელფასის გადიდება, 3. სამუშაო დღის შემცირება 8 საათამდე, ჯარიმების მოსპობა. გაფიცვა გაგრძელდა ცხრა დღე. მონაწილეობას იღებდა 3000 მუშა.

1903 წ. 9 სექტემბერს მოსკოვში დაიწყო ქალაქის ყველა მუშების და წიგნის მკინძავების გრანდიოზული გაფიცვა. ეს გაფიცვა წინდაწინვე იყო მომზადებული თვით მუშების მიერ. ერთი კვირით ადრე გაფიცვამდე იმართებოდა კრებები 300—500 კაცის მონაწილეობით, რომელსაც ესწრებოდენ ყველა სტამბების წარმომადგენლები. მოთხოვნილებები გამომუშავებული იქნენ მუშების მიერ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიცვის წინ: 1) სამუშაო დღის შემცირება 9 საათამდე—დღისით და 8 საათამდე—ღამით (2 საათი სადილისათვის), 2) შრომის ხელფასის გადიდება 30 პროცენტით, 3) განსაკუთრებული გასამრჯელო კორეტტორისათვის, 4) მოწაფე-ბავშვებისათვის ჯამაგირის დაწესება, 5) მუდმივი ფერშალი, 6) შრომის ხელფასის და პირობების ერთნაირობა ყველა სტამბებში, 7) დაგვიანებისათვის ჯარიმების გაუქმება, 8) მუშათა მამასახლისების შემოღება 1902 წ. 1 იენისის კანონის მიხედვით, 9) მუშებსა და მწარმოებლებს შორის შუამავლების მოსპობა, 10) ახალ პირობებს ხელი უნდა მოაწერონ სტამბების ყველა პატრონებმა და საფაბრიკო ინსპექტორმა. ყოველგვარი კერძო მოლაპარაკება სტამბების ცალკე პატრონებთან უარყოფილ იქმნა. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 15.000 მუშა. მუშებმა შემდეგ შედეგებს მიაღწიეს: სტამბებში და ლიტოგრაფიებში შემოღებულ იქნა შრომის ერთნაირი ხანგრძლივობა—10 საათი, 2) შემოღებული იქნა შრომის ახალი ხელფასი, 20—25 პროცენტით გადიდებული. მუშებს ისე მტკიცედ ეჭირათ თავი, რომ არ ყოფილა არც ერთი შეტაკება პოლიციასთან.

1904 წ. 25 თებერვალს იფფოქა გაფიცვამ ტვერში ვაგონების საამშენებლო ქარხანაში. 21 თებერვალს სადურგლომ ადმინისტრაციას მოსთხოვა ერთი ხელოსანის გაძევება და შრომის ხელფასის გადიდება, მაგრამ ადმინისტრაციისაგან უარი მიიღო. მუშები რამოდენიმე დღის განმავლობაში ღელავდენ, შემდეგ კი რ. ს.-დ. ს. პ. ტვერის კომიტეტის პროკლამაციის ზეგავლენით, რომელშიც ლაპარაკი იყო ადმინისტრაციის თავგასულობის და უმსგავსო საქციელის და მუშების მძიმე მდგომარეობის შესახებ, 27 თებერვალს შეწყდა მუშაობა მთელს ქარხანაში. მუშები მოითხოვდენ ჯარიმების და გაჩხრეკის მოსპობას, ზდილობიან მოპყრობას, შრომის ხელფასის გადიდებას და შრომის სხვა პირობების გაუმჯობესებას. ქარხანაში მოწვეული ჯარისკაცები, მუშების მოთხოვნით, გაყვანილ იქნენ. მუშებს არ დაუთმეს არაფერი. დაითხოვეს ყველანი და ხელახლა მიიწვიეს. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 3000 მუშა.

ცალკე აღვნიშნავთ პეტერბურგის გაფიცვებს 1901 წ., რომელთაც კავშირი ქონდათ პირველი მაისის დღესასწაულთან. ამ გაფიცვების დროს მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის ვიბორკის მხარეზე (საფეიქრო ქარხნები), სადაც ბევრი იყო დაჭრილი და ობუხოვის ქარხანაში. აქ მუშებმა ააგეს ნამდვილი ბარიკადები და მამაცურად იგერიებდენ ქვების სროლით ჯარების შეტევას. მუშების მხრივ მოკლეს 6 და 8 მძიმედ დასჭრეს. ე. წოდებული „მეთაურები“ პასუხისგებაში მისცეს და მიუსაჯეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებითი მუშაობა უფლებების აღკვეთით. განსაკუთრებით გმირულთან ეჩირათ თავი ამ პროცესზე 18 წლის მუშა-ქალს მართა იაკოვლევას, რომელმაც მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა და აშკარათ განაცხადა, რომ მზად არის მომავალშიც მ.ილი თავისი ძალებით ემსახუროს მუშათა საქმეს. მას ბრალათ ედებოდა ის, რომ შეტაკების დროს მუშებს აწვდიდა ქვებს.

ასეთ მძელვარებას ქონდა ადგილი პეტერბურგის სხვა ქარხნებშიც, მაგალითად—სემიანიკოვის (5000 კაცზე მეტი) და სხვ.

ამ, ყველაზე მნიშვნელოვანი გაფიცვების მონაწილეთა საერთო რიცხვი არა ნაკლებ 100.000 კაცისა, 100 მოკლული და უფრო მეტი დაჭრილი დაუჯდა პროლეტარიატს თავისი ეკონომიური მდგომარეობის ეს ცდები. დატუსაღებულთა და „სამშობლოში“ გადასახლებულთა რიცხვის შესახებ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან შეუძლებელია რუსეთისათვის ამ ჩვეულებრივი ადმინისტრატიულ თავგასულობის ცოტათ თუ ბევრათ სისწორით აღრიცხვა. აღენიშნავთ მხოლოდ ეროხელ კიდევ, რომ უმეტეს შემთხვევებში მუშების საქციელი გაფიცვების დროს არავითარ საბაბს არ აძლევდა პოლიციას და ჯარებს ჩარევისათვის, დატუსაღება, გადასახლება და მასიური მკვლელობა გაფიცვების დროს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციის თვითნებობით, რომელიც ვერ ითმენდა მუშების თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დამოუკიდებელი ბრძოლის მცირე გამოხატულებასაც კი.

მოვიყვანთ კიდევ მოკლე, ძლიერ არა სრულ ცნობებს იმ უფრო პატარა გაფიცვების შესახებ განვლილი პერიოდის განმავლობაში, რომელთა შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ცნობები:

1900 წ. ქალაქებში: ს-. პეტერბურგი; ს. სეტუნი, მოსკოვის გუბ.; ივანოვო-ვოზნესენსკი; ოროლოვის გუბერნია; ტულა; კიევი; სტ. კონსტანტინოვკა, ეკატერინოსლავის გუბერნიის; ეკატერინბურგი; ტფილისი: კრასნოიარსკი; ოლეკმინსკი. სამოეწველობში: რკინისგზის ქარხნები: მექანიკური ქარხნები; ტყვია-წამალის ქარხანა; რკინისგზის სახელოსნოები; შუშის ქარხნები; თამბაქოს ქარხნები; მაღაროს მუშები; ფეიერები; სტამბის მუშები; ფურნუების მუშები.

1901 წ. გაფიცენ მუშები შემდეგ ქალაქებში: პეტერგურგი; მოსკოვი; სერპუხოვი; იაროსლაველ; რამანოვ-ბორისოგლებსკი, იაროსლავის გუბერნიის; ივანოვო-ვოზნესენკი; ს. კამენკა, კოსტრომის გუბ.; კურსკი; ორლოვის გუბერნია; ბრიანსკი; ნიჟნი-ნოვგოროდი; ტამბოვი; ვორონეჟი; ხარკოვი; კიევი; კიევის გუბ.; კიევი; ჩერკასი, კიევის გუბერნიის; ეკატერინოსლავი; ოდესა; კიშინიოვი; ნიკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევი; ტაგანროგი; თავრიდის გუბერნია; ლივადია; სიმფეროპოლი; ტფილისი; სარატოვი; სოფ. ნიკოლაევსკი, სამარის გუბერნიის; უფის გუბერნია; პერმის გუბ.; ტომსკი. გაფიცული მუშები მრავალ სხვა და სხვა დარგს ეკუთვნიან: გემების საამშენებლო ქარხნები; ლითონის ჩამოსხმელი ქარხნები; ფოლადის ჩამოსხმელი ქარხნები; მექანიკური ქარხნები; რკინისგზის სახელოსნოები; მექანიკური სახელოსნოები; შაქრის ქარხნები; ლურსმანის ქარხნები; გუთნის სახელოსნოები; თამბაქოს ქარხნები; სეფეიქრო ქარხნები; **სართავი** ქარხნები, სტამბები; ტყავზე მომუშავეები; მეუნაგრეები; თერძები ტრამვაის მუშები; დურგლები; ფარმაცევტები; მტვირთავები; აბანოების მოსამსახურეები და სასოფლო მეურნეობის მუშები.

1902 წ. გაფიცვები იყო შემდეგ ქალაქებში და სოფლებში: ტვერი; იაროსლავლი; როსლავლი; ხარკოვი; კიევის გუბ.; კრემენჩუგი; ეკატერინოსლავი; ხერსონი; როსოტოვი დონზე; სულინი, დონის ოლქის; ბათომი; ტფილისი; ასტრახანი; ლივადია; იალტა; სადელანსკაია, ენისეის გუბერნიის; ირკუტსკი. ეს გაფიცვები მოედვა მრეწველობის შემდეგ დარგებს: ორთქმავლების საამშენებლო ქარხნებს; ლითონის დასამუშავებელ ქარხნებს; შუშის ქარხნებს; რკინისგზის სახელოსნოებს; რკინისგზის მუშებს; შაქრის ქარხნებს; ნავთის სამრეწველოებს; ფეხსაცმელების მექანიკური წარმოების მუშებს; საფეიქრო ქარხნებს; დამშზადებლებს; ფარმაცევტებს; თერძებს; მლებავებს და მეკასრეებს.

1903 წ. იყო მრავალრიცხოვანი გაფიცვები მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში: ს.-პეტერბურგში; ტვერში; ვიშნი-ვოლოჩეკში; მოსკოვში; ს. ოზერში მოს. გუბ; ვლადიმირის გუბერნ.; ივანოვო-ვოზნესენსკში; შუიაში; ბორისოგლებსკში; კოსტრომაში; ბრიანსკში; კიევში; ჩერნიგოვში; გოროდნიაში, ჩერნიგ. გუბ.; ეკატერინოსლავში; სტ. ალმაზოვკაში, ეკატერინოსლავის გუბ.; ს. კამენსკოე. ეკატ. გუბ.; ბახმუტში, ეკატ. გუბ.; ონიკშტიში; ტომნაში; ოდესაში; კერმენჩუგში; როსტოვში-დონზე; ტაგანროგში; დონეცში; იუზოვკაში; ქერჩში; სევასტოპოლში; ნიკოლაევში; ბერდიანსკში, თავრიდის გუბერნია: სიმფეროპოლში; ბაქო; ტფილისი; ბათომი; სამარა: პერმის გუბერნიაში; უფაში; არხანგელსკში; ტომსკში; კრასნოიარსკში; ირკუტსკში; ჩიტაში; ხარბინში.

გაფიცვები მოხდა მრეწველობის შემგეგ დარგებში: გემების საამშენებლო ქარხნებში; თუჯის ჩამოსხმელ ქარხნებში; მექანიკურ ქარხნებში; რკინისგზის სახელოსნოებში. მონაწილეობას იღებდენ მუშები: რკინის გზების, არსენალების, ავიაჯელობის ფაბრიკების, სართავი ფაბრიკების; საქსოვი ქარხნების; ნოხების ფაბრიკის; როიალების და პიანინოს ფაბრიკის; მანუფაქტურის; ნავთის სამრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წველობის; მაღაროს მუშები; ფეხსაცმელების მექანიკური წარმოების მუშები; ფეხსაცმელების სახელოსნოები; ქვისატეხი; დურგლები; ზენიკლები; წისქვილის მუშები; სტამბის მუშები; ტრამვაის მუშები; ცხენის ტრამვაის რკინისგზის კონდუქტორები და მეჯინიბეები; თერძები; ფურნეების და საშაქარლამოების მუშები; ფოსტის მუშა-მოსამსახურეები.

1904 წლის პირველ რიცხვებში გაფიცვები იყო: რიგაში; ვიტებსკში; ტაგანროგში; იუზოვკაში; ქუთაისში; ბაქოში; ბახუტში; ეკატერინოსლავის გუბ.; ტალრაში; ულობინოში; როგაჩევ-ეოლინსკში; კიევში; სოფ. გოლტაში, ხერს. გუბ.; მტნიკში; ნიკოპოლში; სევასტოპოლში; ეგორიევსკში, რიაზანის გუბ. გაფიცვები მოედვა: ლიბონის დასამუშავებელ ქარხნებს; მექანიკურ ქარხნებს; ნავთის სამრეწველოებს; სელის ქარხნებს; თამბაქოს ქარხნებს; საფეიერო მრეწველობის, ცხენის ტრამვაის რკინისგზის კონდუქტორებს და მეჯინიბეებს; თერძებს; ჩამლაგებელ; ნოქრებს; ფურნეების მუშებს.

ბ) დემონსტრაციები.

კრიზისის ეპოქა, რასაკვირველია, ნაკლებ ხელსაყრელი იყო ეკონომიურ გაუმჯობესებათა მისაღწევად. ვერ ხერხდებოდა შენარჩუნება შრომის თვით იმ პირობების, რომლებიც მოპოვებული იქნენ მძიმე ბრძოლით სამრეწველო აყვავების წინა პერიოდში. შრომის ნელფასი ეცემოდა, მუშებს ათასობით ითხოვდენ და დიდი ქალაქების ადმინისტრაციას აშინებდა მშიერი და გაბრაზებული ხალხის თავის მოყრა; ამიტომ სახაზინო ხარჯზე ძალით აგზავნიდა უმუშევრებს „სამშობლოში“, სოფელში, რომელთანაც მუშებმა დიდი ხანის გასწყვეტეს ყოველგვარი კავშირი, სადაც მათ არ ქონდათ არც ბინა, არც ოჯახი; და სადაც მათ დარჩენოდათ მხოლოდ სიკვდილი სიმშილისაგან ან და იმ მონების შტატის შევსება, რომლებიც მათხოვრის ნელფასზე მყოფნი ამუშავებდენ ჩვენი მემამულეების მიწებს.

არ არის გასაკვირი, რომ თანდათანობით მუშათა მასსების უფრო და უფრო ფართე ფენებში დაიწყო განვითარება ჯერ ბუნდოვანმა, შემდეგ კი უფრო ნათელმა შეგნებამ იმისა, რომ უკეთესი მომავალისათვის ბრძოლის დროს შეუძლებელია დაკმაყოფილება მხოლოდ ფაბრიკის ვიწრო კედლებით. კავშირი იმ უბედურებათა, რომლებიც განუწყვეტლათ თავს ატყდებოდა მუშათა კლასს, თანამედროვე წყობილების საერთო საფუძვლებიდან, თანდათანობით ნათელი ხდებოდა მუშებისათვის და თვით რუსეთის ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობაში სოციალ-დემოკრატიის აგიტაცია და პროპაგანდა მძლავრ დასაყრდენს ხედებოდა. განსაკუთრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით აშკარა ხდებოდა მსაბისებისათვის ცოტათ თუ ბევრად გეგმაშეწონილი და წარმატებითი ბრძოლის შეუძლებლობა, თუნდაც წვრილმალი ეკონომიური ინტერესებისათვის, აზიური დესპოტიზმის რეჟიმის პირობებში. რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების საერთო წყობილებით უკმაყოფილება, რომელსაც თუმცა ჯერ კიდეც არ მიეღო პოლიტიკურ თავისუფლებათა შეგნებულათ მოთხოვნის ხასიათი, მოედვა მუშათა კლასის ისეთ დაბალ ფენებსაც კი, რომლებიც ჯერ კიდეც გუშინ, შეიძლება ითქვას, ღრმა პოლიტიკურ ძილს მისცემოდენ. საკუთარი ღირსების გრძნობის გაძლიერება; განსაკუთრებით გაძლიერებული გრძნობიერება იმ დამცირებებისადმი, შეურაცყოფისადმი და ძალადობისადმი, რომელსაც განიცდის რუსეთში პიროვნება თითეულის, რომელსაც არა აქვს ბედნიერება ეკუთვნოდეს „უმაღლეს საფეხურზე მდგომ ათი ათასს"; საშინელი სიძულვილი პოლიციისადმი, როგორც იმ მონობის უახლოესი იარაღისადმი, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს „დაბალ კლასებს; თანდათანობით მოსპობა იმ ნახევრათ მონური, ნახევრათ მისტიური პატივისცემის გრძნობის „უფროსებისადმი", რომელიც ხალხს დაუტოვა მემკვიდრეობათ ბატონყმობის ეპოქამ;—აი რაში გამოიხატა პირველ ყოვლისა პოლიტიკური პროტესტის მზადება პროლეტარიატის ჩამორჩენილ ფენებში. ამასთან ერთად, რასაკვირველია, იზრდებოდა რიცხვი იმ მუშეებისაც, რომელთაც საკმაოდ ფართედ ესმოდათ თავისი კლასის ინტერესები და ამოცანები, და რომლებიც შეგნებულათ დგებოდენ სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ. სტუდენტების მოძრაობის მიერ მოცემული მაგალითის მიხედვით, პოლიტიკური უკმაყოფილების გამომჟღავნებამ მიიღო დემონსტრაციების ფორმა.

თუ დემონსტრაციების ინიციატივა გამომდინარეობდა სტუდენტებისგან, და პირველი დემონსტრაცია პეტერბურგში—1901 წ. მარტში—ჩატარდა აკადემიური თავისუფლების ლოზუნგით, ძლიერ ჩქარა დემონსტრაციების მთავარი ორგანიზატორი გახდენ სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები, მთავარი მონაწილეები კი—სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენციისა და შეკავშირებული მუშები. და ჩვეულებრივ დროშათ, რომელთაც აღმართავდენ დემონსტრანტები, გახდა წითელი დროშა წარწერებით, რომლებიც მოითხოვდენ პოლიტიკურ თავისუფლებას და ზოგჯერ, განსაკუთრებით მაისის დემონსტრაციების დროს, 8 საათის სამუშაო დღეს. „ძირს თვითმპყრობელობა", როგორც ჭკუამიხვილათ სთქვა პოლიციის ერთმა აგენტმა, რომელიც ჩვენებას აძლევდა სასამართლოში,—ჩვეულებრივ „ანდაზათ" გადაიქცა.

პირველი დიდი დემონსტრაცია, რომელშიც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მუშებმა, იყო ხარკოვის დემონსტრაცია 1901 წ. 19 თებერვალს. ეს დემონსტრაცია მოწყობილ იქნა სტუდენტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ გლეხების განთავისუფლების 40 წლის თავზე. ჯერ შეიკრიბა 60 სტუდენტი, მათ სცემეს კაზაკებმა და დაატუსაღეს. ხმა მათი დატუსაღების შესახებ სწრაფად მოედვა მთელ ქალაქს და დემონსტრაციის ადგილზე მრავალთ შეიკრიბენ ქარხნის მუშები, ხელოსნები და თანამგრძნობი ხალხი. მღეროდენ „მარსელიოზას". სიმღერის დროს ხალხს დაესხა კაზაკები და მაგრათ სცემეს ყველა დემონსტრანტებს. დემონსტრაცია გაგრძელდა ღამემდე. რამდენჯერმე მოხდა შეტაკება პოლიციასთან. მუშები თავს იცავდენ ჯოხებით. დაატუსაღეს 200-მდე კაცი.

უფრო დიდ როლს თამაშობდენ მუშები მოსკოვის 1901 წ. დემონსტრაციაში. დემონსტრაცია დაიწყო 23 თებერვალს და რამდენიმე დღე გაგრძელდა. მისი ინიციატორებიც სტუდენტები იყვნენ. 23 თებერვალს დაიწყო მღელვარება სტუდენტებში კიეველ და პეტროგრადელ რამდენიმე სტუდენტის „უწესოებაში" მონაწილეობისათვის ჯარში გაგზავნის გამო. სტუდენტები, ქალები და ვაჟები, იკრიბებოდენ უნიეერსიტეტის ახლო, მოითხოვდენ ამხანაგების დაბრუნებას ჯარიდან, „დროებითი წესების" გაუქმებას და უნიეერსიტეტის 1863 წ. წესდების აღდგენას. მეორე დღეს, 24 თებერვალს, სტუდენტებს შეუერთდენ მრავალი მუშები; დღე ძლიერ მღელვარედ ჩატარდა; ობერ-პოლიცმეისტერის სახლის წინ გაიმართა დიდი კრებები, მანიფესტანტებმა (2000 კაცზე მეტი) შემოიარეს მთელი ქალაქი. კაზაკები მრავალჯერ დაესხენ ხალხს და სცემდენ მათრახებით. მუშები შეეცადენ გაეთავისუფლებინათ დატუსაღებული და მანეეში დამწყვდეული სტუდენტები, უკვე შეამტვრიეს კარები, მაგრამ კაზაკებმა და ცხენოსანმა ჟანდარმებმა გაჰფანტეს მათრახების ცემით. 25 თებერვალს მღელვარებამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია და ათიუოლმა ათასმა მუშამ და ხელოსანმა მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციებში. დილით დემონსტრანტებმა მოიგერიეს კაზაკების შეტევა, რომლებიც რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოაჭენებდენ ცხენებს, იმით, რომ ბულვარის სკაკეებიდან ბარიკადები გააკეთეს. დემონსტრაცია მთელი დღე გაგრძელდა, ბევრჯელ მოხდა შეტაკებები პოლიციასთან და კაზაკებთან, მრავალჯერ მოიგერიეს დემონსტრანტებმა კაზაკები იმის წყალობით, რომ დემონსტრანტები, რომელთაც ხელმძღვანელობდენ ბელადები ინტელიგენტური, შეგნებული მუშების წრიდან, განსაცვიფრებელ ერთსულოვნებას და დისციპლინას იჩენდენ. დემონსტრაციები ხდებოდა ქალაქის ხუთ სხვა და სხვა ადგილში, ბარიკადებიც რამდენიმე ადგილას გაიმართა. მღეროდენ რევოლიუციონურ სიმღერებს და აფრიალებდენ რევოლიუციონურ წითელ დროშებს. ამ დღეების განმავლობაში დაატუსაღეს ათასზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტი მუშა და სტუდენტი. უკანასკნელი შეტაკება პოლიციასთან მოხდა 26 თებერვალს. საზოგადოებრივი სულიერი განწყობილების დასახასიათებლად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეტაკებაში პოლიციასთან მუშებსა და სტუდენტებს ეხმარებოდნენ „ოხოტნი“ რიგის ნოქრები, რომლებიც 1896 წელს ეხმარებოდნენ პოლიციას სტუდენტების ცემაში, რომლებიც დიდი ხნიდან ცნობილი იყვნენ როგორც „ტახტის და სამშობლოს“ ერთგული დამცველნი.

ჩქარა მოსკოვის მღელვარე დღეების შემდეგ 1901 წ. 4 მარტს მოხდა დიდი დემონსტრაცია პეტერბურგში. ამ მანიფესტაციაშიც იღებდნენ მონაწილეობას მუშები, მაგრამ უფრო პასიურს, ეიდრე მოსკოვის დემონსტრაციებში. დემონსტრაციები დაიწყო იმავე მიზეზების გამო, როგორ მოსკოვში. მისი ინიციატორები და ორგანიზატორები უმთავრესად სტუდენტები იყვნენ. ყაზანის მოედანზე, ნევის პროსპექტით თავი მოიყარა რამდენიმე ათასმა დემონსტრანტმა, თანამგრძნობ ხალხთან ერთად მანიფესტანტების რიცხვი 20 ათასამდე აღწევდა. კაზაკები უკვე დილადანვე იყვნენ დამალული მოედნის ახლო ეზოებში. როგორც კი დემონსტრანტებმა მრავლად მოიყარეს თავი, გრადონ-ჩალნიკმა გამოიყვანა კაზაკები და უბრძანა მათ გაუფრთხილებლად უმოწყალოთ ეცემათ მათრახებით ხალხისათვის. უიარაღო ხალხი არავითარ წინააღმდეგობას არ სწევდა. დაიჭრა მრავალი, დაატუსაღეს 1500 კაცი.

1901 წ. 11 მარტს გაიმართა პატარა დემონსტაცია ყაზანში; მონაწილეები იყო მხოლოდ 150 კაცი, რადგანაც პოლიციამ წინასწარ შეკრა ორი მთავარი ქარხანა და დამბა, რომელიც აერთებდა ქალაქს რაიონთან, სადაც უმთავრესად ცხოვრობდენ მუშები.

1901 წ. 11 სექტემბერს პატარა დემონსტრაცია გაიმართა კიშინოვში ერთი გადასახლებული სტუდენტის გაცილების დროს. სადგურზე შეიკრიბა ოთხმოცამდე კაცი, როცა ისინი გამოვიდენ ქუჩაში, მათ შეურთდა რამდენიმე ასეული მუშა. ქალაქში გავლის დროს, დემონსტრანტები, სხვათა შორის, მიადგენ „ბესარაბეც“-ის რედაქტორის, ცნობილი ანტისემიტის—შემდეგში ებრაელების „პოგრომის ერთ-ერთი ინიციატორის—კრუშევანის ბინას. დემონსტრანტებმა ჩაამტვრიეს ფანჯრები და იძახდენ: „ძირს კრუშევანი“.

შეიძლება კიდევ გახსენება რამდენიმე დემონსტრაციის, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1901 წ.:

ს.-პეტერბურგში—1901 წ. 19 სექტემბერს, ნიკოლოზ მეორეს სახალხო სახლთან მონაწილეობას იღებდა 400 მუშა. დემონსტრაციის ადგილზე გამოიწვიეს ქვეითი და ცხენოსანი პოლიცია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟანდარმების ესკადრონი, რომლებმაც ალყა შემოარტყეს და დაატუსაღეს თითქმის ყველა დემონსტრანტი.

1901 წ. 7 ნოემბერს — ნიჟნი-ნოვგოროდში დემონსტრაციის მიზეზი იყო მაქსიმ გორკის გაძევება ნიჟნი-ნოვოგოროდიდან. მონაწილეობას იღებდა 150 კაცი.

1901 წ. 8 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა დემონსტრაცია იმავე მიზეზის გამო, როგორც წინა შემთხვევაში. დემონსტრანტებს, რიცხვით 400 კაცს, სურდა მაქსიმ გორკის შეხვედრა, რომელიც ნიჟნი-ნოვგოროდიდან ყირიმში მიემგზავრებოდა. მაგრამ პოლიციამ მ. გორკი მოსკოვამდე გადმოიყვანა მატარებლიდან და დემონსტრანტები იძულებული გახდენ დაშლილიყვენ.

1901 წ. 18 ნოემბერს მოსკოვში ისევ გაიმართა დემონსტრაცია დობროლიუბოვის ხსოვნის აღსანიშნავად საღამოს აკრძალვის გამო. მონაწილეობას იღებდა 500 კაცი.

1901 წ. 2 დეკემბერს ხარკოვში სტუდენტებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, რომელსაც მრავალი მუშა შეუერთდა. მოიწვიეს კაზაკების რამდენიმე ასეული, რომლებმაც საშინლათ სცემეს და დაასახიჩრეს მრავალი დემონსტრანტი. ხარკოვის დემონსტრანტების ცემა შეიქნა მიზეზი ორი დემონსტრაციისა ეკატერინოსლავში.

ეკატერინოსლავში ზეიდ-ზედ გაიმართა ორი დიდი დემონსტრაცია, 1901 წ. 15 და 16 დეკემბერს შესაკრებ პუნქტად დანიშნული იყო ეკატერინეს პროსპექტი, სადაც შეიკრიბა 500 მუშა და სტუდენტი, შემდეგ მათ შეურთდა 5000-დე კაცი; თანამგრძნობ ხალხთან და მაყურებლებთან ერთად კი სულ იქნებოდა 15000 კაცამდე. დემონსტრანტებმა ააფრიალეს წითელი დროშა რევოლიუციონური წარწერებით, მღეროდენ რევოლიუციონურ სიმღერებს და ხმამაღლა გაიძახოდენ: „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას“, „გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიას“. ინიციატორები იყვენ სტუდენტები. დემონსტრაციის საბაბი კი იყო სტუდენტების და მუშების ცემა ხარკოვში 1901 წ. 2 დეკემბერს და პროტესტი უნივერსიტეტის წესების წინააღმდეგ. მანიფესტაციის ადგილზე გამოიწვიეს რამდენიმე პოლიციელი, კაზაკები და ჟანდარმები, რომლებმაც უმოწყალოთ სცემეს მათრახებით დემონსტრანტებს. მუშებმა, რომლებიც მხოლოდ ჯოხებით იყვენ შეიარაღებული, რამდენჯერმე მოიგერიეს შემოტევა და მოახერხეს მრავალი დატუსაღებულის განთავისუფლება. მეორე დღეს, 16 დეკემბერს, დემონსტრაცია განმეორდა მუშათა უბანში, ჩეჩელევკაში და მასში მონაწილეობა მიიღო 2000-დე მუშამ. პოლიციასთან და ჟანდარმებთან შეტაკების დროს დაიჭრა 5 კაცი; დაატუსაღეს 63 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღვნიშნავთ ცალკე 5 დემონსტრაციას, რომლებიც მოაწყვეს მუშებმა 1901 წ. პირველი მაისის დღესასწაულის გამო—ტფილისში, ხარკოვში. ორი დემონსტრაცია ს.-პეტერბურგში და სიმფერპოლში. ყველაზე დიდი დემონსტრაცია (3000 კ.) გაიმართა ტფილისში 22 აპრ. (ძვ. სტ.); მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ წინასწარ იცოდა დემონსტრაციის შესახებ და ემზადებოდა, ისე რომ ბევრი მუშა დაატუსაღეს ჯერ კიდევ დემონსტრაციამდე, მუშებს მაინც სურდათ მოეწყოთ ის, რაც არ უნდა მომხდარიყო და საუცხოოდ მოიყვანეს სისრულეში თავისი განზრახვა. იყო წითელი დროშები, გაისმოდა რევოლიუციონური ლოზუნგები და მღეროდენ რევოლიუციონურ სიმღერებს. პოლიცია და კაზაკები დაერივნენ დემონსტრანტებს მთარახებით და ხმლებით. მუშები ენერგიულად იცავდენ თავს, იყო დაჭრილები ორივე მხრივ. დემონსტრაციის შემდეგ დაატუსაღეს 100 კაცზე მეტი და ტფილისში სამი დღე სამხედრო წესები იყო გამოცხადებული.

ხარკოვში პირველ მაისს ანარქისტაცია, ძლიერ პატარა (70 კაცი), შეტაკება პოლიციასთან არ მომხდარა.

ს.-პეტერბურგში კი მაისის დღესასწაული შეიქნა მიზეზი ორი დიდი შეტაკების მუშებსა და შეიარაღებულ ძალას შორის—ვიბორგის მხარეზე და ფლისელბურგის ტრაქტზე (ობუხოვის ქარხანა). ეს შეტაკებები ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ გაფიცვების აღწერის დროს.

1901 წ. 5 მაისს სიმფეროპოლში გაიმართა პატარა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სულ 100 კაცი, უმთავრესად ხელსნები და თამბაქოს ქარხნის მუშები. დემონსტრანტებმა წითელი დროშებით და „მარსელიოზის“ სიმღერით გაიარეს მთელი ქალაქი. პოლიცია, რომელმაც პირველად ვერ გაიგო პროვინციალური ქალაქისათვის ამ უჩვეულო ამბავის მნიშვნელობა, თვითონ უწევდა დახმარებას დემონსტრანტებს—გზას უწმენდდა მათ. დემონსტრანტებმა შეასრულეს თავისი ამოცანა და დაიშალენ.

1902 წ. კიევში 2 თებერვლის დემონსტრაციით დაიწყო დემონსტრაციების მთელი რიგი. დემონსტრაციები ხდებოდა 2 დღეს ზედი-ზედ. დემონსტრანტების და თანამგრძნობ ხალხის საერთო რიცხვი 15000-დე აღწევდა. დემონსტრანტებმა ააფრიალეს სამი წითელი დროშა წარწერებით: „თავისუფლება“, „ძირს თვითმპყრობელობა“, „8 საათის სამუშაო დღე“, მღეროდენ რევოლიუციონურ სიმღერებს, გაისმოდა ხმები: „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას“, „გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიას“. მთელი დღის განმავლობაში ქვეითი და ცხენოსანი პოლიციელები იჭრებოდენ დემონსტრანტების რიგებში, ართმევდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშებს, სცემდენ და შლიდენ მათრახებით; გარეკდენ ერთ ადგილიდან და მრავალ ათასიანი დემონსტრაცია იმართებოდა მეორე ადგილს. ბევრი იყო ნაცემი და დაჭრილი, 200 კაცი დაატუსაღეს: მეორე დღეს, სამ თებერვალს, მანიფესტაცია ისევ განმეორდა. მასში უმთავრესად მუშები იღებდენ მონაწილეობას; კაზაკაკებმა აქაც სცემეს მუშებს. ორივე დღეს დემონსტრაცია გაგრძელდა ღამითაც.

თებერვალშივე გაიმართა სამი პატარა დემონსტრაცია: ეკატერინოსლავში, 17 თებერვალს (200 კ.); როსტოვში დონზე 19 თებერვალს (100 კაცი) და ოდესაში, 23 თებერვალს (50 კაცი).

1902 წ. 9 თებერვალს მოსკოვში გაიმართა მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით თუმცა დიდი დემონსტრაცია, მაგრამ ის ვერ ჩატარდა წარმატებით. სტუდენტებმა, ამ დემონსტრაციის ორგანიზატორებმა, შესაკრებ ადგილათ დანიშნეს უნივერსიტეტი და მოგროვდენ იქ 1000 კაცამდე, მაგრამ მუშები ვერ შეუერთდენ მათ, რადგან წინა დღით და მანიფესტაციის დღეს ყველა დიდი ქარხნები ალყაშემორტყმული იყო ჯარების მიერ და მუშები ვერ მივიდენ შესაკრებ პუნქტზე. სტუდენტები ჯერ გამაგრდენ უნივერსიტეტში, მაგრამ ღამით ჯარისკაცები შეიჭრენ და ისინიც დანებდენ ყველანი დაატუსაღეს და აღმოსავლეთ ციმბირში გაგზავნეს *).

1902 წ. 3 მარტს პეტროგრადში გაიმართა დემონსტრაცია, რომელიც შედარებით მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ უმთავრესად მუშებისაგან შესდგებოდა. იყო დროშები, მღეროდენ რევოლიუციონურ სიმღერებს, გაისმოდა ხმები: „ძირს თვითმპრობელობა“, „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას“. პოლიცია და ჟანდარმები ართმევდენ დროშებს დემონსტრანტებს და შეუბრალებლათ სცემდენ მათრახებით და ხმლებით, მუშები ენერგიულათ იცავდენ თავს ჯოხებით. დაატუსაღეს 500 კაცი, მრავალი იყო ნაცემი, დაჭრილი; იყო დაჭრილები პოლიციის მხრივაც.

1903 წ. 21 ნოემბერს მანიფესტაციაში, რომელიც გაიმართა ტფილისში, მონაწილეობას იღებდა სამასი მუშა.

პირველ მაისის დემონსტრაციები ამ წელს მრავალ ქალაქებ გაიმართა. კრასნოიარსკში პატარა დემონსტრაცია მოხდა 1902 17 აპრილს.

18 აპრილის დემონსტრაციის დროს როსტოვში-დონზე თუ დიდი ხალხი შეიყარა (8000-დე კაცი), მაგრამ ვერ ჩატარდა შესაფერად, რადგან მისი ორგანიზატორი მუშები გაიბნენ თანა-

*) ჩქარა ყველანი დააბრუნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგრძნობ ხალხში და ვერ მოუყარეს თავი თავის გარშემო მტკიცე ჯგუფს. დროშა გაიტაცა ჯაშუშმა და რევოლიუციონური სიმღერებიც არ მოხერხდა.

ბაქოში 1902 წლის 21 აპრილს გაიმართა დიდი დემონსტრაცია (5000 კაცი), რომელიც წინდაწინვე იყო მომზადებული შეგნებული მუშების მიერ. დემონსტრაციამდე იმართებოდა კრებები, სხდომები, რომლის დროს ნაწილდებოდა როლები და მუშავდებოდა მოქმედების გეგმა. დემონსტრაციის დროს დროშებზე, ისე, როგორც მანიფესტაციის დროს გაფანტულ პროკლამაციებში, წამოყენებული იყო მუშების მოთხოვნილებები: „თავისუფლება“, „8 საათის სამუშაო დღე“ და სხვ. მანიფესტაცია სრული წარმატებით დამთავრდა. პოლიციასთან შეტაკება არ ყოფილა.

ხარკოვში 1-ლ მაისს არ მოხერხდა დიდი დემონსტრაციის ჩატარება. ამ დღეს მხოლოდ ადგილი ქონდა მღელვარებას ორთქმავალების ასაშენებელ ქარხანაში, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო; მუშებსა და პოლიციას შორის შეტაკება არ მოხდა.

პირველი მაისი სორმოვოში დაიწყო ქარხნის კანტორის და ბოქაულის კანცელარიის დარბევით. დარბევა მოაწყო მუშების ჩამორჩენილმა ნაწილმა. მათ მოუსწრეს მოწინავე მუშებმა და დაითანხმეს შეეწყვეტათ დარბევა და გამოსულიყვენ ქუჩაში. ყველა მუშები შეუერთდენ დემონსტრაციას და ააფრიალეს წითელი დროშა წარწერებით: „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას“, „გაუმარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს“! პოლიცია და ჯარისკაცები თავს დაესხენ დემონსტრანტებს და დაუწყეს თოფის კონდახებით ცემა; უიარაღო მუშები იძულებული გახდენ გაფანტულიყვენ. რამდენიმე ინტელიგენტი და მუშა დაატუსაღეს და პასუხისგებაში მისცეს.

1902 წლის 5 მაისს სარატოვში მოხდა პირველი ქალაქში დემონსტრაცია, რომელიც საკმაოთ წარმატებით ჩატარდა. დემონსტრანტებმა მოახერხეს გაშლილი წითელი დროშებით გაეელოთ საგრძნობათ დიდი მანძილი. დროშები 20 წუთის განმავლობაში ფრიალებდენ. მოხდა შეტაკება პოლიციასთან და ჯაშუშებთან, რომლის დროს რამდენიმე კაცს სცემეს. დაატუსაღეს 50 კაცი, ამათგან 15 პასუხისგებაში მისცეს.

1903 წელს პირველი დემონსტრაცია გაიმართა ოდესაში 17 იანვარს, დემონსტრაცია უმნიშვნელო იყო, მასში მონაწილეობა მიიღო სამოცდაათამდე რკინისგზელმა, რომლებიც გადასახლებულ ამხანაგებს აცილებდენ.

ამავე წლის თებერვალს დემონსტრაცია მოეწყო ტომსკში. დემონსტრაცია (200 მონაწილე და 1000-დი მაყურებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი) მოაწყო სტუდენტებმა. მანიფესტანტებს დაერია პოლიცია და უმოწყალოდ სცემა. პოლიციის ძალადობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 20 თებერვალს გაიმართა მეორე დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 3,000 კაცი და 15,000-დე მაყურებელი. პოლიცია დემონსტრანტების მოთხოვნით გაიყვანეს, ამის შემდეგ წარმოთქმულ იქნა რამდენიმე სიტყვა და დემონსტრანტები დაიშალენ.

1903 წლის 23 თებერვალს დემონსტრაცია გაიმართა ტფილისში, მონაწილეობას იღებდა 6,000-დე კაცი.

1903 წლის 2 მარტს გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია როსტოვში დონზე; მას ქვევით მოვიხსენიებთ.

1903 წლის 2 მარტს გაიმართა დემონსტრაცია აგრეთვე ბაქოში წინა წლების მარტში მომხდარ ამბების აღსანიშნავად: ეს დემონსტრაცია მოამზადა და მოაწყო ჩვენმა კომიტეტმა. დემონსტრაცია დაიწყო წითელი დროშებით მუშების მსვლელობით და მარსელიოზის სიმღერით. ხალხში ვრცელდებოდა პროკლამაციები. პოლიცია რამდენიმეჯერ შეეცადა გაეფანტა დემონსტრანტები, მაგრამ უკანასკნელებმა ქვებით მოიგერიეს. მუშების რიცხვი 2,000 აღემატებოდა.

1903 წელს 9 მარტს, 1902 წელს მომხდარი არეულობის წლის თავზე ბათომში მოხდა გრანდიოზული დემონსტრაცია. ოთხი გაშლილი წითელი დროშით, სიმღერით და ძახილით: „გაუმარჯოს თავისუფლებას“ მუშებმა შემოიარეს მთელი ქალაქი, გზაში ჭარიდენ პრაკლამაციებს და რევოლვერებიდან ისროდენ ჰაერში. მუშები 3,000-დე იყვენენ, თითქმის ყველას ჰქონდა იარაღი. პოლიციას არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

აღვნიშნავთ კიდევ მთელ რიგ სხვა მანიფესტაციებს; ტულაში—1903 წლის 14 სექტემბერს (200 კაცი); კლინცში 1903 წლის ოქტომბერში გაიმართა დიდი მანიფესტაცია. მიზეზი მანიფესტაციისა იყო ქალაქის საბჭოს მიერ მუშებით დასახლებული რაიონის კუთვნილი ტყის გაყიდვა. ამ ნიადაგზე რამდენიმეჯერ მოხდა მღელვარება, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ჩვენი ნოვოზიბკოვის ორგანიზაციის ზეგავლენით ოქტომბერში გრანდიოზული დემონსტრაციის ხასიათი მიიღო, დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 3,000 დე კაცი; ტომსკში—1903 წლ. 27 ოქტომბერს 6,300 კაცი; ჩოხატაურში (ქუთაისის გუბერნია)—1903 წ., 4 ნოემბერს (80 კაცი); ალექსანდროვსკში (ეკატერ. გუბერნია) 1903 წლის 4 ნოემბერს (300 კაცი); ტაგანროგში—1903 წლის 9 ნოემბერს (200 კაცი); რიგაში—1903 წ. 16 ნოემბერს (1000 კაცი); ბათომში—1903 წ. 19 ნოემბერს (2500 კ.); მიტავაში—1903 წ. 12 დეკემბერს (200 კაცი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისის დემონსტრაციები ამ წელს გაიმართა ბალტაში—7 აპრილს; კულაშში (ქუთაისის გუბერნია)—18 აპრილს; ტომსკში—18 აპრილს, აქ მონაწილეთა რიცხვი 5000 აღწევდა, მეეროდენ რევოლიუციონურ სიმღერებს, .იყო წითელი დროშები, წარმოითქვა სიტყვები. ორატორებს დიდის ყურადღებით უსმენდენ. ერთ-ერთი სიტყვის შემდეგ პოლიცია და ჯარისკაცები მათრახებით და ხმლებით დაერიენენ დემოსტრანტებს. მუშებმა მათ ქვები დაუშინეს, პოლიციამ და ჯარისკაცებმა უკან დაიხია, იყო რამდენიმე დაჭრილი.

სმოლენსკში 26 აპრილს (300 მონაწილე), ტფილისში—26 აპრილს (500 მონაწილე), ბაქოში 27 აპრილს გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცმა. მოხდა რამდენიმე შეტაკება: პოლიციასთან და ჯართან, მაგრამ საერთოდ მუშებმა დემონსტრაცია დაამთავრეს.

ნიჟნი-ნოვგოროდში (სორმოვო) პირველ მაისს გაიმართა პატარა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ასმა მუშამ. ფეოდოსიაში—1-ლ მაისს (45 კაცი). ტულაში—4 მაისს (120 მონაწილე).

კოსტრომაში 8 მაისს (500 მონაწილე); დემონსტრანტებს დაერიენენ ჯარისკაცები და სცემეს. ამ დემონსტრაციის შესახებ ქვევით გვეკნება ლაპარაკი.

იმ დემონსტრაციებიდან, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1904 წლის პირველ ნახევარში, აღვნიშნავთ შედეგს:

რიგაში—1904 წ. 1—ლ იანვარს, ტფილისში—1904 წ. 5 იანვარს (700 მონაწილე). როსტოვში-დონზე თებერვალში (60 კაცი). ბათომში—2 თებერვალს (100 კაცი): მანიფესტაცია მოაწყვეს ნიშნათ პროტესტისა პოლიციის მიერ გამართულ „პატრიოტულ“ მანიფესტაციების წინააღმდეგ. დერპტში (იურიევი) 19 თებერვალს (600 მონაწილე), ტფილისში—11 აპრილს, რომლის დროს დიდი შეტაკება მოხდა პოლიციასთან, დაიჭრა 13 მუშა. მიტავაში—1-ლ მაისს (30 მონაწილე).

უფრო ნნიშნელოვანი დემონსტრაციების ამ მოკლე მიმოხილვიდან სჩანს, რომ ერთ ხანათ ისინი გადაიქცა საყოველთაო გატაცების საგანათ და ყველა ორგანიზაციები ცდილობდენ, როგორაც არ ყოფილიყო, ქუჩაში გამოეტანათ პროტესტი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. და რასაკვირველია, რევოლიუციონური პროტესტის ასე საჯაროდ გამოთ-მას უდიდესი საგიტაციო გავლენა ჰქონდა, რადგან საბოლოოდ გამოჰყავდა რევოლიუციონური მოძრაობა არალეგალური მდგომარეობიდან და ასეულ ათას „ობივატელს“ სხვა და სხვანაირად ალაპარაკებდა მუშათა მოძრაობის, პოლიტიკურ თავისუფლების, პოლიციის და კაზაკების მხეცობის შესახებ და სხვა. თუ უკვე პროკლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაციების გავრცელება მოწმობდა რევოლიუციონური ორგანიზაციების არსებობას და მათ მოღვაწეობას,—დემონსტრაციების შემდეგ, ქუჩაში გამოსვლის შემდეგ, რასაკვირველია, ქალაქში არ იქნებოდა არც ერთი კაცი, რომელიც ასე თუ ისე, ბრაზით ან სიმპატიით, არ ლაპარაკობდა რევოლიუციონერების და მუშათა მოძრაობის შესახებ, რომელსაც არ გაგიგონა—თუ გინდ ხშირად მეტად უცნაურ ფორმაში —მომხდარი დემონსტრაციის ან „ბუნტის“ შესახებ, რომელიც არ დფიქრებულიყო და თავისებურათ არ გადაეჭრა და აეხსნა მომხდარი ამბების მნიშვნელობა. ამ მხრივ, ქალაქის მოსახლეობის მასაში ინტერესის გაღვიძება და სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციების პოპულიარიზაციის მხრივ, დემონსტრაციებმა, ეჭვს გარეშეა, დიდი როლი ითამაშეს.

დიდი როლი დემონსტრაციებით გატაცებაში ითამაშა შეგნებული, შეკავშირებული მუშების სულიერმა განწყობილებამ. სანამ ბრძოლა სწარმოებდა უმთავრესად ეკონომიურ ნიადაგზე, გაფიცვები და მათი მომზადება ერთგვარ გამოსავალს აძლევდენ უშუალო მოქმედების წყურვილს. ორგანიზაციების უმთავრესად პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლის შემდეგ მოწინავე მუშების დამოუკიდებელი მოქმედება საგრძნობათ შეიკვეცა. აგიტაცია სწარმოებდა თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ფურცლების საშვალებით, რომელთა შედგენა—უკვე ამ ფურცლებში აღებულ თემების მიხედვით ნაკლებ შესაძლებელი იყო მუშისათვის, ვიდრე პროფესიონალური ხასიათის საკითხები და სავსებით ეკისრებოდა კომიტეტს, რომელიც მუდამ თითქმის მხოლოდ ინტელიგენტებიდან შესდგებოდა. მუშებს ხშირად რჩებოდა მხოლოდ გავრცელების ტეხნიკური ფუნქციები. პოპაგანდისტთა წრეები და იშვიათი მცირე რიცხოვანი საგიტაციო კრებებიც აგრეთვე არ აძლევდენ საკმაო ასპარეზს აქტიური მოღვაწეობის იმ წყურვილს, რომელსაც გრძნობდენ მოწინავე მუშები, რომლებიც ასობით მოიპოვებოდენ ცოტათ თუ ბევრათ დიდ ქალაქში. მათ ეჩვენებოდათ, რომ პარტია ლაპარაკის, სიტყვების მეტს არაფერს აკეთებს იმ დროს, როცა მოქმედებაა საჭირო. ეს შთაბეჭდილება უფრო ძლიერდება იმ ხასიათის წყალობით, რომელიც აუცილებლობის გამო მიიღო პირველ ხანებში პოლიტიკურმა აგიტაციამ. პარტიას არ ჰყავდა საკმაო ძალები, რომ თუნდაც მუშების მოწინავე წრეებისათვის გაეცნო ის კონკრეტიული პოლიტიკური საკითხები, რომლებიც რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილ შინაარსს შეადგენდენ. იძულებული ვხდებოდით: უმთავრესად დავკმაყოფილებულიყავით წმინდა „სქემატიური“ აბსტრაქტული აგიტაციით თვითმპყრობელობის—როგორც სახელმწიფო წყობილების პრინციპის წინააღმდეგ, ერთის მხრით და მეორეს მხრით, კაპიტალიზმის, როგორც საზოგადოებრივ-ეკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომიური მოვლენის წინააღმდეგ. და ორივე ეს კატეგორიები გამოიდიოდენ არა როგორც რუსეთის საზოგადოებრივი სისტემ-ხორც შესხმული მოვლენები, შეკავშირებული მრავალფეროვანი, ხშირად ანალიზისათვის მიუწვდომელი ძაფებით, არამედ უფრო როგორც ლოგიკური განზოგადოებანი, როგორც თეორეტიული ფორმულები. და რამდენათაც ცდილობდნენ დაეკავშირებიათ პოლიტიკური და ეკონომიური აგიტაცია, ეს კავშირი შენდებოდა არა იმდენათ რუსეთის ხალხის სხვა და სხვა კლასების და ჯგუფების ურთიერთობაზე, მათი რეალური, ისტორიული ფესვების მქონე იდეოლოგიით ერთი მხრით და თვითმპყრობელობის მეორე მხრით,—რამდენათაც ისევ და ისევ საერთო დებულებებზე მთავრობის შესახებ. რომელიც მხარს უჭერს შეძლებულ კლასებს ღარიბების წინააღმდეგ. რასაკვირველია, მრავალი ამხანაგი გრძნობდა და ხედავდა, რომ მუშაობის ასეთი დაყენება არ არის საკმაო, ისინი ცდილობდენ შეეთავსებიათ პოლიტიკური და ეკონომიური აგიტაცია, მთლიან სოციალისტურ ერთეულში დამდგარიყვენ პოლიტიკური ცხოვრების სინამდვილის ნიადაგზე, მაგრამ საერთოდ და მთლიანად, აუცილებლობის გამო მუშაობა რჩებოდა თეორეტიული ხასიათის. ეს გარემოება კიდევ უფრო აიძულებდა მოწინავე მუშებს ეგრძნოთ, რომ მათ რაღაც აკლიათ, მოეძებნათ რაიმე გამოსავალი, რაიმე პრაქტიკული საქმე. და თუმცა მოწინავე მუშების უმრავლესობის მონაწილეობა დემოსტრაციების მომზადებაში და მოწყობაში არსებითად არ სცილდებოდა წმინდა ტეხნიკური ფუნქციების ფარგლებს, მაგრამ თვით საქმის სირთულე, მასთან დაკავშირებული საფრთხე, გულის სიღრმეში დაგროვილი პროტესტისათვის ერთხელ მაინც გამოსავალის მიცემის შესაძლებლობა, აიძულებდა მათ გატაცებით და აღფრთოვანებით მისცემოდენ ამ ახალ საქმეს და მუშებმა მოჰკიდეს ხელი დემოსტრაციების მოწყობას მთელი იმ გატაცებით, რომელიც აქვს მებრძოლ მუშას. დემოსტრაციების მზადების დაწყებასთან ერთად, შეკავშირებული მუშების წრეში სიცოცხლე შადრევანივით სჩქეფდა, და დიდხანს კიდევ, მის შემდეგ არ დაწყნარებულა გაბედული გამოსვლით გამოწვეული მღელვარება.

მაგრამ ჩქარა გამოჩნდა ამ გატაცების უარყოფითი შედეგებიც. პირველ ყოვლისა, რა დიდი არ იყო ზოგჯერ დემონსტრაციების მაყურებელთა რიცხვი, რა დიდი არ იყო მათ შორის თანამგრძნობთა რიცხვი, ჩვეულებრივათ დემონსტრაციაში აქტიურათ მონაწილეთა რიცხვი მცირე იყო, უკეთეს შემთხვევაში, რამოდენიმე ასეული. ამის გამო დემონსტრანტები თითქმის ვერასოდეს ვერ იგერებდენ კაზაკებს და პოლიციას, რომლებიც ხმლებით და მათრახებით ესხმოდენ მათ და მხეცურად სცემდენ ყველას, ვინც ხელში მოხვდებოდა. თავს იჩენდა აგრეთვე დემონსტრაციების ცუდი ორგანიზაციული მომზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება. ასეთ პირობებში შეიარაღებული პასუხის გაცემის პროექტების, რომლებიც იბადებოდენ ზოგიერთი დაუდეგართა თავში და რომლებსაც ქადაგებენ ე. წ. სოციალისტ-რევოლიუციონერები, შეეძლო გამოეწვია მხოლოდ უნაყოფო სისხლის ღვრა და ჩვენი პარტია აფრთხილებდა ასეთი მიზან-შეუწონელი ტაქტიკისაგან და ურჩევდა გაძლიერებული ყურადღება მიექცია დემონსტრაციების უკეთესად მომზადებისა და მოწყობისათვის და არ გატაცებულიყვენ მათი სიმრავლით.

მაგრამ დემონსტრაციების ცემა-ტყეპას გარდა, დემონსტრაციებს თითქმის ყოველთვის თან სდევდა მასიური დაპატიმრება და ვინაიდან მონაწილეთა დიდი უმრავლესობა ცოტათ თუ ბევრათ ახლო იდგა პარტიულ ორგანიზაციებთან და ძნელი იყო ასეთი საჯარო გამოსვლის დროს კონსპიაციის ყველა წესების დაცვა, ამ დაპატიმრებათ ხშირად შედეგათ ჰყვებოდა ასეთი გაჭირვებით შექმნილი ორგანიზაციების დაშლა.

დაბოლოს—პოლიტიკური გაღვიძების და სულიერი განწყობილების ამაღლების საუკეთესო საშუალება—დემონსტრაციები არ იძლეოდენ ყველა იმას, რაც ჩვენი, სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისით საჭიროა პროლეტარიატის ნამდვილი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი აღზრდისათვის. სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობაში კი საკითხის ეს მხარე პირველ რიგში უნდა იდგეს. ამრიგათ ასეთი აღზრდის მეთოდების გამონახვის ამოცანა პარტიის პოლიტიკურ მოღვაწეობაში მუშათა მასსების აქტიური მონაწილეობის საშუალებით, დემონსტრაციების პერიოდის შემდეგაც ღიათ რჩებოდა.

ბ) 1902—1903 წ. ტიხორეცკაიაში, როსტოვში-დონზე და კოსტრომაში.

1902 წ. მაისის დასაწყისში კავკავის რკინის გზის სად. ტიხორეცკაიაში, სადაც არის რკინის გზის სახელოსნოები, მოხდა ისტორია, რომელმაც ნათელჰყო, თუ როგორ ნერვიულათ არიან განწყობილი მუშები, თუ როგორ აღელვებს მათ პოლიტიკური და საზოგადოებრივი მონობის ყოველგვარი გამოხატულება და როგორის სიძლიერით არიან ისინი მზად პროტესტი განაცხადონ ძალადობისა და თვითნებობის წინააღმდეგ. ახალგაზრდა ლამაზი ქალი ზოლოტოვა,—ოფიციალური წყაროებით—მეძავე ქალი მოეწონა სასამართლოს გამომძიებელს, რომელიც მასთან ერთი ვაგონით მიემგზავრებოდა. გამომძიებელმა ქალს ცინიკური წინადადებით მიმართა და როცა უკანასკნელი არ დანებდა, უბრძანა დაეტუსაღებიათ ის—ქალს ვითომდა მისი ქოლგის მოპარვა სურდა. და აი სადგურ ტიხორეცკაიას სადარაჯოში საბრალო ქალი გააუპატიურეს, ჯერ, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენ, გამომძიებელმა, შემდეგ სტანიცის მთელმა ადმინისტრაციამ დარაჯათ მიყენებულ კაზაკებითურთ და მათ შემდეგ ყველამ, ვინც აბაზს მისცემდა ქალის დარაჯებს. უბედურმა ქალმა ვერ იატანა წამება და თავი მოიწამლა თუ—და ეს გამოიკვეველი დარჩა—მოწამლეს. როცა ეს ტახორეცკაიას რკინისგზის სახელოსნოების მუშებმა გაიგეს, გაეშურენ სტანიცისაკენ, დაანგრიეს სადარაჯო, სტანიცის სამმართველო, რკინისგზის სადგური და სცემეს კაზაკებსა და პოლიციას. მთმა ენერგიულმა პროტესტმა ხელი შეუშალა მეიფუჩეჩებიათ ეს ისტორია, რაც ჩვეულებრივათ ხდება რუსეთში ასეთი შემთხვევების დროს. მთავრობამ რამდენიმეჯერ მოახდინა გამოძიება, გამოაქვეყნა მასალების მთელი ტომები, მაგრამ მიუხედავათ მისი ცდისა გაემართლებიათ უმაღლესი თანამდებობის პირები და მთელი დანაშაული მხოლოდ უბრალო კაზაკებისათვის მოეხვია თავზე, ყველა ხედავდა, რომ აქ საქმეს განზრახ აფუჩეჩებდენ. ეს შთაბეჭდილება განსაკუთრებით განამტკიცა იმ პირობებმა, რომელშიაც ხდებოდა გასამართლება იმ პროლეტარების, რომლებმაც თავგანწირულათ განაცხადეს პროტესტი მომხდარი სისაძაგლის წინააღმდეგ და—საჭიროა კი ამის დამატება—ერთად ერთი „ბრალდებულები“ აღმოჩნდენ ამ საქმეში. გასამართლება ხდებოდა დახურულ კარებში, დამცველებს აუკრძალეს შეხებოდენ იმ პირობებს, რომელშიც გარდაიცვალა ზოლოტოვა. დამცველებმა პროტესტი განაცხადეს სიმართლის გამორკვევისათვის ხელის შეშლის ასეთი საშვალების წინააღმდეგ და დასტოვეს სასამართლოს დარბაზი. მიუხედავათ ამისა ამ საქმის სისაძაგლე იმდენათ ნათელი იყო, რომ ყველა ბრალდებულები გადარჩენ ხანმოკლე—რუსეთის პირობებში, დაპატიმრებით.

რუსეთის მუშათა მოძრაობის მთელი ეპოქა შექმნა გაფიცვამ, რომელმაც იფეთქა 1902 წ. 4 ნოემბერს კავკავის რკინის გზის სახელოსნოებში როსტოვში-დონზე გაფიცვა მოამზადა და მოაწყო ჩვენი პარტიის დონის კომიტეტმა, რომელმაც თავის პროკლამაციაში ჩამოაყალიბა გაფიცულების მოთხოვნილებები. მოთხოვნილებები არ სცილდებოდენ წმინდა პროფესიონალურ ინტერესების ფარგლებს. მაგრამ პირველ დღეებიდანვე გაფიცულებმა, რიცხეთი 4000 კაცმა, მდგომარეობის ერთად განხილვის მიზნით დაიწყეს თავის მოყა სახელოსნებისების ეზოში. გაფიცვას შეურთდენ სხვა მუშებიც: რკინის-გზის დეპოს, პასტუხოვის რკინის დასამუშავებელი ქარხნის (400 კ.), ფურნეების, ტოკარევის და დუტიკოვის, აქსაისა და გრიგორიევის—გუთნის ქარხნების, ცემენტის, თამბაქოს—ასმოლოვისა და „რაბოტნიკ“. ჩვენმა კომიტეტმა გადასწყვიტა ესარგებლა გაფიცულების მასიური კრებებით და გაგზავნა კრებაზე თავისი ორატორები. რადგან სახელოსნოების ეზო, როგორც თავისი სიდიდით, ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდებარეობით არ იყო დამაკმაყოფილებელი, კრება გადატინილ იქ
მნა ქალაქის განაპირა რაიონში. აქ მთელი კვირის განმავლობაში
ათასობით (ზოგჯერ ხალხის რიცხვი 30000-დე აღწევდა) იკრიბებო-
და ხალხი კომიტეტის აგიტატორების სიტყვების მოსასმენად. პირვე-
ლათ სიტყვები პოლიტიკურ თემებზე და მოწოდებები თვითმპყრობე-
ლობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ერთგვარ უკმაყოფილებას იწვევ-
და მუშებში, განსაკუთრებით ხანში შესულ მუშებში, მაგრამ შემდეგ
ხალხი თვით მოითხოვდა სიტყვებს სწორედ ამ თემებზე. ხდებოდა
რუსეთში ჯერ უჩვეული და გაუგონარი: ყოველდღე მრავალრიცხო-
ვანი მიტინგები ცის ქვეშ, მრავალ ათასიანი მიტინგი სულ განაბუ-
ლი ყურაღღებით უსმენს გაბედულ სიტყვებს თვითმპყრობელობის,
მოხელეთა თვითნებობის და ძალადობის, მოსამართლეთა გამყიდვე-
ლობის შესახებ, ხალხი, რომელიც ზმამაღლა უპასუხებს „საჭიროა“,—
ორატორის კითხვაზე: „საჭიროა თუ არა ჩვენთვის პოლიტიკური
თავისუფლება“, აქვეა თავმოყრილი სხვა და სხვა ჯურის ხალხი მთელ-
ი როსტოვიდან: მუშები, რომლებ ც სტოვებდენ სახელოსნებს,
რომ „მოესმინათ“ ორატორებისათვის, მეშჩანები, ვაჭრები, მოხელ-
ეები, ქალები, ეტლებში ლორნეტით ხელში. და აქვე დაბნეული ად-
მინისტრაცია, რომ ლმაც არ იცის რა ქნას, კაზაკები და პოლიცია,
რომლებიც ისმენენ სოციალ-დემოკრატ ორატორების სიტყვას.

მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა ასეთი მიტინგები
(მუშები ეხ ბარებოდენ ორატორებს მიტინგზე შეუმჩნეველად მოსელა-
ში და დაბრუნებაში), სანამ ადმინისტრაცია გადასწყვეტდა მიემართა
კაზაკებისათვის, მაგრამ კაზაკების თავდასხმა რამდენჯერმე იქნა მო-
გერებული ქვებით, ჯოხებით და ფიცრებით. და მხოლოდ 11 ნოემ-
ბერს, როცა კრება უკვე გათავდა და თითქმის ყველა მუშები დაი-
შალენ, კაზაკებმა ბავშვების მიერ გასროლილ რამდენიმე ქვაზე სროლა
ასტეხეს: მოკლეს 6, მძიმეთ დასჭრეს—12 და გაიქცნენ. ამ მკვლელო-
ბამ არ შეაშინა ხალხი, არამედ კიდევ უფრო გააბაზა და კიდევ დიდ-
ხანს ჯრძელდებოდა ამის შემდეგ ასეთივე სიტყვები და პროტესტები.
ადმინისტრაცია ახლა უკვე ვერ ბედავდა ჩარევას, რადგან მთელი
ქალაქი ღელავდა, დიდი უმოაღლესობის სიმპატიები გაფიცულების
მხარეზე იყო, მთელ ოდენ აჯანყებას, რევოლიუციას.

ჩვენი კომიტეტის ფაფული სტამბა მუშაობდა დაუღალავად,
რამდენათაც ამის საშვალებას იძლეოდა მისი მეტად მცირე შეკვე-
�ილი ფარგლები. პროკლამაციები გამოდიოდა ყოველ დღე სულ
გავრცელებული იქნა 17 სხვა და სხვა პროკლამაცია 30.000 ც.
რაოდენობით. უნდა აღინიშნოს დისციპლინა და განსაცვიფრებელი
სიმტკიცე, რომელიც გამოიჩინეს ათასეულმა „უბრალო“ მუშებმა.
ჯაშუშების ცდა გაეოეწვიათ ჩხუბი და არევ-დარევა, სისტემატური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხით მთავრდებოდა. ხალხი გრძნობდა, რომ ეს პოლიციური ხრიკებია და ჩუმად აძევებდა ჯაშუშებს თავის რიგებიდან. ჟანდარმების ოფიცერს, რომელიც მოვიდა კრებაზე, მუშებმა არ მოუსმინეს. ასევე უარი სთქვეს მათ იმ პროკლამაციების წაკითხვაზე, რომელზედაც არ იყო ჩვენი დონის კომიტეტის წითელი ბეჭედი.

მხოლოდ 23 ნოემბერს განაახლეს მუშაობა კავკავის რკინის გზის მუშებმა და თავვრობამ შესძლო მასიური დაპატიმრებით და გადასახლებით დაეკმაყოფილებია შურისძიების წყურვილი.

ჩვენი კომიტეტის აგიტაციის წყალობით, როსტოვის ამბებმა გამოძახილი ჰპოვა კავკავის რკინისგზის სხვა პუნქტებშიც, სადაც იყო სახელოსნოები: ნოვოროსიისკში, სადაც გაიფიცა 600 კაცი და, განსაკუთრებით, ტიხორეცკაიაში, რომლის მუშებმა ასეთი გამბედაობა გამოიჩინეს ზოლოტოვას სიკვდილის გამო პროტესტის დროს. აქაც ხდებოდა მიტინგები, ამბობდენ სიტყვებს და სამწუხაროთ—აქაც პროლეტარიატმა თავისუფლებისათვის ბრძოლის სამსხვერპლოზე მიიტანა 5 მოკლული და 17 ძძიმედ დაჭრილი! მსუბუქათ დაჭრილების, აგრეთვე იმ მხეცობის, ცარცვა-გლეჯის, ქალების გაუპატიურების და სხვ. შესახებ, რომლითაც ზოლოტოვას საქმეში მუშების ჩარევით გაბრაზებული მსახურები თვითმყობელებისა ზეიმობდენ თავის გამარჯვებას ტიხორეცკაიას პროლეტარებზე, ჩვენ არ ვლაპარაკობთ. ცარცვა-გლეჯა და გაუპატიურება მუდმივი თანამგზავრია მეფის მთავრობის მიერ მუშების და გლეხების „დაწყნარების“ და თითეული მისი „თავდასხმის“ რუსეთის მოქალაქეებზე, როგორც ეს დავინახეთ კიშინიოვში.

როსტოვის გაფიცვამ გამოარკვია ახალი გზები და ახალი მეთოდები სოციალ-დემოკრატიული აგიტაციისათვის. ეს ახალი მეთოდები და გზები თავისი ინტენსივობით ბევრათ სჭარბობდენ იმას, რაც შესაძლებლათ მიაჩნდათ წინეთ, როცა აგიტაცია სწარმოებდა მხოლოდ და მხოლოდ პროკლამაციებით ან იშვიათ შემთხვევაში, სიტყვით პატარა კრებებზე, რამდენიმე ათეული მუშის მონაწილეობით. და თუმცა ამ გაფიცვით მუშებმა ვერ მიაღწიეს თავისი მოთხოვნილებების დაუყოვნებლივ განხორციელებას, მისი გავლენით მაინც ღრმათ შეიჭრა, როსტოვის მუშების სულში.

ეს ჩქარა შეიქნა ნათელი, ძლიერ ჩქარა, შემდეგი წლის მარტში, როცა ჩვენი კომიტეტისათვის შეგნებულ მუშებთან ერთად საკმაო იყო გამოჩენილიყო მინდორზე, სადაც გამარჯული იყო მუშტი-კრივი საშუალო საუკუნოების ზნეჩვეულების ნაშთი—რომ დაუყონებლივ ჩამოეშორებია მრავალრიცხოვანი ხალხი (5—6 ათასი) ამ ბარბაროსული სანახაობისათვის და წაეყვანა ქალაქში დემონსტრაციაზე. კვლავ ქუჩებზე გამოეფინა მთელი როსტოვი და საათნახევარის განმავლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათეული ათასი კაცის თავებს ზევით ამაყად ფრიალებდა ორი წითელი დროშა წარწერებით: „გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს“, „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას“. პოლიციას, რომელიც არავითარს ამის მსგავს არ მოელოდა, დიდი დრო დასჭირდა, რომ ყველა თავისი ძალები შეეკრიბა. ხალხი მრავალჯერ იგერიებდა მას და პოლიციელთ ფეხებ ქვეშ მავთულს უყრიდა. მთელი შეკავშირებელი ცენტრი და დროშები ხელუხლებელი დარჩა, დატუსაღებულთა უმრავლესობა, იძულებული გახდენ, ჩქარა გამოეშვათ, მაგრამ შეტაკების დროს პოლიციის ბოქაულს თავში ჯოხი დაჰკრეს და მოკვდა. ამის გამო რამდენიმე ჩვენს ამხანაგს მრავალი წლის კატორღა მიესაჯა. ამის შესახებ ჩვენ კიდევ გვექნება ლაპარაკი.

ჩქარა რუსეთის მეორე კუთხეში, კოსტრომაშიაც მოხდა ამბები, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ არა მარტო როსტოვში ჰფეთქს ცხოველი პროლეტარული გული, იჭრება გულის სიღრმიდან ამოხეთქილი პროლეტარული პროტესტი, დაგროვებული ბრაზი და უკმაყოფილება. კოსტრომის გაფიცვა განსაცვიფრებელია იმით, რომ მის ხელმძღვანელობაში ჩვენი პარტია გაცილებით ნაკლებ მონაწილეობას იღებდა, ვიდრე როსტოვში. თვითონ მუშებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, მთელი ქალაქი გაიარეს წითელი დროშებით, რევოლიუციონური სიმღერებით და მიადგენ გუბერნატორის სახლს. აქაც იყო მსხვერპლი. მოიწვიეს ჯარები. გაბრაზებულმა მუშებმა დაშალეს რიყული და ააგეს ბარიკადა. ჯარისკაცებმა ისროლეს, მაგრამ მსხვერპლის რაოდენობა ჯერაც გამოურკვეველია. შემდეგ დაიწყო ჩვეულებრივი ეგზეკუცია...

დ) საყოველთაო გაფიცვა.

როსტოვის და კოსტრომის ამბები შეიქნენ თითქოს უშუალო შესავალი მუშათა მასების იმ გრანდიოზული მოძრაობის, რომელიც 1903 წლის ზაფხულში მოედგა რუსეთის მთელ სამხრეთ ნაწილს. მასში უკვე გამოიხატა ნერვებ დაჭიმული ცდა იმ უცნობი, მომავლის დიდი ამბების, ის რევოლიუციის ნერვიული განწყობილება, ის ბუნდოვანი რწმენა რაღაც მოსალოდნელ საზოგადოებრივი გადატრიალების, ის მტკივნეული რწმენა, რომ შეუძლებელია მომავალშიც ისე ცხოვრება, როგორც წინათ, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვეულებრივად გადაიქცა მუშათა ფართე მასებისათვის. და აი ამ განწყობილების ნიადაგზე წარმოიშვა და ქარიშხალივით გადაიარა მთელ სამხრეთ ნაწილში გაფიცვა, რომელსაც მონაწილეთა რაოდენობის, მისი საყოველთაო ხასიათის, იმ განსაკუთრებული ხასიათის მხრივ, ეშვიათი აქვს შესადარი მთელი მსოფლიოს გაფიცვების ისტორიაში. რუსეთზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიფიცენ თითქმის ყველა წარმოების მუშები, 225,000 კაცამდე. გაფიცვა თანდათანობით მზადდებოდა. ჯერ კიდევ აპრილში ხდებოდა მრავალრიცხოვანი კერძო გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლებიც გამოწვეული იყვენ ჩვენი ორგანიზაციების აგიტაციით მაისის წინ. მუშები აღელვებულნი იყვენ უკვე გაზაფხულის დამდეგს. ბაქოში 1-ლ ივლისს პირველათ გაიფიცენ ნავთის სარეწაოების მუშები, 4 და 5 ივლისს კი გაფიცვა უკვე მოედვა მთელ ქალაქს და მაღაროებს. ტფილისში განწყობილება მომზადებული პირველი ივლისის დემონსტრაციით აღმოსავლეთ ციმბირში 4 პოლიტიკურის გადასახლების გამო. ამ დემონსტრაციის დროს, შეტაკება მოხდა პოლიციასთან—დაიჭრა 5 მუშა, ერთი მათგანი გარდაიცვალა იმავე დღეს. პირველათ (14 ივლისს) გაიფიცენ რკინის გზის სახელოსნოების მუშები, ნოკრები და წვრილი სახელოსნოები, მათ მიყვენ ყველა დანარჩენი მუშები. ივლისის პირველ ნახევარში ბაქოელ და ტფილისელ ამხანაგებისადმი თანაგრძნობის ნიშნად გაიფიცენ ბათომელი მუშები; განწყობილება მოამზადა ერთი მუშის მოკვლამ (ივნისის დამლევს) პროვოკატორის მიერ და დემონსტრაციით ამ მუშის დასაფლავების დროს, რომელიც 3000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. ოდესაში 1-ლ ივლისს გაფიცვა დაიწყეს ნავთსადგური („ბოსიაკებმა") და რკინის გზის დიდი სადგურის მუშებმა, რიცხვით 2000 კაცმა. გაფიცვის უახლოესი მიზეზი შეიქნა რკინის გზის სახელოსნოების საქვაბო ცეხის ერთი მუშის დათხოვა. 2 ივლისს გაფიცული იყო უკვე მთელი დიდი სადგური, 4 ივლისს კი,—ნავთსადგურის და ქალაქის ყველა მუშები. პროკლამაციები, რომლებიც მუშებს საყოველთაო გაფიცვისაკენ მოუწოდებდენ, გავრცელებულ იქნენ მთელს ქალაქში. ფურცლების გაძლიერებული გავრცელების და სხვა ქალაქებში საყოველთაო გაფიცვის შესახებ ხმების ზეგავლენით, დაიწყო მღელვარება ნიკოლაევშიც; თვით ჩამორჩენილი მუშების მასსაც კი ამბობდა: „ჩვენ არ გვსურს მუშაობა, როცა სხვები გაფიცული არიან"-ო. პირველათ შესწყვიტეს მუშაობა საფრანგეთის ქარხნის საქვაბო სახელოსნოების მუშებმა, ძახილით: „გაუმარჯოს გაფიცვას" გაეშურენ ისინი სხვა სახელოსნოებისა და ქარხნებისაკენ და ყველგან მუშები უერთდებოდენ მათ. კიევში ჩვენი ორგანიზაციის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა სტამბების და რკინის გზის მუშებს გამოეცხადებიათ საყოველთაო გაფიცვა და მხარი დაეჭირათ ოდესის და ბაქოს მუშებისათვის. იმავე დღეს შესწყვიტეს მუშაობა რკინის გზის ყველა სახელოსნოებმა. დეპომ და რუსეთის მანქანების ამშენებელი ქარხნის მუშებმა, რიცხვით 4000 კაცმა, 22 ში მათ შეუერთდენ ყველა ასოთ-ამწყობები და სხვა პროფესიის მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შები. ელისავეტგრადში 28 ივლისს გაფიცვა დაიწყეს კალატოზებმა (300 კაცი), დურგლებმა (200 კ.) და ისაკულსკის ქარხნის მუშებმა. გაფიცვა დაიწყო უმთავრესად სამხრეთ-რუსეთის ქალაქებში მომხდარი ამბების ზეგავლენით, რადგან ელისავეტრადის მუშებს არც კი წამოუყენებიათ რაიმე მოთხოვნილებები. უკანასკნელათ, როცა სხვა ქალაქებში გაფიცვა უკვე დასრულდა, გაიფიცენ ეკატერინოსლავის და ქერჩის მუშები. ეკატერინოსლავში ჩვენი პარტიის კომიტეტმა გაფიცის დღეთ დანიშნა 7 აგვისტო და ამ დღეს, მართლაც მუშაობა შესწყვიტეს ჯერ რკინის გზის სახელოსნოების მუშებმა, შემდეგ კი სხვა ქარხნების მუშებმა და ხელოსნებმა.

ყველა ზემოთ აღნიშნულ ქალაქებში გაფიცული მუშები დადიოდენ მთელ ქალაქში და მოუწოდებდენ მუშებს შეერთებოდენ მათ: შედიოდენ ფაბრიკებში, ქარხნებში, აძლევდენ მუშაობის შეჩერების ნიშანს და შემდეგ უხსნიდენ მუშებს თუ რა სურთ მათ: ქარხნებში, გემებზე და რკინის გზებზე უშვიბდენ ორთქლს ქვაბებიდან, შედიოდენ სახელოსნოები, ფურნეებში, მაღაზიებში, გემების სადგომებზე; აჩერებდენ ტრამვაის, კონკებს. გამოაბამდენ ცხენებს და გზაზნიდენ დეპოში; უმრავლეს შემთხვევებში მუშები სიხარულით უერთდებოდენ გაფიცვას. დამფრთხალი ბურჟუები, მრავალათასიანი ხალხის გამოჩენისთანავე შიშით ხურავდენ თავიანთ მაღაზიებს. მუშები ამშვიდებდენ მათ და ეუბნებოდენ: „ჩვენ არა ვართ ყაჩაღები, მცარცველები, ჩვენ არავის ხელს არ ვახლებთ“. გაფიცული იყვენ ყველა პროფესიის მუშები. ყველა ფაბრიკა-ქარხნების, სახელოსნოების და ნავთსადგურის მუშები, დაწყებული მემანქანეებით უკანასკნელ შავ-მუშა ბოსიაკამდე,—სააღმშენებლო მუშებს—დურგლები, კალატოზები, მღებავები, ცხენის რკინის გზის კონდუქტორები და მეჯინიბეები, სტამბის მუშები, მეფურნეები, დარაჯები, და სხვადასხვა ხელოსნები, ქუჩის მგველები, მენაგვეები, ასენიზატორები, რესტორანების მუშა-მოსამსახურეები, ნოქრები, მეწისქვილეები, ტელეგრაფის მოსამსახურეები, ყასაბები, ტვირთის მზიდველები, მეისრეები და ღამის მცველები, რომლებიც სხვათაშორის აცხადებდენ, რომ მათ სურთ ემსახურონ სახლის პატრონებს, მათ კი აიძულებენ ემსახურონ პოლიციას.

კავკასიის სამ ქალაქში გაფიცვაში მონაწილეთა რიცხვი 100.000 კაცამდე აღწევდა; ოდესაში 40.000; კიევში—30.000; ნიკოლაევში—10.000; ეკატერინოსლავში—20—30.000; ელისავეტგრადში—20.000; ფეოდოსიაში, ქერჩში და კონოტოპში—რამდენიმე ათასს.

თავისებურია დიდი ქალაქების სახე გაფიცვის დროს: ყველა მაღაზიები, კანტორები, ფურნეები, სახელოსნოები დაკეტილია, კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კა და ტრამვაი არ დადის; ბეეტლეები თითქმის არ სჩანან; მატარებლები დგანან სადგურებში; საქონელის მთები ავსებენ ბაქანებს გემები და ხომალდები უმოძრაოთ დგანან ნავთსადგურებში. პროდუქტები ძვირდება. არ იშოვება არც პური, არც ხორცი. მცირეოდენ პურს ბრძოლით იტაცებენ. არ არის არც ელექტრონი, არც გაზი, საღამოთი ქუჩებში ბნელა, ბინებს კი ძლივს ანათებენ სანთლები. ქუჩებს არ ჰგვიან, არ არიან არც დამტარებლები, არც ტვირთის მზიდავები, ფეხსაცმელების მწმენდავებიც კი არსად სჩანან. სავაჭრო-საბრეწველო ცხოვრება მოდუნდა, მაგრამ ნაკადივით სჩქეფს საზოგადოებრივი ცხოვრება. მუშები ათასობით დაიარებიან ქუჩებში, მართავენ კრებებს, მიტინგებს, რომელზედაც სოციალ-დემოკრატიული ორატორები ამბობენ სიტყვებს, იმართება დემონსტრაციები წითელი დროშებით. ისმის რევოლიუციონური სიმღერები და ლოზუნგები. აუარებელი პატრულები, პოლიციის, გოროდოვოებ.ს და ჯარისკაცებისა.

პოოკლამაციებში, რომლებიც ათეული ათასები იქნა გავრცელებული, თითქმის ყველგან ერთნაირად იყო ჩამოყალიბებული: რვა საათის. ზოგან 9 საათის სამუშაო დღე, შრომის ხელფასის 20-დან 70%-დე გადიდება, შრომის ხელფასის მინიმუმის დაწესება, ჯარიმების გაუქმება, ზრდილობიანი მოპყრობა და სხვა წვრილმანი მოთხოვნილებები შრომის პირობების გაუმჯობესების სფეროში. ამას გარდა, გამოშვებული იყო პროკლამაციები წმინდა პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნილებებით: სრულიად რუსეთის სახალხო კრების მოწვევა გაფიცვების, კრებების, კავშირების, სიტყვის, პრესის და სინიდისის თავისუფლება, პიროვნების თავისუფლება და ხელუხლებლობა: საინტერესოა, რომ ოდესაში გაფიცვის მომზადებაში ძნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ზუბატოვის აგენტების მიერ შეკავშირებულმა „დამოუკიდებლებმა“. მათი მეთაური შაევიჩი რამდენიმეჯერ სიტყვითაც გამოვიდა, მაგ.ამ როგორც კი გაფიცვა გაფართოვდა, გამოვიდა ვიწრო ეკონომიურ მოთხოვნილებათა ფარგლებიდან და მიიღო მთელი ეკონომიური და პოლიტიკური მონობის წინააღმდეგ მიმართული სტაქიური პროტესტის ხასიათი, „დამოუკიდებლების“ ორგანიზატორები იძულებული გახდენ მიმალულიყვენ სცენიდან, რადგან თვითონ მუშები მიერეკებოდნენ მათ თავისი კრებებიდან. ასე მაგალითად, როცა ერთ დიდ კრებაზე მოვიდა შაევიჩი და მიმართა მუშებს: „რა გსურთ თქვენ“, თავით გიტანათ კედელი თუ ნელ-ნელა დაანგრიოთ ის?, მრავალრიცხოვანმა მუშებმა ერთხმად შესძახეს: „თავით გვინდა გავიტანოთ კედელი“. შაევიჩი იძულებული გმხდა წასულიყო, მუშებს ზორის ხელიდან ხელში გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიოდა თვით მუშების მიერ შედგენილი ფურცელი მოწოდებით: „ძირს მოტყუება, ძირს წვრილმალი მოთხოვნილებები, ჩვენ მეტი გვსურს“.

ბაქოში ყოველ დღე ქალაქს გარეთ იმართებოდა გაფიცულების მასიური კრებები: ჩვეულებრივად იკრიბებოდა სამი ათასამდე კაცი, მაგრამ ზოგჯერ მონიწილეთა და მაყურებელთა რიცხვი 20—30 ათასამდე აღწევდა. კრებაზე სოციალ-დემოკრატი ორატორები ამბობდენ სიტყვებს. ყოველდღე გამოდიოდა პროკლამაციები რუსულ, ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე. მუშები ჯგუფ-ჯგუფად—400—500 კაცი—შეჩერდებოდენ ქუჩაში, კითხულობდენ პროკლამაციებს და უსმენდენ ორატორებს, ყველაფერი ეს პოლიციის თვალწინ ხდებოდა. კრებების დროს იმდენი ხალხი იყრიდა თავს, რომ პოლიცია ვერ ბედავდა ჯარების გამოყვანას, მაგრამ დემონსტრაცია, რომელიც გაფიცვის დროს გაიმართა, ვერ ჩატარდა შესაფერად, რადგან დემონსტრანტები ჩქარა კაზაკებმა გაჰფანტეს მათრახებით. როცა მუშები დამშვიდდენ და კრებებზე უკვე ნაკლები ხალხი მოდიოდა, კრებების გამართვა უკვე ძნელი შეიქნა. მუშებს მათრახებით მიერეკებოდენ სამუშაოზე და ჯარისკაცების თანხლებით ამუშავებდენ. გაფიცვის დასრულების შემდეგ ასეთ სურათებს წააწყებოდი: მიდის კონკა, წინ და უკან კი კონდუქტორებს თითო ჯარის-კაცი უდგას. ტფილისში და ბათომში, სადაც გაფიცვას არ მიუღია ისეთი ფართე ხასიათი, როგორც ბაქოში, მუშებს უფრო უარესად ეპყრობოდენ. ასე, მაგალითად, ტფილისში დატუსაღებულებს ატარებდენ კაზაკების რიგებს შორის, რომლებიც მათ მათრახებით სცემდენ. სადგურ მიხაილოვში კი საშინელი დრამა დატრიალდა. მუშებს სურდათ ორთქლმავალი მოეხსნათ მოსული მატარებელისათვის, მათ თავს დაესხენ სტრაჯნიკები. ბოქაულმა უბრძანა ესროლათ და ადგილზე დარჩა 36 მძიმეთ დაჭრილი და მოკლული. ოდესაში, კიევში და ეკატერინოსლავში იმართებოდა უფრო მრავალრიცხოვანი კრებები, ვიდრე ბაქოში: მათში მონაწილეობას იღებდა ათეული ათასი მუშა. იყო კრებები, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 40—50 ათასი მუშა. ჩვენი ორგანიზაციები ყოველდღე ათასობით უშვებდენ ფურცლებს, რომელთაც პოლიციის თვალწინ კითხულობდენ და აწვდიდენ ერთი-მეორეს. გამოდიოდა მრავალი ორატორი, ძლიერ ხშირათ თვით შეგნებული მუშების წრიდან. ხშირად იმართებოდა მრავალრიცხოვანი მსვლელობა ქალაქში, წითელი დროშებით ხელში, რეოლიუციონური სიმღერებით და ლოზუნგებით. ხშირად ხდებოდა შეტაკებები პოლიციასთან და ჯართან. კაზაკები და ჯარისკაცები უმოწყალოდ სცემდენ მუშებს მათრახებით და ხიშტებით; მუშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს იცავდენ ქვებით და ჯოხებით; მათ რამდენჯერმე მოახერხეს დატუსაღებულების განთავისუფლება. 19 ივლისს პოლიციამ სასტიკად იძია შური კონკის კონდუქტორებზე და მეჯინიბეებზე. ისინი შეიტყუეს დეპოში, შეკრეს და შეუბრალებლად სცემეს მათრახებით. ორი მათგანი ადრე გარდაიცვალა. მუშებს ასობით ატუსაღებდენ და საშინლათ სცემდენ; მრავალი მათგანი მოკვდა საავადმყოფოებში. კიევში გაფიცვის მესამე დღეს, 23 ივლისს, სისხლის მღვრელი შეჯაკება მოხდა პოლიციასა და მუშებს შორის. ამ დღეს რკინის გზის მუშები, რიცხვით ორი ათას კაცამდე, დაწვენ რელსებზე ორთქლმავალების დეპოს ახლო, რომ შეეწყვეტათ მოძრაობა. გამოგზავნეს პოლიცია და კაზაკები. მოხდა შეტაკება, რომლის დროს ისროდენ ქვებს, მუშებს სცემდენ მათრახებით, სჩეხდენ ხმლებით: ორივე მხრით იყო დაჭრილები. გზა გაწმინდეს და ორთქლმავალები გამოიყვანეს დეპოდან. მუშები კვლავ შეიკრიბენ, მათ მიუახლოვდა ჯარები და კაზაკები ვიცე-გუბერნატორის მეთაურობით. გაიცა ბრძანება ესროლათ. ზედიზედ ისროლეს სამჯერ. მოკლეს 4 მუშა და 20 დასჭრეს, ამათგან ზოგიერთები შემდეგ გარდაიცვალა. ამ სისხლის ღვრის შემდეგ გაფიცვამ მართლა საყოველთაო ხასიათი მიიღო. მუშები პირდაპირ აცხადებდენ: „გუშინ სადგურში ისროდენ, დღეს კი ჩვენ არ ვიმუშავებთ“, „როგორ არ ავეჯანყდეთ? ფაბოიკებში გვავიწროვებენ და ტყავს გვაძრობენ,—გარშემო კი ყველაფერი სისაძაგლეა“. 25 ივლისს განმეორდა სისხლის ღვრა პოდოლში. მუშების მრავლათ თავის მოყრის დროს, მოზრდილებმა ფანჯარა გასტეხეს ბროდსკის წისქვილში და კაცის თამბაქოს ქარხანაში. ჯარისკაცების რაზმმა ათჯერ ესროლა მუშებს. ამან საშინლად გააბრაზა მუშები და მათ უფრო მეტის აღელვებით დაუწყეს ქვების სროლა ჯარისკაცებს. დაბოლოს ხალხმა დაშლა დაიწყო. ამ დროს ჯარმა მუშებს ზურგში ესროლა. სამი მოკლეს, მრავალი დაიჭრა. სულ კიევში საყოველთაო გაფიცვის დროს მოჰკლეს 15 კაცი, დაიჭრა 200; პოლიციისა და კაზაკების მიერ—15-დე კაცი. შეტაკება პოლიციასთან კიდევ მრავალჯერ განმეორდა, მაგრამ იარაღის ხმარებას უკვე ვეღარ ბედავდენ. ეკატერინოსლავში პოლიცია და კაზაკები დაეერიენენ მუშებს ხმლებით და სცემეს მათრახებით, რომელთაც ბოლოში რკინა ჰქონდა მიმაგრებული. ერთი ასეთი შეტაკების დროს ბრიანსკის ქარხანასთან, ერთი ქალი ეცა ოფიცერს და დაჭრა თავზე. ოფიცერმა, გაუკურთხილებლათ უბრძანა ჯარისკაცებს—ესროლათ: 11 მოჰკლეს, ამათგან ორი ბავშვი, 13 მძიმეთ (ყველანი გარდაიცვალა) და 15 მსუბუქად დაიჭრა. ნიკოლაევშიც მრავალჯერ მოხდა შეტაკება პოლიციასთან, კაზაკებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჯარებთან. ერთმა ასეთმა შეტაკებამ კინაღამ მიიღო ისეთივე სისხლის ღვრის ხასიათი კიევში და ეკატერინოსლავში. მუშები შავი ზღვის ქარხნიდან გამოსვლის დროს შეხვდენ ჯარისკაცებს, რომლებსაც თოფები დამიზნებული ეჭირათ. მაგრამ ერთმა მუშამ მოახერხა აეცილებია სისხლის ღვრა: მან დაარწმუნა ოფიცერი, რომ მუშები დაიშლებიან თუ ჯარისკაცები თოფებს დაუშვებენ. მუშების ვრანდიოზული (10.000 მონაწილე) დემონსტრატიული მსვლელობა უმსხვერპლოთ ჩატარდა. მუშების ცალკე ჯგუფებს კი საშინლათ სცემეს, მრავალი დაიჭრა, უფრო მეტი იყო დაპატიმრებული. ბოლოს და ბოლოს მუშებისა და ჯარისკაცების შეტაკების დროს ელეატორთან, ჯარისკაცებმა ისროლეს; რამდენიმე კაცი დაიჭრა, მოკლულ იქმნა შემთხვევით გამვლელი მოხუცი. მუშები თავს იცავდენ ქვებით. მოკლეს ბოქაულის ერთი თანაშემწე და რამდენიმე ჯარისკაცი დასჭრეს. ელისავეტგრადში,—კიევში ჯარისკაცების მიერ 200 მუშის მოკვლის ხმით აღშფოთებულ მუშებს, პოლიციასთან შეტაკება მოუხდათ; მუშები მეოდრათ იცავდენ თავს კომბლებით, ჯოხებით და ქვებით; მათ რამდენიმეჯერ მოიგერიეს ჯარისკაცები; დასჭრეს ბოქაულის თანაშემწე. დაატუსაღეს 50-ზე მეტი მუშა. ამხანაგები შეეცადენ გაენთავისუფლებიათ ისინი, მაგრამ ვერ მოახერხეს. მუშების თავდასხმის შიშის გამო ციხეში ჯარისკაცების რაზმი ჩააყენეს. ქერჩში დატუსაღებულთა განთავისუფლების ასეთივე ცდის დროს პოლიციამ მოჰკლა და დასჭრა რამოდენიმე კაცი.

მიუხედავათ ყოველივე ამისა, მღელვარება არ წყნარდებოდა. მუშები ზანტად, გულგრილათ შეუდგენ მუშაობას.

ასე თანდათანობით დალაგდა ხალხის აღშფოთების ეს ომი, რომელიც მთელ სამხრეთ ნაწილს მოედვა. მუშებს არ ჰქონდათ დასახული რაიმე კონკრეტული მიზნები, საყოველთაო გაფიცვაში მათ გამოხატეს საერთო უკმაყოფილება,—როგორც თავისი ეკონომიური, ისე, შეიძლება ითქვას, უფრო იტალ, პოლიტიკური მდგომარეობით. სიამაყით ხედავდენ ისინი თუ როგორ კვდებოდა სიცოცხლე უზარმაზარ ქალაქებში, რომელსაც პროლეტარი გულზე ხელს იკრეფდა, და საკუთარი ღირსების გრძნობა და შეგნება მუშის პირველ ხარისხოვანი როლისა და მნიშვნელობისა ცხოვრების საერთო მიმდინარეობაში ავსებდა მათ გულს სასიხარულო კმაყოფილებით. პროლეტარიატმა შეგნებულად იგრძნო თავისი ძალა და მით უფრო მეტის სიძლიერით და სიცხადით წარმოუდგა მას საკუთარი დამცირება და უუფლებობა. პოლიტიკური უკმაყოფილება მწიფდებოდა და იღებდა უფრო გარკვეულ ფორმებს. და, რასაკვირველია, ათეულ ათას პროლეტარს ღრმათ ჩაენერგა გულში მოგონება გაფიცვების სახელოვანი ღღეების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტინგების და ორატორების სიტყვების, თვითმპყრობელობის ძალადობის მსხვერპლად დაცემულ ამხანაგების გვამების შესახებ. მოვა დღე—და, როგორც საყოველთაო გაფიცვა გვაჩვენებს, ეს დღე შორს არ არის—როცა ეს მოგონებები დაენთებიან უდიდეს ცეცხლად, რისხვით და ბრძოლის წყურვილით იელვებენ პროლეტარების გულში და მისცემენ მას ძალებს რუსეთის დესპოტიზმის დასამხობათ.

მთელი თავისი პირობებით, თავისი სპეციფიური კლასობრივი ხასიათით, საყოველთაო გაფიცვა წარმოადგენდა მძლავრ იარაღს პროლეტარიატში კლასობრივი შეგნების გასაძლიერებლად. ჩვენი პარტიული ორგანიზაციები აკეთებდენ ყველაფერს, რაც კი შეიძლებოდა, რომ გამოეყენებინათ ეს უდიდესი დღეები სოციალ-დემოკრატიული აგიტაციისათვის. პროკლამაციები ასობით რიგდებოდა და ყოველგან, სადაც კი შეიძლებოდა, გაისმოდა სოცია-დემოკრატის თავისუფალი სიტყვა. მაგრამ, რასაკვირველია, ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ მოთხოვნილება სოციალდემოკრატიულ გაზეთებზე, ბროშიურებზე, პროკლამაციებზე, ორატორებზე, ძალიან ბევრათ სჭარბობდა იმას, რაც კი ჩვენს განკარგულებაში მოიძებნებოდა, თუნდაც მთელი ძალების მობილიზაციის პირობებშიც. როგორიც არ უნდა იყოს, საყოველთაო გაფიცვამ ერთხელ კიდევ ნათელჰყო ის ძლიერი, მტკიცე კავშირი, რომელიც უკვე დამყარდა რუსეთის პროლეტარიატსა და სოციალ-დემოკრატიას შორის და რომელსაც ვერ გასწყვეტენ ვერავითარი დემაგოგები რა „კლასებს გარეშე“ სამოყელში არ გამოეწყონ. სოციალისტ-რევოლიუციონერების ცდა ჩარეოდენ გაფიცვის მიმდინარეობაში და მათი მოწოდება დემოსტრაციებისაკენ (რომელიც მათ წარმოდგენილი აქვთ როგორც მსვლელობა ქალაქის ქუჩებზე) და ძალადობისაკენ, სრულიად უშედეგოთ დამთავრდა და ცოტათი მაინც შესამჩნევი დეზორგანიზაციაც ვერ შეიტანა მუშათა მოძრაობაში. ჩვენი კომიტეტები ყოველგან ზრუნავდენ იმ უმიზნო სისხლის ღვრის აცილებაზე, რომელიც ასე ადვილათ შეიძლებოდა მომხდარიყო იმ დღეებში და დიდი ხნით შეეძლო ჩაეღრჩო სისხლის ზღვაში პროლეტარიატის ახლახან დაწყებული მოძრაობა. თვითმპყრობელობასთან გადამწყვეტ ბრძოლის დღეს, ჩვენ შეეძლებთ მუშათა ბათალიონების ბრძოლაში გამოყვანას, მაგრამ უდიდეს დანაშაულათ ჩავთვლიდით მუშათა კლასის სისხლიდან დაცლას მისი მთელ რიგ უმიზნო ბრძოლებში ჩაბმით. ისედაც მრავალი მსხვერპლი მიაქვს პროლეტარიატის წრიდან თითეულ ნაბიჯს წინ, მისი და მთელი ხალხის თვითმპყრობელობის მონობიდან განთავისუფლების გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) აგიტაცია ომის გამო.

პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ეპიზოდები, რომელიც ჩვენ აღვწერეთ, გვიჩვენებენ, თუ როგორ მდგომარეობაში მოუსწრო მას ომის გამოცხადებამ. ეს ომი, რომელიც გაუმართლებელია თვით რუსეთის გაბატონებული კლასების ინტერესებით, წარმოადგენს თვითმპყრობელობის ავანტიურისტული პოლიტიკის ნაყოფს, თვითმპყრობელობის, რომელიც ოქროს შესაძენათ და ძალა-უფლების შესანარჩუნებლათ, ხალხის უკმაყოფილობით შეშინებული, საგარეო ავანტიურებში ეძებს ხსნას. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ გარდა სასახლის სპეკულიანტების მცირე ჯგუფისა, დიდი მთავრების მეთაურობით, რომლებმაც სხვა და სხვა კონცესიები აიღეს კორეისა და მანჯურიაში და კიდევ სამხედრო უწყების მოიჯარადრეთა მცირერიცხოვანი ჯგუფისა, რუსეთის საზოგადოების და ხალხის ყველა წრეები უკმაყოფილო არიან ომით. პატრიოტულმა მანიფესტაციებმა, რომლებიც გაიმართა პოლიციის, ჟანდარმერიის და ჯაშუშების უშუალო მონაწილეობით, სრულიად ვერავითარი გამოძახილი ვერ ჰპოვა და ჩქარა შეწყდა. მათ მხოლოდ ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ გამოიტანეს ქუჩაში პოლიტიკური საკითხების განხილვა, რაც იმ მღელვარების პირობებში, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში მეფობს რუსეთში, ბოლოს და ბოლოს ჩვენთვის იყო სასარგებლო.

პატრიოტული ბურუსი მუშების თითქმის სრულიად არ შეხებია. ყოველ შემთხვევაში ჩვენი პარტიის ორგანიზაციებს არ შეუნიშნავთ არც კავშირის შესუსტება მუშათა წრეებში, არც მტრული დამოკიდებულება იმ ანტი-სამხედრო კამპანიისადმი, რომელსაც ჩვენი პარტია ასე ენერგიულად აწარმოებს. სამრეწველო კრიზისი, რომელიც არაჩვეულებრივად გაძლიერდა ომის გამოცხადების შემდეგ, სათადარიგო ჯარისკაცების გაწვევა და ომის სასარგებლოთ „ნებაყოფლობით“ შემოწირულებების იძულებით გამორიცხვა შრომის ხელფასიდან— რასაკვირველია, უფრო ნაკლებ შეუწყობდა ხელს მუშებს შორის საომარ და პატრიოტული განწყობილობის შექმნას. ომის გამოცხადების შემდეგ კი დაუყოვნებლივ მთავრობის მექანიზმის ნაკლის, საინტენდატოების ალმაშფოთებელი მტაცებლობის და თვითმპყრობელობის სრული მოუმზადებლობის გამოაშკარავებამ იმ ომისათვის, რომელსაც ის ასე დაპეჯითებით პროკოკაციულად უმზადებდა ნიადგს, სამხედრო ხელმძღვანელების უვარგისობამ, ჯარის სურსათით და სამხედრო მასალებით მომარაგების რთული საქმის მოგვარების უკოდინარობამ, მთელმა რიგმა დამარცხებებმა, რომლებიც მოწმობენ იაპონელების ტეხნიკურ და კულტურულ უპირატესობას—ყველა ამან მდიდარი მასალა მისცა აგიტაციისათვის ჩვენს პარტიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგიტაცია სწარმოებდა პროკლამაციების,—რომლებიც ყოველ-თვის მრავლათ გადმოდიოდენ,—და პატარა კრებების საშუალებით, რომლებზედაც იღებდენ საპროტესტო რეზოლიუციებს ომის წინააღ-მდეგ და ესალმებოდენ იაპონელ სოციალისტებს. პროკლამაციების საშუალებით აგიტაციის მაგალითისათვის მოვიყვანთ ჩვენი ცენტრა-ლური ორგანოს—„ისკრას“-ს რედაქციის მიერ ომის დროს გამოცე-მული ფურცლების სიას (გარდა „ისკრაში“ დაბეჭდილ წერილებისა, რომლებიც აგრეთვე ვრცელდებოდენ ხელთნაწერების თუ სხვა სახით): 1. „რისთვის უნდა მოკვდეს რუსი ჯარისკაცი“?; 2. „ომი ომის წი-ნააღმდეგ“; 3. „მთელ მშრომელ ხალხს“ (ომის მიზეზები და მუშათა კლასის პოლიტიკა); 4. „საერთაშორისო ტანდარმი“; 5. „ყველა სა-თადარიგო ჯარისკაცებს“; 6. „პატრიოტული აყაღლობა“; 7. „შეეწიეთ, რუსეთის ხალხნო!“; 8. „საზოგადოებისადმი“; 9. „ვის დავეხმაროთ“; 10. „ფინანსთა მინისტრის მართალი სიტყვა“; 11. „რათ არის საჭი-რო ებრაელების დარბევა“ (მთავრობის ცდის გამო გამოეწვია ებრა-ელების „პოგრომები“ ომის დროს); 12. „კრიზისი, უმუშევრობა და ომი“. 13. „ომის გაკვეთილები“ (ოთხი თვის მიმოხილვა); 14. „ჯა-რისკაცებს“; 15. „დრო არის!“ (ომი და უმუშევრობა); 16. „ვინ უნდა გაიმარჯვოს?“ (პროლეტარიატის აქტიური ჩარევის საჭიროება, ომის შეწყვეტის და დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნა). ამ ფურ-ცლებს გარდა, რომლებიც გადაბეჭდეს ჩვენი პარტიის მრავალმა კო-მიტეტებმა, ცენტრალური და ადგილობრივი კომიტეტები სცემდენ აგრეთვე თავის საკუთარ ფურცლებს. ამრიგად, შეიძლება გადაუჭარ-ბებლათ ითქვას, რომ უკვე ასეულ ათასებს უდრის ჩვენი პარტიის მიერ ომის წინააღმდეგ გავრცელებული ფურცლები. გამოცემულ იქნა აგრეთვე ცალკე ბროშიურა: „რა უჯდება ხალხს ომი“, „ისკრა“-ში კი მთელი რიგი წერილებით ცდილობდენ გამოეყენებიათ ომით მიღებუ-ლი სააგიტაციო მასალა.

ვიმეორებთ, მიუხედავათ ამ მკაცრი აგიტაციისა ომის წინააღმ-დეგ, მუშათა კლასს არ შეუქცევია ზურგი ჩვენი პარტიისათვის. და თუ გავიხსენებთ თუ როგორ პირობებში მოუსწრო მას ომმა, შაშინ სრული უფლებით შეგვიძლია იმედიანათ ვეუფუროთ მომავალს. შეიძლ-ება იმედი ვიქონიოთ, რომ სწორეთ ომი შეიქნება ის ძლიერი ქა-რიშხალი, რომელიც საბოლოოთ შეარყევს თვითმპყრობელობის დამ-პალ შენობას და რომ ერთი დამარცხებული, ეგვს გარეშეა, იქნება ამ ომში—ეს რუსეთის თვითმპყრობელობა.

3) ებრაელების „პოგრომები“.

რუსეთის პროლეტარიატში კლასობრივი სოლიდარობის ზრდის მაგალითად ავღნიშნავთ, თუ როგორ მხურვალედ გამოეხმაურენ რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეთის შეგნებული მუშები ჩვენი კომიტეტების მოწოდებას დაეხმარონ ებრაელებს მთავრობის მიერ მოწყობილ „პოგრომების“ დროს. 1903 წლის ნოემბერში, როცა გავრცელდა ხმები, რომ გოშელში ამზადებენ „პოგრომს“, ჩვენი პარტიის კიევის კომიტეტმა გაგზავნა იქ რამდენიმე რუსი მუშა თავისი ორგანიზაციიდან. შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ამ ფაქტმა ებრაელთა მასებზე, უდიდესი იყო. ყველა ქალაქებში, სადაც კი არსებობენ ჩვენი პარტიის კომიტეტები, გამოცემულ იქნა პროკლამაციები მუშებისადმი, მოწოდებით—თუ პოგრომი მოხდებოდა, დახმარებოდენ ებრაელებს. ამ წელს, როცა ომის გამო მთავრობა კვლავ მიმართავდა ანტი-ებრაელურ და ანტი-სომხურ აგიტაციას, იმ მიზნით რომ ფულები გამოეტყუებინა ებრაელი და სომეხი ბურჟუაზიისათვის და შეეშინებინა პროლეტარიატი, ჩვენმა კომიტეტებმა ყველგან მოაწყვეს თავდაცვა. ამ ორგანიზაციას, და აგრეთვე კატეგორიულ განცხადებას, რომ თუ „პოგრომი“ მაინც დაიწყება, შეგნებული მუშები ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევენო (ასეთი წინააღმდეგობის გაწევაზე მიუთითებდა „ისკრა“ დაუყონებლივ კიშინიოვის პოგრომის შემდეგ), უნდა მიეწეროს უმთავრესად ის, რომ მთავრობამ სწრაფად უკან დაიხია. „პოგრომები“ სრულიად არსად არ მომხდარა და რუსეთის პროლეტარიატს შეუძლია მიუნოცოს თავის თავს კულტურისა და ჰუმანიურობის დარაჯის იმ როლის წარმატებით შესრულება, რომელიც რუსეთში, უფრო მეტად, ვიდრე მთელ მსოფლიოში, წილად ხვდება მას.

ზ) ზუბატოვშჩინა.

მუშათა მოძრაობის სწრაფმა და შეუწყვეტელმა ზრდამ ჩქარა გამოააშკარავა პროლეტარიატის ბრძოლისათვის მხოლოდ პოლიციური ზომებით საზღვარის დადების იმედების სრული უაზრობა. ყველაზე უტლანქესი ძალადობის, ყველაზე უმოწყალო სიმკაცრის მხრივ მეფის მთავრობა შეებოდა და შეება ყველაფერს, რაც კი შეუძლია. მიუხედავად ამისა, პროლეტარული ბრძოლის ზვირთები იჭრებოდენ უფრო და უფრო მაღლა და წალეკვით ემუქრებოდენ თვითმპყრობელობის დამპალ შენობას.

თუ შეუძლებელია მუშათა მოძრაობის სამუდამოთ შეწყვეტა, მით უფრო წარმტაცი იყო აზრი მისი რაც შეიძლება ისეთ კალაპოტში ჩაყენების შესახებ, რომელიც საფრთხეს არ უმზადებს არსებულ „წესრიგს“. რასაკვირველია, თავისი ბუნება საშვალებასაც კი არ აძლევდა თვითმპყრობელობას ეფიქრა ამ ზომების პროგრესიული სოციალური რეფორმის გზით გატარებაზე, ვინაიდან ამისათვის მას პირველ ყოვლისა თავისი თავი უნდა გაეუქმებინა. ის წავიდა მეორე გზით, რომელიც წააგავს ნაპოლეონ მესამისა და ბისმარკის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩეულ გზებს. ამ გზით შეიძლება წავიდეს მთავრობა, რომლის თვით პრინციპი მტრულად არის განწყობილი ქვეყნის პროგრესიული განვითარებისადმი. ეს არის მუშათა კლასის მოწინავე ელემენტების პოლიციური გახარწნის გზა, ეს არის პროლეტარიატის ყურადღების, მისი ბრძოლის ფართე კლასობრივ ნიადაგზე დაყენებისაგან ჩამოშორების და ე. წ. უშუალო ეკონომიური ინტერესებისაკენ მიქცევის გზა. და თუ მთელი ამ ხრიკების ჯაშუშურ-პროვოკატორული ხასიათი რუსეთში თვალში გეცემა ისე ძლიერათ, როგორც არსად სხვა ქვეყანაში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი მკაცრი ანტაგონიზმი მთავრობასა და საზოგადოების განვითარების მთელ ეკონომიურ სოციალურ და კულტურულ საჭიროებებს შორის, როგორც რუსეთში არსებობს, არ იცის ნაპოლეონ მესამის და ბისმარკის ეპოქის არც საფრანგეთმა და არც გერმანიამ.

სხვა ადგილას ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მუშათა ეკონომიურ ინტერესებზე ცრუ-ზრუნვის იმ ისტორიულ „მათრახისათვის“ მიმატების ინიციატორი, რომელშიც ათეული წლების განმავლობაში გამოიხატებოდა მეფის მთავრობის დამოკიდებულება გაყვლეფილ მასებისადმი, „გულითადი ზრუნვის“ მუშების მიმართ გამოყენების ინიციატორი იყო მოსკოველი ჟანდარმი ზუბატოვი. ჯაშუშის, პროვოკატორის და ჯალათის სახელოვანი კარიერა ამ ვატბატონმა დაიწყო ჯერ კიდევ მოწაფის სკამზე, როცა გასცა თავის ამხანაგ გიმნაზიელების წრე. მთელ რიგ ასეთ საგმირო საქმეების შემდეგ ის ინიშნება „ოხრანკის“ უფროსად მოსკოვში. აი აქ მან საძიერელი ჩაუყარა მთავრობის ახალ პოლიტიკას მუშების მიმართ.

პირველ ყოვლისა ზუბატოვი შეეცადა შეეტანა გახარწნა რევოლიუციონერთა წრეში; მრავალ პოლიტიკურ ტუსაღებს მოსკოვის ციხეებში დაუწყეს არაჩვეულებრივი შეღავათების მიცემა. მათ ნებას აძლევდენ წასულიყვენ ციხიდან თეატრებსა და კონცერტებში. თვით ზუბატოვი დიდხანს ებაასებოდა მათ, ურჩევდა მასთან და ამხანაგებთან შეთანხმებით მიეკათ ჩვენება, ამისათვის პირდებოდა ჩქარა განთავისუფლებას ციხიდან და შედარებით მსუბუქ სასჯელს. ამავე დროს ფიცულობდა, რომ ის მუშათა საქმისათვის არის თავდადებული, არწმუნებდა თითქო ახლანდელ პირობებში ბრძოლა პოლიტიკური თავისუფლებისათვის არის ბურჟუაზიული ინტელიგენციის მისწრაფების გამოხატულება და მხოლოდ ზიანს აყენებს მუშების ინტერესებს; რომ მთავრობა მზად არის მისცეს მუშებს კავშირების და გაფიცვების თავისუფლება და მფარველობა გაუწიოს მათ ბრძოლას მწარმოებლებთან, მაგრამ მას აჩერებს სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური აგიტაცია. დაბოლოს ის მიუთითებდა მარქსიზმის იმ „კრიზისზე“, რომელიც დაიწყო დასავლეთში და თითქოს ადასტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს მისი, ზუბატოვის, შეხედულებებს; ამავე დროს ის ურჩევდა წასაკითხად ბერნშტეინის, ზომბარტის, გეორგნერის და რუსი „რევიზიონისტების“ ნაწერებს.

დატუსაღებულებს შორის აღმოჩნდენ ისეთი პირები, რომლებიც ნაწილობრივ პირადი სარგებლობის მიზნით, მაგრამ უფრო მეტად გულწრფელად—დაეთანხმენ ზუბატოვის მსჯელობას და ამ პირების საშუალებით ის შეეცადა ფართე მასშტაბით გაეტარებია თავისი პოლიტიკა. პირველ ყოვლისა ცდა მოახდინეს ებრაელ მუშათა მოძრაობის ცენტრში, მინსკში, სადაც უკვე მანამდე ნოქრების ნაწილი მოექცა ზუბატოვის „კაცის“—ანდარმ ვასილიევის გავლენის ქვეშ. აქ 1901 წელს—ანდარმერიის ლოცვა-კურთხვით და მისი უშუალო მფარველობის ქვეშ—დაარსდა ეგრეთ წოდებული „ებრაელ დამოუკიდებელ მუშათა პარტია“, რომელიც მიზნათ ისახავდა მუშების ეკონომიური ბრძოლისათვის ხელის შეწყობას, გადაჭრით უარყოფდა ყოველგვარ პოლიტიკას და მკაცრად ილაშქრებდა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

იმავ წელს მოსკოვში დაარსდა „მექანიკური მუშების ურთიერთ დახმარების საზოგადოება.“ ამ საზოგადოების მეთაურები მოქმედებდენ მოსკოვის „ოხრანკის“ უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ. საზოგადოების კრებებზე მუშებს უმტკიცებდენ, რომ მეფის მთავრობა მფარველობას უწევს მათ, რომ საჭიროა მხოლოდ ეკონომიური ხასიათის ბრძოლის წარმოება და სხვა; აქვე პოლიციის ორატორები ამხილებდენ სოციალ-დემოკრატიას, როგორც ბურჟუაზიის პარტიას და იქამდე მიდიოდენ, რომ საჯაროდ კითხულობდენ და აკრიტიკებდენ ამნოწერებს „ისკრა“-დან. სამღვდელოება იდდიდა წირვებს, აწყობდა ლოცვა.გალობას; მოსკოვის ეპისკოპოსი ლოცავდა შეკრებილებს; მასწავლებლები კითხულობდენ ლექციებს რუსეთის ისტორიაზე, განსაზღვრულ პატრიოტული სტილით. აღმოჩნდენ პროფესორებიც, რომლებიც დასთანხმდნენ,—ვიფიქროთ, რომ მხოლოდ მთელი ქვეყნის პროფესორებისათვის ჩვეულებრივი დაუდევრობით—წაეკითხათ მუშებისათვის ლექციები, რომლებშიც ისინი „მეცნიერულად“ ასაბუთებდენ და ქება-დიდებას ასხამდენ ზუბატოვის პოლიტიკას და ირწმუნებოდენ, თითქო ის მოასწავებს ახალი „სოციალური ეპოქის“ დაწყებას.

ასეთივე საზოგადოებები დაარსდა იმავ მოსკოვში (ფეიერების), პეტერბურგში, სადაც მოსკოვიდან ჩამოსულ ორგანიზატორების პირველსავე გამოსვლას მუშები ღრმა პროტესტით შეხვდენ, ოდესაში და სხვა ქალაქებში. „დამოუკიდებლები“,—ასე ეძახდენ „შაჭარლამის და მთარახის“ ამ მომხრეებს, პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდებოდენ. ჩვენი პარტიაᲛ მთელ რიგ საგაზეთო წერილებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში და პროკლამაციებში განმარტავდა მთავრობის ამ ახალი ბრძანების ნამდვილ ხასიათს. პირველათ მუშა სოციალ-დემოკრატები ცდილობდენ გამოსულიყვენ „დამოუკიდებლების“ მიერ მოწყობილ კრებებზე, მაგრამ ჩქარა ეს შეუძლებელი შეიქნა, რადგან ჯაშუშების ცნობით, რომლებიც ყველა ამ კრებებს ესწრებოდენ, ყველა ასეთ ორგანოებს დაუყოვნებლივ ატუსაღებდენ.

ზუბატოვშჩინის წარმატებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია მოსკოვის მანიფესტაციის დროს, რომელიც პოლიციამ მოაწყო აღექსანდრე მეორეს ძეგლთან 1902 წლის 19 თებერვალს—გლეხების ბატონებისაგან განთავისუფლების წლის თავზე. რამდენიმე ათასი მუშა დასთანხმდა მიეღო მონაწილეობა ამ მანიფესტაციაში, მით უფრო, რომ მათ თვალში ის ნიშნავდა არა იმდენათ უქვეშევრდომესი გრძნობების გამოხატვას, რამდენათაც განთავისუფლების დღის დღესასწაულს. ამას გარდა მანიფესტაციის ყველა მონაწილეთ აღუთქვენ ამ დღის შრომის ხელფასის მიცემა, მრავალს კი ამ დღეს განსაკუთრებული ჯილდოც მიეცა.

მაგრამ მუშების დიდი ხნით მოტყუება ცარიელი დაპირებებით შეუძლებელი იყო. მუშები, რომლებმაც ხელი აიღეს პოლიტიკურ ბრძოლაზე, მით უფრო მეტის მოუთმენლობით მოელოდენ ეკონომიურ გაუმჯობესებებს. დაიწყო გაფიცვების მეელი რიგი, რომლებმაც პოლიციის აგენტები ორჭოფულ მდგომარეობაში ჩააყენეს. რათა დაუყონებლივ არ დაეკარგათ მუშების ნდობა, მათ ისე უნდა მოეჩვენებიათ თავი, თითქოს თანაუგრძნობენ გაფიცვას და იმ ქვეყანაში, სადაც გაფიცვა სისხლის სამართლის დანაშაულათ ითვლება, პოლიცია ჯამაგირებს აძლევდა გაფიცვის მეთაურებს, პოლიკეპისტერი კი ცდილობდა გავლენა მოეხდინა ფაბრიკანტებზე. ერთი მუშათა მოძრაობის თავის ხელში ჩაგდების სურვილი, ახშობდა ყველა სხვა მოსაზრებებს. მაგრამ პირველმაც ნაბიჯება ამ მიმართულებით სასტიკი პროტესტი გამოიწვია მოსკოველ მრეწველების მხრივ. მოსკოვის ბირჟამ საჩივარი გადასცა ფინანსთა მინისტრს მოსკოვის ადმინისტრაციის მოქმედების გამო, მსხვილი მრეწველების განსაკუთრებულმა თათბირმა საიდუმლო მოხსენებაც კი შეადგინა, სადაც მიუთითებდა, მთავრობის ასეთი საქციელი აიძულებს მათ მოითხოვონ თავისი უფლებების დაცვა კონსტიტუციით. ორ ცეცხლს შუა მოქცეული მთავრობა იძულებული შეიქნა უკან დაეხია და—მიუხედავათ დახმარების დაპირებისა მოსკოვის ადმინისტრაციის მხრით—გაფიცვა მუსსის აბრეშუმის ფაბრიკაში დამთავრდა იმით, რომ ყველა, 1200 მუშა დაითხოვეს და პოლიციას მოუხდა მათი სამშობლოში გაგზავნა თავის ხარჯზე, დახმარების მიცემა უმუშევრობის დროს და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუმცა ჩქარა ზუბატოვი განსაკუთრებულ დავალებათა მიერ ზელეთ დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრ პლეგესთან, ზუბატოვის პოლიტიკას კი ამ რიგად „სრულიად რუსეთის“ ხასიათი მიეცა, მის მნიშვნელობას ძირი გამოუთხარა მოსკოვის მარცხმა.

უფრო მეტი ზიანი მიაყენა ზუბატოვჩინს ოდესის ამბებმა 1903 წლის საყოველთაო გაფიცვის დროს. აქ „დამოუკიდებლების“ დემაგოგიამ, რომლებმაც მოასწრეს საკმაოთ ფართე კავშირი დაეპირათ მუშებთან, რომლებიც კულტურულად და ბრძოლის განწყობილებით უფრო მაღლა იდგენ, ვიდრე მოსკოველები, ხელი შეუწყო დიდი გაფიცვის დაწყებას, რომელიც ბევრათ გაშორდა იმ ფარგლებს, რომლის მიჩენას უპირებდენ ინიციატორები. ჩვენ უკვე მოკლეთ შევეხეთ ამ გაფიცვას და ზედმეტია აქ იმის გამეორება, რომ პროლეტარული ბრძოლის არა ასეთი ფორმების ხელის შეწყობას პირდებოდა მუშებს მეფის მთავრობა. ამ ამბების შემდეგ ზუბატოვი დაუყონებლივ დაითხოვეს და გადაასახლეს სატახტო ქალაქიდან ეროვნესიაში, მისი ოდესელი კლევრეტები კი დაატუსაღეს და მათი ნაწილი ციმბირშიც კი გადასახლეს.

თუ ზუბატოვის პოლიტიკა მუშების მიმართ მთავრობის მხრივ ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა სრულიად, თუ ზუბატოვის საზოგადოებანი კიდევ განაგრძობენ არეებობას და ზოგან ახლადაც კი არსდებიან, საერთოდ და მთლიანად მაინც მთავრობა გრძნობს, რომ მისი ცდა სრული „მარცხით დამთავრდა და ზუბატოვის „წამოწყებანი“ ძლივს არსებობენ, ისინი თამაშობენ სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლის მეორეხარისხოვან იარაღს. თავისი ინიციატორების აზრით კი ზუბატოვის პოლიტიკას უნდა ეთამაშნა უნივერსალური საშუალების როლი პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ. ერთსა და იმავე დროს „შაქარლამაზე და მათრახებზე“ დაყრდნობა შეუძლებელი გახდა და თუ არჩევანი შეიქნა საჭირო, მაშინ მეფის მთავრობას, რასაკვირველია, არ შეეძლო არ აერჩია თავისი „ძვირფასი“ მათრახი.

თ) პროფესიონალური მოძრაობა.

მაგრამ ზუბატოვშინის იმედის დაკარგვამ და იმის შეგნებამ, რომ შეუძლებელია პოლიციასთან კავშირზე თავისი პოლიტიკის აგება, ვერ მოსპეს საბოლოოთ მუშათა ფართე წრეებისათვის ჩვეულებრივი მოწოდება—შეკავშირებულიყვენ წმინდა პროფესიონალურ ნიადაგზე. მრავალი ცდები ასეთი ორგანიზაციის შექმნის მუდამ ყამს დამარცხებით თავდებოდენ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების პირობებთან შეჯახების დროს და ასევე გადაჭრით უკარნახებდენ მუშებს უფრო ფართე პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებას, მიერეკებოდენ სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვიცით, ოთხმოცდაათიანი წლების დასასრულს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შიგნით გაჩნდა ძლიერი მიმდინარეობა, ე. წ. „ეკონომიზმი“, რომელიც ცდილობდა მთელი მუშათა მოძრაობა აეშენებია პროფესიონალური ინტერესების და პროფესიონალური ორგანიზაციის ნიადაგზე. ცხოვრების გამოცდილებამ ჩქარა დაამტკიცა, თუ როგორ კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას მუშების დამოუკიდებელი როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და როგორ მიუღწევია რუსეთის პოლიტიკურ პირობებში თავისი ეკონომიური მდგომარეობის მტკიცედ გაუმჯობესების ის მიზანი, რასაც მსხვერპლად ეწირებოდა პროლეტარიატის უფრო ფართე ინტერესები.

და რუსეთის მუშებს შორის ერთად ერთი ცოტათ თუ ბევრათ ფართე პროფესიონალური ორგანიზაცია, რომელიც თავისი დაარსების პირველ დღეებში ისახავდა მხოლოდ წმინდა პროფესიონალურ მიზნებს, ახლა იძულებულია საგრძნობლად შესცვალოს თავისი შეხედულება. ჩვენ ვლაპარაკობთ სტამბის მუშების მოსკოვის კავშირზე, რომელიც დაარსდა 1903 წლის სექტემბერში და რომელმაც მოაწყო ის გაფიცვა, რომლის შესახებაც ჩვენ ვლაპარაკობდით ზევით. ამ კავშირმა, სტამბის მუშების მაღალი კულტურული დონეს და წარმატებით დამთავრებული გაფიცვის წყალობით, მოკლე ხანში მოახერხა სტამბის მუშების საკმაოთ დიდი რიცხვის შეკავშირება. ამას მოწმობს უკვე მისი ბიუჯეტი, რომელიც 1903 წ. სექტემბრიდან იმავე წლის 15 ნოემბრამდე უდრიდა 1313 მანეთს, ამ ბიუჯეტის მთავარ წყაროს კი წარმოადგენს მხოლოდ თვითშეკავშირებული მუშების საწევრო გადასახადი. ასე მაგალითად ზემოთ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შეტანილი საწევრო გადასახადი უდრიდა 573 მანეთს.

კავშირი სცემს თავის საკუთარ ორგანოს და პირველი ნომრები დგანან უკიდურესი „ეკონომიზმის“ ნიადაგზე. მაგრამ ძლიერ ჩქარა კავშირმა გადასწყვიტა რ. ს.-დ. მ. პ. პროგრამის მიღება და თუ საბოლოოთ ჯერ კიდევ არ შესულა მის რიგებში, მხოლოდ საორგანიზაციო მოსაზრებებით. ამასთანავე გამოიცვალა კავშირის ორგანოს პროგრამაც. უკანასკნელ №№-ში (ჯერ-ჯერობით გამოვიდა 5) რედაქცია ცდილობს, და საკმაოდ კარგათ აფასებს საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებს სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით.

რასაკვირველია, ძნელია იმის წინასწარმეტყველება, თუ რამდენათ ხანგრძლივი აღმოჩნდება ეს პროფესიონალური ორგანიზაცია. მისი მონაწილეთა განსაკუთრებით კვალიფიციური შემადგენლობა და მათი მუშაობის განსაკუთრებული პირობები, შესაძლებელია, ერთგვარ წარმატებას უქადიან ამ მეტად საინტერესო ცდას რუსეთის პოლიტიკურ პირობებშიც. ყოველ-შემთხვევაში, საკითხი იმ ფორმების შესახებ, რომელიც უნდა მიიღოს ფართე პროფესიონალურმა ორგანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაციებმა არალეგალური მუშაობის პირობებში, საგრძნობათ ღონეს რჩება. გადაუჭრელი რჩება აგრეთვე საკითხი ასეთი პროფესიონალური კავშირების პარტიასთან შესაძლებელ და სასურველ ორგანიზაციულ დამოკიდებულების შესახებ.

ი) საფაბრიკო კანონმდებლობა.

საფაბრიკო კანონმდებლობის მხრივ განვლილი პერიოდი უაღრესად უნაყოფო იყო. ეს პირველ-ყოვლისა აიხსნება იმით, რომ მეფის მთავრობა საერთოდ ვერ ბედავს რაიმე სერიოზული საკანონმდებლო ზომის მიღებას სახელმწიფო მმართველობის ვერც ერთ დარგში ან სოციალურ ურთიერთობათა სფეროში. იმ მეტად მერყეევი წონასწორობის დარღვევის შიში, რომელშიც იმყოფება რუსეთის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება, აჩერებს თვითმპყობელობის ხელს ყოველთვის, როცა ამობოქრებული ცხოვრება აყენებს ამა თუ იმ მოთხოვნილებას. ეს ნამდვილი მიზეზი იმის, თუ რატომ, მიუხედავათ მრავალჯერ წარმოშობილ სხვადასხვა „რეფორმების“ პროექტებისა, რომელიც სხვათა შორის დიდის ამბით იყო გამოქვეყნებული 1903 წლის 26 თებერვლის მანიფესტით, არც ერთი მათგანი არ იქნა სინამდვილეში შესრულებული.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ჯერ კიდევ 1902 წლის ზაფხულში გაფიცვების თავისუფლების შესახებ შემუშავებული კანონის პროექტის ბედი. მიუხედავათ პოლიციის ყველა შენიშვნებისა და შეზღუდვებისა, რომელიც გაფიცვების „უფლების“ განზრახულ პროექტს ცარიელ კომედიათ აქცევდენ, მიუხედავათ თვით ფაბრიკანტების მოთხოვნისა, რომლებიც ძლიერ უკმაყოფილო იყვენ პოლიციის განუწყვეტელი ჩარევით მათ „შინაურ“ საქმეებში, ჩარევით, რომელიც ხშირად პატარა და უმნიშვნელო გაფიცვას დიდ „არეულობათ“ აქცევდა, მიუხედავათ მთავრობის „ზუბატოვისებურ“ პოლიტიკისა მუშების მიმართ, პროექტი პროექტათ დარჩა და მას არ მიუღია საკანონმდებლო სანქცია.

1903 წლ. 30 მაისს გამოცემულ იქნა კანონი, რომელიც საგრძნობათ უმორჩილებს საფაბრიკო ინსპექციას პოლიციის წარმომადგენლებს, გუბერნატორებს. რუსეთის საფაბრიკო ინსპექცია, მცირეოდენის გამოკლებით, უფრო ზრუნავდა ე. წ. სახელმწიფო „წესრიგის“ დაცვის შესახებ, ვიდრე მუშათა პროფესიონალურ ინტერესებზე. ამ ახალი კანონის გამოცემის შემდეგ ინსპექტორები კიდევ უფრო მეტად ასრულებენ პოლიციის მოხელეების—ფაბრიკების გამგეების ფუნქციებს.

1903 წ. 10 ივნისს მეფემ დაამტკიცა კანონი „მუშათა მამასახლისების შესახებ სამრეწველო დაწესებულებებში“. ფაბრიკანტებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეცა „უფლება“ საფაბრიკო და სამთამადნო საქმეთა საამართველოს ნებართვით, ნება მისცენ სხვა და სხვა ცეხის მუშებს აირჩიონ თავის წოდად კანდიდატები მამასახლისის თანამდებობაზე, ეს კანდიდატები უნდა იყვენ არა ნაკლებ 25 წლისა, მაგრამ ფაბრიკანტებს თავის შეხედულებით კიდევ შეუძლიათ ასწიონ წლოვანობის ნორმა. ფაბრიკანტები კი კანდიდატების წრიდან ნიშავენ მამასახლისს, მამასახლისები არიან მუშების „რწმუნებულები“ იმ საქმეების გამო, რომლებიც შეეხებიან დაქირავების შესრულებას და მუშათა ყოფაცხოვრებას“. გუბერნატორს უფლება აქვს ყოველ წუთს გადააყენოს მამასახლისი. აი ყველ ის „უფლებები“, რომლებსაც ანიჭებს ახალი კანონი მუშებს. უნდა დაუმატოთ კიდევ, რომ მამასახლისების მიერ მუშათა ინტერესების ოდნავენ ერგიული დაცვა დაუყოვნებლივ იქცევს პოლიციის „მზრუნველი“ ყურადღებას, ასეთი ყურადღების შედეგები კი საყოველთაოდ ცნობილია. მიუხედავად ამისა ჩვენი პარტიის ყრილობამ ურჩია მუშებს არ სთქვან უარი მამასახლისების კანდიდატების არჩევაზე. პარტიის ყრილობა ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა, იმით, რომ ასეთი მონაწილეობა ერთგვარი პოლიტიკური მკოლა იქნება და აგრეთვე ამით, ასეთი არჩევნები რუსეთის პირობებში აუცილებლად იძლევა სააგიტაციო მასალას. მომავალი დაგვანახებს რამდენათ სწორია ასეთი ტაქტიკა, ჯერ-ჯერობით კი დისკუსია ამ საკითხის გამო არ დამთავრებულა და მოავალი ამხანაგები დაემორჩილენ რა ყრილობის დადგენილებას, იმავე დროს ენერგიულათ მოითხოვენ უარის თქმას არჩევნებში მონაწილეობაზე იმ მიზნით, რომ ხაზი გაუსვათ სასტიკ უარყოფითი დამოკიდებულებას ცდისადმი—მოატყუონ მუშები ცრუ „წარმომადგენლობის“ უფლების მინიჭებით.

ჩვენ დაგვრჩენია კიდევ მოვიხსენიოთ 1902 წ. ივნისის კანონი დასახჩრებულ მუშებისათვის ჯილდოს მიცემის შესახებ. კანონის საფუძვლები ასეთია. პირველ ყოვლისა კანონი შეეხება მხოლოდ საფაბრიკო, სამთო და სამთამადნო წარმოების მუშებს. ჯილდო ეძლევა მხოლოდ სხეულის დასახჩრებისათვის, ფაბრიკანტი განთავისუფლებულია პასუხისმგებლობისაგან, ფუ კი ის დაამტკიცებს, რომ „აქ ადგილი ქონდა დასახჩრებულის ბოროტ განზრახვას ან მის დაუდევრობას“. ასეთი შენიშვნა, რასაკვირველია, საგრძნობათ კვეცავს კანონის მოქმედების ძალას, რადგან როგორ შეიძლება ადგილი არ ჰქონდეს „დაუდევრობას“ არაჩვეულებრივათ ხანგრძლივი სამუშაო დღის დროს და რუსეთის ფაბრიკების აღმაშფოთებელ ტეხნიკურ და სანიტარულ პირობებში. ყოველგვარ ძალას უკარგავს კანონს ნებაყოფლობითი შეთანხმების დაშვება დასახჩრებულთან ან მის ოჯახთან. ვინც იცის რუსეთის სასამართლოების ბიუროკრატიზმი და სიძეერე და მუშათა წრეების ისტორიულათ გამიმუშავებული უარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფითი დანოკიდებულება მათდამი, ის მიხედება, რომ თუ რამდენ-ნათ ხმირათ ამჯობინებს მუშა და მისი ოჯახი სრულიად უმნიშვნელოს „ნებაყოფლობითი“ ანაზღაურებას სასამართლოში ძიების ყველა ტანჯვა-წამებას. თვით ჯილდო, რა კატეგორიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს დახარალებული, დამოკიდებულია შავი მუშის საშუალო შრომის ხელფასზე, რომელსაც აწესებენ საფაბრიკო საქმეთა სამმართველოები, სადაც სხვადან ფაბრიკანტების წარმომადგენლები, მაგრამ არ არიან მუშების წარმომადგენლები. რასაკვირველია, ასეთი სამმართველოები შრომის ხელფასს აწესებენ მეტად დაბალს რაოდენობით.

მაგალითად, ვარშავის სამმართველომ დაწესა დღიური შრომის ხელფასის ასეთი ნორმები: მამაკაცისათვის 54 კაპ. დედაკაცისათვის 37 კაპ. ე. ი. 1 ნახევარ—2 ჯერ ნაკლები, ვიდრე შავი მუშის ნამდვილი დღიური შრომის ხელფასია. წლიური პენსიის უდიდესი ჯამი (სიკვდილის ან შრომის უნარის სრულიად დაკარგვის გამო) უდრის „წლიური ჯილდოს“ ორ მესამედს, რომელიც თავის მხრივ მიიღება შავი მუშის შრომის დღიური „საშუალო“ ხელფასის 260-ზე გამრავლებიდან, თითქოს მხოლოდ 260 დღეს მუშაობს ნამდვილად წელიწადში რუსეთის მუშა.

ზემოთ ნათქვამიდან სჩანს, თუ რამდენათ მცირეა ის სარგებლობა, რომელსაც ანიჭებს მუშებს ახალი კანონი. პოლიციური თვითნებობის ატმოსფერა კი, რომლის პირობებში მოხდება ახალი კანონის ცხოვრებაში გატარება, საშუალებას გვაძლევს გადაჭრით ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ეს მცირეი სარგებლობაც სინამდვილეში საგრძნობათ იქნება შეკვეცილი. ამას საუცხოვოდ მოწმობს ყველა წინანდელი საფაბრიკო კანონების, განსაკუთრებით სამუშაო დროის შემცირების, კანონის იმედი. მთელ რიგ დამატებებმა, გამოკლებებმა, გამორიცხვებმა, უფრო მეტად კი საფაბრიკო ინსპექციის და პოლიციის მიერ ფაბრიკანტებისათვის აშკარათ ხელის შეწყობამ, გამოიწვიეს ის, რომ სინამდვილეში ე. წ. ზედმეტი მუშაობით სარგებლობენ როგორც სურთ.

თვითმპყრობელური მთავრობის **კანონები** ვერ დაიცავენ მუშათა ეკონომიურ მონაპოვართ; მათ იცავს მხოლოდ თვით მუშების ენერგიული ბრძოლა. და მხოლოდ იქ, სადაც ეს ბრძოლა სწარმოებს შეუჩერებლად, დაუღალავად, მხოლოდ იქ, სადაც ფაბრიკანტს ემუქრება მუშათა გაფიცვა, მხოლოდ იქ სანახევროდ მაინც არის დაცული კიდევ შრომის დასაცავად გამოცემული კანონები, მართალია იმ დრომდე, სანამ კრიზისი არ გამოაცლის მუშებს შრომის უკეთესი პირობებისათვის ბრძოლის ამ იარაღსაც...

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა.

„პროლეტარიატის ბრძოლის"
ფურცელი

№ 12—13. 1 (14) ოქტომბერი 1904 წ. № 12—13.

მოლოდინში.

შორეულ აღმოსავლეთის ომი, საერთო კრიზისი, უსაქმოდ დარჩენილი აუარებელი მუშა ხალხი, სიმშილობა, სახელმწიფოს გამოცალიერებული ბიუჯეტი, რუსის ჯარების განუწყვეტელი დამარცხება, ათი-ათასობით დაჭრილნი და დახოცილნი საზოგადოების უკმაყოფილება, ახალი სალდათების წინააღმდეგობა, ევროპის ბაზარზე მეფის თვითმპყრობელობის კურსის დაცემა, საშინაო საქმეთა მინისტრის პლეევეს მკვლელობა, ახალი მინისტრის დანიშვნა, ებრაელების რაღაც უფლებებზე და საზოგადოების „ნდობაზე" ლუღლუღი, სატახტო გაზეთების მოლიბერალო ფრაზები სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების შესახებ და სხვა—ყველაფერი ეს რაღაც თავისებურ ატმოსფერას ქმნის რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ყველაფერი ეს აცქვიტებს ჩვენს მოლიბერალე ინტელიგენციას, ხელახლავ უნერგავს მას „მეფის მოწყალების", „მინისტრის გონიერების" იმედს და ისიც მოლოდინშია... მოელის კონსტიტუციის გამოცხობას, მოელის „ყოვლად მოწყალე საჩუქარს" მოელის განახლებულ პოლიტიკურ ცხოვრებას...

საჩუქარი კი არსად სჩანს, პოლიტიკური თვითნებობა კიდევ უფრო საგრძნობლათ თელავს საზოგადოების ცოცხალ ძალებს, ვიტეს ქორხანაში გამომცხვარი საქონელი—კონსტიტუცია ჯერაც არ გამოუტანიათ შინაურ ბაზარზე. მხოლოდ ვაჭარი—ლიბერალები მაინც მოლოდინში არიან. ისინი მზათ არიან შეევაჭრონ მთავრობას და ხალხის დაბეჩავებისა და დარბევის ფასათ შეიძინონ ბურჟუაზიისათვის თავისუფლება; წერისა და კრების თავისუფლება მიანიჭონ საზოგადოების უმცირეს ნაწილს; მართალია, ზოგ რასმე ისინი ხალხისთვისაც გაიმეტებენ, მაგრამ ხალხის წარმომადგენლობის კი რა მოგახსენონ: ამისათვის ხომ ხალხი სრულიად მომზადებული არ არის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისათვის ხომ საჭიროა ბევრი ცოდნა და დიდი სიმდიდრე, აბა სად აქვს ხალხს ან ერთი, ან მეორე?... ასე ბეჭობენ ჩვენი ლიბერალები და პროლეტარიატის სისხლით მოპოვებული თავისუფლება უნდათ მიაკუთვნონ რუსეთის ბურჟუაზიას, რომ უფრო ადვილათ, უფრო სავსებით, თავისუფლათ სწუწნონ ისედაც სისხლ გამოლეულ მუშებს, გემრიელი სისხლი. ორთავიან არწივის ფრთებ ქვეშ გამოიჩეკა და გაიზარდა რუსეთის ბურჟუაზია, მისი მფარველობით მოიმაგრა ნორჩი სხეული, მაგრამ ეს მფარველობა ახლა მას არ ეჭივრება, არწივის ბასრი კლანჭები მასაც კაწრავს იქა აქ, მეფის თვითმპყრობელობის თვითნებობა და უნამუსო ძალდატანება მის მშვიდობიანობასაც არღვევს. მისთვისაც საჭიროა თავისუფლება და სწორეთ ლიბერალებიც ამ თავისუფლების მოლოდინში იმყოფებიან.

რა საქონელი უნდა გამოიტანოს თვითმპყრობელობამ, რომელიც კარგა ხანია დამპალი საქონლებით ვაჭრობს, რა თავისუფლება უნდა გაიღოს თავისუფლების შეურიგებელმა მტერმა, რომელიც ძალდატანებით და ხალხის დარბევით იცავს თავის არსებობას, როგორ თავისუფლებას შეურიგდება ის საზიზღარი მხეცი, რომელიც თავისუფლებისათვის მებრძოლთ ათასობით სახრჩობელაზე გზავნის, ციხეში ალპობს, ციმბირში აყინებს, რომელსაც თავის ტახტი სალდათების ხიშტებზე აუგია და ხალხს და მის მოკეთეებს მოურიგებელ შინაურ მტერს უწოდებს?!

ლიბერალები კი სწორედ ამ ავაზაკს ევაჭრებიან! დაე!

ამავე დროს რუსეთის პროლეტარიატი ძალას იკრებს, ფრთებს ისწორებს და ისიც მოლოდინშია.... ის არ მოელის საზიზღარი მეფის ძღვენს, დამპალ საქონელს—შეჭრილ-შემოჭრილ კონსტიტუციას, არა! ის ემზადება ოკანასკნელ, საბოლოო ბრძოლისათვის. ამ ბრძოლამ ძირიანათ უნდა აღმოფხვრას მეფის თვითმპყრობელობა.

მეფის თვითმპყრობელობა პროლეტარიატის შრომით და პროლეტარიატის ზურგზე იზრდებოდა და მაგრდებოდა; მანვე უნდა გადიგდოს ზურგიდან ეს ძმიმე ტვირთი, მან უნდა გაანადგუროს ეს უზარმაზარი შენობა და მანვე უნდა გასწმინდოს არე-მარე ამ შენობის ნანგრევებისაგან! დიახ, მან ეს უნდა ჩაიდინოს, რათა თავისუფლათ ამოისუნთქოს, ირგვლივ შორს სივრცეზე მიიხედ-მოიხედოს და საერთაშორისო ძმობისა და ერთობის გზაზე მეჯგრათ იაროს. არა ერთი ბრძოლა მოელის მას ამ გზაზე, არა ერთი ციხე უნდა დაანგრიოს, კაპიტალისტური წყობილების არა ერთი სიმაგრე უნდა აიღოს იერიშით... მაგრამ განა ეს წყობილება მთლათ მისი შრომით და მის ზურგზე არ აღმოცენდა, განა ის არ ატარებს სულ ამ ძმიმე ტვირთს? მაშ ვინ უნდა გადიგდოს ეს ტვირთი, თუ არ მისმა მატარებელმა, ვინ უნდა დაამხოს ეს უსამართლო წყობილება, თუ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უსამართლოებით გაწვალებულმა და გაღატაკებულმა კლასმა? ასეთი შედეგი უბრალო როდია, აღელვებული ოცნების ნაყოფს კი არ წარმოადგენს, არა! ეს აუცილებელი შედეგია; ამის თავდები თვით ისტორიაა, ამას უზრუნველყოფს დღევანდელი ცხოვრების ვითარება!

აბა ჩავხედოთ ცხოვრებას.

კაპიტალისტურმა წარმოებამ, ბურჟუაზიის პირით, „თავისუფლებისა, ძმობისა და ერთობის სახელით", მწარმოებელი გაანთავისუფლა ბატონის ყმობისაგან, მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ უფრო მძიმე ბორკილები ჩაება მისთვის და იურიდიულათ განთავისუფლებული ეკონომიურათ კაპიტალის მონათ გაეხადა. მხოლოდ ამისათვის საჭირო იყო კიდევ მეორე ნაირი თავისუფლება, საჭირო იყო მწარმოებელი თავისუფალი ყოფილიყო აგრეთვე ყოველნაირ საწარმოო საშუალებისაგან ანუ მოკლეთ რომ ვსთქვათ, ქონებისაგან, საკუთრებისაგან. ამ პირობებში მწარმოებელი იძულებული იქნებოდა თავისი საბუშაო ძალა გაეყიდა, სხვისთვის ეშრომნა. ასეთი თავისუფლება მიანიჭა კაპიტალმა მწარმოებელს. მწარმოებელს ჩამოერთვა ის საკუთრება, რომელიც საკუთარი შრომით შეეძინა და იძულებული გახდა გაეყიდა ეს შრომა, რაოა ამით სხვისი საკუთრება შეექმნა და გაეზარდა...

ამნაირათ კაპიტალი დღითი-დღე იზრდება სხვისი შრომით, ქმნის აუარებელ სიმდიდრეს უმცირესობისათვის და მასთან ერთად ზრდის და აძლიერებს უმრავლესობის სიღარიბეს, გაჭირვებას, ტანჯვას, წვალებას. საკუთრება, რომელიც საკუთარი შრომით იყო შეძენილი გადაიქცა ისეთ საკუთრებათ, რომელიც სხვისი შრომის მითვისებზთ მატულობს და ვითარდება, სიმდიდრეს, რომელიც საზოგადოების უმრავლესობას—მწარმოებელს შეუქმნია, ითვისებს უმცირესობა—არ მწარმოებელი! ამის შედეგი ის არის, რომ ხალხი შრომობს და შიმშილით სული ხდება, მხოლოდ კაპიტალისტების ჯაჭვია ჯგუფი უსაქმოთ განცხრომაში ატარებს დროს და ხშირათ არც კი იცის სად წაიღოს თვისი სიმდიდრე. ჩნდება სიმდიდრე, ჩნდება კრიზისი და საქონელი მოუხმარებლათ ლპება მაშინ, როცა მშიერი ხალხი სწორედ ამ საქონელს თხოულობს!.. შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ბრძოლამ უნდა გადასწყვიტოს. ბრძოლის შედეგი ცხადია, მაზე თვით ცხოვრება გვითითებს: წარმოება საზოგადო გამხდარა, საწარმოო იარაღიც საზოგადო უნდა იქნეს ე. ი. კერძო საკუთრება უნდა მოისპოს და საზოგადო საკუთრება უნდა დამყარდეს.

პროლეტარიატმა შეიგნო თავისი ისტორიული მისია და იკრებს საბრძოლველ ძალას, რათა საბოლოოთ დაამხოს და გაანად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუროს დღეკანდელი წეს-წყობილება... ის კაპიტალიზმის წინააღმდეგ იბრძვის!...

რუსეთის პროლეტარიატი ამ ბრძოლაში ეჯახება ახლობელ მტერს—მეფის თვითმპყრობელობას; მაშასადამე, მან უწინარეს ყოველისა ეს მტერი უნდა გაანადგუროს, მან უნდა მოუსპოს სიცოცხლე ამ საზიზღარ მხეცს, რომელიც ჰაერს შხამავს, სიბინძურეს ავრცელებს. რუსეთის პროლეტარიატმა ამ გამარჯვებით უნდა მოიპოვოს პოლიტიკური ძალა რათა ეს ძალა, დაუპირდაპიროს მეორე, ძლიერი მტრის ბურჟუაზიის პოლიტიკურ ძალას. ლიბერალებს ხომ პოლიტიკური თავისუფლება უმთავრესათ ბურჟუაზიისათვის უნდათ. ისინი ყოველთვის რაღაც ნაფიქრებს იმეტებენ ხალხისთვის, მხოლოდ ხალხმა, რუსეთის პროლეტარიატის სახით უკვე შეიგნო და გაიცნო ასეთი „მოკეთეების" გულის პასუხი. ის ასეთი მოკეთეების წინააღმდეგ ყოველთვის იარაღს იმახვილებს, ის ყველგან და ყოველ შემთხვევაში შეებძოლება ლიბერალების მატყუარა პოლიტიკას. ის საბრძოლველათ ერთდება და პარტიას ადგენს.

მხოლოდ ეს მზადება, შიგ პარტიულ ორგანიზაციების მოწყობა, მოწესრიგება დიდი ბრძოლის მომასწავებელია; ეს მზადება წვრილმან შეტაკებებს საერთო, მოწესრიგებულ ბრძოლად გადააქცევს!

პროლეტარიატი მთელი რუსეთის რევოლიუციის მოლოდინშია!

ამ რევოლიუციით მან უნდა შეიძინოს პოლიტიკური უფლებები, ისეთი თავისუფლება, რომელიც ვერავითარ მეფის თვითმპყრობელობას ვერ შეეგუება. ის უნდა ჩადგეს და ჩადგება კიდეც სხვა კლასებთან ერთად ქვეყნის მართვა-გამგეობის სათავეში თავისი არჩეულ წარმომადგენლების საშუალებით; ამიტომ ის მოითხოვს **საყოველთაო, სწორ და პირდაპირი არჩევნების უფლებას** ე. ი. ისეთ წესს, როცა ყველა სრულწლოვან მოზრდილ განურჩევლათ სქესისა, შეძლებისა და ეროვნებისა უფლება ექნებათ წარმომადგენლების არჩევისა ყველგან, საცა კი ინტერესების წარმომადგენლობა საჭირო და სახეიროა. მხოლოდ იმიტომ, რომ ეს წარმომადგენლები ყურადღებით ეპყრობოდენ საზოგადოების აზრს, რომ მცხოვრებთ შეეძლოთ ერთად შეიკრიბონ და მოილაპარაკონ საჭირო-ბოროტო კითხვების შესახებ და თავისი აზრი და შეხედულება ერთმანეთს გაუზიარონ, საჭიროა სიტყვისა, ბეჭედისა და კრების თავისუფლება. იმიტომ, რომ ნაყოფიერათ შეებრძოლონ მუშები ბურჟუა-კაპიტალისტებს, საჭიროა მუშათა კავშირების, და სხ. სრული უფლება. ყველაფერი ეს შესაძლებელია მაშინ, როცა მუდმივი ჯარი აღარ იქნება, როცა სალდათის შტიკები ძლიერთა ამა სოფლისა სურვილისამებრ ხალხის თვითმოქმედების უკმაყოფილების ჩასაკლავათ არ მიიმართება; კმარა რაც ხალხმა ფული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცები უძღვნა მთავრობას თავის საუბედუროთ, კმარა ხალხის შვილების ხალხის დასარბევათ კაზარმებში რაოდენიმე წლობით დატყვევება. ხალხი უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ მისი სისხლით მოპოვებული უფლებები კიდევ ძალდატანებისა და დარბევის მსხვერპლი არ გახდეს.

ერთი სიტყვით რუსეთის პროლეტარიატს ეჰივრება **ხალხის სრული თვითმპყრობელობა!**

ამნაირათ ლიბერალი და პროლეტარიატი—ორივე მოლოდინშია.

პირველი ელის მეფის მთავრობის უკანასკნელ დამარ ეხებას მორეულ აღმოსავლეთში და თვითმპყრობელობის საჯარო ვეპრობისათვის ემზადება. მეორე, ომის დაუყონებლივ მოსპობას მოითხოვს, იმ ომის, რომელსაც მსხვერპლათ ათი-ათასობით ჩვენი ძმები—პროლეტარები და მილიარდები ჩვენი ღარიბი ჯიბიდან ეწირება, და ელის რუსეთის ყველა მუშების ერთი მწყობრი, ძლიერი ჯარის საბრძოლველათ გაპოსვლას, ელის იმ დღეს, როცა შურით და სიმწრით აღელვებული ხალხი გრძელი ლუსმებით დასჭედავს კუბოში ბებერ მხეცს და წყევლა-კრულვით მისცემს მას ჩასაუთქავათ რევოლიუციის აბობოქრებულ ზვირთებს!!!...

—::—

გ უ რ ი ა.

ამ ბოლო დროს გურიაში ძლიერ გახშირდა ჯაშუშების მკვლელობა. ძალდაკარგულ ჯაშუშებს სიკვდილის აჩრდილი დღე და ღამე თვალში ელანდებოდათ და ამიტომ მათ ყოველად გარყვნილ-დაცემულთა ნავი-საყუდელს—პოლიციას მიმართეს და სთხოვეს დახმარება: დაგვიფარე გახურებული ტყვიისაგან ერთგული მონანი და მსახურნი თქვენნი. პოლიციას ამ დროს თითონაც შიშის ქარები ჰქონდა გამდგარი წელში და სხვისი დაფარვის და შემწეობის თავი სადღა ექნებოდა. და აი თავის გოშიებისა და ფინიების გასამხნევებლათ მეუპოვარ გურულ გლეხებს თვით დიდებული ქუთაისის მურია—სმაგინი ეწვია. მან შემოირტყა გარს სტრაჟნიკების ჯარი, წინდაწინ სოფელში ჯარი ჩააყენებინა, და შემდეგ „გაბედულათ" მიუხტა ლანჩუთელებს: „მალე მომეცით ის ავაზაკის შვილები, თორემ.. თორემ...", ლანძღვა ეეღარ გაბედა, ენა ჩაიკვნიტა და ბოლოს შესძახა: „თორემ ყველას გაგაქრობთ დედამიწის პირიდგანო". მაგრამ ამათ ქუხდა და ტრტვინავდა მათი „აღმატებულება": ხალხი არც ქრებოდა და არც წარბს იხრიდა. მისი მუქარა ძაღლის ყეფასავით ქარს მიჰქონდა, ჰაერში იკარგებოდა. ასეთი „თავხედობით" გაბრაზებულმა აღარ იცოდა რა ექმნა, რომ ამ დროს მისმა ერთგულმა ლეკვმა—მაზრის უფროსმა ჯაფარიძემ ურჩია მელებულ-გამოცდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერხი ვიხმაროთ და მაგენი თავის დასაკლავ დანას თვითონ გამრ-
ძებიანთ. ამ გარყვნილმა ჯაფარიძემ წინეთ წესათ შემოიღო სო-
ფელში კაცების არჩევა, უმთავრესათ ხნიერებისა და მათთვის ფიც
ქვეშ ჩვენების ჩამორთმევა. ხანდახან ამით მიზანს კიდეც აღწევდა.
მორწმუნე მოხუცები უთრთოდენ ხატებს და სრულ სიმართლეს
ამტკიცებდენ ხოლმე. მარა მელას ასეთმა ვერაგობამ მთლათ შეაძუ-
ლა ხატები ხალხს და მათზე მლოცველი ხუცები ხომ დასანანაბავთაც
ეზარებათ. ახლაც ამ ხერხით უნდოდა მას ხალხის ჩაჭერა. მართლაც,
აარჩევინეს სოფელში ორ-ორი კაცი მთელ ლანჩხუთის საზოგადოებაში
და ამათი შემწეობით მთელ ხალხს ჩამოართვეს ჩვენება, ვინ, რა იცოდა
მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდის, მკვლელობის და სხვა „ბუნ-
ტების“ შესახებ. განსაკუთრებით უნდოდათ შეეტყოთ ამით ის უო-
წმუნო სოციალისტები, რომელთაც არაფრის შიში და რიდი არა აქვთ,
და ის მკვლელები, რომელნიც პატიოსან პირთ (პოლიციის ენაზე პა-
ტიოსანი ნიშნავს ჯაშუშებს) სინათლეს უბნელებდენ. გასცა თუ არა
გუბერნატორმა ასეთი სასტიკი ბრძანება, დაეკადნა: მთელი კვირა აქ
ვიქნები და თქვენს მოქმედებას თვალ-ყურს ვადევნებო, მარა, კურ-
ღღელიკით დამფრთხალი, იმავე ღამეს გამოიპარა მთელი თავის ამა-
ლით, ვინ იცის ერთი მაცდური ტყვია ჩემს მკერდსაც არ დაეზნიქო-
სო. არჩეული პირები შეუდგნენ გამოძიებას და მათაც სოფლისაგან
ასეთი მოკლე და მოწყვეტილი პასუხი მიიღეს, არა ვიცით რაო, ამ-
ნაირათ დარჩა პოლიცია პირში ჩალა გამოვლებული. ენკენისთვის
დამდეგამდე ლანჩხუთში ჯარი იდგა, შემდეგ კი ისევ ქუთაისში წაი-
ყვანეს. გაბრაზებულმა გუბერნატორმა სხვა რომ ვეღარა მოუხერხა
მედგარ მებრძოლთ, მათი დაწიოკება მოინდომა და ჯარის სარჩენათ
1500 მან. ჯარიმა შეაწერა. ამით უნდოდა მათზე ჯავრი ეყარა, ის
კი არ იცოდა, რომ ამით დამწვარზე მდუღარეს ასხამდა და ისედაც
აღელვებულ ხალხს კიდე უფრო იმტერებდა. სოფლელებმა ჯარიმაზე
უარი განაცხადეს: არაფერი არ გაგვაჩნია და თუ ორიოდე გროში
ვიშოვეთ, მითი დამშეულ ცოლშვილს ლუკმა პური უნდა ვაჭამოთო!!
გადაწყვეტილი იყო ნებით ფული არ მივცეთ და თუ დაარბევდნენ,
შემდეგ შეძლების და გვაოთ გამოეყიდათ. მართლაც ასე მოიქცნენ
და ამ საერთო მოქმედებით ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავის ერ-
თობის სიმძლავრე და არც ეს უსამართლობა შეარჩინეს მთავრობას
პროტესტის გამოუცხადებლათ.

საზოგადოთ ამ უკანასკნელ დროს პოლიციას გურიაში ბედი
ალარ სწყალობს. რა ხერხსაც უნდა მიმართოს, ყველა ერთი მეორე-
ზე ეფუშება და ხალხის დამორჩილებას ვეღარ ახერხებს. აი ამის ერ-
თი მაგალითიც. ს. ნანეიშვილისეულში თავად ერისთავის მამულში
ყანა ქონდა აღებული ერთ, როგორც ამბობენ, ჯაშუშთაგანს, და ენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინისთვის 8-ს ღამით ვიღაცამ ერთიანათ აუჩეხა. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ აგრარულ გაფიცვების ამდენი ხნით გაგრძელებამ გურიის სოფლებში ხელი შეუწყო შიმშილობის გაძლიერებას, რადგან გურულს გლეხს საკუთარი მიწა ისე მცირე აქვს, რომ მას თვესაც არ ყოფნის მისი მოსავალი. დამშეული ოჯახის შემხედვარე გურული გლეხი ყოველ ზომების ხმარებაზე მზათაა, ოღონდ კი ამ გაფიცვების დასრულებას მიაღწიოს და იქიდან გამარჯვებული გამოვიდეს. და როცა რომელიმე სულის სიმტკიცეს და შეგნებას მოკლებული გლეხი თავადის ყანას სთესს ძველ პირობებში და ამით მთელი ხალხის საქმეს საფრთხეში აგდებს, ზოგიერთები ვეღარ ითმენენ და დამთესს ყანას ჭრიენ. რასაკვირველია, ბრძოლის ასეთი საშუალება თავისთავათ მეტათ ცუდია და ბევრი მავნებელი შედეგიც მოყვება, როგორც მაგ. უბრალო პირადი ინტერესებით ყანების აჩეხვა და სხვ. შრომის განადგურება ეს შრომის გაფუქსავატებაა; დაღვრილი ოფლის ყველასათვის უსარგებლოთ დაკარგვა! ამიტომ ასეთი მოქმედების მოსპობა აუცილებელია!

ასეთი შემთხვევა იყო ერისთავის ყანაში. აჩეხეს სულ სამიქცევა მიწა. გაწიწმატებული, ცოფმორეული თავადი მეორე დღესვე ყველა მდიდრები და მძარცველების ქოძაგ პოლიციას ეძგერა და შემწეობა სთხოვა ასეთ თავხედურ საქციელის წინააღმდეგ. ჩოხატაურის ბოქაულმა ფიცხლავ დაიბარა მამასახლისი, ღანინშვნია სოფლის ყრილობა და თვითონ მოვიდა 9 სტრაჟნიკით გარშემორტყმული. პირველათ ყოვლისა როგორც პოლიციელების წესი მოითხოვს, ლანძღვა და გინება გადმოანთხია თავის მზაკვარი პირიდან. შემდეგ მოსთხოვა ხალხს მიეცა ხელში ყანის ამჩეხი. ხალხმა მცირედი მოლაპარაკების შემდეგ ერთხმად დაუსახელა ერთი ადგილობრივი ჯაშუში სერგო მგალობლიშვილი. ასეთი თავგასულობა, რასკვირველია, არ ეჭიშნიკა ხმის შეუბრუნებლათ ბატონობას შეჩვეულ ბოქაულს და სიბრაზისაგან პირზე ქაფ მომდგარმა შეჰყვირა ხალხს: მომეცით ის პირი, ვინც ამ ჩინებულ და საიმედო პირს (ე. ი. ჯაშუშს) ასეთი საშინელი ცილი დასწამაო!. ხალხმა წარბი არ შეიხარა და წინანდებურათ ამაყათ და მოჭრით უპასუხა: „მაგია ჩვენი დიმკეეი, მაგან ამოაგდო აქაურობაო.“ ბოქაული სულ ცოფსა ჰყრიდა. მან შეამჩნია ერთი გლეხი, რომელიც მეორეს ელაპარაკებოდა და წაავლო ხელი და შეჰყვირა: „შენ ხარ ჩამგონებელი ამ ხალხისო“. ხალხმა ასეთი უსამართლობა არ მოითმინა; ერთბაშათ იგრიალა ყველამ და დატუსაღებულის განთავისუფლება მოითხოვა. ბოქაულმა უბრძანა: გარეკეთ ეს მეამბოხე ხალხიო. სტრაჟნიკებიც დაერიენ ხალხს. მარა არც ესენი დაუხედნენ ურიგოთ. წამოუსვეს ჯოხებს ხელი და იმდენი სცემეს სტრაჟნიკებს, რამდენიც ზურგზე დაეტეოდათ. ასეთ არეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის შემდეგ ბოქაულმა განკარგულება მ ასცა სტრაჟნიკებს თოფები ესროლათ ხალხის შესაშინებლათ. მარა თოფის ხმის გაგონებამ კიდევ უფრო გააცეცხლა ხალხი და მაშინ ბოქაულმა თვითონ იკადრა დატუსაღებულის გაშვება და, რომ ცოცხალი დაეხწია თავი გაბრაზებულ ხალხის ხელიდან, უკან მოუხედავათ გაკურცხლა ჩოხატაურისაკენ.

მუდამ ასე მტკიცეთ და მედგრათ შეებრძოლეთ, ამხანაგებო. თვითმპყრობელობის წუნკალ მსახურებს.

—::—

გ ა ნ ჯ ა.

სოციალ-დემოკრატიის ხმა და მოწოდება გაისმა ჩვენს ქალაშიაც და განჯელი მუშა ხალხი ეგებება ამ გამთავისუფლებელ ხმას და თან-და-თან იგნებს მუშათა შეერთების საჭიროებას. მრეწველობის მხრით განჯა არ შეედრება სხვა კავკასიის დიდ ქალაქებს, აქ არ არის დიდი სამრეწველო ფაბრიკები და ზავოდები! არის მხოლოდ ლუდის სახდელი ზავოდები და საღვინე მარნები. ყველაზე უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი აქ რკინის გზის დეპოა, რომელშიაც 400-მდე პროლეტარი მუშაობს. ამასთანავე დიდი სადგური და სხვა-და-სხვა სახელმწიფო სარკინისგზო დაწესებულებებია, რომლებშიაც ერთობ ბევრი მუშები მუშაობენ. ესენი ნამდვილი პროლეტარები არიან. მათი რიცხვი 1000-დე იქნება. მაგრამ ამავე დროს ქალაქში არიან ბევრი წვრილი ხელოსნები, რომლებიც, მიუხედავათ ვითომ დამოუკიდებელ მდგომარეობისა, მეტის-მეტი ღარიბათ ცხოვრობენ და პროლეტარიატზე უარესათ თუ არა, უკეთესაც მაინც ვერ უმკლავდებიან გაჭირვებას. მაგრამ დეპოს მუშები ამ მხრით ყველაზე უარეს მდგომარეობაში არიან. საკმარისია აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ სამუშაო დღე აქაურ დეპოში სრულიად არ არის განსაზღვრული და დაკანონებული. არავითარი კანონი, არავითარი ზედამხედველობა. აქ კანონის და წესიერ განსაზღვრის მაგიერობას სწევს დეპოს უფროსი სტოგოვი, რომელიც ისე ეპყრობა მუშას, როგორც უბრალო ნივთს და ამუშავებს მას რაც შეიძლება დიდხანს და . აძლევს სულ უმსიშვნელო სამუშაო ქირას. სამუშაო დღე აქ 14 ნახევარ საათს გრძელდება და ძაან ხშირათ ზოგიერთი მუშები მთელ ღამეებსაც სამუშაოზე ატარებენ, რადგან ასე სურს ბ-ნ სტოგოვს. სამუშაო ქირა აქ რა თქმა უნდა ერთნაირი არ არის ყველა მუშებისათვის, მაგრამ ის-კია, რომ ვერც ერთი მუშა ვერ ღებულობს იმის მესამედსაც-კი, რასაც აკეთებს და ამუშავებს. უმრავლესობა მუშებისა დღიურ ქირად იღებს 40—50 კ. მარა ეს კიდევ არაფერი. სტოგოვი სხვა ხერხსაც ხმარობს მუშებიდან მეტი სისხლის გამოსაწოვათ. ის ყოველ ღონის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიებას ხმარობს, რომ „თავის“ დეპოში „მშვიდობიანობა“ და „წყნარიგი“ სუფევდეს. ის განზრახ არ ღებულობს „დიდ“ მუშებს. და ამავე დროს ახალგაზდა, 15—16 წლის მუშებს-კი დიდი სიამოვნებით აძლევს ალავს. ასეთი „პოლიტიკა“ მას ტყუილა არ მოუგონია. სტოგოვმა კარგათ იცის, რომ დღეს რუსეთის იმპერიის ყველა მხარეებში მუშები არეულობებს ახდენენ, იფიცებიან, პროტესტს აცხადებენ, აყენებს პოლიტიკურ და ეკონომიურ ხასიათის მოთხოვნილებებს, ემზადებიან არსებული რეჟიმის სრულიათ გასანადგურებლათ, რათა დღეევანდელმა შევიწროვებულმა და გაყვლეფილმა ხალხმა თავისუფლათ ამოისუნთქოს და უზრუნველ-ყოფილი არსებობა მოიპოვოს. ბ ნი სტოგოვი გლახა გუნების როდი ყოფილა. ის ზემოხსენებული „პოლიტიკით“ ცდილობს თავიდან აიცდინოს განჯის დეპოში მუშების აღელვება და უკმაყოფილება. იმას არ უნდა სხვა მუშებიკით „უშეესობა“ ჩაიდინონ განჯის დეპოს მუშებმაც და ამ გარემოებამ ძილი დაუფრთხოს მას. დავაჟკაცებული მუშები შეიძლება არ დათანხმდენ ყოველნაირ სამუშაო ქირაზე, ისინი შეიძლება ცხვრებივით არ გაუჩერდენ უფროსს საკრეპათ და ყოველ შემთხვევაში მათზე უფრო საექსპლოატაციოთ ბავშები და მოზარდი მუშები გამოადგება სტოგოვს; მათ ბევრხანსაც ამუშავებს და ხელ ფასსაც ნაკლებს მისცემს, მაშინ როდესაც დიდი მუშები ხშირათ წინააღუდგებიან ხოლმე დიდ სამუშაო დღესაც და მცირე სამუშაო ქირსაც. ამასთანავე დიდ მუშებს ეგრე ადვილათ ვერ მოუვლი თავს. ისინი აღელდებიან და წამოაყენებენ მოთხოვნილებებს სამუშაო ქირის მომატების და სამუშაო დღის შემცირების, პირობების გაუმჯობესობის შესახებ. ამ მხრით ბავშვები და მცირე-წლოვანი მუშები უფრო საიმედო და მშვიდობიან ხალხს წარმოადგენენ. მათ რაც გინდათ იმას უზამთ, ასე ფიქრობს ბ. სტოგოვი, მარა დეპოს ახალგაზდა მუშები იმედია სულ სხვა ნაირათ შეხედვენ საქმეს. ისინი მალე გაეცნობიან თავიანთ მდგომარეობას და მის მიზეზებს, შეიგნებენ თავიანთ ინტერესებს და თავის დამოკიდებულებას და ურთი-ერთობას გაბატონებულ კლასებთან საზოგადოთ, და სტოგოვთან და მახლობელ მთავრობასთან კერძოთ. ისინი დაადგებიან ჭეშმარიტ გზას, რომელიდან ვერ გადმოიყვანს მათ მთავრობის ბაში-ბუზუკების ვერავითარი გაიძვერული ხრიკი. ცდება სტოგოვი, როცა ფიქრობს, რომ „ახალგაზრდები“ არ დაუწყებენ წინააღმდეგობას მის თვითნებობას, მის მხეცურ ინსტიტუტს. იმედია ახალგაზრდა მუშები თავის ყოფა-ქცევით დაამტკიცებენ, რომ ისინი „უფროს“ მუშებზე არა ნაკლებ დაიცავენ თავიანთ ინტერესებს და მებრძოლ პროლეტარიატის დიად საქმეს, და მალე, სულ მალე მიეცემა აუცილებლათ დასასრული სტოგოვის და ძმათა მისთა დღესასწაულს. ასეთია დღეევანდელი ცხოვრების ლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიკა, რომელსაც ვერ შეარყევს ვერავითარი ბნელი ძალა დაუძლეველ-
რებული და დამპალი თვითმპრობელობისა. მოვიხსენებთ იმ მუშ-
ებსაც, რომლებიც მუშაობენ ნავთის გამყვან და სარკინისგზო
შენობებზე. ისენი წარმოუდგენელ სიღატაკეში იმყოფებიან. აქ
ჩვეულებრივ მუშაობა გრძელდება დილის 5 ნახევარ საათიდან
საღამოს 8 საათამდე, ალაგ-ალაგ კი ამაზე კიდევ უფრო ადრე იწ-
ყება და გვიან თავდება. სამუშაო ქირა მათ ღარიბულათაც-კი ვერ
აცხოვრებს. ამ მუშებისთვის არსად არის საცხოვრებელი ბინები. მათ
სძინავთ გაშლილ ცის-ქვეშ, დღე და ღამე აქ ატარებენ უქვეშაგგებ-
ლოთ და დაუხურავად. სამუშაო ქირას ორ კვირაში ერთხელ იღებენ
და ხშირად „პალუჩკას“ აგვიანდება სამ ოთხ კვირასაც. მუშები იძუ-
ლებულნი არიან მიმართონ მედუქნეებს და რესტორატორებს ნისიის
ასაღებათ. ყველამ კარგათ იცის რას ნიშნავს მუშებისათვის ნისია:
უვარგის საქონელში ორკეცი ფასის გადახდას. მედუქნეები და რეს-
ტორატორები სარგებლობენ თავის მდგომარეობით და მუშების გა-
ჭირვებით და მზათ არიან გაყვლეფილი მუშები კიდევ უფრო გაყვლე-
ფონ. მუშების მთელი სამუშაო ქირა ორი კვირის შემდეგ მათ ჯიბე-
ში გადადის. დაბრაკულ, დამპალ საქონელს მუშებთან ასაღებენ. მთა-
ვრობა სულაც არ ღებულობს ასეთ პირობებს მხედველობაში. რა
ენაღვლება მას, თუ მუშები გლახათ იცხოვრებენ, იტანჯებიან და
იჩაგრებიან. მთავრობა მუშებს არ აძლევს დროზე ფულს და ამ ნაი-
რათ აორკეცებს მუშების ექსპლოატაციას და გაჭირვებას, ის ამას
იმიტომ სჩადის, რომ იგი „მთავრობაა“, იმიტომ რომ მის მხარეზეა
კანონი და მატერიალური ძალა, იმიტომ რომ იგი პასუხს არ აძლევს
თავის მოქმედებაში მუშებს და ამის „უფლებას“ მას ანიჭებს დღე-
ვანდელი საზიზღარი წეს-წყობილება.

იქიდანვე. განჯა არ არის საერეველო ქალაქი და ამიტონ აქ
ნამდვილი პროლეტარები ძალიან ცოტაა. სამაგიეროთ ბევრია ხე-
ლოსნები და სხვა დაქირავებული ხალხი, რომელიც დიდ ექსპლოატა-
ციას ითმენს. მიუხედავათ იმისა, რომ მათ აუტანელი მდგომარეობა
აქვთ, ისინი დიდი ხანია გულ-გრილათ უცქერდენ თავის მომმე პრო-
ლეტარების ბრძოლას, ბრძოლას, რომელიც მთელ კავკასიას ალივით
მოედო. თავის ხვედრსაც უსაყვედუროთ იტანდენ; თითქოს კიდეც
შეურიგდენ თავის ბედს, შეურიგდენ იმ აზრს, რომ ისინი არსებობ-
ენ მხოლოდ მისთვის, რომ თავის აუტანელი ჯაფით გაამდიდრონ
„ხაზინები“ და ფიქრიც მეტია საუკეთესო მომავალ ცხოვრებაზეო.

რით აიხსნება ასეთი გულ-გრილობა?

ერთი მხრით მათი უვიცობით, განუვითარებლობით; უთავრე-
სათ-კი „ნაციონალიზმის“ ნიღაბ ჩამოფარებული ბურჟუა-ნაციონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტების ზედ გავლენით, რომელნიც რევოლიუციონერების სახელით, აფერხებდენ იმათ კლასსობრივ გათვითცნობიერებას. ეს „ვაკბატონები ნაციონალისტები“ რაღაც განყენებულ „ნაციონალურ იდეებისათვის“ ცდილობენ შეარიგონ დამშეული პროლეტარიატი და მისი მყვლეფელი კაპიტალისტები. ამით უკლავდენ მუშებს ყოველივე პროტესტის სურვილს, უშლიდენ ხელს კლასიურ ბრძოლას და მით ნამდვილ გზას აცდა ხალხი.

მაგრამ ცხოვრება თავისთავად მიმდინარეობს და არაფერს მისი შეფერხება არ შეუძლია: არც ბნელეთის მოძრეების ცდას, არც ექსპლოატატორების ფლიდობას; გაიღვიძა ჩვენმა მუშებმაც, გაიღვიძა მათში აზრმა და ისინი ეხლა გამოვიდენ თავის გათელილი უფლებების დასაცველათ. ვეღარ მოითმინეს ხაზეინებისაგან წვალება და პირველათ ხმა ამოიღეს ხარაზებმა და გაიფიცენ. მათ მაგალითს წაბაძეს სხვა ხელობის მუშებმაც და ერთი მეორეზე იფიცებოდნენ, თხოულობდენ ქირის მომატებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას. ეს გაფიცვები საზოგადოთ კარგათ დაბოლოვდა; მათი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქმნა. ეხლა-კი, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ზეინკლები გაიფიცენ.

—::—

სოფ. ფლავი, (გორის მაზრა).

ერთ უმთავრეს მოვლენათაგანს კავკასიაში ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ქართველ გლეხობის გამოღვიძება და პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლის ველზე გამოსვლა შეადგენს. პირველათ ქუთაისის გუბერნიაში, სახელდობრ გურიის გლეხობაში, აენთო კლასობრივი ბრძოლა. მისი მხურვალე სხივები მალე მიწვდა იმერეთსაც და იქაც აანთო რევოლიუციონური ცეცხლი, მაგრამ იმ დროს, როცა გურიაში და სხვა მაზრებში ქუთაისის გუბერნიისა, მოძრაობამ წმინდა რევოლიუციონური, და კიდევ შეტი—ჩვენი პარტიის გავლენის წყალობით, სოციალ-დემოკრატიული ელფერი მიიღო, ზოგიერთ ადგილებში ტფილისის გუბერნიისა გლეხთა მოძრაობა, უხელმძღვანელოთ დარჩენილი, რაღაც ახირებულათ ჩამოყალიბდა, თავისებური ფორმა მიიღო. ამ ჩვენ წერილში გვსურს ერთ ამგვარ მოვლენას გაგაცნოთ. ამ წლის აგვისტოს შუა რიცხვებში სოფ. ფლავში დაიწყო მოქმედება „კავკასიის მიწათა დამმიჯვნელ“-მა კომისიამ“. დანიშნულ დღეს გლეხები და მემამულენი „კომისიასთან“ ერთად გავიდნენ სამუშაოთ. მაგრამ აქ გამოჩდა რომ გლეხები... „ბუნტობენ“!. დაიწყეს თუ არა მუშაობა, გლეხებმა, უკვე წინდაწინ შეკრული განაჩენის თანახმათ, განაცხადეს, რომ მთელი სოფლის მიწა, როგორც გლეხთა ისე მემამულეთა ეკლესიას და ხაზინას ეკუთვნის; და თუ ოდესმე ისინი ღალას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხდიდენ მემამულეთა სასარგებლოთ, ეს ძალდატანებით ხდებოდა. მიწის მზომავის კითხვაზე, თუ ვის ეკუთვნის ეს მიწა, ერთმა ახალგაზდა გლეხმა ამაყად მიუგო: „ეს მიწა, როგორც საზოგადოთ ყველა მიწა, ეკუთვნის მას, ვინც მას დაამუშავებს ხოლმე". აირია მონასტერი: ახალგაზრდა მემამულე თ. გ. ერისთავი რევოლვერით ხელში მივარდა თამამ გლეხს; აქ მთელი გლეხობა კეტებითა და ბარებით გადაეღობა თავადს და უკანასკნელმაც ისევ უკან დახევა არჩია. საშინელი იყო მემამულეთა მდგომარეობა: ასი და ორასი წლობით მათი წინაპარნი ფლობდენ ამ მიწებს, და დღეს-კი ეუბნებიან: თქვენ ვინა ყრიხართ? ეს სახელმწიფოა! საქმე დიდი სისხლის ღერით დასრულდებოდა, რომ მემამულეთ თავიანთ ძალის იმედი ჰქონოდათ. მიწის მზომელი იმედს აძლევდა და ამშვიდებდა მემამულეთ: „თქვენ სუდით შეგიძლიათ დამტკიცოთ თქვენი უფლებები",—ეუბნებოდა ის მათ, — მიართვეთ გუბერნატორს ქაღალდი, რომ გლეხები „ბუნტობენ": სთხოვეთ დახმარება. სხვა გზა არ იყო: მთელი სოფელი სადავოთ ჩარიცხეს.

პირველათ გლეხები საკვირველ ერთსულობით და სალიდაროობით იქცეოდენ: ისინიც-კი, ვისაც ნადელები გამოჰყიდული ჰქონდათ და თავისი შეძენილი მიწებიც, უმალავდენ „კომისიას" თავიანთ „კუპჩებს" და სხვა დოკუმენტებს და საკუთარ მიწებს სახაზინოთ არიცხვინებდენ. გლეხობა თვითმპყრობელობას ეკედლება და მემამულეებს ბრძოლას უცხადებს. აი რა ფორმაში გამოიხატა ფლაველთა მოძრაობა. ეს ფორმა ძლიერ მოეწონათ სხვა ახლო სოფელთა გლეხებს, სადაც „კომისიამ" უნდა იმუშაოს. ზოგიერთ სოფელში, მაგალითად, ფლავი.მანმა უკვე შეადგინა განაჩენი მთელი სოფლის სახაზინოთ გამოცხადებისა, რითი გათავდება ეს საქმე სუდში. ჩვენ ეს ახლა არ გვაინტერესებს, საყურადღებო ის არი, რომ გლეხთა და მემამულეთა შორის დაიწყო ბრძოლა და ეს ბრძოლა დღეს აგრარიულ ნიადაგზე აღმოცენებული, ხვალ აუცილებლობის გამო პოლიტიკურ მიმართულებას მიიღებს, როგორც ეს გურიაში მოხდა.

გლეხებმა ალღო აუღეს და წინ გამოიგდეს ერთი თავის მტერი — თავად-აზნაურობა, დღევანდელი პოლიციური წეს-წყობილება თავდებია იმისა, რომ ხვალ-ზეგ ქართლის გლეხობა მეორე მტერს გამოიგდებს წინ—თვითმპყრობელობას. მაგრამ სოციალდემოკრატია დღეიდან უნდა ეცადოს უკვე დაწყებული გლეხთა მოძრაობა რევოლიუციონურ კალაპოტში ჩააყენოს, გლეხთა ‌{გაღვიძებული და ‌{ეშმარიტების მაძიებელი გონება გაათვითცნობიეროს და შეაგნებიოს თავისი ინტერესები. ეს მით უფრო საჭიროა სოციალ-დემოკრატიისათვის, რომ უფრო სავსებით გამოიყენოს კარზე მომდგარი რევოლიუცია.

—::—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ქ ო.

ბაქოს მექარხნეებს დაავიწყდათ კიდეც ის გაკვეთილი, რომელიც მათ მუშებმა მისცეს შარშანდელი შესანიშნავი გაფიცვების დროს. მათ ან სრულიად დაივიწყეს ის, რაც შეპირდენ მუშებს ერთი წლის წინედ ან და ისიც წაართვეს მუშებს, რაც ოდესმე იძულებულ იყვნენ დაეთმოთ. მუშების რიგობით შეცვლა (ამას მოითხოვდენ მუშები) ყველგან არ არის შემოღებული; კვირა-უქმეებს ხშირათ დასვენება არა აქვთ აქაურ მუშებს. მუშები წინანდელათ იძულებული არიან იცხოვრონ ვიწრო, ბინძურ, საძაგელ კაზარმებში; აბანო მათთვის ხელმიუწდომელია; კარგი სასმელი წყალი ხომ ფუფუნებაა, რომელიც მხოლოდ აქაურ ბობოლაებს ხვდებათ წილათ. სამუშაო ჭირას დროზე არ იძლევიან: ხშირათ მუშამ თავისი ნაოფლარი ორიოდე გროშის ასაღებათ რამდენიმეჯერ უნდა მიმართოს ადმინისტრაციას ხვეწნა-მუდარით.

მუშებს ქარხნების ადმინისტრაცია მეტათ უნამუსოთ, სასტიკათ ექცევა: სცემს, აგინებს: სამუშაო ჭირის რაოდენობა ხშირათ „ხაზეინის“ თვითნებობაზეა დამოკიდებული. მუშებისათვის საზარალო ჩვეულება: ზოგიერთ მუშების „საატრიადო“ სამუშაოზე გადაყვანა ხშირად და ისიც მუშების დაუკითხველად ხდება. როგორ უყურებენ ყველაფერს ამას თვითონ მუშები? ნუ თუ მათ დაივიწყეს 1903 წლის ივლისის სასიქადულო დღეები? ნუ თუ ასე მალე შეურიგდენ ამ მონური ცდგომარეობას? არა! მათ მოთმინებას ბოლო მოეღო! ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ იქა-აქ ადგილობრივი ორგანიზაციის დაუხმარებლათ გაფიცვები ხდება. პირველ მაისს და ივლისში რამდენიმე გაფიცვა მოხდა ბალახანაში, მხოლოდ ამ ბოლო ხანებში ხშირი გაფიცვები იყო ხან ბალახანაში, ხან ბიბი-ეიბათში. გაიფიცნენ ოლეუმში, მანტაშევთან და ბორკთან. პირველ ადგილას მოიგეს მუშებმა, მანთაშევის ქარხანაში დაპირდენ მუშებს ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ჯერ კიდევ სანამ გაფიცვა დაიწყებოდა, მხოლოდ ბორკთან წაგეს.

თუ დღემდე ეს გაფიცვები საერთო არ გამხდარა, თუ მუშათა მოძრაობის ტალღები ჯერ კიდევ არ მოსდმია ერცლათ აქაურობას, როგორც შარშან, ამის მიზეზია ის, რომ ბაქოელი მუშები ვერ არიან კარგათ ორგანიზაციულათ შეკავშირებული. სწორედ ამით აიხსნება ის გასაოცარი ფაქტები, რომელსაც ქვემოთ აღნიშნავთ:

ნობელის ამხანაგობა. ამ ქარხანაში ხელოსნებს აკრძალული აქვს „ავათმყოფობა და ექიმობა“. თუ ვინმე გაკადნიერდა და ავად გახდა ასეთ თავხედს ურიცხავენ ქირიდან მთელათ იმ დროს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც მას ავათმყოფობაში გაუტარებია, და ეჭიმთან სიარულში მოწდომია; ახლად შესულ მუშებს სახლის ქირა არ ეძლევათ—(ის ქვეშ ყველგან ადგილი არ არის!? როგორც დღის ქირას ისე ნარდათ სამუშევარსაც ფასს უკლებენ.

ზოგი „მასტერები“ შემოსავალს ქრთამებით ივსებენ; გინდა არ გინდა, ლატარიაზე ხელს მოგაწერინებს, თუმც შეენიშნავთ, რომ ხელის მომწერთ არასოდეს არაფერი არ ამოსვლიათ.

ესეც არ იკმარეს. მუშებს დაცინვაც-კი დაუწყეს. უწმაწური ენით აგინებენ, ყოველგვარ შეურაცყოფას აყენებენ, თუთუნის წევასაც უშლიან. მექანიკოსმა შტულცენბერგმა ერთ მუშას პირიდან გამოგლიჯა პაპიროსი ისე ტლანქათ, რომ ტუჩიც გაუჭრა. მის საჩივარზე უფროსმა მექანიკოსმა ტაუსონმა ისევ შეურაცხყოფილს გაუწყრა და დაუყვირა: „არც ტუჩებს და არც კბილებს არ შეგარჩენენ და საპყრობილეშიაც ამოგაყოფინებენ თავსო“.

ტაგიევის ქარხანა. აქ-კი ნამდვილი საპყრობილეა,—მუშების საპატიმრო სახლი. აქ ყველაფერი ჩინებულათ აქვს კაპიტალისტს მოწყობილი. საკუთარი პოლიცია, საკუთარი კანონები; სრული თვითნებობა, ცოცხლათ დამარხულ მუშებს (ქალსაც და კაცსაც) არა თუ ინჟენერის დაუკითხავათ, არამედ კარის მცველის ნება დაურთველათაც-კი არ აქვთ უფლება ქარხნიდან გამოვიდენ. მხოლოდ ადგილობრივ პოლიციელებს, რასაკვირველია, ნება აქვთ შევიდენ რა დროსაც მოინდომებენ, თუნდა შუაღამისას, როცა ცოტათი შექეიფებული ბრძანდებიან, და ახალგაზრდა ქალიშვილებში გართობას მოისურვებენ. ხელ-ფასი ისეთი მცირეა მეტადრე ქალებისათვის, რომ ისინი იძულებული არიან დაკლებული შეიკვნონ არა სასიამოვნო ხელობით—პროსტიტუციით. რასაკვირველია ადმინისტრაცია ხელსაც უწყობს ასეთ ხელობას, მუშტი კრივი და სხვა-და-სხვა უწესოებანი ძალიან ხშირია.

შიბაევის ამხანაგობა. აქ მეტის-მეტი თვითნებობაა გამეფებული. როგორათაც მათ სულს და გულს უნდა ისე უსწორდებიან მუშებს, მთელი სახელოსნოები უმეცარი ჯაშუშების ხელშია, როგორც მაგ. ჟაროვი, ბეხერი, ჟუკოვი და სხვებია. ამუშავებენ უენო ბავშვებს და ღრმა მოხუცებულებს მცირე ფასში; ისეთს მოხუცებულებს, რომელთაც არსად არ შეუძლიათ წასელა და ქუჩაზე სიკვდილს ისევ იქ მუშაობას არჩევენ.

მანთაშევის ქარხანაში მოურავათ ა. ბ. ნერსესიანცია. მოახერხა რა თავის წინამადგილის ადგილიდან დათხოვა, გაიჩინა ჯაშუშები ნიკოლოზ და ნერსეს ბაბაევები. ჯილდოთ ამ ძმებს მოსაგები საქმე ჩააბარა და ნება მისცა თავის და მიხედვით ამოარჩიონ თანაშემწეები. ეს ძმა-ბიჭებიც, რასაკვირველია, ასეთ სახეირო საქმეს ხელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან არ უშვებენ და გაფაციცებით უყრიან თავს ბავშვებს დაკლებული ქირით. (არა უმეტეს 80 კაპ. დღეში). მთელ სამუშაოს სწორეთ ამ „დიდ მოწაფეთა“ საშუალებით ასრულებენ.

ელექტრონის ძალის ქარხანა. აქ ერთმა უფროსმა მუშამ (ალბათ მთავრობის მაგალითითი წაქეზებულმა) და თან იმის დასამტკიცებლათ, რომ ის უფროსია, შეუბრალებლათ სცემა მუშა ი. კოზირინს. კოზირინი წავიდა საჩივლელთან მმართველ ნ. ი. იაზიკოვთან და აუხსნა საქმის გარემოება. უკანასკნელმა, როგორც მოსალოდნელი იყო, წყრომითა და რისხვით გაისტუმრა. დირექტორმა კლასონმა-კი კოზირინი ზარმაცათ აღიარა და დაეჭადა ადგილიდან დათხოვნას. საზოგადოთ ელექტრონის ძალის ადმინისტრაცია ცდილობს რამეფერათ განთავისუფლდეს ზარშანდელი გაფიცვის მაჯლაჯუნისაგან და თანდათან ახალი რეჟიმი შემოიღოს. ამ მიზნის მისაღწევათ შემთხვევას არ გაუშვებს, რომ „შეუპოვრები“ დაითხოვოს. მაგ. შეამცირა მაშინისტების შტატი.

— სამშაბათს, 16 აგვისტოს, მირზაბეკიანცის თუთუნის ქარხანაში შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა; ამ ამბავში პოლიციამ მეტათ საზიზღარი, მეტათ ბინძური როლი შეასრულა. საქმე აი როგორ იყო: ერთმა თათარმა მუშამ შეურაცხყოფა მიაყენა ერთ მუშა ქალს. ამ უკანასკნელს გამოექომაგა სომეხი მუშა, დაუწყეს ერთმანერთს გინება-ლანძღვა და ბოლოს ჩხუბი გაიმართა. ჩხუბში ჩაერია მეორე შექეფიანებული სომეხი მუშა, რომელმაც თათარი დასჭრა. ამ ყვირილზე და ხმაურობაზე თავი მოიყარა ყველა განყოფილების მუშებმა. შეურაცხყოფა, უსიამოვნება, ჩხუბი წინეთაც ხშირათ ყოფილა, მხოლოდ არასოდეს ისე სამწუხაროთ არ გათავებულა, როგორც ეხლა. მირზაბეკოვის მუშებს საამხანაგო სასამართლოც-კი ჰქონდათ და ყოველთვის შეურაცყოფილი იქ მიმართავდა. სასამართლო გაარჩევდა საქმეს და დამნაშავეს სასჯელს გადაუწყვეტდა—ან ამხანაგურ უკმაყოფილებას გამოუცხადებდა ან და სამუშაოდან ერთი ორი კვირით გადაიყენებდა. ყველა უსიამოვნება მშვიდობიანათ თავდებოდა და მუშები—განურჩევლათ ეროვნებისა,—ყველანი ემორჩილებოდენ საამხანაგო სამართალს მხოლოდ ამ უკანასკნელათ საქმეში ჩაერია პოლიციის ბოქაული სულთანოვი, გვარტომობით თათარი. გაიგო-რა რომ შეურაცხოფილი მუშა თათარია, მან დაუწყო თათრებს საყვედური: აი თქვენ სულ-მოკლეებო, მშიშარეებო, როგორ გაგიბედეს და სხვ. ამით ის სცდილობდა აღეძრა მათში ეროვნული და სარწმუნოებრივი ზიზღი. ხალხიდან გამოიყო ხუთიოდე მუშა თათარი და გაშორდენ ქარხანას; 10—15 წამის შემდეგ რევოლვერებით ხელში დაბრუნდენ. ამ დროს, ჯერ კიდევ არ შეწყვეტილიყო ხმაურობა, აურ-ზაური. წესიერების დამცველმა დაიღრიალა: „კა მაგათო!“ და თანვე უშვერის ენით შეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინა სომხებს, რამდენიმე ტყვია გაისროლეს უიარაღო ხალხისაკენ; ბოქაულიც იწყებს სროლას (ზოგი მუშების სიტყვით—სროლა მან დაიწყო). ამის შედეგი იყო ერთი მოკლული და ოთხი დაჭრილი. ასეთია ფაქტი, რომელსაც მოწმობენ ყველა ეროვნების მუშები. ყველანი ერთხმათ ამტკიცებენ, რომ ამ სისხლის ღვრის მიზეზი უეცველათ ბოქაული სულტახოვია.

—::—

ერევანი (სომხების ცხოვრებიდან).

ამ უკანასკნელ ხანებში ყველგან სომხების პროვინციებში შოვინისტურმა მიმართულებამ მოიკიდა ფეხი. ასეთი მიმართულება შექმნა მეფის თვითმპყრობელობის ავაზაკურმა პოლიტიკამ განაპირა ქვეყანაში და განსაკუთრებით 12 ივნისის კანონმა, რომლითაც სომხებს ჩამოერთვათ საეკლესიო მამულები. ამ კანონმა ძალიან შებღალა მცხოვრებთა კლერიკალურ-ნაციონალური გრძნობა და საოცარი ზიზღი და აღელვება გამოიწვია მათში. მოქალაქობრივ და პოლიტიკურ შეგნებას მოკლებული მცხოვრებნი ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ საიდან წარმოიშვა ასეთი განკარგულება, ვინ არის მათი ნამდვილი მტერი და მეფის თვითმპყრობელობის ინტერესები რუსეთის ხალხის ინტერესებათ მიიჩნიეს. რა გასაკვირია, რომ შეურაცყოფილმა გრძნობამ ამ პირობებში ტლანქ შოვინიზმში პოვა გამოსავალი. ასეთი მდგომარეობით ძალიან ისარგებლეს სომხების ნაციონალისტურმა პარტიებმა: ისინი წურბელასავით მიესევიან შეუგნებელ ხალხის უკმაყოფილებას, კიდევ უფრო ზრდიან და ამტკიცებენ მის შოვინისტურ გრძნობებს თავისი პარტიული მიზნის მისახწევათ; ამის შედეგი იყო სწორედ ის, რომ დაუძლურებელი, კავკასიაში უნიადაგო პარტიები ხელ-ახლავ გამოცოცხლდენ და იწყეს ენერგიული მოქმედება. მხოლოდ ყველაზე უფრო საყურადღებო შედეგი 12 ივნისის კანონისა ის არის, რომ „ამ დროიდან სომხების ნაციონალისტურმა პარტიებმა მიაქცია ყურადღება კავკასიაში მცხოვრებ სომხებს, მათ მდგომარეობას და საჭიროებას, მათ აღიარეს, რომ „საზოგადო ეროვნულ სათათრეთ-სომხეთის კითხვასთან ერთათ არსებობს აგრეთვე რუსეთ სომხეთის კითხვაც. ეს პარტიები შეუერთდენ სტიქიურ მოძრაობას, მაოლოდ იმის მაგიერ, რომ თვისი გავლენისათვის დაემორჩილებიათ, თვითონვე დარჩენ სტიქიური მოძრაობის გავლენის ქვეშ; ერთის მხრით თუ ისინი სარგებლობდენ ხალხის აღელვებით თავისი მიზნისათვის, მეორეს მხრით თვითონვე ამტკიცებდნენ ამ შოვინისტურ გრძნობას. „დროშაკის“ პარტია, რომელიც ყველაზედ უფრო ძლიერი და მოქმედია, მხოლოდ ამასთანავე ყველაზედ უფრო რეაქციონური და უპრინციპო, დიდხანს ებრძოდა სომხების იმ ინტელიგენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციას. რომელთაც საჭიროდ მიაჩნდათ კავკასიელ სომხებში პოლიტიკური თვითცნობიერების გაღვიძება, ყოველნაირის საშუალებით ცდილობდა შეეჩერებია მუშათა მოძრაობა კავკასიაში და ძველა სომეხ-სოციალ-დემოკრატებს „სამშობლოს მოღალატეებს“ უწოდებდა, რადგან. მისი ფიქრით, ესენი სომხებს აცდენენ სათათრეთის სომხების საქმეებიდან და მით ძალას ყოფენ, აქუცმაცებენ. აი ამ პარტიამ თავის უკანასკნელ კრებაზე საჯაროთ აღიარა, რომ ასეთი „დაქუცმაცება“ ძალების საჭიროა, რომ „თავის დაცვის“ კომიტეტების „პატრიოტული“ მოღვაწეობა სრულიად მოსაწონია და რამდენიმე გადაწყვეტილებაც მიიღო „რუსეთ-სომეხთა“ საქმის შესახებ. მოვიყვანთ რამდენიმე გადაწყვეტილებას; პარტიამ უნდა ეცადოს რუსეთში რესპუბლიკის დამყარებას, ისეთი რესპუბლიკის, რომელიც დაფუძნებულია ეროვნებათა თავისუფალ ფედერაციაზე. ამ მიზნით ის უნდა შეთანხმდეს რუსეთის სხვა ეროვნებათა პარტიებთან. პარტიამ უნდა შეაიარაღოს კავკასიელი სომხები, რათა რევოლიუციის დროს მათ იარაღით შეეძლოთ თავის „ნაციონალური“ უფლებების დაცვა. ამისათვის და სხვა საჭიროებისათვის კავკასიაში პარტიამ გადადო 20 პროც. წლიური შემოსავლისა (მგონი მხოლოდ იმ ფულიდან, რომელიც კავკასიაში გროვდება). კიდევ ერთი გადაწყვეტილება უნდა მოვიხსენიოთ. ეს გადაწყვეტილება მუშათა მოძრაობას შეეხება; კრებამ გადაწყვიტა ნება მიეცეთ სომხის მუშებს რომელნიც „დროშაკის“ ორგანიზაციებში ითვლებიან, მიიღონ მონაწილეობა გაფიცვებში და დემონსტრაციებში, რომელსაც მუშათა კომიტეტები მოახდენენ *).

ამ ყველამ „დროშაკისა“ და „ხნჩაკის“ (ზარი) პარტიული ორგანიზაციები მოედვა სომხების ყველა პროვინციებს, მიწვდენ მიყრუებულ სოფლებს, მოიმხრეს მცხოვრებლები, ყველგან აძლიერებენ შოვინისტურ გრძნობას და დიდ მატერიალურ საშუალებას იძენენ. უმთავრესათ საყურადღებოა ის, რომ რუსეთის მთავრობის გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ისინი გაფაციცებით იფარავენ მცხოვრებს სხვების გავლენისაგან და რასაკვირველია ამ სხვებში უმთავრესი ადგილი უჭირავს „მოღალატე“ „გამრუსებელ“ სოც.-დემოკრატიულ პროპაგანდას. მეორე მხრით, როგორც ჩვენ შევიტყვეთ, კრების დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ **) „დროშაკის“ ცენტრალური დაწესებულება უკვე შეეთანხმა რუსეთის ორი ეროვნების „ნამდვილი“ რევოლიუციონური იდეების წარმომადგენლთ: სოციალისტ-რევოლიუციონერებს და სოციალისტ-ფედერალისტებს („საქართველოს“ ბანაკიდგან). ასეთი პოლიტიკური შედეგი

*) რადგან ზელთ ნამდვილი ტექსტი არა გვაქვს, ამიტომ იძულებული ვიყავით ეს გადაწყვეტილებანი ჩვენი სიტყვებით გადმოგვეცა.

**) შეიძლება კრების დადგენილებაც იყო ასეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვა 12 ივნისის კანონს. მეფის თვითმპყრობელობა ალბად კმაყოფილია ამით. რევოლიუციონურმა გრძნობამ სტიქიურად იფეთქა ცოტა ხნის განმავლობაში; ამ ხნის განმავლობაში არა ერთი ცხარე შეტაკება მოხდა ხალხსა და მეფის მტარვალებს შორის, რამაც გვარიანათ დააფრთხო ისედაც დამფრთხალი მეიავრობა, მხოლოდ სამწუხაროთ, ამას მოყვა საზარალო პოლიტიკური რეაქცია, ხალხი ჩაუვარდა ხელში ნაციონალისტურ პარტიას და, შეიძლება დიდი ხნითაც შეაჩეროს ამ გარემოებამ სომხების პოლიტიკური შეგნება და რევოლიუციონური თვითმოქმედება.

უნდა შევნიშნოთ აქვე, რომ აქა-იქ ჩუმათ„ „კონტრაბანდით“ ამ „ბნელ სამეფოშიაც“ შეაშუქა ცნობიერების სხივმა. ზოგიერთი ორგანიზაციები „ხნჩაკის პარტიისა“, რომელიც სოციალისტურსა და სოციალ-დემოკრატიულსაც-კი უწოდებს თავს, და რომელიც წმინდა ნაციონალისტურია.—ზოგიერთი ორგანიზაციები ამ პარტიისა თითქო თანაგრძნობითაც გვეპყრობიან ჩვენ, სოციალდემოკრატებს და სადაც მოეხერხებათ და ამით ნდობას არ კარგავენ, იქ ჩვენს ლიტერატურასაც კი ავრცელებენ (ჩვენს ფურცლებს, წიგნაკებს).

შევნიშნავთ რომ ამ პარტიის ის ორგანიზაციები, რომლებიც კავკასიის სამრეწველო ცენტრებში იმყოფება *). კიდეე უფრო უახლოვდებიან სოციალდემოკრატებს; და, მგონი, არც ისე შორს არის ის დრო, როცა სრულიად გამოეთხოვებიან თავის ნაციონალისტურ მისწრაფებას და მთლათ ჩვენ პარტიას შეუერთდებიან. „ხნჩაკის“ ერთი პარტიული გაზეთი „ვერაცნუტიუნ“, რომელიც ბოლგარიაში გამოდის, კაი ხანია თავის მოწინავე წერილებში ამას ურჩევს ამხანაგებს.

„ხნჩაკისტების“ გარდა ჩვენს ლიტერატურას, რასაკვირველია ჩვენი ამხანაგები-მუშები და ინტელიგენტები ავრცელებენ; ტფილისსა და ბაქოს გუბერნიებში, სამრეწველო ცენტრების მახლობელ ადგილებში, ნაციონალისტების გავლენა ძალიან შესუსტდა. ბევრ სომხურ სოფლებში არიან სოფლის ახალგაზრდებისგან შემდგარი ორგანიზაციები, რომელთაც ჩვენ ორგანიზაციებთან კავშირი აქვთ, ჩვენს ლიტერატურას ავრცელებენ და გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს მუშათა გმირულ ბრძოლას. ამ ბრძოლამ არა ერთი სასიკეთულო გამარჯვება მოიპოვა და უეჭველია, დღევანდელი სომხების რეაქციაზედაც გაიმარჯვებს. სოციალდემოკრატია თავისი გაბედული პროპაგანდით, „ცხოველმყოფელი სხივით“ შეაშუქებს სომხების პროვინციების „ბნელ სამეფოში“, ასწავლის ხალხს პოლიტიკურ აზროვნებას და მოქმედებას, მოუყრის თავს წითელ დროშის ქვეშ პრო-

*) ამას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომელიც აღნიშნულია ჩვენი ფურცლის ამ ნომერში (იხ. წერილი ბათუმიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეტარებს და ნახევრათ პროლეტარებს და ამ ძალით საზიზღარი თვითმპყრობელობის ციხეზე ეერიშს მიიტანს და, თუ დღეს სომხები ხიზღით და მტერულათ უყურეინან რუსეთის ხალხს, სწორედ ამ ხალხთან ერთად სომხის პროლეტარიატიც შეებრძოლება საბოლოოთ დღევანდელ ბილწ წყობილებას!

—::—

ქუთაისი

15 აგვისტოს ქუთაისის საპყრობილეში გარდაიცვალა ავათმყოფობის დროს მოუვლელობისა და უპმელ-უსმელობის გამო სასიქადულო მებრძოლი ამხანაგი—ილიკო ლომთათიძე. ბოროტი და ულმობელი მთავრობა ყოველნაირათ ცდილობდა მისთვის სიცოცხლე მოესწრაფება. ექიმობას, მოვლას, საპმელს, სასმელს და სისუფთავეს მოკლებული ავათმყოფი მალე გამოესალმა წუთისოფელს. ამ შემაძრწუნებელმა ფაქტმა ძლიერ აღელვა აქაური მუშები, რისხვით და შეოით აავსო მათი გული. ამხანაგებმა გადასწყვიტეს უკანასკნელათ ენახათ და გამოსალმებოდენ, უკანასკნელი სიტყვა ეთქვათ უდროოდ დაღუპულ მოძმესთვის და მისი გვამი რევოლიუციონერის შესაფერი პატივისცემით გამოესვენებინათ. მართლაც 19 აგვისტოს, საღამოს, დიდ ციხესთან შეიკრიბა მეშვიდე და ამხანაგები (250), რომლებსაც გარდასცეს მიცვალებული და აქედან პროცესია დაიძრა სადგურისაკენ. ქუჩაში გაისმოდა მედგარი ხმები: „შეჩერდით... ქუდები მოიხადეთ, ჩვენ ვასვენებთ მებრძოლ ამხანაგს—სოციალისტს“... გზაში ჯგუფი თანდათან იზრდებოდა—და როცა სადგურს მიაღწია, გამყოლთა რიცხვი 400-მდე ავიდა. აქ ამხახაგის კუბოზე მუშამ წაიკითხა მგრძნობიარე ლექსი რის შემდეგაც კუბო—ორი გვირგვინით შემკული—ვაგონში შედგეს. ამ დროს მთელ აქ შეკრებილ ხალხს ერთხმად გულიდან ამოხდა: „ძირს თვითმპყრობელობა... ძირს მეფეო“... თითქმის ყველას გულში დაგროვებულმა გესლმა ეხლა იშოვა თავი და გადმოხეთქაო. ხმალ-ამოწვდილი ჟანდარმები შეიპრეს ხალხში. დააკავეს ერთი—ყოფილი მოწაფე—რომელიც მალე გაანთავისუფლეს. მთავრობის ერთგულმა ძაღლა ჟანდარმმა გამრეკლიძემ ყვირილის გაგონებაზე სახლიდან მოირბინა და, რა გაიგო დემონსტრაციის ამბავი, დაკავებულ ყმაწვილს შემდეგი სიტყვებით მიმართა: მეც ქართველის გული მიძგერს... მეც ძესმის თქვენი წადილი... მაგრამ ცოტა უნდა დავიცადოთო... მაგრამ მან აქ უცბათ შესწყვიტა და ასე განაგრძო: მე ესაა მოვედი... აქ არ ვყოფილვარ—როგორც ქართველს, მითხარით ვინ იყო, ვინ ყვიროდაო. დემონსტრაციის შემდეგ გაჩხრიკეს რამდენიმე ქალი და აქაური წიგნის გამომცემი ამხანაგობის კოოსკი, მაგრამ მთავრობის საწინააღმდეგო ვერაფერი ნახეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მ. ლაღიძის ხილეულ წყლების ზავოდში მომუშავეთა მდგომარეობა აუტანელზე აუტანელია. აქ სეზონის დროს მუშაობს 15—20 მუშა. ამათ რიცხვში არიან პატარა ბავშვებიც, მაგრამ ცხოვრების და მუშაობის პირობები ყველასათვის ერთია. მუშაობა იწყება დილის 5 საათიდან და გრძელდება ღამის 11-მდე,—ხანდახან შუალამემდინაც; ბუფეტში თითქმის ყოველთვის ასეა, ე. ი. სამუშაო დღე 17—18 საათ. განა ადამიანისთვის, რა რიგ ჯანმრთელიც უნდა იყოს ის, ასატანია 18 საათი მუშაობა, სიმწრის ოფლის ღვრა?.. მუშები ყველა ღონე-მიხდილი, ფიზიკურათ და გონებრივათ დასუსტებული (ზოგი უკვე დასნეულებულია), წელში მოხრილი და სისხლ-გამშრალი არიან. ამის მიზეზია მათი მუშაობის აუტანლობის გარდა: 1) სრული უ"ინაობა და დასაძინებელი ადგილების არა-ჰიგიენური პირობები. მუშები იძინებენ ზოგი თვითონ ზავოდში—ყველ სტოლებზე, ან ატალახებულ იატაკზე, სიშინელ მყრალ და ნესტიან ჰაერში, ზოგი ბალკონზე, ზოგი დელეენის თავზე, 2) უმეცლობა:—მათ არ ეძლევათ საყოფი და მარგებელი საჩო. თუმცა ლაღიძე ყველას არწმუნებს ჩემ მუშებისთვის საკუთარი მზარეული მყავს დაქირავებულიო, მაგრამ ალბად მის მომზადებულ საკმელს თვითონ შეექცევა და ამიტომ მუშების კუჭს არაფერი ეცხება. 3) განუზომელი შტრაფები (მაგ. 6 კაპ. ბოთლზე 20 კ.) რის გამო ხელფასი შეუმჩნეველად ეპარებათ მუშებს ხელიდან და ისევ ლაღიძის ჯიბეში მიდის. 4) უსუფთაობა: მუშებს იმდენი თავისუფალი დროც არ აქვთ, თუ 5 საათ. ძილს არ მოიკლებენ, რომ ხშირ-ხშირათ რეცხონ საცვლები. სისუფთავისთვის როგორ მოიცლიან, როცა ჭამისთვისაც არა აქვსთ თავისუფლება: საუზმის დროს ერთ ხელში პური უჭირავთ და მეორეთი-კი მუშაობას გაგაგრძობენ. მთელ ზავოდში მეფობს საზიზღარი პრიკაზჩიკი ისაკო, რომლის მხეცობას და მტვრვალობას საზღვარი არა აქვს. ის უშვერის ენით ლანძღავს და აგინებს, ხელითა და მათრახით (რომელიც ყოველთვის ზავოდში აქვს შენახული) სცემს მუშაობისაგან წელში გაწყვეტილ მუშებს, თუ მათ დაღალეა, ან უკმაყოფილება შეამჩნია. ამას წინეთ ხელით სცემა 19—20 წლის მუშას სიტყვის შებრუნებისათვის და მათრახით 10—11 წლის ბავშვს, რომელიც ტრილით ამბობდა: „წუხელი არ დამიძინია და ამაღამ ვერ ვიმუშავებო"... მაგრამ ისაკოს მათრახმა გვერდები აუწვა და საცოდავი იძულებული იყო მეორე ღამეც მოუსვენებლად ემუშავა... კვირა-უქმე დღეებში, როცა ბუფეტში მოცლილი ხალხი წყალს შეექცევა, როცა მას დიდძალი მუშტარი ჰყავს, რასაკვირველია, ლაღიძეს უფრო არ გაახსენდება მუშებისათვის შეღავათის მიცემა—და მართლაც მუშები აქამდი კვირა-უქმე დღეებშიაც მოკლებული იყვნენ თავისუფლებას. მაგრამ ეხლა (ენკენისთვის შუა-რიცხვებში) მათ ვეღარ გაუძლეს ამდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანჯვა-წვალებას, გაიფიცენ და შემდეგი მოთხოვნილებები წარუდგინეს ხაზეინს: 1) 11 საათ. სამუშაო დღე. 2) ღამის მუშაობისათვის „სმენის“ დაწესება. 3) კვირა-უქმე ღღეებში თავისუფლება. 4) ჰიგიენური ბინები. 5) საყოფი და მარგებელი საქმელ-სასმელი. 6) შტრაფების მოსპობა. 7) კრიკაშჩიკის დათხოვა და ცემა-ლანძღვა-გინების მოსპობა და სხ ლაღიძემ დაჰპირდა ამ მოთხოვნილებების შესრულება, მუშები ზავოდში შეიტყუა, რამოდენიმე დღე ვითომ მოლაპარაკებას მოანდომა, ნამდვილათ-კი „ზაკაზის“ დამზადება უნდოდა და შემდეგ 7 მუშა გარეთ გამოავდო, რადგან სეზონი თავდებოდა, სამუშაო იკლებდა, მათთვის-კი საკმარისად გამოეწოვა სისხლი და გული გაეძღო. მუშებმა მხოლოთ მე-3 მოთხოვნილება მოიგეს.

— ენკენისთვის პირველ რიცხვებში ვაწაძის საზეინკლო სახელოსნოში გაიფიცენ ყველა შეგირდები (10) ამხანაგის გალახვის გამო და ხაზეინს შემდეგი მოსთხოვეს: 1) ადამიანური მოპყრობა ე. ი. ცემა-ტყეპის და ლანძღვა-გინების მოსპობა. 2) 10 საათის სამუშაო დღე (6-ან 6-ამდე ნახევარი საათ. საუზმისათვის და საათნახევ. სადილისთვის). 3) პურის, ტანისამოსის, წუღების და საპნის საყოფათ მოცემა. ერთი კვირის შემდეგ მუშებმა გაფიცვა მოიგეს. ამ გაფიცვას მოჰყვა ახალი გაფიცვები შანიძის და ინჯიას საზეინკლო სახელოსნოებში. პირველში მუშებმა მოიგეს 10 საათის სამუშაო დღე. ინჯიასთან-კი გაფიცვა წაგებით გათავდა. ამის მიზეზი იყო 3 მუშის ღალატი, ამხანაგებისაგან გადადგომა.

—::—

წერილი ბათუმიდან.

3 ენკენისთვეს ბათუმში „ხნჩაკიანცებმა“ საზიზღარი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს: 12 ადგილს სასიკვდილოთ დასჭრეს ჩვენი ამხანაგი ავეტიკ ტამამიანცი. მიზეზი ამ ბოროტ-მოქმედებისა შემდეგია: ავეტიკი რამდენიმე წლის განმავლობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა „ხნჩაკიანების“ პარტიაში. ის, როდესაც სამხედრო სამსახურში იყო, სახელმწიფო იარაღებს აწვდიდა ამხანაგებს. გაათავა თუ არა თავისი სამსახური, ავეტიკა დაბრუნდა თავის სამშობლოში—შულავერში და გლეხი-კაცის მძიმე შრომას მიჰყო ხელი. ქალაქის ცხოვრებასთან გაცნობილს სოფლის ცხოვრება აღარ მოეწონა, დატოვა სოფელი და წავიდა ქალაქში ამ იმედით, რომ ის ქალაქში ადამიანურათ იცხოვრებდა. მაგრამ იმედი გაუცრუვდა: შეეიდა მანთაშვილის ქარხანაში, მაშინ, როცა ბათუმში მუშაობის პირობები კატორგაში მუშაობის დაგვარი იყო. ის ორი წლის განმავლობაში დიდის ენერგიით მუშაობდა „ხნჩაკიანცის“ დროშის ქვეშ და თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრებს ბევრს თავის ამხანაგებს შეულავრელებს უნერგავდა. მაგრამ როგორც-კი ბათუმში ჩამოვიდენ რ. ს. დ. მ. პ. წარმომადგენელნი და სომხებში პროპაგანდა და აგიტაცია დაიწყეს, ავეტიკმა პირველმა შეითვისა ეს აზრი და მიემხრო ამ ორგანიზაციას და თან მრავალი სოფლელი ამხანაგებიც მიიმხრო; ძალიან მალე გაეცნო და შეითვისა ის, და თვითონაც შეუდგა პროპაგანდა-აგიტაციას თავის ამხანაგებ შუშებში.

აი მისი მხეცური მკვლელობის მიზეზი. ამ ინკვიზიტორებმა იგრძნეს რომ ნიადაგი უსხლტებათ, ცხოვრება მათდა დაუკითხავად მიმდინარეობს, რომ ახლო მომავალში მათი ოდესღაც „ჩინებულათ“ აღიარებული ორგანიზაცია სრულიად უნდა დაინგრეს და გადასწყვიტეს ყველაფრისათვის შური სოციალდემოკრატებზე ეძიათ. ავეტიკი „ხნჩაკისტებმა“ მოკლეს. დიახ, მოკლეს ადამიანი, რომელიც კლასთა ბრძოლას და სოციალდემოკრატთა საერთაშორისო სოლიდარობას ქადაგებდა; მოკლეს ის, ვინც სულით და გულით გაეტაცებია რევოლიუციის საქმეს, რომელსაც ეს არანორმალური ცხოვრება სწადდა გადაექმნა, გაენადგურებინა. არც თვითმპყრობელი მეფე დასჯის ასე მკაცრად ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღებისათვის რევოლიუციონერს, როგორც ავეტიკი რევოლიუციონერ „ხნჩაკისტებმა“, და საჯეს. ეხლა თვალსაჩინოა თუ როგორი დამცველები ყოფილან ხალხის ინტერესების ეს ბურჟუა-ნაციონალისტები!..

მუშა-სომეხი.

შემოვიდა საკავშირო კომიტ. კასსაში: კ—იდან გ—საგან 69 მ 25 კ. კ—იდან ვ—დან 10 მ. 75 კ. სულ 80 მ.

კავშირის კომიტეტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემონსტრაცია. *)

დღეს აფრიალდა წითელი დროშა.
ძმებო, ასწიეთ ალამი მაღლა.
ხმა მოწოდების მედგრად გაისმის.
მაგრად შეჰკარით, ძმებო რაზმები.

და ადიდებულ ფართე ქუჩებში,
ისე ვით ტალღა ძლიერ მდინარის,
გავექანებით. ნიაღვარივით.
წინ, გაბედულად, შეუდრეკელად!

გამოვუცხადებთ ხალხს მრავალტანჯულს
ჩვენი სიმღერით, მაღალ სიმღერით,
მომავალ დღეთა თავისუფლებას,
მომავალ დღეთა ნათელ განთიადს!

უარი ცრემლებს, მრავალ წამებას!
ძირს ბატონები: კმარა მონობა.
ძირს ტირანები და ჯალათები.
სალამი ძმობას და სიყვარულსა!

ამა, დასძახეთ ძმებო სიმღერა,
უფრო ხმამაღლა და მხიარულად,
რომ მან რუსეთი, წმიდა რუსეთი,
შეაზარხოშოს მეტი სიჩქარით!..

რომ დაჩაგრულმა, ტანჯულმა ხალხმა
თავის ხუნდები მთლად გადალახოს,
რომ გაიმართოს გაღვიძებული,
პასუხი გასცეს ძმურ მოწოდებას.

და ისევ სავსე მხურვალე ნებით,
როგორც ზღაპრული, დიდი დევ-გმირი,
შეტორტმანდება თავის სხეულით
თითქოს რაინდი და გოლიათი.

შეტორტმანდება და დაეცემა
ტახტი თვითმპყრობელ, სასტიკ მეფისა
და განთიადი თავისუფლების
ამობრწყინდება ტანჯულ რუსეთზედ.

რიადავი. (ა. ბოგდანოვი).

---

*) ეს ლექსი ეკუთვნის ა. ბოგდანოვს. მოთავსებულია 1902 წლის სექტემბრის 20-ის „Листки Жизни"-ს მე-9 ნომერში. გადათარგმნილია ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება

= VI =

რუსეთის პარტიის ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის პარტისის ცხოვრება

პარტისის „უახლოესი ამოცანები“.

ამა წლის აპრილის 22—24-ს მოსკოვში შესდგა პარტისის მუშაკთა სრულიად რუსეთის თათბირი, რომელსაც დაესწრო პარტისის ადგილობრივ ბიუროთა 27 წარმომადგენელი.

თათბირმა მოისმინა ცენტრალური პარტისის მოღვაწეობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მოხსენება, მოხსენებანი ადგილებიდან, მოხსენება ამბ. ნევსკისა „უახლოესი ამოცანების“ შესახებ და სხ.

პარტისის „უახლოესი ამოცანების“ შესახებ თათბირმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ვ. ი. ნევსკისა პარტისის ამოცანების შესახებ და აგრეთვე, მივიღეთ მხედველობაში ამ მოხსენ; ბის გამო გამართულ კამათში გამოთ,ქმული მოსაზრებანი, თათბირი ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას:

თათბირი, თანახმად მომხსენებელის მიერ გამოთქმული აზრისა, აღიარებს, რომ პარტისის ძირითადი ამოცანები, მისი პირველი მომენტის არსებობიდანვე დასახულნი, დღემდე ძალაში რჩებიან და შეიცავენ შემდეგ დებულებებს:

ა) პარტისის მოღვაწეობა უპირველესად ყოვლისა უნდა მიმართული იყოს პარტიის ისტორიის წყაროების შეკრების, სისტემაში მოყვანის და გამოცემისაკენ როგორც ცალკე მონოგრაფიების მეცნიერულის კომენტარიებით, აგრეთვე, საკურნალო სტატიების სახით.

ბ) ამგვარივე მუშაობა უნდა იქნას შესრულებული იმ ისტორიული მასალების შეკრების, შესწავლისა და გამოქვეყნების შესახებ, რომლებიც ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიას შეეხებიან.

ამ უდიდესი სამუშაოს საწარმოებლად ძირითადი მეთოდია უპირველესად—ცოცხალ მომსწრე პირთაგან ჩვენების ჩამორთმევა, შეძლებისდაგვარად მასსიური ხასიათისა, ჩვენი რევოლიუციონური წარსულის ახლო ხანის ან შორეულის შესახებ (მემუარის ხასიათის ყოველგვარი ჩანაწერი), მეორედ—ისტორიულ-რევოლიუციონური არქივებიდან ძვირფასი დოკუმენტალური მასალების ამოკრება, რომლებიც საერთოდ ჩვენი რევოლიუციის ისტორიას ეხებიან და კერძოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი—რ. კ. პ. ისტორიას, და მესამედ,—ყოველნაირი პარტიული ლიტერატურით ფართოდ სარგებლობა.

ამასთან ერთად პარტიისის ერთი უახლოესი ამოცანაა რ. კ. პ. ისტორიის შესასწავლად სხვა და სხვა ტიპის სახელმძღვანელოების შედგენა.

მაგრამ ამ საერთო დებულებათა გარდა, რომლებიც პარტისის მოღვაწეობის ბუნებას განსაზღვრავენ, თვითბრის შესაძლოდ მიაჩნია მიუთითოს მომწიფებულ მორიგ ამოცანაზე, რაც პარტიისის და მისი ადგილობრივი ბიუროების მოღვაწეობის პროცესში უფრო და უფრო ფართოვდება,—გაღრმავებულ იქნას რევოლიუციისა და პარტიის ისტორიის შესახები წყაროების მეცნიერულად დამუშავება, ამაღლებულ იქნა პარტისის ორგანოთა სამეცნიერო დონე. ამ მიზნით სასარგებლო იქნებოდა პარტისის მიერ სათანადო სახელმძღვანელოთა გამოცემა, რომლებიც ასწავლიდნენ სამეცნიერო თანამშრომლებს არა მარტო ცენტრში, არამედ —ადგილებზედაც, თუ როგორ მოპყრობოდნენ არქივის მასალას, როგორ უნდა შეესწავლათ და გადაემუშავებიათ ის, როგორ უნდა და შეიძლება ისტორიული კრიტიკის მეთოდებით სარგებლობა და სხ. სასურველი იყო ავრეთვე პარტიისის მიერ მოკლევადიანი კურსების მოწყობა საარქივო ანუ ისტორიოგრაფიულ საქმის შესასწავლად და საერთოდ ზომების მიღება პარტიისათვის კვალიფიციური მუშაკების მოსამზადებლად. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული ამოცანის ინტერესისთვის პარტისის კავშირი ადგილობრივ მუშაკებთან უნდა იყოს უფრო ცოცხალი, განუწყვეტელი და აქტუალური, ვიდრე ეს დღემდე იყო. აუცილებლათ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პარტისის ყველა პროვინციალური ბიუროები მუშაობდნენ განსაზღვრული გეგმით, რომლებიც უნდა გამომუშავებული იქნას პარტისის მიერ ოქტომბრის რევოლიუციის და რ. კ. პ. შესწავლის ინტერესის მიხედვით, სტიქიურობისა, შემთხვევით მუშაობისა, სრულიად რუსეთის პარტისი მთლიანი აპარატის ცალკე ნაწილების ერთმანეთისაგან დაშორებისა და დამოუკიდებლად მუშაობის თავიდან აშორებას, რადაც აო უნდა დაავიჯდეს, უნდა მივაღწიოთ.

ცნობილი გეგმის მიხედვით მეცნიერულ-ისტორიული მუშაობის საწარმოებლათ ჩვენი პარტიული წარსულის და ავრეთვე ახლო რევოლიუციონური აწმყოს შესასწავლად სასარგებლო იქნებოდა რუსეთის რაიონებათ დაყოფა და ამ სამუშაოს თავის მოყრა შემდეგ პუნქტებში:

1) პეტერბურგი და მისი რაიონი, 2) მოსკოვი და ცენტ. სამრეწველო რაიონი (ივ. ვოზნესენსკი, კოსტრომა, ნიჟნი, ტვერი, იაროსლავი და სხ. 3) უკრაინა (ხარკოვი, ეკატერინოსლავი, ოდესა, კიევი) 4) დონის როსტოვი, 5) ურალი, 6) კავკასია, 7) ციმბირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(პოლიტიკური გადასახლება და კატორღა; რევოლიუციის ბრძოლა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ) *).

მომხსენებლის მიერ გამოთქმული მთელი რიგი კონკრეტიული სურვილები პარტიის მიერ გზადაგზა იმ მასალებისა და დოკუმენტების შესწავლისა და გამოკვლის შესახებ, რომლებიც შეიცავენ მოცემული ეპოქის კლასიურ და საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა ფართო წრეებს (გლეხობა, წვრილი ბურჟუაზია და სხ.), პარტიისის მიერ რეგულიარული კომისიის მოწყობის გარდა საჯარო სხდომების გამართვა მეცნიერულ-ისტორიულ მოხსენებებით და სხ., თათბირს მიაჩნია სავსებით მისაღებათ.

ამას გარდა, თათბირს სასურველად მიაჩნია პარტიისის ისტორიის შესწავლის საქმეში მუშათა ფართო წრეების მიერ მონაწილეობა, თუ გინდ ისინი ჩვენს პარტიაში არ იმყოფებოდნენ.

დაბოლოს, თათბირი პარტიისის სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს პარტიისის და მისი ადგილობრივი ბიუროს შრომებში ბიბლიოგრაფიული განყოფილების ფართოდ დაყენების აუცილებლობაზე.

დებულება რ. კ. პ. (ბოლ.) ცენტრ. კომ. პარტიისის განყოფილების შესახებ.

1. რ. კ. პ. ცენ. კომ. პარტიისის განყოფილების ამოცანას შეადგენს ოქტომბრის რევოლიუციის და რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის შესახები მასალების შეკრება-შესწავლა და აგრეთვე, პარტიისის განყოფილებათა ყველა ადგილობრივ პარტორგანოების მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა.

2. ამ მიზნის მისაღწევად ც. კ. პარტიისის განყოფილება:

ა) იმუშავებს საერთო გეგმას ოქტომბრის რევოლიუციისა და რ. კ. პ. ისტორიის შესასწავლად.

ბ) ხელმძღვანელობს რ. კ. პ. საოლქო და საგუბერნიო პარტიისის განყოფილებათა მოღვაწეობას, იმუშავებს რა ამ უკანასკნელთათვის პარტიის, ოქტომბრის რევოლიუციის და რ. კ. პ. შესასწავლად პროგრამებს და შეაქვს მათი მუშაობის ხასიათსა და გეგმაში ცვლილებანი.

გ) ჰკრებს, ამუშავებს და გამოსცემს ბეჭდვითი და ხელნაწერ მასალებს, დოკუმენტებს, მემუარებს და სამეცნიერო შრომათ, რომლებიც ეხებიან ოქტომბრის რევოლიუციისა და რ. კ. პ. ისტორიას.

დ) ჩამოთვლილი მასალების შესანახად და მათი სარგებლობისთვის აარსებს ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს და გამოფენებს როგორც

*) რ. კ. პ. შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოლონეთ—ლიტვის მუშათა მოძრაობას, ებრაელ მუშათა მოძრაობას და ლატვისა და ესტონეთის მუშათა მოძრაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვში, ისე პროვინციებში, აგრეთვე მონაწილეობას ღებულობს ცენტრარქივის მიერ ისტორიულ-რევოლიუციონურ არქივების ორგანიზაციის საქმეში, უკანასკნელით სარგებლობის უპირატესობის უფლებით.

ე) აქვეყნებს თავის შრომებს როგორც მასალების, დოკუმენტების, ცალკე მონოგრაფიების, გამოკვლევათა ფორმით, ისე სხვა ყოველგვარი ბეჭდვითი გამოცემის სახით.

3) იწვევს ოქტომბრის რევოლიუციისა და რ. კ. პ. ისტორიის სწავლულ მუშაკთა ყრილობებს; მართავს საჯარო ლექციებს, სხდომებსა და მოგონებათა საღამოებს, აარსებს საზოგადოებათ და კლუბებს, რომელთა მიზანი იქნება როგორც ისტორიის თეორეტიულად შესწავლა, ისე მუშათა მოძრაობის ვეტერანების გაერთიანება იმ მიზნით, რათა ისინი გამოყენებულ იქნენ ოქტომბრის რევოლიუციის და რ. კ. პ. ისტორიის შესასწავლად.

ზ) ს. ს. რ. კ. სხვა და სხვა ადგილებში მართავს ისტორიულ ექსკურსიებს პირველი წყაროების თანახმად ისტორიული მასალების და ადგილების ადგილობრივად შესასწავლად

3. დასახული ამოცანების მიხედვით რ. კ. პ. ცენ. კომ. პარტისის განყოფილება იყოფა შემდეგ ქვე-განყოფილებათ: 1) მასალათა შეკრება, 2) პროვინციასთან დამოკიდებულება, 3) გამოფენები, 4) რედაქცია და 5) კანცელიარია.

ამას გარდა, თუ საჭიროება მოითხოვს, პარტისის განყოფილებას შეუძლია შეჰქმნას თავისი შემადგენლობიდან ცალკე სექციები, კომისიები და ქვეკომისიები, გამოჰყოს რედაქცია და დანიშნოს თავის სამეცნიერო გამოცემათა, შრომათა, ჟურნალთა და სხ. რედაქტორები.

4. პარტისის მიძართვის წესი ქვემდებარე ცკ. კ. პარტისის განყოფილებათადმი განისაზღვრება ცკ. კ. განყოფილებათა მიმართვის არსებული ინსტრუქციის წესით.

5. პარტისის განყოფილებასთან მუშაობის სახელმძღვანელოდ არსდება ცკ. კ. მიერ დანიშნული ხელმძღვანელი კოლეგია.

6. ცკ. კ. პარტისის განყოფილება ანგარიშს აძლევს რ. კ. პ. ცკ. იმავე საფუძველზე, როგორც მისი დანარჩენი განყოფილებანი— უდგენს თავისი მუშაობის მსვლელობის შესახებ ორ თვიურ წერილობით ანგარიშს და წლიურ ანგარიშს თავისი მოღვაწეობისას.

1905 წლის რევოლიუციის ოცი წლისათვის.

კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის (პარტისი) კომისიამ დაადგინა 1905 წლის რევოლიუციის ოცი წლისთავისთვის დაუყოვნებლივ შეუდგეს 1905 წლის გაზეთების „ვპერიოდი“-ს და „პროლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარი"-ს სრულ გამოცემას. ამ გაზეთებში ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ამხ. ლენინი. კომისიამ დაადგინა აგრეთვე გამოსცეს დამატებით მე-3 პარტიული ყრილობის ოქმის სრული ორიგინალი და ეთხოვოს ლენინის სახელობის ინსტიტუტს მეორედ გამოსცეს მრავალი აღმოჩენილი დამატებით ამხ. ლენინის ნაწერები, რომელნიც 1903 წელს შეეხებიან. დაევალოს ამხ. ნევსკის დაამზადოს 1905 წლის ისტორია. გამოსცეს წიგნად „1905 წელი პოეზიაში და ბელეტრისტიკაში" და აგრეთვე—პარტიულ-რევოლიუციონურ მოღვაწეთა ალბომი.

რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტისმა შემდეგი წერილი დაუგზავნა ყველა თავის განყოფილებებს:

1) არქივების გადათვალიერება.

„პარტისი ერთხელ კიდევ მოგაგონებთ, რომ საჭიროა შეუდგეთ პირველი, 1905 წლის რუსეთის რევოლიუციის შესახებ მასალების შეგროვება—გადამუშავებას.

პარტისი პირველ რიგში გთხოვთ გადაათვალიეროთ გუბერნატორთა კანცელიარიების, ჟანდარმთა, პოლიციისა და სასამართლოს არქივები, ძველი საჯარო ბიბლიოთეკები, და გამოარკვიოთ რა და რა გაზეთები, ჟურნალები და ბროშიურები დარჩენილა როგორც ბალშევიკური, ისე მენშევიკური, როგორც ლეგალური, ისე არალეგალური 1905—1906 წლებისა. ყველა ხსენებულ ბეჭდვითი მასალების შესახებ საჭაროდ შეადგინეთ სია სახელწოდების და იმ დროს აღნიშვნით, როცა პირველად გამოვიდა ბეჭდვითი ნაწარმოები, როდის შესწყდა მისი გამოცემა, როგორ გამოდიოდა: ყოველდღიურათ, 2—3 ჯერ კვირაში და სხ. სად ინახება გამოცემა ან მოიპოვება მისი დუბლიკატი თუ არა. ასეთი სია, როგორც მასალა, გამოგზავნეთ პარტისში 1905—1906 წ. წ. გამოცემათა ბიბლიოგრაფიის შესადგენათ. ამასთან საჭიროა ახლავე შეუდგეთ მზადებას გამოფენის მოსაწყობათ, რომელიც უნდა გამოხატავდეს 1905 წლის 9 იანვრიდან დაწყებულ პერიოდს (როგორი გამომპახილი ჰპოვა 9 იანვარმა ადგილობრივად, პეტროგრადის გამოკლებით, სადაც 9 იანვარის მთლიანი სურათი უნდა იქნას წარმოდგენილი) და დამთავრებულს შეიარაღებული აჯანყებებით მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთ ადგილებში ამ აჯანყებებმა დაიგვიანეს და 1906 წლის იანვრის შემდეგ მოხდა.

გვაცნობეთ რა მასალების მოგროვებას შესძლებთ ადგილობრივათ და რა მასალები არ მოგეპოვებათ. პარტისი ყოველგვარ ღონეს იხმარს, რომ ხელი შეუწყოს, დახმარება აღმოუჩინოს ადგილობრივ განყოფილებებს 1905 წლის გამოფენის მოწყობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინაიდან ყველა ამ სამუშაოსთვის საჭიროა საღსარი, პარტიის გირჩევთ ახლავე აღძრათ შუამდგომლობა აღმასკომების წინაშე ამის შესახებ და ეცადოთ მიიღოთ კრედიტის სახით იმ თანხის ანგარიშში, რომელიც გადადებული იქნება 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის სადღესასწაულო ხარჯების დასაჯარავად.

2) დღესასწაულის გეგმა.

პარტისის კოლეგიის 3 დეკემბრის სხდომაზე 1905 წლის რევოლიუციის 20 წლისთვის დღესასწაულისთვის მიღებულ იქნა შემდეგი გეგმა:

1. გამოცემულ იქნას ამხ. ლიადოვის რედაქციით მე-III პარტიული ყრილობის ოქმები შენიშვნებითა და დამატებებით,

2. გამოიცეს ამხ. მ. ს. ოლმინსკის რედაქციით „ვპერიოდისა“ და „პროლეტარის“ სრული კომპლექტები დამატებებითა და შენიშვნებით,

3. გამოიცეს ლენინის თხზულებანი 1905 წლისა მეორედ რიგ გარეშე,

4. გამოიცეს ამხ. ვ. ი. ნევსკის ორი წიგნი „1905 წლის ისტორია“ და მასალებისა და დოკუმენტების წიგნი, სადაც მოთავსებული იქნება 1905 წლის ყველა გაზეთები. I ნაწილი გამოვა 1924 წლის აპრილის 15, მეორე ნაწილი—სექტემბერში.

5. გამოიცეს 1905 წლის ბიბლიოგრაფია განსაკუთრებით პარტიული („რა წავიკითხოთ“).

6. გამოიცეს პროლეტარული მუშათა პოეზიის კრებული 1905 წლისა და კრებული რევოლიუციონური ბელეტრისტიკისა 1905 წლის შესახებ.

7. 1924 წლის ნოემბრიდან ყოველ ნომერში სისტემატიურად დიიბეჭდოს ყოველთვიური მასალა 1905 წლის შესახებ,

8. გამოიცეს 1905 წლის პარტიული და გამოჩენილ რევოლიუციონერ მოღვაწეთა სურათების ალბომი.

9. 1905 წელი იმ დროინდელ ნახატებიან და სატირიულ ჟურნალებში,

10. როგორ გამოისახა იმ დროს 1905 წელი კინოში და მხატვრობაში.

გაცნობთ რა ჩვენს გეგმას, გთხოვთ დააყენოთ საკითხი 1905 წლის 20 წლისთვის დღესასწაულის შესახებ და დაუყოვნებლივ გვაცნობოთ რის გაკეთება გაქვთ განზრახული ამ საკითხის თაობაზე.

ცენტრალური პარტიის წერილები.

რ. კ. პ. ცენტრ. კომ. პარტისმა შემდეგი შინაარსის წერილები დიუგზავნა პარტისის განყოფილებათა გამგეებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) არქივების შესყიდვის შესახებ.

„ზოგჯერ პარტისს და ადგილობრივად მის განყოფილებებს სხვა და სხვა პირნი წინადადებას აძლევენ შეისყიდონ მათგან ჟანდარმთა, პოლიციისა და სხვა ამგვარი არქივები. მაგალითად, დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ტამბოვის გუბკომმა კერძო პირისაგან შეისყიდა სტავროპოლის ჟანდარმთა სამმართველოს არქივის ერთი ნაწილი, რაც ამას წინად სტავროპოლის გუბკომის არქივიდან დაიკარგა. პარტისი ჰფიქრობს, რომ ასეთი არქივების შესყიდვა გამოიწვევს არქივის დოკუმენტების გასასყიდათ სისტემატიური ქურდობას.

სახკომისართა საბჭოს დადგენილებაში კი, რომელიც შეეხება ოქტომბრის რევოლიუციისა და რ. კ. პ. ისტორიის მასალების შემკრებ-შემსწავლელი კომისიის დაარსებას, („Изв. ВЦИК 25/IX 1920 г. № 213|1060) მეოთხე პუნქტში ნათქვამია: „ყველა საბჭოთა და საზოგადო დაწესებულებანი, აგრეთვე კერძო პირნი, რომელთაც მოეპოვებათ ასეთი მასალები, ვალდებულნი არიან, გადასცენ აღნიშნულ კომისიას, რომელსაც საჭიროების მიხედვით შეუძლია მოსთხოვოს ასეთები დაწესებულებებს და კერძო პირთ; დახმარებისათვის კომისიას შეუძლია მიმართოს სათანადო ხელისუფლებას. ამიტომ პარტისი წინადადებას გაძლევთ ზემომოყვანილ მაგალითის მსგავს შემთხვევაში საკუთრივ ისარგებლოთ სახკომისართა საბჭოს დადგენილებით და ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს წესით საჩივარიც აღძრათ იმ კერძო პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ჰყიდიან და არ იძლევიან ასეთ არქივებს“.

2) არქივებიდან მიღებული მასალების შესწორება-შევსების შესახებ.

„ვინაიდან ძველ პარტიულ ამხანაგთა უმრავლესობა, რომლებიც არალეგალურ მუშაობაში ღებულობდენ მონაწილეობას ცენტრში ცხოვრობენ, პარტია წინადადებას გაძლევთ გამოგზავნოთ მოსკოვში ის მასალები, რომელთა მიხედვით შედგენილ უნდა იქნას ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ისტორია. მასალასთან ერთად უნდა დასახელებულ იქნას ის ამხანაგი, რომლის ჩვენების თანახმად შეივსება ან ზოგჯერ შესწორდება არქივებიდან მიღებული მასალები. პარტისი ყოველგვარ ზომებს მიიღებს, რომ თქვენ მიერ დასახელებულ ამხანაგს მუშაობაში მონაწილეობა მიაღებინოს. თუ თქვენ მოგეპოვებათ არალეგალური მუშაობის მონაწილეთა მოგონებანი, მაგრამ არა გაქვთ არქივის მასალები და დოკუმენტები, არა გაქვთ ჩვენი ლეგალური და არალეგალური პრესა იმ პერიოდისა, რომელიც მოგონებას შეეხება, ასეთებიც გადმოგზავნეთ პარტისში. ასეთი მოგონებების შედაოება და შევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სება შეიძლება მოსკოვისა და პეტერბურგის არქივების მასალათა და აგრეთვე ბეჭდვითი მასალების მიხედვით.

პარტისი გირჩევთ გაეცნოთ შემდეგ შრომებს: 1) **ს. ლივშიცი**— „ეაზანის ს. დ. ორგანიზაცია 1895 წ. (დაიბეჭდა „პროლ. რევ.“ მე-14 და მე 15 ნომერში) 2) მასალები რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიისა ნიჟეგოროდის გუბერნიაში ილარიონოვის რედაქციით 4 გამოცემად (ამხ. ილარიონოვის ნაშრომში ძვირფასი მასალებია მოგროვილი, რომლითაც უკვე შესაძლებელია ნიჟეგოროდის პარტიული ორგანიზაციის ისტორიის შედგენა, 3) ისტორია ეკატერინოსლავის სოც. დემ. ორგანიზაციისა 1889—1903 წ. რუბაჩის რედაქციით. ამხ. რუბაჩის კრებული მეტად მოხდენილია როგორც შინაარსით, ისე გარეგნულადაც.

ყველა აღნიშნული შრომები მეთოდიურ სახელმძღვანელობათ გამოდგებიან იმისათვის, თუ როგორ უნდა იქნას შეგენილი რევოლიუციონური მოძრაობისა და პარტიული თრგანიზაციების ისტორიათა კრებულები.

პარტისი აგრეთვე თქვენს ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ დადგა დრო სისტემატიურად შეეუდგეთ მასალათა დამუშავებას და ნარკვევის შედგენას რუსეთის 1905 წლის რევოლიუციის ისტორიის შესახებ. 1925 წელს 20 წელი სრულდება. მასალების გამოქვეყნებას კი უნდა შეუდგეთ 1924 წელს, რათა 20 წლისთავზე ფართოდ იქნას გავრცელებული. ამას გარდა, უნდა ვისარგებლოთ ახალი მოგონებებით და დაცული დოკუმენტალური თუ სხვა მასალებით და აუცილებლათ უნდა შეეუდგეთ 1917 წლის შემდეგ პარტიული ორგანიზაციების ისტორიის შედგენას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება

= VII =

სხვა და სხვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართ. „რევოლიუც.“ის მუზეუმი“ ამ. ~ ~ ავკ. გეჯდვითი ს/ტყვის გამოფენაზე *)

მთელი გამოფენის „ტერიტორია“—კომუნისტური აღზრდის ცენტრალური სახლი (ყოფილ სამხედრო) სობოროში ოთხ მთავარ „პავილიონად“ არის დააყოფილი.

დარბაზის შესავალიდან იწყება საქართველო. მარჯვენით აზერბაიჯანია, მარცხნით სომხეთი, საიდანაც შეიძახართ „საქართველოს რევოლიუციის მუზეუმის“ „პავილიონ“—ოთახში.

თითოეული განყოფილება დაყოფილია კუთხეებად, მაგიდებად, კოლონებად და სხვ. წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, სურათები, კარიკატურები, დიაგრამები—ნაბეჭდი, ხელთნაწერი,—ყველაფერი რიგზეა დალაგებული.

დიდ-ძალი მასალაა ზოგროვილი.

„რევოლიუციის მუზეუმის“ პავილიონი—ოთახი ყველაზე მდიდარია თავისი ძვირფასი ექსპონატებით.

საკმაოდ არის გამოფენილი როგორც ახალი (საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან) ისე ძველი ბეჭდვითი ნაწარმოები, სურათები და სხ.

უნდა შევნიშნოთ, რომ „რევოლიუციის მუზეუმში“ დიდძალი მასალაა დაგროვილი. მუზეუმს უნდა მიეცეს ყოველგვარი საშუალება, როგორც დაგროვილი მასალის გამოყენებისა, ისე, საქართველოს ფარგლებში მაინც, მასალების შეგროვებისა ჩვენი რევოლიუციონერი წარსულიდან, თორემ ჩვენი რევოლიუციონური წარსულის შესახებ მასალების ძებნა მოგვიხდება უცხოეთის მუზეუმებში, რის გამო მომავალი თაობა კარგი სიტყვებით არ მოიგონებს თავის წინაპართ...

უპირველესად ყოვლისა კი, შესაფერი შენობა რევოლიუციის მუზეუმს და შემდეგ, თანდათანობით, სხვავგვარი დახმარებაც...

ის ადგილი, საიდანაც შეუდექი დათვალიერებას, ლამაზად არის

*) სტამბის მიზეზით „რევოლიუციის მატიანეს“ გამოცემა დაგვიანდა. და რადგანაც 1923 წლის დეკემბრის გასულის ნაცვლად ის გამოდ. ს 1924 წლის იანვრის შუა რიცხვებში, შესაძლოება მოგვეცა მოგვეთ-ესებია ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის გამოფენის ეს მოკლე ანგარიში. გამოფენა გაიხსნა იანვრის პირველ რიცხვებში.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორთული კომუნისტური მოძრაობის ბელადთა და ს. ს. ს. რ. მთავ-
რობის წევრთა სურათებით.

აქ არის საქართველოს რევკომების თავმჯდომარეთა პირველი
ყრილობის ფოტოგრაფიული სურათი (ჯგუფი).

სურათი უპარტიო ქალთა ყრილობისა 1921 წელს.

ბ ა ქ ო 1 9 0 5 წელს,—სურათების კოლექცია. რამდენიმე სუ-
რათი გიხატავთ 1905 წლის ბაქოს ქუჩებს. ჭყრიან დახოცილები
უწესრიგოთ. ზოგიერთი ალაგას გოროდოვოი „აწესრიგებს“ მათ...

მეორე კოლექცია,—მ ო ს კ ო ვ ი 1 9 0 5 წელს,—ბრძოლის ის-
ტორიას მოგვითხრობს. ბარიკადები: ბევრ ალაგას აგებულია, ბევრ
ალაგას აგებენ...

1905-06 წლის სატირიული ჟურნალები: „Овод“, „Пулемет“,
„Коса“, და სხვა.

პროკლამაციები, ქართული, რუსული: არკვევენ რევოლიუციის
მიერ წამოყენებულ საკითხებს. მოწოდებები მუშებისადმი, გლეხები-
სადმი, ჯარისადმი მიმართული...

6. კალანდარაშვილი (კომუნისტი) სურათი შთაბეჭდილებას ად-
ენს. წარმოსადეგი კაცი. სხვადასხვა პოზაში—ამხანაგებთან საქმი-
ან სხდომაზე. საბჭოთა ჯარების უფროსი (კომანდირი) ციმბირში;
მოუკლავთ თეთრ-გვარდიელებს.

კამოს დიდი სურათი ლამაზ ჩარჩოში. მასთან ერთად შაუმია-
ნი, წულუკიძე. ბაქოს დახვრეტილ კომისართა ჯგუფი...

აგერ რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი მეტეხისა და სა-
გუბერნიო ციხის პოლიტიკური ტუსაღებისა 1907 წელს გადა-
ღებული.

სურათები ანდარამერიის არქივიდან: დამჯდარი, დამდგარი,
პირდაპირ, განზე გადაღებული. ბევრია ამათში ნაცნობი, ბევრი ეხ-
�eva ამ სურათებს. ზოგი ეძებს თავის სურათს, ზოგი ნაცნობისას.

საგანგებო რაზმში გადაღებული სურათები. მიხა ჩოდრი-
შვილი...

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი: მოხალისეთა ჯარის მისიის მეთაურის გენ.
ბარათოვის და საქართველოს სამხედრო საბჭოს წევრის გენ. ოდი-
შელიძის მოკვლის განზრახვა (საქმე არკადი ელბაქიძისა).

1917 წლის ოქტომბრის მომხდარი ბალშევიკური გადატრიალე-
ბის არქივი (სხვადასხვა მიწერ-მოწერა).

გამოძიება ტფილისის ციხეების უფროსის რიმკევიჩის შესახებ.
რიმკევიჩის ბრძანებები.

ერთ-ერთთ ბრძანებაში, რომელიც გამოცემულია 1909 წლის
აპრილის 3 თარიღით (№ 24) ასწერს რა გაზეთების ცნობის თანა-
ხმად რუსეთის ერთ-ერთ ქალაქის ციხეში მომხდარ ტუსაღების აჯან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყებას, თავის ხელქვეით „ნადზირატლებს“ რიმკევიჩი უბრძანებს: „თუ აჯანყება მოხდეს, რაიმე ნებართვის გამოუთხოვლად ამოქლეტონ დაუნდობლათ ყველა ტუსაღები.

ს. ს. ს. რ. რევკომის მოლაპარაკება საქართველოს ყოფილ შენშევიკურ მთავრობასთან.

ა ბ ე ბ ი ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა 1918 წ. ოთხი დიდი რევეული.

შ ა მ ხ ო რ ი ს ა მ ბ ე ბ ი. აფხაზავას საქმე. დეკემბერ, რომლებიც აფხაზავას თან აღმოაჩნდა სიკვდილის შემდეგ, მისივე სისხლით შეღებილი. პირდაპირი მავთულით ლაპარაკი: დიდძალი ლენტები.

საქმე ალექსანდროვის ბაღში მიტინგის დახვრეტის შესახებ 1918 წლის თებერვლის 10-ს, წინასწარი გამოძიება. დაიწყო თებერვლის 10-ს, დამთავრდა იელისის 8-ს 1918 წელს.

პ რ ო ვ ო კ ა ტ ო რ ე ბ ი: აზეფი, კობიაკოვი, ცინცაძე, რამიშვილი, კოპალეიშვილი და სხ.

ლ ა გ ო დ ე ხ ი ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა 1919 წელს. ფოტოგრაფიული სურათები: სამხედრო საბჭო; რაზმების შეიარაღება; არალეგალური კონფერენცია სოფ. ანაგაში. ფიცის დადება. უკანასკნელი სხდომა რევოლიუციონური კომიტეტისა ს. ანაგაში 1919 წლის ოქტომბრის 23 ს. ბრძანების გაცემა შეიარაღებულ რაზმისადმი და სხ...

საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები 1921 წლისა თებერვლის 25-ის და შემდეგი რიცხვებისა.

რუსულ ენაზე ამერიკაში გამოცემული მუშათა გაზეთი—Американские Иизвестия—орган Российских рабоч. организ. 11 июля 1921 г. № 155 (176) цена 3 сента.

1905 წლამდე გამოცემული არალეგარული გაზეთები.

1905 წ. ლეგალური გაზეთები პეტერბურგისა „Новая Жизнь“, „Начало“ და სხ. გაზეთი „Елизаветпольский Вестник“ 14 (27) Декабря 905 г. № 17—ეს გაზეთი გამოვიდა ტფილისში „კავკასელი რაბოჩის“ დახვრეტის შემდეგ.

დაშნაკცუტიუნის პროცესის ოქმები 1907—10 წ. 6 მოზრდილი წიგნი.

წიგნი,—იმ პირთა სია, რომელთაც დაეძებდნენ პოლიციის დეპარტამენტის მოთხოვნით. გამოცემულია 1893 წ. ამ წიგნში სხვათა შორის მოთავსებულია ცნობილი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი, ნეჩაევის საქმის მონაწილე. აწერილია საზღვარ გარეთ რომელ ქალაქში ფცხოვრია, რა გაუკეთებია და სხ. დაბოლოს ზოგიერთი მისი ნიშნებიც არის ჩამოთვლილი: დაბადებულია 1847 წელს, ცხვირი მოკაუჭებული აქვს (არწივისებური), ტიპი კავკასიური და როცა მიდის, ხშირად უკან იხედებაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „Кавказский Вестник Совета Народних Комисаров“ № 1—13 фев. 1918 г. ეს გაზეთი ტფილისში გამოვიდა მაშინ, როცა სტ. შაუმიანი კავკასიის საგანგებო კომისრად იყო.

ქართული ხელთნაწერი ჟურნალები, არალეგალურად გამოცემული:

„სახელოსნო შკოლის“ ჟურნალი № 1, საყოველთვეო ჟურნალი „**განთიადი**“. 1 მარტისა 1891 წ. გამოცემული მ. სიმონიძესი.

„**სხივი**“ საყოველთვეო ჟურნალი № 1—1892, გამოცემული სიმონიძესი გვ. 40.

„**სანთელი**“—მეჩექმეთა ჟურნალი, 1899 წ. გვ. 32 სიმონიძე (მეტეხელი).

აი მოკლედ ,რევოლიუციის მუზეუმის ოთახი.

ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება

= VIII =

პარტიზის მუშაობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნლიური მუშაობის ანგარიში საქართველოს პარტიისა

(საქართველოს კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისია)

1922 წლის დეკემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან დაარსდა კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისია (პარტისი).

კომისიის შემადგენლობაში შევიდენ ამხ. ამხ. ფ. მახარაძე, რ. კალაძე, მ. ტოროშელიძე, რუბენი, ს. ჩიხლაძე და პასუხისმგებელ მდივნად ს. თალაკვაძე.

1923 წელს, 14 იანვარს, თავის პირველ სხდომაზე კომისიამ გაითვალისწინა **პარტისის** ამოცანები, გაარკვია პარტისის დანიშნულება—მიზანი, შეიმუშავა მოქმედების გეგმა და დაადგინა:

1. გამოიცეს ყოველ-თვიური ისტორიული ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე" ქართულად და „ლეტოპის რევოლიუციი" რუსულად. 2. ჟურნალის რედაქციაში მუდმივი მუშაობისათვის კომისიის შემადგენლობიდან გამოიყოს ამხ. ს. ჩიხლაძე და ს. თალაკვაძე. 3 შედგეს სია 1917 წლის თებერვლის რევოლიუციამდე დაღუპულ რევოლიუციონერთა და შეკრებილ იქნას მათი ბიოგრაფიული ცნობები. 4. გამოშვებულ იქნას მოწოდება ძველი რევოლიუციონერებისადმი და საერთოდ ფართო მუშათა მასის მიმართ ისტორიული მასალებისა და დოკუმენტების პარტისში გამოგზავნის შესახებ.

თითქმის ყველა ეს დადგენილებანი, მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებებისა, სისრულეში იქნა მოყვანილი.

ერთი წელიწადია არსებობს პარტისი და ამ ხნის განმავლობაში მან შესძლო პარტისის მოწყობა ცენტრში და პერიფერიებში.

საქართველოს იმ მაზრებში და ოლქებში, სადაც რევოლიუციონური მოძრაობა თვალსაჩინო იყო, პარტკომებთან მოეწყო პარტისის ბიუროები.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტისში მუშაობა თხოულობს განსაკუთრებული უნარისა და შეძლების მქონე პირებს.

ასეთი პირები კი ჩვენ, საბწუხაროდ, არა თუ პერიფერიებში, აქ, ცენტრშიც, არ მოგვეპოვება, ან თუ არიან ისინი, ერთობ ცოტანი. მართალია, ისეთი ამხანაგები, რომელთაც პარტისის საქმეები საუცხოოდ შეუძლიათ შეასრულონ, მოგვეპოვება, მაგრამ ისინი ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან ჩაფლულნი სხვა უფრო საპასუხისმგებლო პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობის საქმეებში, რომ პარტიაში მუშაობისათვის სრულებით ვერ იცლიან.

და დღეს თუ პარტისი სასურველად ვერ შლის ფრთებს, ამის მიზეზი სწორედ ეს არის.

მარტში გამოვიდა საქართველოს პარტისის ორგანო ისტორიულ ჟურნალ რევოლიუციის მატიანე"-ს № 1.

ჟურნალი შეიცავს 189 გვერდს; აქვს შემდეგი განყოფილება:

1—ისტორიული წერილები და დოკუმენტები; 2—მოგონებები; 3—ავტობიოგრაფიები; 4—პარტიული არქივი; 5—კონტრ-რევოლიუციის ისტორიიდან.

აპრილში გამოვიდა № 2-რი. ჟურნალი შეიცავს 253 გვ. აქვს შემდეგი განყოფილება:

1—პარტისის მოწოდებები და ისტორიული წერილები; 2—მოგონებები; 3—ავტობიოგრაფიები; 4—რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნას; 5—პარტიული არქივი.

ივლისში გამოვიდა მე-3 №. ჟურნალი შეიცავს 274 გვ. აქვს შემდეგი განყოფილება:

1—ისტორიული წერილები; 2—მოგონებები; 3—ავტობიოგრაფიები; 4—რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნას; 5—პარტიული არქივი.

ოქტომბერში გამოვიდა № 4. ჟურნალი შეიცავს 315 გვერდს. აქვს შემდეგი განყოფილება:

1—პარტისის მოწოდება და ისტორიული წერილები. 2—მოგონებები; 3—ავტობიოგრაფიები; 4—რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნას; 5—პარტიული არქივი; 6—ტრიბუნა.

ნოემბერში გამოიცა საგანგებო ქაღალდზე დიდი ფორმატის **1917 წლის რევოლიუციამდე დაღუპულ ამხანაგების ხსოვნის** აღსანიშნავი **ალბომი,** რომელიც შეიცავს 92 გვერდს. ალბომში მოთავსებულია ნინოშვილ-ყეცხოველ-წულუკიძე-ჩოდრიშვილიდან დაწყებული ყველა ძველ, ბრძოლის ველზე დაღუპულ რევოლიუციონერების ფოტოგრაფიული სურათები (სურათები უმეტესად ყოფილ ჟანდარმერიის არქივიდანაა ამოღებული) სპეციალურად შეკრებილ და დაწერილ ბიოგრაფიების თანდართვით.

პარტისი გრძნობს, რომ იქ აკლია ბევრი ფოტოგრაფიული სურათი და ბიოგრაფია 17 წლის რევოლიუციამდე დაღუპულ მებრძოლებისა, რის გამოსწორებასაც ფიქრობს დარჩენილების ეურნ. „რევოლიუციის მატიანეში" ბოთავსებით.

იბეჭდება უკვე და დეკემბრის ბოლო რიცხვებში გამოვა ეურნალ „რევოლიუციის მატიანე"-ს № 5-რი. ეურნალში პირველად მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ჟანდარმერიის არქივიდან ამოღებული ფოტოგრაფიული სურათები პროლეტარულ რევოლიუციისა და კომპარტიის ვეტერანების **ფ. მახარაძის, მიხა ცხაკაიას, სტალინის, აბელ ენუქიძის, კრასინის, ტრიფონ ენუქიძის** და სხვების (ეს სურათები დართული აქვს ჟურნალში მოყვანილ მაი რევოლიუციონურ მოგონებებს, ისტორიულ წერილებს და ავტობიოგრაფიებს). ჟურნალი შეიცავს 350-მდე გვერდს.

პარტისი დაკავშირებულია თფილისში არსებულ სხვადასხვა არქივებთან, კრებს მასალებს, ამოწმავებს მას ისტორიისათვის ცალ-ცალკე, მაგრამ მთლიანი ხასიათის ეპიზოდების სახით.

პარტისს კავშირი აქვს გაბმული მოსკოვთან ერთად რუსეთის სხვა მსხვილ ქალაქებში არსებულ პარტისის განყოფილებებთან. აქვს მათთან მიწერ-მოწერა, სწარმოებს პარტისის ბეჭდვითი ორგანოების ერთმანეთისადმი გზავნა, გაცვლა-გამოცვლა, არქივებითა და საისტორიო მასალებით ურთი-ერთ სარგებლობით ხელის შეწყობა. პარტისი ღებულობს მოსკოვის ცენტრალურ პარტისის განყოფილებიდან დირექტივებს, ინსტრუქციებს, აგრეთვე ყველა თავის ისტორიულ გამოცემებს წიგნებისა თუ ჟურნალების სახით.

პარტისი სუსტია ორგანიზაციის მხრივ, —თავის შიგნით, ორგანიზაციური მუშაობის სფეროში. მას ვერ მოუწყვია ჯერ კიდევ საისტორიო კლუბი და ამავე ხასიათის ბიბლიოთეკა; მას ვერ გაუმართავს ჯერ კიდევ ვერც ერთი საჯარო კრება, საჯარო ლექციათ-რეფერატები, ვერ მოუწყვია ვეოც ერთი თათბირი ისტორიის მცოდნე პირების კომ.-პარტიისა და რევოლიუციის ისტორიის შესწავლის მიზნით.

ერთად ერთი მიზეზი ამისა არის ის, რომ პარტისში არ არიან გამოყოფილი ამისათვის საჭირო და აუცილებელი მინიმალური ძალებიც კი. პარტისს ფაქტიურად შეადგენს ერთი პირი, მისი **გამგე**, მემანქანეთი (მანქანაზე მბეჭდავი) და ტეხნიკური მდივნით (უკანასკნელი ერთი თვეა, რაც შევიდა პარტისის შტატში და მუშაობს).

პარტისის განყოფილების გამგე ამავე დროს არის სქელ-ტანიან ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე"-ს ფაქტიური რედაქტორი. უნდა აღნიშნოს, რომ, „რევოლიუციის მატიანე"-ს რედაქციის მუშაობის პირობები განსაკუთრებულია; აქ მისი თანამშრომელები არ არიან დახელოვნებული, კვალიფიციური მწერალ-ჟურნალისტები; ისინი უმეტესად და უმთავრესად მუშებისაგან შესდგებიან, რომელთა 'შორის ბევრს სრულებით არ ეხერხება ლიტერატურული ენით წერა, მომენტების აღწერა-დალაგება, სისტემატიურად განვითარება ეპიზოდებისა და ეპიზოდების მთავარი აზრისა მოგონებებში, წერილებში. ამიტომ მათი გადამუშავება, ლიტერატურულ ენით გასწორება, მეტად დიდ დროს ითხოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივნისის რიცხვებში ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე“-ს რედაქციის შემადგენლობა—ამხ. ს. ჩიხლაძე და ს. თალაკვაძე—საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილებით შეიცვალა შემდეგი პირებით: ამხ. ფ. მახარაძე, მიხა ცხაკაია და ს. თალაკვაძე.

სარედაქციო მუშაობის მთელი სიმძიმე უკანასკნელს დააწვა, რადგან ამხ. ფილიპე მახარაძეს და მიხა ცხაკაიას სხვა, უფრო რთული სამუშაოები, უფრო საპასუხისმგებლო საქმეები არ აძლევს ამის ნებას. ისინი თუ გადახედავენ, განიხილავენ ჟურნალის სადაო, პრინციპიალური ხასიათის წერილებს მხოლოდ. რედაქციის განახლებით, პარტისში მუშაობის მხრივ არსებითად არაფერი არ შეცვლილა. პარტისის გამგის პირობები მუშაობისა, რომელიც ამავე დროს რედაქციაში შედის, ძველებურათ დარჩა.

ჟურნალი იბეჭდება და საღდება 1500 ეგზემპლიარამდე.

ჟურნალი, მიუხედავათ მრავალგვარ დამაბრკოლებელი მიზეზებისა, თანდათანობით უმჯობესდება, როგორც ტეხნიკურად, ისე შინარსითაც.

ფინანსების სისუსტის გამო (ცეკასი) რუსულად ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა „ლეტოპის რევოლიუციის“ გამოცემა.

სასურველი კია მისი გამოცემა, რომ რუსს და ამ ენის მცოდნე სხვა ერის წარმომადგენელ ამხანაგებსაც საშუალება მიეცეთ საქართველოს მდ-დარ რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიას გაეცნონ. რუსეთის სხვადახხვა გუბერნიის პარტისის განყოფილებები ხშირად ითხოვენ გამოცემების გაგზავნას და სამაგიეროთ თავისას გვიგზავნიან. ჩვენ ვუგზავნით ჩვენს ქართულ გამოცემას—„რევოლიუციის მატიანე“-ს, რაც მათთვის, ალბათ, სრულებით გამოუსადეგარია.

პარტისის განყოფილების გამგე **ს. თალაკვაძე.**

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განცხადებანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„რევოლიუციის მატიანე“-ს
შინაარსი:

№ 1

1. პარტიის ისტორიის კომისიისაგან.
2. რუსეთის კომუნისტური პარტიის პირველი დამფუძნებელი ყრილობა.
3. წვლილების პროექტი პარტიის პირველი ყრილობისათვის.
4. მანიფესტის პროექტი პირველ ყრილობისათვის.
5. მანიფესტი რ. ს.-დ. მუშათა პარტიისა.
6. ს. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე. რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის წარმოშობა.
7. რ. კ ა ლ ა ძ ე. მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია.
8. ს. თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე. საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული.
9. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. როგორ გავხდი მარქსისტი.
10. რევოლიუციონურ მოგონებათა სიდამო.
11. გ. ჩ ხ ვ ი ძ ე. ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი ზაქრო ჩოდრიშვილი.
12. მოგონება ზაქრო ჩოდრიშვილზე მისი ძმის მიხა ჩოდრიშვილის მიერ დაწერილი.

ავტობიოგრაფიები:

1. ლადო დუმბაძე.
2. ო. კალანდაძე.
3. ნინო ნიკიტას ასული ალაჯალოვისა.

პარტიული არქივი:

1. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. აბალი ოინბაზობა.
2. პროკლამაციები.
3. დადგენილება.

კონტრ-რევოლიუციის ისტორიიდან:

1. რუსეთის ხალხის კავშირის მოწოდება.

№ 2

1. საქართველოს კომპარტ. ყველა ოლქკომებს და მაზრკომებს.
2. პარტიის ყველა წევრებს (მოწოდება).
1. რ. კ ა ლ ა ძ ე. მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია (80—90) წ.წ.
2. ს. თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე. საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული, 1870—1905 წ. (პირველი ნაწილის დასასრული).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებები:

1. ფ. მიხარაძე. კომპარტიის ისტორიისათვის ამიერ-კავკასიაში (პირადი მოგონებანი რ. კ. პ. არსებობისა და ბრძოლის 25 წლის გამო).
2. ვ. ცხაკაია. რუსეთის კომპარტიის არსებობის 25 წლის თავი (მოგონებანი).
3. ფ. მიხარაძე. როგორ გავხდი მარქსისტი (დასასრული).
4. კ. ციცაძე. ჩემი მოგონებანი (1903—1920 წ.წ.).
5. ნ. ალაფალოვი. ჩვენი არა-ლეგალური სტამბა.
6. ხ. თოდრია. ალიონიდან გათენებამდე (პირადი მოგონებები).
7. ვ. ცაბაძე. ჩემი მოგონებიდან (1890—1905 წ.წ.).
8. რ. ფინცხავა. ჩემი მოგონების ნაწყვეტი.

ავტობიოგრაფიები:

1. რაფდენ კალაძე.
2. იოსებ სიმონის ძე მორჩილაძე.
3. ვარლამ ძნელაძე.

რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნას:

1. ვანო სტურუა. ამხ. ვასო სტურუა (დაღუპული 1905 წ. ბრძოლებში).
2. სეფე ციცაძე. ამხ. ეფსე (პეტრე) ციცაძე (1905 წ. ნაძალადევში მოკლული ცხრათა შორის).
3. ვ. ინწკერველი. სტეპკო ინწკირველი (მოკლე ბიოგრაფია).

პარტიული არქივი.

1. თ. კალანდაძე. რა ვაკეთოთ? (გურულ ამხანაგებს).
2. ზ. ჩოდრიშვილი. კატორღელების ყოფა-ცხოვრებიდან (მოწერილი ნიკოლაევის ციხიდან 1914 წ.).
3. საბრალმდებელო აქტი თოფა ამბაკოს ძე ჩუბინიძეზე, (ენანდარმერიის არქივიდან).
4. „ბრძოლა" № 4 რუს. ს.-დ. ვ. პ. (ორგანო ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირისა. 1902 წ. დეკემბერი).
5. გლეხკაცობის მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიაში („პროლეტარიატის ბრძოლა" № 7, 1904 წ.).
6. ცნობა უმცირეს-უმრავლესობის საერთო სარტსეთო კონფერენციაზე (ბროშიურა გამოცემული კ. კ. რ. ს.-დ. მ. ფ.).

№ 3

ისტორიული წერილები:

1. რ. კალაძე. ქართული მეშუთა ყურნალ-გაზეთის ისტორია 80—90 წ.წ. (გაგრძელება).
2. ს. თალაკვაძე. საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული, 1870—1905 წ.წ. (მეორე ნაწილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებები:

1. გ. ჩხეიძე. მოგონება წარსულიდან (1907—1920 წ.წ.
2. კ. ცინცაძე. ჩემი მოგონებანი 1903—1920 წ.წ. (გაგრძელება).
3. ს. თოდრია. ალიოშიდან გათენებამდე (გაგრძელება).
4. გალ. ვაშაძე. ჩემი მოგონებები (1902—1920 წ.წ.).
5. თ. კალანდაძე. ერთი წელი მალულათ (პირადი მოგონ.).
6. ვანო ჯეჯელავა. ჩემი მოგონებები, (1901—1920 წ.წ.).
7. გ. ნუცუბიძე. საქართველოს პროფმოძრაობის წარსულიდან (პირადი მოგონებები).
8. რუბენი. მენშევიკური „დემოკრატიის" მარწუხებში (მოგონება პარტ. მოძრაობ. შესახებ საქართველოში).
9. ს. თალაკვაძე. დიდი ოქტომბერი (წარსულის ფურცელი საქართველოს სინამდვილით).
10. ვ. ცაბაძე. ჩემი მოგონებიდან 1890—1905 წ.წ. (გაგრძელება).
11. შ. დავიდოვი. მოგონებანი (1876—1906 წ.წ.)

ავტობიოგრაფიები:

1. პარმენ ცინცაძე.
2. არაკელი ოქუაშვილი.
3. აკოფ აკოფიანი.

რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნას:

1. ვ. სტურუა. მიხა ზაქარიას ძე ბოკაურიძე.
2. ამბ. ვანო მარკოზის ძე კალანდაძის ხსოვნას.

პარტიული არქივი.

1 ფ. მახარაძე. მუშების და გლეხების რევოლიუციის ტუტუარი ნაშნები საქართველოში.
2. ფ. მახარაძე. რას ფიქრობენ?
3. ფურნ. „პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცელი № 5—6. 1904 წ.

№ 4

მოწოდება ამხანაგებს და ყველა ძველ რევოლიუციონერებს

ისტორიული წერილები.

1. ს. თალაკვაძე. „საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული, 1870—1905 წ.წ. (მეორე ნაწილი)
2. რ. კალაძე. ქართული მუშათა ჟურნალ-გაზეთის ისტორია (გაგრძელება).

მოგონებები.

1. კ. ცინცაძე. ჩემი მოგონებანი 1903—1920 წ.წ. (გაგრძელება).
2. ა. ვ. ლუნაჩარსკი. ლენინი (მისი ბიოგრაფიიდან).
3. აბელ ინუკაძე. რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის არალეგალურ სტამბების კავკასიაში მოწყობისა და მუშაობის ისტორია 1900—1906 წ.წ.

4. დ. ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ე ლ ი. ვინ გახცა კავკასიის სოც.-დემ დიდ სტამბა ტფილისში.
5. ს. მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. ჩემი მოგონებანი.
6. ს. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა ჩემი მოგონებანი.
7. მ. ც ხ ა ვ ა ი ა. „26“-ის ხსოვნას.
8. ს. თ ო დ რ ი ა. ალიონიდან გათავისებამდე (გაგრძელება).
9. გ. ჩ ხ ე ი ძ ე. ჩემი მოგონებანი.
10. მ. ჩ ო დ რ ი შ ვ ი ლ ი. ამბ. ავმო (მოგონებანი).
11. შ. დ ა ვ ი დ ო ვ ი. მოგონებანი 1876—1906 წ.წ (გაგრძელება).
12. ა რ შ ა კ მ ე გ რ ა ბ ი ა ნ ც ი. როგორ მოჰკლეს გენერალი გრიბოედოვი 1906 წ.

ავტობიოგრაფიები:

1. ქანდიდატური.
2. გიორგი ბრაბელიძე.

რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნას.

1. რ. კ ლ ა ბ ა ძ ე. მინა კალ ძე.
2. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე. გიორგი ბ ა ბ ა ი ა ძ ე, ნიკოლოზ ბ ა ბ ა ი ა ძ ე, ბ ა ბ ა ი ა ძ ე.

პარტიული არქივი.

1. ოქმი საქართველოდან ჩამოსული კომუნისტებისა (ბ. ქ. ოში 1920 წ.).
2. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, 'მოხსენება მესამე კომ. ინტერნაციონალის მეორე მსოფლიო კონგრესზე.
3. სიბრალმდებლო ოქმი თომა ამბაკოს ძე ჩუბინიძის შესახებ.
4. ტურ. „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი № 7—1904 წ.
5. „ „ „ „ № 8 „
6. „ „ „ „ № 9 „
7. 1905 წლის რევოლიუციის დროინდელი წითელი დროშა (სურათი).

ტრიბუნა.

1. მ ო რ ა ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. პარტიის ისტორიიდან ზღაპრული ელემენტი უნდა განდევნილი იყოს (წერილი რედაქციისადმი).
2. ს. ჩ ი ტ ლ ა ძ ე. „პარტიის ისტორიიდან ზღაპრული ელემენტი უნდა განდევნილი იყოს“ (პასუხი)
3. „რევ. მატიანეს“ რედაქციისაგან.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა